

სულიერი მღელო



მომზადებულია საქართველოს
საპატრიარქოს პრეს-ცენტრში

შესავალი

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს მართლმადიდებელი მოძღვრებისა და ეკლესიის მამების გამონათქვამების კრებულს. დაინტერესებული მკითხველი ადვილად მოძებნის მისთვის სასურველ თემას და გაეცნობა ეკლესიის მამათა აზრებს მასთან დაკავშირებით, რამდენადაც საკითხები თემატურად არის წარმოდგენილი. აქ მართლმადიდებლობის უდიდესი მასწავლებლების გვერდით წაიკითხავთ სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების ცნობილ მოძღვართა აზრებს, მათ შორის, ქართველი მამების – წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) და ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) გამონათქვამებს. წიგნში გამოყენებული მასალის ნაწილი – გასული წლების გამნავლობაში – იბეჭდებოდა „საპატრიარქოს უწყებანში.“

ღმერთზე - თავისთავად და მისი ქმნილებების, განსაკუთრებით - ადამიანისადმი დამოკიდებულების შესახებ

„**უ**ოველივე ხილული უხილავის შესახებ მოწმობს; ყოველივე უხილავი ქმნილებათა ხილვით შეიცნობა“ (რომ. 1. 20).

ზეცა, მიწა, ზღვა – ერთი სიტყვით, მთელი ეს სამყარო ღვთის უდიდესი და დიდებული წიგნია, რომელშიც ცხადდება მდუმარებით ნაქადაგები ღმერთი“ *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).*

არც კაცი, არც ბალახი, არც მტვერი, არცა სხვა რამ ქვეყნიერებაზედ არ გაჩენილა თავისთავად და არც წარმოსადგენია მათი ყოფნა, მათი არსებობა, მათი მოქმედება და მოძრაობა მხოლოდ მათივე ძალით, მათივე დამოუკიდებლობით, მათი საკუთარი თვისებით. ყველაფერი, რასაც

თვალით ვხედავთ და რაზედაც ჭკუა მიგვიწვდება, არის ღვთის ქმნილება და ღვთისავე მოწყალებით არსებობს. ეს შეურყეველი და დაურღვეველი ჭეშმარიტებაა *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე)*.

ერთმა ფილოსოფოსმა წმიდა ანტონის, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, ჰკითხა: „რომელ წიგნში ამოიკითხე ცნობები იმ მაღალი ჭეშმარიტებების შესახებ, რომელსაც თავად ქადაგებ?“ – წმიდა ანტონის სიტყვაც არ წარმოუთქვამს, ისე მიუთითა ერთი ხელით ზეცაზე და მეორით კი – მიწაზე.

ეს ერთცხვი სასწაულის ცქერა, რომლებიც ზეცასა და მიწაზე აღესრულება, ის წიგნია. რომლის წაკითხვაც ყველას შეუძლია და რომელიც დღედაღამ უქადაგებს ღვთის დიდებას ადამიანებს, რომელთაც შეხლუდული შემეცნება აქვთ.

ერთხელაც ვიწრო ბილიკით წადით მინდვრისაკენ, რომელზეც ხორბალია და-

თესილი, დააკვირდით თავთავს: ხედავთ ამ მსუბუქ გარსს, რომელიც გარს ერტყმის თავთავის ფხებს, რომლებიც მას იცავს? – ყოველივე ეს იმისთვისაა საჭირო, რომ თავთავი მზის დამლუპველი ზემოქმედებისაგან იყოს დაცული; ხედავთ იმ მწვანე ფოთლებს, რომლებიც კარტოფილის გარშემო იზრდება? ეს იმიტომაა, რომ შეინარჩუნოს სინოტივე, რომელიც სრულყოფილი ზრდისათვის არის საჭირო. ხედავთ ამ ჩენჩოს ნაჭუჭზე, რომელიც იცავს მას. ვინ იცავს ასე თავთავს? ვინ იფარავს ხორბალს? ვინ გააჩინა ადამიანის წამწამები მზის თვალისმომჭრელი ბრწყინვალებისგან დასაცავად? განა გონიერმა არსებამ – უფალმა არა? განა შეიძლება, ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემდეგ მაინც უარვყოთ მისი წინდახედულება და მადლმოსილება?

ყოველი ქმნილება ღვთის განსაკუთრებულ აზრს გამოხატავს. ხოლო ღვთის

აზრი სრულყოფილია, სავსეა, და შესაბამისად, ყოველი მისი ქმნილება თავისი შესახედაობითა და ჯიშით, საკუთარ თავში შეიცავს მთელ სრულყოფილებასა და სისავსეს. მართალია, ზოგიერთ ქმნილებას ჩვენ საძაგლად მივიჩნევთ, მაგრამ ასე ჩვეულების გამო ვიქცევით და ეს დიდი სისულელეა. დაუკვირდი და შეისწავლე, ერთი შეხედვით, საძაგელი ქმნილებების ორგანიზმი, და გაგაოცებს მათი სასწაულებრივი აგებულება. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო პრიმიტიული და თვალისათვის ნაკლებ შესამჩნევია რომელიმე ქვეწარმავალი ან მწერების ჯიშის წარმომადგენელი, ის საკუთარ თავში მით მეტ სრულყოფილებას ატარებს. ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ ბუნებას, სწორედ ამიტომ ესოდენ ზედაპირულად ვმსჯელობთ მის შესახებ. სიტყვები – „საკვირველ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. – სწორედ იმიტომ არის ნათქვამი,

რომ ყველა ქმნილება თავისებურად სრულყოფილია. რომ ყოველი მათგანი მჭიდრო კავშირშია დანარჩენ ქმნილებებთან და გარკვეული მიზნით არის შექმნილი.

ჩვენი მზე, ჩვენი მაცოცხლებელი და ამაყვავებელი ძალა ღმერთია. თუ კაცის გული გამთბარია ჭეშმარიტი ღვთის რწმენითა და სიყვარულით, თუ კაცის გონება გაშუქებულია ღვთის მოძღვრების ბრწყინვალე სხივებით, თუ კაცი მოქმედებს იმ რწმენით, რომ იგი ქმნილებაა ღვთისა და ამის გამო ცდილობს, რომ ყოველი მისი მოქმედება გამოვიდეს ღვთის საამო, ერთი სიტყვით, თუ კაცი ცდილობს ღმერთთან კავშირისა და განუწყვეტელი დამოკიდებულების გაწყობას, იგიც, როგორც მიმოზა მზიან დღეში, სავსეა სიცოცხლის უნარით, გაშლილი, აყვავებული და ხალისიანია მისი სიცოცხლე, იგი გულდამშვიდებითა და სრული შეგნებით ეგებება ცხოვრების ყოველ მოვლენას, ვერავითარი ძალმომრე-

ობა, ვერავითარი სისასტიკე და ულმობელობა მტერისა ვერ ათმობინებს სულ მოკლე და უმნიშვნელო ვადითაც ერთხელ ბეჯითად შეთვისებულ ა'ზრებს. ეს უცილობელი სინამდვილეა, მრავალმხრივ და მრავალგზის დამტკიცებულ-გაშუქებული წმიდანების უთვალავი მაგალითებით *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე).*

მატლისა და ქინქლის წარმოქმნაში შეუდარებლად აღმატებული ხელოვნება ჩანს, ვიდრე — ადამიანის გონების მიერ შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებებში. მრავალნი აშენებენ ბრწყინვალე შენობებს, გამოიგონებენ საოცარ მანქანებს, აგებენ უზარმაზარ გემებს: მაგრამ მათ შორის უძლიერესსა და გონებამახვილსაც კი არ შეუძლია, შექმნას მცოცავი მწერი, მფრინავი ჩიტი, მწვანე ბალახი, ან თუნდაც ერთი ქვიშის ნამცეცი შეადგინოს?

ჭეშმარიტად დიდებულია ღმერთი! და მხოლოდ ისაა დიდებული ამ დიდ და მცირე მიწაზე.

ღვთის არსებობის ხილულ, შესაგრძნობ მტკიცებულებებში, ჩვენს გარშემომყოფ ბუნებაში განა შესაძლებელი არაა, საკმაოდ ვიხილოთ (ფს. 13, 1) უგუნურება ათეისტთა, რომლებიც ღვთის არსებობას უარყოფენ, ან მატერიალისტთა, რომლებიც მხოლოდ არიან, თუნდაც თვით ბუნება გააღმერთონ, ვიდრე აღიარონ და თაყვანისცენ მის ჭეშმარიტ მიზეზს, შემოქმედსა და პატრონს?

გარნა რით იყო შესანიშნი და კაცის გულის მიმზიდველი ედემი? ნუთუ მხოლოდ გარეგანი მოხდენილობა, მარტო სააშკარი შეხედულება და საოცნებო განწყობილება შეადგენდნენ ედემის უმაღლეს მშვენებას? არა, ედემი ძვირფასი და სანატრელი იყო პირველი კაცისთვის იმითი, რომ იქ ეცხადებოდა მას ცისა და ქვეყნის

გამჩენ-დამბადებელი ღმერთი და პირისპირ, გულშემატკივარი მამის მსგავსად ასწავლიდა, სწრთვნიდა მას სიკეთეში. აი, უმაღლესი მშვენიერება სამოთხისა, აი, უმთავრესი ღირსება მისი *(ეპ. ლეონიდე ოქრობირიძე)!*

ღვთის უარყოფა თავისთავში ყოვლად სულელურ ვარაუდს შეიცავს: მკაცრად რომ ვთქვათ, ის სხვა არაფერია, თუ არა – უჩვეულო თვითგანდიდება? ვიდრე ვინმე შეძლებს, რომ თქვას: „სამყარო უფლის გარეშე არსებობს“. – მან უნდა შეიცნოს მთელი სამყარო. მან უნდა გამოიკვლიოს სამყარო მთელი თავისი მზეებითა და ვარსკვლავებით, ყოველი ეპოქის ისტორია, უნდა გაიაროს სივრცისა და დროის ყველა მონაკვეთი, რათა შეძლოს, რომ სრული საფუძვლიანობით თქვას: „ვერსად აღმოვაჩინე უფლის ნაკვალევი“. იმისათვის, რომ გადაჭრით დაამტკიცო: „არანაირი ღმერთი არ არსებობს“! – საჭიროა, ყოვლისმცოდნე

და ყოვლისშემძლე იყო, ანუ – თავად უნდა იყო ღმერთი.

თუკი დასაშვებია (მატერიალისტთა) ის შეხედულება, თითქოს რაღაც მყარი და განუყოფელი სხეულები, უცნობი ძალითა და სიმძიმის ძალით მიზიდულნი, ქვემოთ მიისწრაფოდნენ და მათი შემთხვევითი შეჯახებით შეიქმნა ეს კეთილმოწყობილი და მშვენიერი სამყარო – მაშინ რატომ არ უნდა დავუშვათ ის, რომ საკმარისია, მიწაზე დავყაროთ ოქროსგან ჩამოსხმული ურიცხვი რაოდენობის ლათინური ანბანის ასოები, რომ მათგან შედგება ენების მატიანეები? მაგრამ, არ ვიცი, შეძლებს კი შემთხვევითობა, ამგვარად შეადგინოს თუნდაც ერთი სტრიქონიც?

თუკი ატომთა შეჯახებას (მატერიალისტთა შეხედულებით) შეეძლო, შეექმნა მთელი სამყარო, მაშინ რატომ არ შეუძლია მას, შექმნას ერთი ტაძარი, ან ერთი

სახლი, ან ქალაქი – ეს ხომ ბევრად უფრო მარტივი და ადვილი იქნებოდა?

✤ქრისტიანო! თუკი ვარსკვლავთა მსახურებმა ვარსკვლავისაგან ისწავლეს ერთი ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისცემა (მთ. 2,1-11), მაშინ, მით უმეტესი თაყვანი ეცი მას – თავად, როცა ხედავ მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს.

✤საბაის დედოფალს იუდეის დედაქალაქში ჩასვლისას ძვირფასი იშვიათობების დათვალიერებისას ყურადღება რომ არ მიექცია სოლომონ მეფისათვის, რომელიც სიბრძნით იყო დამშვენებული, რაოდენ შეუნდობელი იქნებოდა მისი გულგრილობა! მით უფრო არ იმსახურებს შენდობას ისეთი ადამიანი, რომელიც ამ სამყაროში ცხოვრობს და ყველაფერს ყურადღებას აქცევს გარდა – უფლისა, რომელიც ყოველი სიკეთისა და სიბრძნის წყაროა!

✤კარგია ქმნილებები, მეტისმეტად კარგი, მაგრამ შეუდარებლად უკეთესია შემო-

ქმედი, რომლემაც ესოდენ კარგებად შექმნა ისინი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

თუ წმიდა წერილის თანახმად, მუდამ გემახსოვრება, რომ „ყოველსა ქვეყანასა ზედა არიან სამართალნი“ (ფს. 104,7), მაშინ ყოველი შემთხვევა ღვთისშემეცნების მასწავლებლად გექმნება *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

ჩვენ ყველას გვწამს, რომ ღმერთი ძლიერია, და გვწამს, რომ მისთვის ყველაფერი შესაძლებელია: მაგრამ შენ საკუთარ საქმეებშიც უნდა გწამდეს მისი, ვინაიდან იგი შენშიც იქმს სასწაულებს.

უნდა გვიყვარდეს გზანი უფლისანი, და ისინი ჩვენთვის იცალსაჩინო გახდებიან.

განგების გზები ბურუსითაა მოცული და გონებისათვის მიუწვდომელია მათი ბედისწერა: მაგრამ სიკეთისმქმნელი ადამიანი შეიცნობს მათ *(ამბა ევაგრე)*.

უფალი თავის თავს გიცხადებს არა – გონებამახვილობის, არამედ – გულის სიწმიდის მიხედვით: „ნეტარ არიან წმი-

დანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მთ. 5, 8), – ბრძანა ღმერთკაცმა.

✝იმისათვის, რომ ვჭვრეტდეთ ღვთის განგების გზებს, თავად უნდა ვიყოთ ახლოს განგებულებასთან.

✝ისევე, როგორც მზის დანახვა შეუძლებელია თვით მზის გარეშე, ასევე შეუძლებელია უფლის ჭვრეტა – თავად უფლის გარეშე.

✝არაფერი არაა იმ გონებაზე ღატაკი, რომელიც უფლის გარეშე მის შესახებ „ბრძნადმეტყველებს“.

✝უფლის შესახებ არაფერი თქვა ისეთი, რაც თავად მისგან არ გისწავლია.

✝ძალიან სახიფათოა ღვთის შესახებ თქვა ის, რაც თავში მოგივა, რაც არ უნდა დიდ ჭეშმარიტებად გეჩვენებოდეს იგი. ღვთის შესახებ ჭეშმარიტი სიტყვა მხოლოდ ღვთის სიტყვაა.

✝იმისათვის, რომ ღვთის უმაღლესი შეცნობა მოიპოვოს, ადამიანი უეჭველად უნდა

ვიდოდეს მისი გამოცხადების ნათელში, რათა, თავისი წარმოსახვის მიხედვით არ შეადგინოს უმაღლეს არსზე თავისებური წარმოდგენა, რომელიც უფლის დიდებასა და სიწმიდეს არ შეეფერება; და რათა ამის გამო მკაცრად არ დაისაჯოს, რაც თავად უფალმა უთხრა ცოდვილს: „ჰგონე უსჯულოებაი, ვითარმედ მეცა შენ გემსგავსო“ (ფს. 49, 21).

✦როგორც სახიფათოა ტანისამოსით ცურვა, ასევე სახიფათოა ღვთისმეტყველებასთან შეხება იმ ადამიანისათვის, ვისაც რაიმე ვნება აქვს *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

✦თუკი მოსეს აკრძალული ჰქონდა აალებული მაყვალს მიახლოებოდა, ვიდრე ფეხსაცმელს არ გაიხდიდა, მაშ, როგორ შეგიძლია შენ, მიუახლოვდე უფალს, თუ წინასწარ არ გათავისუფლდები გრძნობებზე მიჯაჭვულობისაგან?

✝ვისაც არ გააჩნია სიმდაბლე – უკიდურესი თავის დამდაბლებით, მას არ შეუძლია, იმსჯელოს ღვთის დიდებულებაზე.

✝ვინც მეტად შეიცნობს უფალს, მით უფრო მდაბალი ხდება, ეშინია და უყვარს იგი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝ის, თუ რა არის ღმერთი, არ შეუძლიათ, იცოდნენ თვით ღვთისგან განათლებულმა ხალხმა – არა მხოლოდ წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა, არამედ თავად – ანგელოზებმა და მთავარანგელოზებმა – უფალთან ყველაზე დაახლოებულმა არსებებმა.

✝როგორც არავის არასდროს ჩაუსუნთქავს მთელი ჰაერი, ასევე ვერც გონება დაიტევს მთლიანად, და ვერც ხმა მოიცავს ღვთის არსს *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✝შუბერტი მოგვითხრობს, რომ ერთი გოგონა უგრძნობლად დაეცა იმ ჯიუტი სურვილის გამო, რომ უნდოდა თვალგახე-

ლილს ეცქირა შუადღის მზისათვის. ნუთუ ასევე არ იტანჯება ის კადნიერი გონება, რომელიც ბედავს, ჩაწვდეს მიუწვდომელს? რა გონებით ჩაწვდება ადამიანი უფალს, როცა მას ჯერ კიდევ არ ესმის თავისი გონების, რითაც სურს ჩაწვდომა?

თუკი ის, რომ ღმერთი არსებობს, რწმენით მიიღება (ებრ. 11, 6) და გონებით ვერ ჩავწვდებით, განა გონებით შეიძლება ჩავწვდეთ იმას, თუ რა არის იგი? *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

ღვთის შესახებ სიტყვა რაც უფრო სრულყოფილია, მით უფრო მიუწვდომელია იგი *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).*

არ არსებობს სახელი, რომელიც სრულყოფილად გამოხატავს უფალს: ასევე შეუძლებელია, სრულყოფილად ჩავწვდეთ მას *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

ჩვენ უნდა გვიხაროდეს, რომ ღმერთი მიუწვდომელია, ვინაიდან მისი შემეცნება მარადიულად გაგრძელდება. გონებას რომ

შეემეცნებინა ღმერთი, მაშინ ის უმოქმედოდ დარჩებოდა, ეს კი მისთვის – სატანჯველია.

ნუ ეცდები ღვთის ღრმად გამოკვლევას, უფრო მეტად ეცადე, მიემსგავსო მას *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

საკვების არსებობის ყველაზე მარტივი მტკიცებულება ყველა ცოცხალ არსებაშია შიმშილის გრძნობაა: ასევე ყველაზე ძლიერი მტკიცებულება ღვთის არსებობისა არის ყველა კეთილი გულის მისწრაფება ღვთისადმი.

ღმერთი არის ჩვენი ცენტრი, და მის გარეშე ნაკლებად მშვიდად ვართ, როგორც თევზი – წყლის გარეშე, როგორც სხეულიდან ამოგლეჯილი ნაწილი, თავისი ადგილის გარეშე.

ჩვენი სული ღვთისგანაა და მხოლოდ ღმერთში შეუძლია, ჰპოვოს მან დამშვიდება და ნეტარება.

სხეულს სიცოცხლეს სული ანიჭებს, სულს კი – ღმერთი. შესაბამისად, ჭეშმარიტად ცოცხლობს მხოლოდ ის სული, რომელშიც მადლის მეშვეობით სულიერად უფალი დაივანებს.

როგორც სულს გაყრილი სხეული კვდება, ასევე სული კვდება ღმერთთან ერთობის გარეშე *(სვტარი ავგუსტინე)*.

დააკვირდით მზესუმზირას: რა იზიდავს მას მზისკენ იმგვარად, რომ ყოველთვის იმ მიმართულებით იხრება, საითაც მზეა? – მზეშია მცენარის სიცოცხლე. როდესაც მზესუმზირა მზეს არ უცქერს, ეს იმის ნიშანია, რომ მისი ფესვები ჭიებმა გამოხრეს და მცენარე ჭკნება. შეხედეთ ააღებულ ცეცხლს. რატომაა, რომ იგი ყოველთვის ზევით მიისწრაფის? ეს იმიტომ ხდება, რომ მისი სტიქია მიწაზე მაღლაა. როცა ალი ზეცისკენ არ მიისწრაფის, ეს ნიშანია იმისა, რომ ცეცხლს კვება აკლია და იგი ქრება. ასევე ქრისტიანისთვის ღვთაებრივი

სიყვარულის ცეცხლი, რომლის შესახებ იესო ქრისტე საუბრობს (ლკ. 12, 49) და რომელიც მასში ყოველთვის ცისკენ უნდა მიისწრაფოდეს და თავისთან ერთად მასაც მიწიერიდან უფლისაკენ მიმართავდეს, არის ჭეშმარიტი ნიშანი სულიერი ცხოვრებისა; სადაც ეს ცეცხლი ჩაქრა, იქ არც ასეთი ცხოვრებაა.

ღმერთი – აი, ჩვენი სულის პირველი და უკანასკნელი სიკეთე!

რას ნიშნავს, რომ არანაირი მიწიერი ნივთი, არც პატივი, არც სიმდიდრე, არც ტალანტი, არც ცოდნა ჩვენს გულს არ აკმაყოფილებს? რას ნიშნავს, რომ ჩვენ მიწიერი ბედნიერებით მოცულნი მოწყენილნი ვართ და სულის სიცარიელეს ვგრძნობთ? – ეს გულის გამომჟღავნებული ძახილია, რომელიც გვეუბნება: ადამიანო, ნუ ეძებ კმაყოფილებას დედამიწაზე, – ამ ამაო და ხრწნად არსებობაში, შენი ნეტარება მხოლოდ ღმერთთანაა! მისკენ მიმართე ყვე-

ლა შენი სურვილი, მასში ეძიე მუდმივი ნეტარება და სიმშვიდე.

✝ზოგიერთები რატომ მოიწყენენ? ეს იმიტომ, რომ ვერ მიაგნეს საგანს, რომელიც ყოველმხრივ მოიცავდა და სრულებით განაძღობდა მათ. ასეთი საგანი მხოლოდ ღმერთია: ღმერთი და მისი სიმართლის გზები. დაუთმეთ მას თქვენი შრომა, დრო და ყურადღება და თქვენ არ მოიწყენთ: პირიქით, იქნებით – როგორც სამოთხეში, იმიტომ, რომ ვერაფერი შეედრება ღვთივაზროვნების და დიდებისმეტყველების სიხარულს. წმიდა მამებმა, რომლებმაც განიცადეს ეს, მთელ დროს მას უძღვნიდნენ: სწორედ ამავე საფუძველზე წმიდა ეკლესიამ გვიანდერძა, რომ დღეში რამდენჯერმე შევიკრიბოთ სალოცავად.

✝იმაზე დიდებული არაფერია, ვიდრე ღმერთთან მყოფი ადამიანი და არაფერია იმაზე არარაობა, ვიდრე ადამიანი – ღმერთის გარეშე.

✦შენ ნახ'შირი ხარ – ადამიანო, უფალი კი – შენი ალი და ნათელი.

✦ჭეშმარიტი და სრულყოფილი სიხარული მხოლოდ მათ აქვთ, ვის'შიც ღმერთია დავანებული.

✦ვისაც თავის თავ'ში ღმერთი ჰყავს, მას ყველაფერი აქვს, თუნდაც – ამქვეყნად ყველაფერი დაკარგოს.

✦ღმერთთან თუნდაც უბედურებაში ცხოვრება ბედნიერებაა.

✦თუ ღმერთთან ერთად ხარ, ნებისმიერ ადგილზე გაქვს სახლ-კარი და სამ'შობლო, ღვთის გარე'შე კი სახლიცა და მამულიც გადასახლება და ტყვეობაა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✦ღმერთთან ერთად უბედურებასა და ტანჯვა-წამება'ში თუნდაც ჯოჯოხეთში ყოფნა – სიკეთეა; ღვთის გარე'შე თავად სამოთხე და ზეცაც კი არაფერია.

✗უფალთან ერთად ყველგან სამოთხეა; მის გარეშე კი ყველგან ჯოჯოხეთია და სულის უნუგეშო მსხვრევა.

✗თუ უფალთან იქნები, ჯოჯოხეთიც სამოთხედ გექცევა, ღვთის გარეშე კი — ზეცაში ყოფნაც წამებაა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✗ო, ნეტავ თქვენ, ვინც სამოთხის ნუგეშზე მიამბობთ — ამბობდა ერთი ფილოსოფოსი — არ ვეძებ სამოთხეს, არამედ მას, ვინც სამოთხე შექმნა.

✗ეძიე ღმერთი, მაგრამ ნუ ეძიებ, თუ სადაა იგი დავანებული *(ამბა სისო)*.

✗ეძიე ყველგან ის, ვინც ყველგანაა.

✗უფალი ყველგანაა: ის ზეცის სიმაღლეზე და ჩვენი სულის სიღრმეშიც ივანებს.

✗ადით ყველაზე მაღალ ადგილას, გაიქეცით ყველაზე მოშორებულ ადგილებში, ჩადით მიწის სიღრმეში, დაიფარეთ ყველაზე უკუნეთ სიბნელეში — ყველგან უფლის თვალთა წინაშე იქნებით. „ვიდრე-

მე-ვიდე მე სულისა შენისაგან, ვიდრე ვივლტოდი“ (ფს. 138, 7)?

ღმერთი წრეა, რომლის ცენტრიც ყველგანაა, გარესაზღვარი კი – არსად.

უფალი ყველაფერს ავსებს და ყველაფრის გარეთ არსებობს *(წმიდა იოანე დამასკელი).*

უფალი ყოველ ადგილას არის, მაგრამ არც ერთ მათგანში არ მდგომარეობს *(წმიდა კირილე იერუსალიმელი).*

ღმერთი სულ ყველგანაა, სულ ყველაფერშია, ერთნაირად – დიდშიც და პატარაში, და სულ ყველაფერსე აღმატებულია *(წმიდა იოანე დამასკელი).*

ღმერთი არც დაბლაა და არც მაღლა, არც შორს არის ჩვენგან და არც – ახლოს, იმიტომ რომ ის ყველგან არსებობს და ამიტომ ის უფრო ახლოსაა შენთან, ვიდრე – შენი სული შენს სხეულთან: მხოლოდ უნდა შეძლო, რომ ეს სიახლოვე ლოცვითა და სარწმუნობით მოიპოვო. „უფა-

ლი ახლოა ყველა მომწოდებელთან ჭეშმარიტებით“ (ფს. 144, 18).

✦უფალი ყოველთვის ახლოსაა ადამიანთან, ვინაიდან ის ყველგანაა, ადამიანი კი ყოველთვის არაა მასთან ახლოს – თავისი შეზღუდული ბუნების, უყურადღებობისა და დაბნეულობის გამო.

✦ო, სულო ჩემო! უფალი ყოველთვის შენთანაა, შენ კი ისე ცხოვრობ, თითქოს ის მეტისმეტად შორს იყოს შენგან.

✦ჩვენზეა დამოკიდებული რამდენად შორს ვიქნებით ღმერთთან, ის კი ყოველთვის ახლოა ჩვენთან.

✦ღმერთთან ახლოს ან შორს ყოფნა თავად ადამიანზეა დამოკიდებული, ვინაიდან უფალი ყველგან არის *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✦თუკი კეთილ ადამიანთან ახლოს ვერ იქნება ის, ვინც მისგან თავისი ბუნებრივი პრინციპებით განსხვავდება, მით უფრო ვერ იქნება ახლოს იგი უფალთან.

✦უფალი მაშინ გვიახლოვდება, როცა თავად ვუახლოვდებით მას. „ვინ ისმინოს ხმისა ჩემისა“ ამბობს იგი, შევალ მასთან“ (აპოკ. 3, 20).

✦იმისათვის, რომ ჩვენთან იყოს ღმერთი, საჭიროა, რომ ჩვენ ვიყოთ მასთან.

✦ყოველთვის იყავი ღმერთთან, თუკი გინდა, რომ ღმერთიც შენთან იყოს.

✦ეძიე ღმერთი ზეცაში ფიქრებით, გულში – სიყვარულით, ღვთისმოსაობით – ტაძარში, ყველგან ეძიე იგი – მისთვის განზრახული და აღსრულებული საქმეებით.

✦ეძიე ყველგან ის, ვინც ყველგან სუფევს, დატოვე ყოველივე და ეძიე მხოლოდ ის ერთადერთი და უცილობლად ჰპოვებ მას *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✦უფალი ყველგანაა, შენ კი მის თვალთა წინაშე იმყოფები.

✦მტკიცედ უნდა იყო დარწმუნებული, რომ მზეზე უსაზღვროდ ბრწყინვალე უფლის თვალები განუხრელად უმზერენ თავის

შვილებს და მათ ვერაფერი დაემალება: არც აზრი, არც ოცნება, არც რაიმე გულის გრძნობები.

✝ღვთის ყოვლისმხილველი თვალისგან ვერ დაიფარება არა მხოლოდ აშკარა, ან კაცთაგან ხილული რამ, არამედ ჩვენი საიდუმლო საქმენი და – არა მხოლოდ საქმენი, არამედ – თავად ჩვენი გულისთქმებიც კი (აპოკ. 2, 23, ებრ, 4, 13).

✝წარმოიდგინეთ ქვაზე ბნელი ღამე, ქვაზე შავი მარმარილო და ქვაზე მუქი ჭიანჭველა. ასეთ უკარსკვლავო ღამეში, ასეთ მარმარილოზე ღმერთი არა მხოლოდ ხედავს მასზე მოსიარულე ჭიანჭველას, არამედ ესმის მისი ფეხის ხმა.

✝ყოველი საქმის ქმნისას გონებაში გქონდეს, რომ ღმერთს ყოველი შენი გულისთქმა ესმის და არასდროს შესცოდავ *(ამბა ისაია)*.

✝თუ ყოველთვის გემახსოვრება, რომ უფალი ხედავს ყოველივე იმას, რასაც სუ-

ლითა და სხეულით იქმ, არაფერში შესცოდავ *(ამბა ევაგრე)*.

თუ შენივე მსგავსი ცოდვილებისა გრცხვენია, რომ მათ ცოდვის ჩადენისას არ გნახონ, რაოდენ მეტად უნდა გეშინოდეს უფლისა, რომელიც სრულყოფილად ჭვრეტს შენი გულის დაფარულ ზრახვებს *(ამბა ისაია)*.

თუ გსურს, ყოველი შენი საქმე კეთილად წარმართო, წარმოიდგინე, რომ ღმერთი მუდამ გიმზერს.

თუკი მეფის წინაშე თავს უბრალო დაუდევრობის უფლებას არ ვაძლევთ, განსაკუთრებით – უწესობისა, არამედ ვცდილობთ, რომ ყოველი ჩვენი სიტყვა, ყოველი მოძრაობა მისთვის სასიამოვნო იყოს: მით უმეტეს ის ადამიანი, ვისაც წარმოუდგენია, რომ ყოველთვის უფლის წინაშე იმყოფება, თავს არანაირი ცოდვის ჩადენის უფლებას არ მისცემს, ღვთისთვის სათნო კეთილ საქმეებში კი მოშურნე იქნება.

✻როგორც ადამიანისათვის ადვილია არსებული საგნების დასახელება, ასევე ადვილი იყო ღმერთისთვის არარსებულის არსებულად გადაქცევა.

✻ღმერთისთვის უფრო ადვილია ახალი მზის აგიზგიზება ზეცაში, ვიდრე ჩვენთვის — სანთლის ანთება.

✻უფლისთვის შეუძლებელი არაფერია, გარდა იმისა, — რაც მას თავად არ სურს.

✻რაც ღმერთს სურს, ის შეუძლია კიდეც, მაგრამ ყველაფერი არ სურს, რაც შეუძლია *(ტერტულიანე)*.

✻ყველა უძლურია იქ, სადაც ღმერთი თავის ძალას გამოავლენს.

✻ღმერთისთვის ისიც კი შესაძლებელია, რაც ჩვენს წარმოდგენაში შეუძლებლად გვეჩვენება.

✻ღვთის ნებით წყალიც აგიზგიზდება და ცეცხლიც მორწყავს არემარეს.

✻ღმერთი თავისი დიდების გამოსავლენად თვით მტრებსაც კი იარაღად იყენებს.

ის, ვინც არაფრისგან ყველაფერი შქმნა, სიბნელიდან – ნათლის, ბოროტისგან კი სიკეთის ქმნა შეუძლია.

სადაც ცხონების საშუალება არ არსებობს, ღმერთი იქაც ჰპოვებს ამ საშუალებას.

სადაც ჩვენთვის ყოველივე შეუძლებელია, იქ ღვთისთვის ყველაფერი შესაძლებელია.

ღმერთს ჩვენი ნებისმიერი გამოუვალი მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია.

ღვთის განგება თავის ძალას იქ ამჟღავნებს, სადაც ადამიანი ზოგჯერ მხოლოდ უძლურებას ხედავს.

ღმერთი სწორედ იქ ავლენს თავის ძალას, სადაც ადამიანის ძალა სუსტდება.

ღვთის ძალა ადამიანის ძალისხმევას არ საჭიროებს.

როდესაც ადამიანთა შემწეობის იმედს დაკარგავ, ღმერთს მიმართე და მი-

იღებ მას იქ და ისე, სადაც და როგორც არც ელოდი და არც წარმოგედგინა.

✦მაშ, ვის უნდა ვთხოვოთ შეწევნა და წყალობა, თუ არა – ყოვლადძლიერ და ყოვლადმოწყალე უფალს?

✦ღვთის დიდებულებასთან შედარებით დიდებული არაფერია, მისი სიკეთის წინაშე კი მცირედიც კი დიადია.

✦თვით უმცირესი ჩიტუნაც კი არ არის მამაზეციერისგან მივიწყებული *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✦უფალი არ უკუაგდებს თუნდაც ერთ ლოცვით ამოსუნთქვას და ჩვენი ცრემლის ერთ წვეთსაც კი.

✦უფალი უზომოდ ძლიერია და უსაზღვროდ კეთილი.

✦ღვთის სიყვარულის განსაკუთრებით დიდებული სასწაული, რომელსაც მარადიულობაშიც კი ვერ ვიხილავთ (ვინაიდან ეს შესაძლო სიყვარულის ზღვარს აღემატება), არის კაცობრიობისათვის ძე ღვთი-

სას მოვლინება. ბევრს ნიშნავს, შეურაცხყოფილი არ დარჩე, უფრო მეტია – აპატიო, კიდევ უფრო მეტი – პატიების შემდეგ მადლიერება, მაგრამ შეუდარებლად მეტია – ღვთისგან კაცობრივი ხატების მიღება, ტანჯვა და სიკვდილი. ეს ჭეშმარიტად სასწაულია სულიერ სამყაროში (იოან. 15, 13; რომ. 5, 8). ამ ერთ რამეში უფალი იმგვარად გამჟღავნდა, რომ თუნდაც დავიწყებას მისცემოდა სწავლება ღვთის სრულყოფილების შესახებ, მხოლოდ ეს ერთადერთიც კი მოიცავდა ყველა ღვთისმეტყველებას.

თავისი მართლმსაჯულებით ღმერთმა ერთის ცოდვისათვის მთელი კაცთა მოდგმას სიკვდილი მოუვლინა, გულმოწყალებით კი, როცა ყველა ადამიანი წყევლის ქვეშ იმყოფებოდა და ცოდვის ბორკილებით იყო შეკრული, ერთის სიმართლის გამო ყველას ცხონება მიანიჭა *(ნეტარი თეოდორიტე)*.

ო, ღმერთო, რომელმაც მოგვეცი ძე შენი! მასთან ერთად რას აღარ გვანიჭებ!

უფრო ადვილია ზეცის სივრცის, ცისქვეშეთისა და ზღვის უფსკრულების გაზომვა, ადვილია გულიდან ამოსული ამოსუნთქვის დათვლა, ვიდრე გაზომვა და შეცნობა ღვთის წყალობათა სიდიადისა და რიცხვისა.

ნეტავ ადამიანმა ისე დააფასოს ღმერთი, რა პატივშიც იმყოფება იგი ღმერთისაგან *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

უფალმა ჩვენ უწინ შეგვიცნო, ვიდრე ჩვენ მას შევიცნობდით, მან უწინ შეგვიყვარა, ვიდრე – ჩვენ შევიყვარებდით მას.

ღვთის სიყვარული ადამიანისადმი შეუდარებლად მაღლა დგას, ვიდრე ადამიანის სიყვარული ღვთისადმი.

უფალი ჩვენზე მეტად ზრუნავს, ვიდრე ჩვენ ვზრუნავთ საკუთარი თავზე.

დედა ისე ვერ ზრუნავს თავის ჩვილზე, რამდენადაც ჩვენზე ზრუნავს უფალი, მეუფე და მეფე ჩვენი.

უფალი ჩვენთვის იმაზეც კი ზრუნავს, რაც ჩვენ გვეკუთვნის და ჩვენივე საზრუნავია.

უფალი გვიგზავნის უხვ ძღვენს უმეტესი სიამოვნებით, ვიდრე – ჩვენ ვღებულობთ მას *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

უფალი თავისი უსაზღვრო სიკეთისა და გულმოწყალების გამო ყოველთვის მზადაა, ყოველივე მიანიჭოს ადამიანს, ადამიანი კი ყოველთვის არ არის მზად მისგან რაიმეს მისაღებად.

ჩვენ ყველას გვჭირდება წყალობა, მაგრამ ყველანი არ ვიმსახურებთ მას. ვინაიდან ის თუმცა წყალობაა, მაინც ღირსეულს ეძიებს, როგორც თავად ბრძანა უფალმა: „შეივწყალებ ვინც შესაწყალებელია და შევიტკბობ, ვინც შესატკბობია...“ (გამოსვ. 33, 19) *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

უფალი ერთგულია თავისი აღთქმების, ოღონდ მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, ვინც თავიანთი აღთქმების ერთგულნი არიან.

✝განა უფალს არ ყოფნის წყალობა ჩვენთვის, არამედ ჩვენ არ ვართ ღირსნი მისი წყალობისა.

✝უფლისადმი მადლიერება მისგან მონიჭებული ძღვენის გამო არის ჭურჭელი, რომელშიც ღვთის მადლი ახალ ძღვენს დაავანებს.

✝ისე არაფერი ესათნოება უფალს, როგორც – მადლიერება *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

✝„მცირესა ზედა“ მადლიერი იყავი და უმეტესის ღირსი გახდები.

✝„მცირესა ზედა“ ერთგული „მრავალსა ზედა“ დადგინდება. ღვთის მცირე ძღვენის გამო მადლიერ ადამიანს აქვს კადნიერება, ითხოვოს დიდებული. მართლაც, ქრისტიანო, საკუთარი შეგრძნებით, შეგიძლია იცოდე, რომ მადლიერი გული უფრო თავისუფლად იხსნება და უფრო ფართოდ იღება, ვიდრე – მთხოვნელი: შესაბამისად, მას მით უფრო ადვილად შეუძლია მადლის მიღება.

✗უფალი აძლევს და უმრავლებს თავის ძღვენს მას, ვინც ღებულობს სიმდაბლითა და მადლიერებით, უმადურს კი ისიც წაერთმევა, რაც ეგონა, რომ მუდამ მისი იქნებოდა.

✗რაც უფრო მეტი მზის სხივი ეცემა ყვავილებს და სხვა მცენარეებს, მით უფრო მეტ კეთილსურნელებას გამოსცემენ ისინი მზის მიმართულებით, ჩვენი მზე – ღმერთია; მადლიერნი ვიყოთ მისი – ყვავილთა მსგავსად.

✗როგორებიც ვართ ღვთისათვის, ისეთია ღმერთი ჩვენთვის. ადიდე უფალი და თავად მიიღებ ჯილდოს მისგან.

✗როდესაც ადამიანი ღმრთისადმი თავის მსახურებას ხლუდავს, მაშინ ღმერთიც ხლუდავს თავის კეთილქმედებას მისდამი.

✗ვინც ივიწყებს უფალს, მას უფალიც დაივიწყებს თავისი ვოწყალებით.

✗ღვთის სამსჯავრო განსხვავდება ადამიანთა სამსაჯავროებისაგან. გულმოწყალე და უხვადმოყვარე უფალი მრისხანების

ვნებას რომ დამორჩილებოდა და თავისი ღვთაებრივი დიდებულების ყოველგვარი შეურაცხყოფისათვის ყველა ადგილზევე დაესაჯა, მაშინ მთელი კაცთა მოდგმა დიდი ხნის წინათ ამოწყდებოდა.

✗უფალი თავისი მოთმინებისა და კაცთმოყვარეობის გამო დიდხანს აფრთხილებს, ვიდრე შემუსრავს.

✗ღმერთი რაოდენ დიდხანს გითმენდა და გითმენს! მიუხედავად ამისა, შენ მაინც არ გამოსწორებულხარ.

✗თუკი უფალი გადადებს თავის სასჯელს, მაშინ შენ ნუ გადადებ შენს გამოსწორებას *(ნეტარი ავგუსტინე)*.

✗ღმერთი გულმოწყალეა, მაგრამ სამართლიანი. უსასრულოდ გულმოწყალე, მაგრამ, ამავე დროს უსაზღვროდ მართლმსაჯული.

✗ის, ვინც უფლის გულმოწყალებაზე დაყრდნობით ცოდვებს არ შეწყვეტს, უნდა

ეკრძალოს, რომ საკუთარ თავზე მისი მართალი მსჯავრი არ გამოსცდოს.

✝ვინც ღვთის გულმოწყალების უდარდელი იმედით ცხოვრობს, იგი უფლის მსჯავრს მიიღებს.

✝ის, ვინც ღვთის გულმოწყალების მისაღებად არ ზრუნავს, ღვთის სამართალს თავის თავზე შეიცნობს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝თავის მადლით დიდებული, ასევე დიდებულია თავისი სამსჯავროთი.

✝ღვთის მოწყალებამ დაე, იმისკენ გვიბიძგოს, რომ ვერ შევიცნოთ ჩვენს თავზე ღვთის სამართალი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝ყოვლადმომთმენსაც აქვს მოთმინების საზღვარი.

✝ერთი თვალით ღვთის გულმოწყალებას უმზირე, მეორეთი კი – მის სამართალს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝იმისათვის, რომ არ შესცოდო, საჭიროა, ღვთის სამართლის შიში გქონდეს: ცოდვილი საასოწარკვეთილებას რომ არ მიეცეს,

ღვთის გულმოწყალების იმედი უნდა ჰქონდეს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

თუ მართალი ადამიანი ხარ, გეშინოდეს (ღვთის) რისხვისა, რათა არ დაეცე; თუ ცოდვილი ხარ, დაეყრდენი (ღვთის) გულმოწყალებას,რათა აღსდგე *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

ღვთის შიში უნდა გვქონდეს, მაგრამ ისეთი, რომელიც იმედს არ თრგუნავს; აუცილებელია სულში იმედი ვასაზრდოოთ, ოღონდ ისეთი, რომელიც ღვთის შიშს არ გამორიცხავს.

ნუ შეეცდები ჩაწვდე ღვთის განგებულების საიდუმლოს. წმიდანებიც კი ვერ კადნიერდებოდნენ, რომ ჩაწვდომოდნენ ღვთის განგებას.

ნუ ვიწუწუნებთ ღვთის სამართლიანი მსჯავრის მიმართ. ჩვენ უძლურნი ვართ, ჩვენი აზრი გვქონდეს ღვთის გამოუთქმელ სამსჯავროზე *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✗ისევე, როგორც პატარა ბავშვს არ ძალუძს, მამის საქციელი სამართლიანად განსაჯოს, ასევე ჩვენ არ შეგვიძლია, საჭირო სიზუსტით გამოვიკვლიოთ ყოვლადბრძენი უფლის განგება.

✗ზოგჯერ სწორედ ის, რაც ჩვენ შეცდომად გვეჩვენება, სინამდვილეში ღვთის უმაღლესი განგებულებაა.

✗ზოგჯერ ის, რაც ჩვენს მზერას ქების ღირსად ეჩვენება, ღვთის წინაშე საძაგლობაა.

✗ნუ გეგონება, რომ ღვთის სამართალი არ არის იქ, სადაც შენი „მახვილი“ თვალი ვერ წვდება.

✗უსნეოთა კეთილდღეობა, ერთი მხრივ, ეჭვს არიდებს სათნოებას, რომელიც ტანჯვაში ამჟღავნებს თავის შინაგან ძალასა და დიდებულებას, მეორე მხრივ, კი უსნეოს ყოველგვარ თავისმართლებას მოაკლებს ღვთის წინაშე, რომელიც თავისი სიკეთით სათნოების გზაზე მოუწოდებს.

ნუ გაგვაკვირვებს უზნეო ადამიანის ბედნიერება და მართლის უბედურება.

აქ თუ არა, იქ, და მით უმეტეს, იქ, თუ არა – აქ, უფალი ყოველს თავისი საქმისამებრ მიაგებს.

ჩვენი ხვედრის სხვადასხვაგვარობის სრულყოფილ ახსნას იმქვეყნად ვპოვებთ. იქ ყველა დაინახავს, რომ ყველაფერი კარგად იყო მოწყობილი, აქ კი ჩვენ ჯერ კიდევ სიბნელეში ვცხოვრობთ.

თუმცა ჩვენს თვალთაგან დაფარულია ღვთის განგებულების მიზეზები, ყველაფერი, რაც კი ყოვლდაბრძენი და ჩვენი მოყვარული უფლის განგებით ხდება, და რაც არ უნდა ძნელი იყოს ის, ჩვენთვის აუცილებლად სასარგებლო იქნება *(წმიდა ბასილი დიდი)*.

უფალს უკეთესისკენ მივყავართ და მივყავართ ყველაზე საუკეთესო სახით.

უფალი ჩვენს საქმეებს უეჭველად უკეთ განაგებს, ვიდრე ჩვენ თავად წინასწარ წარმოვიდგენდით ამას *(წმიდა ბასილი დიდი)*.

ნუ ისურვებ, რომ მოხდეს ის, რაც თავად გსურს, არამედ ისურვე ის, რაც ღვთისთვის სათნოა. შენ ის უნდა გინდოდეს, რაც უფალს უნდა.

რაც ღმერთს უნდა ჩვენთვის, სწორედ ის არის ჩვენთვის საუკეთესო.

რაც ჩვენთვის სასარგებლოა, სწორედ ის სურს ღმერთს და რაც ღმერთს უნდა, ჩვენთვის სასარგებლოა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

რაც არ უნდა შეგემთხვეს, მიიღე როგორც სიკეთე, რადგან იცოდე, რომ უფლის გარეშე არაფერი ხდება *(წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი)*.

ფუჭად არ ჩათვალო თუნდაც ყველაზე უმცირესი მოვლენა და გარემოება შენს ცხოვრებაში, როგორიც არ უნდა იყოს ის: უფალს სურს ამით რაიმე გასწავლოს ან რამისგან განგწმიდოს; თუ მას (შენი ცხ-

ოვრების გარემოებას) ყურადღებით განიხილავ, მაშინ დაინახავ, რომ ის სწორედ შენს სასიკეთოდ ყოფილა.

✗ცხოვრებისეულ თავგადასავლებში გაისმის (განგების) ხმა, რომელიც ადამიანს უფლისკენ უხმობს.

✗გწამდეს, რომ ყოველივე, რაც თავს გადაგხდა, სულ უმცირესიც კი, ღვთის განგებით ხდება, და მაშინ ყოველგვარი ჭმუნვის გარეშე გადაიტან ყველაფერს.

✗გახსოვდეს, რომ ღვთის გარეშე არაფერი ხდება და შენს სულში სიმშვიდე დაისადგურებს.

✗ის, ვინც ღვთის ნებას ჭეშმარიტად მიენდობა, მეტისმეტად არ იზრუნებს მომავალზე, რაც არ უნდა ბნელი ეჩვენებოდეს თავისი ცხოვრების ჰორიზონტი. „ყველაფერი ღვთისგანაა, – ფიქრობს ის თავისთვის – ყველაფერი ბრძნულად, ჩვენივე სასარგებლოდაა მოწყობილი. რაც იქნება – იქნება. და იქნება ის, რასაც

ღმერთი მომცემს, და რაც ჩემს ღმერთს უნდა, ის მინდა მეც“.

✝ღვთის სიბრძნე პოულობს საშუალებებსა და გზებს ჩვენი ბედნიერებისათვის იქაც კი, სადაც ჩვენ თავად ვერაფერს ვხედავთ, გარდა საფრთხისა და სატანჯველისა.

✝როდესაც ამბობ: ღმერთი კაცთმოყვარეა და ამიტომ არ დაგვსჯის, მაშინ შენი ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ თითქოს ის კაცთმოყვარე აღარ იქნება, თუ დაგვსჯის *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

✝ღმერთი მაშინაც კი სიკეთეს გვანიჭებს, როცა გვსჯის.

✝ყოვლადბრძენი უფალი თავისი სიბრძნით უბედურებას ჩვენივე ბედნიერებისათვის გვიგზავნის.

✝თუკი ყოვლადსახიერმა მწუხარება მოგივლინა, ე.ი. თვით მწუხარებაშია შენთვის სიკეთე.

✻უფალი მცირედ გვსჯის, რათა დიდი წყალობით შეგვიწყალოს.

✻ზეციური მკურნალის მიერ მოვლენილი სიმწარე, უფრო სასარგებლოა სულიერი სიჯანსაღისათვის, ვიდრე – სიტკბოება, რომელსაც წუთისოფელი გვთავაზობს.

✻კეთილდღეობაც შეიძლება, უბედურებაზე საშიში აღმოჩნდეს და უბედურება – კეთილდღეობაზე მაცხოვნებელი.

✻ხშირად ვხედავთ, რომ კმაყოფილება თვითკმაყოფილებას იწვევს.

✻რა იშვიათად და გულგრილად ილოცებდნენ ადამიანები, ტანჯვა-წამება და მწუხარება რომ არ ყოფილიყო!.

✻მწუხარებებით უფალი უმეტესი მწუხარებებისგან გვიხსნის.

✻უფალი სჯის სხეულს სულის ცოდვების გამო, რათა სული გონს მოიყვანოს.

✻ადამიანთა დიდი ნაწილი ისეთია, რომ მათ გარედან უნდა უბიძგო, რომ საკუთარ თავში შესვლა შეძლონ.

❦როგორც თესლს სჭირდება წვიმა, ასევე ჩვენ გვჭირდება ცრემლები, როგორც მიწა უნდა მოიხნას და დაიბაროს, ასევე ჩვენს სულს ნიჩაბის ნაცვლად სჭირდება განსაცდელები და მწუხარება, რათა არ აღმოაცენოს სარეველა, შერბილდეს მისი სისასტიკე და არ გაამაყდეს. ჯანსაღ ნაყოფს მიწაც კი ვერ გამოიღებს გულმოდგინე დამუშავების გარეშე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*

❦სულში ღვთაებრივი სიყვარულის ასაგიზგიზებლად უკეთესი ხე არ არსებობს, ვიდრე – ხის ჯვარი (მწუხარებისა).

❦ჯვრის სკოლა –საუკეთესო სკოლაა. ჯვრის სკოლა გადააქცევს: უგუნურს – გონიერად, ჭკვიანს კი – ბრძნად; ამაყს – მდაბლად, მდაბალს – სიმდაბლისმოყვარედ. უკეთურს – კეთილად, კეთილს – უკეთესად; სუსტს – ძლიერად, ძლიერს – უძლეველად.

❦ვინაიდან არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც განსაცდელის გარეშე სათნო-

ეყოფა ღმერთს, ამიტომ საჭიროა, მადლობა შევწიროთ უფალს ყოველი მწუხარებისათვის *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

✝რა განსაცდელიც არ უნდა დაატყდეს ადამიანს, მუდამ უნდა ამბობდეს იგი: „ეს ღვთის წყალობით მოხდა!“ *(ამბა სისო)*.

✝როდესაც განსაცდელი დაგატყდება თავს, ნუ გამოიძიებ, თუ საიდან და რისთვის არის იგი, არამედ (იმაზე იზრუნე), რომ მადლიერებით, მწუხარებისა და გაბოროტების გარეშე გადაიტანო *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

✝ღმერთი დღევანდელ დღეს მტრის ისეთ განსაცდელებს არ უშვებს, როგორიც – უწინ იყო: ვინაიდან იცის, რომ დღეს ადამიანები სუსტები არიან და ამას ვერ გადაიტანენ *(წმიდა ანტონი დიდი)*.

✝ღმერთმა იცის ყოველი ადამიანის საჭიროება, ძალების საზომი და ყოველი მათგანის უძლურება.

მექოთნემ იცის, რამდენ ხანს გააჩეროს ცეცხლში თიხის ჭურჭელი. რომელიც აიტანს მხურვალებას, გამოიწრთობა, ხოლო რომელიც ვერ აიტანს, სახმარად უსარგებლო იქნება. მით უმეტეს, იცის უფალმა, თუ რა ძალისა და ხარისხის ცეცხლია საჭირო ღვთის სიტყვიერი ჭურჭლების – ქრისტიანების გამოსაცდელად, რათა შეძლონ ზეციური სასუფევლის დამკვიდრება.

უფალი არ უშვებს ან მუდმივად უბედურებებს, რათა სასოწარკვეთილება არ დაგვეუფლოს, და არც – მუდმივ კეთილდღეობას, რათა არ დავეცეთ (ზნეობრივად) *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

უფალი ადამიანებს სამუდამოდ არც უბედურებაში ტოვებს, რათა არ დაუძლურდნენ და არც – ბედნიერებაში, რათა უსრუნველნი არ გახდნენ, არამედ სხვადასხვა საშუალებებით აწყობს მათ ცხონებას.

უნდა ვმადლობდეთ უფალს, როცა სიკეთეს გვანიჭებს, და არ დავკარგოთ მოთმინება, როცა (ამას არ აკეთებს) ან (უხვ წყალობას არ გვანიჭებს) ან (როცა ამით არ გვანებივრებს) *(წმიდა ბასილი დიდი).*

მოვიდა კეთილდღეობა – მადლობდე უფალს, და კეთილდღეობა მყარი იქნება. მოვიდა უბედურება – მადლობდე უფალს და იგი დასრულდება *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

მთებით, ტევრებით მივყავარ განგების უხილავ ხელს, ოღონდ კი ჩემს ზეციურ სამშობლოში მიმიყვანოს.

წმიდა წერილი, ან ბიბლია

წმიდა წერილი ყოველი ჩვენთაგანისთვის უნდა იყოს სახელმძღვანელო და უპირველესი სამაგიდო წიგნი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

❦რაც ფიზიკური საზრდელია ჩვენთვის – ძალების შესანარჩუნებლად, იგივეა წმიდა წერილის კითხვა სულისათვის *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

❦როგორც ბუნებრივი შუქის ნაკლებობისას ადამიანი ვერ ივლის საჭირო გზით, ასევე საღმრთო წერილის სხივით გაუნათლებელი ადამიანი იძულებულია, განუწყვეტლივ შესცოდოს ბევრ რამეში, ვინაიდან ღრმა უკუნეთში დახეტიალობს.

❦იმას, რისი დანახვაც შეგიძლია, შენი თვალით უმზირე, ხოლო უხილავისა და მარადიულის შესახებ მსჯელობისას ღვთის სიტყვას დაეყრდენი.

❦ლოცვისას ჩვენ ვსაუბრობთ ღმერთთან, წმიდა წერილით კი ღმერთი გვესაუბრება *(ნეტარი აგვუსტინე)*.

❦ყველას ვურჩევ, შეიძინოს ბიბლია ან, უკიდურეს შემთხვევაში, ახალი ალთქმა! ეს წიგნები ყოველთვის თქვენს განსწავლას წაადგება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

წყალი თავისი ბუნებით რბილია, ქვა კი – მაგარი. მაგრამ თუ ქვის თავზე მილია მოთავსებული, საიდანაც წვეთ-წვეთობით ჩამოდის წყალი, ნელ-ნელა იგი ქვასაც კი გახვრეტს და მასში ჩავა, ასევე ღვთის სიტყვა რბილია, ჩვენი გული კი – უხეში. მაგრამ თუ ადამიანი ხშირად უსმენს (ან კითხულობს) ღვთის სიტყვას, ღვთის შიში მის გულშიც შედის *(ამბა ჰიმენი)*.

ბიბლიას გონება მიწიერიდან სულიერისკენ გადაჰყავს.

ვისაც ბიბლია აქვს, იგი მას დიდ სარგებლობას მოუტანს და უდიდეს ნუგეშს მიანიჭებს. ხშირად ამ წმიდა წიგნისაკენ მიმართული მხოლოდ ერთი მზერაც კი ცოდვის ჩადენის სურვილს გვიქარწყლებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ბიბლიას მხოლოდ კი არ უყურო, არამედ გულისყურით წაიკითხე, წაკითხული კი გონებაში დაიცავი.

ერთხელ ერთმა ბრძენს ჰკითხა: მუდმივად რატომ კითხულობ წიგნებს, სადაც ღვთის შესახებ სწავლებაა და ადამიანის მოვალეობებია გადმოცემული? შენ ხომ ეს უკვე რამდენჯერმე წაიკითხე? ბრძენმა უთხრა: „დღეს რატომღა ითხოვ საჭმელს? გუშინ ხომ ჭამე?“ „მე ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ვიცოცხლო“, – უპასუხა მან. – „მეც სწორედ იმიტომ ვკითხულობ, რომ ვიცოცხლო“! – უთხრა ბრძენმა. ბრძენის აზრით, როგორც სხეულს სჭირდება ყოველდღიური საზრდელი, რათა იცოცხლოს, ასევე სულს ესაჭიროება ყოველდღიური სულიერი საზრდელი სიცოცხლისათვის.

ერთი სათნოთმოყვარე კაცი ოცი წლის მანძილზე მუდმივად კითხულობდა ბიბლიას, ამასთან, არც სამსახურეობრივ, არც ლიტერატურულ საქმიანობას არ იკლებდა. ერთხელ ჰკითხეს მას, ნუთუ არ მობეზრდა ერთისა და იგივეს გამუდმებით კითხვა. „ვინ გითხრათ, – უპასუხა მან, – რომ ეს ერთი

და იგივეა. პირიქით, მე დღითიდღე ახალ-ახალს აღმოვაჩენ წმიდა წერილში, რაღაც ისეთს, რაც უწინ არ შემიმჩნევია, და ღმერთია მოწამე, რომ ჩვენი დროის ადამიანს მათუსალასავით საუკნეებიც რომ ეცხოვრა, მაშინაც ვერ წაიკითხავდა ამ წიგნს ბოლომდე, თუნდაც ყოველდღე ეკითხა იგი“.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ ესმის წმიდა წერილი, შესაძლებელია, დავინახოთ, თუ როგორია თავად ადამიანი და როგორი გახდა იგი. მისი აღქმა შეესაბამება იმ დონეს, რომელზეც იგი იმყოფება. თუ ჯერ კიდევ ბუნებრივ ცხოვრებას ეწევა, წმიდა წერილში იგი მხოლოდ ბუნებრივ საგნებს პოულობს. როცა იგი თავად ამაღლდება, წერილის სიტყვები მისთვის უფრო ამაღლებულია. საერთოდ, რაც უფრო მაღლა დგას იგი, მით უფრო ამაღლებულ საიდუმლოებებს აღმოაჩენს ღვთის სიტყვაში.

დაიწყე საღვთოს წერილის ყურადღებით კითხვა და ნუ დაგეზარება ხშირად იკითხო იგი – მიუხედავად იმისა, გესმის სიტყვების ძალა თუ – არა, ვინაიდან ხშირი სწავლება ადრე გაუგებარს უკვე აშკარას გახდის. ხშირად მას, რაც დღეს არ გვესმის, ხვალ გავიგებთ, ღვთის მადლით, რომელიც უხილავად განხსნის ჩვენს გონებას – წმიდა წერილის შესამეცნებლად *(სულიერი მარგალიტი)*.

თუ შენ არ გესმის ღვთის სიტყვა, სამაგიეროდ ეშმაკებს ესმით, რომ შენ კითხულობ მას და ძრწიან.

ღვთის დიდი სიკეთეა, რომ წერილის ზოგიერთი ადგილი ნათელია, ზოგიერთი კი – ბუნდოვანი, რათა ერთით ჩვენ განვმტკიცდეთ რწმენასა და სიყვარულში და სრული გაუგებრობით ურწმუნოებასა და სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდეთ, მეორით კი ძიებისა და შრომისაკენ გვიბიძგოს, რათა გავთავისუფლდეთ სიამაყისაგან

და სიმდაბლე შევიძინოთ – სიმდაბლე იმისათვის, რომ არ შეგვიძლია, ჩავწვდეთ მას *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ჩვენ ისე უნდა ვიფიქროთ, როგორც წმიდა წერილი ამბობს, და არ ვაიძულოთ იგი, ილაპარაკოს ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ.

„ეს დიდებული წიგნი – ასე დააწერა თავის ბიბლიას ბაირონმა, – შეიცავს საიდუმლოთა საიდუმლოს. ბედნიერნი არიან ის მოკვდავნი, რომლებსაც ღვთისგან მიეცათ მადლი, წაიკითხონ, შეიმეცნონ, მოწიწებით, ლოცვით წარმოთქვან ამ წიგნის სიტყვები! ბედნიერნი არიან ისინი, ვინც ცდილობენ, გააღონ კარი და წინ მიისწრაფიან, მაგრამ უმჯობესია, არ შობილიყვნენ ისინი, რომლებიც იმისათვის კითხულობენ, რომ ეჭვი შეეპაროთ მასში და შეიძულონ“.

წმიდა წერილს მრავალი ადამიანი კითხულობს იმისათვის, რომ შეძლოს მასზე ლაპარაკი, მრავალნი კი, ჰეროდეს მაგალი-

თით (მთ. 2, 8), მის მნიშვნელობას ქრისტეს წინააღმდეგაც კი შეაბრუნებენ: შენ კი, აღმოსავლელ ბრძენთა მაგალითისამებრ, იკითხე იგი ქრისტეს მოსახვეჭად.

✠საღვთო წერილის სიტყვა საქმით იკითხე და მრავალსიტყვაობას თავი ანებე, რაც მხოლოდ ყურადღების მისაქცევად არის *(წმიდა მარკოზ მოსაგრე)*.

✠რაც წმიდა წერილშია ნათქვამი, ნათქვამია არა იმიტომ, რომ ჩვენ (მხოლოდ) ვიცოდეთ იგი, არამედ იმიტომ, რომ აღვასრულოთ. *(აბბა ისიხი)*.

✠საღვთო წერილს საკითხავად რომ ჩაუჯდები, უპირველესად მოუწოდე უფალს, რათა განაღოს შენი გულის თვალი იმისათვის, რომ არა მხოლოდ გაიგო დაწერილი, არამედ აღასრულო კიდეც იგი, ვინაიდან ის, ვინც კითხულობს და ასე არ იქმს, საღვთო წერილის მოძულეა *(სულიერი მარგალიტი)*.

მოსმენილი ღვთის სიტყვა (მქადაგებლის ბაგიდან ან წაკითხული წმიდა წერილი) მეტად საზიანოდ გადაიქცევა იმისთვის, ვინც ისმენს და მისი მეშვეობით არ გამოსწორდება *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ადამიანის ნაკლია – არ იცოდეს წმიდა წერილი, მაგრამ ორმაგი ნაკლია, რომ იცის, მაგრამ უგულებელყოფს მას *(წმიდა ეფრემ ასური)*.

ეცადეთ, რომ ყოველთვის იყოთ არა მხოლოდ მსმენელები ქრისტეს სიტყვისა, არამედ – ცხონების საქმის მოქმედნი.

ო, ნეტავ წმიდა წერილის წიგნებით ისე ვსარგებლობდეთ, რომ ჩვენი გული გახდეს წიგნი, რომელიც ღვთის სულის მიერ დაიწერა (2 კორ. 3, 3)!

უფალი იესო ქრისტე

იესო იოსებ „ტექტონის“ შვილობილია, ხოლო ჭეშმარიტი ძე – შემოქმედისა, რომელმაც შექმნა ზეცა და მიწა. ტექტონი - (მთ 13, 55) ბერძნულიდან თარგმანში ნიშნავს ხუროს, რომელიც იყო იოსები, მარიამის ქმარი (ხალხის თვალში) – არქიტექტონი (1 კორ. 3, 10) ბერძნულიდან თარგმანში ნიშნავს: მხატვრების მეთაურს. უფალთან მიმართებაში კი – ყოველი ქმნილების უფალი და ყოვლისმპყრობელი).

ჩვენ სული და სხეული ვართ; იესო კი – ღმერთი, სული და სხეული.

ძე ღვთისა ამქვეყანას მოევლინა სულით, სხეულითა და ღვთაებრიობით, რათა როგორც უფალს, სული და სხეული ეხსნა სიკვდილისაგან *(აბბა ფალაძი)*.

უფალი ჩვენი იესო ქრისტე, თავისი უსაზღვრო სიყვარულის გამო, იმისათვის, რომ ჩვენ ვექციეთ იმად, რაც თვითონ არის,

იქცა იმად, რაც ჩვენ ვართ *(წმიდა ირინეოს ლიონელი)*.

ღმერთი სიტყვა, მამის თანასწორი, ჩვენი მოკვდავობის თანაზიარი შეიქმნა არა თავისი, – არამედ ჩვენი ბუნებისამებრ და ჩვენ მისი ღვთაებრიობის თანაზიარნი შევიქმნებით არა ჩვენი, არამედ – მისი ძალით *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ღმერთი ადამიანამდე დამდაბლდა, რათა ადამიანი აეყვანა ღმერთამდე.

ძე ღვთისა ზეციდან იმიტომ ჩამოვიდა, რომ ჩვენ ავეყვანეთ ზეცაში.

ძე ღვთისა ძე კაცისა იმიტომ გახდა, რომ ადამიანთა ძენი ღვთის ძეებად ექცია (გალ. 4, 5).

ძე ღვთისა ძე კაცისა გახდა ისე, რომ მაინც ძე ღვთისად დარჩა.

სიტყვამ, რომელმაც კაცთმოყვარეობის გამო ხორცი შეისხა, არ შეცვალა არც ის, რაც იყო, არც ის – რადაც იქცა *(ამბა ფალასი)*.

თუ რკინას ცეცხლში ჩავდებთ, იგი სრულებით გაჯერდება ცეცხლით, თუმცა და თავად არ იქცევა ცეცხლად, და პირიქით, ცეცხლი ვერ იქცევა რკინად; ასევე იესო ქრისტეში ორივემ ბუნებამ (ღვთაებრივმა და ადამიანურმა) შეინარჩუნა თავისი თვისება, დარჩა ისეთად, როგორიც იყო.

რუსო, მიუკერძოებელი მოწმე, ამბობდა, რომ იესო ქრისტეს პიროვნება არ შეიძლება იყოს გამოგონილი, ვინაიდან ვერ გამოიგონებდნენ მის ქმედებებს.

იესო ქრისტეს სიბრძნე ისე ჩანს მისი სწავლებიდან, რომ მისი დამტკიცება იგივეა, რაც ვინმე ამტკიცებდეს, რომ მზე ანათებს.

ღვთაებრივი მოძღვრის მთელ ისტორიაში ისეთი არაფერია, რაც ზნეობრივ გრძნობებს შეურაცხყოფდა... მთელ მის ცხოვრებას შეიძლება, წაეწეროს: „ჩემი ჭამადი არს, რაითა ვყო ნებაი მომავლინებელისა ჩემისაი და აღვასრულო ნებაი ჩემი“ (ინ. 4, 34).

ქრისტემ შობიდანვე დაიწყო ჯვრის ტვირთვა ჩვენი ცხონებისათვის.

ქრისტე იშვა ბაგაში, ცხოვრობდა იქ, სადაც მოუხდებოდა, და მოკვდა ჯვარზე.

ყურადღებით დააკვირდით ქრისტე-ადამიანს და თქვენ უეჭველად დაიახავთ მასში ღმერთს.

თუ სოკრატე ცხოვრობდა და მოკვდა, როგორც ბრძენი, იესო ქრისტე ცხოვრობდა და მოკვდა, როგორც ღმერთი (*ქან ქაკ რუსო*).

თუ ძე ღვთისა ხარ, ეუბრნებოდნენ იესო ქრისტეს იუდეველები, მაშინ ჩამოდი ჯვრიდან და გიწამებთ (მთ. 27, 40-42). სწორედ იმიტომ არ ჩამოვიდა, რომ ძე ღვთისაა. მან იწინასწარმეტყველა, რომ უნდა მოკვდეს ჯვარზე და ის კვდება. მართლაც ადამიანისთვის რაღაც განსაკუთრებული რამ იქნებოდა – ჩამოსულიყო ჯვრიდან და თავი გადაერჩნა: მაგრამ მხოლოდ ღვთისთვის არის ღირსეული და მხოლოდ

მისთვის არის შესაძლებელი იზეიმოს ჯვარზე, ჯვრიდან მოიზიდოს მთელი სამყარო, დარჩეს ცოცხალი სიკვდილის შემდეგაც და სწორედ სიკვდილის მეშვეობით აჩუქოს ქვეყანას სიცოცხლე.

❦გსურს, ყოველდღე სასწაულს ხედავდე? — ყოველდღე იფიქრე ქრისტეს განხორციელებასა და ვნებებზე *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

❦რაოდენ მოკლედმჭვრეტელია ადამიანური გონება მიუხედავად ვნებების მზაკვრობისა და ცბიერებისა! ადამიანებს ეგონათ, რომ ქრისტე ღმერთს სასიკვდილოდ რომ წირავდნენ, ამით მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რაც მათ ვნებებს სურდა. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ თავად ვნებები ახასრულებდნენ იმას, რაც სურდა ზეციურ სიყვარულს, ძე ღვთისას სიყვარულს.

❦ღმერთი გახდა კაცი, რათა მსხვერპლი გამხდარიყო, და გახდა მსხვერპლი, რათა მაცხოვარი გამხდარიყო.

ქრისტე მოკვდა იმისათვის, რომ ჩვენში ცოდვა მომკვდარიყო.

სასწრაფოდ მოკვდი ცოდვისათვის, ყოველგვარი გადავადებისა და განსჯის გარეშე; სხვაგვარად დაკარგავ ქრისტეს, მასთან ერთად კი – ყველაფერს!

ჩვენ ქრისტეს ჯვარს ვუცქერთ და ვკითხულობთ მის ვნებებს, თავად კი ერთი წყენაც ვერ აგვიტანია *(ძველი პატერიკი)*.

ადამის ძეთა ბუნება მიისწრაფის ამაღლდეს გრძნობადიდან სულიერამდე, მსგავსად იმისა, ზოგჯერ თევზი წყლიდან რომ ზეცას მიელტვის: მაგრამ როგორც ადვილად და სწრაფად ვარდება თევზი წყალში, ასევე სწრაფად ვეფლობით გრძნობადში. მხოლოდ ქრისტეს მადლმოსილი ძალით შეუძლია გადაჭრით აამაღლოს, გაანაახლოს, ხელახლა შობოს და მისცეს მას მარადიული სულიერი მიმართულება.

როდესაც ქარიშხალი არყევს ჩვენი სულის ხომალდს, მაშინ გავაღვიძოთ ქრი-

სტე ლოცვით და მშვიდობა დაისადგურებს ჩვენს სულში (ლკ. 8, 23-24).

✍ჩვენთვის ჯვარცმული დაგვეხმარება ჯვარს ვაცვათ ჩვენი ვნებები და ჟინი.

✍იესო ერთდროულად ექიმიცაა და წამალიც.

✍ქრისტემ თავისი სიკვდილით დაამარცხა ცოდვა და თავისი აღდგომით დაამარცხა სიკვდილი.

✍არა – პირველ დღეს, არა – სიკვდილისთანავე აღდგა უფალი, რათა ეკურთხებინა ჩვენი გზა საფლავისაკენ და იმედით გაენათლებინა ჩვენი საფლავები, – მეორე დღეს, შაბათსაც არ აღდგა იგი, რათა დაეცვა შაბათის უქმის სჯული და საფლავში ხანგრძლივი ყოფნით ყველა დაერწმუნებინა თავისი სიკვდილის ჭეშმარიტებაში და ამით აღდგომის დიდება განედიდებინა. და არც უფრო გვიან, ვიდრე მესამე დღეს, აღდგა უფალი, რათა თავისი მოწაფეები მეტად აღარ დაეტოვებინა მწუხარებასა და გაუგე-

ბრობაში, რათა მალე გაეხარებინა ისინი და დაემშვიდებინა. და თანაც, განა შეეძლო კი სიკვდილს დიდხანს ჰყოლოდა თავის ბორკილებში წყარო ცხოვრებისა?

ქრისტემ როგორც თავისი აღდგომით შემუსრა ჯოჯოხეთის კარი და მორწმუნეებს გაუხსნა მისგან გამოსასვლელი გზა, ასევე თავისი ამაღლებით იგი აღებს ზეცის კარს და მორწმუნეებს მასში შესასვლელს უხსნის.

ჩვენი სიყვარული – ქრისტეს ვნებებს, ჩვენი რწმენა – მის აღდგომას, სასოება მის ამაღლებას ეფუძნება.

მიწაზე ჩამოსულმა ძე ღვთისამ არ დატოვა თავისი ზეციური მამა, ხოლო როცა ზეცად ავიდა, არ მიუტოვებია მისი სახელის მორწმუნენი.

უხილავად იწამე ქრისტე, გიყვარდეს, გიხაროდეს და ნეტარი იქნები.

თუ შენ მენელსაცხებლეთა მსგავსად დილით უფლისათვის იღვიძებ და მისკენ

სულით ისწრაფი, მაშინ, თუკი ვერ იხილავ მას, რჩევა-დარიგებას მაინც მიიღებ, თუ სად იხილო იგი.

ქრისტე ზეციდან გარდამოხდა გამოსყიდვის აღსასრულებლად, ზეცაში კი ჩვენს განსადიდებლად ავიდა;

ჩვენ მეტი მოვიხვეჭეთ ქრისტეში, ვიდრე – დავკარგეთ ადამში.

ქრისტემდე ადამი ჯოჯოხეთშია, ქრისტეს შემდეგ კი – ავაზაკი – სამოთხეში;

თუ სამყაროს შექმნა ღვთის სიყვარულის საქმეა, მაშინ ადამიანთა გამოსყიდვის საქმე ძე ღვთისას სიკვდილით, არის ღვთის სიყვარულის სასწაული.

თუ ჩვენ ყველაფრით დავალებულნი ვართ უფლისგან ჩვენი შექმნის გამო, მაშ, რა ძალგვიძს მივაგოთ ღმერთს მის მიერ ჩვენი გამოსყიდვის საქმის აღსრულებისათვის და თანაც – ასე აღსრულებისათვის?

თუ უფალს მისცემ არა მხოლოდ ყველაფერს, რაც გაგაჩნია, არამედ ყველაფერს, რასაც ფიქრობ, გრძნობ, აკეთებ – სულს, სხეულს, სიცოცხლეს: განა შეგიძლია, არ აღიარო, რომ ამით ჯერ კიდევ ცოტას მიაგებ უფალს? თუ ეს შეიძლება, საკმარისად ჩაითვალოს: განა მხოლოდ იმიტომ არა, რომ შენ მეტის გაკეთება არ ძალგიძს?

ო, ვერ გაწვდება ადამიანის გონება ღვთის სიყვარულის მთელ სიგრძე-სიგანესა და სიმაღლეს, რომელიც იესო ქრისტესგან გადმოდის ჩვენზე. მაგრამ მით უფრო საშინელია, იყო უმადური ამ სიყვარულის წინაშე.

ქრისტე ჯვრიდან გვეუბნება თითქოს ყველას და ყოველ ჩვენთაგანს: „აი, რა გავაკეთე შენი გულისათვის! შენ რა გააკეთე ჩემთვის?“

გსურს, ქრისტესთვის საამო ღვაწლი გასწიო? – ღატაკი შეიწყალე.

✠რასაც ღარიბ-ღატაკი ღებულობს, მას თავად ქრისტე ღებულობს – ამ ღატაკის სახით (მთ. 25, 40).

✠ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ, ულირსნი: მაშ, ჩვენც შევიყვაროთ იგი, რომელიც ყოველგვარი სიყვარულის ღირსია.

✠დაე, გქონდეს სიყვარული ადამიანებისადმი ქრისტეს გულისთვის, იესოსადმი კი თავად მის გამო.

✠უნდა გიყვარდეს მშობელი, მაგრამ მას მაცხოვარი უნდა ამჯობინო (ლკ. 9, 59, 60) *(ნეტარი ავგუსტინე)*.

✠ამოირჩიე, რა უკეთესია – მთელი სამყარო გაიხადო მტრად, თუ იესო შეურაცხყო.

✠ისეთი იყავი იესოსთან მიმართებაში, როგორიც გინდა, რომ ის იყოს შენს მიმართ. გსურს, უხვად გადმოღვაროს შენს მიმართ თავისი სიყვარული? მაშ, გაუღე მთელი სისრულით გულის კარი.

✠ყველაზე დიდი ნეტარებაა, გიყვარდეს ქრისტე და იყო მისგან შეყვარებული.

ყველაზე ღატაკი ისაა, ვინც იესოს გარეშე ცხოვრობს: ყველაზე მდიდარი კი, ვისაც იესოსთან ყოფნის ბედნიერება აქვს.

ქრისტე – აი ჩვენი სიხარული. აი, ჩვენი საუნჯე, აი, ჩვენი – ყველაფერი!

ადამიანი, რომელიც იესოსთანაა, მდიდარია, თუნდაც ნივთიერი თვალსაზრისით ღარიბი იყოს *(ამბა ევაგრი)*.

ჯობს, ყველაფერი დაკარგო ქვეყანაზე, ვიდრე დაკარგო იესო ქრისტე; ყველაფრის დაკარგვას იგი ასმაგად გიზღვავს, მისი დაკარგვა კი მთელი სამყაროს დაუფლებითაც კი ვერ ანაზღაურდება.

ჯობს სიღატაკის მოთმენა და ქრისტესთან ყოფნა, ვიდრე მასთან ერთობის გარეშე ყოველივე ცხოვრებისეულის უხვად ფლობა.

უტკბილესი იესოს გარეშე მეტად მწარეა ამ მრავალტანჯულ ქვეყანაზე ცხოვრება.

ქრისტეს გარეშე ცხოვრება სიკვდილზე უარესია.

ვაი მათ, ვინც განიშორებენ იესოს, ვინაიდან ისინიც ოდესღაც იძულებულნი იქნებიან, განეშორონ მას.

მათ, ვისაც ქრისტეს მოსმენა არა სურს, რომელიც გვიხმობს: „მოვედით ჩემთან ყოველი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ“ (მთ. 11, 28), ოდესმე გაიგონებენ მის ხმას, რომელიც ბრძანებს: „წარვედით ჩემგან წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელიც განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის“ (მთ. 25. 41).

ნუ განეშორები ქრისტეს, არამედ უფრო შეუერთდი მას სიყვარულის უმტკიცესი ხუნდებით, თუ გსურს ბედნიერება და ნეტარება არა მხოლოდ მომავალ, არამედ – ამჟამინდელ ცხოვრებაში.

უტკბილეს იესოსთან ერთად შენთვის ყველაფერი ტკბილი იქნება. თვით მწუხარებაც კი ზეციურ ნექტრად მოგეჩვენება.

განა უმაღლეს კმაყოფილებას არ განვიცდით, როცა შეგვიძლია, უძნელესი ღვაწლი გავწიოთ იმ ადამიანისთვის, რომელიც გვიყვარს და პატივს ვცემთ? აქედან გამომდინარე, თუ მცირედიდან უდიდესისკენ ავმაღლდებით, ყველაზე სწორი დასკვნა ის იქნება, რომ სიამოვნებით ვიტვირთოთ ქრისტესთვის ჯვარი, ნეტარება ვიპოვოთ თავად ღვაწლში უფრო უწინ, ვიდრე მივიღებდეთ ნეტარებას ამ ღვაწლისთვის.

როგორც ბავშვს, ან გაუნათლებელ ადამიანს არ ესმის ის სიამოვნება, რასაც განიცდის განათლებული კაცი ღრმა სიბრძნისეული თხზულების კითხვისას ან ურთულესი მაგალითის ამოხსნისას, ასევე ბრძენთაბრძენ ფილოსოფოსს ან გამჭრიახ გენიოსს, რომლისთვისაც უცხოა მაცხოვნებელი სარწმუნოება, არ შეუძლია, თნუდაც ოდნავ მაინც წარმოიდგინოს ის სიხარული, რასაც ქრისტიანი განიცდის ქრისტესადმი სიყვარულისგან!

თუკი ხორციელი სიყვარული ესოდენ იმონებს სულს, რომ მას სხვა ყოველივესგან განაშორებს და მხოლოდ საყვარელ არსებას მიაჯაჭვავს, მაშ, რას არ გააკეთებს ქრისტესადმი სიყვარული და მასთან განშორების შიში? *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

„ო, ნეტავ დაკტბნენ ჩემით ის ცხოველები, რომლებიც ჩემს დაგლეჯვას ლამობენ – მე ვთხოვ, დააჩქარონ ჩემი აღსასრული! და თუ ისინი არ მოისურვებენ დაჩქარებს, მე თვითონ ყოველ ძალისხმევას ვიხმარ, დავიჟინებ, რომ დამგლიჯონ! დაე, ცეცხლი, ჯვარი გამზადდეს ჩემთვის, დაე, ცხოველები შემომესიონ საჭმელად, ძვლების დამტვრევა, სხეულის ნაწილთა დანაწევრება და ეშმაკის ყველა საშინელება ვიგემო, ოღონდ დავტკბე ქრისტეთი!“ ამგვარი მოშურნეობით, ამგვარი მზადყოფნით ელის და გამოითხოვს თავისთვის ქრისტესთვის წამებას წმიდა ეგნატე ანტიოქიელი.

„ო, სახიერო ჯვარო, დიდხანს სანატრელო, მხურვალედ საყვარელო, თავდაუზოგავად ნაძებნო და მხოლოდ ახლაღა გამზადებულო სურვილით აღსავსე სულისათვის! – მე მოვდივარ შენთან მშვიდი და ბედნიერი; და შენ საზეიმოდ მიმიღე მე!“ – ასე ხმობს წმიდა ანდრია პირველწოდებული და ჯვარზე სიკვდილის საშინელებაში თავის ნეტარებას ხედავს.

ჩვენ დიდ ბედნიერებად უნდა ჩავთვალოთ, თუკი ღირსნი შევიქმნებით, უფლისთვის დავითმინოთ რაიმე.

არაფერია იმაზე მეტი დიდება, ვიდრე იესოსთან უპატიო მდგომარეობის გაზიარება.

ჯვარი და სხვადასხვა მწუხარება ქრისტიანული დროშაა, რომელთა ქვეშაც ქრისტიანი იბრძვის თავსი მეფის – ჯვარცმულისათვის *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

როცა კარგად გამოიძიებ, თუ ვინ არის ქრისტე – რისთვის და ვისთვის დაითმინა საშინელი ვნება და უპატიობა: მიიღებ

უდიდეს ნუგეშს ყოველგვარ მწუხარებაში და ყოველ უბედურებას მადლიერებითა და სხარულით მიიღებ.

ჯვართან ჰპოვებენ ნუგეშს ყველანი, ვისი ნუგეშისცემაც ამქვეყნად ვერავის ძალუძს.

თუ ქრისტემ, უდანაშაულომ, ჩვენი დანაშაულის გამო ინება, აეტანა მწუხარება და სიკვდილი: ნუთუ შენ მორჩილებით არ აიტან შეუდარებლად ნაკლებ მწუხარებას, რომელიც უეჭველად უფლის წინაშე ჩადენილი რაიმე დანაშაულის გამო მოგეგო, მაშინ, როცა შეიძლება, უდანაშაულოც კი იყო ადამიანების წინაშე.

ბოლომდე დაითმინე ქრისტესთან ერთად და ქრისტეს გულისათვის, თუკი გსურს, ქრისტესთან ერთად იმეფო.

ვისაც სურს, იესოსთან ერთად მარადიული სასუფევლის მონაწილე იყოს, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს მის ვნებასა და მოთმინებაშიც *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝ვისაც სურს, იესო ქრისტეს მსგავსი იყოს დიდებაში, იგი მას უნდა ემსგავსებოდეს ცხოვრებითაც.

✝თუ ქრისტე გიყვარს, ნუ დაგავიწყდება მისი მცნებების შესრულება *(ამბა ეფრემ)*.

✝ქრისტეს მოწინააღმდეგე მხოლოდ ის არის, ვინც არათუ სწავლებით, არამედ ცხოვრებით ეწინააღმდეგება მის სიტყვას *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝ის არ არის ქრისტესი, ვინც ისე არ აზროვნებს და მოქმედებს, როგორც – ქრისტე.

✝დაე, ყველაფერში შენი მასწავლებელი უფალი იესო ქრისტე იყოს; გონების თვალით მჭვრეტელმა საკუთარ თავს ხშირად ჰკითხე: რას იფიქრებდა, რას იტყოდა ან გააკეთებდა ამ შემთხვევაში იესო ქრისტე?

✝შეგეძლოს თავის დამდაბლება, ეს ნიშნავს, შეგეძლოს იესო ქრისტეთვის მიბაძვა *(წმიდა ბასილი დიდი)*.

სიმდაბლით შემოსილი უფალი ადამიანებს გამოეცხადა, და ვინც კაცთა შორის შეიმოსავს სიმდაბლეს, იგი ღვთის მსგავსი გახდება.

გახდი ჩვილი იესოსთან ერთად (სიმდაბლისა და უბრალოების თვალსაზრისით) და მასთან ერთად განდიდდები სიბრძნეში (ლკ. 2, 40).

გახსოვდეს, ქრისტიანო, რომ ბეთლემის გამოქვაბული და ბაგა, სადაც იშვა და მიწვენილ იქნა მაცხოვარი ჩვენი, შენი პატივმოყვარეობისა და ძალაუფლებისმოყვარეობის საფლავი უნდა იყოს.

თუ ძე ღვთისამ დაიმდაბლა თავი, ჩვენც უნდა დავიმციროთ თავი, მით უმეტეს, რომ იგი ჩვენი ამპარტავნების გამო დამდაბლდა.

შენთვის დაიმდაბლა ღმერთმა თავი; შენ კი საკუთარი თავისთვისაც არ მდაბლდები, არამედ თავს აღიმაღლებ და ამპარტავნობ. *(წმიდა მაკარი დიდი).*

ქრისტე, რომელიც მოწოდებული იქნა მეფობისათვის, განეშორა ამას, ხოლო ლანძღვასა და ჯვარზე სიკვდილისთვის მოწოდებისას, ნებაყოფლობით დათანხმდა; ამგვარად, ადამიანო, რომელსაც გსურს, ქრისტეს მიემსგავსო, მეტად უნდა გიხაროდეს შეურაცხყოფის მიღება, ვიდრე – დიდებისა.

გაიხსენე ქრისტე გამოქვაბულში და ჯურღმულში; და ვეღარ მოგხიბლავს დიდებულად მორთული სახლი.

გაიხსენე ქრისტე, გაშიშვლებული და შეურაცხ სამოსში შემოსილი და შენთვის ბრწყინვალე სამოსი არასასურველი იქნება.

გაიხსენე ძმარი და ნაღველი, რომლებიც იგემა ქრისტემ და შენ არ მოისურვებ უხვ ლხინსა და დროსტარებას.

გაიხსენე ქრისტე, რომლის „მუხლნი მოუძლურდეს მარხვისაგან, და ხორცნი იცვალნეს ზეთისა მიერ“ (ფს. 108, 24) –

და მარხვა შენთვის ტკბილი და უხვ ლხინზე მასაზრდოებელი იქნება.

გაიხსენე ქრისტე, რომელმაც სისხლი დაღვარა მათთვისაც კი, ვინც მის სისხლს ღვრიდა; გაიხსენე ის, რომელმაც ჯვრიდან აღავლინა ლოცვა მათთვის, ვინც ჯვარს აცვა იგი; და შენ აღარ იფიქრებ მტრისადმი შურისძიებაზე, არამედ სულგრძელად აპატიებ მათ.

გაიხსენე უფალი, რომელიც მკვდრეთით აღდგომის შემდეგ დიდებით ავიდა ზეცას მეორმოცე დღეს და რომელიც ზის მარჯვენით მამისა; გაიხსენე მის მიერ ნათქვამი აღთქმა: „უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, მე შემომიდეგინ; და სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს. და უკუეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, პატივ-სცეს მას მამამან ჩემმან“ (ინ. 12, 26) და შენ იესოსთვის მსახურება კეთილად (მთ. 11 30) და ტკბილად მოგეჩვენება.

სადაც მე ვარ, – ამბობს ქრისტე, იქ იქნება მსახური ჩემი. სად არის ქრისტე? – ზეცაში. ამგვარად, ჩვენც სულითა და გონებით გადავსახლდეთ იქ აღდგომამდე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

მადლი

მადლი – ესაა ღმერთი, შეგრძნებადი და ხილული გულში და გუილთ.

მადლი – ეს არის უფლის ყოფნა ჩვენში. განა მათემატიკური ჭეშმარიტების ქვლაზე ბრწყინვალე დამტკიცება როგორ შეედრება მადლის ქმედების სიამკარავეს, როდესაც ადამიანის გული ღიაა მისთვის.

მადლი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში იგივეა, რაც ფიზიკურ ცხოვრებაში სუნთქვა. ადამიანი სუნთქვის გარეშე სხ-

ეულით მკვდარია, ქრისტიანიც მადლის გარეშე ქრისტიანი არაა (რომ. 8. 9), სულით მკვდარია (ეფ. 2, 1).

✝მადლი ჩვენთვის იგივეა, რც მზე – მიწისთვის; ის ჩვენ გვანათლებს, გვათბობს და გვაცოცხლებს.

✝როგორც ყველაზე ჯანმრთელ თვალს არ ძალუძს, ხედავდეს, თუ რაიმე სხივით არ არის განათებული: ასევე ადამიანი, რაც არ უნდა გარეგნულად პატიოსანი იყოს, ვერ შეძლებს, ღვთის მადლის გარეშე ცხოვრება სათნოდ განვლოს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

✝ის ქრისტიანები, რომლებსაც სურთ, კეთილმოქმედნი იყვნენ, მაგრამ არ ცდილობენ სულიწმიდის მადლის მოხვეჭას, უდიდეს ცდომილებაში იმყოფებიან. ისინი ქვაზე თესენ, წყალზე ხნავენ, სურთ ფრთების გარეშე ფრენა, ჰაერის გარეშე კი – სუნთქვა.

✝რაც ხომალდისთვისაა გამოცდილი ბოცმანი, იგივეა სულიწმიდა ადამიანიებისათვის – სულიერი ცხოვრების ოკეანეში მოგზაურობისას, რომელიც ხიფათითაა აღსავსე.

✝როგორც ქარწაღებული ხომალდი ქანაობს აქეთ-იქით ქარიშხლის ნებაზე, ასვე სულიც, რომელიც ღვთის მადლს მოკლებულია, მუდმივად ცოდვისგან იმართება, რომელიც მას იქით კი არ მიაქანებს, საითაც თავად სურს, არამედ იქით – სადაც დემონს უნდა.

✝ქრისტიანობაში ყველაფერი მადლითაა და არაფერია მადლის გარეშე. დაე, ყოველი ჩვენგანი ზრუნავდეს, რომ მოიხვეჭოს მადლი.

✝ღვთის მადლი თავისთავად მაცხოვნებელია, მაგრამ ის არ გვაცხოვნებს ჩვენი მცდელობის გარეშე.

ღვთის მადლი მხოლოდ მათ აცხოვნებს, ვისაც სურს და არა – მათ, ვისაც ეს არ სურს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

მან, ვინც ჩვენს გარეშე შეგვქმნა, ჩვენი ცხონება ჩვენი ნების გარეშე არ განსაზღვრა.

უფალი ძალას არ ატანს მას, ვისაც არ სურს, იგი მხოლოდ მსურველებს იზიდავს.

უფალი ისე არ მოქმედებს, რომ ადამიანებს საკუთარი სურვილის გარეშე სწამდეთ, რაც შეუძლებელია; არამედ ისე აკეთებს, რომ მათ მოისურვონ, რომ სწამდეთ.

მიწა არაფერს აღმოაცენებს წვიმის გარეშე, და მიწის გარეშე წვიმაც უსარგებლოა; სწორედ ასევე მადლი არ მოქმედებს თავად ადამიანის თანამონაწილეობის გარეშე, არც ადამიანის ნება – მადლის თანამონაწილეობის გარეშე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ღვთაებრივი მადლი და ადამიანის ძალისხმევა ერთად უნდა მოქმედებდეს. მი-

წას მხოლოდ მაშინ გამოაქვს ნაყოფი, როცა უფალი აკურთხებს, ჩვენ კი ვშრომობთ.

✝უფალი კი არ შრომობს ჩვენს მაგივრად, არამედ – მხოლოდ გვეხმარება.

✝მადლი არ განაქარვებს სიძნელეებს, არამედ – გვეხმარება მათ გადალახვაში.

✝როგორც კი ჩვენ დავიწყებთ, ღმერთიც ჩვენთან ერთად დაიწყებს ჩვენი ცხონების საქმეს.

✝უფალი ღმერთი ხელს გიწვდის: გაუწოდე შენიც *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝როგორც ის წყარო, რომელიც განუწყვეტლივ გამოადინებს სუფთა ნაკადულებს და უხვ დინებებს, არასდროს უკრძალავს მსურველს, დატკბეს წმიდა წყლის ძღვენით, ასევე ღვთაებრივი მადლიც ღიაა ყველასთვის, რათა ყველა დატკბეს ისე – ვისაც რამდენად სურს *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✝ლოცვა არის გაშლილი ხელი ღვთის მადლის მისაღებად.

მზე თავისი სინათლით არ აღწევს ყვავილში, თუ მისი ბუტკო დახშულია; ასევე მადლიც ვერ განანათლებს სულს, თუკი იგი არ გაიხსნა ლოცვაში.

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, შორს ვიყოთ ღვთის სულისგან, ღვთის სულს კი არ შეუძლია ჩვენგან შორს იყოს.

როგორც მაგნიტი ყველაფერს კი არ იზიდავს, რასაც უახლოვდება, არამედ — მხოლოდ რკინას, ასევე უფალი, თუმცა ყველას უახლოვდება, მაგრამ მხოლოდ იმათ იზიდავს, ვისაც ეს შეუძლია და რაღაც ნათესაობას გრძნობენ მასთან (ანუ საკუთარი ნებისა და გრძნობების თანხმობას უფალთან, რომელსაც ყველას ცხონება სურს).

უწმიდურ სარკეში შეუძლებელია საკუთარი გამოსახულების მიღება; ასევე სულსაც. რომელიც დაკავებულია ცხოვრებისეული საზრუნავით და ხორციელი ვნებებითაა დაბნელებული, არ შეუძლია, მიიღოს

სულიწმიდისეული განათლება *(წმიდა ბასილი დიდი)*.

თუმცა სულიწმიდა ერთია, მისი ძღვენი თანაბარი არაა, ვინაიდან სულიწმიდის მიმღებნი თანაბარნი არ არიან *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

სულიწმიდის ნიჭთა სხვადასხვაობა დამოკიდებულია მის მიმღებ პირთა გონებრივი და ზნეობრივი ძალების განსხვავებაზე.

როგორც წვიმა, რომელიც მიწაზე იღვრება, მცენარეებს მათთვის დამახასიათებელ თვისებებს ანიჭებს: ტკბილს – სიტკბოს, მკვრივს –სიმკვრივეს, ასევე მადლიც, რომელიც მორწმუნეთა გულებში იღვრება, მათ სათნოებათა შესაბამის მადლს ანიჭებს, ისე რომ თავად არ იცვლება *(წმიდა მარკოზ მოღვაწე)*.

მადლს, თუკი სურს, შეუძლია მოძღვრები – წინასწარმეტყველთა, მეთევზეები კი – მოციქულთა ხარისხში აიყვანოს.

❦უფალი უხვად გვანიჭებს მადლს, მაგრამ ამაოდ არ ფანტავს მას.

❦როგორც, ღვთის საზომის მიხედვით იზომება ჩვენი ცხოვრების საზომი – ასევე, ცხოვრების საზომის მიხედვით, იზომება ღვთის საზომიც (მადლის ნიჭების მიხედვით) *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).*

❦რა ზომის სარწმუნოებითაც აღვასრულებთ ღვთის მცნებებს, სულიწმიდა თავის ნაყოფს იმდენად აღმოაცენებს ჩვენში *(წმიდა მარკოზ მოსავრე).*

❦მადლი არის უფლის ტალანტი, რომელიც ერთგულ და გულმოდგინე მონას ამდიდრებს, ორგულ და ზარმაცს კი დასჯის და განეშორება.

❦როგორც ღვთის გულმოწყალებას ახასიათებს, ჩვენთვის, ულირსთათვისაც განაცხადოს თავისი მადლის საუნჯე ჩვენი სინანულისა და გამოსწორების მოლოდინში, სწორედ ასევე მის მართლმსაჯულებას ახასიათებს, წაართვას ადამიანს ღვთაებრივი

ნიჭი, რომელიც დაუდევრობით არის შეურაცხყოფილი და დასაჯოს უმადურობა.

მარტო ის კი არ არის დამღუპველი, რომ ღვთის საქმე არ აკეთო, არამედ – მისი დაუდევრად კეთებაც (იერ. 48, 10).

როგორც ცეცხლი ითხოვს შეშას, ასევე მადლიც – ჩვენს გულმოდგინებას, რათა აგიზგიზდეს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

„სულსა ნუ დაივიწყებთ“ (1 სოლ. 5, 19)! – ამბობს მოციქული და ამით გვიჩვენებს, რომ ისევე, როგორც ჩვეულებრივი ცეცხლი ქრება, თუ მას საწვავს არ დაამატებენ, და მით უფრო ჩქარა ჩაქრება, როცა წყალს დაასხამენ. – ჩვენს სულშიც მადლის ცეცხლი აუცილებლად შემცირდება წმიდა აზრების, წმიდა შეგრძნებების, ღვთივსათნო განზრახვებისა და საქმეების შემცირებისას, და კიდევ უფრო მალე ჩაქრება, როცა სულს იმით ამოვივსებთ, რაც სიწმიდისთვის საძაგელია.

მადლი, როგორც კი ნახავს, რომ ადამიანის გონებაში ეჭვი ჩნდება და იგი თავს აღიმაღლებს, მაშინვე უშვებს, რომ მის წინააღმდეგ გაძლიერდეს და განმტკიცდეს განსაცდელები, ვიდრე არ შეიცნობს იგი თავის უძლურებას და სიმდაბლით არ მიექცევა უფალს *(წმიდა ისააკ ასური)*.

ვისაც თავის თავში ღვთის მადლის შენარჩუნება სურს, დაე, იყოს მადლიერი ამ მადლისათვის, როცა ეძლევა, ხოლო მომთმენი, – როცა ერთმევა იგი; დაე, ილოცოს, რათა დაუბრუნდეს იგი, დაე, საკუთარ თავს დაუკვირდეს და დამდაბლდეს, რათა არ დაკარგოს იგი.

მადლის დაკარგვა ყველა დანაკარგზე საშინელია: არაფერია იმაზე დიდი უბედურება, ვიდრე იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელმაც დაკარგა მადლი. ცოტას თუ დაუბრუნებია იგი უდიდესი ღვაწლით. განუწყვეტლივ უნდა ვიფხიზლოთ, რათა დავ-

იცვათ იგი. ის გვეძლევა მხოლოდდამხოლოდ ღვთის გულმოწყალებით, მაგრამ მის დასაცავად პირადი ძალისხმევაა საჭირო.

მადლის ნუგეში ზოგჯერ იმათაც მოაკლდება, ვინც სათნოებით აღსავსე, თუნდაც მოსაგრე ცხოვრებას ეწევა. მაგრამ ეს არ არის მადლის დაკარგვა და ამიტომ ამან არ უნდა შეგვაწუხოს. მადლი არასდროს ტოვებს მორწმუნეს, არამედ იფარება და ადგილს მისდამი რწმენისა და მოთმინების უმაღლეს ღვაწლს უთმობს.

უფალი ყოველგვარ ვითარებაში ადამიანებთანაა და ხედავს თავისი ერთგული მონების უბედურებებს, მაგრამ ზოგჯერ განეშორება კიდეც მათ, რათა უფრო მეტი სიუხვით დააჯილდოვოს გამოცდაგავლილი ღვთისმოსაობა. მშობლებიც ხშირად ასევე, გონების განვითარებისა და გამოცდილების მისაღებად, შვილებს უცხო ქვეყნებში აგზავნიან. წმიდა ანტონი დიდი, რომელსაც ბოროტი სულები სცდიდნენ და აწვა-

ლებდნენ, ტანჯვა-წამებისას იესო ქრისტეს ვერ ხედავდა. შემდეგ, როდესაც იხილა იგი, წყენით შესძახა: „სად იყავი, უფალო ჩემო, სად იყავი?“ – „მე აქ ვიყავი და შენს მამაცობასა და მოთმინებას ვუცქერდი.“ – იყო მაცხოვრის პასუხი.

რწმენა, რელიგია, ქრისტიანობა

Ასე არაფერი სჭირდება ადამიანს, როგორც რწმენა. მასზეა დამოკიდებული არა მხოლოდ მომავალი ცხოვრების ნეტარება, არამედ – კეთილდღეობა დღევანდელი ცხოვრებაში, და არა მხოლოდ ყოველი ჩვენთაგანის კეთილდღეობა, არამედ – მთელი საზოგადოებისა.

Ურწმუნოება გვიკარგავს ჩვეი დღევანდელი ჩვენი რაოდენობის ნახევარს და ამით ხელიდან მიგვდის მიწა-წყალი, ნიადაგი,

ტერიტორია. ამითი სუსტდება, ქრება, ისპობა ჩვენი ენა, დნება, ილევა და საბოლოოდ ნადგურდება ჩვენი თავისებურობა, სასურველი გავლენა სხვებზე და საკუთარი ღირსების შეგნება *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე).*

ადამიანი რწმენის გარეშე უსაჭო ხომალდს ჰგავს, რომელსაც ზღვის ტალღები მიაქანებს.

წმიდა პეტრე მტკიცედ მიაბიჯებდა ზღვის ტალღებზე, ვიდრე მხოლოდ იესო ქრისტეს უცქერდა. მაგრამ ჩაძირვა დაიწყო, როგორც კი ქარიშხალსა და აზვირთებულ ტალღებზე გაიფიქრა და ღმერთაცისადმი რწმენაში შესუსტება იწყო. (მთ. 14, 29-31).

ღუზა – ესაა ხომალდის იმედი ზღვაზე; რწმენა – ესაა ღუზა ადამიანისათვის მიწაზე (ებრ. 6, 19).

რაოდენ დიდებული მადლია რწმენა! მაშინაც გადაგვარჩენს, როცა გამოუვალ მდგომარეობაში ვვარდებით, სიკვდილი გვე-

მუქრება, უსასო გარემოებაში ვიმყოფებით *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

რწმენა იმასაც ღებულობს, რის ნატვრასაც კი ვერ გაბედავდა ადამიანი, როგორც ეს ჯვარცმული კეთილგონიერი ავაზაკის მაგალითმა გვიჩვენა *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

რწმენა – სულია ხალხისა. როცა ის ქრება, ხალხი უკვე უსულო გვამად გადაიქცევა, რომელიც სწრაფად იხრწნება.

მამებო, ძმებო და ჩემო სულიერო შვილებო! ჩვენი სულიერი და ხორციელი არსებობის სიმაღლე და სიმდაბლე, სიკეთე და სიდუხჭირე, ნათელმოსილება და სიბნელე, ნაძრახობა და ქებულობა დამოკიდებულია ჩვენს მორწმუნეობაზე. თუ ქალი და კაცი განმსჭვალული ვიქნებით ცხოვრებაში ქრისტეს სიყვარულით და მისი მოძღვრების შეგნებით, თუ მთელი ჩვენი საზოგადოება გაღვივებული იქნება სახარების შინაარსით, ჩვენი მოქალაქეობაც,

ჩვენი ცხოვრებაც გაშუქებული იქნება ერთი-მეორის სიყვარულით, ურთიერთისადმი ლმობიერებით, მაღალი ზნეობით, შეგნება-განათლებით, შრომა-გამრჯელობით; ჩვენს ცხოვრებაში გახშირდებიან წმ. ევსტათის მსგავსი სულიერი გმირები, მტკიცე აზრის კაცები და ვერავითარი ძალმომრეობა ვერავითარი უსამართლობა, ვერავითარი დევნა და შევიწროება ვერაფერს გვავნებს ვერც სულიერად და ვერც ხორციელად *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე)*.

სახელმწიფოთა ისტორიაში ყველა დიდებული ეპოქა, ამავე დროს, რელიგიის აყვავების პერიოდები იყო (შესაბამისად, რწმენისა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია რელიგია) და ამ უკანასკნელის დაცემა უეჭველად იწვევდა ხალხების სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაცემასა და გახრწნასაც.

რას უნდა ელოდონ ის ადამიანები, ვინც ვნებებს ყველაზე მტკიცე აღვირს –

წმიდა სარწმუნოების წესებს აშორებენ?!

✝სადაც რწმენა არ არის, იქ არც კეთილი საქმეებია, იმიტომ, რომ განზრახვა, უწინარეს ყოვლისა, საქმეს კეთილად აქცევს, კეთილი განზრახვა კი რწმენიდან მომდინარეობს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

✝ყველაზე უპირველესი და ყველაზე უმაღლესი ქართველი ხალხისათვის იყო სარწმუნოება. სარწმუნოებისა და ეკლესიის დაცვა-შენახვა იყო უმთავრესი საგანი გარეშე მტერთან განუწყვეტელი ბრძოლისა. ყოველშემთხვევაში ქართველი ერი მუდამ მზადა ყოფილა განეწირა თავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესთვის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მთლად ქრისტიანობის გულისთვის. წმ. სარწმუნოებისათვის თავი დასდვეს და ეწამნენ ყოველი წოდების წარმომადგენელნი: მეფენი და თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი, მოვაჭრენი და გლეხნი, სარწმუნოების სიყვარულისა და ერთგულების გამო გადაულახავთ ქართ-

ველებს მრავალი განუვალი უფსკრულები, გასულან დიდრონსა და საშიშ მდინარეებს, ასულან მაღალ და მიუვალ მწვერვალებზე, დაუპყრიათ და დაურღვევიათ უძლეველნი სიმაგრენი, დაუთმენიათ მრავალი შიმშილი, წყურვილი, სიცივე და ასე თავიანთ სამშობლო ეკლესიისა და საყვარელი მამულისათვის აუცილებიათ განსაცდელი.

ზეთის გარეშე კანდელი ვერ აინთება, რწმენის გარეშეც ვერავინ მოიპოვებს კეთილ აზრებს *(წმიდა ეფრემ ასური)*.

განა შესაძლებელია ადამიანური საზოგადოებისა და სამართლიანობის რაიმე იდეის არსებობა, თუკი შეწყდება ღვთისმოსაური დამოკიდებულება უფალთან მიმართებაში *(ციცერონი)?*

კანონები თავიანთ მაღალ გარანტიას (დაცვას) ჰპოვებენ რელიგიაში.

რა არის სახელმწიფო სამართლიანობის გარეშე (რომლის საფუძველიც რე-

ლიგიაში მდგომარეობს), თუ არა – ყაჩაღთა დიდი ბანდა? *(ნეტარი ავგუსტინე).*

✓ადამიანთა ერთობა – ღვთისა და სულის უკვდავებისადმი რწმენის გარეშე – ესაა თითქოსდა იმ ველური მხეცების ხროვაა, რომელიც თუმცა გონება მიეცათ, მაგრამ ყოველთვის მზად არიან, ტანჯონ და შემუსრონ ერთმანეთი.

✓ჩვენი არსებობის სიმტკიცე, ჩვენი ცხოვრების ზღუდე, ჩვენი მოქალაქეობის თავდები სარწმუნოებაა და თუ ამ ზღუდეს შემოვიძარცვამთ, თუ ამ გალავანს დავარღვევთ და დავანგრევთ, წინდაწინ უნდა ვიცოდეთ, რომ დაუნდობელ-გაუკითხავი ქვეყნის ქარტეხილი ბუმბულსავით შეგვატრიალებს ჰაერში და გადაგვტყორცნის უფსკრულში *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე).*

✓ყაჩაღთა ბანდის წევრებიც კი საერთო საქმის წარმატებისათვის ერთმანეთს ფიცით ეკვრებიან. სწორედ ასევე საჭიროა

რელიგია ადამიანთა საზოგადოების სიმტკიცისათვის!

ვისაც ღვთისადმი რწმენა არა აქვს, ის ადამიანებს შორის არანაირ რწმენას არ იმსახურებს.

იმითია ქრისტიანობა ძვირფასი და სათაყვანო, რომ იგი მარტო გონებით არაა შესათვისებელი, რომ სრულებით არ კმარა მხოლოდ შესწავლა და გაზეპირება მისი; არა, იგი ცხოვრების, მოქმედების მოძღვრებაა და აუცილებლად მის ყალიბზედ უნდა ჩამოესხას ჩვენი ცხოვრება, ეს მოძღვრება სარჩულად უნდა ედოს ჩვენს ყოფა-ქცევას, ჩვენს მოქმედებას, ჩვენს მოქალაქეობას, გრძნობა-აზროვნებას; მისი ელფერი, მისი ბეჭედი უნდა ეტყობოდეს ქრისტეანის საქციელს, – სასიხარულო იქნება იგი საქციელი თუ სამწუხარო, საოჯახო თუ საზოგადო, სასულიერო თუ სახორციელო *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე)*.

რამდენად გულგაციებულია ჩვენი საზოგადოება ქრისტიანობაზე, ეს გვიჩვენა ჩვენმა მახლობელმა წარსულმა. ამ რვაცხრა წლის წინათ საკმარისი იყო მთელი სოფლისთვის ებრძანებინა იქვე გაზრდილს და უსწავლელ ბიჭს „ცეცხლში ჩაყარეთ წმ. ხატები, საქონელი შედენეთ თქვენს ეკლესიაში, აღარ გაბედოთ ქრისტეს ხსენებაო,“ რომ ქალსა და კაცს სიტყვის შეუბრუნებლად აესრულებინა ასეთი უმზგავსობა! არ ვუფრთხილდებით საუნჯესავით სარწმუნოებას, არ ვვარჯიშობთ, რომ გავიღრმავოთ და გავიფართოვოთ სარწმუნოებრივი გრძნობა *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე)*.

წმიდა რწმენა ზეცაში გახსნილი გზაა არა მხოლოდ მარადიული ცხოვრებასთან მიმართებაში, არამედ – დროებით ცხოვრებაშიც.

სხვა რა აქვს ადამიანს, თუ მას ღვთისა და სულის უკვდავების რწმენა არ გააჩნია? – არაფერი, ნამდვილად არაფერი.

✗რელიგია დედის წიაღია, საიდანაც გამოვიდა კაცობრიობის მთელი სულიერი ცხოვრება; კაცთა მოდგმის მთელი მაღალი კულტურა რელიგიის შვილია.

✗უმაღლეს ცივილიზაციას ვერაფრით შეიტანენ ხალხთა წიაღში, თუ იგი უმაღლეს რელიგიას არ შეესაბამება. აქედან სრულიად საფუძვლიანად, საყოველთაო აღიარებით, გამომდინარობს, რომ ველურ ხალხებში ცივილიზირებულ საშუალებათა შორის პირველი ადგილი ქრისტიანულ მისიონერულ მოღვაწეობას მიეკუთვნება.

✗ყველა იმ რელიგიას შორის, რომლებიც დედამიწაზე არსებობს, მხოლოდ ქრისტიანობაა ჭეშმარიტი რელიგია და ამიტომ მხოლოდ ქრისტიანობას ძალუძს, მიანიჭოს ცალკეულ ადამიანს და მთელ კაცობრობას სიკეთე და ბედნიერება – ზეციური და მიწიერი.

✗შეიტანეთ კაცობრიობის ცხორებაში ყველა ქრისტიანული საწყისი, განდევნეთ

მისგან ყოველივე ის, რასაც კრძალავს ქრისტიანობა და მაშინ დედამიწაზე სამოთხე განიღება.

ქრისტიანული რელიგია – საოცრად სასწაულებრივი მოვლენაა; იგი, როგორც ჩანს, თავის საგნად მხოლოდ მომავალი ცხოვრების ნეტარებას ისახავს, მაგრამ, ამავე დროს, ახლანდელი ცხოვრების ბედნიერებასაც ქმნის.

არქიმედე მოითხოვდა, მიეცათ მისთვის საყრდენი წერტილი და სამყაროს ამოაბრუნებდა. იესო ქრისტემ დაადგინა ასეთი წერტილი და მისი მეშვეობით განაახლა მიწის პირი. ესაა რწმენა, რომლის შესახებაც თავად ამბობდა: ვისაც ექნება მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა, მთების გადაადგილებას შეძლებს (მთ. 17, 20).

ორფეოსი, პოეტთა მტკიცებით, ვეფხვებს სიმღერით ათვინიერებდა. მაგრამ ქრისტიანთა ღმერთმა, რომელმაც ადამიანებს ჭეშმარიტი რელიგიისკენ მოუწოდა, შუ-

დარებლად მეტი გააკეთა: მან მოათვინიერა ყველაზე მოუთვინიერებელი ცხოველი – ადამიანი *(წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი)*.

ერთი ხუცესი (ალექსანდრიის სიახლოვეს) იმყოფებოდა ურწმუნოთა გარემოცვაში, რომლებიც არა მხოლოდ ბოროტსიტყვაობას დასჯერდნენ, არამედ უკვე ფიზიკურ შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ. როდესაც დაცინვით ეკითხებოდნენ: რა გაგიკეთათ ასეთი არაჩვეულებრივი ქრისტემ? მან უპასუხა: „ის, რომ მე არ ალმაშფოთებს და შეურაცხმყოფს არც ეს და არც ამაზე უმეტესი წყენა, რომელსაც მომაყენებთ“.

ფილოსოფიაც თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით მიისწრაფოდა ზნეობრივი ადამიანის სრულყოფისაკენ, მაგრამ მისმა მისწრაფებამ მიზანს ვერ მიაღწია და ვერც ვერასდროს მიაღწევს, ვინაიდან ფილოსოფია თავისი ზნეობრიობის წესების ვერანაირ გარანტიას ვერ იძლევა: ის

სიყვარულის, მოთმინების და სხვა სათნოებათა ღვაწლისათვის არ გვიჩვენებს და არ გვანიჭებს იმ გვირგვინებს, როგორსაც მოიპოვებს რელიგიის ჭეშმარიტი აღმსარებელი, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრების მწუხარებებშიც იგემებს მომავალ, ნეტარ ცხოვრებას, მას რომ ელის.

მოითმინე – გვასწვლის ფილოსოფია, ქრისტიანობა კი ამატებს: და იმედი იქონიე.

ადამიანი, რომელსაც არ სწამს ღმერთი და მომავალი ცხოვრება, ვერასდროს იქნება ისეთი მორჩილი და მამაცი, როგორიც ის, ვისაც ეს რწმენა აქვს.

უეჭველია, კაცობრიობა ვერასდროს შეძლებდა, ეცხოვრა ისე, რომ არ ჰქონოდა გაგება ღვთის, სულის უკვდავებისა და მომავალი ცხოვრების სამსჯავროს შესახებ: მაგრამ ქრისტიანობის გარეშე ამ ჭეშმარიტებათა შესახებ ცნებები განუსაზღვრელი, არამყარი, არასრული იყო ვნებათა

დამანგრეველი ზემოქმედების გამო, ვინაიდან მათგან არაფრით იყო დაცული და ისინი ნელ-ნელა ყველაფერს თავისებურად გარდაქმნიდნენ. ამ ცნებებს იგივე დაემართა, რაც გლავკის ქანდაკებას, რომლის შესახებაც პლუტარქე გვიამბობს, რომ ზღვის ნაპირზე მდგარი ტალღებმა ისე გამოხრა, რომ გამოსახულება აღარც კი ეტყობოდა და რაღაც უსახურ ქვას დაემსგავსა.

✤რელიგიური ჭეშმარიტება და ზნეობრიობა ერთი ნათლის სხივებია: სადაც პირველი ცდომილებასთან არის შერწყმული, იქ მეორეც უწმიდურია.

✤ქრისტიანულ სწავლებაზე მაღალი და წმიდა არ არის და არც შეიძლება რაიმე იყოს დედამიწაზე.

✤რაოდენი სიდიადეა ქრისტიანულ რელიგიაში! აი, მისი არსს უმოკლესი გადმოცემა: დროის დასაბამამდე სიტყვა იყო ღმერთთან: დროის დასაბამს სიტყვამ შე-

ქმნა სამყარო; დროთა განმავლობაში სიტყვა განკაცდა ჩვენი ცხონებისათვის, უკანასკნელ უამს განკაცებული სიტყვა, ღმერთკაცი, იესო ქრისტე განსჯის ადამიანებს, და დარჩება ისევე, როგორც სამყაროს შექმნამდე იყო – მარადისობა.

უბრალო ქრისტიანი (რომელსაც არანაირი განათლება არ მიუღია), რომელიც წმიდა სარწმუნოებრივ დოგმატებში განისწავლა, სიბრძნით ბევრად აღემატება პლატონსა და არისტოტლეს და სხვა წარმართ ბრძნებსაც კი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ქრისტიანობის წიაღში ჩვილებმა მეტი იციან ღმერთისა და მარადიული ცხოვრების შესახებ, ვიდრე – ძველი სამყაროს უდიდესმა ბრძენმა ადამიანებმა.

ქრისტიანმა იცის და ამტკიცებს იქ, სადაც ფილოსოფოსი ვარაუდობს და ეჭვობს.

ქრისტიანული რელიგია ანათლებს ადამიანს, ანათებს მის გონებრივ ჰორიზონტს,

ამაღლებს მისი ცოდნის დონეს, მაგრამ იგი ყველაფერს არ უცხადებს მის მიმდევარს. მისი სწავლება აღსავსეა საიდუმლოებებით, რომლებსაც ადამიანის გონება ვერ ჩაწვდება და მხოლოდ რწმენით მიიღება.

მაღალი მთები მაყურებლის მზერას ზღუდავს; მაგრამ ამ მაღლობებს მიღმა, გადაიშლება შესანიშნავი მიდამო, ახალი სფერო, რომელზეც წარმოსახვა თავის სწრაფი ფრთებით დაქრის. ადამიანური გონების ჰორიზონტიც შეზღუდულია რწმენის სიმაღლეებით, რომელთა გამოც იწრიტება ყოველგვარი ცოდნა, სუსტდება ყველაზე გამჭრიახი აზრები: მაგრამ ეს რწმენა გვიცხადებს ჩვენთვის განუზომელ სიშორეებს, სადაც იწყება გულისათვის დაუსრულებელი რამ. რწმენის (ქრისტიანული რელიგიის) უსასრულო სფერო.

მზის კაშკაშა სინათლე საგნებს ხილულსა და ნათელს ხდის; პირიქით, ბრწყ-

ინვალე ვარსკვლავებს ფარავს და მიწიერ მანათობლებს ჩრდილავს. ეს უკანასკნელნი მართლაც ქრებიან და მათი ცეცხლი, მზის მეტისმეტი აშკარა სინათლისაგან, ჩრდილსაც კი იკეთებს და კვამლი გვგონია. მაგრამ ასე არ ხდება ზეცის ვარსკვლავების შემთხვევაში: ისინი არასდროს კარგავენ სინათლეს და როდესაც ჩვენ მათ ვერ ვხედავთ, ღამის სიბნელეში სხვებს უნათებენ. განა აქ ღვთაებრივი გამოცხადების სახე არ ჩანს? იგი ჩვენი გონებისა და გულისთვის გაურკვეველ საგნებს განანათლებს, მაგრამ მისი სინათლის წინაშე ფერმკრთალდება ჩვენი ამპარტავნული ცოდნა და ჩრდილსაც კი ვერ გამოსცემს. ღვთაებრივი გამოცხადებისასაც შორეული ვარსკვლავებია, რომლებიც ჩვენი გონების თვალისაგან დაფარულია. ესაა იდუმალი, უმაღლესი ჭეშმარიტებები, რომლებიც ჩვენი გონებრივი მზერისათვის მიუწვდომელია, მაგრამ ხილულნი ხდებიან რწმენის სფერ-

ოში – გულის თვალით. გამოცხადების საიდუმლო არანაკლებ აღაფრთოვანებს მორწმუნის გულს, ვიდრე – ვარსკვლავებიანი ცა.

ფილოსოფოსები თავს ესხმიან გამოცხადების საიდუმლოს, მაშინ როცა ასეთი რამ ფილოსოფიაში უფრო მეტია. გონების პირველი საფეხურები ნათელია, შემდეგ, რაც უფრო მაღლა ავდივართ, უფრო ბნელდება და ბოლოს სრულებით კარგავს ნათელს. გონება ამ შემთხვევაში შეიძლება – საჰაერო ბურთს შევადაროთ, რომლითაც რაც უფრო მაღლა ავდივართ, მცირდება ნათელი და იზრდება ბნელი.

ფიზიკურ სამყაროშიც, რომელიც ღმერთმა თვალწინ გადაგვიშალა, ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით საიდუმლოებებს. ხშირად არ გვესმის, რასაც ვხედავთ, არც ის, რასაც ვეხებით. ეჭვი არ გვეპარება ბუნებრივი საგნების არსებობაში, მაგრამ არ ვიცით, როგორ არსებობენ ისინი.

რელიგიური საიდუმლოებებისადმი შიში ნიშნავს, გეშინოდეს საკუთარი ჩრდილისა; ვინაიდან საიდუმლოებები ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაგვყვებიან, როგორც საკუთარი ჩრდილები.

გარშემო და ჩვენს სიახლოვეს უამრავი ნივთი და საგანია, რომელთათვის ყოველთვის ბავშვები ვართ.

ისიც კი, რისი ცოდნაც მოგეცა, შენს გონებაზე მაღლაა.

თვით ადამიანი საკუთარი თავისათვის უდიდესი საიდუმლოა.

ურწმუნოთა მხრიდან ყოვლგვარ შესაძლო უარყოფას შორის, ყველაზე უსუსური ისაა, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ მისი გაგება არ ძალგიძს.

თუ იმას ვერ წვდები, რაც შენს ქვემოთ იმყოფება, როგორ მიწვდები იმას, რაც შენზე მაღლაა?!

განა გასაოცარია, რომ იქ, სადაც ღმერთი საუბრობს, ზოგჯერ ადამიანური ცნო-

ბიერება არ კმარა?! რაოდენ ხშირია, რომ ბავშვს არ ესმის სრულყოფილად ის, რასაც მას სრულწლოვანი ეუბნება.

ღმერთს ძალუძს, შექმნას ისიც კი, რაც ადამიანისათვის წარმოუდგენელია. ასეთია – სასწაულები, ბუნების კანონებზე აღმატებული ღვთის ყოვლისშემძლეობის ქმედებები და ამიტომ ადამიანის გონებისთვის გაუგებარია, რითაც სავსეა ქრისტიანული რელიგიის ისტორია და რაც, უწინარეს ყოვლისა, საჯილდაო ქვაა რაციონალისტებისათვის, ანუ მათთვის, ვინც ნამდვილად და უეჭველად აღიარებს მხოლოდ გონებისათვის მისაწვდომს და იმას – რაც ბუნების კანონებიდან მომდინარეობს.

დავცინით წარმართს, რომელიც ბრმა რწმენით ემხობოდა კერპის წინაშე, რათა მასში დამალული ცრუპენტელას მიერ მოესმინა ჭეშმარიტება, მაგრამ განა ნაკლებად სამარცხვინოა, რომ რომელიმე „ბრძენთაბრძენი“ გააკერპებს თავის შე-

ზღუდულ გონებას და მხოლოდ ამ კერპის ბაგეთაგან სურს ჭეშმარიტების მიღება?

ადამიანების შეცნობის საქმეში რაციონალისტები ალქიმიკოსებს ჰგვანან. მათ, იმის მაგიერ, რომ მიიღონ და ისარგებლონ ჭეშმარიტებით, სურთ, გამოიმუშაონ ჭეშმარიტება, როგორც ალქიმიკოსებს სურდათ მოეპოვებინათ ოქრო სხვადასხვა ნივთიერებებისგან, და მათ მსგავსად, ლატაკდებიან ამ ახალი ფილოსოფიური ქვის ძიებაში.

სადაა სამყაროში სხვა რელიგია, რომელიც საკუთარ თავში ღვთაებრივი წარმომავლობის ასეთ აშკარა ნიშნებს შეიცავს, როგორი ქრისტიანული რელიგიაა.

ქრისტიანული რელიგია ისეთია, რომ თუ მისი დასაბამისა და გავრცელების ისტორიიდან ამოვიღებთ ან გამოვრიცხავთ ყველა სასწულებრივ ფაქტს, მიუხედავად ამისა, ის არ დაკარგავს თავის სასწაულებრივ ხასიათს და ღვთაებრივობას. „ქრისტიანობა, – ამბობს ნეტარი ავგუსტინე, –

დაფუძნებულია ან სასწაულებით, ან – სასწაულების გარეშე. სასწაულებით არის დაფუძნებული ნიშნავს, რომ ის – ჭეშმარიტი რელიგიაა, ვინაიდან მხოლოდ ერთ ღმერთს ძალუძს, როგორც ყოვლისშემძლე უფალს, ბუნების შემოქმედსა და მეუფეს, სასწაულებში გამოავლინოს თავისი ყოვლისშემძლეობა. თუ ჩვენი სარწმუნოების სასწაულებრივი დაფუძნება სასწაულთა გარეშე მოხდებოდა, იგი თავადაა ყველა სასწაულზე უდიდესი სასწაული. ვინაიდან როგორ მოხდა, რომ ისეთი საქმე, რომელიც ყოველგვარ ადამიანურ ძალას აღემატება, შეიძლებოდა აღსრულებულიყო იმგვარი ადამიანების მიერ, ასეთი საშუალებებით და ასე მალე, სრულყოფილად და საბოლოოდ“.

ქრისტიანული რელიგიის სასწაულებრივი ქმედება ადამიანური გონებისთვის მიუწვდომელია. დაე, ასე იყოს, მაგრამ, „რასაც გონება ვერ წვდება, ეს ჯერ კიდევ

არ არის რაღაც ისეთი რამ, რაც მის კანონებს ეწინააღმდეგება“.

✞განა ადამიანური შემეცნების საზღვრები უნდა იყოს ღვთის ყოვლისშემძლეობის სლვარი?

✞სასწაულები არღვევენ ბუნების კანონებს. მაგრამ – ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ მათი შემოქმედი არის არა ბუნება, არა – ბუნების კანონები, არამედ – შემოქმედი, ბუნებისა და მისი კანონების მიზეზი? თუმცა ხანდახან – თავისი მონების მეშვეობით.

✞საჭირო არაა ბუნებრივი მტკიცებულებების ძიება იმისათვის, რაც ბუნებაზე აღმატებულია, ან ამ მტკიცებულებათა უკმარობის გამო, უარყოფა და ზებუნებრივის არ აღიარება.

✞ნუ იკითხავ, ჰგავს თუ არა ბუნებას ის, რასაც ბუნების შემოქმედი ქმნის *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✞ვინც სასწაულთა შესაძლებლობას უარყოფს, იგი უარყოფს ერთი ცხოველი ღმერ-

თის და ყოვლისშემძლე შემოქმედის არსებობას.

✝რაც არ გესმის, მისით მხოლოდ გაოცება შეგიძლია, მისი უარყოფას კი ნუ გაბედავ (მთ. 8, 27).

✝ყველაფრის განმარტება არც შეიძლება და ვერც შეძლებ: ბევრი რამ მხოლოდ უნდა იწამო, ვინაიდან მხოლოდ რწმენაა.

✝გონება რწმენის გარეშე სუსტი ლერწამია, რომელიც განუწყვეტლივ მერყეობს ეჭვების ქარისგან.

✝რწმენა გონებისათვის იგივეა, რაც ტელესკოპი თვალისათვის: ტელესკოპის დახმარებით თვალი ხედავს იმას, რისი დანახვაც თავისთავად არ შეეძლო. იგი წვდება სივრცეს, რაც მისთვის ამ ხელსაწყოს გარეშე შეუძლებელი იყო. მსგავსად ამისა, რწმენაც მხოლოდ განავრცობს და განამტკიცებს გონებას; იგი გონებას ყოვლივე იმის გამოკვლევის საშუალებას აძლევს, რაც განსჯას ექვემდებარება: მაგრამ, სა-

დაც გონების ბუნებრივი ძალები უძლურია, იქ რწმენა აამაღლებს მას და უჩვენებს ახალ, ზებუნებრივ, ღვთაებრივ ჭეშმარიტებებს; იგი აძლევს მას საშუალებას, ჩაწვდეს ღვთის საიდუმლო რჩევებს.

რწმენა და ცოდნა დაპირისპირებული კი არა – ერთმანეთის შემავსებელი ძალებია, მტრები კი არა, არამედ – განუყრელი დები ტყუპები.

რწმენის დაცვა ნიშნავს გონების დაცვასაც; გონების დაცვა ნიშნავს რწმენის დაცვას.

ურწმუნოებაც ასევე მოითხოვს მიმდევართაგან მტკიცე რწმენას, ოღონდ – არა მაცხოვნებელ რწმენას, არამედ – დამღუპველს.

როგორც ხშირად ჰგონია ცრუმორწმუნეს, რომ მას სწამს, როცა სინამდვილეში არა სწამს; ასევე ურწმუნოსაც ჰგონია, ზოგჯერ, რომ არა სწამს, მაშინ როცა არსობრივად სწამს.

ურწმუნოება – ცრურწმენის ტყუპისცალია.

ცრურწმენა და ურწუნოება ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან, ათეისტებს სწამდათ ჯადოქრების, წინასწარმეტყველების; ღვთისადმი ურწმუნოებს კი ღმერთები სწამთ.

ამქვეყნად არავინაა ისეთი, ვინც ესოდენ მჩატედდმორწმუნე, როგორც – ურწმუნო *(წმიდა ირინეოსი)*.

ადამიანი იძულებულია, სწამდეს რამე. თუ არ სწამს მარადიული გონება, მაშინ უგუნურება სწამს. თუ იგი ჭეშმარიტებად არ აღიარებს ცხოველი ღმერთის, ჭეშმარიტებას, მას მკვდარი მატერიის კერპი სწამს.

რატომაა, რომ ღმერთმა, რომელმაც ადამიანი გონიერ არსებად შექმნა, არ ინება, რომ მას ესოდენ მნიშნელოვან საქმეში, როგორიც რელიგიაა, საკუთარი გონებით ეხელმძღვანელა, არამედ სარწმუნოების ხელმძღვანელს ჩააბარა იგი. ნეტარი ავგუსტინე ამბობს, რომ ღმერთმა ეს თავისი

დიდებისთვის ქმნა. როგორც ბატონი არ მოისურვებს, რომ მსახურები მის ბრძანებებს. გამოიკვლევდნენ – განსაკუთრებით საიდუმლო ან მეტად მნიშვნელოვან საქმეებში, ასევე – ღვთის დიდებულებას არ შეეფერება, რომ ადამიანს, მის ესოდენ უმნიშვნელო ქმნილებას განეხილა მისი დაფარული და მიუწვდომელი განგებულება“. მართლაც, უნდა დავეთანხმოთ მას, რომ მორჩილება, რასაც უფლის წინაშე რწმენით გამოვხატავთ, არის ხარკი, რომელიც მის უმაღლეს მეუფებას ეკუთვნის.

ამპარტავნება და უზნეობა, საკუთარი გონების მოჩვენებითი თავისუფლების დაკრგვის სურვილის არქონა და სურვილი იმისა, რომ საკუთარი თავი დაიხსნან სინდისის ქენჯნისგან – სარწმუნოების სინათლით რომ ნათდება, და ემხილება ბოროტი ნების ქმედებით – აი, ურწმუნოების ძირითადი მიზეზები.

როდესაც ინჟინრებს ალყაშემორტყმული ქალაქის გასამაგრებლად უწევთ მუშაობა, რას აკეთებენ ისინი? – უწინარეს ყოვლისა, ცდილობენ აღმართონ მიწაყრილები, რათა ამ ხელოვნურ საფარქვეშ თამამად გაუძლონ მტრის ცეცხლს და დაუბრკოლებლად აღასრულონ თავიანთი მიწისქვეშა სამუშაოები. იგივე შეიძლება ითქვას ურწმუნო კაცზეც. საფარად მას ურწმუნოება აქვს: ამ საცავს იგი იმ მიზნით აღმართავს, რომ სჯულის ისრებმა არ დააზიანონ მისი სინდისი.

უმაღლესი, წმიდა ჭეშმარიტებების მიმართ გახრწნილ ადამიანებს იგივე ემართებათ, რაც იმ ადამიანებს, რომლებიც თვალის დაავადებით იტანჯებან; ნათელს ისინი ვერ იტანენ, განსაკუთრებით – მზის სინათლეს. სიამოვნებით ამჯობინებენ ფუტურო ხის ბუუტვას, რომელიც მათ თვალში მზის შუქს აღემატება.

რწმენის საიდუმლოებები მზეს ჰგავს: საკუთარი არსებით განუჭვრეტელნი, ანათებენ და აცოცხლებელენ მათ, ვინც მის ნათელში გულის უბრალოებით იმყოფებიან. ისინი მხოლოდ იმ კადნიერ თვალს აბრმავებენ, რომელსაც მათში ჩაწვდომა სურს. წმიდა წერილის ღრმა საიდუმლოებები (როგორც საერთოდ ქრისტიანული რელიგიისა) მარგებელია: ისინი იმიტომაც არის დაფარული, რომ არ დააკნინოს ვინმე, იმისთვის გვეძლევა გამოსაძიებლად, რომ გონება გაგვივარჯიშოს და იმისთვის ცხადდება, რომ გვასაზრდოს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

საჭიროა, ყურადღებით და ხშირად ვფიქრობდეთ რწმენის წმიდა ჭეშმარიტებებზე. როგორც მზის ნათელი უმეტესად ავლენს თავის კეთილსასურველ ზეგავლენას მცენარეებზე, რაც უფრო მიემართებიან და იხსნებიან ისინი მისთვის, ასევე ღვთაებრივი სწავლება მით უფრო ანათლებს და ცხოველმყოფელობას ანიჭებს მორწ-

მუნეებს, რაც უფრო გახსნილია მათი გონება და გული მისთვის.

შესაბამისი ყურადღების გარეშე მუსიკასაც ვერ შეისწავლი, მით უფრო სულის უმოქმედობით ვერ ჩაწვდები საიდუმლო ხმას *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ხილული სამყაროს საგნების შესახებ მაშინ გვაქვს გარკვეული წარმოდგენა, როცა თავად ვაკვირდებით მათ; ისეთი სიმკვეთრითა და სიზუსტით ვერასდროს წარმოვიდგენთ საგანს სხვების მონათხრობით, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს ეს თხრობა, როგორც ამას საკუთარი დაკვირვება გვიჩვენებს. ასეთივე თვისებისაა სწორედ ჩვენი წარმოდგენა სულიერი სამყაროს შესახებ. სრულყოფილად, სრულად და ღრმად მაშინ ვწვდებით, როცა ჩვენ, ასე ვთქვათ, რწმენის გრძნობით ვეხებით მას. სულიერი საგნების შესახებ გონების შემეცნება გულით შეხების გარეშე – ყურით მოსმენილ ამბავს ჰგავს.

თუ გსურს, უჭვრეტდე საიდუმლოს, მაშ, საქმით აღასრულე მცნებები საკუთარ თავში და მათ შესახებ შემეცნებას ნუ ეძიებ *(წმიდა ისააკ ასური)*.

ღვთივგანცხადებული ჭეშმარიტების შემეცნების ხარისხი ყოველთვის ჩვენი ღვთივსათნო ცხოვრების წარმატებებს შეესაბამება.

იმისათვის, რომ ქრისტიანული სწავლების ჭეშმარიტებაში დავრწმუნდეთ, ქრისტიანული ცხოვრება უნდა დავიწყოთ, ვინაიდან ქრისტიანული ცხოვრების წესი სულში მშვიდობასა და სიხარულს დაავანებს და ადამიანს, რომელმაც იგემა ის, აღარ სურს, განშორდეს მათ და მაცხოვრის მიმართ მიისწრაფის (ინ. 7. 17).

იესო ქრისტეს ცხოვრების საუკეთესო აპოლოგია იმ ქრისტიანის ცხოვრებაა, ვისშიც იესო ქრისტე ცხოვრობს.

„შეგიძლია, ჩაიკეტო ბნელ გამოქვაბულში, – ამბობს ერთი ღვთისმეტყველი,

– შეგიძლია, აიკრა ან დაითხარო თვალები; მაგრამ მზე ყოველდღე მაინც ამოდის თავისი ჩვეული დიდებულებითა და სილამაზით". იგივე შეიძლება ითქვას უფალ იესო ქრისტესადმი რწმენის შესახებ. დაე, ადამიანებმა უარყონ იგი, დაე, დაიხშონ გული მისი მადლის მიმართ, სული – მისი ნათლის წინაშე – იგი მაინც ერთგულია თავისი აღთქმების და მეფობს საუკუნოდ მთელ ხილულსა და უხილავ სამყაროზე.

მაცხოვრმა ბრძანა მის მიერ დაფუძნებული ეკლესიის შესახებ – რომელიც იცავს და ატარებს ქრისტიანულ რელიგიას – რომ თვით „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას" (მთ. 16. 18). ქრისტეს სიტყვები არ გარდავა, თუნდაც რომ ზეცა და მიწა წარხდეს.

იესო ქრისტეს მიერ დაარსებული ეკლესია – ესაა შუქურა, რომლის საძირკველსაც ეხეთქება ტალღები, რომლებიც

ხშირად შესამჩნევ ქაფის ფენას ტოვებენ მასზე, თითქოს მათი დარტყმისგან დასანგრევადაა გამზადებული, მაგრამ მის წვერზე ცეცხლი ანთია, რომელიც არასდროს ჩაქრება, ბრწყინავს სინათლე, რომელიც არასდროს შესუსტდება.

იესოს რელიგია ურწმუნოთა მხრიდან ამჟამინდელ შეურაცხყოფებზე იზეიმებს ისე, როგორც თავისი მტრების ძველ მრისხანებაზე იზეიმა. იგი იზეიმებს დღევანდელი ცრუბრძნების კალამზე, როგორც უკვე იზეიმა ქრისტიანთა უძველესი მდევნელების ხმალზე.

„ეს ღრუბელია, ჩაივლის!“ – ასე თქვა წმიდა ათანასემ ივლიანე განდგომილის შესახებ, რომელიც, ხანმოკლე მმართველობის შემდეგ, სასტიკად რომ მტრობდა ქრისტიანებს, მოკვდა სიტყვებით: „შენ გაიმარჯვე გალილეველო“! სწორედ ეს სიტყვები (წმიდა ათანასესი) სამართლიანად შეიძლება, მივუსადაგოთ ცრუ თეორიების ყვე-

ლა სხვა ბოლო დროინდელ მცდელობას, ამოეძირკვათ კაცობრიობის რწმენა მისი ღვთაებრივი მეუფისა და მაცხოვრის მიმართ.

ვისაც შიშის, ხათრისა, სირცხვილისა, მოფერებისა ან სხვა რომელიმე გარემოების მიხედულობით ერიდება სარწმუნოებისათვის თავის გამოდება, სარწმუნოების დაცვა, ვინც შესაძლოდ სთვლის, გაჩუმდეს, მოითმინოს, ხმა არ აიმაღლოს იმ დროს, როდესაც მის სარწმუნოებას ამცირებენ, ლანძღავენ, შეურაცხჰყოფენ და გმობენ, ის უარჰყოფს მაცხოვარს წინაშე კაცთა, ის მკვდარია ღვთისთვის და საშინელი განსჯის დღეს მას უბრძანებს უფალი: „ვიცნი საქმენი შენნი; რამეთუ არცა გრილ ხარ და არცა ტფილ! არამედ ესრეთ ნელტფილ ხარ, მეგულვების აღმოგდება შენი პირისაგან ჩემისა“ (გამოცხ. 3, 5–16;) *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე).*

რწმენა და კეთილი საქმეები

რწმენა, იმისათვის რომ მაცხოვნებელი იყოს, რწმენისამებრ ცხოვრებას მოითხოვს, ვინაიდან რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია (იაკ. 2, 26). და შესაბამისად, მას არ ძალუძს, ადამიანი მარადიულ ცხოვრებამდე მიიყვანოს.

კეთილი საქმეები – რწმენის სულია; რწმენა კეთილ საქმეებთან ერთად – ცოცხალი რწმენაა.

ცოდვა და რწმენა ერთად ვერ იარსებებს: რწმენას აუცილებლად უნდა ერთვოდეს სათნოებაც.

როგორც ცეცხლის თვისებაა თბობა, წყლის – მორწყვა, ნათლის – ნათება: ასევე ცხოველ რწმენას ახასიათებს გამოვლენა კეთილ საქმეებში *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

შინაგანი რწმენა მკვდარია გარეგნული საქმეების გარეშე არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქმეთა გარეშე შეუძლებელია

მისი ცხოვრების შესახებ მსჯელობა, არამედ იმიტომაც, რომ საქმეთა გარეშე შეუძლებელია თავად მისი არსებობა, ისევე, როგორც შეუძლებელია ცოცხალმა არსებამ ჰაერის ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის გარეშე იცხოვროს.

✝რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია. ის – აზრების რწმენაა და არა – გულისა, არა – სიცოცხლისა.

✝სწორ სარწმუნოებას უკეთური ცხოვრების შემთხვევაში არანაირი სარგებლობა არ მოაქვს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝რას მოგვიტანს – გწამდეს ქრისტიანულად, იცხოვრო წარმართულად?

✝უგუნურებაა, დაეჭვდე იმ სწავლების ჭეშმარიტებაში, რომელიც ღვთისგან არის განცხადებული, ურიცხვი მოწამის სისხლით დაბეჭდილი, სასწაულებით დამტკიცებული და თვით ბოროტი სულების მიერ აღიარებული: მაგრამ უმეტესი უგუნურება

ისაა, რომ გწამდეს ამ სწავლების ჭეშმარიტება, მაგრამ ცხოვრობდე ისე, თითქოსდა იგი ჭეშმარიტება არ იყოს.

✝სიტყვით გამოთქმული რწმენა კი არ გვაცხოვნებს, არამედ – რწმენასთან შერწყმული საქმეები (იაკ. 1, 22, გალ.5, 6).

✝რწმენა საქმის გარეშე და საქმე რწმენის გარეშე თანაბრად განისჯება.

✝რწმენა მხოლოდ იმისა, რომ ღმერთი არსებობს, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი; ეშმაკებსაც სწამთ; რწმენა საქმით უნდა გავამართლოთ: სწორედ ასეთ რწმენას ითხოვს ჩვენგან ქრისტე.

✝თუ გსურს, რწმენით ცხონდე, შეიყვარე ის, ვისიც გწამს.

✝რწმენა სიყვარულის გარეშე უსიცოცხლო ხატია.

✝სიყვარულთან შეერთებული – ქრისტიანული სარწმუნოებაა, სიყვარულის გარეშე – დემონური სარწმუნოება.

✣შენი ქცევა საკუთარ რწმენას მიუსადაგე, თუ გწამს კარგად, ასევე იცხოვრე კარგად.

✣მთელი სულით და მთელი ცხოვრებით მიეცი თავი რწმენას, ისე რომ, რწმენა იყოს შენი ცხოვრების მთავარი აზრი, ხოლო მთელი შენი ცხოვრება – რწმენის გამოხატულება.

ადამიანის დამოკიდებულება უფლისადმი

✣მხოლოდ ღმერთი არსებობს თავისთვის, ჩვენ კი ყველანი ვარსებობთ ღმერთისთვის.

✣ღვთისთვის სათნოყოფა – აი, შენი ნეტარება; მასთან ერთობაში ყოფნა – აი, შენი მოწოდება, შენი ყველა ქმედების კანონი.

✠ვილაცამ ჰკითხა ამბა პიმენს: როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა? ბერმა უპასუხა: „შევხედოთ დანიელს (წინასწარეტყველს): მას გარდა ღვთისადმი მსახურებისა, სხვა ბრალდება ვერ მოუძებნეს“.

✠ყველაფერი ისე გააკეთე და ყველაფერზე ისე იფიქრე, რომ სათნოყო უფალს: და თუკი ასე არ ფიქრობ, ყოველგვარი შენი საქმე უფასურია *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✠ყოველი საქმის შესახებ, რომელსაც განიზრახავ, ნუ იკითხავ წინაწარ, იქნება თუ არა სასიამოვნო, გამოსადეგი შენთვის და საქებარი ადამიანთა წინაშე, არამედ, უწინარეს ყოვლისა გამოსცადე, იქნება თუ არა იგი უფლისთვის სათნო, ხომ არ ეწინააღმდეგება იგი ღვთის მცნებებს?

✠თავიდან პატივი მიაგოთ უფალს, ხოლო შემდეგ უკვე სხვა დანარჩენზე ვიზრუნოთ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ეძიე ის, რაც სალმრთოა და ადამიანური მეტად ადვილად მოჰყვება მას.

შენ იზრუნე ღვთისაზე და ღმერთიც იზრუნებს შენსაზე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ღმერთს ადვილად არ სწყინს და ადამიანის შრომასა და მოთმინებას აჯილდოებს; ადამიანიც ასეთივე უნდა იყოს ღმერთთან მიმართებაში – არ დაიშუროს შრომა და მოთმინება მისთვის.

ღირსი უნდა იყო იმისა, ვინც თავისი ძე გიწოდა და ისე უნდა იქცეოდე, როგორც ღვთის ძეს შეჰფერის, როცა რამის კეთებას იწყებ, გაიხსენე, რომ ღმერთს მამას უწოდებ.

ჩვენ მორჩილი შვილები გვინდა გვყავდეს, თავად კი არ გვსურს ღვთისადმი მორჩილება.

იმისათვის, რომ ღვთის ნებას მივდიოთ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ნება უნდა დაუტევოთ.

ნორჩ ხეს არზე აბამენ და ის სწორად და გამართულად იზრდება. ასევე სული, რომელმაც თავისი ნება ღვთის ნებას მიუერთა, ადის ზეცაში, უფალთან.

იმაზე უდიდესი ბოროტება არ არსებობს, ვიდრე საკუთარი ნების გატარება და არა – ღვთის ნებისამებრ ცხოვრება.

თუკი საკუთარ თავში არ გრძნობ გამუდმებულ სურვილს, აღასრულო ის, რაც უფალს ესათნოება, მაშინ ბრმაც ხარ, ყრუც, მუნჯიცა და ხელ-ფეხიც გაკლია, განრღვეულზე ბევრად უარეს მდგომარეობაში იმყოფები.

ჩვენც კი არ ვღებულობთ მეგობრების წრეში, არ ვუშვებთ ჩვენს საზოგადოებაში, ვერ ვითმენთ ჩვენს სახლში მათ, ვინც ყოველთვის ჩვენს საწინააღმდეგოდ ცხოვრობს. ასევე ღმერთიც, მით უმეტეს იგი, როგორც ყოვლადწმიდა და მართლმსაჯული, არასდროს ღებულობს თავის ზეციურ

სასუფეველში ჯიუტი ბოროტი ნების მქონე ადამიანებს.

✝ჭეშმარიტი სიხარული უფლისგან მოდის და მხოლოდ მას მიეცემა, ვინც საკუთარ თავს გამუდმებით აიძულებს, რომ თავისი ნება უარყოს და ყველაფერში ღვთის ნება აღასრულოს *(წმიდა ანტონი დიდი)*.

✝თუ გსურს, მწუხრების გარეშე იცხოვრო, ეცადე, უფალს აამო (ამბა ევაგრე).

✝რა გავაკეთოთ, რომ უფალს ვაამოთ? — ჰკითხეს წმიდა ანტონი დიდს. მან უპასუხა: „სადაც არ უნდა იყო, ყოველთვის თვალწინ გყავდეს მამაზეციერი; რა საქმითაც არ უნდა დაკავდე, ნახე, იწონებს თუ არა ამას წმიდა წერილი“.

✝რა კარგი იქნებოდა, სამყაროში გვეცხოვრა არა — საკუთარი ნებითა და აზრებით, არამედ ყოველივე უფლისგან გამოგვეთხოვა, მისივე სიტყვებით რომ ვოქვათ: მითხარი უფალო, უნდა გავაკეთო ეს

თუ არა? (გამოსვლ. 8. 19-20; მეორ. შჯ. 12. 8-32; ფს. 142, 8.).

✝ადამიანი მუდმივად ისე უნდა იყო, თითქოსდა ღვთის სამსჯავროზე დგახარ *(ამბა აღათონი)*.

✝უფლის ხსოვნა სუნთქვაზე აუცილებელია, *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✝იარე მიწაზე, მაგრამ იცხოვრე ზეცაში.

✝დროის ყოველი ის წამი დაკარგულად ჩათვალე, როცა უფალზე არ გიფიქრია.

✝ის საათები, როცა არ ფიქრობ ღმერთზე და როცა გონებასა და გულში არანაირი კეთილსხნეობრივი ფიქრი არ გიელვებს, დაკარგულად ჩათვალე შენთვის. დაფიქრდი, საყვარელო ქრისტიანო, რამდენი დრო დაგიკარგავს! ითხოვე უფლისგან პატიება წარსულისათვის და ამიერიდან კეთილგონიერად და ქრისტიანულად იცხოვრე.

✝უფალს მიუძღვენი ყოველი დღისა და ღამის ნაწილი – მადლობა ლოცვით

შესწირე მას წარსულისათვის, სთხოვე კურთხევა მომავალისა და დღის განმავლობაში იმ საათებიდან, რომლებსაც წუთისოფელი და მისი საქმენი გტაცებენ, შეძლებისდაგვარად, მიიტაცე წუთები, რათა გაიხსენო უფალი, საიდუმლოდ აღამაღლე მის წინაშე გული და აზრი, ღვთისმოსავი მადლიერებით, და თუ ამაში ყურადღებითა და მუდმივად იმეცადინებ, საკუთრ თავში აღმოაჩენ იმას, რაც ფსალმუნში წერია: „მიეწიფნეს სახუმილავთა თუალნი ჩემნი“ (ფს. 76,4).

გახსოვდეს ღმერთი, რათა მას ყოველთვის ახსოვდე შენ *(წმიდა ისააკ ასური)*.

ღმერთი არ მიგატოვებს, მაგრამ გაფრთხილდი, რომ შენ თავად არ მიატოვო იგი.

ყოველჟამს გაიხსენე ღმერთი და იგი გაგიხსენებს მაშინ, როცა თავს უბედურება დაგატყდება *(წმიდა ისააკ ასური)*.

ვიდრე მწუხარება შეგმთხვეოდეს, ილოცე უფლის მიმრთ და განსაცდელის ჟამს ჰპოვებ მას და იგი მოგისმენს.

უფლის გახსენების ჟამს გაამრავლე თხოვნა, რომ როცა დაივიწყებ უფალს, მან არ დაგივიწყოს (წმიდა მარკოზ მოსაგრე).

ღვთის ხსოვნა არა მხოლოდ არ აბრკოლებს ჩვენს მეცადინეობას, პირიქით, მათ სასიამოვნოს ხდის. როცა კეთილ მეგობართან ერთად ვიმყოფებით, მისი თანდასწრებითაც ვაგრძელებთ იმის კეთებას, რასაც მის გარეშე ვაკეთებდით, და კიდევ უფრო მეტი ხალისითა და წარმატებითაც კი. განსაკუთრებით მაშინ, როცა მას შეუძლია, თავისი რჩევებით დაგვეხმაროს, მოიწონოს ეს საქმე და ჩვენთან ერთად იშრომოს კიდეც, თუკი დაგვჭირდება.

თუ უფალს ყოველთვის ვუჭვრეტთ გონებით, თუკი მუდმივად გვემახსოვრება იგი, მაშინ ჩვენთვის ყველაფერი ადვილი, ყველაფერი მისათმენი გახდება, ყოველივეს

თავისუფლად ავიტანთ და ყველაფერზე ავმაღლდებით *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ღვთის წინაშე სვლა, ანუ ხშირი, შეძლებისდაგვარად, მუდმივი ხსოვნა უფლისა, არა მხოლოდ არ გააძნელებს ყოფითი საქმეების წინსვლას და ნაკისრი მოვალეობების აღსრულებას, არამედ კიდევ უფრო გააადვილებს მათ დაგვირგვინებას უმეტესი წარმატებით, ვინაიდან თუ ღმერთს გონებით მიუახლოვდება, ადამიანი შედის უახლოეს, შეიძლება ითქვას, მეგობრულ ურთიერთობაში მასთან და ღმერთში ყოვლადძლიერ შემწეს ჰპოვებს.

როცა უფალი აწესრიგებს, მაშინ ძნელიც ადვილი ხდება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ვინც ყოველთვის უფლის თვალთა წინაშეა, მასთან ყველგან და ყველაფერში უფალია.

ღმერთი მეგობრად მოიხვეჭე და ადამიანური დახმარება აღარც დაგჭირდება *(წმიდა სვიმეონ სტუდიელი)*.

ყველა შენი საქმე განასულიერე ღმერთის ხსოვნით; ვინაიდან ღვთის გარეშე ცოდვის გარდა ვერაფერს გააკეთებ.

უფლის გარეშე არა მხოლოდ ადამიანების ქალაქები ან სახლები, ჩიტის ბუდეც ვერ აშენდება.

ამაოდ ადგებით ადრიანად და ხანგრძლივ სამუშაოს მიუჯდებით, თუკი უფალი არ დაგეხმარებათ.

შეიძლება ბევრის გაკეთება უფლის შეწევნით, ოღონდ, მთავარია, გინდოდეთ ბევრის კეთება.

უფლისთვის ყველაფერი შესაძლებელია: შენთვის კი ყოველივე შეუძლებელია უფლის გარეშე; მაგრამ შენთვისაც „ყოველივე შესაძლებელ არს“, თუ მორწმუნე ხარ (მარკ. 9, 23).

არაფერშია საჭირო უფლის შეწევნა ისე, როგორ ჩვენი ცხონების საქმეში, ვინაიდან არაფერში ვართ ისეთი სუსტები, როგორც – სიკეთის ქმნაში.

ადამიანს შეუძლია საკუთარი თავის დალუპვა და იღუპავს კიდეც, მაგრამ გადარჩენა თავისით არ ძალუძს *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

ბოროტების და ცოდვის ქმნა თავადაც შეგვიძლია და ვცოდავთ კიდეც, მაგრამ სიკეთის კეთებას უფლის გარეშე ვერ შევძლებთ.

ვინაიდან უფალი არის შემოქმედი ყოველი სიკეთისა, ამიტომ ვერანაირი სიკეთე ვერ კეთდება უფლის გარეშე *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ყოველი სათნოების საწყისი არის უფალი, როგორც დღის სინათლისა – მზე *(წმიდა მარკოზ მოსაგრე)*.

ყოველივე სიკეთე მხოლოდ უფალშია, ისე რომ, მის გარეშე და მის გარდა სიკეთე არ არსებობს.

ხშირად მიმართე აზრითა და გულით უფალს – სათნოებათა სათავეს და – თავადაც იქმ მისი შეწევნით კეთილ საქმეებს

და მაშინ ნურც ნურავისი და ნურც ნურაფრის გეშინია ქვეყანაზე.

✝მანკიერება, თუნდაც თავის მხარეს მთელი ქვეყნიერება ჰყავდეს, ყველაფერზე სუსტია: სათნოება კი, თუნდაც მარტო დარჩეს, ყველაფერზე ძლიერია, ვინაიდან თავის მხარეს მას უფალი ჰყავს. ჭეშმარიტად, ვინ იხსნის მას, ვის წინააღმდეგაც უფალია? ვინ დაღუპავს მას, ვისაც უფალი ეხმარება? *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

✝ღმერთი ძალაში კი არა, — ჭეშმარიტებაშია.

✝როცა მოგცემს ღმერთი, შური ვერაფერს იზამს; ხოლო როცა არ მოგცემს, ვერანაირი ძალისხმევა ვერ გიშველის *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).*

✝ყველაფერი ღვთისნიერად აკეთე და მასში შენს შემწეს ჰპოვებ *(ამბა იოანე).*

✝გამუდმებით ილოცე ყოველი საქმისას, რათა არაფერი გააკეთო უფლის შეწევნის გარეშე *(წმიდა მარკოზ მოსავრე).*

ვინც არ მიენდობა თავის შრომას, იგი ყველაზე უკეთ შეიგრძნობს უფლის ძალას *(ამბა ისაია)*.

ნუ მიენდობი შენს ძალებს და ღვთის შეწევნა ყოველთვის შენთან იქნება.

ყოველგვარი იმედი, რაც ღვთის განგებისადმი იმედს შეურაცხყოფს – უზნეობაა.

მეტად უბედურია ის, ვინც იმედს არ ამყრებს უფალზე და ფიქრობს, თავისი ბედნიერება თვითონ მოიპოვოს.

ვინც არ ცხოვრობს უზენაესის საფარველქვეშ, მისთვის არ მოიძებნება მშვიდობიანი და უსაფრთხო თავშესაფარი.

როგორც აბლაბუდაზე შემდგარი კაცი ეცემა და დაბლა ვარდება, ასევე ვარდება ის ადამიანც, ვინც მხოლოდ საკუთარ ძალებს ეყრდნობა *(წმიდა ნილოს სინელი)*.

როგორც ლამპარი, რომელიც ბნელ ოთახშია დადგმული, ანათებს მას, ასევე ღვთის შიში, როცა ადამიანის გულში სახლდება, ანათებს მას და ასწავლის ყველა სათნოებასა და ღვთის შცნებას.

ღვთის წინაშე შიში არის სათავე და ფესვი ადამიანური კეთილზნეობისა; არა ის შიში, რომელიც გულიდან შიშის საგნისადმი სიყვარულს დევნის, არამედ შიში იმისა, რომ არ შეურაცხყო სიყვარულით აღსავსე უფალი – მისი მცნებების დარღვევით.

სადაც ღვთის შიშია, იქ სათნოებისაკენ აღსვლაა, ხოლო სადაც დაუდევრობა და უშიშარობაა, იქ უსჯულოებისაკენ მიქცევაა.

თუ ღვთის შიში არ გექნება და მხოლოდ ადამიანებისადმი შიშითა და ანგარიშის გაწევით იცხოვრებ, შეიძლება, მხოლოდ სხვების თვალში იყო კეთილი, სინამდვილეში კი სულაც არ იქნები ასეთი.

ვიღაც ამბობდა საკუთარი თავის შესახებ: მე მეშინია ღმერთის და კიდევ მეშინია ისეთი ადამიანის, რომელსაც ღვთისა არ ეშინია.

ვნებებს არ შეუძლიათ მათი დაძლევა, ვისაც ღვთის შიში აქვთ.

როგორც ცვილი დნება ცეცხლისგან, ასევე უწმიდური გულისთქმა ქრება ღვთის შიშისგან *(ამბა ფალასი)*.

გაუფრთხილდი ღვთის შიშს და დაცემის ნუ გეშინია.

ზეციურ ფრინველებს შორის ყველაზე დიდი არწივია, მიწიერ მხეცთა შორის – ლომი, ადამიანთა შვილებს შორის – ღვთის მოშიშარი ადამიანი *(წმიდა ეფრემ ასური)*.

თუ მხოლოდ ადამიანებისადმი შიშით იცხოვრებ, მაშინ ღმერთისგან დამდაბლებული იქნები, მაგრამ თუ ღვთისა შეგეშინდება, ადამიანებისგანაც პატივცემული იქნები *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ღვთის შიში ადამიანს ამდაბლებს, მაგრამ, ამავე დროს, აღამაღლებს კიდეც.

ვისაც ყველაფერზე მეტად ღმერთის ეშინია, მას ამქვენად უკვე ვერაფერი შეაშინებს (ფს. 117. 6).

ვისაც ჭეშმარიტად ეშინია ღმერთის, მას არავისი ეშინია, თუნდაც სიკვდილის აჩრდილთა შორის ვიდოდეს.

ღვთის მოშიში უძლიერესია, ვიდრე – ყველა დემონი ერთად.

ვისაც ღმერთის არ ეშინია, მას ყველაფრის უნდა ეშინოდეს.

დაე, ღვთის შიში გვქონდეს. მაშინ ვერაფერი დაგვამწუხრებს, იქნება სიღატაკე, ავადმყოფობა თუ ტყვეობა, ან – სხვა სამწუხარო რამ.

გეშინოდეს ღმერთის, ოღონდ არა – როგორც მტანჯველის, არამედ – გეშინოდეს მისი სიყვარულით *(წმიდა ათანასე დიდი)*.

თუ ღმერთი არის კაცთმოყვარე, როგორც ყველანი ვუწოდებთ მას, ადამიანიც უნდა იყოს ღვთისმოყვარე.

როგორ არ უნდა გვიყვარდეს უფალი? მისით ვცხოვრობთ, მისით ვსუნთქავთ, მისით ვმოძრაობთ. განა გასაკვირი, საძულველი არ უნდა იყოს ჩვენი გულის მი-

პყრობა იმ უბრალო აზრებისადმი, რაც ღმერთის გარეშეა, რასაც ჩვენი დაღუპვა ძალუძს.

წმიდა ანტონის მოწაფე მამა მაკარი ძმასთან ერთად მიდიოდა, დაინახა ბიჭუნა, რომელიც დედას ეუბნებოდა: „ერთ მდიდარს ვუყვარვარ, მე კი არ ვიცი, რატომ, მძულს იგი; მაგრამ ერთ ღატაკს ვძულვარ, მე კი ის მიყვარს“. ეს რომ მოისმინა, მაკარი გაოცდა და დაფიქრდა. „რა მოგივიდა?“ – ჰკითხა ძმამ. „ჩემს შიერ გაგონილი სიტყვები – უპასუხა ბერმა, – ნიშნავს: უფალი ღმერთი მდიდარია მოწყალებით და ყოველდღიურად გვივლენს თავისი მამობრივი სიყვარულის მტკიცებულებას, ჩვენ კი, უგუნურთ, არ შეგვიძლია, დავაფასოთ მისი ძღვენი; მაგრამ წარწყმედის სულს – ღატაკსა და ბოროტს, ვძულვართ და როგორც ცოფიანი ძაღლი ჩასანთქმელად გვეძებს, ჩვენ კი, დაბრმავებულებს, გვიყ-

ვარს იგი და არ გვრცხვენია მისი მონობა!“

✦რომ გვენახა, სწრაფ დინებას ქალალდის ნაგლეჯი როგორ აღუდგა წინ, გაოცებას ვერ დამალავდით. მსგავს სანახაობას წარმოვადგენთ ჩვენ, როცა უსულო ნივთები ჩვენს ყურადღებას უფალს აშორებს, გონებას ფუჭი საგნებისადმი მიმართავს და ხელს გვიშლის, დავუახლოვდეთ უფალს სიყვარულის ერთობაში.

✦უფლისადმი სიყვარულს არ უნდა შევუერთოთ მიწისა და მიწიერი საგნებისადმი ვნება.

✦ვისი გონებაც მიჯაჭვულია რომელიმე მიწიერი საგნისადმი, მას არ უყვარს უფალი *(წმიდა მაქსიმე აღმსარებელი)*.

✦როგორც ორ სულს არ ძალუძს ერთი სხეულის განსულიერება, ასევე ორ – ღვთისა და ამასოფლისადმი სიყვარულს – არ შეუძლია ერთი სულის განსულიერება.

ორი სახის სიყვარული ორი სახის მოქალაქეობას წარმოშობს: უფლისადმი სიყვარული იერუსალიმის (ზეციური ქალაქის) მოქალაქეებად გვაქცევს, ამასოფლისადმი სიყვარული კი – ბაბილონის მოქალაქეებად (ცოდვილი ქალაქი). დაე, ჰკითხოს ყოველმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავს: რა უყვარს და მიხვდება, რომელი ქალაქის მოქალაქეა იგი *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ბუნებაში ყველა საგანი თავისი მიდრეკილების მიხედვით მოძრაობს: მსუბუქები სიმაღლეზე ადიან, მძიმეები კი მიწისკენ მიიზიდებიან. გონიერ ქმნილებებში ეს მიდრეკილება სიყვარულია და ისინი იქით მიისწრაფიან, საითაც მათ გულში არსებული ეს ვნება იზიდავს. ამგვარად, თუკი ჩვენში ბატონობს ხრწნადი სიკეთეებისადმი სიყვარული, ხორციელი სიამოვნებების წყურვილი, პატივისა და დიდების სურვილი, მაშინ სრულებით მიწას მივეკუთვნებით და ზეციურ საგნებამდე ამაღლე-

ბა ჩვენთვის ისევე ძნელი იქნება, როგორც ქვისთვის მაღლა ატყორცნა: მაგრამ თუ ხორცის მოკვდინებით ყველა მიწიერ სურვილს დავთრგუნავთ, მაშინ ჩვენი ღვთივმიმსგავსებული სული, დაუბრკოლებლად, უსწრაფესად აიტყორცნება ღვთისაკენ, ვიდრე ქვა – სიმაღლიდან თავის ადგილს დაუბრუნდებოდეს.

ნეტარი ავგუსტინე, რომელიც ფსალმუნის სიტყვებს განმარტავდა (ფს. 41, 2), ამბობს: ირემი აკვდინებს გველს, რომელიც მას წყლისკენ მიმავალ გზაზე ხვდება, რის გამოც კიდევ უფრო მეტ წყურვილს გრძნობს და უფრო დიდი სიჩქარით გარბის წყაროსკენ. „გინდათ იცოდეთ, – აგრძელებს ეკლესიის ნეტარი მამა, – რატომ არაა თქვენში სრულყოფილების ესოდენ ძლიერი სურვილი და ესოდენ შეუკავებელი მისწრაფება ღვთისაკენ? ეს იმიტომ, რომ თქვენ არ თრგუნავთ თქვენს გველებს: თქვენი გველები გრძნობადი, ხორციელი

ვნებებია: მოაკვიდინეთ ეს სიცრუის გველები და მაშინ მეტი გულმოდგინებით ისწრაფვებთ ცხოვრებისა და ჭეშმრიტების წყაროსკენ.

✝ცეცხლი, რომელიც მიწაზე ანთია, მიწისკენ კი არ მიილტვის, არამედ – ყოველთვის ზემოთ მიემართება. ასევე შენი სიყვარული შენშივე კი არ უნდა დარჩეს, არამედ ყოველთვის უფლისადმი ამაღლდეს.

✝სამი გული უნდა გვქონდეს: ღმერთისთვის – გული წმიდა; მოყვასისათვის – გული მოწყალე; საკუთარი თავისათვის – გული ბოროტი.

✝ჩვენ იმდენად ვართ ვალდებულნი, გვიყვარდეს ღმერთი საკუთარ თავზე მეტად, რამდენადაც იგი ჩვენზე აღმატებულია.

✝ღვთისადმი სიყვარულის საზომი უზომო სიყვარულია.

✝ღმერთისათვის არაფერია სიყვარულზე სასურველი. არაფერი ისე არ ესათნოება უფალს, როგორც ადამიანის გული, რომელშიც მისდამი სიყვარული გიზგიზებს. სიყ-

ვარულის გარეშე ადამიანის ყველა ქმედება, რაც არ უნდა კეთილად გამოიყურებოდეს იგი გარეგნულად და თუნდაც დიდებულიც კი გვეჩვენებოდეს – არაფერს ნიშნავს უფლის თვალისთვის და ღმერთს სძულს იგი.

წვიმა მაშინ კი არაა სასარგებლო ნიადაგისთვის, როცა იგი ჯერ კიდევ სრულებით არ გათავისუფლებულა თოვლისა და ყინულისაგან, არამედ მაშინ, როცა გამთბარია მზის სხივებით: სწორედ ასევე ღვთის სიკეთეს საკმრისად მხოლოდ ის გულები ღებულობენ, რომლებიც უფლისადმი სიყვარულით არიან გამთბარნი.

უფლისადმი სიყვარული ყველაფერს ჩვენი ცხონებისა და ნეტარების საშუალებად აქცევს; მის გარეშე ყველა საშუალება არ აღწევს ამ მიზანს. კანდელი უზეთოდ ვერ დაენთება და ლოცვაც ვერ გაანათლებს სულს უსიყვარულოდ. ის სიყვარულის გარეშე ვერ ავა ღმერთამდე.

სიყვარულის ნაკლებობას ვერაფერი შეავსებს; მაგრამ სიყვარული ყველაფრის დანაკლისს ავსებს.

გიყვარდეს და ყოველთვის სამართლიანად მოიქცევი, ისე რომ, ამას თავადაც ვერ შეამჩნევ. ეს სულიერი საწყისი გასწავლის, როგორ მოიქცე ყოველგვარ ვითარებაში.

ნუ მეტყვი, რომ გიყვარს უფალი – ეს მხოლოდ სიტყვებია: მიჩვენე სიყვარული საქმით *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

სადაც არის ჭეშმრიტი სიყვარული უფლის მიმართ, იქ ბაგე იშვიათად გაიხსნება ისე, რომ არ მადლობდეს და არ ადიდებდეს უფალს.

ყველაზე მართალი ნიშანი იმისა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არის უფლისადმი სიყვარულის ჩანასახებიც კი, ისაა, რომ გვიძნელდება ღვთისადმი მსახურება, არ გვსურს, ავასრულოთ, და უფრო უარესი, საერთოდ არ ვასრულებთ მისდამი ჩვენს მოვ-

ალეობებს. ნეტარი ავგუსტინე სამართლიანად ალნიშნავს: „მოყვარულთათვის შრომა მძიმე არ არის: ის ახარებს მათ, როგორც მხეცებზე, ფრინველებზე მონადირეებს, მეთევზეებს. როცა რაიმე გვიყვარს, ჩვენ ან ვერ ვგრძნობთ შრომას, ან თავად შრომა გვიყვარს“.

– ვიღაცამ უთხრა ამბა აღათონს: მე მომეცა მცნება, მაგრამ მცნების ასრულება მწუხარებასთან არის შერწყმული: ისიც მინდა, რომ აღვასრულო და მწუხარებისაც მეშინია. ბერმა უპასუხა: „რომ შეგძლებოდა, სიყვარული გქონოდა, მცნებებს შეასრულებდი და მწუხარებას ძლევდი“.

– საიდან ექნება ღვთისმოსაურ ღვაწლისთვის ძალა მას, ვისაც არა აქვს მხურვალე სიყვარული უფლის მიმართ?

– მხოლოდ გიყვარდეს – და მაშინ შეძლებ, გააკეთო ყველაფერი, რასაც მოისურვებ *(ნეტარი ავგუსტინე)*.

გიყვარდეს ყველაფერი უფალში და ყველაფერში გიყვარდეს უფალი.

მას არ უყვარს უფალი, ვისაც უყვარს ის, რის სიყვარულსაც უფალი კრძალავს.

უდიდესი შეურაცხყოფა უფლისა ისაა, თუ შენ მას ქვეყნიურ მეტოქეს დაუპირისპირებ.

ყოველი სული, უფალზე მეტად სხვა რომ უყვარს, მემრუშეა.

ვინაიდან ყოვლისშემძლე შემოქმედს თანასწორი არა ჰყავს, ამიტომ ჩვენი სიყვარულის გაყოფა არავისთან უნდა და ჩვენგან მთელ გულს მოითხოვს. არ სურს, რომ ეს სიყვარული ღვთისადმი სრულყოფილ სიყვარულს თუნდაც მცირეოდენ დაბრკოლებად ექცეს.

მოყვასს ნუ გაანაწყენებ და ნურც გაალმერთებ, ნურც საკუთარ თავს გაალმერთებ. ღმერთი კი გიყვარდეს მტკიცე სულით, ანუ – მთელი გულითა და გონებით.

საკუთარი თავი უნდა გვიყვარდეს მხოლოდ უფლისათვის და ნაწილობრივ მოყვასისათვის: მოყვასი უფლისათვის უნდა გვიყვარდეს: ღმერთი კი უნდა გვიყვარდეს თვით მისთვის და ყველაზე ძლიერად.

საკუთარი თავისადმი სიყვარული მსხვერპლად იწირავს მოყვასისადმი სიყვარულს; საკუთარი თავისა და მოყვასისათვის სიყვარული კი მსხვერპლად ღვთისადმი სიყვარულს შეიწირავს.

თუ გსურს, რწმენით ცხონდე, შეიყვარე ის, ვინც გწამს.

ღვთაებრივი სიყვარულის ცეცხლში იწვოდე, რომ არ დაიწვა იმით, რითაც — დემონები.

შეიყვარე უფალი მთელი გულითი, მთელი სულით და მთელი შენი არსებით, თუ გსურს, თავიდან აიცილო მარადიული ტანჯვა-წამება სიკვდილის შემდეგ, თუ გსურს, იგემო მარადიული სიხარული, მარადიული ნეტარება — ჯერ კიდევ დედამი-

წაზე, რომელიც, დამიჯერე, ისეთი დიდებულია, ისე აკმაყოფილებს ჩვენი გულის მოთხოვნილებებს, რომ უკვე ვერაფერი მოგხიბლავს ამქვეყნად.

ამქვეყნად არაფერია ისეთი, რაც შეძლებდა ღვთისადმი სიყვარული ამოეძირკვა იმ გულიდან, რომელშიც იგი დასახლდა *(ამბა ისაია)*.

„როგორ დავიცვათ თავი ცდუნებებისგან“? – ჰკითხა ერთმა ამბა პიმენს. წმიდა ბერმა უპასუხა: „ქვაბში, რომელიც მუდმივად თუხთუხებს, ბუზი ვერ ჩავარდება: და სულსაც, რომელიც უფლისადმი სიყვარულით არის მხურვალე, ვერაფერი აცდუნებს“.

თუ გულწრფელად შეიყვარებ უფალს და განმტკიცდები ამ სიყვარულში, ვერანაირი ვნება ვერ დაგეუფლება *(წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი)*.

ქვეყანა და ყველაფერი, რაც ამქვეყნადაა, არაფერს ნიშნავს იმისათვის, ვისთვისაც უფალი ყველაფერია.

✝ღვთისადმი სიყვარული გამოულეველი საგანძურია; ვინც მას ფლობს, მდიდარია; ვისაც არა აქვს – ღატაკი *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✝ღვთის გარეშე, რასაც არ უნდა ვეთაყვანებოდეთ, ყოველთვის რაღაც გვაკლია, ჩვენი გული ყოველთვის რაღაცას ეძიებს, და ნეტარი ავგუსტინეს შესანიშნავი სიტყვებით, „მანამდე მღელვარებს, ვიდრე ღვთაებრივ სიყვარულს არ მიაღწევს“.

✝თუ მოწყენილი ხარ, ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ გიყვარს უფალი. თუ სასძლოს თავისი სასიძო უყვარს, მაშინ საყვარელ ადამიანთან ერთად მისთვის არც სიღარიბე, არც უბედურებები, არც ჯურღმული არაა ძნელი; მხოლოდ მასთან განშორება უძნელდება: მაშინ ვერც სიმდიდრე, ვერც სიხარული ვერ ანუგეშებს მას. თუკი ადამიანური სიყვარულს ეს შეუძლია, მაშინ რას არ გააკეთებს ღვთაებრივი სიყვარული? შეიყვარეთ ღმერთი და დაავანეთ

იგი თქვენს გულებში და მაშინ არ მოიწყენთ, არამედ ყოველთვის ენითაღუწერელ სიხარულსა და სიტკბოებას იგრძნობთ, ყოველთვის სულიერი ნუგეში გექნებათ (ფს. 33, 9).

ღვთისადმი სიყვარულით ადამიანისთვის ყველგან სამოთხეა; მის გარეშე კი — ყველგან ჯოჯოხეთი.

ღვთის შინაგანი და გარეგნული თაყვანისცემა

ადამიანი სულისა და სხეულისაგან შედგება. ამიტომ ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან, როგორც ყოვლადსრულყოფილ არსებასთან, ჩვენი ყოფიერების, ცხონებისა და ნეტარების (შემოქმედთან) მიზეზთან, უნდა გამოვხატოთ არა მხოლოდ სულიერად, არამედ — სხეულითაც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღვთის თაყვანისცემა არა მხ-

ოლოდ შინაგანი, არამედ – გარეგნულიც უნდა იყოს.

თუკი ხეში არის სიცოცხლე, მაშინ ეს სიცოცხლე აუცილებლად გამომჟღავნდება, ანუ ხე ფოთლებს, ყვავილებს და ნაყოფს გამოიღებს: ასევე ღვთის, შინაგანი, ცოცხალი, ნამდვილი თაყვანისცემა, აუცილებლობისას გარეგნულ თაყვანისცემას გამოამჟღავნებს.

ვინ არ იცის სულის მოძრაობასა და მის გამოვლინებას შორის არსებული კავშირის შესახებ? ვისთვის არაა ცნობილი, რომ ადამიანს, რომელიც რაიმე ძლიერი გრძნობით არის შეპყრობილი, არ შეუძლია სრულიად დაფაროს თავისი სულის ძლიერი მოძრაობა.

განა არსებობს ღარიბი კაცის მიმართ თანაგრძნობით აღსავსე თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც თანაგრძნობას რაიმე გარეგნული ნიშნით მაინც არ გამოხატავდეს? განა არსებობს კი თუნდაც ერთი

მორჩილი შვილი, რომელიც თავის მორჩილებას მშობლებისადმი გარეგნულად არ გამოხატავდა? რომელი ერი იყო ისეთი, რომელიც მეფეს პატივს სცემდა და ამას გარეგნული ქმედებით არ ამჟღავნებდა?

მოწამეობრივი სიკვდილი ჭეშმარიტებისათვის გაუქრობელი ლამპარია ერისთვის, იგი აღვიძებს და აღორძინებს ერში მაღალ ძალებს, იგი დვრიტაა ურთიერთისადმი სამსახურისა, საზოგადო სიკეთისადმი თავდადებულობისა, სამშობლოს ბედნიერებისათვის მსხვერპლად შეწირვისა, ქვეყანაზე სისწორისა, საღმრთო ზნეობისა და გონებრივი სინათლის მოფენა-გავრცელებისა *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე)*.

მოწამეობა, ე.ი. დევნულება-წვალებათა დათმენა ცხოვრებაში სიმართლის დაცვა-გამოჩენისთვის უკვდავი ღაღადი, სამარადისო ქადაგება, მუდამ მოუძველებელი მოძღვრებაა ყველა იმის შესახებ, რითაც ძვირფასია კაცის ცხოვრება, რითაც ად-

ამიანი ემსგავსება ღვთებას, რაც კაცის ცხოვრებას აძლევს აზრსა და მნიშვნელობას *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე)*.

მდიდარ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მამას, არ სურს უკვე სრულწლოვანმა შვილებმა, საკუთარი ქონებიდან მას აუცილებლად ძღვენი მიართვან, მაგრამ სიამოვნებს, თუკი ისინი ამას აკეთებენ, ვინაიდან ამ ქმედებებში ის ხედავს მისდამი სიყვარულისა და გულმოდგინების ნიშნებს; სწორედ ასევე მამაზეციერსაც არ სჭირდება ჩვენი მსხვერპლი (გარეგნული ღვთის თაყვანისცემის ერთ-ერთი ნიშანი), მაგრამ მოწონებით უყურებს ამას, თუკი ის – ჩვენი მისდამი ერთგულების, მადლიერებისა და სიყვარულის გამოხატულებაა. „მხიარულებით მისაცემელი უყვარს უფალსა“ (2 კორ. 9,7).

სიყვარული – ეს უპირველესი და მთავარი გრძნობაა, რითაც უნდა აღიბეჭდოს ჩვენი ყოველგვარი დამოკიდებულება

უფლისადმი; მაგრამ ცივი, არაფრით გამოხატული სიყვარული, სხვა არაფერია, თუ არა – ცარიელი მოჩვენება, უსიცოცხლე გამოსახულება, ცეცხლის ფერწერული გამოსახულების მსგავსი, რომელიც ფერთა სიმკვეთრის მიუხედავად, არც ანათებს, არც ათბობს; ვინაიდან თუკი რწმენა, მოციქულის მოწმობით, „საქმეთა გარეშე მკვდარია“ (იაკ. 2, 20), მაშ, როგორ შეიძლება, არსებობდეს საქმეთა გარეშე სიყვარული, რისგანაც თვით რწმენაც სესხულობს თავის ძალას და ქმედითობას (გალ. 5, 6)?

თუკი ცივია ჩვენი სიყვარული – ცივი იქნება ჩვენი მოღვაწეობაც *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ღვთის გარეგნული თაყვანისცემა, სულში უფლისადმი მიმართული გრძნობების შინაგან გამოხატულებას ემსახურება, რაც, ამასთანავე ამყარებს ამ გრძნობებს, ამტკიცებს და აძლიერებს მათ. იგი ისევე აუცილებელია, როგორც ხისთვის გარეგნული მორთულობა – ქერქი და ფოთლე-

ბი – აუცილებელია თავად ხის სიცოცხლისა და მთლიანობისათვის.

ხე ქერქის გარეშე ჭკნება და ხმება; ასევე ღვთის შინაგანი თაყვანისცემა გარეგნულის გარეშე სუსტდება და საერთოდ ნადგურდება.

რისთვის რგავენ ხეხილს? რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ მათგან ნაყოფი მოიწიონ. რისთვისაა ფოთლები? მხოლოდ გარეგნული მშვენებაა, მაგრამ თუ მათ მოვწყვეტთ, ხე გახმება და ნაყოფს ვერ გამოიღებს. სწორედ ასევე თუკი გავანადგურებთ ღვთისმსახურებაში გარეგნულ მხარეს, რაც ადამიანის წარმოსახვაზე კეთილად მოქმედებს და სულს ძრავს, მაშინ შინაგანიც სწრაფად გაცივდება.

როგორც ღვთის შინაგან თაყვანისცემას არ შეუძლია გარეგნულის გარეშე არსებობა, მსგავსად ხისა, რომელიც ფოთლებსა და ქერქს მოკლებულია, ასევე ღვთის მხოლოდ გარეგნული თაყვანისცემა

შინაგანის გარეშე ჭეშმარიტი და ქმედითი არ არის; იგი ჰგავს სხეულს სულის გარეშე ან ადამიანის ცვილისგან გაკეთებულ ფიგურას, რომელსაც თუმცა ადამიანის სახე აქვს, მაგრამ სინამდვილეში ადამიანი არ არის.

გარეგნული, ხილული სიკეთე შინაგანის გარეშე მლიქვნელობა და ტყუილია *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

გარეგნული კეთილზნეობა შინაგანის გარეშე – იგივეა, რაც ქარქაში ხმლის გარეშე. სასაცილოა ის მეომარი, რომელსაც მხოლოდ ქარქაშით სურს მტერს შეებრძოლოს; სასაცილო არიან ის ადამიანებიც, რომლებსაც ხორცისა და წუთისოფლის წინააღმდეგ ბრძოლაში სურთ, მხოლოდ ღვთის გარეგნული თაყვანისცემით გაიმარჯვონ. მეტად ცდებიან, თუკი ფიქრობენ, ამგვარი კეთილსნეობით უფალს აამებენ.

ქრისტიანის წოდება და მოვალეობანი

ქრისტიანს არა მხოლოდ აღმსარებლობა, არამედ რწმენა და რწმენის შესაფერისი ზნეობა აქცევს ჭეშმარიტ ქრისტიანად *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

შეუძლებელია, იყო ქრისტიანი, თუ არ ცხოვრობ ქრისტიანულად.

ის, ვინც ჭეშმარიტად ქრისტიანულად არ ცხოვრობს, ზნეობრივი კერპთაყვანისმცემლობის მდგომარეობაში იმყოფება. ის ან ქმნილებათა მსხვერპლია, უფლის ნაცვლად სიმდიდრეს ემსახურება, მუცელს აღმერთებს, ან პირიქით, — საკუთრ თავს აყენებს კერპად და მსხვერპლად მოითხოვს ყველაფერს, რაც კი ამქვეყნად შობილა.

ქრისტიანული სახელი ქრისტიანული ცხოვრების გარეშე მლიქვნელობაა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

რა ბედნიერნი ვიქნებოდით, ძვირფასო მსმენელნო, ყველა ჩვენგანი წმ. ევსტათ-

ივით გულისმოდგინებით და ხალისით რომ ვეტანებოდეთ ჩვენი ღვთაებრივი სარწმუნოების მოძღვრების ცოდნას! მაგრამ ვინ თქვა ჩვენში ასეთი ხალისი! დიდს უმრავლესობას სრულებით არავითარი ცოდნა არა აქვს სახარებისა და არც დაეძებს, რომ ოდესმე მაინც გაეცნოს მას; ბევრს, თუ ყური მოუკრავს სადმე ქრისტეს ორი-სამი იგავისათვის, ეკლესიაშიც აღარ სურს მოსვლა, — იმაზე მეტს ველარ გავიგონებ, რაც უკვე ვიციო *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე)!*

ქრისტიანო! იყავი ნამდვილი და არა მოჩვენებითი ქრისტიანი. აი, შენი ერთ-ერთი კანონი.

როგორც იუდა, რომელსაც ბოროტი აზრები, განზრახვები და მიზნები ჰქონდა, მოციქულის სახელმა ვერ დაიცვა მარადიული სასჯელისაგან, ასევე ჩვენ ქრისტიანის სახელი ვერ გამოგვისყიდის მსგავსი სასჯელისაგან, თუკი ცხოვრებას ქრისტეს სჯულის შესაბამისად არ წარვმართავთ.

მაღალია ქრისტიანის წოდება: ბევრი უნდა იშრომო, რომ აღასრულო იგი.

ქრისტიანი, რომელიც ქრისტიანობაში ვერ წარემატება, ქრისტიანი არ არის.

ქრისტიანი არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ იგი მოკვდა კერპთაყვანისმცემლობისათვის, ამა ქვეყნის ხმაურისათვის, მცონარებისათვის, ფუფუნებისა და დროსტარებისათვის, სიამაყისთვის და სხვ. ვისაც სურს, ძველი სამყაროდან ახალში გაცუროს, მისთვის საკმარისი არაა, ავიდეს ხომალდზე და გეზი ახალი სამყაროსაკენ აიღოს. არამედ მან განუწყვეტლივ უნდა იცუროს წინ, ვიდრე მართლაც არ მიაღწევს იმ ადგილს. სწორედ ასევე ხდება ძველ და ახალ ცხოვრებაშიც. თუკი ძველი ადამიანის გარეგნული ცხოვრება საჭიროებისამებრ განიწმიდა, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ სრულიად შევიმოსოთ ახალი ადამიანი, სრულიად განვიწმიდოთ და გავნათლდეთ სულის შინაგან სიღრმეში.

ქრისტიანი განუწყვეტლივ წინ უნდა მიიწევდეს; მაგრამ მეტად სასარგებლოა დროდადრო ყურადღება უკან – წარსულსაც მივაპყროთ, რათა ცუდი არ გავიმეოროთ, დანაშაული სინანულის ცრემლით გამოვისყიდოთ, დაწყებული საქმე დავასრულოთ.

ქრისტიანის ჭეშმარიტი პატივი არის ღვთის დიდება, ჭეშმრიტი მოშურნეობა პატივისა – არის ღვთისა და მოყვასისადმი მხურვალე სიყვარული.

ქრისტიანი ერთ მტერსაც კი არ უნდა სცნობდეს მთელ ქვეყანაზე, თუნდაც ქვეყანამ ერთი მეგობარიც კი არ გაიმეტოს მისთვის.

ქრისტიანული ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა – მუდმივი, სიცოცხლის დასასრულამდე სინანული *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ქრისტიანი, სიამოვნებაზე უარის თქმით ან ნაკლულევანებით იტანჯება, ან თუ სიამოვნებას დაუშვებს, სინანულით უნდა დაიტანჯოს.

მოუნანიებელი ქრისტიანი წარმართზე უმკაცრესად დაისჯება.

იმდენად არ სწყინს ღმერთს წარმართის უწმიდური ცხოვრება, რამდენადაც – ქრისტიანის გარყვნილება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

მდიდარი ქრისტიანები, თუკი ისინი ჭეშმრიტი ქრისტიანები არიან, სრულებით ღატაკნი არიან, ვინაიდან ზეციურ სიკეთეებთან შედარებით თავის ოქროს ფერფლად მიიჩნევენ, თანაც მათ სიმდიდრეს ის შეადგენს, რაც სრულებით არ ახარებთ *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ქრისტიანებს, მოგზაურთა მსგავსად, შეუძლიათ, სინდისის ქენჯნის გარეშე ისარგებლონ თავიანთი მიწიერი მონაპოვარით, როგორც – სამგზავრო მარაგით ზეციური სამშობლოსაკენ მოგზაურობის ჟამს; ოღონდ მეტისმეტად არ უნდა უფრთხილდებოდნენ და გულით არ უნდა მიეჯაჭვონ.

ქრისტიანმა, შეძლებისდაგვარად, უნდა შეზღუდოს თავისი საჭიროებები; სიფხიზლე და ზომიერება – ყველაზე საუკეთე-

სო მარაგია, რომელიც ზეცისაკენ სავალ გზაზე შეგიძლია, თან გაიყოლო *(წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი).*

✝ღარიბი ის ქრისტიანია, ვისაც ამასოფელში გამდიდრება სურს *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

✝ღარიბია ის ქრისტიანი, ვინც ამქვეყნად ბევრს ეძებს და იმარაგებს.

✝ჭეშმარიტი ქრისტიანი ისაა, ვინც ქრისტეს გულით ატარებს.

✝ქრისტიანი ისაა, ვინც ადამიანის შეძლებისდაგვარად ბაძავს ქრისტეს სიტყვით, საქმითა და გულისთქმით *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი).*

✝წმიდა გრიგოლ ნოსელი ქრისტიანებს ფერმწერებს ადარებს. „ყოველი ჩვენთაგანი, საკუთარი ცხოვრების მხატვარია. ჩვენი სული მხატვრის ტილოს ჰგავს, სათნოებები – საღებავებს; იესო ქრისტე არის ნატურა, საიდანაც უნდა გადავიხატოთ“. შესანიშნავი შედარებაა! როგორც მხატვარს აქვს

გონებაში, წარმოსახვაში და თვალწინ ის საგანი, რომლის ტილოზე გამოსახვაც სურს, ასევე ქრისტიანი ყოველ საქმეში მზერას უნდა უსწორებდეს იესო ქრისტეს. ისევე, როგორც ფუნჯი, რომელსაც ფერმწერი იყენებს, ტილოზე ისეთ ფერებს დებს, რასაც სატურაში ხედავს; ასევე ჩვენი ნება, თუ მადლით არის ძალმოცემული, იესო ქრისტეში დანახული სათნოებების აღსრულების მეშვეობით ცდილობს, აღბეჭდოს მისი სახე სულში, და ჩვენ იმდენად ვხდებით ქრისტიანები, რამდენადაც მივემსგავსებით იესო ქრისტეს.

ჭეშმარიტი ქრისტიანი მუდმივად ჯვარისმტვირთველია და ქრისტიანული ცხოვრება კი – განუწყვეტელი ჯვარის ტვირთვა.

ყოველ ქარისტიანს უნდა ჰქონდეს თავისი ჯვარი, როგორც მოგზაურს – თავისი კვერთხი.

თუკი არ გსურს, შენი ჯვრის ატება და იესოს კვალდაკვალ სვლა ან იმის ასრულება, რაც მან გვამცნო, მაშინ დარწმუნებული იყავი, რომ არ ხარ ქრისტიანი, თუმცა ქრისტიანულ ტაძარში დადიხარ.

ქრისტიანს, რომელიც თავის ჯვარს მწუხარებით ატარებს და არა – სიხარულით, ჯერ კიდევ არ ესმის მისი ფასი.

როგორც ქრისტეს ჯვარი არის სასუფევლის კარი ყველასათვის, ასევე ქრისტიანის ჯვარი არის სასუფევლის გასაღები ყველა მისი ძისათვის.

ხორცისათვის სამწუხარო, მძიმეა ჭეშმარიტი ქრისტიანის ცხოვრება, მაგრამ სამაგიეროდ, იგი ღებულობს უხვ ჯილდოს და ღირსეულ მიგებას მართალი მსაჯულისაგან.

ქრისტიანი ცხოვრებას მწუხარებაში ატარებს, სამაგიეროდ – კვდება სიხარულში.

ქრისტიანს შეუძლია, კადნიერი სიხარულით უთხრას კარსმომდგარ სიკვდილ-

საც: „სიკვდილო, სადა არს საწერტელი შენი“ (1 კორ. 15, 55)!

ჭეშმარიტი ქრისტიანი მიწაზე ცხოვრებისას უარს ეუბნება საკუთარ თავს გრძნობად სიამოვნებებზე, რომლითაც ეს სოფელი თავის მონებსა და თაყვანისმცემლებს უმასპინძლდება, მაგრამ სამაგიეროდ სიკვდილის შემდეგ იგი ისეთ სიკეთეებს დაიმსახურებს ზეცაში, რომლებიც აქ, მოციქულის სიტყვისამებრ, „თვალმა არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“ (1 კორ. 2, 9). – მათი წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

ქრისტიანი მიწაზეც კი ღებულობს ნუგეშს ღვთისაგან, რაც აიძულებს, დაივიწყოს დარდი და თითქოსდა ხარობს და სულგრძელებას იჩენს მწუხარებაში. „მაგინებელთა ჩუენთა ვაკურთხევთ; ვიდევნებით და თავს ვიდებთ; მგომბართა ჩუენთა ულ-

ოცავთ“ (1 კორ. 4, 12. 13)! ამბობენ საკუთრი თავის შესახებ ქრისტეს მიმდევრები.

ქრისტიანი მოძულებულია წუთისოფლისგან, სამაგიეროდ შეყვარებულია უფლისაგან.

ქრისტიანს მხოლოდ ერთი უბედურება, ერთი საშინელება შეიძლება შეემთხვეს — უფალი განარისხოს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

სულის ცხონება და სათნოება

ქრისტიანი სულის ცხონებას თავის უმთავრეს, თვით ერთადერთ მიზნადაც კი უნდა მიიჩნევდეს, ყველა დანარჩენს კი — ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად.

ყველაფერი ამსოფლიური, რაოდენ მნიშვნელოვნად და დიდადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, სრულიად უმნიშვნელოა. ყვე-

ლა საქმეზე უპირველესი და უმთავრესი ჩვენი ცხონების საქმე უნდა იყოს.

✝მარადიული ცხონება იმდენად საჭიროა, რომ მის გარეშე ყველაფერი არარაობაა.

✝ყველა ნივთი სამყაროში, ყოველგვარი კეთილდღეობა, მიწიერი ბედნიერება, ყოველგვარი მეცნიერებაც კი: ხელოვნება, მხატვრობა უნდა იყოს ფასეული მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი საიხოებაში წარმატებას ემსახურებიან (1 მეფეთა 2, 10; იერ. 9, 24).

✝სადაც კეთილი და სასარგებლო არ არის, იქ არც მშვენიერებაა.

✝ჭეშმარიტად სასარგებლო ის არის, რაც შესაძლოა, მარადიულ ცხოვრებას ემსახურებოდეს და არა – კეთილდღეობასა და მიწიერ სიხარულს *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*.

✝არ არის საჭირო მეცნიერებაზე მსჯელობა, ანდა საგნების შეცნობა; ცოდნა თავისთავად კარგია და იგი ღვთისგანაა

დადგენილი; მაგრამ მას ყოველთვის კეთილი სინდისი და ღვთივსათნო ცხოვრება უნდა ამჯობინო.

ძალზე უგუნურია ის, ვინც მეტნაკლებად ზრუნავს იმაზე, რაც მის ცხონებას არ ემსახურება.

თუ ხორციელად იცხოვრებ, სულსაც დაიღუპავ და ხორცსაც; ხოლო თუ ღვთივსათნოდ იცხოვრებ,ორივეს აცხოვნებ *(ღირსი სერაფიმ საროველი)*.

დროებით ცხოვრებაშიც კი ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავის მტრები ვართ: მტრები საკუთარი სიმშვიდისა, საკუთარი ცხოვრებისა, როდესაც მხედველობიდან ვკარგავთ საკუთარი სულის ცხონებას.

ცოდვა გვიზიდავს იმით, რომ სასიამოვნოა, სათნოების გზა კი ეკლითაა მოფენილი, მაგრამ ვინც ორივეს ნაყოფს შეიცნობს, იპოვის სიტკბოებას სათნოების სიმწარეში და ცოდვის სიტკბოების სიმწარეს *(„სულიერი მარგალიტი“)*.

აიძულეთ ბოროტი ადამიანი, რომ სიკეთე აკეთოს: იგი სწრაფად შეიყვარებს მას. აიძულეთ ზარმაცი, იმუშაოს და მას სულ მალე გააოცებს შრომისადმი თავისი წინანდელი სიძულვილი. სოკრატე სათნოებას ცოდნას უწოდებდა: ყოველგვარ ნაკლოვანებას შეიძლება, ეწოდოს უვიცობა, რამეთუ იგი არის გონების სიბრმავე, რადგან მასში ბევრად მეტია ტანჯვა, ვიდრე – სიამე.

ნაკლის სისაძაგლესა და საკუთარ არარაობას მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როდესაც სათნოების სილამაზე და ყოვლისშემძლე შემოქმედის დაუსრულებელი სრულყოფილებანი დაგვატყვევებს.

სათნოება დიდებულია პორფირში, ის ძონძებშიც სასიამოვნო სანახავია; ძლევამოსილია ჩაფხუტითა და ფარით აღჭურვილი, საცნობია ყანაშიც, საქებარია ტაძარში – წმიდა საკურთხეველთან; დალოცვილია სახლშიც, ქალაქში და ყველგან,

საიდანაც არ უნდა შევხედოთ მას, ყველა მხრიდან სუფთა, მშვენიერი და ღვთაებრივი მოჩანს.

✠სასატკბილობა წუთიერია, სათნოება უკვდავია.

✠სათნოება იდევნება, მაგრამ ეს დევნა დიდებით მთავრდება.

✠ჭეშმარიტი სათნოება ცეცხლზე არ იწვის და წყალში არ იძირება, მითუმეტეს, მიწაზე არ იკარგება. მაგალითად, რა ავნეს იოანე ოქროპირს, ათანასე დიდსა და რწმენისა და ღვთისმოსაობის სხვა მოსაგრეებს დევნით? მხოლოდ განადიდეს ისინი.

✠დაე, ცილი დასწამონ ჭეშმარიტებას, დაე, სძულდეთ სიყვარული, დაე, მოკლან სიცოცხლე, ჭეშმარიტება გამართლდება, სიყვარული გაიმარჯვებს, სიცოცხლე აღდგება.

✠თუ ცხონება გსურს, გააკეთე ყველაფერი, რაც მასთან მიგიყვანს *(წმიდა ისიდორე პელუსიოტელი)*.

– ვინც ეძებს ასეთ შემთხვევას, ყოველთვის პოულობს მას.

ნუ დაკმაყოფილდები აზრით, გრძნობით, სიტყვით იქ, სადაც შესაძლებელი და საჭიროც კია საქმე. კარგია, თუ ქვის გული არ გაქვს, მაგრამ ცუდია, თუ გაქვს მშრალი და მომჭირნე ხელი, რომელიც გლახაკს არ განიკითხავს.

შეუძლებელია ცხონება, თუ საქმით არ დადგები ცხონების ჭეშმარიტ გზაზე.

მხოლოდ საკვების მოთხოვნილება შიმშილის გრძნობას ვერ აკმაყოფილებს და მხოლოდ დალევის სურვილი წყურვილს ვერ კლავს; ვერც მხოლოდ ვაჭრობის სურვილი ამდიდრებს; ასევე მხოლოდ ცხონების სურვილი ვერ გვაცხონებს.

ზოგიერთს მხოლოდ სიკეთის აღსასრულებლად არ ჰყოფნის ძალა და არა – კეთილი სურვილი.

კეთილი სურვილი მაშინ არის მაცხონებელი, როდესაც მტკიცედ და დაუზა-

რებლად აღესრულება. არიან ადამიანები, რომელთა გზა კეთილი ზრახვებით იყო მოფენილი; მაგრამ კეთილი ზრახვები აღუსრულებელი დარჩა და მათი გზა ჯოჯოხეთისაკენ წარემართა.

იცხოვრე ისე, რომ შენი სული სიკეთისაკენ იყოს მიმართული.

უშრომლად – განათლებას, ანდა რაიმე ხელოვნებას ფულით ვერ იყიდი; ასევე შეუძლებელია სათნოების ჩვევათა მოხვეჭა გულმოდგინების გარეშე *(წმიდა ეფრემ ასური)*.

როგორც ბავშვი სწავლობს საუბარს, ასევე სწავლობს ზრდასრული იყოს კეთილი; ორივე რწმენითა და ვარჯიშით მოიპოვება.

ვინც სათნოების გაკვეთილებში განისწავლება და არ აღასრულებს მათ, ჰგავს ადამიანს, რომელიც ხნავს, მაგრამ თესვა ავიწყდება.

თუ გსურს, ღვთის მონა გერქვას, მონის ღვაწლი იტვირთე.

❧როგორც კიბეზე პირველი საფეხური მიწიდან იწყება, ასევე ღვთივსათნო ცხოვრებაშიც წარმატების დასაწყისი ბოროტებისგან განშორებაა *(წმიდა ბასილი დიდი)*.

❧ბოროტების არქმნა ღვთივსათნო ცხოვრების დაწყების მხოლოდ პირველი საფეხურია - არა უმეტეს იმისა, რომ მხოლოდ ასვლაა მანკიერი ცხოვრებიდან სათნოებისკენ. საკუთარი სულის ცხონებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ბოროტებისგან განშორება, საჭიროა აგრეთვე სიკეთის ქმნაც. დავით მეფსალმუნე ბრძანებს: ბოროტებასთან განშორების შემდგომ „ქმენი სიკეთე“ (ფს. 33,15).

❧როგორც ბოროტის ქმნაა ცოდვა, ასევითვეა სიკეთის აღუსრულებლობა *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

❧არა მხოლოდ ბოროტების ქმნა, არამედ – სიკეთის აღუსრულებლობაც მკაცრად განისჯება.

ერთნაირად ცუდია - ცუდის გასაკეთებლად მზადყოფნა და სიკეთის ქმნის დაყოვნება *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

თუ ცოდვას არ ჩავიდენთ და ღვთის წინაშე გულმოდგინედ არ ვილვაწებთ, ჰაერში ატაცებული ნახერხივით ვიტრიალებთ ზეცასა და მიწას შორის. ვერც ზეცისაკენ ავმაღლდებით და ვერც მიწაზე ვიდგებით მყარად.

არასასიამოვნოა ხეების ყურება გაშიშვლებული ტანითა და ტოტებით; არასასიამოვნოა ცქერა გაყინული მინდვრისა, რომელზეც ერთი ბალახიც კი არ არის მწვანე, მაგრამ კიდევ უფრო სევდისმომგვრელია სიკეთისადმი გაციებული გულის ცქერა, რომელსაც სასიკეთო ძალები, სიცოცხლის ხალისი და სიმართლის ნაყოფი აღარ აქვს.

საკმარისი არ არის, რომ ბოროტებას არ აკეთებდე; სიკეთეს უნდა იქმოდე, შემთხვევასაც კი უნდა ეძებდე მის საკეთებლად

ღვთის მონა არ შეიძლება, ეწოდოს მას, ვინც საკუთარ სურვილებს ემორჩილება. რამეთუ კაცი, ვისგანაც იმართება, მისი ბატონია *(ამბა ისაია)*.

მრავალი ქრისტიანი ღვთის გულმოწყალებიდან საკუთარ თავს ყველაფერს ჰპირდება, მაგრამ თავისი თავისაგან არაფერს მოითხოვს.

მართალია, ღმერთი მოწყალეა ჩვენს მიმართ, მაგრამ იგი მოგვიხმობს და გვეუბნება: „შენც გაიღე რაიმე“ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ქრისტეს გარეშე შენი ცხონების საქმეს ვერ აღასრულებ, არც ქრისტე გააკეთებს ამას უშენოდ.

შენთვის ერთნაირად ცუდია - განიშორო მადლმოსილი იმედი და გაგიჩნდეს მეტისმეტად თამამი აზრი, რომ ძნელი არაა სრულყოფილი იყო *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

საკუთარი თავისადმი უმკაცრესი სიფრთხილის გარეშე ადამიანისთვის შეუ-

ძლებელია, რაიმე სათნოებაში წარემატოს *(ამბა აგაფონი)*.

ღვინოს ან ცვილს მხოლოდ წნევის საშუალებით გამოაცალკევებენ; სწორედ ასევე, კეთილ საქმეებს სხვაგვარად ვერ აღასრულებ, თუ არა – გაძლიერებული შრომითა და ღვაწლით *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

არ აკეთო სიკეთე მხოლოდ იმიტომ, რომ ამას, შესაძლოა, რაიმე არასასიამოვნო მოჰყვეს, ნიშნავს იმას, რომ სამუდამოდ თქვა უარი სიკეთის ქმნაზე.

სათნოება ყოველთვის გარშემორტყმულია უბედურებებით, როგორც ვარდი – მჩხვლეტავი ეკლებით *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

ცოდვის ჩადენის სიადვილემ და სათნოების აღსრულების სიძნელემ არ უნდა გვაიძულოს, უარი ვთქვათ უკანასკნელზე და დავთანხმდეთ პირველს.

❦უმჯობესია, უმძიმესი ამოირჩიო, თუ იგი სასარგებლოა და ადვილი დატოვო, თუ იგი საზიანოა.

❦სიმაღლეზე ასვლა უფრო ძნელია, ვიდრე უფსკრულში ჩავარდნა. ასე რომ, განა უფსკრულში ჩავარდნა უნდა გვერჩიოს?

❦ვინც ღვთისმოსაობის ღვაწლს სასაცილოდ მიიჩნევს, ჰგავს იმ ადამიანს, რომელიც მდინარის დინების მიმართულებით მიცურავს და ამიტომ დინების მიერ ყოველგვარი პირადი ძალისხმევის გარეშე წაღებული დასცინის მათ, ვისაც სურთ, მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით გასცურონ და ნაპირზე ამოსულ მცენარეებს ეჯიდებიან.

❦თუ თავს ძალას არ დაატან, ცათა სასუფეველს ვერ მოიხვეჭ.

❦ზეცას ადვილად ვერ მოვიპოვებთ, თუ ზეცის ღირსეულად არ ვიცხოვრებთ *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

გამარჯვების ღვაწლის გარეშე არ არსებობს გვირგვინი, ზეიმი კი - გამარჯვების გარეშე *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ვინც მოთმინებას გაურბის, იგი ცხონებისაგან გარბის.

ცხონება მხოლოდ იმაში როდია, რომ ბოროტება არ გააკეთო, არამედ იმაშიც, რომ თვითონაც გმირულად დაითმინო ბოროტება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ცხონება ძნელია, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი შეუძლებელია.

ნუ იფიქრებთ, რომ მცნებების აღსრულება შეუძლებელია; ახლა მრავალნი აღასრულებენ მათ.

მინახავს მრავალი, რომლებსაც მეცნიერებაში ნაკლები მონაცემები ჰქონდათ, მაგრამ არავინ მინახავს, რომელსაც სათნოების აღსრულება არ შეეძლო.

უფალი შეუძლებელს არაფერს გვთავაზობს, არამედ მხოლოდ იმას, რისი მიღწევაც შესაძლებელია *(ნეტარი იერონიმე)*.

ბამბობენ, რომ სათნოება ძნელია. რომელი მადლი მოიპოვება ადვილად? განშვებით ვის დაუდგამს საკუთარი თავისთვის გამარჯვების ძეგლი? სარბიელის გარბენის გარეშე ვერავინ იღებს ჯილდოს. შრომა წარმოშობს დიდებას, თუ მკაცრად შევხედავთ, ეშმაკის საქმეებიც უკანონობის ჩამდენთ უშრომელად როდი ეძლევათ. განა თავშეკავება სხეულს იმდენივეს ართმევს, რამდენსაც აზიანებს ჯოჯოხეთური და გაშმაგებული თავშეუკავებლობა? უძილო ღამეები აქვთ მათ, ვინც მათ ლოცვაში ატარებენ; მაგრამ სიამოვნებათა ვნება ყოველგვარ სიმშვიდეს განდევნის *(წმიდა ბასილი დიდი)*.

რას არ ვაკეთებთ ამაო სურვილებისა და დანაშაულებრივი ვნებების დასაკმაყოფილებლად?! სიმდიდრისთვის სიმშვიდეს ვიღებთ მსხვერპლად, პატივს – ქონების მოსახვეჭად და სიმშვიდეს – ისევ იმისთვის, რომ პატივი მოვიპოვოთ.

რამდენი შრომა სჭირდება ადამიანს — თავისი ცოდვილი სურვილების აღსასრულებლად? როგორი შფოთი და ტანჯვა ხვდებათ წილად პატივისა და დიდების მოყვარულთ! როგორი დამაუძლურებელი შრომა ხვდება მას, ვინც სულ უფრო და უფრო მდიდრდება! ღვთის გულის მოსაგებად ასეთივე შრომას რომ ვეწეოდეთ, როგორც ვნებების სიამოვნებისათვის ვაკეთებთ, სულიერი სრულყოფილების როგორ სიმაღლეს მივაღწევდით!

ვაი რომ, მოღვაწენი და ძლიერნი მხოლოდ ჩვენი დაღუპვისთვის ვართ, ვიდრე იმისათვის, რაც ჩვენი ცხონებისათვის იქნებოდა საჭირო.

ყოველგვარი საქმის კეთებისას ვპოულობთ დროს, რომ უეცრად გაჩენილი რაღაც სურვილები დავიკმაყოფილოთ, ხელოვნების ამათუიმ დარგში სრულყოფილებას მივაღწიოთ, შევისწავლოთ ახალი მეცნიერება, ვიკითხოთ აზრსმოკლებული წიგნები. მხ-

ოლოდ სულზე ზრუნვისათვის არ გვაქვს დრო.

✝მიწიერი მადლიც კი არ მოიპოვება შრომის გარეშე; მაშ, რატომ გავურბივართ ზეციურ მადლს შრომის მიზეზით? *(წმიდა ნილოს სინელი).*

✝გაიხსენე, რამდენი შრომა გჭირდება პურის ერთი ნაჭრის მოსაპოვებლად;

✝ნუ დაიზარებ შრომას მარადიული ცხონებისათვის – უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი საქმისათვის.

✝სათნოებათა დასაწყისი მძიმეა, მაგრამ გაგრძელება სასიამოვნოა *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

✝ღვთის საქმე თავდაპირველად ძალდატანებით კეთდება: „სასუფეველი ცათაი იძულების“ (მათე 11,12), შემდეგ კი ამ საქმეს სიამოვნებით აღასრულებ.

✝მტკივნეულად იკუმშება გული, ცოდვის სიტკბოებას განშორებული, რომელიც ცხონების სიტკბოებისაკენ მისწრაფის.

სათნოების გზასე რაც მეტად წაიწევ წინ, მით უფრო მსუბუქი მოგეჩვენება შენი გზა (წმიდა იოანე ოქროპირი).

თუ დასაწყისში სულ ცოტათი მაინც დავატანდით თავს ძალას, შემდეგ ყველაფერს ადვილად და სიხარულით გავაკეთებდით.

წარმოიდგინეთ შემთხვევა, რომელსაც უზარმაზარი მდინარე ადამიანთა სურვილით კალაპოტს იცვლის. თავდაპირველად ამას ესაჭიროება უზარმაზარი, თითქმის შეუძლებელი ძალისხმევა – ვიდრე ამოითხრება ახალი კალაპოტი და წყალი გზას შეიცვლის. მაგრამ თუ მდინარემ ერთხელ მიიღო ახალი მიმართულება, ე. ი. წყლის მთელი ძალა ახალ კალაპოტში წარემართა - ახალ ნაპირებს შორის, დინების სიჩქარე - გავლილი გზის შესაბამისად - სულ უფრო და უფრო მეტად იზრდება. ასევეა გამტკიცება სათნოებაში. თავდაპირველად იგი წმინდანთაგან მოითხოვდა

დიდი ძალას, რომ გრძნობად ბუნებას აღ-სდგომოდნენ წინ, მოითხოვდა ბევრ ცრემლს და ლოცვას საკუთარი თავის წინააღმდეგ, ვიდრე მათი აზრები და სურვილები, მთელი გული არ მოსწყდა მიწიერს და უფალში არ განმტკიცდა, ვიდრე მათმა ცხოვრებამ არ დატოვა ძველი კალაპოტი და ახალი არ მიიღო. მაგრამ, როდესაც უფალ იესო ქრისტესადმი სიყვარულმა ღრმად გაიდგა ფესვები მათ გულებში, როდესაც მან მოიპოვა ძალა და სიცოცხლე და ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლაში განმტკიცდნენ; მაშინ მათთვის გაიოლდა, გამუდმებით უფალზე ეფიქრათ და თითქოსდა პირდაპირ მის თვალთა წინაშე ეცხოვრათ; მათი აზრთა დინება ჩვეულებრივად, საკუთარი კალაპოტით მიემართებოდა.

მართალია, სათნოებაში განმტკიცება დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ სანაცვლოდ იგი ძლიერ ახარებს სინდისს და ისეთ შინაგან კმაყოფილებას ანიჭებს, რომ

მისი გამოხატვა სიტყვით შეუძლებელია *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

✠ადამიანი, რომელიც საკუთარ თავ'ში, თუნდაც არასრულყოფილად იცავს ყოვლადსახიერი ღვთის ხატებას, ხარობს ყოველგვარი სიკეთით მაშინაც კი, როდესაც მხოლოდ ესმის მის შესახებ; ამიტომ ბუნებრივია მისი ნეტარება, როდესაც ამას იქმს.

✠სიკეთის ერთი შეხედვაც ბედნიერებაა მისთვის, ვისშიც სიკეთის განცდა არ გაუხეშებულა; მითუმეტეს, შესაბამისად, ბედნიერი უნდა იყოს იგი, როცა თვითონ აღასრულებს სიკეთეს.

✠ვინც ჯერ სათნოებაში წარემატება, შემდეგ კი კვლავ ბილწ ჩვეულებებს მიუბრუნდება, არა მარტო კარგავს ჯილდოს ძველი ღვაწლისათვის, არამედ ათასგზის სასჯელს ექვემდებარება, როგორც იგი, ვინც კეთილ საქმეთა აღსრულების სიტკბო შეიცნო *(„სულიერი მარგალიტი“).*

უდიდესია სათნოების ღვაწლი, ჯილდო კი მასზე აღმატებულია.

რაოდენ ძლიერ იღწვიან მიწიერი სიკეთის მოსაპოვებლად! და განა მასზე მეტად არ უნდა ვიღვაწოთ ზეციური ჯილდოსათვის?

თუ წარმოვიდგენთ სათნოების არა მხოლოდ სიმძიმეს, არამედ – მის ჯილდოსაც, მალე განვიშორებთ სულიდან ყოველგვარ ბოროტებას *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ამუამინდელი მწუხარება მომავალ მადლთან შეადარე და დაუდევრობა არასოდეს შეასუსტებს შენს ღვაწლს *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

არ არსებობს არანაირი მძიმე საქმე, რომელიც ღვთის ჯილდოს მოლოდინში მსუბუქად არ მოგეჩვენოს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ყველაზე მსუბუქი გზა სათნოებისაკენ არის ის, რომ უცქირო არა მხოლოდ შრომას, არამედ, ამასთან ერთად, ჯილდოზეც იფიქრო *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

❦გინდა შრომის გარეშე ქმნა სიკეთე? იფიქრე, რომ შრომა დროებითია, ხოლო ჯილდო კი მარადიულია *(წმიდა ნილოს სინელი)*.

❦ამბობენ, რომ ცხონება ძნელია, მაგრამ სამარცხვინოა და პატიებას არ იმსახურებს იგი, ვინც მიუხედავად ყველაფრისა ცხონებას ვერ მოიპოვებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

❦უფალმა შეგვიმსუბუქა სათნოების ღვაწლი არა მხოლოდ მომავალი სიკეთის იმედით, არამედ – სხვა საშუალებითაც, ე. ი. თავისი მუდმივი შეწევნით *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

❦„ტვირთი ჩემი მსუბუქ არს“ (მათე 11, 30), – ბრძანა უფალმა. მსუბუქია ჭეშმარიტად! მართლაც რა შეიძლება იყოს უმსუბუქესი იმ ტვირთზე, რომელიც თვითონ ტვირთულობს ყოველ მის მტვირთველს.. ასევე დაატარებენ სივრცეში ჩიტს მძიმე ფრთები, რომლებიც მას ასხია.

❦განა ჩიტისათვის მძიმეა ფრთები, რომლითაც იგი ჰაერში დაფრინავს? ასევე ჭეშ-

მარიტი ქრისტიანისათვის არ არის მძიმე მცნებები ქრისტესი, რომლის ქმნილება-ცაა ჩვენი სული, მასზე დაყრდნობით ზეცაში რომ აფრინდება.

✠გააკეთე ყველაფერი, რაც შეგიძლია და სთხოვე უფალს ის, რაც არ ძალგიძს; იგი აუცილებლად მოვა შენს დასახმარებლად (1 იოანე, 5, 14-15).

✠არ არის საჭირო, სიმძიმეთა გაზვიადებით გამოკვებო სიზარმაცე და სულმოკლეობა. მცირე ქვები ერთმანეთს ემატება და უზარმაზარ ტაძარს ქმნიან; ამის მსგავსად აღაშენე საკუთარი სული, რამდენადაც შესაძლებელია, განუწყვეტლივ, გაძლიერებული მადლიანი აზრებით, კეთილი სურვილებითა და საქმეებით და სრულად აღშენდები სულიერ ტაძარში.

✠ყოველთვის მცირედით უნდა დაიწყოთ, რათა დიდი საქმის კეთება შეძლოთ.

✠თითოეულმა შეძლებისდაგვარად სიკეთე აკეთოს და ნათლის საქმეებით გაბრწყ-

ინდეს, თუ დიდი მნათობების მსგავსად ვერა – მცირე ვარსკვლავებად მაინც.

თუ არ შეგიძლია, მზე იყო, ვარსკვლავი მაინც იყავი, ოღონდ მიწა დატოვე და მთაზე ადი. უმჯობესია, მცირედით მაინც წარემატო სათნოებაში, ვიდრე – სრულიად არაფრით *(წმიდა იოანე მმარხველი)*.

ისინი, ვისაც ჭეშმარიტი მოშურნეობა აქვს სათნოების მოსახვეჭად, დაცემის შემთხვევაში კვლავ უნდა ადგნენ და ისევ მოღვაწეობა დაიწყონ *(ამბა ისაია)*.

როდესაც ცუდი ჩვევის გამოსწორებას დაიწყებ, ასეთ დროს თუნდაც ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოცჯერ მაინც დაარღვიო კანონი, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი; კვლავ ადექი, განაგრძე იგივე შრომა და აუცილებლად გაიმარჯვებ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ერთმა ძმამ ამბა სისოს ჰკითხა: – „ამბა! რა ვქნა? დავეცი“. ბერმა უპასუხა: – „ადექი“. ძმამ უთხრა: – „ავდექი, მაგრამ

კვლავ დავეცი“. ბერმა უპასუხა: – „კვლავ ადექი“.– „სადამდე უნდა დავეცე და ავდგე?“ – კვლავ ჰკითხა ძმამ. – „სიკვდილამდე.“ – მიუგო ბერმა.

❧შეუძლებელია, არ დაეცე; მაგრამ საჭიროა და ვალდებულიც ხარ, დაცემული ადგე. თუ სწრაფად მორბენალი რაიმეს დაეჯახა, მეყსეულად ადგება და კვლავ მიზნისაკენ აგრძელებს გზას. – მიბაძე მას.

❧ხილულ და დროებით სამყაროში, რომელშიც ცხოვრობ, არაფერია უძრავი, არამედ ყველაფერი მიდის და გადაივლის. შენი ცხოვრებაც მიედინება და გადის; როგორც ჩანს, ხანდახან სხეულით ისვენებ, მაგრამ შენი იდუმალი ზრახვები და საიდუმლო სურვილები განუწყვეტელ მოძრაობაში არიან; ამიტომაც თუ ცხონების გზით არ მიდიხარ, მაშინ ნამდვილად დაღუპვის გზას ადგახარ, ანდა, თუ არ მიდიხარ, ეცემი, – სულიერი ცხოვრებიდან ხორციელში, ადამიანური ცხოვრებიდან

ცხოველსურში გადადიხარ და ვერც შეამჩნევ, როგორ ჩავარდები ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში, ორმაგ სიკვდილში.

✠ცხონების გზაზე სიკვდილამდე არ უნდა შევყოვნდეთ და შევჩერდეთ. ზნეობრივი სრულყოფილების რა ხარისხსაც არ უნდა მიაღწიო, მაინც სულ წინ უნდა ისწრაფოდე.

✠ადამიანის სული ამ სოფელში ძალიან ჰგავს ხომალდს, რომელიც ტალღების საპირისპირო მიმართულებით მიცურავს; ერთ ადგილზე გაჩერება დაუშვებელია და თუ იგი არ გამოიყენებს ძალისხმევას წინ წასასვლელად, სიღრმეში შთაინთქმება.

✠თუ ჩვენს ძალებს კეთილ საქმეებში არ ვავარჯიშებთ, უცილობლად გადავიქცევით რალაც ცუდად და მანკიერად; ისევე, როგორც მდინარეში ან დინების საწინააღმდეგოდ მივცურავთ, ან — მივდევთ მას.

✠სულიერი ცხოვრება ისეთია, რომ თუ წინ არ მივიწევთ, აუცილებლად უკან

ვბრუნდებით; თუ სიკეთისათვის სიფხიზლეს შევწყვეტთ, კეთილის ქმნისათვის ძალა ალარ გვექნება; რამდენადაც უფლისათვის არ ვცხოვრობთ, იმდენად ვცხოვრობთ ცოდვისათვის; და რაც მეტად ვცხოვრობთ ცოდვისათვის, მით ნაკლებად ვცხოვრობთ უფლისათვის.

ზეცისაკენ მიმავალ გზაზე თითოეული შეჩერება უკან გადადგმული ნაბიჯია, თითოეული დაყოვნება – ბევრის დაკარგვაა.

ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ განვლილი არასოდეს იყოს უკეთესი მომავალზე, ანდა – აწმყოზე *(წმიდა ბასილი დიდი)*.

აქ, დედამიწაზე ადამიანისათვის შესაძლებელი სრულყოფილება მხოლოდ სრულყოფილებისაკენ განუწყვეტელ და გამუდმებულ მისწრაფებაში მდგომარეობს (ფილ. 3,13-15).

ჩვენი სრულყოფილება სრულყოფის განუწყვეტელი პროცესია.

ის, ვინც კარგია, გამუდმებით უნდა შრომობდეს, რათა უკეთესი გახდეს.

✠რაც უფრო მახვილი მხედველობა გვაქვს, მით მეტად შევიცნობთ, რამდენად შორს ვართ ზეცისაგან. ამრიგადვე, რაც მეტად წარვემატებით სათნოებაში, მით მეტად ვისწავლით შეცნობას იმისა, რაოდენ დიდი მანძილია ღმერთსა და ჩვენს შორის *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠რაც მეტად უახლოვდება ადამიანი ღმერთს, მით მეტად ხედავს საკუთარ ცოდვილობას *(ამბა დოროთე)*.

✠ადამიანი ღმერთი არ არის; მაგრამ მისი არსებობის მიზანი, უფლის მცნების მიხედვით, ღვთის მსგავსებაა (ლევ. 11, 45; მათე 5, 48).

✠შენი სათნოებების რიცხვი ზეცაში ვარსკვლავთა რაოდენობის ტოლი რომ იყოს, მაშინაც ვერ იქნები სიწმიდით ღვთის თანასწორი.

✠რაოდენ მაღალსნეობრივიც უნდა იყო, სჯული – სულის ღმერთთან მიახლოების სულიერი კიბე – შენზე მაღლა დგას ყოველთვის.

✠იმას კი ნუ უყურებ, რამდენი გაიარე, არამედ იმას შეხედე, რამდენი დაგრჩა კიდევ გასავლელი.

✠იმ საფეხურებს კი ნუ შეხედავ, რომლებიც უკვე გაიარე, არამედ მათ, რომლებიც კიდევ გასავლელი დაგრჩა.

✠როგორც მდინარეში მოცურავე იმდენად არ ფიქრობს იმაზე, ბევრი გამოცურა თუ არა ნაპირიდან, არამედ უფრო მეტად იმაზე – შორია თუ არა იმ ნაპირამდე, რომლისკენაც მიცურავს; რადგან, თუკი თუნდაც ერთი საჟენის ანდა ერთი არშინის მანძილის გასაცურად მაინც არ ეყოფა ძალა, – ჩაიძირება; ასევეა სასუფევლისაკენ მიმავალ გზაზეც.

✠ის კი არ არის ნეტარი, ვინც კარგად იწყებს, არამედ ის, ვინც კარგად ამთავრებს თავის მოღვაწეობას *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✠დიდი შრომა არ არის საჭირო საძირკვლის ჩასადებად, ძნელი შენობის დასრულებაა. და რაც უფრო მაღლა ალიმართება

შენობა, მით მეტ სიძნელეებს გამოუჩენს იგი მშენებელს საქმის დასრულებამდე *(წმიდა ეფრემ ასური)*.

ვინმემ, მთელი გზაც რომ გაიაროს, მაგრამ, თუნდაც ერთი სარბიელით ადრე შეჩერდეს, ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებს, იმიტომ რომ ჯერაც არ იმყოფება ქალაქში *(ამბა იოანე)*.

ვიდრე ამქვეყნად – ხორცში ვიმყოფებით, სათნოებების საშუალებით ზეცის კამარამდე რომც ავმაღლდეთ, საქმისა და შრომის, საზრუნავის გარეშე ვერ დავრჩებით *(წმიდა ისააკ ასური)*.

ყოველ დროს ჩვენ გველის საფრთხე: არასოდეს არ უნდა მივეცეთ უზრუნველობას სულის ცხონების საქმეში. ფიცხ ცხენებს ყოველთვის აღვირით აკავებენ. ხშირად ხდება, რომ გემები უკვე ნავსადგურთან დამსხვრეულან და დაღუპულან – მოულოდნელი ქარიშხლისაგან *(ამბა კესარი)*.

✠როგორც ადამიანი თავისი მინდვრის ნაყოფის მიღებას დანამდვილებით მანამდე არ იმედოვნებს, ვიდრე მას ქოხში არ დააბინავებს, ასევე არც შენ შეგიძლია, დარწმუნებული იყო, როგორ ნაყოფს მიიღებ შენი გულისაგან, ვიდრე სუნთქვა შეგიძლია *(ამბა ისაია)*.

✠ვიდრე ადამიანი ღვთის სამსჯავროს წინაშე არ წარსდგება, საკუთარ თავზე რეალურ განჩინებას არ მოისმენს, თავისთვის მიჩენილ ადგილს არ დაინახავს, მანამდე არ შეუძლია, იცოდეს, სათნოეყო თუ არა ღმერთს *(ამბა ისაია)*.

✠ცოდვა საფლავის კარამდე არავის ტოვებს. ამიტომ მანამდე სიფხიზლე და გულის განწმენდაა საჭირო.

✠სინანულის ღვაწლი და ვნებებთან ბრძოლა მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გრძელდებოდეს.

✠განსაცდელები სასიკდილო სარეცელზე მყოფსაც კი ებრძვიან – მხოლოდ

მაშინ ანებებენ თავს, როდესაც სული სხეულს გაეყრება.

✦თუ საკუთარი სისუსტე მუდამ გემახსოვრება, არასოდეს გადააბიჯებ სიფხიზლის საზღვრებს *(წმიდა ისააკ ასური)*.

✦სულისათვის განუწყვეტელი ყურადღება აუცილებელია, რადგან მისი ბუნება ცვალებადია *(ამბა ისაია)*.

✦ერთი შეუფერებელი აზრით შესაძლოა, ასწლიანი მაცხოვნებელი შრომა დაკარგო.

✦ბოროტების (დაცემისა და თვით დაღუპვისაც — სათნოებებში მრავალწლიანი მოღვაწეობის შემდეგაც) დასაწყისი სიკეთისადმი დაუდევრობაა, ისევე, როგორც უკუნეთის დასაწყისი არის განშორება ნათლისა *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✦ბოროტების დასაწყისი დაბნეულობაა *(ამბა ჰიმენი)*.

✦ჩვენი გულები — ყანაა, რომელზეც ადვილად შესაძლებელია, დაითესოს სარ-

ეველა, თუ საკუთარ თავს დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ დავტოვებთ.

დაცარიელებული მიწა ეკალ-ბარდებითაა სავსე, მოუვლელი სული კი — არაწმიდა აზრებით.

მართალიც არავინ არის დაცული დაცემისაგან, თუ დაუდევრობაში იქნება.

როგორც არ უნდა მიჩქმალო ფერფლის ქვეშ ნაპერწკალი, სწრაფად აენთება და ადვილად აალდება, როგორც კი გაუფრთხილებლობით დაირღვევა საფარი, რომელიც ქარისაგან იცავდა. ასევე ხდება სულიერ ცხოვრებაშიც. ცოდვილი ვნებები, რომლებიც ღვთივსათნო ადამიანებშიც შემორჩენილია ისევ, როგორც — ნაპერწკალი ფერფლის ქვეშ, მცირეოდენი გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც კი სამყაროს ხრწნადი სუნთქვისაგან ინთება და აალდება. ქრისტიან მოსაგრეთა შესახებ ცხოვრების მკითხველებმა იციან, რაოდენ მრავალი მაგალითი არსებობს იმისა, თუ

არცთუ იშვიათად გაუფრთხილებლობის ერთი წუთიც კი, ერთი უდიერი სიტყვა, ერთი მზაკვრული შთაგონება, ერთი ბოროტი აზრი როგორ ღუპავდა მთელი ათწლეულების შრომასა და ღვაწლს.

ყველას უნდა გვეშინოდეს დაუდევრობისა — თუნდაც წუთიერისა — ჩვენი ცხონების საქმეში. ერთ წუთს შეუძლია, ადამიანი მართლიდან ცოდვილად აქციოს. ადამი დაეცა, სოლომონმა ღმერთი დაივიწყა, წმიდა მოციქულმა ღმერთი უარყო. თუ პატარა ქარისაგან კედარის ხეები იმუსრება, განა სუსტი ტოტები წინააღმდეგობას შესძლებენ?

ცხონების საქმეში ყველაზე საშიში ის არის, როდესაც წარმოვიდგენთ, თითქოს საფრთხე აღარ გვემუქრება.

ვიდრე სხეულში ხარ, ნუ იქნები უდარდელი, ნურასოდეს მიენდობი საკუთარ თავს, თუნდაც ხანდახან თავს ვნებებისაგან თავისუფლად გრძნობდე; რამეთუ მტერი

მზაკვრული მოსაზრებით დროებით წყვეტს თავდასხმებს, რათა მოშურნეობა შევასუსტოთ; მაშინ ისინი თავს გვესხმიან ჩვენ, უგუნურებს, მიიტაცებენ საბრალო სულს, როგორც პატარა ჩიტს, და მას უფრო მძიმე ცოდვებში აგდებენ, ვიდრე იყო ისინი, რომელთაგან თავის დახსნაზეც იგი ადრე ოცნებობდა *(ამბა ისაია)*.

სამყაროს შუაგულშიც კი მზად იყავი ბრძოლისათვის.

ყოველთვის სიკეთე აკეთე, რათა ეშმაკს მუდამ დაკავებული დახვდე. სიკეთე ან აკეთე, ან თქვი, ან ჩაიფიქრე.

ხან ილოცე, ხან იკითხე, ხანაც ხელსაქმე აკეთე.

ჩვენი სული ცვალებადია და ჰგავს რკინას, რომელსაც, თუ დაუდევრად მოვექცევით, ჟანგი შეჭამს, ხოლო თუ მას ცეცხლში გავახურებთ, განიწმინდება. ვიდრე ცეცხლშია იგი, მასვე ჰგავს, ისე, რომ არავის ძალუძს მასთან შეხება, რადგან

ცეცხლია იგი. ასევეა სულიც, როდესაც მიისწრაფის ღვთისაკენ და ესაუბრება მას, ცეცხლი ხდება და წვავს თავის მტრებს, სწორედ მათ, რომლებიც ჩვეულებრივად თრგუნავენ მას, როდესაც უდარდელი ძილით სძინავს *(ამბა ისაია)*.

ღვთისმოსაობის რა საფეხურსაც არ უნდა მიაღწიო, ნურასოდეს ენდობი საკუთარ თავს. ეს მაცხოვნებელი შიში უნდა გაიზარდოს შენში იმის მიხედვით, თუ როგორ წარმატებებს მიაღწევ სრულყოფილებაში. რაც უფრო ძვირფასია საგანძური, რომელსაც ფლობ, მით მეტი უბედურება იქნება მისი დაკარგვა. მიბაძე ფრთხილ ვაჭარს, რომელიც შიშით უფრო მეტად შფოთავს იმ დროს, როდესაც სამშობლოში ბრუნდება ძვირფასეულობით დატვირთული მისი გემი, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი ნავსადგურიდან გადის საქონლის მცირე რაოდენობით; მისი შიში იზრდება იმ დანაკარგის მნიშვნელობასთან

ერთად, რომელიც, შესაძლოა, მას შეემთხვევს.

✻რაც უფრო მაღლა ახვალ ზნეობრივი სრულყოფილების კიბეზე, მით მეტად იფხიზლე საკუთარ თავთან, გამუდმებით დააკვირდი მას, რათა დაუფიქრებელი ნაბიჯი არ გადადგა და საკუთარი უდარდელობის მსხვერპლი არ გახდე, ამ დროს დაცემის საფრთხეც მეტია. „რაც მეტად უახლოვდები ღმერთს, – ბრძანებს სქიმონაზონი პართენი,– მით მეტად დაგიპყრობს მტერი“. თვით დაცემის შედეგები ამ დროს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება. „ვინც იატაკზე ეცემა, – ბრძანებს წმიდა ნილოს სინელი, – სწრაფად დგება; ვინც მაღალი ადგილიდან ეცემა, შესაძლოა, სასიკვდილოდ დაშავდეს“. ლოცვას და ღვთის შიშს ერთი წუთითაც ნუ განეშორები.

✻ლატანი იჭერს ნაყოფით დატვირთულ ტოტებს, ღვთის შიში კი – ღვთისმოსავ სულს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✠ნუ იამაყებ იმით, რომ დგახარ, არამედ გეშინოდეს, რომ არ დაეცე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠თავმდაბლობა ყველაზე კარგი საშუალებაა ღვთისმოსავისათვის – დაცემისაგან დასაცავად. „თავმდაბალი, – ბრძანებს მაკარი დიდი, – არასოდეს ეცემა. სადღა დაეცემა იგი, ვისაც საკუთარი თავი ყველაზე უდაბლესად მიაჩნია?“

✠კეთილი საქმეები აღასრულე, მაგრამ დაივიწყე ისინი.

✠შენი კეთილი საქმეების დავიწყება ყველაზე უსაფრთხო ადგილია მათ შესანახად *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠სათნოება ყოველთვის უსაფრთხოა. როდესაც საუნჯეს გარეთ გამოფენენ, ის გატაცების საფრთხის წინაშე დგება. ცოცხალი ფერები მზის სხივებისაგან ხუნდებიან.

✠ეცადე, ისე იცხოვრო, რომ სხვებისათვის მაგალითი იყო, მაგრამ შენი მხრიდან ნუ შეეცდები, გამოაჩინო შენი კეთილი საქმეები

და მითუმეტეს, მხოლოდ ადამიანთა თვალწინ ნუ აღასრულებ მას – ეს ნუ იქნება შენი მიზანი სიკეთის ქმნისას.

✗სანთელი წვას განაგრძობს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა იქ ადამიანები; ასევე მორწმუნენი გამუდმებით უნდა აღასრულებდნენ სიკეთეს და არ უნდა ფიქრობდნენ იმის შესახებ, უცქერს თუ არა ვინმე მათ საქმეს.

✗სიკეთის ქმნა ადამიანთა თვალწინ იმისათვის, რომ მათი პატივისცემა მოიპოვო, ნიშნავს იმას, რომ მეტისმეტად იაფად შეაფასო საკუთარი თავი და შენი შრომა – ეს ნიშნავს, დაღუპო შენი კეთილი საქმეები ღვთის თვალში.

✗იმისათვის, რომ სათნოეყო ღმერთს, მხოლოდ კეთილი საქმეების აღსრულება არ კმარა, არამედ ისინი კეთილად უნდა აღასრულო.

✗ქმნა იმისა, რაც ღმერთს სურს და მაგრამ არა – ისე, როგორც მას სურს,

ნიშნავს, ცუდად გააკეთო სიკეთე და, შესაბამისად, საერთოდ არ აღასრულო იგი.

მოსაგრეც არ იქნება დაჯილდოებული, თუ უსამართლოდ იღვაწებს (2 ტიმ. 2, 5).

ღვთისთვის სათნო კეთილი საქმე, რისთვისაც ადამიანი ღვთის მიერ ჯილდოს ღირსი გახდება, არის ის, რომელიც სიყვარულის სულითაა შთაგონებული, სიბრძნითაა მოწონებული და აღესრულება მამაცობით, სიმტკიცითა და საკუთარი თავის უარყოფით.

უფალი იმას კი არ უყურებს, ვინ რამდენს აკეთებს, არამედ იმას, რისგან წარმოდგება საქმე.

კეთილი საქმეები განზრახვით ფასდება *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*.

საქმე კეთილი განზრახვის გარეშე იგივეა, რაც მჭლე შესაწირავი (ფს. 65, 15), ანდა სხეული სულის გარეშე; ღმერთი მაო უარყოფს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

გულის განწყობის მიხედვით ფასდება. შესაწირი დიდია თუ მცირე: მხოლოდ იგი ადებს საგნებს ნამდვილ ფასს *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*.

წმიდა საქმეა, სიკეთე აირჩიო სხვა არაფრისათვის, თუ არა — თვით სიკეთისათვის *(წმიდა ნილოს სინელი)*.

გაცილებით მეტს ნიშნავს, თვით სიკეთის გამო სიკეთეზე უარის თქმა არ გსურდეს, ვიდრე ბოროტების შიშის გამო ბოროტებაზე არ დათანხმდე.

ჯერ კიდევ არ უყვარს სიკეთე და ბოროტება არ შეუძულებია მას, ვინც უკანასკნელს ებრძვის მხოლოდ იმის იმედით, რომ ბოროტებაზე გამარჯვებულის დიდებას მოიხვეჭს.

ვინც სათნოებაში რაიმე სარგებელის მილების იმედით ვარჯიშობს, მტკიცე არ არის, რამეთუ მიზანი გადაივლის და იგი შეწყვეტს სიკეთის ქმნას, როგორც მოგებისათვის მოკურავე შეწყვეტს ცურვას, თუ

მოგების იმედს ვერ ხედავს *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).*

თუ ჩვენ კეთილსინდისიერ საქციელს სათნოების შთაგონებით არ ვიქმთ, არამედ ანგარების გამო, მაშინ ჩვენ მხოლოდ მაამებლები ვართ და არა – სათნოების მოქმედნი.

დაფიქრდი: შენ თვით სათნოებასაც აანაწყენებ, როდესაც თვით მისთვის არ იქნებ *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

შეეცადე, ყველას სიკეთე გაუკეთო და ყურადღებას ნუ მიქცევ იმას, მიიღებ თუ არა ამისაგან პირად სარგებელს.

გააკეთე ის, რაც ღირსია ჯილდოსი, მაგრამ ნუ ეძიებ მას.

დიდ ჯილდოს მიიღებ, თუ სიკეთეს ჯილდოსათვის არ აღასრულებ (თვითონვე ზეციურისთვისაც კი) *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

ისურვე ის, რაც ღმერთს სურს; გააკეთე ისე, როგორც ღმერთს სურს; გააკეთე იმისათვის, რომ ღმერთს სურს

თავი და არსი (შეიძლება ითქვას, სული) ყველა სათნოებისა არის სიყვარული, რომლის გარეშეც არაფერს ნიშნავს არც მარხვა, არც ღამისთევა, არც შრომა. ეშმაკს ყველაფერში შეუძლია, მიბაძოს ადამიანს: მარხვას დავასახელებთ? – იგი საერთოდ არაფერს ჭამს; ღამისთევა? – მას არასოდეს სძინავს და ყოველთვის ფხიზლობს (1 პეტრ. 5, 8). მხოლოდ სიყვარულისა და თავმდაბლობის მიბაძვა არ ძალუძს მას *(ნეატრი ავგუსტინე)*.

არ არსებობს სათნოება, რომელიც ადამიანს ღმერთთან დაამეგობრებს და შეაერთებს და რომელიც სიყვარულზე არ არის დამოკიდებული და მას არ მიემართება, არამედ ის აუცილებლად – მასზეა დამყარებული და მისით განმტკიცებული.

ღვთის ყველა მცნება ერთიანდება ერთში, სწორედ რომ სიყვარულის მცნებაში (მათ. 22. 37-40).

ყოველგვარი სათნოება სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულის სხვადასხვა სახეობა *(ნეტარი ავგუსტინე)*.

სათნოება თავისი არსით ერთია (ეს სიყვარულია), მაგრამ სულიერ ძალებში სახეს იცვლის, ისევე, როგორც სინათლის შუქს ფორმა არა აქვს, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, იღებს იმ სივრცის ფორმას, რომელსაც გადის.

ლოცვა

ლოცვა ქრისტიანის მოვალეობაა, და უპირველესიც, რომელიც მან უნდა აღასრულოს.

„ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი – ამ ცისქვეშეთში“ (ეკლ. 3, 1); როგორ არ უნდა გქონდეს

დრო ლოცვისა, რომელიც უპირველესია ამ ცისქვეშეთში?

თუ გართობისთვის დრო საკმარისია, რატომ უნდა იწუწუნო, რომ ლოცვის დრო არ გაქვს?

ლოცვის დროს მხოლოდ ის ვერ ნახულობს, ვისაც ლოცვა არ სურს.

რაც არ უნდა ფართო იყოს შენი ყოველდღიური საქმიანობა, რაც არ უნდა მძიმე იყოს შენი ყოველდღიური შრომა, რომლითაც არსებობის პურს მოიპოვებ, უეჭველია, რომ შეგიძლია, სულ ცოტაოდენი დრო გამოუყო დღისა და ღამის დასაწყისი საათებიდან ლოცვით საუბარს ღმერთთან და დღის განმავლობაში წუთი მაინც გამონახო, რათა ფიქრით ჰიმართო ღმერთს — და თუ ეს შესაძლებელია, თვით მეცადინეობის ან საქმიანობის დროსაც განუწყვეტლივ ილოცო. „საქმე ხელშია, — ამბობს ერთი მოსაგრე, — ლოცვა კი — ბაგეებზე“.

ლოცვა უპირველესი უნდა იყოს, რადგან მის გარეშე შეუძლებელია რომელიმე მადლმოსილი საქმის აღსრულება.

მყუდრო და წრფელი ლოცვის ჟამს ყოველი ვნება და ცოდვა კაცის გულში უნებლიედ დადუმებულია, ხოლო, თუ კაცი ლოცვას მხურვალებით ხშირად გაიმეორებს, მაშინ მისი ყოველი ცუდი სურვილი და ყოველივე გულისთქმა სრულიად დაიძირებს და დაიმალება *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე)*.

ვინც იგრძნო ტკბილი გემო ლოცვისა, ცხოვრების სიმძიმეს ადვილად იტვირთავს *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე)*.

ლოცვის კიდევ ერთი და ამასთანავე – უმაღლესი თვისება ისაა, რომ ამ დროს კაცი ღმერთის წინაშე დგას *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე)*.

ლოცვა პირდაპირი და მჭიდრო კავშირია, იგი კაცის სულის ღმერთთან შეერთებაა *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე)*.

თუ ღმერთთან საუბარი ანუ, ლოცვა ისწავლე და ღმერთის პირის წინაშე კეთილი გრძნობით იქცევი, სული შენი განიწმიდება და ამაღლდება, რაც კი შენში უკეთური, უწმინდური და ხენეშია – ყოველივე დაჩვილდება და დადნება, ხოლო შენ კეთილი,კაცთმოყვარე და ლმობიერი შეიქმნები *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე).*

იმისათვის, რომ ღატაკმა მოწყალება მიიღოს, მისკენ ხელი უნდა გაიწოდო; იმისათვის, რომ ჩვილმა საკვები მიიღოს, მან პირი უნდა გახსნას; ამის მსგავსად, ადამიანმა ღვთისკენ ხელი უნდა გაიწოდოს, რათა მის მადლს მისწვდეს; გახსნილი სული უნდა ჰქონდეს, რათა მისგან ძღვენი მიიღოს. ლოცვა გაწვდილი ხელია ღვთის მადლის მისაღებად, გახსნილი ბაგეებია ზეციური სააკვების მისაღებად.

ლოცვა ოქროს გასაღებივით გვიხსნის ღვთის მოწყალებისა და გულუხვობის ყველა საუნჯეს.

ლოცვა აღვალს, ხოლო ღვთის წყალობა გარდამოვალს.

ლოცვა სულიერი ადამიანის სუნთქვაა. როგორც ხორციელი სუნთქვით ადამიანი მიიზიდავს გარშემომყოფ ჰაერს და მისგან სიცოცხლესა და ძალას შეისუნთქავს, ასევე ლოცვით სული ღებულობს ყველგანმყოფ ღვთის სულს და მისგან სიცოცხლესა და სულიერ ძალას შეიწყნარებს.

ლოცვის აუცილებლობა, სარგებლიანობა და სიტკბო სრულად იციან ზეციურმა სულებმა, ხედავენ და გრძნობენ და ამიტომ დღედაღამ (აპოკ. 4, 8), განუწყვეტლივ ადიდებენ უფალს და ლოცვით უერთდებიან მას. „ზეცის ბინადართა ლოცვით დაღლა, – წერს ერთი წმიდა მამა, – იგივეა, რაც ის, რომ ჩვენ სუნთქვით დავიღალოთ“.

ლოცვა იგივეა სულისათვის, რაც საკვები სხეულისათვის; ამიტომაც ლოცვითი განწყობის ნაკლებობა ისევე აუძლურებს სულს, როგორც სხეულს მადის ნაკლებობა – უძლურება და ავადმყოფობა.

✤თუ ლოცვაში ვერ გავნიცდით ღმერთთან ერთობის სიტკბოებას და შინაგანად არ განვმტკიცდებით, ხომ არ ქმნის ეს ჩვენს სულში იმავე მდგომარეობას, როგორიც ექმნება სხეულს, როდესაც კვების პროდუქტები არ მოგვწონს და უგემურად გვეჩვენება?

✤ლოცვის გარეშე ჩვენს სულიერ ცხოვრებას შია კიდევაც, სწურია კიდევაც, და კვდება კიდევაც *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✤საშიშია, შებრალების ღირსია მდგომარეობა ქრისტიანისა, რომელსაც ლოცვა არ შეუძლია. ბედნიერებაში იგი ქედმაღალი და ამპარტავანია, უბედურებაში – სულმოკლე და მოწუწუნე; გზააბნეულობისას დამმოძღვრელი არ ჰყავს, სისუსტის ჟამს – დასაყრდენი, განსაცდელის ჟამს კი – მეგობარი (იაკ. 5, 16; რომ. 15, 30).

✤წმიდანთა ლოცავს უდიდესი ძალა აქვს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ თვითონაც ხშირად გულმოდგინედ ვლოცულობთ *(ძველი პატერიკი)*.

✣რწმენა, იმედი და სიყვარული ლოცვის საფუძველი და არსია. თუ ეს ფესვები ძლიერია, ლოცვა თვითონ გამოიღვიძებს შიგნით და მთლიანად იხსნება; რადგან როგორც ნორჩი ფესვები, რომლებიც სითბოთი და სინესტით იკვებებიან, თვითონვე ბუნებრივად იძლევიან ყლორტებს, ასევე ამ სათნოებებით დატენიანებული სულისთვისაც აუცილებელია ლოცვა.

✣ლოცვის უსიყვარულობა თვით უფლის უსიყვარულობას ნიშნავს,

✣როგორც თევზი ცხოვრობს წყალში და წყლით, ასევე ღვთის მოსიყვარულე სული ლოცვაშია და ლოცვით ცხოვრობს. ეს იმისაგან ხდება, ღვთის მოსიყვარულე სული განუწყვეტლივ ისწრაფის და სწყურია თავისი საყვარელი შემოქმედი. ეს სწრაფვა ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ ღვთის სიყვარულით ანთებული ადამიანები ძილშიც ლოცულობენ და თანაც, ისე ძლიერად, რომ ზოგჯერ ლმობიერების ცრემლები გამოაღვიძებთ ხოლმე.

თუ ლოცვა არ გვსურს, ჩანს, ღმერთთან ყოფნა არ გვინდა.

თუ ლოცვის სული არ გაქვს, შეეცადე, სულ უფრო მეტად შეიცნო, ერთი მხრივ, საკუთარი სილატაკე, ხოლო მეორე მხრივ, ღვთაებრივი მადლის ნიჭთა სიმდიდრე. მაშინ ღვთისმოშიში ლოცვა თვითონ აღმოხდება შენს სულს.

იმისათვის, რომ ლოცვას მიეჩვიო, ნუ დაელოდები მისდამი განწყობას, არამედ აიძულე საკუთარი თავი, რამეთუ „სასუფეველი ცათაი იიძულების და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი“ (მათე 11, 12). მრავალნი შინაგანი აღმაფრენის მოლოდინში სრულებით ჩამოშორდნენ ლოცვას.

საკუთარ თავს აიძულე, რომ ბევრი ილოცო, ლოცვა სინათლეა სულისა *(ამბა ისაია)*.

როგორც ღრუბლებიდან ელვა გამობრწყინდება, ასევე ლოცვიდან - ჭეშმარიტებისა და გონიერების ნათელი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ვისაც კარგად ცხოვრება შეუძლია, მას კარგად ლოცვაც ძალუძს *(ნეტარი ავგუსტინე).*

ლოცვა სიკეთეში განამტკიცებს კეთილს, ბოროტს კი, ღვთის მადლით, კეთილად აქცევს.

ზოგიერთი ლოცვას იწყებს, როგორც ცოდვილი და ამთავრებს მას – როგორც მართალი.

ლოცვა ნესტიანი ღრუბელივით ხან გვიცავს მწველი ზრახვებისაგან, ხანაც რწყავს და გამოაცოცხლებს ცრემლების ნაკადით მათ,ვინც ამით მოსაგრეობენ*(ნეტარი ავგუსტინე).*

იმისათვის, რომ სიმშრალისაგან დასუსტებული ბაგირები ასპარეზობის მსვლელობისათვის დაიჭიმოს, მათ წყლით ატენიანებენ; შენც დაატენიანე მხურვალებისაგან დასუსტებული ვნებები, შენი გამომშრალი სული კი – ცრემლიანი ლოცვით და შენი გონებაც განმტკიცდება, რათა დაგიფარის მან აზრობრივი და ვნებების ქარებისაგან.

ლოცვის დროს ცრემლები სულის საუკეთესო განსაწმენდელია; მაგრამ ლოცვის შემდგომ გახსოვდეს, რაზე ტიროდი *(წმიდა ნილოს სიტყვი)*.

ყოველთვის ის განწყობა იქონიე, რაც გულწრფელი ლოცვის დროს გქონდა.

როდესაც ლოცვის შემდგომ დრო გავა და დაინახავ, რომ შენში ანთებული ცეცხლი ნელ-ნელა ქრობას იწყებს, მეყსეულად ისწრაფე ლოცვისაკენ და გაყინული გული გაითბე *(წმიდა იოანე ოქრიპირი)*.

ლოცვა მხოლოდ სათნოების საშუალება როდია, არამედ – თვითონაც სათნოებაა.

ისე ილოცე ღვთის წინაშე, თითოს უფალს ხედავდე, რადგან იგი ნამდვილად გხედავს შენ.

რატომ ხუჭავენ თვალებს ლოცვის დროს? იმიტომ, რომ ყოვლადუსენაესი არსების უწმიდესი სახის წინაშე წარსდგებიან.

✠ამაო და უნაყოფოა ლოცვა, ვედრება და თხოვნა, როდესაც იგი აღესრულება არა შიშითა და თრთოლით, არა სიფხიზლით. თუ მეფის – ადამიანის წინაშე წარდგომისას სათხოვარს ყველა შიშითა და თრთოლით, მოკლე ყურადღებით გადმოსცემს, განა ღვთის, ყოველთა მეუფისა და ქრისტეს, მეუფეთა მეუფისა და ხელმწიფეთა ხელმწიფის წინაშე ასევე არ უნდა აღავლინო ლოცვა და ვედრება?

✠დაუფიქრდი, რას აკეთებ და ვის ესაუბრები და შენი ლოცვა ცოდვა არ იქნება.

✠ყველაზე მჭევრმეტყველი ლოცვა ისაა, რომელშიც უბრალოდ, გულიდან ამოსულ გასაჭირს დავდებთ ყოველთა მოსიყვარულე ღვთის მიმართ.

✠მხოლოდ ბაგეებით მლოცველი ჰაერის წინაშე ლოკულობს და არა – ღვთის; უფალი გონებას აქცევს ყურადღებას და არა – სიტყვებს, ადამიანებისაგან განსხვავებით *(წმიდა ჰეტრე დამასკელი)*.

✦უგულისყურო და ზარმაცი ლოცვა ამაოდმეტყველებაა *(წმიდა ანტონი დიდი)*.

✦ჩვენი ლოცვა უმეტეს შემთხვევაში არ შეისმინება, ანდა, როგორც იტყვიან, ღმერთამდე არ აღწევს, რადგან ის თვით ჩვენამდეც არ აღწევს — ჩვენი სულიდან და გულიდან არ ამოდის.

✦შენ თვითონ არ გესმის საკუთარი ლოცვა, მაშ, როგორ გინდა, რომ უფალმა შეისმონოს ის *(წმიდა იოანე ოქროპირი)*?

✦ნუთუ ფიქრობთ, რომ უფალი მოუსმენს ლოცვას, რომელსაც თვითონ არ უსმენთ?

✦ხანგრძლივი,მაგრამ უყურადღებო ლოცვის მოქმედება სულზე ჰგავს რკინის სახურავზე წამოსულ თავსხმა წვიმას, საიდანაც მთელი წყალი ჩამოირეცხება, რა რაოდენობისაც არ უნდა იყოს იგი და სახურავზე არანაირ გავლენას არ ახდენს. ამის საპირისპიროდ, ყურადღებიანი ლოცვა შეიძლება, შევადაროთ მადლმოსილ წვიმას, რომელიც რწყავს დათესილ მინდორს,

კვებავს მცენარეებს და მდიდრულ მოსავალს ამზადებს.

✗ლოცვის დროს გაბნეულობა და სიცივე, რომელსაც ყველანი უჩივიან, თითქმის ყოველთვის იმის შედეგია, რომ ლოცვას ვიწყებთ წინასწარი მომზადების გარეშე. მიწათმოქმედი თესლს მინდორში მიწაში იმაზე ადრე არ ყრის, ვიდრე მას ამისათვის შესაბამისად არ მოამზადებს. მნიშვნელოვანი პიროვნების წინაშე წარსადგომად, რომლისაგანაც რაიმე წყალობას ველით, წინასწარ ვფიქრობთ, რა უნდა ვთქვათ მასთან. მითუმეტეს, არ უნდა წარვსდგეთ ღვთის წინაშე ლოცვით – შესაბამისი მომზადების გარეშე.

✗ჯერ საკუთარი თავი უნდა განიწმინდო და შემდეგ ესაუბრო ყოვლადწმიდა უფალს *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✗მხოლოდ წმიდა სულიდან აღმოხდება ჭეშმარიტი ლოცვა ღვთის მიმართ *(ამბა ისაია)*.

როგორიც გვსურს ვიყოთ ლოცვის უამს, ისეთი უნდა ვიყოთ ლოცვის წინა პერიოდში. ჩვენი სული ლოცვის დროს აუცილებლად ღებულობს წინარე მდგომარეობის განწყობას და ლოცვის დროს ზეცად აღიტაცება, ანდა ჩაეფლობა მიწიერში იმავე ზრახვებით, რითაც ლოცვამდე იყო გართული *(წმიდა ნილოს სიტყვი)*.

ის, რითაც იყო დაკავებული ჩვენი სული ლოცვამდე, აუცილებლად ჩნდება მეხსიერებაში ლოცვის უამსაც. ამიტომ ლოცვის დაწყებამდე საკუთარი თავი ისეთ მდგომარეობაში უნდა მოვიყვანოთ, როგორშიც გვინდა, ვიყოთ ლოცვის დროს *(ამბა ისაკი)*.

თვით შენი ლოცვისთვის ილოცე და იქნება ის, რაც უნდა იყოს.

ჭეშმარიტი ლოცვა ბაგეების მოძრაობაში კი არ მდგომარეობს, არც – მუხლისმოყარასა და ხელების აპყრობაში; იგი თავისთავად უნდა აღმოხდეს ადამიანს და

შემოქმედის წინაშე სული თითქოს უნაზესი გუნდრუკივით უნდა იკმეოდეს; ამ აზრით შინაგანი ლოცვა, რომელიც სიტყვებით არ არის გამოხატული, საუკეთესოა და ლოცვაში ამგვარ სრულყოფილებას უნდა მივაღწიოთ. მაგრამ ვის შეუძლია, ასე ილოცოს პირველივე ჯერზე, როგორც კი ამას მოისურვებს?! ვის შეუძლია, უცებ გადავიდეს განბნეულობიდან საკუთარი თავის მობილიზებაში, მომზადების გარეშე მიწიდან ზეცაში ავიდეს? ამიტომაც სიტყვიერი ლოცვა და ყველაფერი, რაც მას უკავშირდება — დრო და ადგილი, ერთი და იგივეს გამეორება, სხვადასხვა გარეგნული ნიშნები, თვით სხეულის მდგომარეობა და სხვა, — ეს ყველაფერი მომზადება, გადასვლაა ასე ვთქვათ, შინაგანი ლოცვის წმიდა ვარჯიშში.

ლოცვის დასაწყისი იმაში მდგომარეობს, რომ განიდევნოს შემოსული ზრახვები — მათი გამოჩენისთანავე; მისი შუაგუ-

ლი ისაა, რომ გონება გადართულია სიტყვებში, რომელსაც წარმოვთქვამთ ანდა ვფიქრობთ; ლოცვის სრულყოფილება კი მისი უფალთან ატაცებაა *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

ლოცვის დროს, როდესაც სხეული მიწისაკენ იხრება, შენი სული მაღლისაკენ – ღვთისაკენ აღემართება *(სულიერი მარგალიტი)*.

ნუ შეწყვეტ ლოცვას, ვიდრე არ დაინახავ, რომ ცეცხლი და ცრემლების წვიმა არ მოიპოვე. იქნებ მთელი ცხოვრების მანძილზე აღარც მოგეცეს ასეთი დრო ცოდვათა მიტევებისათვის *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

ვისაც სურს, რომ უფალმა მისი ლოცვა შეისმინოს, მან უფლის მცნებებს უნდა მოუსმინოს *(წმიდა იოანე კიბიასაღმწერელი)*.

მიიღე სჯულისმდებელი უფალი და იგი მიიღებს შენს ლოცვას *(წმიდა ნილოს სინელი)*.

მორჩილება მორჩილებას მოჰყვება. ვინც ღმერთს უსმენს, მას ღმერთიც მოუსმენს *(ამბა მოსე)*.

შეუძლებელია, როდესაც ადამიანი ღმერთს უსმენს, ღმერთმა მისი არ ისმინოს; ამიტომ იგი შორს არ არის ადამიანისაგან. მაგრამ მისი საწინააღმდეგო ჩვენი სურვილები (და, მითუმეტეს, ქმედებები) ხელს უშლიან მას ჩვენს მოსმენაში *(ამბა ისაია)*.

უფალი არ ისმენს მხოლოდ ისეთი ადამიანის ლოცვას, რომელიც მისი მცნებების დარღვევით თვითონ იჩენს უყურადღებობას, უპატივცემულობას ღვთის მიმართ.

როდესაც ღვთისაგან წყალობა გვსურს, ჯერ უნდა ვაჩვენოთ, რომ ამ წყალობის ღირსნი ვართ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ღვთის მცნებებს რომ არ ემორჩილები, ამით მხოლოდ იმას მიაღწევ, რომ შენთვის წმინდანების მიერ აღვლენილი ლოცვაც კი არ შეისმინება *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ვილაცამ ამბა ანტონს უთხრა, ჩემთვის ილოცეო, მაგრამ ბერმა უპასუხა: „ვერც მე და ვერც ღმერთი ვერ შეგიწყალებთ, თუ თვითონ არ შეიწყალებ საკუთარ თავს და სათნო არ ეყოფი ღმერთს“.

რწმენა ლოცვის აღსრულების გასაღებია. სადაც იგი არ არის, ლოცვა წარუმატებელია. ასე რომ, თუ ზოგჯერ შენი ლოცვები ამაოა, პირველ რიგში გამოიკვლიე, გაქვს კი რწმენა?

რწმენით ლოცვა სულიერი მაგნიტია, რომელიც მადლმოსილ და სასწაულმოქმედ ძალას იზიდავს.

რწმენით აღსრულებული ლოცვის სასწაული მრავალფეროვანი და დიადია. ლოცვამ შეაჩერა წყალდიდობა, უშვილოებს შვილები უბოძა, დააცარიელა მეომართა რიგები, გაყო ზღვა, გააპო იორდანე, შეაჩერა მზისა და მთვარის მსვლელობა, გამოიყვანა გახურებულ ბრძმედში ჩაყრილები, უფსკრულისაგან გადაარჩინა ზღვის მიერ შთანთქმულნი.

✣თავს ნუ აღიმაღლებ, თუკი სხვებისთვის ლოცულობდი და უფალმა გისმინა; რამეთუ ეს მათმა რწმენამ იმოქმედა და აღასრულა *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

✣ვინც საკუთარ თავს ცოდვილად არ თვლის, მის ლოცვას ღმერთი არ შეისმენს *(წმიდა ისააკ ასური)*.

✣თუ გსურს, რომ შენმა ლოცვამ ღმერთამდე მიაღწიოს, მიეცი მას ორი ფრთა: მარხვა და ლოცვა.

✣უსიყვარულო ლოცვა შესმენილი არ იქნება.

✣კარებს მიღმა რჩება (ღმერთამდე ვერ აღწევს და შესმენილი არ არის) ის ლოცვები, რომლებსაც (უფალთან ასულებს) სიყვარული არა აქვთ, რადგან მხოლოდ სიყვარული უხსნის კარს ლოცვას *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✣ამაოა ლოცვა ადამიანისა, რომელსაც შურისგება სურს *(ამბა ისაია)*.

✝ვისაც სურს, რომ უფალმა სწრაფად შეისმინოს მისი ლოცვა, მან ყოველი ლოცვის, თვით საკუთარ სულზე ლოცვის წინაც ჯერ საკუთარი მტრებისთვის უნდა ილოცოს; ამის გამო უფალი მის ყოველგვარ ლოცვას შეისმენს.

✝იმისათვის, რომ ჩვენი ლოცვა ამაოდ არ დარჩეს, ანუ იმისთვის, რომ ისინი უფალმა შეისმინოს და აღასრულოს, საჭიროა, სათნო ვეყოთ ღმერთს. ღვთის მცნებების მორჩილი და სათნო ცხოვრების მქონე არა მხოლოდ აღასრულებს ლოცვებს – საჭირო ყურადღებითა და ღვთისმოშიშებით, არა მხოლოდ ეცოდინება და შეეძლება, როგორ უნდა ილოცოს, არამედ ისიც, რისთვის უნდა ილოცოს, ანუ თვით ლოცვის საგანსაც ღვთისთვის სასურველად შეარჩევს.

✝თუ უფლისაგან ითხოვთ ისეთ რამეს, რაც მისი ნებისათვის სათნოა, მაშინ იგი გიბოძებთ იმასაც, რაც თქვენ გსურთ.

✝ნუ შესთხოვ უფალს ამაოსა და მცირედმნიშვნელოვანს, მითუმეტეს იმას, რაც ჩვენი სულისათვის, შესაძლოა, დამღუპველი იყოს, მაგალითად, სიმდიდრეს, პატივს და სხვა მის მსგავსს. ასეთი ლოცვა არა მხოლოდ უნაყოფოა ჩვენთვის, არამედ ცოდვადაც შეიძლება შეგვერაცხოს – როგორც ღვთის განმარისხებელი.

✝„ითხოვთ და ვერ მიიღებთ, – ბრძანებს წმიდა მოციქული, – რამეთუ ბოროტად ითხოვთ“ (იაკ. 4, 3). რამეთუ ითხოვთ ბოროტს, საკუთრი თავისათვის დამღუპველს. და ჩვენთვის მადლია, თუ უფალი არ აღასრულებს ჩვენს ასეთ ლოცვებს. თავისი მადლითა და ჩვენს მიმართ სიყვარულით იგი თითქოსდა არც ისმენს მათ.

✝ზეციური მამა იმდენად გულუხვია მაშინ, როდესაც გვიბოძებს პურს, რამდენადაც მოწყალეა მაშინ, როდესაც არ აძლევს გახურებულ ნახშირს უგუნურ ბავშვს.

✦უფალი ხშირად გვაძლევს მრისხანებით იმას, რაზეც წყალობით უარს გვეუბნება.

✦როდესაც რაიმე ბოროტს ვთხოვთ უფალს, იგი თავის მრისხანებას გამოაჩენს, როდესაც ჩვენს სათხოვარს ასრულებს და მოწყალებას გამოიჩენს, როდესაც არ აღასრულებს მას *(სტარი აგგუსტინე)*.

✦ლოცვის დროს ყველაზე უკეთესი და უსაფრთხოა, საკუთარი თავი სრულად მივანდოთ უფალს, ანუ ვთხოვოთ მას ის, რაც თვით მისთვის სათნოა ჩვენთვის საბოძებლად – ჩვენი სხეულის, სულისა და სამშვინველის მდგომარეობის გამო.

✦ნუ ილოცებ, რომ მოგენიჭოს, რაც შენთვის კარგი გგონია; არამედ ის – რაც ღვთისთვის სათნოა, რამეთუ მან შენზე უკეთ უწყის, რა არის შენთვის სასარგებლო.

✦უფალს ის კი არ უნდა ვთხოვოთ, რაც ჩვენ გვინდა, არამედ ის, რაც მას სურს; ეს ყველაზე უტყუარი საშუალებაა იმისათვის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მივიღოთ.

უფალს ყოველთვის ესმის ჩვენი ლოცვა, და თუ ზოგჯერ ჩვენი სურვილისამებრ არ აღასრულებს, მაინც ყოველთვის ჩვენს სასარგებლოდ იქმს.

თუ უფალი არ აკეთებს იმას, რაც შენ გსურს და სთხოვ, მაინც დარწმუნებული იყავი, რომ იგი გიმზადებს და უდავოდ მოგცემს რაღაც უკეთესს, შენთვის უფრო სასარგებლოს.

თუ ყოვლადმოწყალე ზეციური მამა ხილულად არ აღასრულებს შენს სურვილს, მაინც, უეჭველია, უხილავად ზრუნავს შენს კეთილდღეობაზე უფრო მეტად, ვიდრე შენ შეგიძლია, შეიცნო და წარმოიდგინო.

ზოგჯერ მრავალგზის თხოვნის შემდეგაც უფალი არ გვაძლევს, რასაც ვითხოვთ, მაგრამ მაშინ იგი გვაძლევს იმას, რაც გაცილებით მნიშვნელოვანია. წმიდა პავლე სთხოვდა უფალს, დაეფარა განსაცდელისაგან – და მას განსაცდელები არ ელეოდა; მაგრამ როდესაც იგი ლოც-

ულობდა, უფალი აძლევდა მადლს, რომლის საშუალებითაც იგი ახოვნად მოღვაწეობდა (2 კორ. 12, 7-9). ასე რომ, განა უფალმა პავლესი არ ისმინა?

თუ ღვთის წინაშე რაიმესთვის ლოცულობ და იგი აყოვნებს, შეისმინოს შენი, ნუ იდარდებ ამის გამო. შენ ღმერთზე გონიერი არ ხარ *(წმიდა ისააკ ასური)*.

ზოგჯერ უფალი არ ასრულებს ჩვენს თხოვნას, ან აყოვნებს მის აღსრულებას, არა იმიტომ, რომ არ ვუყვარვართ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენ გამუდმებით ვისწრაფოდეთ მისკენ. ასე იქცევიან შვილისმოყვარული მამები: როდესაც ხედავენ, რომ შვილთაგან რომელიღაც დაუდევარია, ისინი მეყსეულად არ ასრულებენ მათ თხოვნას არა იმიტომ, რომ იგი სძულთ, არამედ იმისგამო, რომ მიღების შემდეგ კვლავ დაუდევრობაში არ ჩავარდეს.

ლოცვა, როგორც საუბარი ღმერთთან, თავისთავად დიდი მადლია, ხშირად იმაზე

მეტია, რასაც ადამიანი ითხოვს, და მოწყალე ღმერთი არ ასრულებს სათხოვარს, ტოვებს მთხოვნელს თავის ლოცვასთან, რათა მან არ დაკარგოს იგი, არ მიატოვოს ეს უდიდესი მადლი, რომელსაც მიიღებს გაცილებით მცირე მადლს, რომელსაც ითხოვდა.

დიდხანს ლოცვის შემდეგ თუ ნაყოფს ვერ დაინახავ, ნუ იტყვი, რომ ვერაფერი მოიპოვე, რადგან თვით ლოცვაში მყოფობა უკვე მონაპოვარია; და რა არის ამაზე დიდი მადლი, ვიდრე მიელტვოდე უფალს და განუწყვეტელ კავშირში იყო მასთან *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)?*

როდესაც უფალი ჩვენი ლოცვის შესმენას აყოვნებს, ამას ჩვენს სასარგებლოდ იქმს, რათა მოთმინება გვასწავლოს; ამიტომაც გული არ უნდა გავიტეხოთ და არ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ვლოცულობდით და უფალმა არ შეისმინა. ღმერთმა იცის, რა არის ადამიანისათვის სასარგებლო *(წმიდა ბარსანოფი დიდი).*

ყოველი ლოცვა, თუ განუწყვეტლად აღვავლენთ მას, უფრო მტკიცდება, იწმინდება, უანგარო და სრულყოფილი ხდება. რაც მეტ დროს დაჰყოფს ვერცხლი ცეცხლში, მით მეტად იწმინდება და ბრწყინავს; ასევე ლოცვაც, მასში მოთმინებით მყოფობის შემდეგ უმაღლეს ღირსებას იძენს, რადგან მაშინ განსაკუთრებულად გვეძლევა შესაძლებლობა, ვაჩვენოთ რწმენა, ერთგულება, მორჩილება, გულმოდგინება.

ზოგიერთები ლოცულობენ და როდესაც ვერ იღებენ სათხოვარს, მათი ლოცვა გრილდება; მაგრამ შესაძლოა, უფალი უკვე ახლოს იყო იმასთან, რომ მათი სათხოვარი შეესრულებინა; შესაძლოა, ლოცვა შეწყვიტეს მაშინ, როდესაც მათთან უკვე ახლოს იყო ღვთის წყალობა.

რაც მეტხანს ვთხოვთ უფალს, მით უფრო გულმოწყალეა იგი; რაც მეტხანს არ გვაძლევს, მით მეტს მოგვცემს; იმ დროს, როდესაც იგი არ გვისრულებს სათხოვარს, თითქოს ფიქრობს, რით დაგვაჯილდოვოს უკეთ.

ტაძარში სიარულისა და იქ მოკრძალებით ქცევის შესახებ

შეიძლება, ითქვას, რომ იმდენად ადამიანი კი არ აშენებს ტაძარს და უფალს უძღვნის მას, რამდენადაც თვით უფალი ჩუქნის თავის ტაძარს ადამიანს.

ქრისტიანული ტაძარი მადლის საუნჯე და ღვთისმოსაობის სასწავლებელია.

როგორც წვიმა ააღორძინებს თესლს, ასევე საეკლესიო მსახურება განამტკიცებს სულს სათნოებაში *(წმიდა ეფრემ ასური)*.

არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ღვთის ტაძარს აშენებენ, საკუთარ სულზე კი არ ზრუნავენ.

არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულად ამკობენ წმიდა ხატებს ტაძარში, თვითონ კი მათ წინაშე ლოცვა ეზარებათ.

თუ ტაძრის აშენებაში გულმოდგინე ხარ, აშენებული ტაძარის მიმართაც იგივე გრძნობა უნდა გქონდეს.

ყოფით ურთიერთობებშიც თუ ცნობილი პირი გარკვეული დროით საკმარისი მიზეზების გარეშე არ მიდის წარჩინებულ სახლში, ამას ისე იგებენ, რომ ამ პირისათვის ძვირფასი არ არის ეს სახლი და მასთან ურთიერთობას წყვეტს. განა იგივე არ ხდება, როდესაც ქრისტიანი სადღესასწაულო დღეებში, რომელიც ეკლესიამ ტაძარში მისასვლელად და საყოველთაო ლოცვისათვის დაადგინა, ან იშვიათად ესწრება, ან საერთოდ არ დადის ღვთის ტაძარში და არ სურს საყოველთაო ღვთისმსახურებაში მონაწილეობა? განა არ არის ეს მისი მხრიდან აშკარა სიცივის ნიშანი ღვთის მცნებების მიმართ, ანდა — მათი დარღვევა?

შეგიძლია, წყალი დალიო საკუთარ სახლში; არ არის საჭირო, რომ დროდადრო მოდიოდე მის დასალევად წყაროსთან ან

მდინარესთან; ამის მსგავსად, შეგიძლია, შენს სახლში, შენი გულის პატარა ტაძარში იგემო ლოცვა მადლის წყაროსაგან; მაგრამ საჭიროა, რომ დროდადრო მოდიოდე, რათა იგემო მადლის წყარო ღვთის ტაძარში, სადაც იგი განსაკუთრებით ცოცხალი და მაცოცხლებელია, როგორც წყაროს წყალში და უხვი, – როგორც მდინარეში.

✣როდესაც ღვთის ტაძრის კარში შედიხართ, უკან მოიტოვეთ ყოველივე საერო და მიწიერი.

✣თუ ღვთის ტაძარში მოდიხარ, უპირველესად აანთე სანთელი საკუთარ გულში (ლუკ. 12, 35), დაუნთე ხილულად მეორე, თუ შეძლებ (2 კორ. 9, 7) ღმერთს, ანდა – მის წმიდანს და გულმოდგინედ ილოცე, ვიდრე საიდუმლოები აღსრულდება.

✣არცთუ იშვიათად სდება, რომ მკვეთრად ანთია ჩვენი სანთელი წმიდა ხატის წინ, გულში კი ცოტა სითბო და სინათლე გვაქვს.

გუნდრუკი მოგაქვს, მაგრამ ლოცვა — არა; სანთელს ანთებ, მაგრამ სულით არ იწვი.

თუ შენი გული მორჩილების ზეთით ავსებული და ღვთის სიყვარულის ცეცხლით ანთებული კანდელი არ არის, მაშინ უსარგებლოდ ანთებ ტაძარში კანდელს!

ზოგიერთნი, ტაძარში დგომისას უფალთან მაცხოვნებელი საუბრის ნაცვლად ადამიანებთან ამაოდმეტყველებენ.

წარმოიდგინე, რომ ვიღაც მეფის წინაშე წარსდგა და ესაუბრება მას, მაგრამ მონის ძახილზე ტოვებს მეფეს და მასთან იწყებს საუბარს; ასეთია ისიც, ვინც საუბრობს და დაბნეული ხდება ღვთისმსახურების დროს *(წმიდა ეფრემ ასური)*.

ვისაც დრო ამაოდმეტყველების სიფხიზლეში გაჰყავს, იგი უკეთესად მოიქცეოდა, თუ დაიძინებდა *(ამბა ისაია)*.

„რა სარგებელი აქვს ხელოვნების სკოლაში სიარულს, თუ არ ისწავლი?“ — თქვა ამბა პიმენმა, — როდესაც ადამიანებ-

ის ტაძარში უკრძალველ და ღვთისუშიშარ დგომაზე საუბრობდა.

თუ მეფის სახლში მიხვალ, შიშობ და ზრუნავ, რომ ადგილისთვის შეუსაბამო რაიმე არ ჩაიდინო; მაშ, როგორი მოკრძალებით უნდა შედიოდე ზეციური მეფის სახლში! თუ მეფის სახლში შიშით იყავი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვერ გხედავდა და შესაძლოა, სახლში არც იყო; მაშ, როგორი შიშით უნდა წარსდგე ღვთის სახლში, სადაც ყველგანმყოფი ყოველთვის მყოფობს და სადაც ყოვლისმხედველი განუწყვეტლივ გხედავს.

ტაძარში ღვთისმოშიშებით უნდა იდგე, რათა ცოდვების შემცირების ნაცვლად არ გაიმრავლო ისინი *(სულიერი მარგალიტი)*.

ლოცვის სახლიდან მოიტანე ლოცვის სული და მისით შენს სახლშიც განაბრწყინვე შენი პატარა საიდუმლო ტაძარი.

შესაძლოა, ტაძარშიც შეიტანო შენი სახლი, ე. ი. ფიქრები საყოფაცხოვრებო

საზრუნავზე; შესაძლოა, სახლშიც შეიტანო ტაძარი, ე. ი. მოგონებები წმიდა საგალობლებისა და განმსწავლელი საკითხავების შესახებ.

✝ნუ დავტოვებთ საკუთარ თავს ტაძრის გარეშე, როცა შეგვიძლია, არამედ მისი თან ტარებაც ვისწავლოთ.

✝უფრთხილდით, რათა საქმით არ შეურაცხყოთ ღმერთი, რომელსაც ტაძარში სიტყვით ადიდებდით.

✝გიყვარდეს ღვთის სახლები, მაგრამ საკუთარ თავშიც ააშენე ღვთის ტაძარი *(წმიდა ნილოს სინელი).*

✝ხელით შექმნილი ტაძარი ვერ განაბრწყინვებს და აცხოვნებს იმას, ვინც, თავის მხრივ, არ მოღვაწეობს, რათა ცოცხალი ღმერთის ეკლესიას შეუერთდეს.

✝უბოროტობაში გულით ივარჯიშე, სხეულით კი – სიწმინდეში; ერთიც და მეორეც ღვთის ტაძრად გაქცევს *(წმიდა ნილოს სინელი).*

დღესასწაულების დაცვის შესახებ

✠უფალმა ექვსი დღე გამოგიყო შენი საქმეებისა და სამუშაოსათვის, თავისთვის კი მხოლოდ ერთი – მეშვიდე დაიტოვა (გამოსვ. 20, 9-10).

✠საერო დღესასწაულებზე იხარჯება ის, რაც შრომის დღეებში იქნა მოგროვილი; საეკლესიო დღესასწაულებზე შეიძლება და საჭიროა, მოაგროვო სიბრძნის სულიერი საუნჯე – ჭვრეტითი და საქმიანი ისევე უხვად, როგორც – არასაადღესასწაულო დღეებში.

✠დღესასწაული იმისთვის რიდია, რომ მხოლოდ საქმე გადადო და უქმად იყო.

✠დღესასწაული უქმე რიდია, არამედ დღესასწაულია, ე. ი. საამო ზეიმი სულისა – ღვთის უდიდეს წყალობათა შესაცნობად.

✠დღესაწაული სულიერი სიხარულის, მასში გულითადი მონაწილეობის, შინაგანი

გრძნობის გარეშე იგივეა, რაც – სხეული სულის გარეშე.

✝ქრისტიანისთვის ყოველი დრო დღესასწაულია – მისთვის მონიჭებული მადლის გამო.

✝დღესასწაული მადლიანი საქმის გამოვლენა, სულის ღვთისმოსავი განწყობა და გამოსწორებული ცხოვრებაა. თუ ეს გაქვს, ყოველთვის შეგიძლია, იდღესასწაულო *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝თუ სადღესასწაულო დღეებში საყოფაცხოვრებო საქმეები უნდა შეწყვიტო, მაშინ, მითუმეტეს, უნდა განეშორო საქმეებს, რომლებიც სამუშაო დღეებშიც კი დაუშვებელია.

✝დღესასწაული იმისათვის როდია, რომ უწესოდ მოვიქცეთ და ცოდვები გავიმრავლოთ, არამედ იმისათვის, რათა განვიწმინდოთ მათგანაც – რაც გვაქვს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

არავის აქვს საბუთი, უსაყვედუროს ქართველს, რომ მას არ ახსოვს თავისი უმთავრესი სალოცავის დღეობები, გულგრილად ეკიდება მათ და არ დაიარება სალოცავებშიო. არა, ამ საგნის შესახებ საყვედური სრულიად უსაფუძვლო და უსამართლო იქნება. ქართველ ხალხს დღესაც მტკიცედ ახსოვს, როდის, რა ღირსშესანიშნავი დღეობა მოდის და დიდი ერიც ესწრება ხოლმე ამგვარ დღეობას. საკითხავი მხოლოდ ის არის, რისთვის, რა საქმისთვის მოდის ხალხი სალოცავში. რასაკვირველია, პირჯვრის დასაწერად, ლოცვა-ვედრებისთვინაო, ბრძანებთ მრავალნი. დიაღ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ, თუ ეს მართლა ესეა, რატომ წირვის დროს მაინც არ შემოდის ეს ამოდენა ხალხი ეკლესიაში და არ ისმენს შესაფერისი კრძალულებით ლოცვა-გალობათა? რის ნიშანია ეს: რაღაც უზრდელად, მეტისმეტი კადნიერებით და თავხედობით რამდენიმე წუთით

შემოვარდნა ეკლესიაში და მერე ისევ გავარდნა კარზე. რა არის ესოდენი უზომო სმა და ჭამა, სიმღერა, შეუსაბამო ხუმრობა, დაუღალავ-განუწყვეტელი ცეკვა, ახირებული სიცილი და სხვა. თუ ხალხი მოდის ხატის კარს სალოცავად, მაშ, რაღად გაისმის ეს საზიზღარი და საზარელი სმაურობა ზურნისა, რომელიც ყველა ჩვენგანს უნდა გულით გვძულდეს და გვეზიზღებოდეს, რადგანაც ძველ დროში ამ ხმაურობის გაგონება მოასწავებდა ჩვენი ტაძრების, ჩვენი ციხე-სიმაგრეების, ჩვენი ქალაქების, სოფლების და მამა-პაპათა საფლავების აკლება-განადგურებას თათრებისაგან. არა, ასეთ ურიგობაში, არეულობაში, ასეთ ყოველ ზომიერებას გადასულ დროს ტარებაში ლოცვას სრულებით ალაგი არა აქვს და, მართალი უნდა ვთქვათ, არც არავინ ფიქრობს მასზედ. ხალხი მოსულა ღვთის გასარისხებლად და არა სალოცავად. სწორედ ამგვარი დღესა-

სწაულების შესახებ ბრძანებს უფალი: „დღესასწაულნი თქუენნი სძულან სულსა ჩემსა“ (ის. 1,14:). „მოვიძულენ და განვიშორებ დღესასწაულთა თქუენთა და არა ვიყნოსო კრებათა შინა თქუენთა“ (ამოს. 5,21;). ასე, მოვდივართ ვითომდა ღვთის საამოდ, ღვთის კურთხევის მისაღებად და ნამდვილად კი ვიძენთ მის წყევა-ყვედრებას; მოვდივართ ხორციელი და სულიერი სიკეთის მოსაპოვებლად და ნამდვილად კი ვიძენთ ათასგვარ ბოროტება-სიავეს, მოვდივართ, ვითომდა ეკლესიების სარგებლობისათვის და საქმით კი დიდი ზარალის, მისი ეზო-კარმიდამოს გაბინძურება-შებილწვის მეტს არას ვარგივართ მას *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე)*.

✗ცოდვილისთვის დღესასწაული არ არსებობს.

✗ნათელი დღეები ნათელია მხოლოდ სუფთა და შეუბღალავი სულისათვის.

✗ვინც სუფთა გულით დღესასწაულობს, ის ანგელოზებთან ერთად დღესასწაულობს.

მეცნიერება. ცოდნა. სიბრძნე

❧მეცნიერების სიძულვილი ნიშნავს, არ იშრომო ვენახის მოსაყვანად, არამედ მხოლოდ მისი ნაყოფით ტკბობა გსურდეს *(წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი)*.

❧ვინც ცოდნას აბუჩად იდგებს და უვიცობით იწონებს თავს, იგი უვიცია არა მხოლოდ სიტყვით, არამედ — გონებითაც *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

❧ქრისტიანული რელიგია არ არის სამეცნიერო განთლების წინააღმდეგი. ქრისტიანობა კი არ არის მეცნიერების მტერი, არამედ — ადამიანში ცოდნის ნაკლებობა.

❧გონება თავისი ბუნებით ქრისტიანია, და ვისაც ქრისტაინობა არა აქვს, მასში თამამად შეიძლება ვივარაუდოთ გონების არარსებობა. ჩვენ ამას წარმართებშიც ვხედავთ: ვინც მათ შორის აღმატებულია თავისი გონებრივი განვითარებით, იმდენადვე ახლოსაა ჭეშმარიტი ღვთის შემეცნებასთან.

პლატონი, სოკრატე, რომლებიც ამქვეყნად ქრისტეს მოსვლამდე ცხოვრობდნენ, ნახევრად ქრისტიანები იყვნენ.

მეცნიერებები, რომლითაც ცრუ სიბრძნეს სურდა და სურს, ისარგებლოს ქრისტიანობის დასასუსტებლად, თავის ბავშვობაში (როდესაც ჯერ კიდევ ვერ აღწევენ საკუთარი საფუძვლების შეცნობას და არა აქვთ საკმარისი გამოცდილება თავისივე საწყისის გასარკვევად) შესაძლოა, მიმართული იყოს გამოცხადების ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ; მაგრამ როდესაც მომწიფდებიან და თითქოსდა მამაკაცურ ასაკს აღწევენ, მაშინ იწყებენ გამოცხადების ჭეშმარიტების დამტკიცებას.

ზედაპირული ცოდნა რელიგიას გვაშორებს, საფუძვლიანი – კვლავ გვაბრუნებს მასთან.

სხვაა საგნების ხედვა და სულ სხვაა – ხედვა ჭეშმარიტებისა. რამდენადაც მზე განსხვავდება მთვარისაგან, იმდენად მე-

ორე სასარგებლოა პირველზე *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

ადამიანები, რომლებიც მთელ გონებას უსარგებლო საგნებს ახმარენ, ძალიან ჰგვანან იმ ღამეულ ჩიტს, რომელიც ნათლად ხედავს სიბნელეში და მზის შუქზე ბრმავდება, ისინი გასაოცრად გამჭრიახნი არიან, როდესაც საქმე ეხება სამეცნიერო წვრილმანებს და ჭეშმარიტი ნათლით დაბრმავებულნი ვერაფერს ხედავენ.

რამდენად ემსგავსებიან ბუს თვალებს ამაო სიბრძნეში მოვარჯიშენი! ბუსაც სიბნელეში მახვილი მხედველობა აქვს, მაგრამ მზის ამოსვლისთანავე ებინდება; და მათაც საკმაოდ დახელოვნებული აქვთ უსარგებლო საგნების გონებითი ჭვრეტა, მაგრამ დაბინდული აქვთ ჭეშმარიტი ნათლის შესაცნობად *(წმიდა ბასილი დიდი)*.

იმისთვის, რომ ჭეშმარიტება სრულიად შევიცნოთ და ამაოდ არ ვბრძნობდეთ, ყველა შესაცნობი საგანი ერთნაირად არ

უნდა გვაინტერესებდეს და ყურადღებას განურჩევლად ყველაფერს არ უნდა ვაქცევდეთ.

✍როდესაც სახლს ალაგებენ, ცდილობენ, გაათავისუფლონ იგი უსარგებლო ნივთებისაგან; ისინი ტყუილად იკავებენ ადგილს, რომელიც, შესაძლოა, რაიმე საჭირო და სასარგებლო ნივთმა დაიკავოს. რა კარგი იქნებოდა, ამავე საშუალებით განწმენდილიყო ჩვენი სული! მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენზე როდია დამოკიდებული მისგან უვარგისი ანდა მავნე წარმოდგენების გამოდევნა; ამიტომაც საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე იმ საგნების შერჩევისას, რომელსაც ყურადღებას აქცევ.

✍„ჭეშმარიტად სასარგებლო“ – და, აქედან გამომდინარე, სავსებით ღირსეული იმისა, რომ ჩვენს მიერ შეცნობილი და შესწავლილი იქნეს – „არის ის, რაც, შესაძლოა, ემსახურებოდეს მარადიული ცხოვრების მიღწევას და არა – დროებით სიხარულსა და კეთილმოწყობას“ *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*.

მიწაზე ვისწავლოთ ის, რისი ცოდნაც ზეცაში ჩვენთან განუყრელად იქნება.

მხოლოდ ისეთი სწავლება ეძიე, რომელიც აღაგზნებს, კვებავს და განამტკიცებს შენში ღვთის სყვარულს.

თავი აარიდე ფილოსოფოსთა ბოდვას, რომლებსაც არ რცხვენიათ ერთნაირი პატივი მიაგონ საკუთარ და ძაღლის სულს და საკუთარ თავზე თქვან, რომ ისინი ოდესღაც იყვნენ ხეები ანდა თევზები, მართალია, მე ვერ ვიტყვი, იყვნენ თუ არა ისინი ოდესმე თევზები, მაგრამ მთელი ძალისხმევით მზად ვარ დავამტკიცო, რომ როდესაც ისინი ამას წერდნენ, თევზებზე უგუნურნი იყვნენ *(წმიდა ბასილი დიდი)*.

კეთილი უვიცობა ცუდ ცოდნაზე უმჯობესია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

მიწიერი საგნებისა და მეცნიერებათა შესწავლა შესაძლოა, სასიკეთო და სასარგებლო იყოს, მაგრამ მაშინ, როდესაც იგი რწმენისა და ღვთის შეცნობისაგან დაშორებული არ არის.

განათლებას საზოგადოებისათვის კეთილი ნაყოფი მხოლოდ მაშინ მოაქვს, როდესაც მას საფუძვლად რწმენა უდევს.

ცოდნა ბუნებრივ სინათლეს ჰგავს, გულითადი რწმენა კი — ბუნებრივ სითბოს. როგორც ხილულ სამყაროში მცენარეთა სიცოცხლე სინათლისა და სითბოს მეშვეობით ვითარდება, ასევე სულიერი ცხოვრების წარმატებაში ცოდნის გარდა გულითადი რწმენაც აუცილებელია.

როგორც სიბნელეში ჯანმრთელი თვალითაც ვერ გავარჩევთ საგნებს, ასევე ღვთის გარეშე ვერ ვიხილავთ ჭეშმარიტების წყაროს ნამდვილ ნათელს; და ჩვენ კი ჯანსაღი გონებითაც არ ძალგვიძს ჭეშმარიტების შეცნობა.

მოსაწყენია ადამიანური სიბრძნე, როდესაც იგი მხოლოდ საკუთარი განათლებით ხელმძღვანელობს, ან, უფრო სწორად — საკუთარი სიბნელით.

ჭეშმარიტებას კი არ მოიპოვებენ, არამედ – შეიწყნარებენ, და ის ამაოდ დაშვრებოდა, ზეციური ძალებიდან რომ არ იღებდეს მასალას თავისი სამუშაოსთვის. ეს უმაღლესი ძალა რწმენაა *(წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელი)*.

ადამიანური სიბრძნე მთვარეს ჰგავს, ღამის სიბნელეს უხათებს გზააბნეულ ადამიანს მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის ნათელს იგი სიბრძნესა და საღვთო ჭეშმარიტებას დაესესხება. შეხედეთ, რა ემართება მთვარეს, როდესაც დედამიწის შავი ჩრდილი მის დისკზე წევს? მაშინ ჩამოეფარება იგი მზეს, მისი ვერცხლისფერი შუქი ჩაქრება – რჩება მხოლოდ ბნელი მასა და თითქოს მთვარე არც ყოფილა. ასევე ემართება ადამიანურ სიბრძნესაც, როდესაც გზააბნეულობა, მიწიერი სიამოვნებანი და ვნებები ჩამოეფარებიან მის წინაშე ჭეშმარიტების ნათელსა და ღვთის სიბრძნეს.

ნუთუ ფიქრობენ, რომ ღვთის და ქრისტეს ჭეშმარიტება განზე დგას ბუნებრივი ჭეშმარიტებისაგან, რომელიც სასარგებლოა ადამიანისა და საზოგადოებისათვის და რომ ამ უკანასკნელს ისევე შეუძლია პირველის გარეშე ცხოვრება, როგორც – მასთან შეერთებით?! შეხედეთ ხალხებსა და ადამიანთა საზოგადოებებს, ქრისტიანულსა და არაქრისტიანულს. განა იქ არ ანათებს ბუნებრივი ჭეშმარიტება: საბუნებისმეტყველო, გონებრივი, ზნეობრივი, შემოქმედებითი – კეთილმოწყობილი და გამშვენებული ადამიანთა საზოგადოებისათვის, სადაც ანათებს ღვთისა და ქრისტეს ჭეშმარიტების მზე? განა ღამე არ ფარავს ხალხების ცხოვრებას? გამოაძევეთ მზე სამყაროდან: რა დაემართება მას? გამოაძევეთ გული სხეულიდან: რა დაემართება მას? განა საჭიროა ამაზე საუბარი? გამოდევნეთ ღვთისა და ქრისტეს ჭეშმარიტება ადამიანთა მოდგმიდან: მას იგივე

დაემართება, რაც სხეულს გულის გარეშე, რაც სამყაროს – მზის გარეშე.

მხოლოდ სამეცნიერო განათლების სინათლე ქრისტეს ჭეშმარიტების ნათლის გარეშე იგივეა, რაც – მთვარის შუქი მზის გარეშე, ცივი და უსიცოცხლო შუქი, უცხო და ნასესხები შუქი; იგი მხოლოდ სულის ზედაპირზე გადასრიალდება, როგორც მთვარის შუქი კლდეზე, რომელიც მის შიგნით ვერ შეაღწევს. ვერასოდეს შეძლებს, გაათბოს გამოაცოცხლოს და გააღვიძოს ჩვენი გული შრომისა და გმირობის, მწუხარებისა და გაჭირვებისთვის.

ღვთის – სიცოცხლის წყაროსა და სიკეთის საწყისთან გაუცხოვების გამო გაუხეშებული სული ამაოდ იმედოვნებს, რომ ვითარდება, მაღლდება, იზრდება და წინ მიდის: მასში კი მხოლოდ თავმოყვარეობის სული იზრდება, იგი მხოლოდ ამპარტავნებით მაღლდება, მხოლოდ ბოროტებაში იზრდება, წინ მიდის, მაგრამ ამაოების გზით, რომელსაც დაღუპვამდე მიჰყავს.

✻უსარგებლოა ჩვენი ყველა ცოდნა, თუ მასთან ერთად იესო ქრისტეს არ ვიცნობთ.

✻რა სარგებლობა აქვს გემს ანძის, მესაჭის, მეზღვაურების, აფრებისა და ღუზისაგან, თუ ქარი არ არის? მაშ, რა სარგებლობა უნდა ჰქონდეს მჭერმეტყველებას, გონებამახვილობას, ცოდნას, განათლებას, გონიერებას, თუ სულში სულიწმიდა არ არის?

✻იარე გზით, რომელსაც ღმერთთან მიჰყავხარ და იმავე გზით მიუხალოვდები სიბრძნეს. უფლისაკენ მიმავალი გზა ცნობილია: ღვთისმოსაური აზროვნება, ლოცვა, რწმენა.

✻საკუთარ სიბრძნეზე მეოცნებე გონება უწყლო ღრუბელია, რომელიც პატივმოყვარეობისა და ამპარტავნების ქარს მიაქვს.

✻ის, ვინც ჭეშმარიტების სიყვარულით საკუთარ უსამართლობას აღიარებს, საეჭვოა, რომ არ აღემატებოდეს იმას, ვინც ყოველთვის მართალია *(საკუთარი წარმოდგენით)*.

ძალიან, ძალიან ბევრი იცოდა მან, ვისაც შეეძლო ეთქვა: „მე ვიცი მხოლოდ ის, რომ არაფერი ვიცი“.

რაც მეტს შევიმეცნებთ, მით მეტად ვხვდებით შეუცნობელ საგნებს.

რაც მეტს შეიცნობს ადამიანი, მით მეტად ხვდება, რა ცოტა რამ არის იმასთან შედარებით, რაც არ შეუცვნია და რისი შეცნობაც შეუძლია.

რამდენი საგანი და ნივთია, რომელიც ჩვენ არ ვიცით, თუმცა ვამბობთ, რომ განათლებულ საუკუნეში ვცხოვრობთ!

ყველა ჩვენი მიწიერი ცოდნა მხოლოდ ნაწილობრივი ცოდნაა; სრული ცოდნა წინაა, მომავალ ცხოვრებაში.

იცოდე, რა უნდა იცოდე და აკეთე, რასაც უნდა აკეთებდე.

კარგ ხეს მხოლოდ ყვავილები კი არ ასხია, არამედ — ნაყოფიც.

ჭეშმარიტი სიბრძნე მხოლოდ ჭეშმარიტების შიშველ, გონებრივ ცოდნაში როდია,

არამედ – მის შესაბამის გარეგნულ მოღვაწეობაშიც.

ის, ვინც გონიერებას მხოლოდ ჭეშმარიტების გადმოფრქვევაში ხედავს, ჰგავს თუთიყუშს, რომელიც განსწავლულია და ადამიანურად საუბრობს, თუმცა სრულიად არ ესმის სიტყვების ძალა.

შეუძლებელია, მიაღწიო სიბრძნეს, თუ ბრძნულად არ იცხოვრებ *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

ჭეშმარიტად ბრძენი ღვთის ხორცშესხმული სიბრძნის მსგავსად ჯერ ქმნის და შემდგომ განსწავლის (საქმე მოც. 1, 1); ჯერ კანონს აღასრულებს, შემდეგ კი ბრძანებს, ან ურჩევს და არ ანგრევს იმას მაგალითით, რასაც ასწავლის სიტყვით ან ძალაუფლებით.

რა არის მხლოდ სწავლება ქმნის გარეშე, ანდა მხოლოდ სიტყვა – საქმის გარეშე, მათი ცხოვრებაში აღსრულების გარეშე, თუნდაც ეს იყოს საცხოვნებელი

სიტყვები და სწავლებები, თუ არ იქნება ცოდნისა და სიბრძნის სრულყოფილება, მით უმეტეს, ვერ აცხოვნებენ იმას, ვინც ასე საუბრობს და ასწავლის, ვერც უხელმძღვანელებს მათ ცხონებას, ვისაც ამას ეუბნებიან და ასწავლიან, — ამ აზრის შესახებ საუბარია თავში „სიტყვა და საქმე“.

საქმით გაუნათლებელი სიბრძნე სირცხვილის წინდია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

უმჯობესია, არა — სიტყვით მბრწყინავი სიბრძნე, არამედ — საქმით დამოწმებული *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

საქმით წარმოაჩინე თავი ბრძნად, რამეთუ არ არსებობს სიტყვა, რომელიც საქმეზე უფრო ბრძენი იქნება *(წმიდა მარკოზ მოსაჯრე)*.

ცოდნასთან ერთად გიყვარდეს შრომა (ცოდნა ცხოვრებაში გამოიყენე); რამეთუ მხოლოდ ცოდნა ადამიანს ქედმაღალს ხდის.

მზე ანათებს კიდეც და ათბობს კიდეც. მხოლოდ სინათლე ან განათება საკმარი-

სი არ არის; საჭიროა სითბო, ე. ი. სარგებლობა – გონების განათებით გულის განათლება, სულის სიკეთე.

✗ცოდნა სიკეთის გარეშე ეშმაკის სიბრძნეა.

✗ის, ვინც ერთდროულად არის სიბრძნე, სიმართლე და მადლი, თავის მადლიან მზერას არიდებს მათ, ვინც უსამართლო და უმოწყალო სიბრძნით ამაყობს.

✗თუ მეტი ცოდნა გაქვს, უფრო წმიდათაც იცხოვრე; რამეთუ მსაჯული შენ უფრო მკაცრად განგსჯის.

✗როგორც ყოველგვარი საუნჯე ვერ გაქცევს მდიდრად, არამედ – მხოლოდ კეთილგონიერებითა და ზომიერად გამოყენებული, ასევე განათლება ყოველთვის როდი გადაიქცევა სრულყოფილებად. არსებობს სიბრძნის უმაღლესი სახე, რომელიც სიბრძნის გამოყენებაში მდგომარეობს.

✗კარგი ცოდნა მისთვისაა კარგი, ვინც მას კარგი საქმისთვის იყენებს.

❦განსწავლულობა უზნეო ადამიანისთვის იგივეა, რაც კარგი საკვები – ცუდი კუჭისათვის.

❦მახვილი გონება სიყვარულით აღვსილი გულის გარეშე იგივეა, რაც – მკვლელის ხელში ხანჯალი.

❦თავი განსწავლული ადამიანისა, რომელიც ვნებებით ხელმძღვანელობს, არის ვულკანი, რომელიც ცეცხლსა და ფერფლს აფრქვევს.

❦არაწმიდება დახელოვნებულ სიტყვაში უფრო მეტი ბოროტების მომტანია, ვიდრე – გაუნათლებლობა.

❦საშინელია ხვედრი არაწმიდა მწერლებისა: მათ სიკვდილის შემდეგაც მოაქვთ ზიანი.

❦ოდესღაც ეგვიპტის მეფემ ბრძანა, მის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკისათვის დაეწერათ: „სულის წამალი“. ჩვენს დროში, პირიქით, არის წიგნები, რომლებსაც თამამად შეიძლება ვუწუდოთ „სულის შხამი“ და რომლებიც მას ისევე უნდა მოვაცილოთ,

როგორც ჩვენს მაგიდას ვაცილებთ მავნე ანდა მოწამლულ საჭმელს; რამეთუ კითხვა სულისათვის იგივეა, რაც კვება – სხეულისათვის: როგორც ეს უკანასკნელი საკვების მიღებით მას წვნად და სისხლად აქცევს, ასევე სული იკვებება წიგნებიდან მიღებული შთაბეჭდილებებითა და აზრებით.

ძველები ფიქრობდნენ, რომ არსებობს ცხოველი, რომლის ერთი შეხედვაც კი სიკვდილის მომტანია; სწორედ ასეთია უზნეო წიგნი: მისი კითხვა სულისათვის მიყენებული პირველი სასიკვდილო დარტყმაა, რომელსაც აუცილებლად მოსდევს მრავალი სხვა დარტყმა.

კარგი წიგნი მოკრძალებული მეგობარია.

წმიდა წიგნების კითხვა ხშირადაა საჭირო, რათა ჩვენი გონება განათლდეს. როდესაც დანით ჭრი, ის ბლაგვდება, ხოლო როდესაც ძელაკზე ალესავ, მჭრელი გახდება, – ასევე ემართება გონებასაც წმიდა წიგნების კითხვისას.

„როგორც გონიერი ფუტკარი აგროვებს ყვავილებისაგან თაფლს, ასევე შენც – გვირჩევს წმიდა ეფრემ ასური – კითხვის საშუალებით მოიპოვე შენი სულის წამალი“, ანდა წმიდა ნილოს სინელის თქმით: „ნუ დაგეზარება კითხვისაგან სასარგებლოს შეძენა“.

ბრძენი, კეთილი და წმიდა ადამიანები

უდიდესი მეცნიერებაა, იყო ბრძენი, ხოლო უდიდესი სიბრძნეა, იყო კეთილი.

კონკრეტული აზრით მხოლოდ ქველმოქმედ და წმიდა ადამიანებს შეიძლება, ეწოდოთ ბრძენნი. ის კი არ არის ბრძენი, ვინც ბევრი იცის, არამედ ის, ვინც კეთილგონიერებით ცხონდა.

ვინ არის ბრძენი? – ის, ვინც ყველგან და ყოველთვის ფრთხილად (განსჯით

და არა ქარაფშუტულად) იქცევა და უხილავ ღმერთს, როგორც ხილულს მუდამ თვალწინ იყოლიებს *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

გონიერი ბევრს არ ლაპარაკობს. იგი ყოველთვის ერთნაირია. ჭკვიანის გონება ყოველთვის ღვთისკენაა მიმართული. მის გულში ღმერთი სახლობს. გონიერს მხოლოდ ის სურს, რისი მოპოვებაც მას ძალუძს სწორად, ზომიერად გამოიყენებს და სიამოვნებით აცნობებს სხვებს.

რაც უფრო წარემატება ადამიანი სათნოებებში, მით მეტად უძნელდება სხვათა არაწმიდების დაჯერება.

ვინც ბოროტებისაგან შორსაა, ის ყველაზე ნაკლებად ეჭვობს ბოროტებას *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).*

ბოროტს ყველა ადამიანი თავისნაირი ვერაგი ჰგონია; კეთილის მოტყუება ადვილია.

ჭეშმარიტი ბრძენი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ კარგად გააკეთოს, მაშინ, როდე-

საც ცრუბრძენი მხოლოდ ერთს ცდილობს – მასზე ამბობდნენ, რომ იგი კარგად აკეთებს.

✻ატილა, საყოველთაო დამპყრობელი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საყოველთაო მძარცველი და მაოხრებელი, საკუთარ თავზე ამბობდა: „სადაც ჩემი ცხენი გაივლის, იქ ბალახი არ ამოდის“. ბოროტი ადამიანები ბოროტებით თავსაც იქებენ, კეთილნი კი სიკეთის ქმნისას დუმან.

✻ღვთის კაცებს არ უყვართ კაცთა შორის განდიდება.

✻მართალი ადამიანი არ მედიდურობს, თუ ადამიანები განადიდებენ.

✻ფარისევლური ქება მართლისათვის აუტანელი ტვირთია (საქ. 16, 18).

✻ყველა წმიდანი საკუთარ თავს ღვთის უღირსად თვლიდა: ამით ისინი ამჟღავნებდნენ თავიანთ ღირსებას, რაც თავმდაბლობაში მდგომარეობდა.

ჯამბა პამბოს შესახებ ყვებოდნენ, რომ იგი სიკვდილის მოახლოებისას ზუსტად გარდაცვალების წუთებში მასთან მყოფ მამებს ეუბნებოდა: „იმ დროიდან, რაც ამ უდაბნოში მოვედი, სენაკი ავიშენე და იქ დავსახლდი, არ მახსოვს, რომ ოდესმე საკუთარი ხელით ნაშრომის გარდა სხვა პური მეჭამოს და არასოდეს მინანია სიტყვები, რომელიც ოდესმე, თუნდაც ამ წუთამდე მითქვამს. ახლა კი ღმერთთან მივდივარ ისე, თითქოს არც კი დამეწყოს მისთვის მსახურება“.

ჯმრავალი ნაყოფისაგან ხის ტოტები იღუნება, მრავალი სათნოებისაგან კი ადამიანში მისი აზრები მდაბლდება *(წმიდა ხილოს სინელი)*.

ჯთავმდაბლობა ყოველთვის ღვთისმოსავთ ახლავს თან: თუ მათ უბედურება შეემთხვევათ, ამბობენ: „ასეც უნდა ყოფილიყო“ ანდა: „ჩემი ცოდვების გამო ესეც ცოტაა“; თუ ბედნიერება ეწვევათ – ისინი აღირებენ, რომ ამის ღირსნი არ არიან.

✝მადლით აღვსილი ადამიანი ისე მოიპოვებს, თითქოს არც სჭირდებოდეს; ისე კარგავს, თითქოს მოჭარბებულს გასცემდეს.

✝წმიდა მამები, უჯეროს თავიდან ასარიდებლად მრავალ ჯეროვანსაც უკრძალავდნენ საკუთარ თავს.

✝წმიდანებიც ეცემიან (იგავნი 14, 16), მაგრამ ისინი მალევე დგებიან.

✝ყველა ადამიანი სცოდავს (1 იოანე 1, 8-10), მაგრამ ბოროტნი ცოდვას სიხარულითა და ტკბობით ჩადიან, კეთილებს კი ცოდვა სძულთ.

✝„სათნოება თითქმის ყოველთვის უბედურებითაა გარშემორტყმული, როგორც ვარდი – ეკლებით.“ – ბრძანა წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველმა – ეს ბევრადაა დამოკიდებული ქველმოქმედი ადამიანების ქცევის სახესა და მათ დამოკიდებულებაზე მოყვასისადმი, რომელთა შორისაც ცხოვრობენ და მოქმედებენ ისინი.

ბოროტ ადამიანს ბრძენი უგუნური ჰგონია, რადგან მისი აზროვნება და მოქმედება ბოროტი ადამიანის მიზეზებისა და მიზნებისათვის სრულიად საწინააღმდეგოა.

პირდაპირობა სიტყვაში და საქმეში ხშირად მეგობრებსაც მტრებად აქცევს.

ავადმყოფ თვალებს სინათლე არ უყვარს, ასევე ტყუილს – სიმართლე, სიკრუეს კი ჭეშმარიტება სძულს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

არცთუ იშვიათად მართალნი არაწმიდათა ხელში მიეცემიან, არა – უწმიდურთა დიდებისათვის, არამედ – მართალთა გამოსაცდელად *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

ბედნიერება და უბედურება სათნოების საცდელი ქვებია: ვიდრე იგი მათზე არ გამოიცდება, მისი სიმტკიცის იმედზე ყოფნა არ შეიძლება.

ძალა არ ჰქვია იმას, რაც ბრძოლაში არ გამოცდილა.

ღმერთი სათნოების მიწიერ საზღაურს ამცირებს, რათა მოსაგრე ზეცაში უფრო დიდი ჯილდოსათვის მოამზადოს.

მარადისობაში საზღაურს ვერ მიიღებს ის, ვინც მიწაზე მთლიანად შეითვისებს მას.

განა შეიძლება, ამის შემდეგ გვშურდეს არაწმიდა ადამიანთა მიწიერი ბედნიერებისა? განა პირიქით, არ უნდა გვებრალებოდეს, როგორც ამ გარეგნული კეთილდღეობით ღვთის წყალობის სრულად მიმღებელნი, შესაძლოა, იმ პატარა კეთილი ქმედებებისათვის, რომელსაც ისინი ოდესღაც თავის ცხოვრებაში აღასრულებდნენ; ამიტომ სიკვდილის შემდეგაც სრულად მიიღებენ მართალი მსაჯულისაგან ყველა იმ არაწმიდებისათვის, რომლითაც სავსე იყო მათი ცხოვრება. „არაწმიდათა გზა ფართოა, – წერს წმიდა ტიხონ ზადონელი, – მაგრამ მას მარადიული ტანჯვის სიბნელეში მიჰყავს.“

კეთილთა უბედურება ბოროტთა ბედნიერებას სჯობს.

გადააგდეთ დედამიწის მოშორებულ კუთხეში ადამიანი, რომელიც საკუთარ

თავში უმაღლესი სამყაროს სიმდიდრეს – ზეციურ სასუფეველს ატარებს; გარს შემოარტყით მას ყველა შესაძლო უბედურება – ვერაფერი შეარყევს მისი სულის შინაგან სიმშვიდეს; იმიტომ, რომ ღვთაებრივი ნათელი, ცხოვრება და ძალა ყოველთვის და ყველგან განუშორებელია მისგან. „რამეთუ მოჰკვდით, და ცხოვრება თქუენი დაფარულ არს ქრისტეთურით ღმრთისა თანა“ (კოლ. 3, 3), მიცვალებულთა სიმშვიდეს კი ქვეყნად ვერავინ დააარღვევს.

წმიდათაგან არავის ისე არ ვსებულა, როგორც – მოწამენი. მაგრამ მათ უხაროდათ და ილხენდნენ უსასტიკესი წამების დროსაც კი. ეს იმიტომ, რომ „თუ სული ზეცაშია“, როგორც ტერტულიანე ბრძანებს, „მაშინ სხეული უკვე ვეღარ გრძნობს მიწიერი ბორკილების სიმძიმეს: მას ადამიანი სრულად მიჰყავს თავისთან.“

თვით სიკვდილი ცოდვილისათვის მარადიული ტანჯვის დასაწყისია, რომლის

შესახებაც ძრწოლის გარეშე მას ფიქრიც კი არ შეუძლია; მართალთათვის სიკეთისა და ჭეშმარიტების მდევნელთა მიერ მიყენებული ძალადობით სიკვდილიც კი მხოლოდ მათი უდიდესი სურვილის აღსრულებაა, რომ კიდევ უფრო ახლოს მივიდნენ ღმერთთან, მათი აზროვნების, სურვილისა და სიყვარულის ერთადერთ უმაღლეს საგანთან.

✝ცოდვილნი ცოცხლებიც მკვდარნი არიან, მართალნი კი ცოცხლები არიან მაშინაც, როცა კვდებიან.

✝განა შესაძლებელია, კმაყოფილებისა და ნეტარების იმ მდგომარეობის წარმოდგენა, როგორშიც მართალთა სულები არიან სიკვდილის შემდეგ? „რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვისთა“ (1 კორ. 2, 9). მათი სხეულები აღდგომისას სრულ გარდასახვამდე უკვე იღებენ

სასწაულებრივ ძალას, არ იხრწნებიან კუბოში და კეთილსურნელებას აფრქვევენ მორწმუნეთათვის.

✝ღვთივსათნო და წმიდა ადამიანთა ცხოვრებისა და მოსაგრეობის აღწერის კითხვისას არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ მათი ანგელოზებრივი ცხოვრებით გაოცებით. უნდა ვეცადოთ, რომ ძალისა და შესაძლებლობისდაგვარად, მივბაძოთ მათ.

✝წმიდანის პატივისცემა მათ მიბაძვაში მდგომარეობს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝თუ შესაძლებელია და თუ საჭიროა თვით ყოვლადწმიდა ღმერთის მიბაძვა (მათე 5, 48; ეფ. 5, 1). მაშ, როგორ ვთქვათ უარი იმაზე, რომ მივბაძოთ წმიდა ადამიანებს, რომლებსაც აშკარად გაცილებით მისაწვდომად და აშკარად გვაჩვენებენ ღვთისთვის მიბაძვის შესაძლებლობას.

✝მიბაძვა თანასწორობას არ მოითხოვს, თანასწორობასთან სიახლოვესაც კი. მცირეს შეუძლია, მიბაძოს დიდს იმაში, რაც მისაწვდომია.

ქალაქში მცხოვრებსაც შეუძლია, მიბაძოს მეუდაბნოეთა სიბრძნისმოყვარებას.

შეხედე იმ პატივს, რომელიც მიიღო ყველა წმიდანმა და მათთან შეჯიბრი ნელნელა მიგიყვანს სათნოებებთან *(ამბა ისაია)*.

სათნო და ბიწიერ ადამიანებთან ურთიერთობა

ღვთის შემდეგ ყველაზე მეტად გიყვარდეს ღვთისმოსავი სული.

ჩვენს კავშირებს, ზნეობრივად სხვადასხვაგვარ ადამიანებთან ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ძალიან დიდ გავლენას ახდენენ ჩვენს ზნეობრივ მდგომარეობაზე – „მითხარი, – ამბობს ერთი ბრძენი ადამიანი, – ვისთან მაქვს ურთიერთობა და გეტყვი, ვინ ხარ შენ თვითონ“.

✗ვინც ბოროტ ადამიანთა საზოგადოებას ეძიებს, იგი საკმაოდ წარმოაჩენს საკუთარ ბოროტებას *(ნეტარი ავგუსტინე)*.

✗არაფერს არა აქვს ისეთი ძლიერი გავლენა ჩვენს გულსა და ნებაზე, როგორც სხვა ადამიანების კარგ თუ ცუდ მაგალითს.

✗დარგეთ კარგი მცენარე ეკალ-ბარდებში – იგი დაიღრჩობა და ნაყოფს არ მოიტანს; ასევე შფოთიან და ავზნიან ადამიანთა ქეიფში დაიხშობა ყოველგვარი კეთილი, რელიგიური გრძნობა; და პირიქით, გონიერებთან და ქველმოქმედებთან ურთიერთობას შეუძლია, სიკეთისაკენ მოაქციოს დასნებოვნებული გულიც.

✗ჭკვიანებთან ურთიერთობა გულის საუკეთესო სასწავლებელია.

✗წმიდანებთან ურთიერთობის მქონე თვითონაც წმიდა გახდება.

✗კეთილსურნელების გამყიდველთან მისული ადამიანი სასიამოვნო სურნელს მიიღებს: ასევე ღვთისმოსავ მამებთან ურთ-

იერთობის მქონე თავისდაშეუმჩნევლად ეჩვევა და მათ სათნოებებში ბაძავს *(წმიდა ანტონი დიდი)*.

კეთილზნეობრივი ადამიანი უკვე საზოგადოებაში ცხოვრებით მოუტანს მას სარგებლობას.

რატომ განიცდიან კარგი ადამიანები ისეთ მძიმე მდგომარეობას, როგორიცაა დევნა, სიღატაკე? იმიტომ, რომ სხვა ადამიანებმა მათგან ტანჯვა ისწავლონ. კეთილი ადამიანები იმისათვის არიან შექმნილნი, რათა მაგალითნი იყვნენ.

კეთილი მაგალითი თითქოსდა ნიმუშია,რომელსაც სხვებიც გადაიღებენ *(ნეტარი იერონიმე)*.

მაგალითი ადამიანებისა, რომლებიც ღვთისადმი ცეცხლოვანი სიყვარულით არიან ანთებულნი, ჩვენს გულსაც კვებას ქრისტიანული სათნოებით. განცალკევებით დადებული ნახშირი, მართალია, სიცხოველეს შეიცავს, მაგრამ ნელ-ნელა ქრება და ცივდება.

✝დაუახლოვდი მართალთ და მათი საშუალებით ღმერთს მიუახლოვდები *(წმიდა ისაკ ასური)*.

✝ურთიერთობა იქონიე თავმდაბლებთან და მათგან ზნეობას ისწავლი *(წმიდა ისაკ ასური)*.

✝თუ მკვდარი ანთებული ნახშირის მიახლოვებით სხვა ასევ მკვდარი და ცივი ნახშირი აენთება, მითუმეტეს, ცოცხალი რწმენითა და ლოცვით გამოცოცხლებულ გულს ძალუძს, იგივე ცეცხლის ანთება სხვა, თვით სრულიად ცივ, ნახევრადმკვდარ გულშიც კი.

✝ახლა არამწიდა სულს არ სურს ურთიერთობა ღვთისმოსავ ადამიანებთნ: მოვა დრო, როდესაც იგი ძალიან მოინდომებს ამას, მაგრამ უკვე გვიან იქნება (სიბრძნ. 5, 3).

✝ბოროტი და ცბიერი ადამიანი ჰგავს ნახშირს, რომელიც თუ არ დაწვავს, გასვრის მაინც.

✝განეშორე შავ გულს, როგორც ნახშირს, როდესაც იგი ცხელია, წვავს, მინავლული კი ხელებს გისვრის.

კვამლი და მყრალი ანაორთქლი იმდენად არ წვავს თვალებს, რამდენადაც ბოროტ ადამიანებთან ურთიერთობა აწყლულებს სულს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

როდესაც ბოროტი ადამიანი საკუთარი თავის მტერია, განა ძალუძს ბოროტების გარდა რაიმე გაუკეთოს სხვებს?

უმჯობესია ცხოველებთან ცხოვრება, ვიდრე ბოროტ ადამიანებთან *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ბოროტი ადამიანები მეტ ზიანს აჩენებენ, ვიდრე – შხამიანი გველები; იმიტომ, რომ ისინი აშკარად ატარებენ თავიათ შხამს, ესენი კი ჩუმად და უგრძნობლად ასნებოვნებენ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

როგორც კარგ ადამიანებთან ურთიერთობა არის ისეთი სკოლა, რომელშიც ადამიანი წიგნის გარეშე განისწავლება ქრისტიანულ ფილოსოფიაში, ანუ – პატიოსან ცხოვრებაში, ასევე, პირიქით, ბოროტ ადამიანებთან ურთიერთობა ხდება მიზეზი უკიდურესი გარყვნისა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝ცუდთან ურთიერთობით თვითონაც ცუდი ხდები.

✝ანთებულ სანთელთან მფრინავი ბუზი ადვილად იწვის, ხოლო სარკე დაორთქლებით ჩამუქდება; ასევე ავზნიანთან ურთიერთობის მქონე ზიანდება და შეირყვნება *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

✝გაიძვერა გაიძვერას ხაფანგში იტყუებს, ცოდვილიც თავის მსგავსს ბოროტების სიღრმეში ითრევს *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✝როგორც რაიმე ნესტიანთან მიტანილი ღრუბელი იბერება და სინესტეს აგროვებს, ასევე ადამიანი, რომლის აზროვნებაც მტკიცე არ არის, თუ მიუახლოვდება ან დიდხანს ესაუბრება ხორციელად მოაზროვნეს, ზიანს აყენებს საკუთარ თავს *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✝დაბინძურებული წყალი საუკეთესო ღვინოსაც კი უვარგისად აქცევს; ასევე ცუდი საუბარი ხრწნის ღვთივსათნო და ზნეობრივ ადამიანებს *(წმიდა ანტონი დიდი)*.

კეთროვანი სუფთასაც აავადებს; ასევე ბოროტებთან ურთიერთობა კარგ ადამიანებსაც რყვნის *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

არაფერია იმაზე ადვილი, ვიდრე – რაიმე ცუდის გადაღება. ხდება ისიც, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, მივბაძოთ ვინმეს დიდ სათნოებას, მაგრამ ძალიან ადვილად შეგვიძლია, შევითვისოთ მისი ნაკლოვანებები *(ნეტარი იერონიმე)*.

როგორც ერთი წვეთი საფუარი ამოიყვანს მთელ გობ აფუებულ ცომს, ასევე ერთ ადამიანში მყოფი მომაკვდინებელი ცოდვა გადაედება მრავალს, რის გამოც ისე ხდება, რომ ერთი არაწმიდა მოხერხებულად გადააცდენს ხოლმე ჭეშმარიტების გზიდან მრავალ სათნო ადამიანს, მაშინ, როდესაც ერთ ღვთისმოსავს ზოგჯერ არ ძალუძს, ბოროტებას ჩამოაშორის ერთი არაწმიდაც კი.

ადამიანების უძლურება იქამდე მივიდა, რომ კეთილი ადამიანი ბოროტთა საზოგადოებაში შესვლისას თვითონაც ბორო-

ტი ხდება, მაშინ, როდესაც ბოროტები იშვიათად ხდებიან კეთილნი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

უფრო ადვილია ნაკლის გადმოღება, ვიდრე – სათნოების გადაცემა, რადგან უფრო ადვილად დაავადდები სნეულებით, ვიდრე – სხვას გადასცემ შენს ჯანმრთელობას *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

ავადმყოფობა ყოველთვის უფრო ადვილად გაცხადდება, ვიდრე – ჯანმრთელობა; ასევეა ზნეობასთან მიმართებაშიც. ავადმყოფობანი ხშირად ეპიდემიურნი ხდებიან, ჯანმრთელობა კი – არასოდეს.

მოყვასის სიყვარულის შესახებ

ლუმელი ცეცხლის გარეშე ვერ გაცხელდება; ასევე ღვთისაგან გაუცხოებულ ადამიანს, რომელსაც გულში ღმერთი არ ჰყავს, მოყვასი ვერ ეყვარება.

✦ღვთის მტერს ადამიანთან მეგობრობა არ ძალუძს.

✦წრეში რადიუსები ცენტრში იყრიან თავს და რაც უფრო ახლოს არიან ცენტრთან, მით ახლოს არიან ერთმანეთთან; მასთან დაშორების შესაბამისად, ისინი სულ უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს და განცალკევდებიან. ასევე ადამიანებიც, რაც უფრო შორს არიან ღმერთთან, მით მეტად შორდებიან ერთმანეთს.

✦შეიყვარე ერთარსება ღმერთი და უფლის ყველა შვილი შეგიყვარდება.

✦ვისაც გულწრფელად უყვარს ღმერთი, მას არ შეუძლია, მოყვასი არ უყვარდეს.

✦წმიდანები იყვნენ როგორც ღვთისმოყვარენი, ასევე – ყველა ადამიანზე მეტად კაცთმოყვარენი.

✦თუ ღმერთი გიყვარს, ისიც უნდა გიყვარდეს, ვინც ღმერთს უყვარს, რადგან უფალს ყველა ჩვენთაგანის მიმართ მამობრივი გული აქვს.

ღმერთი ყოველნაირად და განუწყვეტლივ ზრუნავს შენზე, შენ კი მოყვასზე იზრუნე.

გიყვარდეს ღმერთი თვით მასში და ყველა იმაში, რომლებიც მის სახეს საკუთარ თავში ატარებენ.

თუ ღმერთი გვიყვარს, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს მისი ხატიც — ადამიანი.

პატივი ეცი ღვთის ხატს ყოველ ადამიანში.

ჭეშმარიტმა სიყვარულმა არ იცის შიში და დაბრკოლება *(ეპ. ლეონიდე ოქროპირიძე)*.

თუ, შენი აზრით, მოყვასი ღირსი არ არის შენი სიყვარულისა, ღირსია ღმერთი, რომლის მონაცაა იგი და რომლის სახესაც ატარებს; ღირსია ქრისტე, რომელმაც მისთვის სისხლი დათხია *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ვინც არ უნდა იყოს შენი მოყვასი, ქრისტემ ინება, მისთვის გაეწირა.

✠რატომ ამბობ უარს მოყვასის სიყვარულზე, როდესაც ქრისტეს თავის სიცოცხლეში არ უთქვამს მისთვის უარი?

✠ვისაც ქრისტე არ უყვარს, მას არ სწამს მისი; მაცხოვარი არ უყვარს მას, ვისაც თავისი მოყვასი არ უყვარს.

✠ღმერთს ყველანი ვუყვარვართ; ჩვენც ყველა უნდა გვიყვარდეს.

✠ყველაზე უკანასკნელი ადამიანიც კი სხვა ყველა ქმნილებაზე მნიშვნელოვანია.

✠ოქროსშემცველი მიწის გროვის შემყურე უცოდინარს სძაგს იგი, ხოლო ვინც იცის, არ სძულს – მისი შემცველი ოქროს ნამცეცების გამო. ამის მსგავსად, როდესაც უყურებ ადამიანს, რომელსაც აქვს არასასიამოვნო გარეგნობა – გაუნათლებლობის, უხეშობის, უწესრიგობის, ნაკლოვანების, – უყურადღებო ადამიანს სძაგს იგი, ყურადღებიანს კი ებრალება, მაგრამ არ სძულს, იმიტომ, რომ თვით ამ უსახურ ბელტშიც არის ოქრო – არსება ადამიანისა და განსაკუთრებით – მისი სული.

ნუ განსჯი ადამიანს გარეგნობით, არამედ მისი შინაგანი თვისებები შეიცანი.

ადამიანის ღირსებაზე უნდა ვიმსჯელოთ არა გარეგნული ბედით, არამედ — საქმეებითა და ცხოვრებით.

უხამური სამოსის ქვეშ ხშირად კეთილშობილი სული იფარება.

ზოგი ღარიბულ ქოხში ცხოვრობს, მაგრამ მისი სული შესაძლოა, სამგვამოვანი ღმერთის სამყოფელი იყოს.

ის კი არ დაგამცირებს, თუ შენი მოყვასის მიმართ გამოიჩენ პატიცისცემასა და სიყვარულს, თუნდაც იგი შენზე დაბალ საფეხურზე იდგეს გონებით, წოდებით, მდგომარეობითა და ზნეობით, არამედ ის — თუ ამას არ გამოიჩენ.

უბედურის დანახვისას ყურადღებას ნურაფერს მივაქცევთ, მისი უბედურების გარდა.

ყოველთვის ჩვენი ახლობელია ის. ვისაც ჩვენი დახმარება ესაჭიროება.

ვინც სხვას არ შეეწევა, იმიტომ, რომ იგი იუდეველი, თურქი ანდა ლუთერანია, ის ქრისტიანი არ არის.

ყოველთვის წარმოიდგინეთ მოყვასი თქვენს ადგილას, საკუთარი თავი კი – მის ადგილას.

ისწავლე, მოთმინებით დაითმინო სხვისი ნაკლოვანებები და სისუსტეები, როგორიც არ უნდა იყოს ისინი, რადგან შენ გაქვს მრავალი ისეთი რამ, რაც სხვებმა უნდა დაითმინონ.

ნუ გაუკეთებ და ნუ უსურვებ სხვას იმას, რაც საკუთარი თავისთვის არ გსურს. შენთვის მტკივნეულია, როდესაც დაგცინიან; ნურც შენ დასცინებ სხვებს.

ძმები გტვირთულობენ ისეთს, როგორიც ხარ; იტვირთე შენც ისინი ისეთნი, როგორნიც არიან.

რაც საკუთარი თავისთვის არ გსურს, იმას სხვას ნუ გაუკეთებ; და რაც გინდა, რომ სხვებმა გაგიკეთონ, ის ჯერ თვითონ გაუკეთე სხვებს.

გიჭირს, როდესაც შენს მწუხარებას არავინ იზიარებს? იჩქარე, თვითონ გაიზიარო მოყვასის უბედურება.

გინდა, რომ ადამიანებს უყვარდე? გიყვარდეს ადამიანები; გინდა, რომ სიკეთეს გიკეთებდნენ სამაგიეროს გარეშე? შენც ყველას სიკეთე გაუკეთე – სანაცვლოს მოლოდინის გარეშე; ხომ გესიამოვნებოდა, თუ ყველა მოკრძალებითა და თავმდაბლად მოგექცეოდა? მაშ, იყავი თვითონაც მოკრძალებული და თავმდაბალი სხვების წინაშე.

გიყვარდეს ცოდვილნი, მაგრამ გძულდეს მათი საქმენი *(წმიდა ისაკ ასური)*.

სამართლიანია, ბოროტებში ბოროტება გძულდეს, მაგრამ გიყვარდეს ღვთის ქმნილება *(ნეტარი ავგუსტინე)*.

გიყვარდეს ამბა ისააკის მიბაძვა, რომელიც საკუთარ თავზე ამბობდა: „არასოდეს შემიტანია სენაკში ჩემი ზრახვა ძმის უსიყვარულობის შესახებ, რაც შეურაცხმყოფდა; სწორედ ასე ვცდილობდი,

რომ ძმასაც არ შეეტანა სენაკში უსიამოვნო გრძნობა ჩემს მიმართ“.

✦ყველა ღონე იხმარე, რათა არავის გაუკეთო ბოროტება და ყველა ადამიანის მიმართ სუფთა გული გქონდეს *(აბბა ჰიმენი)*.

✦ბოროტებას ნურც გაუკეთებ ვინმეს და ნურც ვინმეს მიმართ გულში გაივლებ მას *(აბბა მოსე)*.

✦თუ ბოროტების დათმენა არ გსურს, ნურც მის ქმნას მოისურვებ. ამ. უკანასკნელს აუცილებლად მისდევს პირველი. „რამეთუ რაიცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს“ (გალ. 6, 7) *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✦ვინც სხვისთვის ბოროტების გაკეთებას ფიქრობს, იგი თვითონ მიიღებს მას, ვიდრე გაკეთებას მოასწრებდეს.

✦ნუ ეძიებ საკუთარი თავისთვის სარგებელს — სხვისი დაზიანებით.

✦ადამიანი მოყვასს ისე ვერ ავნებს, საკუთარ თავს რომ არ ავნოს.

ვინც არავის არანაირ ცუდს არ უკეთებს, მას არაფრის უნდა ეშინოდეს.

ვინც სხვას ზიანს აყენებს, ანდა გულს სტკენს, მას სიბრძნე არა აქვს.

ბოროტება საკუთარ თავს ვნებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ხის მჭამელი მატლი მას აზიანებს; ასევე ბოროტებაც, იკვებება ადამიანის გულით და ჭამს მას *(ამბა ისაია)*.

ვინც ადამიანს შეურაცხყოფს, მას შეურაცხყოფს ღმერთი.

საკუთარი უსამართლობით ღვთის სამართლიან რისხვას ნუ მოვიწვევთ თავზე.

საკუთარი თავის სიყვარულის გამო მოყვასის მიმართ სიძულვილი არ უნდა გვქონდეს.

ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, მას სძულს იგი, ანუ – ნებისმიერი ადამიანის და ამასთან ერთად, ღვთის სიყვარულიც არ შეუძლია (1 იოანე 4, 20); ასეთი არც ღმერთს უყვარს.

ნურცერთი ადამიანის მიმართ ნუ გექნება სიძულვილის გრძნობა და ღმერთი შეგიყვარებს *(წმიდა ეპიფანე კვიპრელი)*.

საკმარისი არ არის ბოროტებისაგან თავის შეკავება, თუ სიკეთეს არ გააკეთებ. ცოტაა ის, რომ არავის ავნო, უნდა ეცადო, რომ ბევრისთვის იყო საჭირო *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ცოტაა, თუ მოყვასს ბოროტებას არ უკეთებ; გაუკეთე მას სიკეთე, თორემ აყვავებულ, მაგრამ უნაყოფო ხეს დაემსგავსები.

ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ; ამ წესის აღსრულება სიკეთეა. გაუკეთე სხვებს ის, რაც გინდა, რომ შენ გაგიკეთონ – ესაა სათნოება.

მოყვასის სიყვარული და მისთვის სიკეთის კეთება მხოლოდ იმიტომ როდია საჭირო, რომ ეს ძველი და ახალი აღთქმის ღვთაებრივი კანონმდებლობის პირდაპირი მცნებაა (ლევ. 19, 18; მათე 22, 37-39),

არამედ იმიტომაც, რომ მოყვასისადმი ამ სიყვარულში ჩვენი საკუთარი სიკეთე დევს.

თითოეულის სარგებელი მოყვასის სიყვარულში მდგომარეობს, მოყვასის სარგებელი კი – მის სარგებელში *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ვინც ხელზე ზეთს ისხამს, რათა ავადმყოფს აცხოს იგი, თვითონ უწინარეს იღებს ზეთის ცხიმს; ასევეა ძმისთვის მლოცველი (და საერთოდ, მოყვასის სარგებლისათვის მზრუნველი და მისთვის სიკეთის მკეთებელი), ვიდრე მას მოუტანს სარგებელს, თვითონ ღებულობს მას *(ძველი პატერიკი)*.

ვისაც მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს, საკუთარ თავზე ზრუნავს და ფიქრობს: ოღონდ თვითონ იყოს კარგად და სხვებმა, როგორც უნდათ, ისე იცხოვრონ, – ასეთი ჩვენი ყველაზე საშიში მტერია.

თავმოყვარეობა ჩვენი ყველაზე საშიში მტერია.

ეგოიზმი ყოველგვარ ნაკლოვანებათა ჯაჭვის პირველი რგოლია.

ვინც მარტო თავისი თავისთვის ცხოვრობს და მხოლოდ საკუთარ გამორჩენას დაეძებს, ის ბედნიერი ვერ იქნება. ჩვენ ჭეშმარიტად მაშინ ვცხოვრობთ საკუთარი თავისთვის, როდესაც სხვებისათვის ვცხოვრობთ.

იცხოვრე სხვებისთვის, თუ გინდა, რომ საკუთარი თავისთვის იცხოვრო.

თვით ღმერთია გულღია, რამეთუ გონიერი ქმნილებები შექმნა, რომელთათვისაც შეეძლო, საკუთარი სრულყოფილება გაეხსნა.

ვინც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს მაშინ, როდესაც ბედი სწყალობს, მას უბედურებაში მეგობრები არ ჰყავს.

თითოეულმა ყველა საკუთარ თავზე წინ უნდა დააყენოს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

ყველას ვალი და ყველასთვის სასიკეთოა — იცხოვრო ყველასთვის.

დაე, მეგობრობით კეთილ ადამიანებს დავუკავშირდეთ; ჩვენი უახლოესი და უპირველესი საზრუნავით – ახლობლებს; ჩვენი სიყვარულით – ყველას; ჩვენი შემწეობით – გასაჭირში მყოფთ.

ჭეშმარიტად კეთილი ადამიანი სხვისი მწუხარებისას საკუთარს ივიწყებს და სხვისი ბედნიერებისას – საკუთარ ბედნიერებას.

ნუ ისაუბრებ შენს ბედნიერებაზე ადამიანთან, რომელიც შენზე ბევრად უბედურია.

უარს ნუ იტყვი, სამართლიანობის მსხვერპლად მიიტანო საკუთარი სიმშვიდეც, სარგებელიც, ზოგჯერ კი – მრავალი ძლიერის წყალობაც, რათა ერთი უძლური იხსნა.

ვისაც შეუძლია, უშველოს დასახრჩობად განწირულს და არ უშველის, ის მას დაახრჩობს.

ვერ ცხონდება ის, ვისაც არ სურს, სხვის ცხონებას შეეწიოს.

თუ უბედურის დახმარება არ შეგიძლია, თანაგრძნობა მაინც გაუწიე მას.

ადამიანისთვის თანაგრძნობის გაწევა განსაცდელის უამს გულისათვის იგივეა, რაც – ნამი მცენარისათვის.

ამბა აგაფონი ამბობდა: „რომ შემძლებოდა, რომელიმე კეთროვანისათვის სხეული გამეცვალა, ამის გაკეთება ჩემთვის სიამოვნება იქნებოდა“. ასეთია სრულყოფილი სიყვარული!

ჭეშმარიტი სიყვარული ყოველთვის განწყობილია იმაზე მეტის გასაკეთებლად, ვიდრე – აკეთებს ან შეუძლია, გააკეთოს.

სიყვარულის ვალი – ეს ისეთი სახის ვალია, რომ განუწყვეტლივ გრძელდება მისი გადახდა, მაგრამ ბოლომდე არასოდეს გადაიხდება.

ვისაც მეტად უყვარს, ის მეტს აკეთებს.

ბევრს ის აკეთებს, ვინც კარგად აკეთებს. კარგად ის აკეთებს, ვინც საერთო საქმისთვის მეტს გაიღებს, ვიდრე – საკუთარი თავისუფალი ნებით გაიღებდა.

ყველაზე და ყველაფერზე მეტად ღმერთი გიყვარდეს. უფლის შემდეგ მოყვასის სიყვარული საკუთარი თავისას გაუტოლე, ხოლო თუ სრულყოფილება გსურს, მაშინ უკანასკნელი პირველს მიუტანე მსხვერპლად და მიწიერი ბედნიერება, რომელსაც საკუთარ თავში მოიპოვებ ამის შედეგად, იქნება დასაწყისი და წინდი შენი მარადიული ბედნიერებისათვის ზეცაში.

ნუ იქნები თავისმოყვარე და ღვთისმოყვარე იქნები; ნუ იქნები საკუთარი თავისთვის გამორჩენის მოსურნე და ძმისმოყვარე იქნები *(წმიდა მაქსიმე აღმსარებელი)*.

მოწყალება და ქველმოქმედება

როგორ მდიდრდება სამყარო უბედურებებით და მწუხარებებით! საჭიროა, რომ

არანაკლებ მდიდრდებოდნენ ღვთის შვილები მოწყალების გრძნობებითა და საქმეებით.

კარგია, თუ ქვის გული არ გაქვს; მაგრამ ცუდია, თუ მშრალი და დაკრუნჩხული ხელი გაქვს, რომელიც გლახაკისაკენ არ არის გაწვდილი.

ადამიანი, რომელსაც შეუძლია, დაეხამაროს ვინმეს და სიკეთე გააკეთოს, მაგრამ არ აკეთებს მას, საბრალო და, ამავე დროს, უღირსი ქმნილებაა.

არ უწილადო ღატაკებს იქიდან, რაც მოგეჭარბება – სხვისი ქონების მითვისებას ნიშნავს *(ნეატრი ავგუსტინე)*.

მდიდრები ღატაკებს საარსებო წყაროს აძლევენ, ღარიბები კი – მათი ცხონების საშუალებას.

ქალწულების გარეშე ცათა სასუფევლის დამკვიდრება შესაძლებელია, მოწყალების გარეშე კი – არა.

მოწყალების გარეშე ცათა სასუფევლის კართან მიღწევაც კი შეუძლებელია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝მოწყალების გარეშე ლოცვაც უნაყოფოა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝მოწყალე ღმერთი ბუნებრივი მოწყალებით მიაპყრობს ყურადღებას ლოცვას, მაგრამ მხოლოდ – მოწყალეთა ლოცვას *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝რა იმედით უნდა ილოცო ღვთის წინაშე, როდესაც თვითონ არ უსმენ შენი მსგავსი ადამიანების ლოცვას *(წმიდა ტიხონ ზადონელი)?*

✝როგორ უნდა სთხოვო უფალს ტაძარში სხვებთან ერთად: – „მომეცი, უფალო!“ როდესაც თვითონ არ აძლევ ღატაკებს მაშინ, როცა ეს შეგიძლია? *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝როგორ იტყვის შენი ბაგეები – „შეისმინე ჩემი, უფალო!“ როდესაც თვითონ არ გესმის ღატაკის ან, უფრო სწორად, იესო ქრისტესი – ამ ღატაკში, რომელიც შენ გიხმობს? *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝როგორი სასოებით გაიწვდი ხელებს შენი შემოქმედისაკენ, როდესაც თვითონ შენსავე მსგავსს, რომელსაც შენსკენ აქვს

ხელი გამოწვდილი, ზურგს აქცევ? *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

✝როგორებიც ვართ ჩვენ მოყვასის მიმართ, ისეთივე იქნება ღმერთი ჩვენს მიმართ *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

✝თუ გლახაკს არაფრად ჩააგდებ, უარგყოფს ის, ვინც მისი გულისთვის დაგლახაკდა; თუ არ გაუღებ მას, ვინც გიკაკუნებდა – არც შენთვის გაიხსნება ღვთის სასუფევლის კარი; არ შეისმინე მწუხარის კვნესა?! – არც უფალი შეისმენს შენი ლოცვის სულთქმას *(სულიერი მარგალიტი).*

✝ცრემლი ყოველი ღატაკისა, რომელიც მადლობას მოგიხდის იმქვეყნად, უძვირფასეს ალმასად აკიაფდება; თითოეული ცრემლი, რომლის დაღვრასაც მას შენი მის მიმართ სიცივე და გულის სისასტიკე დააღვრევინებს, შენს სულს დაეცემა ცეცხლოვან წვეთად ღვთის ტახტის წინაშე.

✝ღვთის მოწყალება მოყვასის მიმართ მოწყალებით ეძიე.

„ღმერთი მოგცემს!“ – ეუბნებიან ზოგიერთნი მათ, ვინც მოწყალებას სთხოვს. უგუნურად იქცევი, თუ ასე ექცევი გაჭირვებულ მოძმეს. ღატაკს უფალი გიგზავნის, შენ კი მას კვლავ ღმერთს უბრუნებ: „ღმერთი მოგცემს“. ღმერთი კი აუცილებლად მისცემს, მაგრამ შენც მიეცი; ის მისცემს ღატაკებს, მაგრამ გაიღებს კი იგი შენზე თავის წყალობას, რომელიც შენ შეუდარებლად მეტად გჭირდება, ვიდრე – ღატაკს შენი მოწყალება?

ღატაკ და გაჭირვებულ ადამიანს ღმერთი მიაწვდის, რადგან იგი არავის ტოვებს; მაგრამ შენ უპოვარის გაძევებით განეშორე ღვთის მიერ ბოძებულ პატივს, ამით კი ღვთის მადლი განიშორე *(წმიდა ისააკ ასური)*.

შეიყვარე ღატაკი, რათა მისი საშუალებით შენც მიიღო ღვთის წყალობა *(წმიდა ისააკ ასური)*.

გამოკვებე გლახაკები – ისინი საუკუნო მსაჯულის გულს მოალბობენ შენდამი *(წმიდა ნილოს სინელი)*.

არ მახსოვს, მინახავს თუ არა ცხოვრებაში თუნდაც ერთი კეთილისმყოფელი ადამიანი, რომელიც უბედური სიკვდილით მოკვდა. როგორ შეიძლება, იგი ასე მოკვდეს, როდესაც მის ცხონებას ამდენი შუამდგომელი და მლოცველი ჰყავს? *(ნეტარი იერონიმე).*

გადააფრქვიე სიყვარულისა და ქველმოქმედების ზეთი მოყვასთ და ჩააქრობ გეენიის ცეცხლს, რომელიც ცოდვილს დაწვავს.

აცხოვნე სხვები, თუ გინდა, რომ ცხონდე; აჩუქე დროებითი ბედნიერება მოყვასს, თუ გინდა, რომ მარადიული ბედნიერებით დატკბე; გაუნაწილე მიწიერი მადლი სხვებს, თუ გსურს, ზეციური მადლი იგემო.

ღვთის წყალობაა ჩვენ'ს'ე, როდესაც სხვისი დახმარების შესაძლებლობა გვეძლევა.

განა ღვთის უდიდესი წყალობა არ არის ჩვენზე, რომ ყველას გვაქვს უფლება, ჩვენი ცოდვები მოწყალებით გამოვისყიდოთ?

მოწყალს აქვს თვისება, სხეულს ჭუჭყი ჩამორეცხოს; მოწყალებას კი ძალუძს, სულიერი უწმიდურება მოსპოს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

მიდით და დაიმკვიდრეთ ცათა სასუფეველი, – ეუბნება უფალი მოწყალეთ, – არა იმიტომ, რომ თქვენ არ შესცოდეთ, არამედ იმისათვის, რომ მოწყალებით განიწმინდეთ ცოდვებისაგან *(ნეტარი ავგუსტინე)*.

მოწყალების წამალს დიდი მნიშვნელობა აქვს: იგი ყველა ჭრილობას უხდება.

მოყვასის დაწყლულებულ გულზე დაპკურებული ბალზამი ჩვენს – საკუთარსაც აშუშებს.

სხვებისათვის ქველმოქმედებით ჩვენი თავისთვისაც ვქველმოქმედებთ.

ადამიანებისათვის იაფფასიანი ქველმოქმედებით შეგვიძლია, ფასდაუდებელი ზეციური სასუფეველი მოვიპოვოთ.

მოწყალე ბრმა კეთილი წინამძღოლია ზეციურ სასუფეველში.

✝შენ ფულს აძლევ გლახაკებს, ისინი კი ღვთის წინაშე გშუამდგომლობენ.

✝ნეტარია, ვისაც წმიდა გრიგოლ ნოსელთან ერთად შეუძლია თქვას: „უფალო! ისევე მომექცი, როგორც მე სხვებს ვექცეოდი!“

✝ო, საბრალო მიწაზე მოგზაურები! სად მივდივართ, თუკი არ მივუყვებით ქრისტიანული მოწყალების გზას ქრისტეს მოწყალებისაკენ.

✝მოყვასის დამხმარე ხელი ღვთის მოწყალებისაკენ გაიწვდის ხელს.

✝ადამიანისათვის მიცემით ღვთისაგან ვიღებთ.

✝მოწყალებას ღატაკს აძლევ, ქრისტე კი ღებულობს მას *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝ღარიბის ხელი ქრისტეს საგანძურის მცველია: რასაც ღატაკი ღებულობს, მას ქრისტე იღებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝მიწაზე მწოლისთვის მიცემით ზეცაში დაბრძანებულს აძლევ.

✠გავიღოთ მოწყალება, რათა ღვთისაგან უკან მივიღოთ იგი *(წმიდა ბასილი დიდი).*

✠ნუ იძუნწებ მოწყალების გაღებისას და ზურგს ნუ შეაქცევ მას, ვისი სახელითაც გთხოვენ *(წმიდა დიმიტრი როსტოველი).*

✠ფულის ხარჯვას კი ნუ უყურებ, არამედ ამ დანახარჯის მონაგებს.

✠როგორც მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი მთესავს სიუხვეს მოუტანს, ასევე მშიერისათვის მიწოდებული პური შემდგომში ასმაგ სარგებელს მოგცემს *(წმიდა ბასილი დიდი).*

✠მიეცი მას, ვინც მუდამ გაძლევს და ღვთისაგან ასმაგს მიიღებ.

✠ვინც ღატაკს შეიწყალებს, მას მფარველად ღმერთი ჰყავს *(წმიდა ისაა ასური).*

✠მოწყალების გაღებისას გაღატაკების ნუ გეშინია. ვინც ღმერთსა და ღატაკებს ემსახურება, იგი ღარიბი არასოდეს იქნება. „მოწყალე ხელი არ გაღატაკდება“.

მოწყალების გულუხვი გაცემით როდი კოტრდებიან და ღარიბდებიან მდიდრები, არამედ იმისაგან, რომ ღარიბებისთვის მცირედიც ენანებათ, საკუთარი ვნებებისთვის კი – არაფერი.

განა მოწყალების გაცემით შენი სიმდიდრე ამოიწურება? იგი არათუ არ ამოიწურება, არამედ – ზეციური მადლიც მიემატება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

გაიღე მოწყალება ხილული მთხოვნელის მიმართ და გწამდეს უხილავი მიმღების.

მიწაზე ქველმოქმედნო, ადიდეთ ზეციური ქველმოქმედი, რომელიც მოწყალების მადლს გიბოძებთ.

გიყვარდეს ტკბილი სიამოვნება: სხვების გაბედნიერებისა და ღატაკთა შეწევნისა, განსაკუთრებით კეთილთა და პატიოსანთა; ეს სიამოვნება სამოთხისეულთაგან ერთ-ერთია. თვით მაცხოვარმა ბრძანა: „ნეტარ არს მიცემა უფროის ვიდრე მოღებისა“ (საქმ. 20, 35).

✝ცხოვრებაში ბედნიერია ის, ვისაც სხვების გაბედნიერება შეუძლია.

✝ უდიდესი საქმეა – ადამიანი! ამაზე უძვირფასესია მოწყალე ადამიანი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝არაფერი ისე არ სათნოჰყოფს ადამიანს ღვთის წინაშე, როგორც – მოწყალება *(ამბა ევაგრე)*.

✝თითქმის არ არსებობს არცერთი ღარიბი, რომელსაც სამართლიანად შეეძლოს მოწყალების საქმისათვის თავის არიდება *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✝მოწყალების გაღება მაინც შეგიძლია, ძალიან ღარიბიც რომ იყო, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე – გთხოვენ.

✝მოწყალების ძალა იმაში კი არ არის: ბევრს გაიღებ თუ ცოტას, არამედ იმაში, რომ მისცე არანაკლები, ვიდრე – შეგიძლია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝მცირე თანხას ღვთის წინაშე მადლმოსილი გულმოდგინება ფასდაუდებელს ხდის.

✤თუ ბევრი გაქვს, ბევრი გაეცი; თუ ცოტა გაქვს, სიამოვნებით გაუნაწილე ის ცოტა ღარიბებს.

✤მოწყალებიდანაც მიეცი სხვებს მოწყალება.

✤შენი შესაძლებლობებისა და მდგომარეობის შესაბამისად მოწყალე იყავი; ღატაკსაც შეუძლია, ღატაკს დაეხმაროს. ქველმოქმედების საშუალებები და ხერხები ამოუწურავია.

✤ღატაკებს შეუძლიათ, სხვა ღატაკებისათვის ითხოვონ, გაუნაწილონ მათ თავიანთი პური, იშრომონ მათთვის, დაეხმარონ ავადმყოფობის, გასაჭირის, დევნის ჟამს.

✤ის კი არ არის ჭეშმარიტად გულმოწყალე, რომელიც მოჭარბებულიდან აძლევს, არამედ ის, ვინც საჭიროსაც მოიკლებს ღატაკებისათვის *(ნეტარი ავგუსტინე)*.

✤ნეტარია, ვინც იმისთვისაც მარხულობს, რომ ღარიბებს აჭამოს.

თუ შენ არ შეგიძლია, ძმას დაეხმარო, უფალს სთხოვე მისი შეწევნა.

მოწყალება ის კი არ არის, რომ მხოლოდ ფული მისცე, არამედ ის, რომ ქრისტიანული გულმოწყალებით მისცე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

გულითადი დამოკიდებულის გარეშე აღსრულებული მოწყალების საქმე იგივეა, რაც – სხეული სულის გარეშე.

როცა გაჭირვებულს რაიმეს აძლევ, შენი სახის მხიარული გამომეტყველება უნდა უსწრებდეს შენს მიერ მიცემულს, მისი მწუხარება კი კეთილი სიტყვებით ანუგეშე *(წმიდა ისააკ ასური)*.

მხოლოდ ის მოწყალებაა ჭეშმარიტი, რომელიც სიხარულით გაიცემა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

სიხარულით გაცემა მეტს ნიშნავს, ვიდრე – ბევრის გაცემა *(ნეტარი ავგუსტინე)*.

თუ პურს მწუხარე გულით აძლევ, პურსაც დაკარგავ და ჯილდოსაც *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠გასაჭირში გაფრთხილება ორმაგ მოწყალებას ნიშნავს.

✠ნუ დაუშვებ, რომ შენი სიყვარული მოყვასის მიმართ მის უბედურებაზე მოკლე იყოს.

✠განაგრძე მიწიერი მოწყალება და გაგრძელდება ზეციური წყალობა შენს მიმართ.

✠მიეცით მოწყალება ყველას, ვინც ქრისტეს სახელით ითხოვს, ზედმეტი და ხშირად არასწორი განსჯის გარეშე, იმის შიშით, რომ ვისაც მოწყალება მიეცით, თვით ქრისტე არ იყო.

✠გაცილებით უკეთესია ღირსეულისათვის, ცელი გაუწოდოს ულირსთაც, ვიდრე იმის შიშით, რომ ულირსს შეხვდება, ღირსეულებსაც უარი უთხრას მოწყალებაზე *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✠უკეთესია, უმადურობას შევხვდეთ, ვიდრე — უბედურნი დავივიწყოთ.

✠ვერანაირმა უმადურობამ მოწყალებისაგან ვერ უნდა შეგაჩეროს.

✠ნუთუ თავს შეიკავებ მოწყალებისაგან იმიტომ, რომ გამოსცადე ან მოელი

უმადურობას? გაიხსენე შენი მაცხოვარი, რომელმაც, თუმც კი ხედავდა ცხრა უმადურს ერთი მადლიერის გვერდით, თავი როდი შეიკავა ყველას მიმართ მოწყალებისაგან (ლუკა 17, 12-19).

✗ნუ დაამცირებ სათნოების ღირსებას მადლიერების სურვილით, როგორც – სანაცვლოთი; ნუ დაამცრობ ქველმოქმედების სიხარულს უმადურობაზე ფიქრით, რომელიც ქვემოქმედებას ზიანს არ აყენებს.

✗კეთილი სული მოყვასისათვის წყალობას გაიღებს და არა მხოლოდ მის უმადურობას იტანს სულგრძელად, არამედ მოთმინებით იღებს მისგან შეურაცხყოფასაც.

✗ნუ შეგეშინდებათ თქვენი მოწყალების გამრავლების, მაგრამ ნურასოდეს ნურავის დააყვედრით მას, თუ გსურთ, მისი ნაყოფი მოიმკოთ.

✗თუ ვინმეს მოწყალებას მისცემ ღვთის სახელით, მას ნულარ დააყვედრი; ვინც

აყვედრის, ის ერთი ხელით აძლევს, მეორით კი თითქოს უკან ართმევს მიცემულს (ლუკა 6, 30).

✝ვინც სხვას თავის მოწყალებას აყვედრის, ის სათნოებას არ იქმს, არამედ სახელს უტეხს მას.

✝ზოგიერთნი მოწყალებას გაიღებენ, მაგრამ სხვებს ართმევენ.

✝მოწყალების გაღება სასარგებლოა, მაგრამ სხვების წყენა დამღუპველია *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝მრავალანი პეტრეს აძლევენ იმას, რაც პავლეს წაართვეს და ფიქრობენ, რომ მოწყალებას გაიღებენ.

✝ბრმაა მოწყალების გამღები, თუ ის უსამართლოა; ამუშავებს ყანას, საიდანაც მოსავლის აღება არ შეუძლია *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✝ჯერ ტაცებას დაანებე თავი, შემდეგ კი მოწყალების გაღება დაიწყე. „მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი“ (ფს. 36, 27) *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

თუ ღატაკებში დათესვა სასრგებლოა, საკუთარიდან თესე. ხოლო თუ სხვისი კუთვნილიდან გადაწყვეტ დათესვას, იცოდე, რომ ეს ყველაზე მწარე ნაყოფია *(წმიდა ისააკ ასური)*.

პატივმოყვარეობას ყოველთვის უნდა ერიდო, განსაკუთრებით კი მოწყალების გაღების დროს. ამ ავადმყოფობით მოწყლული მოწყალება მოწყალების საქმე კი აღარ არის, არამედ თავმომწონება და გულქვაობა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

როდესაც მოწყალებას გულმოწყალების გამო კი არ გაიღებ, არამედ საკუთარი თავის წარმოსაჩენად, მაშინ იგი არა მხოლოდ მოწყალება არ არის, არამედ – საწყენიცაა, რადგან ამით სახალხოდ დასცინი ძმას *(მიწდა იოანე ოქროპირი)*.

მოყვასისათვის მოწყალების გაღებისას მოიშორე პატივმოყვარეობა და ამპარტავანი ფიქრები. შენ ღატაკებს ეხმარები. ეს, უდავოდ, ბრწყინვალე გამოვლინებაა მოყვასისადმი შენი სიყვარულისა; რა უნდა

აქ პატივმოყვარეობას? შენ ღარიბებს ეხმარები, მაგრამ მათ შენსას როდი აძლევ, არამედ – ღვთისას, რამეთუ არა მხოლოდ ის, რაც შენს საკუთრებად მოგაჩნია, არამედ თვით შენც სულითა და ხორცით ღვთის ქმნილება ხარ. რა გაქვს საამპარტავნო?

თუ ვინმემ საქებარი და უხვი მოწყალება გაიღო, მაგრამ ეს გააკეთა იმის სურვილით, რომ ქველმოქმედის დიდება მოეპოვებინა, მას მოწყალება საკუთარი პატივმოყვარეობისათვის გაუცია.

მოწყალების მეშვეობით ადამიანთა პატივისცემის ყიდვა ნიშნავს ყიდვას ძალიან ძვირად – ზეცის ფასად, რომელიც შენთვის მოწყალების ჯილდო უნდა ყოფილიყო.

მიემსგავსე ნაკადულს, რომელიც არწყულებს ბოროტთ და კეთილთ, მის მსგავსად მოწყალება გაიღე ყველასთვის, მაგრამ მის მსგავსადვე ნუ იხმაურებ საკუთარი მოწყალების შესახებ.

საყვირივით გაახმაურე სიკეთე, რომელიც სხვებისაგან მიიღე; სამარესავით დადუმდი შენს მიერ ქმნილი სიკეთის შესახებ.

ყოველთვის გახსოვდეს მიღებული მოწყალება, შენს მიერ ქმნილი კი – მეყსეულად დაივიწყე.

არ არსებობს დედისა და ბავშვის ღიმილზე უფრო ლამაზი ღიმილი; არ არსებობს იმ დიდსულოვნებაზე უმშვენიერესი ღიმილი, რომელიც ქველმოქმედებას ფარავს.

აი, ნაკადული მოედინება, ბუჩქნარში იმალება და ფარული გზებით თავისი სინესტით რწყავს მცენარეებს, რომლებიც მის ნაპირებზე იზრდება. ეს არის მოკრძალებული და თავმდაბალი სული, რომელიც ფარულად ქველმოქმედებს და არ სურს, რომ ამის შესახებ მთელმა ქვეყანამ შეიტყოს.

სიტყვასაც ნუ იტყვი, როდესაც ვინმეს მიმართ წყალობას გამოიჩენ; მაგრამ ჩუმად ნუ იქნები, როდესაც სხვები გიკეთებენ სიკეთეს.

მოწყალების შემდეგ უდიდესი სიამოვნებაა მადლიერების გრძნობა.

მადლიერების სწავლით მოწყალებასაც ისწავლი.

როდესაც ღვთის წინაშე მოწყალების გამლებისათვის ილოცებთ, იმავდროულად თქვენი საკუთარი სულისთვისაც იღვაწებთ.

არაფერია უმადურობაზე უსაძაგლესი; უმადური ჰგავს იმას, რომელმაც მოტყუებით მიიტაცა სხვისი კუთვნილი.



მეგობრობა

საუკეთესო მოსახვეჭელი ერთგული მეგობარია.

ნამდვილი მეგობარი ყოველ ნათესავზე ახლობელია.

მეგობრობაზე მშვენიერი ქვეყნად არაფერია. იგი ნუგეშია დღევანდელ ცხოვრებაში. რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო

ამაღლებული და ძვირფასი, როდესაც შეგიძლია, გული გაუხსნა ვინმეს, გაუმხილო საიდუმლოება, გაანდო დაფარული? და შეიძლება იყოს უფრო მანუგეშებელი რაიმე, ვიდრე ის, როდესაც გყავს გულწრფელად ერთგული ადამიანი, რომელიც შენი სიხარულით გაიხარებს და შენს ჭირს გაიზიარებს, დევნილებაში კი რჩევასა და ნუგეშს მოგცემს *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)?!*

გაზიარებული ნაღველი სუსტდება, სიხარული კი – ძლიერდება.

მტრობა წყალზე უნდა დაიწეროს, რათა სწრაფად გაქრეს, მეგობრობა კი – სპილენძზე, რათა მუდამ მტკიცედ იყოს დაცული *(წმიდა ისიდორე ჰელუზიელი)*.

კეთილგონიერება მეგობრებს შეგვძენს, უბედურება კი – გამოსცდის მათ.

მერცხლები ზაფხულში ბრუნდებიან, ზამთარში კი მიფრინავენ; ეს ცრუ მეგობრობის გამოხატულებაა. ცხოვრების სიხარულიან დღეებში ისინი ერთგულნი არი-

ან, ხოლო თუ ბედნიერება ზურგს შეგაქცევთ, ისინიც მიფრინავენ.

ყალბი მეგობარი შესაძლოა, შევადაროთ ჩრდილს, რომელიც მზის საათებში ჩამოწვება ხოლმე. იგი მხოლოდ კარგ ამინდშია, ღრუბლების გამოჩენისთანავე, ანდა წვიმიან ამინდში მექსეულად ქრება.

ერთგული მეგობარი ზურგს არ შეგაქცევს, როდესაც ბედნიერება გაქცევს ზურგს.

თუ შენი მეგობარი სერიოზულ შეცდომებს უშვებს, ნუ მოგერიდება მისი მხილება — ეს მეგობრის უპირველესი მოვალეობაა.

თუ მეგობრის ნაკლოვანებების მიმართ გულგრილი ხარ და მის გამოსასწორებლად ზომებს არ იღებ, ნათლად ამჟღავნებ, რომ შენი პატიოსნება საეჭვოა.

ნუ გექნება მეგობრობის უწყინარი სიხარულის იმედი, თუ მათ ღვთისმოსავ სამეგობროში არ ეძიებ.

ნუ გექნება ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც მოყვასს ზიანს აყენებს და ნუ გაიხარებ იმასთან ერთად, ვინც სხვას ბოროტებას უკეთებს *(ამბა მათე)*.

ნუ გექნება ნაცნობობა მზაკვარ ადამიანთან. მზაკვართან მეგობრობა ეშმაკთან მეგობრობას ნიშნავს *(წმიდა ანტონი დიდი)*.

ბოროტ ადამიანთან მეგობრობა დილის ჩრდილს ჰგავს – იგი ყოველ საათს კლებულობს; კეთილთან ურთიერთობა კი სალამოს ჩრდილივით უნდა იზრდებოდეს მანამ, ვიდრე მზე ბრწყინვალებს.

მოწყალე ადამიანები მტერში სათნოებას რომ შენიშნავენ, ურიგდებიან მას, ხოლო უზნეო მეგობარს სცილდებიან, თუ იგი გამოუსწორებელია.

ამბა აგაფონი ამბობდა: „თუ დავინახავ, რომ ჩემი ყველაზე საყვარელი ადამიანს სულისთვის ზიანი მოაქვს, დაუყოვნებლივ დავშორდები მას, ანუ გავწყვეტ ნაცნობობასა და ურთიერთობას მასთან“.

თუ სათნოება შენს მტერში მშვენივრად არ გეჩვენება, ხოლო ნაკლი – საძაგლად შენს მეგობარში, განა შეგიძლია, თქვა ან იფიქრო, რომ გიყვარს სათნოება და გძულს ნაკლი?

ნუ მისცემ თავს ნებას, ღვთის მცნებები დაარღვიო ადამიანური მეგობრობის გამო *(წმიდა ანტონი დიდი)*.

ნუ გეყოლება ისეთი მეგობრები, რომლებსაც მეგობრობაზე მეტად სავსე მაგიდა უყვართ.

მათ, ვინც მხოლოდ დროის გასატარებლად სტუმრობს შენთან, ქრისტეს, სიკვდილის, მომავალი ცხოვრების, სამსჯავროსა და ჯოჯოხეთის შესახებ; მაშინ ისინი შენგან ან დამოძღვრილები წავლენ სახლში, ან საერთოდ აღარ მოვლენ დროის წასართმევად.

უძვირფასესია ერთგული მეგობარი, რომელიც ჩვენს მწუხარებასა და სიხარულს ი'სიარებს და ამასთან ერთად, შეუძლია, იცოს

ჩვენი მრჩეველიც და სათნოების მასწავლებელიც – ჩვენი ცხოვრების რთულ ყოფაში! სამაგიეროდ ასეთი მეგობრები ისევე იშვიათია, როგორც ძვირფასეულობა. ამიტომ წმიდა მამები გვირჩევენ, განსაკუთრებით ყურადღებიანნი ვიყოთ მეგობრისა და საერთოდ, ადამიანის არჩევაში, რომელსაც საკუთარ სულს ვანდობდით.

✝რომელ ადამიანსაც შენი გული სრულიად არ ენდობა, მას გულით ნუ მიეჯაჭვები *(აბბა პიმენი)*.

✝ყველას მიმართ კეთილგანწყობილი იყავი, მაგრამ მრჩევლად ყველას ნუ გაიხდი *(წმიდა ანტონი დიდი)*.

✝ყველას ნუ გაუმჟღავნებ შენს აზრებს, არამედ მხოლოდ მათ, რომლებსაც შენი სულის მკურნალობა ძალუძთ *(წმიდა ანტონი დიდი)*.

✝ღვთისა და სინდისის წინაშე ნაკადულივით გამჭვირვალე იყავი, მაგრამ მანკიერსა და ბოროტს შენს სულში ჩახედვის საშუალებას ნუ მისცემ; უზნეოს მზერა სულს აბნელებს.

უმჯობესია, ყალბი ოქრო მიიღო, ვიდრე ყალბი მეგობარი *(ამბა აგაგრე)*.

იმაზე უფრო საშიში მეგობარი არ არსებობს, ვიდრე ის, ვინც მეგობრად გაჩვენებს თავს.

ერიდე უფრო მეტად მეგობრების შურს, ვიდრე – მტრებისას, რადგან მტერს აშკარად შურს, მეგობარს კი – ფარულად.



წყენის მიტევება და მტრის სიყვარული

უფალმა ორი ნიჭი გვიბოძა, რომლებიც ჩვენი სუსტი გულისათვის ერთნაირად ძვირფასია – ხსოვნა და დავიწყება. როდესაც სიკეთეს გვიკეთებენ, მადლიერების გრძნობა მის ხსოვნას ითხოვს; ხოლო როდესაც ბოროტებას გვიკეთებენ, სიყვარული მას გვავიწყებს *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*.

სიკეთე სპილენძზე ჩაიწერე, წყენა კი – წყალზე *(წმიდა ისიდორე პელუზიელი)*.

მტრად ნურავის სცნობ ამ ქვეყანაზე, თუნდაც იგი(ქვეყანა) ერთ მეგობარსაც არ გაძლევდეს.

ღმერთმა მცნებად მოგვცა მტრობა მხოლოდ გველთან (შესაქმე 3, 15) – კაცთმოძულე ეშმაკთან.

გინდა, არ დაუთმო ეშმაკს და წინააღმდეგობა გაუწიო მას?! – დაუთმე ადამიანებს და ნუ შეეწინააღმდეგები მათ, ბოროტებას ბოროტებით ნუ გადაუხდი.

ვინც ავმეხსიერია ეშმაკის მიმართ, იგი კაცთა სიავეს არ იმახსოვრებს; მაგრამ ეშმაკთან მშვიდობას ამყარებს ის, ვინც ძმის მიმართ ავმეხსიერია *(წმიდა ხილოს სინელი)*.

რატომ გძულს ადამიანი, რომელმაც გაწყენინა? მან კი არ გაწყენინა, არამედ – ეშმაკმა; ავადმყოფობა მოიძულე და არა – ავადმყოფი.

ცოდვები უნდა გძულდეს და სდევნიდე მათ და არა – ცოდვილები.

ადამიანებთან მშვიდობა იქონიე, ცოდვებთან კი – მტრობა.

ნუ იწუწუნებ სხვებზე, არამედ – შეიბრალე.

ადამიანები უფრო სუსტები არიან, ვიდრე – ბოროტები.

ადამიანური ნაკლოვანებების დიდი ნაწილი სისუსტის შეცდომებია.

საკუთარ თავს ნურაფერს აპატიებ, სხვას კი ყველაფერი შეუნდე.

თუ ვინმეს რაიმეს მიტევება უჭირს, უნდა გაიხსენოს, რომ ქრისტიანია.

ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული ისაა, რომ სამართლიანი შურისძიებისგანაც კი შეიკავოს თავი და უფალს მიანდოს შურისძიება: „ჩემი არს შურისგებაი და მე მივაგო!“ (ზირ. 28, 1; რომ. 12, 19).

ქრისტიანის წოდება მოითხოვს, არა მხოლოდ სხვისი არ ავიღოთ, არა მხოლოდ მეზობელი არ გავანაწყენოთ, არამედ – საკუთარიც დავუთმოთ მოკრძალებული სიყვარულით.

ქრისტიანული გამარჯვება შურისძიება კი არ არის, არამედ, მოკრძალება და მოთმინებაა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

თუ ადამიანურად ძნელია წყენის მიტევება, ქრისტიანულად კიდევ უფრო ძნელია მიუტევებლობა.

ვინც ბოროტებას ბოროტებით მიაგებს, ის წარმართზე უარესია.

როგორც კი წყენა შენს გულს აანთებს, გაიხსენე ქრისტე და მისი ვნებები, განსაჯე, რომ შენს მიერ დათმენილი ძალიან მცირეა ზეციური მეუფის ტანჯვასთან შედარებით; მაშინ წყალივით ჩააქრობ შენს მწუხარებას *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

თქვენი მტერი მიტევების ღირსი არ არის! მაგრამ განა იესო ქრისტე არ არის იმის ღირსი, რომ მისადმი სიყვარულის გამო შეუნდოთ მოყვასს, რომელმაც გული გატკინათ?

ჭეშმარიტი (ქრისტიანული) მოთმინება ისაა, რომ არა მხოლოდ შური არ იძიო,

არამედ, არც გსურდეს შურისძიება, თუნდაც გული ამისაკენ გაქეზებდეს *(წმიდა ისიდორე პელუზიელი)*.

მზად იყავი უფრო მეტი დაითმინო, ვიდრე სურს მას, ვინც გაწყენინა.

შეადარე შენი მდგომარეობა იმისას, ვინც გაწყენინა და მოთმინებით გადაიტან მას, არც იფიქრებ და არც იძიებ შურს მასზე, რადგან უპირატესობა შენს მხარეზეა.

დაფიქრდი, რა სჯობია, იყო ის, ვინც აწყენინა, თუ ვისაც აწყენინეს? უეჭველია, უმჯობესია უდანაშაულო იყო, ვიდრე – დამნაშავე.

უმჯობესია, ბოროტება დაითმინო, ვიდრე ბოროტების მიზეზი იყო; უმჯობესია, იყო მსხვერპლი, ვიდრე – ბოროტმოქმედი.

ვინც უსამართლობას დაითმენს, მისი მწუხარება სჯობს იმის სიხარულს, ვინც არასწორად მოქმედებს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ის კი არ ზიანდება, ვინც ბოროტებას დაითმენს, არამედ ის, ვინც მას აკეთებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ის კი არ არის ცუდი, როდესაც შეურაცხყოფას გაყენებენ, არამედ ის, როდესაც შენ აწყენინებ სხვებს, ანდა, როცა წყენის ატანა არ შეგიძლია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

წყენა უბედურება არ არის; უბედურება ისაა, როდესაც გვიჩნდება სიძულვილი იმის მიმართ, ვინც გვაწყენინა, ჩვენი გული შეიცნობს სიძულვილს, გაბოროტებასა და შურისძიების სურვილს.

ნუ დაიმახსოვრებ ავს, თუ არ გინდა, რომ საკუთარ თავს ავნო *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

თუ სხვას არ მიუტევებ, ამით მას ვერაფერს დააკლებ, მხოლოდ საკუთარ თავს ავნებ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ნუ იტყვი: „შურს ვიძიებ მტერზე!“ ზეცაში მართლმსაჯული გვყავს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ვინც თვითონ იძიებს შურს, იგი თითქოს ღმერთს მართლმსაჯულების ნაკლებობაში ადანაშაულებს *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

ვინც თვითონ იძიებს შურს, მას ღმერთი მიაგებს სანაცვლოს.

✝როდესაც მოყვასს წყენის სანაცვლოს მიაგებ, მაშინ მას ღმერთი აღარ სჯის; ხოლო როდესაც შენ მიუტევებ, მაშინ უფალი ან მას სჯის, ან შენს ცოდვებს მოგიტევებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝შურს კი ნუ იძიებ, არამედ მიუტევე მოყვასს წყენა, იმიტომ, რომ თვითონ გჭირდება მიტევება ღვთისაგან.

✝ვისაც მოვალისაგან ვალის გადახდას მკაცრად მოითხოვს, დაფიქრდეს, რომ თვითონაც ღვთის მოვალეა.

✝ხშირად ხდება, რომ იმ ადამიანის წინაშე, რომელმაც ჩვენ გვაწყენინა, დამნაშავენი არ ვართ, მაგრამ ღვთის წინაშე მრავალი ცოდვა მიგვიძღვის, რომლებსაც ადამიანები ვერ ხედავენ, მხოლოდ ღმერთი ხედავს.

✝ყოველი ქმნილების შემოქმედის განმარისხებელი ვალდებულია, მოთმინებით აიტანოს, როდესაც ამ ქმნილებათაგანი აწყენინებს.

წყენის მიტევება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ღვთისაგან საკუთარი ცოდვების მიტევება მიიღო. უკანასკნელი პირველის გარეშე არ არსებობს: „მიუტევეთ და მოგეტევნენ“ (ლუკა 6, 37)! – ბრძანებს უფალი.

არსებობს მოწყალების მრავალი სახე, რომელთა საშუალებითაც შეგვიძლია, ღვთისაგან საკუთარი ცოდვების მიტევება მივიღოთ, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მტრებისათვის მიტევება *(ნეტარ ავგუსტინე)*.

შეიძლება ითქვას, რომ უფალმა ჩვენვე მოგვცა საკუთარი სამსჯავრო: ჩვენზეა დამოკიდებული: ჯერ კიდევ აქ დაახლოებით განისაზღვროს სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება ჩვენზე. როგორც მოვექცევით მოყვასს, ისევე მოგვექცევა უფალი. თუ მივუტევებთ, ჩვენც მოგვეტევება. უფალმა ასე ბრძანა და საკუთარ სიტყვას არ გადათქვამს.

ნეტარია ის, ვისაც შეუძლია, წმიდა გრიგოლ ნოსელთან ერთად თქვას: „ღმერთო! მომექეცი ისე, როგორც მე ვიქცევი. შემიძლია, თვითონ ვიძიო შური, მაგრამ ამას არ ვაკეთებ; შენც ნუ იძიებ შურს. შერიგებით დავასწარი მტერს, შენც დამასწარი შენი მადლით. დავივიწყე ბოროტება, როემლიც მან მე გამიკეთა; შენც დაივიწყე ჩემი ცოდვები. მე უწინდებურად მიყვარს იგი, როგორც მაშინ, როდესაც არ მაწყენინებდა. შენც კვლავ გიყვარდე, ღმერთო, თუკი ოდესმე გაწყენინებ. მომექეცი ისე, როგორც მე ვექცევი მას. მე შევასრულებ შენს ბრძანებას; შენც გააკეთე ის, რასაც დამპირდი: „ნუ დასჯით და არა დაისაჯნეთ“ (ლუკა. 6, 37).

მიუტევე მოყვასს ასი ლეპტა, რათა უფალმა მრავალი ტალანტი მოგიტევოს *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

მიუტევე ცოდვები მონას, რათა უფალმა შენც მოგიტევოს; თუ მან ძლიერ გაგანაწ-

ყენა, რაც მეტად მიუტევებ, მით მეტად მოგეტევება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠დაინდეთ ერთმანეთი და უფალი დაგინდობთ *(წმიდა ანტონი დიდი)*.

✠შემწყნარებელნი ვიყოთ მტრების მიმართ, რათა იგივე მივიღოთ ღვთისაგან *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠უმოწყალოს მიმართ ღმერთიც უმოწყალო იქნება.

✠ვინც მკაცრად განსჯის მოყვასს, მას მკაცრად განსჯის უფალი.

✠უფალი უფრო ადვილად მოგვიტევებს თვით მის მიმართ ჩადენილ ცოდვებს, ვიდრე – მოყვასის მიმართ (მათე 18, 23-35).

✠არცერთი ადამიანის მიმართ მტრობა არ გქონდეს; სხვაგვარად შენი ლოცვა ღვთისთვის უამური იქნება *(ამბა ისაია)*.

✠ნუ დავივიწყებთ, ქრისტიანებო, შევიწყალოთ მანამდე, ვიდრე უფალს ჩვენს შეწყალებას ვთხოვთ.

✠როგორ იტყვი: „უფალო, შემიწყალე!“ როდესაც თვითონ შემწყნარებელი არა ხარ?

ჯამაოა ლოცვა და ღვაწლი ადამიანისა, რომელსაც გულში მოყვასის მიმართ ბოროტება და შურისძიების სურვილი აქვს *(ამბა ისაია)*.

ჯავიმეხსიერის ლოცვა ქვაზე თესვას ჰგავს *(წმიდა ისააკ ასური)*.

ჯავის ხსოვნა და ლოცვა იგივეა, რაც ის, რომ ზღვაში თესო და მოსავალს ელოდო *(წმიდა ისააკ ასური)*.

ჯარც მარხვა, არც დღესასწაულები არ შეიძლება იყოს იქ, სადაც მტრობა და ბოროტებაა.

ჯვინც ქრისტიანებთან უთანხმოებაში ცხოვრობს, მას არ შეიძლება, ქრისტესთან ერთობა ჰქონდეს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ჯვისაც მშვიდობისმოყვარე ადამიანის სახელი არა აქვს, მას არ შეიძლება, ღვთის შვილი ერქვას (ნეტარი ავგუსტინე)

ჯსადაც მშვიდობა არ არის, იქ არ არის ღმერთი *(ამბა ისაია)*

ჯარაფერია იმაზე უსაფრთხო, ვიდრე მტრისთვის მიტევება; არაფერია იმაზე

საშიში, ვიდრე შურისძიება მასზე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ძლიერი ქარი ღრუბლებს განდევნის, ბოროტის ხსოვნა კი კეთილ გრძნობებს – სულიდან. *(აბბა ევაგრე)*

ის, ვის სულშიც ბოროტის ხსოვნაა, ჰგავს ადამიანს, თივაში რომ ინახავს ცეცხლს.

ვინც გულში ავის ხსოვნას ინახავს, ჰგავს კაცს, რომელსაც გულში გველი ჰყავს ჩახუტებული *(წმიდა ეფრემ ასური)*

თუ თქვენს სახლში გველები და მორიელები გაჩნდნენ, რას აღარ გააკეთებდით, რომ მათაგან გათავისუფლებულიყავით! მაგრამ სიძულვილი და მტრობა ამ ქვეწარმავალზე უარესია და, მიუხედავად ამისა, მაინც არ გსურთ მათგან გასუფთავება გულისა, რომელიც ღვთის ტაძარია *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ფუტკრების მეფეს აქვს ნესტარი, მაგრამ მას შურისძიებისათვის არ იყენებს. თუ რომელიმე ფუტკარი მეფის მაგალითს

არ მიბაძავს, ისინი მალე შეინანებენ თავიანთ უგუნურებას, რადგან ნესტრით განგმირულები კვდებიან. შეისმინონ ეს იმ ქრისტიანებმა, რომელთაც აქვს მცნება: „და ნუვის ბოროტსა ბოროტისა წილ მიაგებთ“ (რომ. 12, 17-21). *(წმიდა ბასილი დიდი).*

მდუმარებასა და მოკრძალებაშია სიმშვიდე და ცხოვრებისეული კეთილდღეობა; ხოლო, ვინც ბოროტებას ბოროტებით მიაგებს ანდა გინებას – გინებით, იგი არსოდეს იქნება მშვიდი და ვერასოდეს იფიქრებს მომავალ ნეტარ ცხოვრებაზე (1 პეტრე 3, 9-11).

ზეცაში მხოლოდ ის აღიყვანება, ვისაც სიყვარული აქვს, რამეთუ იქ მხოლოდ სიყავრულია.

რა საბრალო მდგომარეობაა – სიძულვილს სიძულვილით მიაგო და წყენას – წყენით. მაგრამ თუკი მტერი შენზე ძლიერია? მაშინ რას მოემსახურება შენი შურისგების სიყვარული? შენი დაღუპვის

დაჩქარებას ხომ არა? თანაბარი ძალების შემთხვევაში კი რას უნდა მოველოდეთ, თუ არა – ორმხრივ დაცემასა და უბედურებას? ბოლოს: მას რომც არ შესწევდეს შენთვის წინააღდგომის ძალა, განა ნაკლებად საშინელია ფარული განზრახვა, ვიდრე – აშკარა თავდასხმა? ხოლო ამაფორიაქებელი საზრუნავი, ცბიერება, ზრახვები, საკუთარი თავისთვის მავნე ქმედებები, მტანჯველი ფიქრები – თვით საკუთარ შეუძლებელ წარმატებაზეც კი და კიდევ უფრო მტანჯველი აზრი მოწინააღმდეგის წარმატებაზე, და ბოლოს, თვით წარმატებები, რომელსაც ახლავს სინდისის უდიდესი მხილებანი, ზოგჯერ კი – საყოველთაო ზიზღი? ჰოი, რამდენი ტანჯვაა მოძულე გულისათვის, – ეს არის შხამი მიწაზე, ჯოჯოხეთის ცეცხლი.

წყენის წინააღმდეგ ყველაზე უკეთ მოქმედი საშუალება მისი გადატანაა.

მტერზე შურისძიების საუკეთესო საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ მას იგივე არ მივაგოთ და ხელისკვრის ნაცვლად მოკრძალებით დავამარცხოთ.

იყავი ცხვარი და მგლებს დაჯაბნი.

მშვიდად გადაიტანეთ და ყურადღებას ნუ მიაქცევთ მტრის მიერ მიყენებულ პირველ წყენას, მიუტევეთ მას მეორეც, მაშინ მესამემდე საქმე არ მივა *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*

შენი თავმდაბლობის შემყურე მტერიც თავმდაბალი გახდება.

არაფერი ისე არ შეაჩერებს მაწყინარს, როგორც – მოკრძალებული მოთმინება იმისგან, ვისაც აწყენინეს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ვერ ხედავ, რომ ისრები ჩვეულებრივ მსჭვალავენ მაგარ და მოუდრეკელ სხეულებს, ხოლო თუ სხეული რბილი და დამთმობია, თითქოს ძალას კარგავენ. ასეთივე თვისება აქვს საყვედურს (ერთ-ერთი

ყველაზე საგრძნობი წყენა, როემლსაც მოყვასი გვაყენებს). ვინც წინააღმდეგობას გაუწევს, ის მას საკუთარ თავზე მიიღებს, ხოლო, ვინც დაემორჩილება და დაუთმობს, ის რბილი ხასიათით ასუსტებს მისკენ მიმართულ ბოროტებას *(წმიდა ბასილი დიდი)*.

მორჩილება და მოთმინება უფრო ძლევამოსილია, ვიდრე – საყვედური, თუნდაც – სამართლიანობაზე დაფუძნებულიც კი.

თავმდაბლობას სხვებისთვისაც შეუძლია თავმდაბლობის სწავლება; ამპარტავნებით კი ამპარტავანს თავმდაბლად ვერ გახდი.

მაგინებელს სანაცვლოს გინებით ნუ გადაუხდი.

თვით ეშმაკზე ავისმეტყველებაც კი (რომლის მტრობაც, სხვათა შორის, აუცილებელია), არ არის დასაშვები ჩვენთვის (იუდ. 1, 9).

განუსჯელ ქმედებებზე განუსჯელობით არ უნდა მივუგოთ.

თუ საყვედურს საყვედურითვე უპასუხებ, ცეცხლს გააჩაღებ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

უხეშობაზე უხეშობით მიგება და მასთან ბრძოლა მხოლოდ აღიზიანებს უხეშ ადამიანს.

ცეცხლს თუ შეაფურთხებ, ჩაქრება, ხოლო თუ შეუბერავ, უფრო გაჩაღდება და მაშინ ხანძარსაც არაფერი აკლია.

ცეცხლს ცეცხლით კი არ აქრობენ, არამედ – წყლით; ასევე ბოროტებაც ბოროტებით კი არ მარცხდება, არამედ – სიკეთით; არა სიძულვილით, არამედ – სიყვარულით.

ცეცხლს ზეთით ვერ ჩააქრობ, ვერც ნაპერწკალს ჩააქრობ იმით, რომ მას შებერვას დაუწყებ: პირიქით, ორივე შემთხვევაში ცეცხლი სულ უფრო მეტად გაჩაღდება, და რაც მეტად დაასხამენ ზეთს, უფრო საშინელი გახდება ალი. ასევე არიან მოშურნარნიც, რაც უფრო გადადებენ შერიგებას, მით უფრო გაიზრდება მათი გაბო-

როტება ერთმანეთის მიმართ, წყენის მატებასთან ერთად იმატებს შურისგებაც, რასაც მოსდევს გაბოროტება, ამას კვლავ ახალი შურისგება მოჰყვება და საბოლოოდ ორივე მხარე დაუძლურდება.

წყენის სანაცვლოდ მიგებული წყენა არათუ არ სპობს ჩადენილ ბოროტებას, არამედ, არც შეაჩერებს ბოროტებას და აძლიერებს კიდეც მას. ბოროტება საკმარისი იყო იმისათვის, რათა წყენისთვის დასაბამი მიეცა; უეჭველია, მასში მოიძებნება კიდეც უფრო მეტი, რათა პასუხი გაეცეს ორმხრივ წყენას. ამრიგად, წარმოიშობა წყენათა ჯაჭვი; და რამდენადაც თითოეული, რომელიც წყენაზე სანაცვლოს მიაგებს, ბუნებრივია, ეცდება, მოწინააღმდეგე დააუძლუროს და ბრძოლის უუნარო გახადოს, მაშინ, ბუნებრივია, ყოველი შემდგომი წყენა წინამორბედზე უფრო მძიმე და მომაკვდინებელი იქნება. ამ ყოველივედან შესაძლოა, მივხვდეთ, რა სამართლიანად

ბრძანებს მოციქული: „უკუეთუ ურთიერთას იკბინებოდით და შეიჭამებოდით, იხილეთ, ნუ უკუე ურთიერთას განიხილენით“ (გალ. 5, 15).

წაართვით ცეცხლს საკვები და ის ჩაქრება. წაართვით მტრულ მხარეებს ყოველი ახალი საბაბი მტრობისათვის და ძველი მტრობა ნელ-ნელა შესუსტდება, შეწყდება და დავიწყებას მიეცემა.

ბოროტება არანაირად არ მოსპობს ბოროტებას; და ამიტომაც თუ ვინმე ბოროტებას გაგიკეთებს, სიკეთით გადაუხადე, რათა ბოროტება სიკეთით დაჯაბნო *(ამბა ჰიმენი)*.

გიყვარდეს, კეთილის ქმნით იძიო შური, ანუ ბოროტებისათვის სიკეთით გადაუხადო, წყევის, ავი სიტყვისა და ცილისწამებისათვის — კეთილი სიტყვით, კეთილი სურვილებითა და მტერზე კეთილი სიტყვის თქმით.

კეთილი თვისება მტრისაც უნდა შეაქო.

თუ შეიტყობთ, რომ ვინმე თქვენს შესახებ ცუდს ამბობს, ისე მოექეცი მას, თითქოს შენზე კარგი ეთქვას.

✗ცუდ სიტყვებს ყველაზე უკეთ კარგი საქმეებით გააქარწყლებ.

✗თუ გაიგებ, რომ ვინმემ შენზე ცუდი თქვა, შემდეგ კი მას სადმე შეხვდები ან შენთან მოვა, კეთილგანწყობითა და მხიარული სახით მიხვე იგი და გაგახსენდება რა ის, რაც გაიგონე, ნუ ჰკითხავ, რატომ თქვა მან ასე.

✗განა არ შეგიყვარდებოდა ის ადამიანი, რომელსაც აწყენინე, მან კი დიდსულოვნად მოგიტევა? ასევე მოიქეცი შენც, რათა მტრებისგანაც კი სიყვარული მოიხვეჭო.

✗უეჭველია, მძიმე და მწარეა, გყავდეს მტრები, მაგრამ თუ მათგან თავის დაღწევა გსურს, შეიყვარე და კეთილი მიაგე მათ: იშვიათად სიყვარულითა და სიკეთის ქმნით, რომ არ მორბილდეს ყველაზე სასტიკი გულიც კი, იშვიათად, რომ არ მოტყდეს ყველაზე შეუდრეკელი ნებაც კი.

✗გინდათ, არ გყავდეთ მტრები? გიყვარდეს მტერი შენი, ასეთია სიყვარულის ძალა *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ერთი წმიდა მამა გვასწავლის, ამგვარად დავაცხროთ მოყვასის მრისხანება: „თუ შეიტყობ, რომ ძმა შენზე განრისხებულია, რაიმე საჩუქარი გაუგზავნე მას“.

შეუძლებელია, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანის მოთმინების, თავაზიანობის, ქველმოქმედების შემხედვარე მისმა მტერმა ოდესმე ჯერ სინანული არ იგრძნოს, შემდეგ უკვე სიბრალული უდანაშაულოდ ტანჯულისადმი, ანდა საკუთარი თავის, როგორც ბოროტების საბრალო იარაღის მიმართ; და ბოლოს, მას სიყვარულიც კი გაუჩნდება თავისი მოსიყვარულე მტრისადმი. განა არ ყოფილა წუთები, როდესაც საული გრძნობდა თავის უსამართლობას მის მიერ დევნილი დავითისადმი, იაზრებდა მისი საქციელის კეთილშობილებას და ცრემლებით გამოხატავდა თავის პატივისცემასა და რაღაც გრძნობას, რომელიც დავითის მიმართ სიყვარულს ჰგავდა (1 მეფეთა 24, 17-18)?!

მტრისთვის შენდობით შეგიძლია, იგი შენს მეგობრად აქციო.

გაუკეთე კეთილი საქმე მეგობრებს, რათა მათ კიდევ უფრო მეტად უყვარდე: ასევე მოექეცი შენს მტრებსაც, რათა ისინიც შენი მეგობრები გახდნენ.

კეთილშობილ ადამიანებს მტერში მომავალი მეგობარი უყვართ.

მტრის სიყვარული საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ იგი მეგობრად აქციო.

ზოგიერთი მტერი, შესაძლოა, უფრო ჭეშმარიტი მეგობარი იყოს, ვიდრე — თვით უდიდესი მეგობარიც კი.

მეგობარს იმდენად უყვარხარ, რომ შენს ნაკლოვანებებს ვერ ხედავს. მაგრამ დადექი შენი მტრის პირისპირ და მასზე უკეთ ვერავინ აღგიწერს შენს სისუსტეებს; იგი ფხიზლად უყურებს მათ, არ გამოტოვებს არცერთ საქციელს და ისე საუბრობს მათზე, რომ მათ დანაშაულს არ ამცირებს.

ასე რომ, მშვიდად და ყურადღებით უსმინე შენს მტერს და მაშინ რამდენ ბოროტებაზე გაგამარჯვებინებს შენი მტერი!

იმის მსგავსად, როგორც ბევრი საწამლავი თავისთავად მავნებელია, თუმცაღა ისინი ავადმყოფობისაგან კურნავენ, ასევე ჩვენს მტრებსაც, რაოდენ ბოროტნიც არ უნდა იყვნენ თავისთავად, მხსნელი ზემოქმედება აქვთ ჩვენი სულიერი ავადმყოფობების მიმართ.

შენი მტერი შენი ექიმია.

ჩვეულებრივი ადამიანები კმაყოფილდებიან იმიტომ, ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ მტრებს; გონიერთ კი მათგან სარგებლის მიღება შეუძლიათ.

კარგია, რომ არც ძალიან გეშინოდეს უსამართლო ბრალდებებისა, მაგრამ არც სრულიად უგულებელსყოფდე მათ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

საკუთარი თავის გამოსასწორებლად მტრის ცილისწამებითაც უნდა ისარგებლო.

იმდენად ბოროტი ადამიანებისა კი არ უნდა გეშინოდეს, რამდენადაც საკუთარი ბოროტი ბუნებისა, რამეთუ ისინი გაიძულებენ, ღმერთს მიმართო, და თვითონაც ვერ ხვდებიან, ისე გახლოებენ ღმერთთან; ჩვენი ბოროტი ნება კი ღმერთს განგვაშორებს და მის მრისხანებას მოაწევს ჩვენზე.

მტერს უდიდესი სარგებელი მოაქვს შენთვის, თუმცა მისი განზრახვა შენთვის სარგებლის მომტანი როდია.

წყენების სანაცვლოდ, რომელიც უსამართლოდ დავითმინეთ, ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ღმერთი ან ცოდვათა მიტევებას გვაძლევს, ანდა გვასაჩუქრებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

როდესაც ადამიანებისაგან რაიმე უპატიობას დაითმენ, იფიქრე იმ სარგებელზე, რომლის მიღებაც შეგიძლია, თუ სულგრძელად გადაიტან მას, – გაიხსენე დიდება, მომზადებული მათთვის, ვინც ყოველივეს მადლიერებით ითმენს, – და უპატიობის გამო

უხერხულად და დათრგუნულად აღარ იგრძნობ თავს (*„სულიერი მარგალიტი“*).

✝როდესაც ადამიანებისაგან რაიმე უპატიობას შეხვდები, იფიქრე, რომ ღმერთმა იგი შენი დიდებისათვის გამოგიგზავნა.

✝ცილისმწამებელი შენვე გიმზადებს დიდ საზღაურს (მათე 5, 11-12).

✝გინება, დამცირება, ავისმეტყველება – ჩვენი შინაგანი ადამიანის გამოსარჩევი ნიშნებია.

✝ყოველთვის, როდესაც შენს შეურაცხმყოფელებსა და მდევნელებს გაიხსენებ, ნუ დაიჩივლებ მათზე, უმჯობესია, ილოცო მათთვის, როგორც შენთვის მადლის მომნიჭებელთათვის (*ამბა ისაია*).

✝უნდა ილოცო მტრებისთვისაც: ისინი, უმეტეს შემთხვევაში, თვითონაც ვერ ხედავენ, რას ჩადიან, მაგრამ ხომ არიან ჩვენი კეთილისმყოფელნი?! თავიანთი თავდასხმებით სათნოებებში განგვამტკიცებენ, მიწაზევე ამდაბლებენ ჩვენს სულს, ზეცა-

ში კი სამოთხის გვირგვინს გვიმზადებენ *(სქიმონაზონი თეოფილე)*.

მტრები უდიდეს კეთილისმყოფელებად უნდა მივიჩნიოთ და მათთვის უფრო მეტად უნდა ვილოცოთ, ვიდრე – ჩვენი კეთილისმყოფელებისთვის, რადგან კეთილისმყოფელი, რომელიც დროებით სიკეთეს მოგვაგებს, საკუთარ თავს მეტ სიკეთეს უკეთებს, რადგან უფლისაგან მარადიულ საზღაურს იმზადებს; მტრები კი, შესაძლოა, საკუთარი მარადიული ცხონების დაკარგვით ჩვენი ცხონების საქმეს აღასრულებენ, რომ განწმენდენ ჩვენს ცოდვებს მათ მიერ მიყენებული მწუხარებებით და თავიანთი დევნით თითქოს ძალით გვიბიძგებენ ზეციური სასუფევლისაკენ, საკუთარ თავს კი ჯოჯოხეთის საფრთხეს უქმნიან. როგორ არ ვიყოთ მათი მადლობელნი, როგორ არ ვილოცოთ მათთავის, რათა უფალმა დაიფაროს და შეიწყალოს ისინი! *(სქიმონაზონი ზოსიმე)*.

თვითონ ღირსების გრძნობამ ქრისტეს მცნების – მტრის სიყვარულის აღსასრულებლად უნდა აღგვძრას, რათა მათ წყენა მივუტევოთ და სიკეთე მივაგოთ (მათე 5, 44).

წყენისათვის შურისძიება ნიშნავს, საკუთარი თავი ჩვენივე მტრის დონეზე დავაყენოთ; ხოლო მიტევება – მასზე ამაღლებას.

მტრისთვის მიტევება სისუსტის კი არა – უდიდესი სულის ნიშანია.

რატომ არ ბრაზდებით, როდესაც ბავშვი გემუქრებათ ან თქვენს გაბრაზებას ცდილობს? იმიტომ, რომ თქვენ მასზე უფროსი და ჭკვიანი ხართ: მისი მუქარა თქვენთვის იგივეა, რაც ბუზის ბზუილი. თქვენ რომ მართლაც ამაღლებული სული გქონდეთ, მოყვასისაგან მიყენებული შეურაცხყოფა და წყენა ამაზე მეტად არ შეგძრავდათ.

ნუ იტყვით, რომ დათმობა სისუსტის ნიშანია. რა უფრო მეტია – საკუთარ თავზე გამარჯვება, ღვთის წყალობის მიღება და კეთილშობილი ადამიანის სახელი, თუ ის,

რომ ზოგიერთმა უგუნურმა ადამიანმა სისუსტისთვის დაგცინოს? არა, ამ შემთხვევაში ძალგვიძს, წარმოვაჩინოთ ჩვენი ქრისტიანული განათლების ზეობა, შეგვიძლია ჩვენი სათნოების გამოცდა.

უმჯობესია, დუმილით გადაიტანო წყენა, ვიდრე პასუხით აჯობო *(წმიდა გრიგოლ დიოლოგოსი)*.

დავითმა უმეტესი გამარჯვება მოიპოვა საულის დანდობით, ვიდრე მაშინ, როდესაც გოლიათი დაამარცხა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

არ არსებობს სამყაროში მტრის სიყვარულზე უფრო გასაოცარი რამ *(ნეტარი ავგუსტინე)*.

დიდი საქმე როდია, არ განიკითხო, ანდა თანაუგრძნო მას, ვისაც მწუხარება აქვს და გემორჩილება; დიდი ვერაფერი საქმეა, არ განიკითხო ის, ვინც წინააღმდეგობას გიწევს, შური არ იძიო ვნებების გამო, მის განმკითხველებს არ დაეთანხმო და გიხაროდეს მათთან ერთად, ვინც შენ განიჭებს უპირატესობას! *(ამბა დოროთე)*.

მტრისთვის მიმტევებელი და ავისათვის სიკეთის მქმნელი მიემსგავსება არომატს, რომლითაც აღვსილია მისი დამწველი ცეცხლი.

უდიდესი სათნოებაა მტრის სიყვარული! უდიდესია გმირობა ქრისტიანული სულისა, რომელიც მოყვასს წყენას მიუტევებს და მიყენებული ბოროტებისათვის სიკეთით მიაგებს, მისი სიძულვილის ნაცვლად გულითადად ეყვარება და უფლის წინაშე მისთვის ილოცებს! მაგრამ ასეთი გმირობისათვის ჯილდოც უდიდესია – ზეცაშიც და მიწაზეც.

სულის ბედნიერი მდგომარეობაა, როდესაც ყველა გვიყვარს! მაცხოვარმა ბრძანა: „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“. – როდესაც გაგვიმჟღავნა საიდუმლო იმისა, როგორ დავიმკვიდროთ ამქვეყნადვე სასუფეველი.

გიყვარდეს შენი მტრებიც და უფლის მეგობარი გახდები.

თავმდაბლობა

თავმდაბლობა ქმნილებათა უცილობელი სათნოებაა; მხოლოდ უფალს შვენის დიდება.

თავმდაბლობას ისე დაუმეგობრდი, რომ მის გარეშე არც იფიქრო, არც ილაპარაკო და არც აღასრულო რაიმე.

გიყვარდეს თავმდაბლობა, რომელიც ღმერთს უყვარს.

ადამიანები სიმდიდრეს ანიჭებენ უპირატესობას; ღვთისთვის კი თავმდაბალი სულია სათნო *(წმიდა ისაკ ასური)*.

თუ სული ღვთის წინაშე საკუთარ თავს ყვედრებას დაუწყებს, უფალი შეიყვარებს.

დიდია იგი, ვინც ღვთის წინაშე საკუთარ არარაობას გრძნობს!

თუ გსურს, ღვთის წინაშე იყო დიდი, საკუთარ თვალში დაიმდაბლე თავი.

ნეტარია თვალი, რომლის ზეაღხილვასაც ადამიანი თამდაბლობის გამო ვერ ბედავს *(ამბა ისაია)*.

ნეტარია ის, ვინც ყველაფერში იმდაბლებს თავს, რადგან იგი ამაღლდება! *(წმიდა ისააკ ასური).*

თავმდაბლობა სიმაღლეა (ლუკა 18, 14); ვინც მეტად იმდაბლებს თავს, ის მეტად ამაღლდება.

რაც უფრო თავმდაბალია ადამიანი, რაც უფრო ღატაკი და არარაობაა იგი საკუთარ თვალში, მით მეტად ამაღლებული და ძვირფასია ღვთის წინაშე.

თავი დაიმდაბლე, თუ გსურს, მაღალი იყო; რაც მეტად დამდაბლდები მიწაზე, მით მეტად ამაღლდები ზეცაში.

საკუთარი თავის დამამცირებელმა ცხონების სწორი გზა ჰპოვა *(ამბა ისაია).*

ცხონების დასაწყისი საკუთარი თავის ყვედრებაა *(ამბა ევაგრე).*

არქიტექტორი ღრმად თხრის მიწას, სადაც პირველი ქვა უნდა ჩადოს; ასევეა ქრისტიანიც, რომელსაც სურს, თავისი ცხონების საქმე მტკიცე საფუძველზე დაამყაროს.

მრავალი ცხონდა ჭვრეტისა და გაბრწყინების, ნიშებისა და სასწაულების გარეშე; მაგრამ თავმდაბლობის გარეშე ვერავინ იხილავს ზეციურ სასახლეს *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი).*

როგორც შეუძლებელია გემის აგება ლურსმნების გარეშე, ასევე შეუძლებელია ცხონება თავმდაბლობის გარეშე.

ცხონების გზა ვიწროა, მაგრამ მაღალი სამშობლოსაკენ, ზეცისაკენ მივყავართ. თუ გსურს, ამ სამშობლოს მიაღწიო, ამ გზით იარე *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

სინანული დაცემულს წამოაყენებს; ცოდვებზე ტირილი სასუფევლის კარს უკაკუნებს, თავმდაბლობა კი ხსნის მათ *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

გიყვარდეს თავმდაბლობა: იგი შენს ცოდვებს დაფარავს *(წმიდა ანტონი დიდი).*

თუ სიმაყემ ანგელოზები სასუფევლიდან ჯოჯოხეთში ჩააგდო, მაშ, ამის საწინააღმდეგოდ უნდა დავასკვნათ, რომ თავმდ-

აბლობას თვით ჯოჯოხეთიდან, ე. ი. ცოდვის სიღრმიდანაც კი შეუძლია, ზეცად ალიყვანოს.

ვინც ღვთის წინაშე თავს იმართლებს, არაწმიდაა, ყველაზე წმიდანიც რომ იყოს; და პირიქით, ვინც თავს ყველაზე უკანასკნელად თვლის, განმართლდება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ღმერთი მხლოდ მათ შეუნდობს, ვინც საკუთარ თავს თვითონ არ პატიობს.

ღვთისაგან შენდობას ის მიიღებს, ვინც თავს დამნაშავედ გრძნობს.

თუ თავს უარესად მიიჩნევ, უფალი უკეთესად ჩაგთვლის.

ვინც თავს ყველაზე უარესად თვლის და ფიქრობს, რომ ყველაზე ულირსია, იგი ყველაზე მეტის მიღების ღირსია.

თავმდაბალი გული ვაკეს ჰგავს. როგორც წვიმის დროს მთებიდან წყლები ჩამოედინებიან და ვაკეზე გროვდებიან, ასევე ყველა ადამიანზე გადმომდინარე ღვთის მადლი თავმდაბალ გულში გროვდება.

მადლის ნაკადი მდინარის დინებასავით ვაკეზე გროვდება.

ამპარტავნება მადლს ვერ მიიღებს, რადგან საკუთარი თავითაა აღვსილი; თავმდაბლობას მადლის მიღება ძალუძს, რადგან უგულებელყოფილია როგორც საკუთარი თავისაგან, ასევე – ყოველგვარი ქმნილებისაგან.

უფალი არაფრისაგან ქმნის: ვიდრემდე ჩვენ გვსურს და ვფიქრობთ იმაზე, რომ წარმოვადგენდეთ რაიმეს, მანმადე იგი ჩვენში თავის საქმეს არ დაიწყებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

მოსეს რჯულით ისრაელს ნაბრძანები ჰქონდა მხოლოდ ერთ, ღვთისაგან დადგენილ ადგილას შეეწირა მსხვერპლი. სულიერი კანონით კი ქრისტიანთათვის დაწესებულია ერთი სულიერი ადგილი ყველა მათი მსხვერპლის – ლოცვის – შესაწირავად; ეს ადგილი თავმდაბლობაა.

თუ ლოცვასა და ღვაწლს თავმდაბლობით აღასრულებ, როგორც უღირსი, ისინი

ღვთისთვის სათნო იქნება; ხოლო თუ გაიხსენებ სხვას – მიძინებულსა და ჯერ კიდევ დაუბადებელს და გულს გაიამპარტავნებ, ამაო იქნება შენი შრომა *(ამბა ისაია)*.

ამაოა იმის შრომა, ვინც თავმდაბლობის გარეშე ბევრს მარხულობს და მძიმე ღვაწლშია *(ამბა ისაია)*.

როგორც გაუსათლებელ ადგილას ყველაფერი ბნელი და წყვდიადში ჩაფლულია, ასევე იქ, სადაც არ არის თავმდაბლობა, ყველა ჩვენი საქმე და წამოწყება, რომლითაც გვინდა, რ[illegible] ღმერთს სათნოვეყოთ, ამაო და არარაობაა *(ამბა ისიხი)*.

თავმდაბ[illegible]ბა ისევე მნიშვნელოვანია ღვთისმოსაობისათვის, როგორც ფესვი მცენარისათვის, როემლიც მეყსეულად კარგავს თავის სილამაზეს, სინორჩესა და სიცოცხლეს, როგორც კი მისი ფესვი მოკვდება.

რა არის მთელი ჩვენი ქველმოქმედებანი თავმდაბლობის გარეშე? სხვა არაფერი, თუ არა მტვერი, რომელიც ამპარტავნების პირველივე დაბერვაზე გაიფანტება.

✤რაც მარილია ყოველგვარი საკვების გარეშე, იგივეა თავმდაბლობა ყოველგვარი სათნოების გარეშე *(წმიდა ისააკ ასური).*

✤თავმდაბლობა სათნოებათა მარილია. როგორც მარილი აძლევს გემოს საკვებს, ასევე თავმდაბლობა ანიჭებს სათნოებებს სრულყოფილებას. მარილის გარეშე საკვები ადვილად ფუჭდება, ასევე თავმდაბლობის გარეშე სათნოება ადვილად დნება ამპარტავნებით, პატივმოყვარეობით, მოუთმენლობით და კვდება.

✤თავმდაბლობა ყველაზე მართებული მცველია სათნოებებისა *(წმიდა ბასილი დიდი).*

✤თუ სათნოებათა შორის უმაღლესი, სიყვარული მოციქულის სიტყვით, „სულ-გრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა ჰშურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღსის, არა სარცხვინელ იქმნების, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა

ზედა, ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ“ (1 კორ. 13, 4-8); ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას განამტკიცებს და თან ახლავს თავმდაბლობა.

✤ვერაფერი შეედრება თავმდაბლობის სათნოებას; ეს არის დედა, ფესვი, საკვები, საფუძველი და კავშირი ყოველი სიკეთისა *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✤სათნოებებში წარმატება ნიშნავს, თავმდაბლობაში წარმატებას.

✤რატომაა რომ, რაც უფრო იზრდება ხე, მით ღრმად იდგამს ფესვებს მიწაში? იგი სიმაღლეში ზრდით მდაბლდება, თავმდაბლობით კი ამაღლდება. ასევე უნდა მოიქცე შენც, ქრისტიანო! თუ ვინმეს აღემატები გონებრივი ან ზნეობრივი, ბუნებრივი თუ მადლისმიერი, გარეგნული თუ შინაგანი უპირატესობებით, მითუმეტეს, ყველგან და ყოველთვის თავი დაიმდაბლე. თავმდაბლობის ღრმა ფესვების გარეშე ვერასოდეს იქნები დაცული დაცემისაგან.

✝გიხაროდეს ქველმოქმედება, როდესაც კეთილად იქცევი, მაგრამ მისით თავს ნუ აღიმაღლებ, რათა მყუდრო სავანეში არ დამარცხდე *(წმიდა ხილოს სინელი)*.

✝თუ ჩვენ, მოციქულის მსგავსად, აღტაცებულნი ვიქნებით „მესამე ცამდე“ (2 კორ. 12, 2), კიდევ უფრო მეტად უნდა გვეშინოდეს ამბოხებულ ანგელოზთან ერთად ღრმა უფსკრულში ჩავარდნისა.

✝ნურც ცოდვების გამო ჩავვარდებით სასოწარკვეთილებაში და ნურც ზედმეტად დავამყარებთ იმედებს კეთილ საქმეებზე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝გაიხსენე ძლიერთა დაცემა და საკუთარ სათნოებებში დამდაბლდი *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✝თავს ნუ აღიმაღლებ რწმენითა და საკუთარი სიწმიდით, არამედ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შიში გქონდეს *(ამბა ისაია)*.

✝როგორც ადამიანს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ შეუძლია, იცოდეს, რა ავადმყოფობა შეიძლება შეეყაროს უეცრად,

ასევე არავის, ვიდრე პირში სული უდგას, არ ძალუძს იმედოვნებდეს, რომ გულში რაიმე ცოდვა არ შეეპარება *(ამბა ისაია)*.

ვიდრე ცოცხალი ხარ, ნუ ენდობი საკუთარ თავს, ვიდრე ბნელეთის ყველა ხელისუფალს უკან არ მოიტოვებ *(ამბა ისაია)*.

ერთი ბერი მეორესთან მივიდა; საუბრისას ერთმა მათგანმა მეორეს უთხრა: მე მოვკვდი სოფლისათვის. მეორემ უპასუხა: „ნუ გექნება საკუთარი თავის იმედი მანამ, ვიდრე ამ სხეულიდან არ გახვალ; რადგან თუმცა ამბობ, რომ მოკვდი, სამაგიროდ, სატანა არ მომკვდარა“ *(ძველი პატერიკი)*.

შენ მოხუცდი, მტერი კი არ ბერდება; ვნებები მოკვდნენ, მტერი კი ცოცხალია.

სულის თავმდაბლობა შეუმუსრავი იარალია *(ამბა ევაგრე)*.

არაფერზე ისე არ დარდობს სატანა და არაფრით ისე არ განიდევნება და ვერ განიარაღდება, როგორც მაშინ, როდესაც ადამიანს უყვარს თავმდაბლობა.

✤ვისაც ქვის დაძვრა სურს, ზემოდან კი არა, ქვემოდან შეუყრის ბერკეტს და მაშინ ადვილად დაძრავს ქვას – ეს არის თავმდაბლობის მაგალითი *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✤ვერც მოსაგრეობა გვაცხოვნებს, ვერც ღამისთევა, ვერც სხვა რაიმე ღვაწლი, თუ ამასთან ერთად ჭეშმარიტი ღვაწლი არ გვექნება. იყო ერთი განდეგილი, რომელიც ეშმაკებს განდევნიდა. ერთხელ მათ ჰკითხა: რითი განიდევნებით თქვენ, მარხვით? მათ უპასუხეს: ჩვენ არ ვჭამთ და ვსვამთ. ღამისთევით? პასუხი ასეთი იყო: ჩვენ არ გვძინავს. უდაბნოში განდგომით? პასუხი: ჩვენც უდაბნოში ვცხოვრობთ. მაშ, რითი უნდა განიდევნოთ? ეშმაკებმა უპასუხეს: ჩვენ თავმდაბლობის მეტი ვერაფერი გვამარცხებს.

✤თავმდაბლობის მქონე დემონებს ამდაბლებს, თავმდაბლობის არმქონეს კი ისინი დასცინიან *(ამბა მოსე)*.

მუდამ სიკეთის ქმნა და საკუთარ თავზე ნაკლებად ფიქრი – თავმდაბლობის ნიშანია.

ნეტარია, ვინც ამაღლებულად ცხოვრობს, მაგრამ თავმდაბალი აზრები აქვს!

მართალიც კი ღვთის წინაშე ასე უნდა ამბობდეს: მართალი არ ვარ.

განა შეიძლება, მდიდარი ეწოდოს ადამიანს, რომელსაც თავის განკარგულებაში სახელმწიფო მილიონები აქვს, საკუთარ ჯიბეში კი გროშიც არ გააჩნია? ასევე ადამიანი, რომელმაც სრულად და ჭეშმარიტად შეიცნო საკუთარი ცოდვილობა, ანგელოზებრივი სიწმინდის შემთხვევაშიც საკუთარ თავს ქვეყანაზე უკანასკნელ ცოდვილად ჩათვლის.

ყველაფერი, რაც სულიერ ცხოვრებაში გაგვაჩნია, ღვთის მადლის საჩუქარია. ნეტარი ავგუსტინეს თქმით, ჩვენი საკუთარი მხოლოდ არარაობაა, და რაც ამაზე უარესია – ცოდვა.

რას მიაწერთ მწიფე ნაყოფს, ხეებს რომ ამშვენებენ? არა ტოტებს, რომლებზეც ისინი ასხია, არამედ ფესვს, საიდანაც ისინი აღმოცენდნენ. იგივე შეიძლება ითქვას თქვენს კეთილ საქმეებზეც. განა თქვენს გულებში არ მოქმედებს ღმერთი, რომელმაც გიბოძათ არსებობა, შეგინარჩუნათ ძალები და გამოგიცხადათ თავისი მადლი, განა ეს უფალი არ მიმართავს თქვენს ნებას სიკეთისაკენ? და განა თქვენს მიერ აღსრულებული სიკეთე ერთადერთი მისგან არ მომდინარეობს? მოციქულის სიტყვით, ადამიანს თავისთავად სიკეთის გაფიქრებაც კი არ ძალუძს (2 კორ. 3, 5).

თუ გეჩვენება, რომ რაღაც სათნოება მოიხვეჭე, განა ღვთისაგან არ მიიღე სიკეთის კანონი, გონების ნათელი, რომელშიც დაინახე ეს კანონი; გულის გრძნობა, რომლითაც შეიყვარე იგი; სინდისის მოწმობა, რომელმაც ნება არ მოგცა, უარი გეთქვა მასზე ან დაგევიწყებინა იგი; ნებისყოფა,

რომლითაც შეძელი მისი აღსრულება; საშუალებები, რომლითაც აღასრულე იგი? ჩამოაშორე და მოაცილე შენს მიერ მითვისებულ სულიერ სიმდიდრეს ის, რაც ღვთისაგან მიიღე და შეხედე, დაგრჩება თუ არა რაიმე, გარდა – შენი მემკდიდრეობითი სიღატაკისა?

თუ რაიმე კარგი გაგაჩნია, იგი შენი როდია, არამედ ღვთისაა; საკუთარი არაფერი გაგაჩნია – ცოდვების გარდა; ამიტომ არავითარი საფუძველი არ გაქვს თავი მოგქონდეს იმით, რაც გაქვს. უგუნური და ურწმუნოა ის მსახური, რომელიც თავისი პატრონის სიმდიდრის დაიწყებდა ტრაბახს.

ჩვენი საკუთარი ძალებით არცერთი კეთილი საქმის ქმნა არ ძალგვიძს, ამიტომ თუკი ღვთის შეწევნით ვნებებს დათრგუნავ და საკუთარ თავს უკეთესად ჩათვლი, დაემსგავსები ხაზინადარს, რომელიც სახელმწიფო ფულის მიღებით თავს მდიდრად ჩაოვლის.

✗ბევრი აღასრულე თუ ცოტა – შენი წოდებით – ღვთის სადიდებლად, თავს ნუ აღიმაღლებ ამით, არამედ თავმდაბლად თქვი: „არა მე, არამედ მადლი იგი ღმრთისაი, რომელი იყო ჩემ თანა“ (1 კორ. 15, 10).

✗ქველმოქმედების აღსრულების შემდეგ გაიხსენე თქმული: „თვინიერ ჩემსა არარაი ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (იოანე 15, 5).

✗უფალმა გიბოძა ის ნიჭები, რომელიც მის წინაშე მიიტანე, და კეთილი მიზნისაკენ წარმართე.

✗შენს მიერ ღვთის წინაშე მიტანილ ძღვენს უცქირე ისე, როგორც – ღვთის მიერ შენთვის ბოძებულ საჩუქარს.

✗ყოველივეს აღსრულების შემდგომაც საკუთარ თავზე უნდა ვთქვათ: „მონანი ვართ უხმარნი“ (ლუკა 17, 10). – როგორც ბრძანებს უფალი.

✗კეთილად ცხოვრება, კეთილის ქმნა და კეთილად ფიქრი ღვთისადმი მიტანილი მსხვერპლი კი არ არის, არამედ – ადამიანის ვალი უფლის წინაშე.

✝როდესაც ღვთის მცნებას დაარღვევ, იტირე მეზვერის სიტყვებით: „ღმერთო! მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა!“ ხოლო როდესაც აღასრულებ მათ, თქვი: „მონა ვარ უხმარი და მხოლოდ ღვთის ბრძანება აღვასრულე“.

✝უხმარი მონა (ლუკა 17, 10), დაღუპული ცხვარი (ფს. 118, 176), – აი, ღვთის ჭეშმარიტი მონის სახელი, რომელიც სათნოა ღვთისთვის და ის მადლს მოგვიხვეჭს.

✝სიცოცხლის ბოლომდე უნდა გახსოვდეს საკუთარი ცოდვები და, ამასთან ერთად, მათი აღსრულების დეტალები არ უნდა გაიხსენო. ცოდვათა ხსოვნა ამპარტავნების ფიქრებს განაგდებს.

✝ძველი ცოდვების გახსენება კარგი აღვირია ჩვენი დამდაბლებისა და გონზე მოყვანისათვის *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝სრულებით ნუ დაივიწყებ, ვინ იყავი და არც ძალიან იფიქრო იმაზე, ვინ ხარ ახლა.

ყოველთვის იმაზე კი ნუ იფქრებ, რაც გაქვს, არამედ იმაზე, რაც არ გაქვს; უფრო მეტად უნდა წუხდე იმ სათნოებებზე, რომლებიც არ გაქვს, ვიდრე თავი მოგქონდეს იმით, რაც გაქვს.

წარმოვიდგინოთ, რომ კიდევ მრავალი რამ არის, რაც უნდა გაგვეკეთებინა და არ გავაკეთეთ (ლუკა 17, 10) და მაშინ ყველა ჩვენი მიწიერი დამსახურება საკუთარ თვალში არარაობად გამოჩნდება.

თავმდაბლობა ერთ-ერთი ნიშანია ჭეშმარიტი გონიერებისა.

ის კი არ არის გონიერი, ვინც იმედოვნებს, რომ ბრძენია, არამედ ის, ვინც საკუთარი უმეცრება შეიცნო და ოცნებისაგან განიკურნა.

თუ თავმდაბლობა უბრალო და უსწავლელ ადამიანს აღამაღლებს, მაშ, განსაჯე, როგორ პატივს მიაგებს დიდსა და საპატიო ადამიანს *(წმიდა ისააკ ასური)*.

ნეტარია კაცი, რომელიც თავს ყველაზე უარესად თვლის.

გსურს პირველობა? – ის ჯერ სხვას დაუთმე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

გსურს, დიდი იყო? – იყავი ყველაზე მცირე (მარკ. 9, 35) *(წმიდა ეფრემ ასური)*.

ყველა ადამიანის წინაშე თავი დაიმდაბლე და ამა ქვეყნის ბატონის წინაშე ამაღლდები *(წმიდა ისააკ ასური)*.

ზიანი არ მოგადგება, თუ თავს ადამიანებზე დაბლა დაყენებ, მაგრამ ძალიან დაზიანდები, თუ ერთ ადამიანზე მაინც აღიმაღლებ თავს.

თავის დამდაბლების ყველაზე უკეთესი საშუალებაა, საკუთარი თავი ყველა ქმნილებაზე ნაკლებად ჩათვალო *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

ნუ იფიქრებ, რომ თუნდაც სულ ცოტათი მეტად ზნეობრივი გახდი, ვიდრე თავს ყველაზე უარესად არ ჩათვლი.

სრულყოფილება იმაში მდგომარეობს, რომ თავი მოყვასზე ნაკლებად ჩათვალო (ამბა იაკობი).

ნელ-ნელა ვასწავლოთ ჩვენს გულს, რომ ყოველ ძმაზე თქვას: „ჭეშმარიტად, ის ჩემზე უკეთესია“. ამრიგად თანდათან ისწავლი, საკუთარი თავი სხვებზე უარესად მიიჩნიო.

არსებობს საცდელი ქვა ოქროსა და ვერცხლისათვის; არსებობს აგრეთვე საცდელი ქვა თავმდაბლობისათვის. ქვა, რომლითაც თავმდაბლობა გამოიცდება, არის შერიგება მათთან, ვინც გვაწყენინა ან – ვისაც ჩვენ ვაწყენინეთ.

ვფიქრობდით იმას, რომ თავმდაბლები ვართ და არ გვქონდეს სულის სიმტკიცე იმისთვის, რომ შევურიგდეთ მას, ვინც გვაწყენინა, ან ვისაც ვაწყენინეთ, ნიშნავს, რომ თავს ვიტყუებთ, რომ საკუთარ თავს მივაწერთ თავმდაბლობას, რომელიც არ გაგვაჩნია.

ბევრს არ რცხვენია, საკუთარ თავს ხალხის წინაშე ცოდვილი უწოდოს, მაგ-

რამ სხვისაგან ამის მოსმენა არ სურს. ეს თავმდაბლობის ნიშანი არ არის.

✝ის კი არ წარმოაჩენს თავმდაბლობას, ვინც საკუთარ თავზე ცუდს ამბობს, არამედ ის, ვისაც სხვისგან ყვედრების შემდეგ მისი სიყვარული არ შეუმცირდება *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი).*

✝ჩვენ გვგონია, რომ თავმდაბლები ვართ, ვიდრე არ გვეხებიან. ეს თავმდაბლობა არ არის! ჭეშმარიტი თავმდაბლობა ის არის, როდესაც გამცირებენ, შეურაცხგყოფენ, შენ კი საკუთარ თავს ეუბნები: ეს ყველაფერი ჩემი ცოდვების გამოა.

✝ჭეშმარიტად თავმდაბალს ყვედრება არ სწყინს და არ მრისხანებს, რადგან თავს ყოველგვარი დამცირების ღირსად თვლის *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

✝თუ ჭეშმარიტი თავმდაბლობის მოხვეჭა გსურს, ისწავლე, გმირულად დაითმინო სხვებისაგან მოყენებული წყენა.

თავმდაბლობის სრულყოფილება ისაა, რომ სიხარულით აიტანო ცრუ ბრალდებები *(წმიდა ისააკ ასური)*.

თავმდაბალნი სხვისი სისუსტეების მიმართ შემწყნარებელნი არიან, რადგან საკუთარ სისუსტეებს გრძნობენ.

როგორც მიცვალებული არ ჭამს, ასევე თავმდაბალს არ შეუძლია ადამიანის განსჯა მაშინაც კი, თუ მისგან კერპების თაყვანისცემას ნახავს.

ყველა მდუმარე როდია თავმდაბალი, მაგრამ ყველა თავმდაბალი უტყვია *(წმიდა ისააკ ასური)*.

თუ გსურს, სიმშვიდე მოიპოვო ამ წუთისოფელშიც და იმქვეყნადაც, ნებისმიერ შემთხვევაში საკუთარ თავს უთხარი: — „ვინ ვარ მე?“ და ნურავის განიკითხავ.

თავის დამდაბლება ის ადგილია, რომელსაც სიმშვიდე აშენდება.

თუ შენს თავზე თავმდაბლურად იფიქრებ, ყველგან იპოვნი სიმშვიდეს, სადაც უნდა იყო.

✠სიმშვიდეს დიდხანს ვერ შეინარჩუნებს ის, ვისაც არ შეუძლია, თავი ყველაზე მეტყად დაიმდაბლოს და ყველას მსახური იყოს.

✠საკუთარი თავი ყველაზე ცოდვილად და უკანასკნელად წარმოიდგინე და სიმშვიდე გექნება.

✠თუ თავს დაიმდაბლებ, სიმშვიდეს მოიპოვებ, რადგან ვინც თავს აყვედრის, ნებისმიერ შემთხვევაში მოთმინებას ინარჩუნებს.

✠თავმდაბალს არ ახსოვს ბოროტება, რომელიც სხვამ მიაყენა და არ განიკითხავს ცოდვილ ადამიანს. ამრიგად, იგი სამი საშუალებით ღებულობს ცოდვათა მიტევებას: როგორც არაგანმკითხველი არ განიკითხება; როგორც თავმდაბალი გამართლდება და როგორც მიმტევებელი მიტევებას მიიღებს *(წმიდა ათანასე ალექსანდრიელი)*.

✠ვისაც საკუთარი ცოდვები ახსოვს, იგი ადვილად მოიპოვებს თავმდაბლობას.

✠ერთ ბერს უამბეს იმის შესახებ, რომ ზოგიერთნი ანგელოზთა ხილვის ღირსნი

ხდებიან. ბერმა უპასუხა: „ნეტარნი არიან ისინი, ვინც განუწყვეტლივ ხედავენ საკუთარ ცოდვებს“.

განსჯა ანუ გონიერება

საკუთარი სული გონივრულად უნდა მართო.

ნეტარი საქმეა, ყველაფერი გონივრულად აღასრულო *(წმიდა ეფრემ ასური)*.

ყველა სათნოებაზე აღმატებული გონიერებაა *(ძველი პატერიკი)*.

რაც არის სინათლე ხილულ ბუნებაში, ანდა მარილი – საჭმლისათვის, იგივეა გონიერება ადამიანურ საქმეებში ან, ზოგადად რომ ვთქვათ – დროებით ცხოვრებაში.

გემი მესაჭის გარეშე იღუპება; ასევე იღუპება გონიერებით უმართავი ჩვენი ცხოვრებაც.

ყოველგვარ წამოწყებას გონიერება უნდა უძღოდეს; მის გარეშე ისიც, რაც სიკეთედ გვეჩვენება, შესაძლოა, ცოდვად იქცეს, თუ არ კეთდება თავის დროზე ანდა – ზომიერების დაუცველად კეთდება *(წმიდა ბასილი დიდი)*.

გონიერების გარეშე ჩვენს მიერ აღსრულებული საქმე სიკეთე არ არის *(წმიდა ჰეტრე დამასკელი)*.

გონიერების გარეშე ღვთისთვის ისიც კი არ არის სათნო, რაც სიკეთედ გვეჩვენება *(წმიდა ჰეტრე დამასკელი)*.

არიან ადამიანები, რომლებმაც საკუთარი სხეული მოსაგრეობით მოაუძლურეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც დაშორდნენ ღმერთს, რადგან მათ გონიერება არ ჰქონდათ *(წმიდა ანტონი დიდი)*.

არასოდეს არ უნდა დაიწყო არცერთი საქმე, თუ უფლის მიმართ ლოცვასთან შეერთებული გონიერებით არ განსჯი მას *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

განსჯის გარეშე მოქმედება იგივეა, რაც შორ გზაზე მოუმზადებლად გამგზავრება.

სახლიდან გამოსვლამდე გაიაზრე, რა უნდა გააკეთო; დაბრუნებული კი იმაზე დაფიქრდი, რა გააკეთე.

ვიდრე სიტყვას იტყვი, გამოსცადე, როგორი იქნება მისი მოქმედება; და კიდევ უფრო მკაცრად: ვიდრე საქმეს გააკეთებ, გამოსცადე, რას იტყვის იგი, რამეთუ საქმე სიტყვაზე მეტად ლაპარაკობს.

აზრს არასოდეს სწრაფად არ უნდა მიაყოლო საქმე, რაც არ უნდა კეთილად გეჩვენებოდეს იგი, არამედ დროში უნდა გამოსცადო.

ნუ იფიქრებთ, ნუ ილაპარაკებთ და ნუ გაკეთებთ ნურაფერს, ვიდრე არ დარწმუნდებით, რომ თქვენი აზრი, სიტყვა და საქმე ღვთის სიტყვის თანხვდომილი იქნება.

სიცდური და მაცდუნებლები

Საცდური ჭირით დაწყლულებას ჰგავს, რომელიც ერთ ადამიანში იწყება და მრავალს – ახლოს მყოფს აზიანებს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ცდუნებულნი თითქმის ყოველთვის მაცდუნებელნი ხდებიან.

რამდენადაც შესაძლებელია, ფრთხილად იყავი, რომ მოყვასი არ აცდუნო. ამის გარეშეც მრავალი საკუთარი ცოდვა გვაქვს რალასთვის დავიმატოთ სხვისი?

არაფერია იმაზე მძიმე და დამღუპველი, ვიდრე ზიანის მიყენება არა მარტო საკუთარი თავის, არამედ – მოყვასისთვისაც *(ამბა დოროთე)*.

ცოდვის გამართლება უფრო უარესია, ვიდრე ის, რომ თავად შესცოდო.

ვინც სხვას ცოდვაში ითრევს, ის უმეტეს დანაშაულს ჩადის, ვიდრე ის, ვინც მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე სცოდავს.

✠მაცდუნებელი უდიდესი მტერია ღვთისა, მოყვასისა და საკუთარი თავისა.

✠ვინც სხვას ზიანს აყენებს, იგი კადნიერებას იჩენს ღვთის წინაშე, უსამართლოა მოყვასისადმი და სასტიკია საკუთარი თავის მიმართაც.

✠რა შეიძლება იყოს მაცდუნებელზე უფრო საშინელი? ეშინიათ ხოლმე ცეცხლის გამჩაღებლების, ქურდების, მკვლელების, ცრუმწამვლელების, მაგრამ რამდენად საშინელია ქრისტიანი, რომელიც ატარებს გადამდებ ცოდვას, საკუთარ მოყვასს მადლმოსილ ცხოვრებას ართმევს, ეშმაკის ტყვეობაში აგდებს მას და ჯოჯოხეთისაკენ უბიძგებს?

✠ნუ იფიქრებ, რომ მკვლელი არა ხარ, თუ მოყვასს ცოდვისაკენ უბიძგებ, შენ ხრწნი ცდუნებულის სულს და სტაცებ მას იმას, რაც მარადიულობას ეკუთვნის *(ბეტარი ავგუსტინე)*.

✠განსაცდელი ისეთ შემთხვევას ეწოდება, რომელიც კაცს რომელიმე ცოდვაში ჩააგდებს. ადამიანს შეუძლია, წინასწარ

გამოიცნოს სად ან ვისთან, ან რომელ საქმეში ნახავს განსაცდელს და თავი აარიდოს მას *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე)*.

ღმრთის განგებით კაცს განსაცდელი იმისთვის შეემთხვევა, რომ კაცმა თავისი ღირსება შეაფასოს და საკუთარი თავი შეიცნოს *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე)*.

განსაცდელის გარეშე სულიერი წარმატება შეუძლებელია: იგი აზრს აღამაღლებს, ცნობიერებას წმენდს და ზნეობას ასწორებს *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე)*.

განსაცდელი გამაფრთხილებელია კაცისა: ყურძნის მტევანი თუ არ გაიჭყლიტა, ღვინო არ დადგება, მსგავსადვე, კაცის სული თუ არ შევიწროვდა, კარგ ნაყოფს ვერ გამოიღებს *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე)*.

ყოველი განსაცდელი დიდი ყურადღებითა და გონიერებით უნდა მოვიხმაროთ. პირველ რიგში, ბოროტებამ არ უნდა დაგვაღონოს და მხნეობა არ უნდა დაგვაკარგინოს; მეორედ, უნდა ეცადო, რომ

განსაცდელი შენს სასარგებლოდ გადააქციო, მწუხარებიდან სიხარული გამოიყვანე, უბედურებიდან – სიკეთე ან წარმატება. მას კი მაშინ შეძლებ, თუ სასოებითა და სარწმუნოებით აღიჭურვები და ყოფაქცევას გამოისწორებ *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე).*

თუ განსაცდელი გეწვია, ღმერთს მადლობა შესწირე, მოითმინე და თავი დაიმდაბლე *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე).*

თუ აქარი უმკაცრესად დაისაჯა უფლისადმი შეწირული მსხვერპლიდან მიტაცებული ერთი ოქროს მონეტის გამო, რა სასჯელი ემუქრებათ მათ, ვინც იესო ქრისტეს სტაცებენ ადამიანის სულს, რომელიც მოპოვებული და გამოსყიდულია არა ოქროს ან ვერცხლის მონეტის ფასად, არამედ – უმანკო კრავის ღვთაებრივი სისხლით?

მატკივებელი პასუხს აგებს ღვთის წინაშე – არა მხოლოდ საკუთარი თავის გამო, არამედ – მის მიერ ტკივებულთათვისაც.

სხვისი ცოდვაში ჩაგდების გამო ორმაგად ვაგებთ პასუხს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

გახსოვდეს, ქრისტიანო, რომ ცოდვა, რომელსაც მოყვასის თვალწინ ჩაიდენ, არა მხოლოდ მის თვალში გამცირებს, არამედ – მთელი ცათა სასუფეველისა, როგორც – ცოდვის გამავრცელებელს; „უკუეთუ ვინმე დახსნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთაი და ასწაოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა“ (მათე 5, 19).

ეშმაკი

რატომ დაუშვა უფალმა ეშმაკის გამოცდა ჩვენზე? – იმისათვის, რომ ეშინოდა და ელოდა მის ბრძოლას, რომ მუდმივი სიფხიზლითა და მასზე გამარჯვებით გვირგვინები გაგვემრავლებინა *(სულიერი მარგალიტი)*.

✠რომ არ ყოფილიყო ჩვენი გამომცდელი და შემავიწროვებელი ეშმაკი, მაშინ გამოაშკარავდებოდა ვინ არის გულმოდგინე, ვინ კი – ზარმაცი *(წმიდა ნილოს სინელი).*

✠საჭიროა, გვქონდეს უდიდესი სიფხიზლე, რადგან ჩვენს მტერს (ეშმაკს) არ სძინავს; იგი დიდი ხნის წინ გამოიდევნა სასუფევლიდან, ახლა კი არ სურს ვინმეს ზეცად აღსვლის დაშვება *(წმიდა იოანე მმარხველი).*

✠ჩვენ იმდენად არ ვცდილობთ საკუთარ ცხონებას, რამდენადაც ეშმაკი – ჩვენს დაღუპვას.

✠უკვე მერვე ათასწლეულია, ეშმაკი ადამიანთა საცდურში ჩაგდებაში ვარჯიშობს.

✠ბოროტი სული არცთუ იშვიათად (განსაკუთრებით კი დღევანდელ დღეს) უნერგავს ცოდვილს ურწმუნოებას – თვით ბოროტი სულების არსებობის მიმართ, რათა უფრო ძლიერ დაუმორჩილოს იგი თავის დამღუპველ გავლენას.

როდესაც ცხოველს თვალებს აუხვევენ, მაშინ იგი წრიულად დადის; მას რომ თვალები ახვეული არ ჰქონდეს, იგი ასე არ იცლიდა; ასევეა ეშმაკიც: თუ შეძლებს, ადამიანს თვალები დაუბნელოს, ცოდვის ყველა სახეობაში აგდებს მას. როდესაც ადამიანს თვალები გახელილი აქვს, იგი თავს არიდებს ეშმაკის საცდურებს *(ძველი პატერიკი)*.

ეშმაკი იმიტომაც შთააგონებს ზოგიერთს იმის ფიქრს, თითქოს გეენია არ არსებობს, რომ მასში ჩააგდოს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ვერავინ ცდუნდება ეშმაკით, თუ თვითონ არ დაუთმობს მას საკუთარი ნებით; რამეთუ თქმულ არს: „წინა-აღუდეგით ეშმაკსა, და იცლტოდის თქუენგან“ (იაკ. 4, 7).

ეშმაკთან ბრძოლა სხვა — ღვთის წინააღმდეგ ბრძოლას წყვეტს; ეშმაკთან ბრძოლა ღმერთთან შერიგებას ნიშნავს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ეშმაკი ღმერთს ადამიანების წინაშე ადანაშაულებს, ადამიანებს – ღვთის წინაშე და ადამიანებს – თვით ადამიანების წინაშე.

ეშმაკები სასარგებლოსაც რომ გვინერგავდნენ, ღმერთი მაინც გვიკრძალავს მათ მოსმენას.

ვერაგი მტერი არა მხოლოდ ვნებებით, არამედ – თვით სათნოებებითაც კი წააბორძიკებს ადამიანს.

ჩვენი ცხონების მტერი ჩვეულებრივ ისე იქცევა, რომ როდესაც უკანონოდ ვცხოვრობთ, ჩვენს ცოდვას მცირემნიშვნელოვნად წარმოგვიდგენს, რომელთანაც თითქოსდა ზეცისა და მიწის მეუფეს მისი დიდებულების გამო არანაირი საქმე არ ჰქონდეს; ხოლო როდესაც დაინახავს, რომ სინანულს ვიწყებთ და ვნებების ჯაჭვის გაწყვეტა გვსურს, ღმერთს უმოწყალო მსაჯულად გვაჩვენებს, ჩვენ ცოდვებს კი – სრულიად მიუტევებლად.

✠სატანა აბრმავებს ადამიანს, რათა ცოდვაში ჩააგდოს იგი, შემდეგ კი თვალს აუხელს მას, რათა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანოს (მათე 27, 3; ებრ. 3, 13).

✠როდესაც ეშმაკი ცოდვისაკენ გვიბიძგებს, ღვთის წყალობას წარმოგვიდგენს, შეცოდების შემდეგ კი – ღვთის მართლმსაჯულებას.

✠ჩვენს დაცემამდე დემონები ღმერთს კაცთმოყვარედ წარმოგვიდგენენ, დაცემის შემდგომ კი – შეუწყნარებლად *(წმიდა იოანე კობისაღმწერელი).*

✠ღვთის მცნებების მისაღებად უბრალოება გქონდეს, ეშმაკის მახის თავიდან ასაცილებლად კი – სიფრთხილე *(წმიდა ეფრემ ასური).*

✠ცოდვამდე ეშმაკი ღმერთს მოწყალედ წარმოგვიდგენს, ცოდვის შემდეგ კი – მართლმსაჯულად. ეს მისი ეშმაკობაა. შენ კი ამის საწინააღმდეგოდ მოიქეცი. ცოდვამდე ღვთის მართლმსაჯულება წარმოიდგინე, რათა არ შესცოდო, ხოლო შეცოდების შე-

მდეგ იფიქრე ღვთის გულმოწყალების სიდიადეზე, რათა იუდას სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდე *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

განსაცდელის ჟამს შინაგანი სიმშვიდე შეინარჩუნე; და თუ გულში შფოთს იგრძნობ, ნუ გამოამჟღავნებ მას გარეგნულად, რათა მოიცილო ეშმაკი, რომელმაც შენი გულის სიღრმეში შემოღწევა ვერ შეძლო და ამიტომ შენი გარეგნული ქმედებების მიხედვით მსჯელობს; იგი სასოწარკვეთილია, რომ ვერ დაგეპატრონა და განგეშორა, შესაძლოა, იმ დროს, როდესაც შენ უკვე სუსტდებოდი და მზად იყავი, მისთვის დაგეთმო. სწორედ ასე იქცევა მტერი, რომელმაც ალყა შემოარტყა ქალაქს და როდესაც ნახა მისი დაცულობა და მზადყოფნა ხანგრძლივი თავდაცვისათვის, ალყა სწორედ იმ დროს მოხსნა, როდესაც ქალაქი დანებებისათვის ემზადებოდა; იმიტომ რომ, არ იცის არც ის ზიანი, რომელსაც მისი ცეცხლმსროლელი იარაღი ქალაქს აყენებს, არც მის მცხოვრებთა შიში და შფოთვა.

ეშმაკი ჩიტებზე მონადირეა; მის ძალაუფლებაზე მაღლა დადექი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

გონება და გული ზეცისა და მარადიულობისაკენ მიმართე და ეშმაკი ვერ შეგიპყრობს; რაც უფრო მაღლა დაფრინავს ჩიტი, მით უფრო უსაფრთხოდაა; ხოლო როდესაც დაბლა, მიწაზე ეშვება, ადვილად დაიჭერენ ან მოკლავენ *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

გამუდმებით რაიმე სიკეთე აკეთე, რათა ეშმაკმა ყოველთვის დაკავებული გნახოს *(ნეტარი იერონიმე)*.

ვერავის ისე მოხერხებულად ვერ აცდუნებს ეშმაკი, როგორც – უქმადმყოფსა და ზარმაცს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

მუდამ სულიერი საქმეებით, განსაკუთრებით კი – ლოცვით ვიყოთ დაკავებულნი, რათა ყოველთვის, როგორც კი მოგვიახლოვდება და ვნებას დაგვიპირებს მტერი, ჩვენი გული მისთვის დაკეტილი და შეიარაღებული დახვდეს.

✻როდესაც ქოთანი ქვემოდან ცხელდება, ვერც ბუზი და ვერც სხვა რამ ვერ შეეხება მას; ხოლო როდესაც გაცივდება, მაშინ მწერები მასზე სხდებიან; ასევე ემართება ადამიანსაც: ვიდრე იგი სულიერ საქმიანობაშია, მტერს მისი დაძლევა არ შეუძლია.

✻მორწმუნეთა ლოცვა უდიდესი წამებაა და შიშია ბოროტი სულებისათვის *(წმიდა ისააკ სირიელი)*.

✻გულითადი ლოცვის სითბო დემონებისათვის მწველი ცეცხლია.

✻როგორც ვერავინ გაბედავს მიახლოებას მიწიერ მეფესთან მოსაუბრესთან და მათი საუბრის შეწყვეტას, ასევე დემონები ვერ ბედავენ მიუახლოვდნენ მას, ვინც ღმერთს ესაუბრება *(წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი)*.

✻როგორც ძლიერი ქარი მტვერს გაფანტავს, ასევე ჩვენი მტერი – ეშმაკი – განიდევნება ღმერთთან საუბრით, ლოცვითა და ცრემლებით *(წმიდა ეფრემ ასური)*.

ეშმაკი ვერ გაიმარჯვებს მასზე, ვისშიც სახლობს ქრისტე – ეშმაკის დამმარცხებელი.

ქრისტემ თავისი ძალით სატანაზე გაიმარჯვა; ჩვენც იესოს ძალითა და სახელით უნდა დავამარცხოთ იგი.

იესოს სახელი ფოლადზე ძლიერი და გრანიტზე მტკიცეა. არ არსებობს იმაზე უფრო ძლიერი ფარი და იარაღი სულიერ ბრძოლაში, ვიდრე იესოს ლოცვაა.

როგორც ძაღლი იმ კეტის დანახვაზე, რომელიც ოდესღაც მოხვდა, შორს გარბის მისგან, ასევე ეშმაკსაც ქრისტეს ჯვრის დანახვაზე, რომლითაც შეიმუსრა მისი ძალა, ეშინია, თრთის და გარბის მორწმუნეთაგან.

ცოდვა

❦ Ერანაირი ბოროტება და უბედურება ცოდვაზე დამღუპველი არ არის.

❦ რა შეიძლება იყოს ცოდვაზე დამღუპველი, რომლიდანაც წარმოსდგება ყველა დანარჩენი უბედურება? იგი განაშორებს ადამიანს ღმერთს, ერთმანეთს მტრად გადაჰკიდებს ადამიანებს, საკუთარ თავთანაც კი აუცხოებს.

❦ ყველა ადამიანურ ბოროტებათაგან მხოლოდ ცოდვაა ნამდვილი ბოროტება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

❦ მკვლელი სულს სხეულთან განაშორებს, ცოდვა კი სხეულსაც ღუპავს და სულსაც.

❦ ცოდვა სულს განაშორებს მშვიდობას, გონებას — სინათლეს, სხეულს — უხრწნელობას, მიწას — კურთხევას, ყოველგვარ ქმნილებას — ყველანაირ სიკეთეს. იგი იწყებს იმით, რომ ადამიანში ჯოჯოხეთს თესავს, რაც ადამიანს ჯოჯოხეთში აგდებს.

✦ცოდვა თვით ეშმაკზე საშინელიც კია, რადგან ეშმაკიც ნათლის ანგელოზიდან იქცა სატანად.

✦როგორც იქედნეს ქვეყნად მოვლინებას მისი დედის სიკვდილი სჭირდება, ასევე ცოდვაც მის წარმომშობის სიკვდილს იწვევს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✦არ არსებობს ცოდვილი, რომელიც თავისი მიწიერი ცხოვრების დასასრულს იონათანივით არ ამბობდეს: „ცოტაოდენი თაფლი ვიგემე; აჰა, მზად ვარ სასიკვდილოდ“ (1 მეფ. 14, 43).

✦ტკბილია ადამიანისთვის ცოდვა, მაგრამ მისი ნაყოფი მწარეა.

✦ცოდვა უმწარესი ყურძენია, ვინც მას იგემებს, კბილი მოეჭრება.

✦თითოეული ცოდვა სიმთვრალეა, რომლიდანაც გამოფხიზლებაც ძალიან არასასიამოვნოა.

✦ცოდვა და მწუხარება განუშორებელი ჯაჭვითაა დაკავშირებული ერთმანეთთან:

„ჭირი და იწროება ყოველსა ზედა სულსა კაცისასა, მოქმედსა ბოროტისასა“ (რომ. 2, 9).

ცოდვა გარკვეული დროით ტკბილია, მაგრამ შემდეგ ხანგრძლივი სიმწარე მოსდევს *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

ცოდვით ტკბობა დროებითია, მაგრამ მას მარადიული სიკვდილი მოსდევს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

მანკიერებისა და უკანონობის გზა დასაწყისში გლუვი და სასიამოვნოა, მასზე სიარული – ადვილი, სწრაფი და შეუმჩნეველი, მაგრამ მისი დასასრული ჯოჯოხეთში წამყვანებელია *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

ცოდვის ტყვე მაღალი და ციცაბო მთიდან ჩამომავალ ადამიანს ჰგავს: თავდაპირველად ჰორიზონტი ფართოა, თვალწინ მრავალი ხედი წარმოდგება, მაგრამ რაც უფრო შორს და ქვემოთ ჩადიხარ, ჰორიზონტი ვიწროვდება, ხედები და კვალი მცირდება და ბოლოს რჩება ერთი გზა, რომელსაც მივყავართ, ან უკეთ რომ ვთქვათ, გვჩეხავს უფსკრულში.

საყვარელო, გაურბიხარ ცეცხლს, რომ სხეული არ დაგწვას, მაგრამ გაექეცი ცოდვას, რათა შენი სხეული სულთან ერთად ჩაუქრობელ ცეცხლში არ დაიწვას (წმიდა ეფრემ ასური).

საჩუქარი – ჯილდოს გარეშე, ხოლო ბოროტება სასჯელის გარეშე არ დარჩება.

ვინც ცუდად ცხოვრობს, მისი საქმე ცუდად იქნება.

ვინც ბოროტებას იქმს, მას ეს ბოროტება მოეწევა.

თუ ცუდი საქმისაგან შემოსავალს იღებ, ეს უბედურების წინამორბედად მიიჩნიე.

ბოროტი შენაძენი ბოროტადაც დაიხარჯება.

ვინც რითი სცოდავს, უმეტესწილად იმითივე ისჯება; ზაქარიამ ბაგეებით შესცოდა, ამითივე დაისაჯა (ლუკა 1, 20). ასეთია ღვთის სამართალი!.

ვინც რას დათესს, – იმასვე მოიმკის. ასევე, როდესაც ნებაყოფლობით ვთესავთ,

ჩვენი ნების წინააღმდეგ მოვიმკით ბოროტებას, ამაში ღვთის სამართალი უნდა დავინახოთ.

✝ცხოვრებისეული უსიამოვნებები უნდა გამოვიყენოთ, ვნახოთ, რომელმა გაუფრთხილებელმა ნაბიჯმა მიგვიყვანა აქამდე და მომავლისათვის საკუთარ თავს სიფრთხილის კანონი დავუწესოთ.

✝თუ გაურბიხარ ხალხის ჭორაობს შენი საქციელის შესახებ, მაშინ ეს საქციელი შეწყვიტე და ჭორიც ალარ იქნება *(წმიდა ისიდორე პელუზიელი)*.

✝თუ ვინმე შენზე ჭორაობს, ნუ გაბრაზდები, არამედ იტირე და შეგრცხვეს – არა იმისა, რომ შენზე ჭორაობენ, არამედ იმ ცოდვის გამო, რომელმაც ასეთ არაწმიდებაში ჩაგაგდო *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝ქებას თავი აარიდე, მაგრამ ყვედრებისაც შეგრცხვეს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✝საზოგადოებაში დამამცირებელი საქციელი ქრისტიანულ თავმდაბლობას არ ტოვებს.

კარგია შენდობის თხოვნა (ღვთისა და ადამიანების წინაშე), მაგრამ უკეთესია, ისე არ მოიქცე, რომ შენდობის თხოვნა დაგჭირდეს.

ცოდვა თავისთავად სასჯელია (იერ. 2, 19; რომ. 2, 9), ისევე, როგორც სათნოება თავისთავად ჯილდოა (მათე 5, 6).

დამნაშავემ რიგორი წარმატებითაც არ უნდა აარიდოს თავის სასჯელს, იგი მუდამ თან სდევს.

ბოროტი საქმეები უკვე აქვე ჯოჯოხეთშია, რადგან სინდისი ამხილებს მცოდველს.

ეფრემ ღრმად ჩაისუნთქა საკუთარ ცხელში: ოვითონვე დაინახავ, რომ ყოველგვარ ბოროტ ფიქრს, სურვილსა და საქმეს შენთვის სირცხვილი და აუგი მოაქვს, მიუხედავად იმისა, რომ არავინ იცის შენი აზრები, სურვილები და საქმეები. მაგრამ დადგება დრო, როდესაც ყველა ცხელაფერს შეიტყობს.

გაცილებით აღვილია, გადაიტანო უბედურება, ვიდრე მათი მიზეზი იყო. სუფთა

სინდისის მქონე ადამიანი იტანჯება, მაგრამ მისი სულის სიმშვიდე დარღვეული არაა; ადამიანი, რომელიც სხვას ბოროტებას უკეთებს, საკუთარ თავში ატარებს ბოროტებას. ეს მოსვენებას არ აძლევს არც დღე და არც ღამე; ეს ის მატლია, რომელიც მას გამუდმებით ხრავს.

✝ის მანკიერება, რომელსაც გულმოდგინედ ალვასრულებთ, შემდგომში ყველგან თან გვდევს.

✝ცოდვა ყველაზე საშინელი ბოროტებაა დედამიწაზე. უფრთხილდით ცოდვას, იმის ცაბო მაინც, რომ რაც შეიძლება, ნაკლებად გვამძიმებდეს მიწიერი უბედურებანი.

✝თვალხილული ბრმაა ის, ვინც ვერ სცდავს, რამდენად დამღუპველია მისი ცოდვა *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✝„ყოველმან, რომელმან ქმნეს ცოდვაი, მონაი არს იგი ცოდვისაი“ (იოანე 8, 34). განა თავისუფალია ანგარებისმოყვარე? განა იგი ოქროზე არ არის მიჯაჭვული? განა

თავისუფალია სხეულისათვის სიამოვნების მიმნიჭებელი? იგი ხელებით და ფეხებით კი არა, თავითა და გულითაა მიბმული საკუთარ კერპებზე?

✝როგორც დაუანგული რკინა კარგავს სიმაგრესა და ძალას იმდენად რომ, რაც ადრე დიდი ძალიასხმევით არ იმსხვრეოდა, ახლა მცირე ძალდატანებითაც კი ადვილად შესამუსრი გახდა, თუმცა მისი ფარისობი და რაოდენობა იგივე დარჩა; ასევე ცოდვილს რჩება თავისუფლების ყველა ნიშანი; ზოგიერთ შემთხვევაში იგი გარეგნულად უფრო თავისუფალია, ვიდრე — მართალი, რომელსაც ყოველთვის ღვთის შიში და სინდისი აკავებს; მაგრამ შინაგანი სიმტკიცე არა აქვს.

✝ცოდვაში მცხოვრები მკვდრისაგან არაფრით განსხვავდება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝არაწმიდანი გარეგნულად ცოცხლები კი არიან, მაგრამ გარდაცვლილებზე უფრო უბედურად გრძნობენ თავს *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*.

✦უწმიდურებს ეშინიათ იქ, სადაც შიში საერთოდ არ არსებობს (ფს. 52, 6); ხოლო სადაც შიში საჭიროა, იქ უშიშარნი არიან.

✦მრავალნი სცოდავენ იმის შიშით, რომ სამყაროს კანონების მიმართ ზიზღით ამავე სამყაროს ზიზღი არ დაიმსახურონ.

✦ნაკლებად უნდა ვფიქრობდეთ იმ წყენის შესახებ, რომელსაც ადამიანები გვაყენებენ, მაშინ, როდესაც მათდამი მორჩილებამ, შესაძლოა, ღმერთს მიაყენოს შეურაცხყოფა.

✦საჭიროების შემთხვევაში შეცოდებას სიკვდილი ამჯობინე *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✦ერთი ცოდვაც კი, რომელიც ღვთის უსასრულო დიდების შეურაცხყოფდა, მარადიულ სასჯელსა და სიკვდილს იმსახურებს.

✦ერთ ცოდვას ყოველთვის მეორესთან მივყავართ.

✦საკუთარი თავისათვის უდიდეს უბედურებად მიიჩნიე, თუ რაიმე სახით შენს ვნებებს დაიკმაყოფილებ. რამეთუ ერთი მათგანის დაკმაყოფილება სხვა მრავალის აღძვრას ნიშნავს.

ყოველი ახალი ცოდვა ახალ ლაქას აჩენს ჩვენს სულზე.

უმჯობესია, სხეულის ათასი მორთულობა დაკარგო, ვიდრე ყოვლისმხილველის წინაშე სულისა და სინდისის თუნდაც უმცირესი ლაქით წარსდგე.

მსაჯულისაგან არაფერია დაფარული; ამიტომ ამაოდ ვცდილობთ, ფარულად შევცოდოთ *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ერთმა ბერმა თქვა: „საოცარი საქმეა! ჩვენ ისე ვლოცულობთ, რომ ღმერთს ესმის და ხედავს ჩვენს სიტყვებს; ხოლო როდესაც ვცოდავთ, ისე ვიქცევით, თითქოს იგი ვერ გვხედავდეს“ *(ძველი პატერიკი)*.

ღმერთი მსაჯულია არა მხოლოდ გარეგნული საქმეებისა, არამედ — შინაგანი აზრებისაც.

რისი გაკეთებისაც ადამიანთა თანდასწრებით გრცხვენია, მასზე ფიქრიც კი უწესობად ჩათვალე *(ამბა ისაია)*.

რისი ჩადენაც ადამიანთა წინაშე საშინელია, მის შესახებ გულში გაფიქრე-

ბაც კი საშინელია ღვთის წინაშე *(სულიერი მარგალიტი)*.

„ამაო სიტყვებიც და აზრებიც კი აკრძალულია!.. – ეს უკვე ძალიან მძიმეა". – ამბობენ ქარაფშუტები; „ზედმეტად მკაცრია"! – ფიქრობენ უგუნურნი; ზოგნი ამბობენ: „ამაო სიტყვები საზიანო არ არის და მითუმეტეს – ამაო აზრები". დიახ, პატარა მწერები, უმეტეს შემთხვევაში, შხამიანები და მომაკვდინებლები არ არიან, მაგრამ განა მოისურვებდი, მათით სავსე სივრცეში ცხოვრებას, სადაც ისინი განუწყვეტლივ თვალებში გეჩხიარებიან, ყურებში გიბზუაიან, გიფორიაქებენ გონებას და გაყენებენ ასეულობით არამომაკვდინებელ ჭრილობას?

მცირე ცოდვებიც არ არის მცირე.

ვერც – მცირე ცოდვებით დაიმკვიდრებ ცათა სასუფეველს.

ჩვენი წინაპრების მიერ ედემში შეჭმული ვაშლი დიდი არ იყო, მაგრამ თვითონაც იცი, როგორი შედეგები მოჰყვა მას.

ის, რაც ზოგჯერ მცირედმნიშვნელოვნად გეჩვენება, ზოგჯერ არცთუ მცირე მნიშვნელობისაა.

მცირე და ნაკლებად მნიშვნელოვანი ცოდვები ხშირად დიდი მამების პატივს ამცირებდნენ.

როდესაც კასრში თუნდაც სულ პატარა ხვრელია, ღვინო იღვრება მანამდე, ვიდრე პატრონი ამის შესახებ შეიტყობდეს, — თუ იგი გაუფრთხილებელია; ასევე, ერთი შეხედვით მცირე გაუფრთხილებლობა ღუპავს დაუფიქრებელი ადამიანის ცხოვრების ნაყოფს *(ამბა ისაია)*.

ნუ იტყვი, რომ ესა თუ ის რაღაც უმნიშვნელო წვრილმანია; წვრილმანები ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანია. ნემსით მიყენებული ჭრილობა ზოგჯერ უფრო მეტად ჭრის, ვიდრე — ავადმყოფობა, რომელიც მთელს სხეულს მოიცავს. ზოგჯერ ნაპერწკლისაგან ცეცხლი ჩნდება, რომლის ჩაქრობაც შეუძლებელია და რომელიც

უმოწყალოდ ანადგურებს ყველაფერს, რაც წლების განმავლობაში უდიდესი გულმოდგინებით იყო მოგროვილი.

მცირედმნიშვნელოვანი მნიშვნელოვანია, როდესაც დიდს წარმოშობს *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

შესაძლოა, მცირე ცოდვა თავისთავად დიდი მართლაც არ იყოს, და ისიც მხოლოდ შედარებით; სამაგიეროდ, მსგავსი ცოდვების სიმრავლე დიდ ცოდვას შეადგენს.

თუკი ვინმე ტომარაში ბევრ ქვიშას ჩაყრის და მასთან ერთად ღრმა წყალში გაცურავს, სიმძიმისაგან ისევე ჩაიძირება, როგორც – დიდი ქვისაგან. ასევეა მცირე ცოდვების შემთხვევაშიც, რომლებსაც საერთო სირთულით შეუძლიათ, შეადგინონ სიმძიმე, როემლიც დიდი ცოდვის თანასწორი იქნება, ან აღემატება კიდევაც მას – ისევე შესაძლოა დაგღუპოს, როგორც დიდმა ცოდვებმა.

მარცვალი პატარაა, მაგრამ მისი სიმრავლე მთას ქმნის. რას შექმნის ყოველდღიურად გამეორებული პატარა ცოდვები?

ნემსით ჩხვლეტა დიდ ტკივილს არ აყენებს; მაგრამ თუკი ვინმეს აზრად მოუვიდოდა, საკუთარი სხეული დიდხანს დაეჩხვლიტა ერთსა და იმავე ადგილას, მაშინ ასეთ ხუმრობას საზიანო შედეგები მოჰყვება, რადგან ზოგჯერ ძლივს შესამჩნევ ნაჩხვლეტს იმდენად ძლიერი ანთება მოჰყვება, რომ მთელი ამ ნაწილის მოკვეთა ხდება საჭირო. ამის მსგავსად სულიერი ცხონების მსურველი მცირედშიც უნდა ფრთხილობდეს და აღიარებდეს მათ; რადგან მცირე ცოდვების მრავალგზის გამეორება უცილობლად ან უკანონობასთან მიგვიყვანს, ანდა უკვე მომაკვდინებელი ცოდვაა, რომელიც სულს მადლმოსილ ძალებს განაშორებს.

თავი აარიდე თვით ყველაზე მცირე ცოდვებსაც კი, რამეთუ ვინც მცირეს არ

განეშორება, აუცილებლად ჩავარდება დიდ და მძიმე ცოდვებში.

✠ვინც მცირე ცოდვაზე გაიმარჯვებს, ის დიდსაც მოერევა.

✠ვინც მცირე ცოდვებისაგან არ იცავს თავს, იგი ნელ-ნელა დიდშიც ჩავარდება.

✠ვისაც საკუთარი ცოდვები მცირედ მიაჩნია, იგი უწინდელზე მძიმე ცოდვებში ჩავარდება *(წმიდა ისააკ ასური)*.

✠როდესაც თვლი, რომ ესა თუ ის ცოდვა მცირეა, განა არ მიხვალ იქამდე, რომ არცერთ ცოდვას დიდად აღარ მიიჩნევ?

✠ქარაფშუტობა გონიერებას დასცინის და ბოლოს უღმერთო ცხოვრებამდე მიდის.

✠მცირე ცოდვასაც შეუძლია, ადამიანი დიდ უკანონობამდე მიიყვანოს.

✠ცელქი, შესაძლოა, ბოროტმოქმედად იქცეს, ხუმარა კი — ღვთისმგმობელად.

✠რაოდენ მცირედაც არ უნდა გეჩვენებოდეს ცოდვა, ის მაინც ბოროტი მარცვალია, რომლიდანაც, შესაძლოა, უზარმაზ-

არი ბოროტება ამოიზარდოს. ეს იგივეა, რაც შხამიანი მცენარის თესლი: თითქოს მასზე მცირეა, მაგრამ რა მომაკვდინებელი ნაყოფი აქვს, როდესაც გაიზრდება! ასეთია, მაგალითად, ღვინოში თავშეუკავებლობის გამოცდილება, რომელსაც თავიდან გასართობად იწყებენ და ხშირად თრობით მთავრდება. ასეთივეა მიდრეკილება იმისა, რომ უსმინო სხვების დაცინვას და ცილისწამებასაც კი: თავდაპირველად ეს მხოლოდ ხუმრობაა, ამავდროულად კი იგი გადაიზრდება დაცინვის, განკითხვისა და ჭორაობის ჩვევაში. ყოველი დამნაშავე თავდაპირველად უდანაშაულო იყო და უეცრად როდი გახდნენ დიდი ცოდვილნი. მანკიერების გზაზე მათი პირველი ნაბიჯი ნაკლებად შესამჩნევი იყო, მაგრამ რადგანაც არ შეაჩერეს, ის საშინელი ბოროტმოქმედებების დასაწყისი გახდა. სულის დამღუპველმა თავდაპირველად, შესაძლოა, მხოლოდ ჩიტი მოკლა. ბოროტების მცირე

დასაწყისიც კი არ უნდა დავუშვათ. ცოდვა ცეცხლივითაა — მასთან ხუმრობა ძალზე სახიფათოა.

ერთ უწმიდურ გამოხედვას, ერთ გამხრწნელ სიტყვას ადამიანის უდიდეს ცოდვამდე მიყვანა შეუძლია.

უფრთხილდი მცირეს, რათა დიდში არ ჩავარდე.

უზრუნველნი რომ არ ვიყოთ მცირეზე და იმაზე, რაც მცირედ მოგვაჩნია, დიდსა და მძიმეში არ ჩაცვივდებოდით *(ამბა დოროთე)*.

ნუ იქნები უდარდელი მაშინაც, როდესაც რაიმე საქციელი ნაკლებმნიშვნელოვნად გეჩვენება. სხვაგვარად მასში აღმოაჩენ არაადამიანურ ბატონს და იდგები მის წინაშე, როგორც — შებორკილი მონა *(წმიდა ისაკ ასური)*.

ნუ ჩაიდენ ბოროტებას — ხუმრობითაც კი, რამეთუ ისეც ხდება, რომ ზოგი თავდაპირველად ხუმრობით აკეთეთებს ბო-

როტებას, შემდეგ კი გაიტაცებს იგი *(ამბა-ღორთე)*.

✗ქოცვლითის და ყველაფერში, მითუმეტეს, ბიროტებაში, მთავარი მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მისი გადადგმა ძნელია, მეორე ნაბიჯი უკვე უფრო ადვილია, შემდეგ კი ადამიანი კი არ მიდის, არამედ მიისწრაფის ბოროტების მოლიპულ გზაზე.

✗საშინელი ცოდვა გამეორების შემდეგ ნაკლებად საშინელი ხდება.

✗ვინც დღეს სპილენძის მონეტას იპარავს, ხვალ ორს მოიპარავს, შემდეგ სამს და ვერცხლის მონეტებამდეც მივა.

✗ვიდრე დანაშაული ჯერ კიდევ მცირეა და კარგად არ. მომწიფებულა, მოიკვეთე იგი, ვიდრე ტოტები ფართოდ გაშოუტანია და მომწიფებულა *(წმიდა ისააკ ასური)*.

✗ყურადღება მივაქციოთ საკუთარ თავს და ვიზრუნოთ მსუბუქზე, ვიდრე ადვილია, რათა არ დამძიმდეს, რადგან სათნოებაც და ცოდვაც მცირედან იწყება და დიდ

სიკეთემდე ან ბოროტებამდე მივყავართ *(ამბა დოროთე)*.

✝ყველაფერი, რაც იბადება, მცირედით იწყება, ნელ-ნელა იკვებება და იზრდება *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

✝ცოდვა დამწველი ცეცხლია. რაოდენობრივად შემცირების შემდეგ იგი ქრება, მომატებისას კი უფრო აალდება *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

✝ბოროტება ნაპერწკალს ჰგავს – ჩააქრე იგი. სხვაგვარად ხანძარი გაჩნდება და გეენიის ცეცხლში დაიწვები.

✝ჩააქრე ნაპერწკალი, ვიდრე ცეცხლი აალებულა, და მოკალი მტერი, ვიდრე პატარაა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝უფრო ადვილია, თავიდანვე მოსპო ნაკლოვანება და თავი აარიდო მას, ვიდრე იგი ჩვენთან მხოლოდ მოახლოებულა, ვიდრე დათრგუნო და მასზე ამაღლდე მას შემდეგ, რაც მან ჩვენში წარმატებებს მიაღწია; ასევე ქვაც უფრო ადვილი შესაჩ-

ერებელია თავდაპირველად, ვიდრე ჩამოვარდნის შემდეგ მისი აწევა *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✦როდესაც თავდაპირველად საკუთარ თავში ნაკლოვანებას დაუშვებ, ნუ ჩათვლი, რომ ის ვერ დაგჯაბნის; რადგან, რამდენადაც უკვე მიცემული ხარ ამ ცოდვას, მან უკვე გაიმარჯვა შენზე *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

✦შეუძლებელია დიდის გადალახვა, ვიდრე პატარაზე არ გაიმარჯვებ *(წმიდა ისაკ ასური)*.

✦ვინც მცირეში მარცხდება, ის დიდშიც დამარცხდება, ხოლო ვინც მცირეს დაამრცხებს, ის დიდსაც მოერევა *(ამბა ისაია)*.

✦უფრთხილდით მცირედის არად მიჩნევასა და მის სიძულვილს, როგორც – მცირესი და არარაობისა; ის მართლაც მცირე როდია, რადგან მისი მეშვეობით ცუდი ჩვევა გამომუშავდება *(ამბა დოროთე)*.

✦დათრგუნე ცოდვა დასაწყისშივე, ვიდრე იგი მცირეა და ადვილია მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. კარგს არაფერს

მოიტანს, თუ მას გაზრდისა და შენში განმტკიცების საშუალებას მისცემ; მისგან კი როგორც ჩაუქრობელი ნაპერწკლიდან ცეცხლი – ცოდვილი ჩვევა ჩამოყალიბდება.

არ არსებობს ტირანია, რომელიც უფრო აუტანელი იქნებოდა, როგორც ჩვევა; ტყუილად როდი უწოდებენ მას მეორე ბუნებას *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

თუ ყოველგვარი ცოდვა სულიერ ხედვას ამუქებს, მაშ, შეიძლება ითქვას, რომ ცოდვილი ჩვეულება ჩვენს თავლში წარმოშობს მუქ წყალს, რომლის საწინაალმდეგო წამალი არ არსებობს.

რაოდენ აუტანელი და საძაგელიც არ უნდა იყოს ცოდვა, ჩვეულება მას ნაკლებმნიშვნელოვნად და არარაობად წარმოაჩენს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ქრონიკული ავადმყოფობები მხოლოდ უდიდესი მცდელობით, მუდმივი ძალდატანებით იკურნება; იგივე უნდა ითქვას ცოდვილ ჩვევებზეც *(წმიდა ბასილი დიდი)*.

ცოდვის ჩადენა ადვილია, მისგან გათავისუფლება კი – ძნელი.

იმისათვის, რომ ცოდვის სიმძიმეს არ განიცდიდე, გამუდმებით იფხიზლე საკუთარ თავთან, ყურადღება მიაქციე არა მხოლოს საკუთარ სიტყვებსა და საქციელს, არამედ – აზრებს, გრძნობებსა და სურვილებსაც და საკუთარ თავს ხელში ნუ ჩაუგდებ ყოველგვარ ბოროტებაზე უფრო მზაკვარსა და საშინელს, ანუ – ცოდვას.

ცოდვისათვის თავის არიდება უფრო ადვილია, ვიდრე – მასთან ბრძოლა.

რასაც მოისურვებ, იმაზევე იზრუნებ, მისკენ მიისწრაფვი და ეძიებ, ხოლო რაც არ გსურს, მასზე არც იზრუნებ, არც იფიქრებ და არც ეძიებ.

ცოდვილი ჩვეულება მიწაში ჩაგდებული მარცვალია, რომელიც ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო იზრდება და ბოლოს დიდ ხედ გარაიქცევა. ასევეა ცოდვილი სურვილიც: თავდაპირველად იგი

ნელა იზრდება, შემდეგ უფრო მეტად და ბოლოს მთელს ჩვენს არსებას მოიცავს. ასეთი საზიანო და დამღუპველია ჩვენთვის ცუდი და ციდვილი აზრები!

საკუთარ თავში ცოდვილი აზრები უნდა დავთრგუნოთ, რათა მათ ცოდვილ საქმეებამდე არ მიგვიყვანონ.

თუ საკუთარ თავს ძალას არ დაატანთ, ცოდვაზე ვერ გაიმარჯვებ.

იმისათვის, რომ საკუთარ სისუსტეზე გავიმარჯვოთ, არ შეიძლება, იგი არაფრად მივიჩნიოთ.

როგორი ვნებებისაგან ადარ გამოვიხსნიდით თავს, თუ ზოგჯერ ცდუნებას მტკიცედ ვეტყოდით ერთ „არას“.

ერთხელ და სამუდამოდ უთხარი ცოდვას: „მე შენი მტერი ვარ“ და ყოველი განსაცდელის წინ ყოველ მზაკვარ აზრს მიმართე: „მე შენი მტერი ვარ“.

საჭიროა, მოვიძულოთ ცოდვა; ასეთ შემთხვევაში, თუ რაიმე ცოდვა შემოპარ-

ვას დააპირებს, სწრაფად დავიხსნით თავს მისი კლანჭებისაგან *(წმიდა ნილოს სწნელი)*.

✠ვინც ცოდვა არ მოიძულა, ის თუნდაც არ აღასრულებდეს მას, მაინც ცოდვილებში ითვლება *(წმიდა ნილოს სწნელი)*.

✠ვინც ბოროტებას სიძულვილის გარეშე უყურებს, იგი მალე მას სიამოვნებით დაუწყებს ცქერას.

✠ცოდვის მოსაძულებლად ხშირად იფიქრე (განსაკუთარებით კი მაშინ, როდესაც განსაცდელი გექნება) მის დამღუპველ შედეგებზე, იმ ზიანზე, რომელიც მან შეიძლება, სამუდამოდ მოგაყენოს, თუ არ შეინანებ. ცოდვას მაშინ მოიძულებ, როდესაც განსჯი, რომ ეს დემონის მიერ ჩვენს თავზე აღმართული ხმალია *(წმიდა ნილოს სწნელი)*.

✠სული შეიძლება, ცოდვას ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ ღვთის გარეშე იგი ბოროტებაზე ვერ გაიმარჯვებს *(წმიდა მაკარი დიდი)*.

✠ცოდვასთან ბრძოლისას შემწეობისათვის მიმართე მას, ვინც ბრძანა: „თვინიერ

ჩემსა არარაი ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (იოანე 15, 5). — და ბრძოლიდან გამარჯვებული გამოხვალ.

თუ სატანას იმდენი ძალა ჰქონდა, რომ ცოდვაში ჩავეგდეთ, მაშინ იესო ქრისტეს — ჩვენს შემოქმედს, მით უფრო შეეძლება, ჩვენი გამოხსნა ამ ცოდვებიდან! შენ მხოლოდ სცადე, გადაწყვიტე ცოდვათა დაჯაბნვა — ღვთის შეწევნით და დაინახავ, რა ადვილია ეს მისთვის.

დიდია ცოდვის ძალა, მაგრამ ასმაგად მეტია ღვთის მადლი.

ზრახვები

როგორც არ შეიძლება, ქარი მივუშვათ ღია მკერდთან, ასევე არ შეიძლება ზრახვათა დინების შეჩერება, რამეთუ ადამიანის სული თავისი ბუნებით (წინა-

პართა ცოდვით დაცემის გამო) ღიაა ბოროტების ქმნისათვის.

✠ამბა პამბოს ძმამ შესჩივლა, რომ ზრახვებთან სულიერი ბრძოლა ჰქონდა. ბერმა, სხვათა შორის, უთხრა მას: „ნუ გაგიკვირდება ის, რაც გემართება. ხედავ, როგორი მოხუციც ვარ; სამოცდაათი წელია, ამ სენაკში ვცხოვრობ და საკუთარი სულის ცხონებისათვის ვზრუნავ; ამ სიბერეშიც ვებრძვი განსაცდელსა და თავდასხმებს ზრახვებისაგან.

✠განსაცდელებს ვერავინ გაექცევა, მაგრამ შესაძლოა, დაცემას თავი ავარიდოთ.

✠განა შეუძლია ხლვაში კუნძულს შეაჩეროს ტალღები, რომლებიც მას ურტყამენ? ამის მიუხედავად, კუნძული ტალღებს ეწინააღმდეგება. ასევე ჩვენ არ შეგვიძლია ზრახვების შეჩერება, მაგრამ მათთვის წინააღმდეგობის გაწევა მაინც ძალგვიძს *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✤რასაკვირველია, არ შეგიძლია, წინ აღუდგე ჩიტის ფრენას, მაგრამ ის მაინც შეგიძლია, ხელი შეუშალო მას ამა თუ იმ ადგილას ბუდის გაკეთებაში.

✤სასოწარკვეთილება არ უნდა დაგეუფლოს იმ ბრძოლის გამო, რომელსაც ზრახვები აღძრავენ. თუ მათ მოშურნედ ვეწინააღმდეგებით, ეს ბრძოლა უნათლეს გვირგვინებს გვიმზადებს *(ძველი პატერიკი).*

✤დედა სარას ოცდაათი წლის განმავლობაში ებრძოდა მრუშობის ზრახვები და არასოდეს უთხოვია, რომ ეს ბრძოლა შეწყვეტილიყო, არამედ ღმერთს მხოლოდ იმას ევედრებოდა, რომ ამ ბრძოლის გასაძლებად გამძლეობა და მოთმინება ებოძებინა.

✤როდესაც არაწმიდა აზრები აშფოთებენ შენს გონებას, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი, არამედ გაიხსენე ღვთის წყალობანი. ვისაც ხომალდი აბარია, მას გემის პატრონი არასოდეს უსაყვედურებს: „რატომ მიეცი ტალღებს საშუალება, რომ ჩემი

გემისთვის შემოეტიათ?“ არამედ ასე ეტყვის: „რატომ არ იზრუნე ხომალდზე და არ ეწინააღმდეგებოდი ტალღებს?“ *(წმიდა ეფრემ ასური).*

იმისთვის კი არ განვიკითხებით, რომ ჩვენში ზრახვები შემოდის, არამედ იმისთვის, რომ ჩვენ მათ ცუდ მიმართულებას ვაძლევთ *(წმიდა ბარსანოფი დიდი).*

ნურასდროს იფიქრებ, რომ არად ჩააგდო ზრახვები, რამეთუ არანაირი აზრი უფლისაგან დაფარული არ დარჩება *(წმიდა მარკოზ მოსავრე).*

ნურასდროს დაუშვებ შენს გულში შემოვიდეს ზრახვა, რომელიც ღმერთს განარისხებს *(ამბა სილუანი).*

უფრო უსაფრთხოა, თუ სახში მტერს არ შემოუშვებ, ვიდრე – შემოუშვა და შეებრძოლო მას *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

რაც შეიძლება, სწრაფად განდევნე გულიდან ყოველგვარი ცოდვილი ზრახვა, როგორც მეყსეულად იცილებ ტანსაცმლიდან პატარა ნაპერწკალსაც კი, რომელიც მას მოხვდა.

✻როგორც მორიელს უბეში ვერ შეინახავ, ასევე ნუ გააჩერებ გულში ცუდ აზრს.

✻ჩააქრე ნაპერწკალი, ვიდრე ცეცხლი აგზნებულა და მოკალი მტერი, ვიდრე პატარაა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✻როგორც ნაპერწკალი აალებამდე ადვილად ქრება, ასევე ცუდი ზრახვა დასაწყისშივე ადვილად ითრგუნება.

✻მზაკვარ აზრს ისევე არ უნდა მისცე სულში გაზრდის საშუალება, როგორც ბალახს – ბოსტნეულის კვალში *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✻თუ ცოდვებს განვაგდებთ, ცოდვასაც ამოვძირკვავთ. ზრახვებიდან წარმოიშვება ცოდვა, როგორც ფესვიდან – ხე, ანდა თესლიდან – ნაყოფი. ამოძირკვე ფესვი და ხე არ იქნება; გაანადგურე თესლი და ნაყოფი არ გაიზრდება *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✻ქარის მოძრაობის გარეშე ღრუბლები არ წარმოიქმნება; ასევე არ გაჩნდება ცოდვა ზრახვების გარეშე. *(წმიდა მარკოზ მოსაგრე)*.

✻როგორც გამოუცდელი ხბო მიიჩქარის ბალახისაკენ და უფსკრულით გარშემორტყმულ ადგილას აღმოჩნდება, ასევე ემართება სულს, რომელიც ნელ-ნელა იხიბლება ზრახვებით *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

✻ზრახვის გაჩენა კი არ არის ცოდვა, არამედ – გონების მეგობრული საუბარი მასთან *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

✻ყველა სცოდავს იმის გამო, რომ ავი ზრახვის გაჩენისთანავე წინააღმდეგობით არ განაგდებს მას *(ამბა სერენი)*.

✻მზაკვარი აზრები სხვა აზრებით განაგდე *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✻ზრახვა ცოდვილი ქმედების სიტკბოებას წარმოგიდგენს, შენ კი იფიქრე ღვთის მცნებებზე, რომლებიც ასეთ საქციელს გიკრძალავს, – იმ სამწუხარო შედეგებზე, სადამდეც მიჰყავს ცოდვით ხანმოკლე ტკბობას, – და ზრახვაც განგეშორება.

✻ხშირად მიმართე გონება ლოცვისაკენ და გულთან მოსულ ზრახვებს განდევნი *(ამბა ფალასი)*.

ზრახვებით მოწევნული განსაცდელის ჟამს მტკიცედ და ოხვრით ილოცე: – „უფალო, შემიწყალე!“, – „უფალო, ნუ დამტოვებ“, „ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოხედენ; უფალო, შეწევნად ჩემდა ისწრაფე“ (ფს. 69, 1). და ამის მსგავსად და ზრახვები ვერ დაგჯაბნიან.

საკუთარ სხეულს მეტისმეტად ნუ გამოკვებავ და შენში ცუდი ზრახვები შესუსტდებიან *(ამბა ევაგრე)*.

როგორც ძლიერი წამლები კურნავენ მძიმე ავადმყოფობებს, ასევე მარხვა და ლოცვა განდევნის ავ ზრახვებს.

მოსეს მიერ უდაბნოში აღმართული სპილენძის გველის ყურება, რომელსაც ქრისტეს ჯვრის ძალა ჰქონდა, სწარაფად კურნავდა შხამიანი გველით დაგესლილებს; ასევე სინანულის, რწმენისა და ჯვარცმული იესოს ლოცვა სწრაფად კურნავს ვნებიანი აზრების შხამიანი შთაბეჭდილებებით დასნებოვნებულ სულს.

როგორც ბნელი ხვრელიდან სინათლეზე ამომძვრალი გველი ცდილობს გაქცევასა და მიმალვას, ასევე გულახდილი აღსარებით გამჟღავნებული ბოროტი ზრახვები ადამიანისაგან გაქცევას ცდილობენ *(ამბა მოსე)*.

ვნებები

ადამიანს ვნებებისაგან სრულად განთავისუფლება არ ძალუძს. შეიძლება, ისინი ნებისყოფას დაუმორჩილო, მაგრამ შეუძლებელია, რომ საერთოდ არ გქონდეს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ვნებები წმიდანებსაც აქვთ; მაგრამ ისინი მათ აცხრობენ *(ამბა აბრაამი)*.

ის კი არ არის საშიში, რომ ვნებები გვებრძვიან და ჩვენც ვებრძვით მათ; უბედურება ისაა, თუ სიზარმაცით ან დაუდე-

ვრობით დავემხობით მოწინააღმდეგის წინაშე *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✦ეცადე, ყოველთვის შენ გაიმარჯვო ვნებებზე, ვიდრე – მათ დაგამარცხონ.

✦გულმა ჭეშმარიტი მშვიდობა მხოლოდ ვნებებთან წინააღმდეგობით შეიძლება, დაიმკვიდროს და არა – მათი მსახურებით.

✦თუ ავისმდომს შეიწყნარებ, მტერი გეყოლება; და თუ ვნებას შეიწყნარებ, იგი შენს წინააღმდეგ ამხედრდება *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✦შენ გამოგცდის ბოროტი სული – სხეულის ბიწიერი მძლავრი მოთხოვნილების აღძვრით, წარმოიდგინე უმანკო სახე ქრისტესი და გადასწყვიტე: შებილწავ ამ უმანკოებას შენი მოთხოვნილების დაკმაყოფილებით თუ არა? შენ გულფიცხელობ და ვერ აგიტანია მეზობლისაგან გალანძღვა, შეხედე მაცხოვრის მშვიდობიან სახეს და მოიგონე, რაგვარ საქციელს გავალებს იგი ამისთანა შემთხვევაში? შენ ხარ პატრონი დიდი სიმდიდრისა, გაიხსენე მაცხო-

ვარი – მომცემი ამ სიკეთისა და მოძღვრება მისი, – სად უნდა ინახავდე სიმდიდრეს. შენ გიჭირავს საზოგადოებაში საპატიო ალაგი და წარჩინებული ხარისხი, მიხედე მაცხოვრის ხატს და წარმოიდგინე, – რისთვის აღგამაღლა და პატივ-გყო მან. შენ შეუპყრიხარ სიზარმაცეს, გარჯის ოფლის ღვრისა და მომჭირნეობის სიძულვილს, აბა თვალი გაუსწორე მაცხოვრის სახეს! შენ გემძიმება შენი ობლობა, მაგრამ აბა შეხედე იმის სახეს, რომელსაც დედად და ნათესავად მიაჩნია ღვთის სიტყვის ალმსარებელნი *(ეჰ. ლეონიდე ოქროპირიძე)*.

მოჩვენებითი კმაყოფილება, რომელსაც ჩვენ ვნებები გვანიჭებენ, სხვა არაფერია, თუ არა ცრუ საკვები, რომელიც უფრო მეტ შიმშილსა და უძლიერეს წყურვილს აღაგზნებს ჩვენს სულში და ვერასოდეს აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს. როგორც მოგზაური, მოტყუებული მოჩვენებებით, რომლებიც ხშირად ჩნდებიან აღმოსავლე-

თის უდაბნოში, ხედავს წინ ამწვანებულ ბორცვებსა და მბრწყინავ წყაროებს, მიახლოებისთანავე უნაყოფო და უწყლო ველებად რომ გადაიქცევიან, ასევე ყოველი ცოდვილი თავისი სურვილების გზაზე თითქოსდა ხედავს სიამოვნებათა და ნეტარებათა მომხიბლავ სურათებს; მაგრამ ეს მოჩვენება ქრება იმის შესაბამისად, რამდენადაც ცოდვილი მას უახლოვდება, და ამაოდ ხარჯავს ძალებს, როდესაც მისდევს თვალწარმტაც ხილვას იქამდე, ვიდრე ბოლოს არ გაქრება და საბრალო ცოდვილს – მოტყუებული იმედებისაგან ძალაგამოცლილს არ დატოვებს მტანჯველ წყურვილში, რომელიც სულ უფრო ძლიერდება, აშრობს და ღრღნის მის გულს.

ვნებები ცეცხლოვან მთას ჰგავს, რომელიც თავის გარშემო სულ მალე სიცარიელესა და საშინელებას ტოვებს.

არავინ გვაყენებს იმდენ ტკივილს, რამდენსაც სულში მყოფი ვნებები. ყველა სხვა

უბედურება გარეგნულად მოქმედებს, ესენი კი შიგნით იბადებიან; სწორედ მისგან იშვება განსაკუთრებულად დიდი ტანჯვა. მთელმა სამყარომაც რომ გაგანაწყენოს, ჩვენ თუ არ გავანაწყენეთ საკუთარი თავი (რომელიმე ვნებისადმი მორჩილებით), ჩვენთვის სიმძიმე არ იარსებებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ქარიშხალში ჩირაღდანი ქრება; ასევე ვნებების ქარიშხლისაგან გონება იბინდება.

ვნება ხშირად ბუნებრივსაც შერყვნის: ბუნებრივშიც არაბუნებრივს ხედავს, არაბუნებრივს ამართლებს, როგორც – ბუნებრივს.

ვიდრე ხორცი ვნებებისთვის მუშაობს, მანამდე სული ღმერთს არ იცნობს.

ვიდრე საკუთარ თავში ამა თუ იმ ვნებას ვკვებავთ, ნეტარი ცხოვრებისათვის არ ვმწიფდებით.

ღვთის მონად არ ითვლება ის, ვინც ვნებებს ემსახურება: იგი იმის მონაა, ვინც მას ფლობს *(ამბა ისაია)*.

ვნებათა დამღუპველი შედეგებისაგან ისე არაფერი გვიცავს, როგორც მტკიცე გადაწყვეტილება იმისა, რომ განვიშორებთ ცოდვისაკენ წამქეზებელს, თუნდაც იგი ჩვენი გულისთვის ახლობელი და საყვარელი იყოს.

მტკივნეულია ვნებისთან განშორება, მაგრამ იმაზე მეტად არა, ვიდრე – მარადიული ტანჯვა.

ვნება ძალლს ჰგავს. ძალლი მოგვდევს და მიგვერეკება, როდესაც მისგან გავრბივართ, ხოლო როდესაც ვდგევართ და ვაგდებთ, იგი გაგვირბის; ასევე ცოდვაც მისდევს მას, ვინც დაემონება და ემორჩილება, და უთმობს იმას, ვინც ეწინააღმდეგება *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ვნებებით გატაცებული მისი მონა ხდება *(აბბა ნესტორი)*.

ვინც ერთ ვნებას წააქეზებს, რათა მისი საშუალებით სხვები დაასუსტოს, იგი ყველა ვნებას უხსნის კარს.

ვნებები ერთმანეთს ჯაჭვის რგოლებივით მოსდევენ *(ამბა ისაია)*.

თუ სული თუნდაც ერთ ცოდვას აქცევს ჩვევად, მაშინ მტერი მოულოდნელად დაესხმის თავს, რადგან თავისი ვნების გამო მის ხელში აგდებს თავს *(ამბა დოროთე)*.

ვისაც ვნებები სძულს, იგი მათ მიზეზებს განაგდებს; ხოლო ვინც მათ წარმომშობ მიზეზებთან მყოფობს, იგი უნებურად დაძლეულია ვნებებისაგან *(წმიდა მარკოზ მოსაგრე)*.

ძმამ ჰკითხა ამბა სისოს: რატომ არ განმეშორებიან ვნებები? ბერმა მიუგო: „იმიტომ, რომ მათი წინდი შენთანაა; დააბრუნე ისინი და და ვნებებიც განგეშორებიან“ (ვნებების წინდი არის მათი გამომწვევი მიზეზი. მრუშობის ვნების გამომწვევი მიზეზი არის ხორცის ფუფუნება, მოყვასის განკითხვა; ვინც ხორცის ფუფუნებასა და მოყვასის განკითხვას შეწყვეტს, იგი მოიპოვებს ძალას – დათრგუნოს მრუშობის ვნებაც).

✻ხორცი ყოველგვარი ვნების თავშესაფარია; როგორც კასიანე გვასწავლის და როგორც შეიძლება, ამის შემოწმება გამოცდილების მიხედვით: ამიტომაც მისი შეცოდება ვნებების დაძლევას ნიშნავს.

✻ვინც დასაწყისიდანვე ეწინააღმდეგებს ვნებებს, იგი მალე გაიმარჯვებს მათზე *(წმიდა ისააკ ასური)*.

✻ყოველგვარი ვნება ადვილად დაიძლევა მისი პირველივე გამოვლინებისთანავე, ვიდრე მაშინ, როდესაც ის გაძლიერდება, ჩვევად იქცევა და მეორე ბუნებასავით დაგეუფლება.

✻დროულად დათრგუნე შენში დაწყებული ყოველგვარი ვნება და ნუ მისცემ გაძლიერების საშუალებას; როდესაც ეკალი პატარაა, მისი ამოგლეჯა ადვილია, ხოლო როდესაც გაიზრდება და ფესვებს ღრმად გაიდგამს, მაშინ ძნელი ხდება მასთან გამკლავება.

✠იჩქარეთ, გულის სიღრმიდან ამოძირკვოთ ოდნავ ამოსული სარეველა, რათა ისინი არ გაიზარდონ და არ მოაშთონ ხორბალი. იჩქარეთ, მოსპოთ გველის კვერცხი, ვიდრე დაიბადებოდეს შხამიანი და მომაკვდინებელი გველი. იჩქარეთ, ამოძირკვოთ შინაგანი სამსხვერპლოდან ვნებიანი აზრისა და ხორციელი სურვილის კერპი, ვიდრე იგი მომაკვდინებელ მსხვერპლს მოითხოვდეს.

✠ამპარტავნების აზრი მანამდე დაამდაბლე, ვიდრე სიამაყე (ვნებაში გადაზრდილი) დაგამდაბლებდეს. გაანაგდურე იგი მანამდე, ვიდრე თვითონ გაგანადურებდეს. დათრგუნე ხორცი მანამდე, ვიდრე ვნება დაგთრგუნევდეს *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✠იმის იმედზე ყოფნა, რომ ვნებების სიმხურვალე წლების განმავლობაში ჩაცხრება, ნიშნავს, რომ ძალიან ცუდად იცნობ ვნებების ბუნებას. შესაძლოა, ისინი წამიერად დააკმაყოფილო, მაგრამ სრულიად

– შეუძლებელი. მათი შხამიანი ფიალა წყურვილის მოკვლის ნაცვლად უფრო მეტად აღაგზნებს ამ სურვილს. მათი დაკმაყოფილება მხოლოდ მათ გაძლიერებას ემსახურება. რაც მეტად ასიამოვნებ მათ, მით უფრო დაუინებულნი ხდებიან ისინი. ამრიგად, წლების სიგრძე იმის ნაცვლად, რომ ვნებები მოაკვდინოს, უფრო აღანთებს მათ; იმის ნაცვლად, რომ შეამსუბუქოს მათი უღელი, კიდევ უფრო ამძიმებს მას.

✗ვიდრე სხეულში ხარ, ნუ იქნები უდარდელი და ნუ ენდობი საკუთარ თავს, თუნდაც ხანდახან თავს ვნებებისაგან გათავისუფლებულად გრძნობდე *(ამბა ისაია)*.

✗ნურასოდეს ენდობი საკუთარ თავს, თუნდაც ვნებების დროებით მიჩუმებას გრძნობდე, რადგან ვნებები და დემონები ხშირად მზაკვრულად იმალებიან და იკვლევენ – ხომ არ გაამპარტავნდება ადამიანი თავის გულში, როცა ჰგონია, რომ უკვე თავისუფალია მათგან; შემდეგ მოულოდნელად

დაეცემიან საბრალო სულს და ჩიტივით წარიტაცებენ მას; და თუ დაეუფლებიან, დასცემენ მას ყოველგვარი ცოდვით ადრინდელზე უფრო უმოწყალოდ და ბოროტად

ადამიანის გულში არის ცოდვის ეკლებით ამოზრდილი ყანა; მისი დამუშავებისას ქრისტიანს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ვნებების ფესვი სრულად მასში სიკვდილამდე არ ამოიფხვრება და ჩვენი მხრიდან დაბნეულობასა და გაუფრთხილებლობას შეუძლია, გამოიღოს ყლორტები, რომლებიც დაუბრკოლებლად დაახშობენ კეთილ თესლს, გაჭირვებით დათესილსა და გახარებულს. ხშირად ჩვენი სნეობრივი მიძინებისა და დაუდევრობის ერთი წუთი საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენს გულში დამკვიდრდეს ბოროტება, რომლის ამოსაძიკვადაც ცხოვრების მთელი წლებია საჭირო?

ვიდრე სულ პატარა ცოდვას მაინც ემორჩილები, მანამდე საკუთარ თავს ვნებებისაგან თავისუფლად ნუ ჩათვლი *(ამბა ისაია)*.

✦უშფოთველობა მან კი არ მოიხვეჭა, ვინც ზოგჯერ ცოდვებს აუჯანყდება, ზოგჯერ კი მშვიდი და წყნარია, არამედ მან, ვინც განუწყვეტლივ აუღელვებელია; შეურყეველი რჩება, როდესაც ვნებების აღმძვრელი მიზეზი ცოცხალია, უპირატესად ის, ვისაც ორივე მათგანზე ფიქრისა ეშინია *(ამბა თეოგნოსტე)*.

✦სრული უშფოთველობა მას აქვს, ვისაც არ გააჩნია ვნება – არც საგნების მიმართ და არც – მასზე მოგონებები *(ამბა ფალასი)*.

✦ვინც მხოლოდ ხორციელი შერყვნისაგანაა თავისუფალი, ნუ ჩათვლის თავს სრულიად წმიდად. არსებობს სულის შერყვნილობა, ისევე, – როგორც ხორცისა. მრუშობა უწმიდურობაა, და ასევე – სიძუნწეც; ლოთობა უწმინდურებაა, მაგრამ ასევე – ამპარტავნებაც, შურიც, მრისხანებაც. ერთი ადამიანს უწმიდურ ცხოველს მიამსგავსებს, მეორე კი – არაწმიდა სულს – ეშმაკს.

ზოგიერთი ვნება ხორცისთვისაა დამახასიათებელი, სხვა კი — სულისათვის. ერთისაგან თავდაცული და მეორის მიმართ დაუდევარი იმის მსგავსად იქცევა, ვინც თავისი ვენახი მაღალი ღობით შემოღობა მხეცებისაგან დასაცავად და ამასთან ერთად იგი მტაცებელი ფრინველებისათვის სრულიად დაუცველი დატოვა *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ზღვა ქარისაგან ღელავს, გული კი — ვნებებისაგან: ზღვის ტალღების დაწყნარება მხოლოდ ღმერთს ძალუძს, გულის ტალღებისა კი — უფლის ყოვლისშემძლე მადლს, თუ თვითონ გული არ გაუწევს წინააღმდეგობას მის მოქმედებას.

როგორც კი იგრძნობთ, რომ თქვენი მაცდუნებელი განსაცდელი შემოგეპარათ, მეყსეულად აიღეთ მაგალითი პატარა ბავშვებისაგან: მტაცებელი ცხოველის დანახვაზე შიშისაგან სწრაფად გარბიან ისინი მამის ან დედის მკლავებისაკენ, ან, უკი-

დურეს შემთხვევაში, მათ საშველად უხმობენ. ყოველგვარი განსაცდელის ან საფრთხის დროს თქვენც სასწარაფოდ გაეშურეთ უზენაესისაკენ, ევედრეთ მას შეწევნა და შემწეობა.

ძველ აღთქმაში სპილენძის გველზე შეხედვა გველის ნაკბენს კურნავდა. ახალ აღთქმაში ქრისტე ჯვრისა და მაცხოვრის მოთმინების გონებისმიერ წარმოსახვას ძლიერი შწევნა ძალუძს ზნეობრივი გველის – ვნებების მიერ მიყენებული წყლულების მოსაშუშებლად.

მრისხანება

არ არსებობს იმაზე დიდი გამარჯვება, ვიდრე – საკუთარი მრისხანებისა და გულისწყრომის დაძლევაა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

სამეფოზე გამარჯვება უფრო ადვილია, ვიდრე – საკუთარ მრისხანებაზე. გმირები, რომლებიც გამარჯვებულად აქცევენ მეფეებს, საკუთარი მრისხანების მონები ხდებოდნენ. ამიტომ წმიდა წერილი ხალხზე გამარჯვებულთან შედარებით საკუთარ მრისხანებაზე გამარჯვებულს ანიჭებს უპირატესობას. „სულგრძელი კაცი მამაცს სჯობს, საკუთარი თავის ხელმწიფე კი – ქალაქის ამღებს“. – ბრძანებს სოლომონი (იგავნ. 16, 32).

მრისხანების ვნების დასამარცხებლად ხშირად უნდა ვიფიქროთ იმ დამღუპველ შედეგებზე, რაც ამ ვნებას ჩვენთვის მოაქვს.

ადამიანში გაღიზიანება თხრილივითაა. ვინც საკუთარ თავში დაძლია იგი, მან ეს თხრილი გადალახა *(წმიდა ეფრემ სური)*.

განრისხებულ და გაბრაზებულ მდგომარეობაში ყოფნა სხვა არაფერია, თუ არა – საკუთარი თავის დასჯა სხვისი ცოდვებისა და სისულელეების გამო.

მრისხანების ჟამს საკუთარი თავის ჯალათი ხდებით, საკუთარ თავს ტანჯავთ. განრისხებულ ადამიანზე საბრალო არაფერია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

განრისხებულის აზრები ტოლფასია მათი ქმნისა, რომელიც მის დამბადებელ გულს ნთქავს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

მრისხანება ყველასთვის სახიფათო მრჩეველია; მრისხანებაში მიღებული გადაწყვეტილება არასოდეს არაა გონივრული *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

ხშირად ეშმაკობა მრისხანებას აღძრავს ერთადერთი მიზნით – რათა საიდუმლო ათქმევინოს, ანდა დაქანცული ხელში ჩაიგდოს.

მოყვასის მიმართ მრისხანებით აღვსილი ყოველთვის უმეტესად საკუთარ თავს აზიანებს, ვიდრე – მის მიმართ მიყენებულ წყენას ითმენს. ამიტომ ჭეშმარიტად გონიერი ადამიანები უმეტესწილად მოთმინებით იტანენ მათ მიერ მიყენებულ უსიამ-

ოვნებებს. „ფიცხი კაცი სიბრიყვეს ჩადის, ავისმზრახველი კი საძულველია“ (იგავნ. 14, 17).

✻მრისხანება და შურისძიება სუსტი სულის ვნებაა; ამიტომ ქალები მამაკაცებზე უფრო მრისხანენი და შურისმაძიებელნი არიან.

✻ბოროტება გონების ნაკლულევანებაა.

✻მრისხანება უგუნურების დასაწყისია.

✻მრისხანება და ჯიუტობა უგუნურთა ძალაა.

✻რასაც ქარიშხალი აკეთებს ჰაერში, იგივეს იქმს მრისხანება გონებაში. ქარიშხალი ჰაერს აღელვებს, მრისხანება კი — გონებას. ქარიშხალი ხშირად ამუქებს ჰაერს, მრისხანება კი, არცთუ იშვიათად, გონებას აბნელებს. ამისაგან ყველაზე ნიჭიერი, გონიერი ადამიანები მრისხანების წუთებში ხშირად ცდებოდნენ და ისე მსჯელობდნენ, რომ შემდეგ რცხვენოდათ.

გაღიზიანება სულის თრობაა: იგი ისევე აკარგვინებს მას გონებას, როგორც – ღვინო. წარმოიდგინე განრისხებული ადამიანი. იგი საკუთარი თავის პატრონი აღარაა: ვერ ცნობს საკუთარ თავს, გარშემომყოფებს, ყველას თავს ესხმის, ამბობს ყველაფერს, რაც გონებაში აზრად მოუვა; იგი თავშეუკავებელია, ილანძღება, ამტვრევს, იმუქრება, იფიცება, ყვირის *(წმიდა ბასილი დიდი)*.

ვინც მრისხანებას მიეცემა, იგი საკუთარი თავისაგან ქმნის სხვებისათვის ფრიად არასასიამოვნო სანახაობას. შეხედეთ მრისხანე ადამიანს; მისი სისხლი დუღს, თვალები უელავს და ანათებს – რაღაც დამანგრეველი ცეცხლით; ხმის ბგერები არაბუნებრივი აქვს, მეტყველება უწყდება, მთელი სახე თითქოს მობრეცილი აქვს. სწორად ბრძანა ბრძენმა: მრისხანე კაცი უგუნურია (იგავნ. 11, 25).

მრისხანება ფირნიშია, რომელიც ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ თვითონ

წარმოაჩენს საკუთარ თავს *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

პლატონ ათონელი ყველა განრისხებულ და ფიცხ ადამიანს ურჩევდა, სარკეში ჩაეხედა, რათა მრისხანების ჟამს საკუთარი უსახურება დაენახა.

განრისხებულ ადამიანს რომ შეეძლოს, საკუთარი თავის ამ მდგომარეობაში ნახვა, მას უკვე არანაირი ქადაგება აღარ დასჭირდებოდა, რამეთუ არაფერია უფრო უსიამოვნო, ვიდრე – გაღიზიანებული ადამიანი სახე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

მშვიდი ზღვა სასიამოვნო სანახავია, მაგრამ კიდევ უფრო სასიამოვნოა სულის მშვიდი მდგომარეობა *(წმიდა ნილოს სინელი)*.

სადაც მშვიდობაა, იქვეა სიმშვიდის ღმერთი.

სადაც გაბოროტება და მრისხანებაა, იქ თამდაბლობის სული არ დაივანებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

მრისხანებ შენს მოყვასზე და თვითონაც ღვთის წინაშე მრისხანებაში ხარ.

მრისხანე ადამიანი, მკვდარიც რომ ალადგინოს, ღვთისთვის სათნო არ იქნება *(ამბა აგაფონი)*.

ცეცხლის საზრდო შეშაა, გაღიზიანებისა კი — ამპარტავნება *(წმიდა ეფრემ ასური)*.

შეუძლებელია, ვინმე განურისხდეს მოყვასს, თუ მისი გული თავდაპირველად არ გაამპარტავნდება, თუ არ დაამცირებს მას და თავს მასზე აღმატებულად არ ჩათვლის *(ამბა დოროთე)*.

მას, ვისაც კარგად ახსოვს საკუთარი უძლურებანი და ცოდვები, ვინც თავს სხვებზე დაბლა აყენებს, არ სცალია იმისათვის, რომ სხვაზე მრისხანებდეს.

საკუთარ თავში ორი აზრი დათრგუნე: ნუ მიიჩნევ საკუთარ თავს დიდად და ნუ იფიქრებ, რომ სხვა ადამიანი შენზე ბევრად ნაკლები ღირსებისაა. ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის მოყენებული შეურაცხყოფა არასოდეს გაგვაღიზიანებს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✠ვინც საკუთარ თავს არ აყვედრის, მას მრისხანება სძლევს.

✠საკუთარი თავის გარდა ნურავისზე გაბრაზდები და განრისხდები.

✠ძალიან ნუ განურისხდები მას, ვინც გაწყენინა, არამედ საკუთარ ცოდვაზე აღშფოთდი, რომელიც შენს გულს აღაგზნებს განმარისხებლის წინააღმდეგ *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

✠მრისხანება ყველაზე მეტად ჩვენში მაშინ მყლავნდება ხოლმე, როდესაც მოყვასისაგან გვესმის ჩვენი საწინააღმდეგო, მამხილებელი ანდა – ავი სიტყვა. ჭეშმარიტ ქრისტიანს ეს ყველაფერი არ აღიზიანებს ისევე, როგორც ვინმესაგან მოსმენილი ქებაც არ აამაყებს მას.

✠ღვთისმოყვარე მკითხველი ყოველთვის ღებულობს სარგებელს. თუ მას კეთილი საქმეებისათვის აქებენ, მათ მიმართ კიდევ უფრო მოშურნე ხდება; ხოლო თუ ავ საქმეებში ამხელენ, სინანულისაკენ იდრიკება *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

გვიყვარდეს მხილება. თუ ის არ დავიმსახურეთ, მით უფრო მშვიდად შეგვიძლია მისი მოსმენა, დაგვეხმარება, რომ შემდგომში ის არ დავიმსახუროთ; ხოლო თუ საუბედუროდ, დავიმსახურეთ, მაშინ გამოსწორებაში დაგვეხმარება.

სწავლება და მხილება სხვებისაგან მრისხანებით კი არა, სიყვარულით მიიღე, თუნდაც ძალიან ჭკვიანი იყო. ყოვლადბრძენი უფლის სიტყვით, ეს სიბრძნის ერთერთი გამოხატულებაა (სიბრძ. 9, 8).

იყავი ბრძენი და მათი ბაგეები, ვინც შენზე ცუდს ამბობენ, მდუმარებით დააცხრე და არა – მრისხანებითა და ლანძღვით *(წმიდა ანტონი დიდი)*.

ვისაც სწყინს, როდესაც მასზე ცუდს ამბობენ, ამით მასზე თქმულის სამართლიანობას ამტკიცებს; ხოლო ვინც იცინის, თავისზე ყოველგვარ ეჭვებს აქარწყლებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

როდესაც შენზე ცუდს ამბობენ, კარგად დააკვირდი, ხომ არ ჩაიდინე რაიმე

ბოროტება. თუ არ გაგიკეთებია, მაშინ ეს ავსიტყვაობა ჩათავალე კვამლად, რომელიც გაიფანტება *(წმიდა ნილოს სინელი)*.

გიხაროდეს, როდესაც შეურაცხგყოფენ (მრისხანებისა და მწუხარების ნაცვლად), რადგან თუ ეს უსამართლოა, დიდ ჯილდოს მიიღებ, ხოლო თუ სამართლიანია, რაც უფრო სწრაფად მოხვალ გონს, თავს მით უფრო ადვილად დააღწევ სასჯელს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

თუ ვინმე რაიმე ცოდვას დაგაყვედრებს, რაც არ ჩაგიდენია, თავი დაიმდაბლე მაყვედრებელის წინაშე და უხრწნელ გვირგვინს მიიღებ *(წმიდა ანტონი დიდი)*.

მაშინ კი არ უნდა ვმწუხარებდეთ, როდესაც საკუთარ თავზე რაიმე ავ ამბავს გავიგებთ, არამედ მაშინ, როდესაც ეს სამართლიანია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ნუ აღშფოთდები და ნუ განრისხდები შენს მოყვასზე, თუ მისგან შენზე რაიმე ყვედრებას გაიგებ. დაფიქრდი, სამართლიანი

ხომ არ არის იგი? თუ უსამართლოა, მაშ, ისარს შენს მიღმა ჩაუქროლია; რატომ უნდა იყო ავად, თუ არ დაჭრილხარ? თუ ეს სამართლიანია, მაშინ ნუ იწუწუნებ მყვედრებელზე, როგორც მტერზე, რომელიც ჭრილობას გაყენებს, არამედ მადლიერი იყავი მისი, როგორც ექიმის, რომელიც გიხსნის ჭრილობას და მის მოშუშებას ცდილობს. ნუ გაღიზიანდები, თუ მისგან საქმით მოყენებული წყენაც მიიღე. დაფიქრდი, რა უმჯობესია, სხვამ გაწყენინოს, თუ შენ აწყენინო? უეჭველია, უმჯობესია, უდანაშაულო იყო, ვიდრე — დამნაშავე. იფიქრე იმაზეც, რა სჯობს — გაღიზიანება თუ — დათმენა? გაღიზიანებამ უეცრად დამნაშავეც შეიძლება გაგხადოს და — უწინდელზე მეტად უბედურიც; და პირიქით, მოთმინებითა და სიმშვიდის შენარჩუნებით შესაძლოა, მწუხარებებიც შემცირდეს.

მოკრძალებასა და მოთმინებას მეტი ძალა აქვს, ვიდრე მრისხანებასა და წი-

ნააღმდეგობას; რბილი შალი ყველაზე მტკიცე ციხესიმაგრეზე მეტად ასუსტებს ზარბაზნის ყუმბარის ძალას.

✗მრისხანება მრისხანებით არ განიკურნება.

✗ცეცხლს ცეცხლით ვერ ჩააქრობ, არამედ – წყლით; მრისხანებასაც მრისხანებით კი ვერ დათრგუნავ, არამედ – თავმდაბლობითა და დიდი მოთმინებით.

✗როდესაც შეურაცხმყოფელ ანდა დამამცირებელ სიტყვას მოისმენ, ფრთხილად იყავი, რომ არ განრისხდე, რათა „გულის წყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისაი არა ქმნის“ (იაკ. 1, 20). უმჯობესია, საკუთარ თავს უთხრა: აი, შემთხვევა, რომელმაც მოთმინება და თავმდაბლობა უნდა მასწავლოს – და მას, ვინც გაწყენინა და დაგამცირა, ან მდუმარებით უპასუხე, ანდა, თუ აუცილებელია – მოკრძალებული მართალი სიტყვით.

✗მკაცრი სიტყვა კარგსაც სულკლად გახდის, მოკრძალებულ ნათქვამს კი ყველასთვის სარგებლობა მოაქვს *(ძველი პატერიკი)*.

❦უმჯობესია, ღიმილით დაჯაბნო გაღიზიანება, ვიდრე დაუცხრომლად მძვინვარებდე *(წმიდა ეფრემ ასური)*.

❦ყვედრების მდუმარებით მოსმენით ქრისტეს მიმბაძველი ხდები.

❦მრისხანება ადამიანის ბუნებაა, ხოლო მისი მოთოკვა — ქრისტიანისა *(ნეტარი იერონიმე)*.

❦გახსოვდეს დავით მეფსალმუნის სიტყვები: „განრისხდებოდეთ და ნუ სცოდავთ“ (ფს. 4, 5), ე. ი. თუ მრისხანებისაგან თავის შეკავება არ შეგვიძლია, იმიტომ, რომ ჩვენი სულის მოძრაობა დამოკიდებულია ბუნებაზე და არა — ჩვენს თავისუფლებაზე; უკიდურეს შემთხვევაში, სალანძღავი სიტყვების წარმოთქმა არ შეიძლება, ეს მაინც სრულიად ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული. ნაპირებიდან გადმოღვრილი მდინარის წყალი შავი და ჭუჭყიანი ხდება; ასევე სიტყვებში გამოხატული მრისხანების გრძნობა აჭუჭყიანებს მოსაუბრის სულს, შეურაცხყოფს მსმენელს და ორივეს ცოდვაში აგდებს *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*.

ნუ მისცემ საშუალებას მრისხანებას, შენს ხორხამდე მიაღწიოს.

ვინც მრისხანების ჟამს ენას არ დაიოკებს, ის ვერც ვნებებს დაიმორჩილებს.

ალშფოთებით ნურაფერს იტყვი, რადგან ბოროტება სიკეთეს ვერ შობს; არამედ დაითმინე, ვიდრე შენი აზრები დამშვიდდება და შემდეგ წყნარად თქვი.

როგორც მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში სწრაფად ქრება ცეცხლი, ასევე მდუმარებით დაბეჭდულ სულში, სწრაფად წყნარდება გულისწყრომა.

როდესაც საკუთარ თავში მრისხანების ძლიერ შემოტევას იგრძნობ, შეეცადე, დადუმდე. ხოლო იმისათვის, რომ თვით მდუმარებამ მეტი სარგებელი მოგიტანოს, ფიქრით ღმერთს მიმართე და ამ დროს შენთვის იკითხე რაიმე მოკლე ლოცვა, მაგალითად, იესოს ლოცვა ანდა რაიმე სხვა.

ერთმა წარმართმა ფილოსოფოსმა თქვა: „როდესაც იგრძნობ, რომ გაღიზიანებული

ხარ, ნურაფერს იტყვი და მაშინვე ნურაფერს გააკეთებ, არამედ დადუმდი და ანბანის ყველა ასო წაიკითხე“. წარმართმა ანბანზე უკეთესი ვერაფერი იპოვნა სულის დასამშვიდებლად; ჩვენ კი, ქრისტიანებმა, ვიცით საუკეთესო სიტყვები, რომელიც შეიძლება, მისცე გულსა და გონებას, რათა მღელვარება დაიოკო.

იმისათვის, რათა მრისხანებაზე სიყვარულმა გაიმარჯვოს, მრისხანების ჟამს მოყვასისათვის ილოცე; გულის სიღრმიდან ამოთქვი: „უფალო! შეუნდე ცოდვა მას, ვინც მაწყენინა, ჩემსავით ისიც ადამიანია“. დამერწმუნე, ლოცვა შენს სულს სიმშვიდეს მიანიჭებს.

მხეცისათვის არაბუნებრივია ლმობიერება, ადამიანისათვის კი — სისასტიკე.

ლომებსაც ათვინიერებენ და იმორჩილებენ, ადამიანი კი ზოგჯერ თავის მრისხანებას ნებას აძლევს, ლომზე მეტად დაუმორჩილებელი იყოს!

არა გამართლებას მოუნახავთ საკუთარ თავს სინდისის სამსჯავროს წინაშე, როდესაც ლომი შესაძლოა, გარკვეული აზრით, ადამიანად აქციოთ, თვითონ კი ადამიანისაგან მოურჯულებელ ლომად გარდაიქმნებით? *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

თვით მხეცებთან მიმართებაშიც კი არ უნდა იყოთ მხეცი.

სრულიად არავისზე და არასოდეს განაწყენება მხოლოდ ანგელოზებს ძალუძთ, ხოლო მცირედ აღშფოთება და შემდეგ სწრაფად დამშვიდება ღვთის მოსიყვარულე ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი *(სულიერი მარგალიტი).*

მოკრძალებულიც შეიძლება, გონივრულად განრისხდეს, მაგრამ ისე, რომ საკუთარ თავში მოკრძალებულობის სრულყოფილება არ დააზიანოს. შეუძვრელად დარჩენა ანდა საჭიროების შემთხვევაში აღშფოთების არგამოხატვა უსულო ბუნების ნიშანია და – არა მოკრძალებისა *(წმიდა ბასილი დიდი).*

„გული გიწყრებოდენ და ნუ სცოდავთ“. – ბრძანებს წმიდა წერილი (ეფეს. 4, 26), ანუ მრისხანებდეთ უკანონო საქმეზე, მაგრამ ისე, რომ სამართლიანობის საზღვრებს არ გადასცდეთ.

ალშფოთება გონიერებასთან უნდა იყოს შესავებული; რამეთუ დანას იყენებენ მკვლელებიც და ექიმებიც. მაგრამ ერთნი დანით მოქმედებენ მრისხანებითა და სისასტიკით და ყველაზე უფრო უგუნურ საქმეებს ჩადიან – თავისავე მსგავსებს კლავენ; მეორენი კი, გონივრულად და დაფიქრებით იწყებენ დანით მოქმედებას და მისგან უდიდეს სარგებელს პოულობენ, რადგან საფრთხეში მყოფთა სიცოცხლეს იხსნიან. ასევე მას, ვისაც გონივრულად ალშფოთება შეუძლია, უდიდესი სარგებელი მოაქვს იმისათვის, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული ეს ალშფოთება – გამოასწორებენ მათ სიხარმაცეს ან მზაკვრობას, ხოლო მრისხანების ვნებით შეპყრობილი

კი ჯანსაღს არაფერს ჩადის *(წმიდა ბასილი დიდი)*.

თუ შენ ვინმეს მრისხანებით გამოუტანე განაჩენი, ამით შენს ვნებას აკმაყოფილებ; ამრიგად, სხვის გადასარჩენად საკუთარ თავს ნუ დალუპავ *(წმიდა მაკარი დიდი)*.

ნუ შეიწყნარებ მათ, ვინც ზომაზე მეტად მოწყალეა, მაგრამ ბოროტთა დასჯაც თვით სიკეთისა და სამართლიანობისთვისაა საჭირო და არა – საკუთარი ვნებისათვის *(წმიდა ანტონი დიდი)*.

აყვედრი ვინმეს თუ – სჯი, შინაგანად გიყვარდეს იგი.

ძნელია მრისხანების დაოკება; განსაკუთრებით თქვენთვის, ძალაუფლებით აღჭურვილთათვის, დიდი ღვაწლია საჭირო. თქვენ უნდა განრისხდეთ კიდეც, სადაც საჭიროა, ე. ი. არ დაუშვათ გულის სიღრმეში განმხრწნელი ქმედებები. ამ შემთხვევაში უნდა მიემსგავსოთ ხღვას, რომლის ზედაპირი ქარიშხლის დროს მრისხანე და საშინელია, მაგრამ სიღრმე წყნარი და უმოძრაოა.

ჯარავის ძალუძს მრისხანების ჟამს მოყვასს იმდენი ბოროტება მიაყენოს, რამდენიც – წინამძღოლს. ამიტომ მას ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეს საკუთარ თავში მრისხანების დაშვებისა, მრისხანების ჟამს კი – რაიმეს თქმის ანდა გაკეთებისა. შესანიშნავად უთხრა ვიღაცამ ძველ დროში დამნაშავეს: „დაგსჯიდი, განრისხებული რომ არ ვიყო“.

პატივმოყვარეობა და თავის ქება

რა შეიძლება იყოს უფრო ბრმა პატივმოყვარეობაზე, რომელიც უმეტესად ბრმავდება, რაც მეტად ემსახურებიან? ასეთი თვისება მხეცებსაც კი არ აქვთ, პირიქით, როდესაც უვლიან, ისინი უფრო რბილნი არიან. პატივმოყვარეობა კი სრულიად სხვაგვარად იქცევა ხაძაგელი შშვენიერე-

ბად წარმოდგება და თავისი თაყვანისმცემლების წინააღმდეგაა მიმართული *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

დავთანხმდები, მრავალი ბარბაროსის მონა ვიყო, ვიდრე მხოლოდ პატივმოყვარეობისა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

პატივმოყვარეობა პატივცემულებს აამაყებს, დამცირებულებს კი – ავმეხსიერებად აქცევს *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

რასაც ჩრჩილი ვერ შეჭამს და ქურდი ვერ მოიპარავს, იმას პატივმოყვარეობა მიიტაცებს.

პატივმოყვარეობა კეთილი ადამიანური საქმეებსაც ამაოს ხდის.

როგორც ნაყოფი ნესტიან ადგილას მალე ფუჭდება, ასევე კვდება პატივმოყვარეობით აღსრულებული სათნოება *(სულიერი მარგალიტი)*.

პატივმოყვარის მიერ აღსრულებული სათნოება „შემუსვრილი მსხვერპლია“ (ლევ. 22, 22) და ღვთის სამსხვერპლოზე შეწირული არ იქნება *(წმიდა ნილოს სინელი)*.

პატივმოყვარის თავშეკავება იგივეა, რაც ღუმელში – ცეცხლი; ერთიც და მეორეც ჰაერში იფანტება *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ქარი ადამიანის კვალს შლის, პატივმოყვარეობა კი – მოწყალებისა *(წმიდა ნილოს სინელი)*.

სათნოების მოსაგრეობაში წარმატებულთათვის პატივმოყვარეობა და ამპარტავნება იგივეა, რაც სანაპიროსთან ახლოს მყოფი წყალქვეშა ქვები, რომლებიც ხანგრძლივი ცურვის შემდეგ უკიდურეს სასიკვდილო საფრთხეს უქმნიან მათ, ვინც გადაურჩნენ გემის ჩაძირვას მანკიერებათა ტალღებსა და არაწმიდა აზრთა ქარიშხალში.

პატივმოყვარეობა წყალქვეშა ქვაა; თუ მას წამოედები, ტვირთს დაღუპავ *(წმიდა ნილოს სინელი)*.

პატივმოყვარე სულთან კვლავ ბრუნდებიან ვნებები, რომლებიც მან ოდესღაც დაძლია და საკუთარი თავიდან განდევნა *(წმიდა ისააკ ასური)*.

როგორც ვენახს შემოხვეული სურო მოაშთობს მის ნაყოფს, ასევე პატივმოყვარეობა ანადგურებს მოსაგრის შრომას.

გახვრეტილ ტომარაში მისი შიგთავსი ვერ შეინახება; ასევე პატივმოყვარეობაც ნთქავს სათნოებათა სასყიდელს *(წმიდა ნილოს სწნელი)*.

პატივმოყვარე მოსაგრე უფასო მუშაკია; იგი შრომობს, მაგრამ სასყიდელს ვერ მიიღებს *(წმიდა ნილოს სწნელი)*.

დაიფარე შენი გული პატივმოყვარე ზრახვებისაგან ისევე, როგორც ქონებას იცავ ქურდებისაგან, ტანსაცმელს – ჩრჩილისაგან, ვენახს კი – მტაცებელი ცხოველებისა და ფრინველებისაგან.

პატივმოყვარეობა მაშინაც კი დამღუპველია, როდესაც იგი ჯერ კიდევ ადამიანის სულშია დაფარული – როგორც ლპობა და მატლი ნაყოფის შიგნით. იგი კიდევ უფრო მეტად დამღუპველია, როდესაც გამომჟღავნდება იმ ადამიანის თავის

ქებით, რომელიც ცნობილია თავისი კეთილი საქმეებით.

უკეთესია, არანაირი კეთილი საქმე არ აღასულო, ვიდრე მისი აღსრულებით უსაზღვროდ იქებდე თავს (წმიდა დიმიტრი როსტოველი).

რაიმე კეთილი საქმის აღმასრულებელი, როგორც მეუდაბნოე მამები ამბობენ, თავის სულიერ შენობას ერთ ქვას ამატებს; მაგრამ თუ ამის შესახებ ვინმეს თავის ქებით უამბობს, არა მხოლოდ ამ ქვას გამოაცლის, არამედ — ბევრ სხვასაც.

დაფარე შენი შრომა და სათნოებანი და ფრთხილად იყავი, რათა შენმა ენამ არ მოგტაცოს ისინი.

რა ბევრს მიაყენა ზიანი საკუთარმა სათნოებამ იმით, რომ გამოაცხადა და ქებაც მიიღო!

თავის ქებისაგან ფარისეველი მეზვერეზე უარესი გახდა.

ღვთის ყოველგვარი საჩუქარი ჩვენთვის საზიანო ხდება, როდესაც მისგან

არა ღვთის, არამედ – ჩვენს საკუთარ დიდებას ვეძიებთ *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

თავის ქება სიბრძნესთან შეუთავსებელია.

ყველაზე ადვილია, საკუთარი თავი მოტყუო და ამაო დიდებით აღტაცებულმა დიდ ვინმედ მიიჩნიო იგი, სინამდვილეში კი – არაფერს წარმოადგენდე *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

დავფიქრდეთ, რამდენად უმადური, მძიმე და ამაოა მხოლოდ საჩვენებლად ცხოვრება, როგორც იქცევიან მრავალნი, როგორც ხნეობრივ, ისე – საზოგადოებრივ და შინაურ ყოფაში. მხოლოდ წარმოაჩენენ, გამოფენენ, ხმამაღლა გაიძახიან, ყოველგვარ უმნიშვნელო საქმეს ახმოვანებენ, როგორც ჯერ კიდევ დაუდებელი კვერცხის გამო კაკანებს ქათამი. მაგრამ ქათმის კაკანს საფუძველი მაინც აქვს: ის დებს კვერცხს, რომელიც მართლაც დადო და ის არსებობს; პატივმოყვარეობა კი არარსებულს აღამაღლებს ანდა მასზე ღაღადით სპობს ნამოღვაწარს.

საკუთარი კეთილი საქმეების გამამჟღავნებელი ჰგავს მიწის ზედაპირზე მთესველს: მოფრინდებიან ზეციური ჩიტები და აკენკავენ მარცვლებს. თავისი ცხოვრების დამფარავი კი ხნულში მთესველს ჰგავს: იგი უხვ მოსავალს მოიწევს *(ძველი პატერიკი)*.

ნუ იამაყებ საკუთარი თავით და ნუ შეიქებ თავს, თუნდაც ჭეშმარიტებას ამბობდე, რათა ვინმემ უკეთესად არ იფიქროს შენზე, ვიდრე – სინამდვილეში ხედავს და ესმის შენგან.

მნიშვნელოვანია, როგორნი ვართ ღვთის თვალში და არა ის, რას ფიქრობს ხალხი ჩვენზე.

რასაც არ უნდა ფიქრობდნენ და ამბობდნენ ადამიანები ჩვენს შესახებ, სინამდვილეში ისეთნი ვართ, როგორებსაც ღმერთი გვხედავს.

თუ გსურს, რომ უფალი გიცნობდეს, შეძლებისდაგვარად, ადამიანთათვის უცნობად დარჩი.

თუ გსურს, რომ უფალმა შენი ცოდვები დაფაროს, ნუ გამოფენ ადამიანთა წინაშე სათნოებებს, თუ რაიმე გაგაჩნია; რამეთუ როგორც ვექცევით ჩვენს სათნოებებს, ასევე ექცევა უფალი ჩვენს ცოდვებს *(წმიდა მარკოზ მოსაგრე)*.

თუ თავს იქებ, ღმერთი არ შეგაქებს.

შენს სალანძღავად ჩათვალე ყოველი სიტყვა, რომლითაც თავ იქებ.

რა შეიძლება იყოს იმაზე უგუნური, ვიდრე ეძიებდე საკუთარი საქმეებით ქებას უძლური ადამიანებისაგან და გძაგდეს ქება იმისა, ვისაც აქვს ძალმოსილება მისთვის სათნო საქმეებისათვის მოგაგოს სანაცვლო? *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

თუ ადამიანი მიაგებს, მაშინ უფალი არ მიაგებს; ხოლო თუ ადამიანი არ მიაგებს, მაშინ ღმერთი აღასრულებს ამას.

ნეტარია, ვინც ისე არ განაგებს თავის ცხოვრებასა და საქმეებს თითქოსდა მხოლოდ ადამიანთაგან და მიწაზე უნდა მიიღოს სანაცვლო!

თავი აარიდე პატივმოყვარეობას და მომავალ ცხოვრებაში განდიდდები.



ამპარტავნება

უველა ცოდვა საძაგელია ღვთის წინაშე, მაგრამ ამპარტავნება ყველაზე მეტად *(წმიდა ანტონი დიდი)*.

ადამიანებს სძულთ სილატაკე, ღვთისთვის კი უფრო მეტად საძაგელია ამაყი სული და აღტაცებული გონება *(წმიდა ისააკ ასური)*.

ამპარტავნებით ღმერთს ჩვენს მტრად ვიხდით.

ღვთისთვის არაფერია ისე საძაგელი, როგორც ამპარტავნება, რადგან მასში საკუთარი თავის ღმერთთან გატოლება იმალება.

ჩვენი გზის საკუთარ თვალში ამღლებაც კი ღვთის გზიდან გადახვევაა, თუნდაც ამ გზაზე უკვე შემდგარნი ვიყოთ.

ერთმა მეუდაბნოე ბერმა თქვა: „უმჯობესია თავმდაბლობით გაიმარჯვო, ვიდრე – ამპარტავნებით“.

უმჯობესია, თავმდაბალი ცოდვილი იყო, ვიდრე – ამპარტავანი მართალი.

უმჯობესია, თავმდაბლად აღიარო ცოდვები, ვიდრე ამაყად იქებდე თავს სათნოებებით *(ნეტარი ავგუსტინე)*.

მაღალი შეხედულება საკუთარი სათნოებების შესახებ ადამიანების წინაშეც კი სათნოების არსის დაკარგვაა; მითუმეტეს – ღვთის წინაშე.

უფალს უყვარს თავმდაბალი ცოდვილი, რომელიც გულით გლოვობს საკუთარ ცოდვებს, და უარყოფს ამპარტავან მართალს, რომელიც საკუთარ თავს ცოდვილად არ თვლის.

თავმდაბალი ცოდვილები კეთილი საქმეების გარეშეც გამართლდებიან, მართალნი კი ამპარტავნების გამო მრავალი წლის შრომას ღუპავენ.

თუნდაც ვინმემ მრავალი კეთილი საქმე აღასრულოს და ყოველგვარი სათნოებაც ჰქონდეს, თუ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, იგი ყველაზე ღატაკი და შეჩვენებულია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

თავს ნუ აღიმაღლებ საკუთარი საქმეებით, როგორიც არ უნდა იყოს ისინი *(წმიდა ანტონი დიდი)*.

დაცემისას ოხრავდე, წარმატების ჟამს კი ნუ გაამაყდები *(წმიდა ნილოს სინელი)*.

თუ ამპარტავნება დაგეუფლება, გაიხსენე, როგორ იღუპება მისგან სათნოების ყველა ნაყოფი და ეს დაგიცავს.

ყველა ნაკლოვანებს თავისი ძალა აქვს მხოლოდ უკანონობაში, ამპარტავნებისა კი სათნოებებშიც უნდა გეშინოდეს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ამპარტავნება წყალქვეშა ქვაა, რომელსაც ხშირად იმტვრეოდნენ ისინი, რომლებიც დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ ვნებათა და სხვადასხვა განსაცდელთა ქარიშხლებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ამპარტავნება მანკიერებათა დედაა, რომლისგანაც ეშმაკიც დაეცა, რომელიც ადრე ასეთი არ იყო *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ამპარტავნება ჰგავს მაღალ, მოხრილ ხეს, რომელსაც ტოტები მომტვრეული აქვს; თუ ვინმე მასზე ავა, მეყსეულად ჩამოვარდება სიმაღლიდან *(წმიდა ეფრემ ასური)*.

თავს ძალიან ნუ აღიმაღლებ, რათა ძლიერად არ დაეცე *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

დღევანდელ დროს გვესმის იგავი: „ცუდია ის მეომარი, რომელსაც მხედართმთავრობა არ სურს“. ეს არც სოლომონის იგავია, არც მისი სიბრძნე, არამედ ხორციელი და ამაო სიბრძნეა. ჭეშმარიტი იგავი კი ბრძანებს: „ვინც მაღლად აღაშენებს თავის სახლს, იგი დაეცემა“ (იგ. 17, 16); და კიდევ: „ყველა გულსვიადი სიბილწეა უფლის წინაშე“ (იგ. 16, 5). ამას ეთანხმება იგავი იმისა, ვინც სოლომონზე აღმატებულია: „რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს“ (ლუკ. 18, 14).

✠ამაღლებისაკენ მისწრაფება ამავე დროს დამდაბლებისაკენ მისწრაფებაცაა.

✠ვინც საკუთარ თავს თვითონვე აღიმაღლებს, იგი თვითონვე იმზადებს დაცემას.

✠საკუთარი თავისათვის ქველმოქმედებით ადამიანი თავისივე თავის მტერი ხდება.

✠ადამმა ღმერთად გახდომა მოისურვა, მაგრამ ისიც დაკარგა, რაც უფლისაგან ჰქონდა ნაბოძები.

✠უფრო მეტად ცხოვრებით ამაღლდი, ვიდრე – აზრით. ცხოვრებამ, შესაძლოა, ღვთის მსგავსი გაგხადოს, აზრს კი უდიდეს დაცემამდე მიჰყავხარ *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✠უდიდესია თავმდაბლობის სიმაღლე, ღრმაა – ამპარტავნების უფსკრული; და ამიტომაც გირჩევთ, შეიყვაროთ პირველი და არ ჩავარდეთ მეორეში.

✠თუ თავისი კეთილი საქმეებით გაამპარტავნებული ყველაფერს ღუპავს ამით, მაშ, როგორი იქნება ამპარტავანი ცოდვი-

ლის სასჯელი? ასეთ ადამიანს უკვე სინანულიც კი არ ძალუძს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ადვილად შეგეძლოს, ყველაფრის უგულებელსყოფა განდიდებისას და ნუ იქნები დიდი შენს სიმცირეში *(წმიდა ისააკ ასური)*.

იყავი უმეცარი სიბრძნეში და ნუ მოაჩვენებ თავს ბრძნად, როდესაც უგუნური ხარ *(წმიდა ისააკ ასური)*.

ამაყი, მაგრამ ამპარტავანი ადამიანები ჰგვანან ცარიელ ჭას, რომლებიც თავს სხვაზე მეტად აღიმაღლებენ.

ამაყი, მაგრამ სულელი მდიდარი ქანდაკებას ჰგავს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა – თიხის გროვა, ანდა – ხის ნაჭერი.

მზის ნათელი შენი შუქი როდია და, რასაკვირველია, მისით არ ამაყობ; ნუ იამაყებ შენი გონებითაც: თუ მასში არის ნათელი, ეს ღვთის საჩუქარია, ხოლო თუ სიბნელეა, მაშინ საამაყო არაფერი გაქვს.

ვინც თავს აღიმაღლებს ბუნებრივი ნიჭებით, ანუ – გონებამახვილობით, მიხ-

ვედრილობით, მჭევრმეტყველებით, სწრაფი მოსაზრებულობით და სხვა მონაცემებით, რომელიც ღვაწლის გარეშე აქვს მიღებული, ის ვერასოდეს მიიღებს ზეგარდმო მადლს, რამეთუ მცირეში არამართებული – მრავალშიც არამართებული და პატივმოყვარე იქნება *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

ღვთის სიბრძნეს განეშორება ის, ვინც საკუთარ თავს ბრძნად ჩათვლის *(წმიდა ისააკ ასური)*.

რატომ მოხდა, რომ ამაყ ფარისევლებს, რომლებიც უფალმა გველებს, ანუ განკიცხულ სულთა რიცხვს მიაკუთვნა, „იქედნეს ნაშობნი“ (მათე 23, 33) – გველთა განსაკუთრებული ჯიშის სახელი ეწოდათ? იქედნე პატარა, ძლივს შესამჩნევი, ბრმა გველია, მაგრამ შეიარაღებულია უძლიერესი, მომაკვდინებელი შხამით. ასევე ამპარტავნებაც სულის უძლურებაა, ძლივს შესამჩნევი, ხშირად ადამიანის უღრმესი თავმდაბლობით წარმოდგება, რომელსაც

ადამიანები სიწმიდედ და ვნებათაგან თავისუფლებად შერაცხავენ, მაგრამ იგი კლავს სულს და მისთვის ყოველგვარი სათნოება შეუძლებელი ხდება. იქედნე ბრმაა; ბრმაა ამპარტავნებაც. მისგან დაბრმავებული ვერც ხედავს და ვერც გრძნობს ღმერთს, მოკლებულია მართალ ხედვას – საკუთარი თავისა და ადამიანთა მიმართ.

თუ თავი ჭკვიანი გგონია, უკვე არ ხარ გონიერი.

ამპარტავნება გონების სიმწირის დადასტურებაა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ადამიანის გონების არაშორსმჭვრეტელობა სწორედ მაშინ გამოვლინდება, როდესაც იგი იწყებს ოცნებას, რომ ყველაფერი დამოკიდებულია მის მჭერმეტყველებასა და შორსმჭვრეტელობაზე.

ყველაზე უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ცდუნებული ხარ, არის ის, რომ საკუთარი თავი სხვაზე ცბიერი გგონია.

საკუთარი თავით მეტისმეტი უკმაყოფილება სისუსტეა; მეტისმეტი კმაყოფილება კი – სისულელე.

ამპარტავნება პატარა და მდაბიო სულის უდიდესი გამოვლინებაა.

თავმდაბლობა სულის დიდებულების გამოხატულებაა, ქადმაღლობა – სულის სიმდაბლისა.

სიმდაბლე და ამპარტავნება ღვიძლი დები არიან.

მეოცნებებობა შინაგანი სიცარიელის ნიშანია.

განა არ ჰგავს ქედმაღალი და გაბღენძილი ადამიანი გაბერილ ბუშტს, ანდა – წყალმანკით თუ ძლიერი სიმსივნით დავადებულ ადამიანს? განა არ მიემსგავსება იგი სასაცილო ბავშვს, რომელსაც ლოყები გამოუბუშტავს?

ამპარტავანს არ ძალუძს, დიდხანს იფიქროს, რადგან მას სურს, ჭკვიანი ჩანდეს და სხვების წინაშე ბრწყინავდეს.

ამპარტავანი პატივისცემას ეძიებს მათგან, ვისაც იგი არაფრად მიაჩნია.

ამპარტავანი თავის პატივისმცემელთ არაფრად მიიჩნევს, მისთვის მიგებულ პატივს კი დიდად აფასებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ვისაც გამოცდილებით სურს, შეიცნოს მუდმივი მოუსვენრობა, მისთვის მხოლოდ ისაა საჭიროა ამპარტავანი იყოს და მაშინ იგი საკუთარი მხრებით ატარებს ნამდვილ ჯოჯოხეთს – მტანჯველ მისწრაფებას ადამიანთა პატივისცემის გამყინავი გრძნობისადმი, რომელსაც ვერასოდეს მიაღწევს.

თქვენ, რომლებსაც ადამიანის ღირსებისათვის მიუღებლად მიგაჩნიათ ჯოჯოხეთის არსებობის დაჯერება! გამოიკვლიეთ თქვენი შინაგანი სამყარო ისეთ წუთებში, როდესაც თქვენი ამპარტავნული გეგმები საპნის ბუშტებივით სკდება და საკუთარ თავშივე დაინახავთ ჯოჯოხეთს, რომელსაც საკუთარი თავის გარეთაც უარყოფთ.

გაცილებით ძნელია, სხვების წინაშე იყო ბრძენი, ვიდრე – საკუთარი თავის წინაშე.

ყოველ საქმეში საკუთარი თავი მწირად ჩათავლე იმისათვის, რომ სხვებს ასწავლო და მთელი ცხოვრების განმავლობაში ჭკვიანი იქნები *(წმიდა ისააკ ასური)*.

ვინც საკუთარ თავს თვითონვე აღიმაღლებს, ამით თავს აბუჩად იდგებს, ხოლო ვინც გულწრფელად ყველას წინაშე დაიმდაბლებს თავს, ის უყვართ.

თავმდაბალი ბევრს უყვარს, ამაყი და ქედმაღალი კი სძულთ მათაც კი, ვინც თვითონაც მათნაირნი არიან.

ყველა ადამიანი შენზე აღმატებულად ჩათვალე *(წმიდა ბარსანოფი დიდი)*.

მართალია, გონიერი ხარ, მაგრამ სხვა მაინც გჭირდება.

გონიერი აზრი, თუნდაც სხვისი, ყოველთვის უმჯობესი იქნება უგუნურებაზე, რომელიც შენ თვითონ მოიპოვე; ამას

ვეუბნები ადამიანებს, რომლებსაც სურთ, ყველაფერი საკუთარ თავში იპოვონ და მოყვასის გონიერების აღიარება არ სურთ.

ნუ ჩათვლი უდიდესად იმას, რაც ცუდზე უკეთესი ჩანს, არამედ სწუხდე იმას, რომ სხვები შენზე კეთილნი არიან *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

მრავალი საკუთარ თავს მართლად მიიჩნევს – აშკარა ბოროტმოქმედებთან შედარებით. მაგრამ მათ საკუთარი თავი ღვთის წმიდა ადამიანებს შეადარონ და მაშინ უცილობლად დაინახავენ, რომ მხოლოდ საბრალო ცოდვილნი არიან.

საკუთარ თავს სხვებზე მაღლა ნუ დააყენებ, რათა ღვთის წინაშე უფრო დაბლა არ დადგე.

ერთმანეთის წინაშე თავს ნუ აღვიმაღლებთ, რადგან მიწა ყველას გაგვათანასწორებს და თიხიოელს თანაბარ წილს მიაგებს *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

ვაი ამპარტავანს! როდესაც კუბოში ჩავა, მიხვდება, რასაც წარმოადგენს *(წმიდა ილოს სინელი)*.

მიწას ვატარებთ, მიწაზე დავდივართ და მიწად მივიქცევით.

ნეტარია, ვისაც თავლწინ აქვს წუთისოფლიდან გასვლის დღე და შეიძულა ამპარტავნება ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე გამომჟღავნდება ჩვენი ბუნებრივი არარაობა – კუბოში ხრწნილებით *(წმიდა ეფრემ ასური)*.

განა შეიძლება, რაიმეთი ვამპარტავნებდეთ, როდესაც საკუთარი არაფერი გვაქვს, დროებითი და მარადიული სასჯელის გარდა?

ვინ ვართ ჩვენ ყველა, თუ არა – ლატაკნი? რა გაგვაჩნია საკუთარი? არაფერი, – ცოდვების გარდა. აპოკალიფსში ვილაც თავს იქებს: „მდიდარ ვარ და განვმდიდრდი და არარაი მეხმარების“, არაფერი მიჭირს და არაფერი მაკლია. ასეთს ეტყვიან: „და არა უწყი, რაემთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრმა და შიშველ“

(აპოკ. 3, 17). როგორი შესამეცნებელი გაკვეთილია ჩვენი ამპარტავნებისათვის!

ნუ იამაყებ, ადამიანო, როდესაც მტვერი და მიწა ხარ! რას მიიღებ შენი დიდებისაგან, როდესაც მცირე ხნის შემდეგ ყველაფერს ხრწნა წარიტაცებს? ღრუბლებზე მეტად ნუ ამაღლდები და იცოდე, რომ მიწა და ფერფლი ხარ; მიწიდან ხარ აღებული და სულ მალე მიწადვე მიიქცევი; დიდი ხარ, სუფთა და სამართლიანი, ვიდრე ღმერთი შეგეწევა; უფალმა შეგქმნა და მისით დგახარ; ნუ უარყოფ და ნუ დაივიწყებ კეთილისმყოფელს, შესაძლოა, სათნოებას აღასრულებ კიდევაც, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ უფალი დაგეხმარა *(სულიერი მარგალიტი)*.

თავს როგორ იქებ მაშინ, როდესაც ღმერთს უნდა ადიდებდე?

გეშინოდეს და თავი აარიდე არა მხოლოდ სიამაყეს, არამედ — ყველაფერს, რასაც მასთან მიჰყავხარ; განსაკუთრებით

– პატივმოყვარეობას, როგორც – ამპარტავნების წინამორბედ ნაკლს – ზნეობრივი დაცემის კიბეზე.

ყველის ბრწყინვალება მეხის ჩამოვარდნას მოასწავებს, ამპარტავნებისა კი – პატივმოყვარეობის გამოჩენას *(წმიდა ხლოს სინელი).*

ამპარტავნების დასაწყისი – პატივმოყვარეობის დასაწყისია *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი).*

ვინც პატივმოყვარეობით არ არის შეპყრობილი, იგი არ ჩავარდება ღვთისმებრძოლ, უგუნურ ამპარტავნებაში *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი).*

შური

შური არის მწუხარება სხვის სიკეთეზე *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).*

რატომ არ არის ეს ადამიანი მხიარული?“ – ჰკითხეს ერთ ბრძენს და მიუთი-

თეს შურიანზე, რომელიც ყოველთვის ნაღვლიანი სახით დადიოდა. „იმიტომ, – მიუგო კაცთა ბუნების გამოცდილმა მცოდნემ, – რომ ან მას შეემთხვა რაიმე უბედურება, ან მის მოყვასს – რაიმე ბედნიერება“.

მოშურნე სხვის უბედურებას საკუთარ ბედნიერებად მიიჩნევს, სხვის კეთილდღეობას კი – საკუთარ წარუმატებლობად *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ღარიბი იმდენად არ არის განაწყენებული თავისი სიღარიბით, რამდენადაც – შურიანი – მოყვასის კეთილდღეობით; რა შეიძლება იყოს ამაზე საძაგელი? *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

დემონს თავისი მსგავსი დემონისა არ შურს, არც – სხვა ეშმაკისა; შენ კი, ადამიანო, გშურს ადამიანისა, შენივე თანატომელისა და თანამოძმის წინააღმდეგ აღმდგარხარ, რასაც არ აკეთებს ეშმაკიც! რა შენდობა გექნება, ანდა – რა გამართლება! *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

მრავალი ჩვენთაგანი ტირის მტირალთან ერთად, მაგრამ სხვისი სიხარული არ უხარია.

ნეტარია ის, ვინც ზნეობრივად საკუთარი თავი ისე აღზარდა, რომ შეუძლია, ხარობდეს სხვისი კეთილდღეობითა და ბედნიერებით, თუნდაც, თვითონ ამით ვერაფერს იღებდეს.

შურიანი არაფრით განსხვავდება ადამიანისაგან, რომელიც არაფრით არაა დაფარული და რომელსაც ყველანი ისრებს სტყორცნიან *(წმიდა ბასილი დიდი)*.

შურიანი მწუხარებს, როდესაც თავისზე აღმატებულს ხედავს და მისი თანასწორი არ არის; იტანჯება თავის თანასწორთა ხილვისას, რადგან მათზე აღმატებულობა სურს; მწუხარებს თავისზე დაბლა მდგომთა ხილვისას, რადგან მასთან გათანასწორების, ანდა უარესი მდგომარეობის ეშინია.

შური არ აძლევს საშუალებას, იმით გაიხაროს, რაც აქვს, რადგან კლავს იმის სურვილი — რაც აკლია.

შურიანი საკუთარ მტრებად მიიჩნევს მათაც, ვისაც არაფერი უწყენინებია მისთვის.

შური მტრობის ყველაზე გაურკვეველი ფორმაა. სხვა არაკეთილმოსურნეთ ცოტა მოკრძალებულს ხდის ქველმოქმედება, შურიანი კი უფრო ლიზიანდება მისთვის გაკეთებული სიკეთით. იგი უფრო მეტად შეურაცხყოფილია სათნოების ძალით და მადლიერებას არ გრძნობს მისთვის გაკეთებული სიკეთისათვის *(წმიდა ბასილი დიდი)*.

შურიანები მხეცზე უარესნი არიან, რამეთუ მხეცები მხოლოდ მაშინ გვესხმიან თავს, როდესაც შიათ, ანდა — როცა გავაღიზიანებთ; ესენი კი, კეთილის ქმნის შემდეგ კეთილისმყოფელს მტერივით ექცევიან *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

თუ ძაღლებს აჭმევენ, ისინი მორჩილნი ხდებიან; როდესაც ლომს უვლიან, თვინიერდება; შურიანები კი უფრო ვეტად მძვინვარდებიან, როდესაც მათ სიკეთეს უკეთებენ *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

შურიანი არ ზრუნავს საკუთარ ნაკლოვანებებზე და სხვისი სრულყოფილება ტანჯავს.

შურს არ შეუძლია იმის დათმენა, რომ სხვას კეთილი საქმეებისათვის აქებდნენ; ამიტომაც შური და გინება ერთმანეთთან განუყოფელია.

თუ შურიანს არ შეუძლია, მოყვასის სიკეთე ნაკლად აქციოს, მაშინ მას ცუდ საფუძველს მიაწერს.

მრავალი მწერი გვერდს უვლის ჯანსაღს და გახრწნილისაკენ მიისწრაფვის; ასევე შურიანი ადამიანი ყურადღებას არ აქცევს პიროვნების კეთილ თვისებებს, მისი ცხოვრების ნათელ მხარეებს, არამედ – გამოძებნის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს და ენით ისე მიეწებება, როგროც ნესტარით.

შურის გრძნობა ცოდვაა, რადგან ეწინააღმდეგება მოყვასის სიყვარულს და ამაოა, რადგან შური ვერ მოგვიტანს იმას, რაც გვშურს, მხოლოდ გვაწამებს; მაგრამ

იგი არცაა საჭირო, რადგან ყოვლადბრძენმა და ყოვლადკეთილმა ღმერთმა, რასაკვირველია, არ ჩაგვაყენა ისეთ მდგომარეობაში, რათა ჩვენ, სამართლიანად შეგვეძლოს, გვშურდეს სხვებისა, თითქოსდა უსამართლო განგებით განაწყენებულებს.

✤მოყვასის სიკეთისადმი შური მტრულ დამოკიდებულებას გვიყალიბებს ღმერთთან, რომლის სამართლის და შესაძლოა, განკითხვის ნებასაც ვაძლევთ საკუთარ თავს.

✤შური უსამართლო ვნებაა, რადგან აღაშფოთებს ყველა კეთილის სიმშვიდეს, და სამართლიანიცაა, რადგან აშრობს მის საკვებს *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✤შურიანი საკუთარ თავს მეტად ვნებს, ვიდრე იმას,ვისიც შურს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✤შურიან სხვისი დალუპვა სურს და საკუთარ თავს კი ღუპავს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✤შური ჩრჩილს ჰგავს, რომელიც იმ სამოსს აფუჭებს, რომელშიც დაიბადა. ასევე იგი ჭამს იმ გულს, რომელშიც იბადება *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

✠როგორც იქედნე დაბადებისას მშობელს კლავს, ასევე შურიც ღრღნის სულს, რომელიც მას აწვალებს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✠როგორც უანგი ჭამს რკინას, ასევე შური – სულს, რომელშიც იგი ცხოვრობს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✠ხესა და შალს მატლი და ჩრჩილი ისე ვერ ჭამს, როგორც შურის სიმხურვალე ადნობს მოშურნის ძვლებს და მათ ჯანმრთელ სულებს წამლავს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠თუ შური მწუხარებაა, მაშინ შურიანს იმდენი მწუხარება და სატანჯველი აქვს, რამდენიც სხვებს სხვადასხვა მადლი და სრულყოფილება. ეს დაავადება დასაწყისია მარადიული მწუხარებისა და განუწყვეტელი ტანჯვის წინდია. ეშმაკი ასევე იტანჯება და შურიანს მიწაზევე შეუძლია, იგრძნოს და მიხვდეს, რა არის ჯოჯოხეთური ტანჯვა.

✠თუ გვეშინია დემონისა და ჯოჯოხეთისა, ისევე უნდა გვეშინოდეს შურისაც;

რამეთუ იგი შინაური დემონია, რომელსაც შეუძლია, მოშურნის გულში მოიყვანოს ბოროტ სულთა ლეგიონები; ეს ჯოჯოხეთური ტანჯვაა, რომელიც ღვთის საშინელ სამსჯავრომდე აანთებს გეენის ცეცხლს ცოდვილის სულში.

ვინც შური მოიპოვა, მასთან ერთად მოიპოვა დემონიც *(წმიდა ისააკ ასური)*.

შური მკვლელობის ფესვია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

შურიანი ზეცაში არაფრად გამოდგება, რადგან იქაც არსებობს განსხვავება; თვითონ ვერ გაიხარებდა და სხვების სიხარულსაც მოწამლავდა.

ჩვენ შეგვიძლია, თავიდან ავიცილოთ შური, თუ დიდად არ ჩავთვლით არც იმას, რასაც ადამიანები სიმდიდრეს უწოდებენ, არც მომხიბლავ დიდებას, არც სხეულის ჯანმრთელობას; არამედ ვისწრაფით მარადიული და ჭეშმარიტი მადლის მოსაპოვებლად *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✠როდესაც ხედავ სიბრძნეს ანდა – დიდებას, ან – საერო ხელმწიფებას, იფიქრე იმაზე, რომ ისინი ხრწნადია და საცდურს თავს დააღწევ (წმიდა ნილოს სინელი).

✠თუ შეგაწუხებს შური და ბრაზები, გაიხსენე, რომ ჩვენ ყველა ქრისტეს ნაწილები ვართ და როგორც პატიჟი, ისე უპატიობა ყველას ერთი გვაქვს, და ამ ფიქრებისაგან გათავისუფლდები.

✠შური ამპარტავნების შვილია; მოუკალი დედა და შვილიც მოკვდება *(ჩეტარი აგუსტინე)*.

განკითხვა

✠ადამიანები საკუთარ საქმეებში დაყოვნებული მსაჯულნი არიან, სხვისაში კი – სწარფნი *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✠ერთმანეთის დასადანაშაულებლად ყოველთვის მზად ვართ, იმის გამოსწორებაში

კი, რაშიც თვითონ ვართ დამნაშავენი და სასჯელს ვიმსახურებთ, ყოველთვის ვაყოვნებთ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ძალიან ხშირად ადამიანთა სამსჯავრო ჰგავს იმას, თითქოსდა სახლის პატრონი, რომელსაც საკუთარი ეზო ჭუჭყისაგან არ გაუსუფთავებია, აყვედრის ადამიანებს, რომლებიც მასთან ტალახიანი ფეხებით შემოვიდნენ.

ჩვენ გვსურს, რომ სხვები სრულყოფილნი იყვნენ, საკუთარ ნაკლოვანებებს კი არ ვასწორებთ.

ჩვენ მიდრეკილნი ვართ ნაკლებმნიშვნელოვანი ნაკლოვანებების დანახვისაკენ — მოყვასში, და — არა საკუთარი დიდი ნაკლოვანებების აღიარებისაკენ (მათე 7, 3).

როგორ მიდრეკილნი ვართ ჩვენ მოყვასის ქმედებების განსასჯელად ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე გამოვიკვლევთ მათ! ეს, რასაკვირველია, იმისგანაა, რომ ჩვენ თვითონ საკუთარ საქმეებში მეტნაკლებად შეგვაქვს არაწმიდა ზრახვები და მიზნები.

სუფთა სული ადვილად არ იჯერებს უსამართლო საქმეების შესაძლებლობას.

ვინც ბოროტებისადმი კეთილგანწყობილი არ არის, მას დაეჭვება არ შეუძლია *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

კეთილი ადამიანი ყველას კეთილად ხედავს, ბოროტი და მზაკვარი კი – მხოლოდ ირიბად, იგი სწორადმავლებზეც კი ეჭვობს, აყვედრის, განსჯის და ავსიტყვაობს *(სულიერი მარგალიტი)*.

ვისაც სუფთა გული აქვს, იგი ყველა ადამიანს სუფთად თვლის, ხოლო ვისი გულიც ვნებებითაა შერყვნილი, მას წმიდად არავინ მიაჩნია და ფიქრობს, რომ ყველა მისი მსგავსია.

სათნოებებიცა და ნაკლოვანებებიც გონებას აბრმავებენ; პირველ შემთხვევაში ადამიანი მოყვასის ნაკლოვანებებს ვერ ამჩნევს, მეორის დროს კი – სათნოებებს ვერ ხედავს.

ბოროტი და მანკიერი ადამიანი ყველა ადამიანს ისეთად თვლის, როგორიც თვითონაა. ეს ძალიან ბუნებრივიცაა, იმდენად, რომ ე. წ. სიყვითლით დაავადებული ყველა საგანს ყვითლად შეღებილად აღიქვამს.

ნებისმიერი სახის საგანი ჩააგდეთ აყროლებულ ჭურჭელში — ეს საგანიც მაშინვე ცუდ სუნს გამოსცემს. ასევე ემართება სხვის საქციელს — უგუნური ადამიანის სულში. იგი ფიქრობს, რომ სამყაროში საერთოდ არ არსებობენ კეთილი ადამიანები. ქურდი სხვებსაც ქურდად მიიჩნევს; ფარისეველი ვერ უშვებს, რომ გულწრფელად სათნო ადამიანები არსებობენ; ხორცის მონას არ სურს, დაიჯეროს, რომ სულისა და სხეულის შეურყვნელად დაცვა შესაძლებელია.

ნაკლოვანებები რომ არ გვქონოდა, სიამოვნებას ალარ ვიგრძნობდით მაშინ, როდესაც მათ სხვებში ვამჩნევთ.

ნუ ეცდები სხვისი საქმეების გარკვევას; შენშიც მრავლად მოიპოვება იგივე, რაშიც სხვაში ეჭვი გეპარება *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ყურადღებიანნი ვიყოთ საკუთარი თავის მიმართ და არ დავცინებთ სხვებს, რადგან თვით ჩვენშიც არის ბევრი ისეთი რამ, რისთვისაც სხვებს დავცინით *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ბრმა ვერ კადნიერდება კოჭლის დასაცინად.

ჯერ საკუთარი თავი განსაჯე, თუ სხვისი განსჯა გსურს.

ვიყოთ მიუკერძოებელნი საკუთარი თავის მიმართ, რათა სამართლიანად მოვექცეთ სხვებს.

ზნეობრივ ცხოვრებაში კარგად გამოცდილი ადამიანები ყოველ დროში ამჩნევდნენ ურთიერთმიმართების ერთსა და იმავე კანონს: ვინც საკუთარი თავის მიმართ მკაცრია, იგი შემწყნარებელია მოყვასის მიმართ; და ვინც შემწყნარებელია

საკუთარი თავის მიმართ, იგი მკაცრია მოყვასის მიმართ.

✝რაც უფრო მკაცრად და მიუკერძოებლად მსჯელობს ადამიანი საკუთარი საქმეების შესახებ, მით უფრო შემწყნარებელი და სამართლიანია მისი განსჯა მოყვასის საქმეების მიმართ.

✝რაც უფრო შორსაა ადამიანი ცუდი საქმეებისაგან, მით უფრო გულწრფელად წუხს იგი ცუდი საქმეების გამო.

✝ქრისტეს ჭეშმარიტმა მონებმა გამოცდილებით იციან, რა ძნელია ვნებებთან ბრძოლა და დიდი სურვილის მიუხედავად, რომ ბოროტება არ აღასრულონ, მაინც ვარდებიან ცოდვაში, ამიტომაც ისინი შემწყნარებელნი არიან სხვის მიმართ და მკაცრნი – მხოლოდ საკუთარ თავთან.

✝არაფერი ისე არ ააშკარავებს ჩვენს სულიერ უწმიდურებას და, ამასთან ერთად, ისე არაფერი მოწმობს ჩვენს უცოდინრობას საკუთარი სულიერი მდგომარეობისას, როგორც – მოყვასის განკითხვა.

✤მოყვასის განკითხვის ჩვევა სულის საქმეა, რომელიც სულაც არ ზრუნავს თავის ცხონებაზე და სრულებით არ იცნობს საკუთარ თავს.

✤ადამიანი, რომელიც სხვებს განიკითხავს, ჰგავს სარკეს, რომელიც თავს თავში ყველას ასახავს, საკუთარ თავს კი ვერ ხედავს *(წმიდა დიმიტრი როსტოველი).*

✤ვინც საკუთრ ცოდვებს ყურადღებას არ აქცევს, მას სხვისი ცოდვების განქიქება უყვარს.

✤ამბა სტრატიგის ძმამ ჰკითხა: რატომ გავიკითხავ ძმას? ბერმა უპასუხა: „იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ვერ შეიცანი საკუთრი თავი; ვინც საკუთარ თავს ხედავს, ის ძმის ცოდვებს ვერ ამჩნევს“.

✤რატომ განვიკითხავთ მოყვასს? იმიტომ, რომ საკუთარი თავის შეცნობას არ ვცდილობთ. ვინც საკუთარი თავის შეცნობითაა დაკავებული, მას სხვისი ნაკლის შესამჩნევად არ სცალია.

ვინც საკუთარი ცოდვების სიმძიმეს გრძნობს, ის მოყვასის ცოდვებს არ უყურებს

ვინც განუწყვეტლივ ფიქრობს საკუთარ ცოდვებზე, მას არ აქვს ენა, რათა სხვა ადამიანის საქმეებზე ილაპარაკოს.

თუ საკუთარი ცოდვები გვახსოვს, სხვისაზე ვერასოდეს ვიფიქრებთ.

თუ საკუთარი ცოდვების მიმართ ყურადღებიანნი ვიქნებით, მოყვასის ცოდვებს ველარ დავინახავთ. უგუნურებაა, საკუთარი მიცვალებულის მიტოვება და სხვისი მიცვალებულის სატირლად წასვლა.

თუ საკუთარი ცოდვებით ვიქნებით დაკავებულნი, რათა შევიცნობდეთ ჩვენს ცოდვებსა და სულიერ დაავადებებს, საკუთარ სიღარაკეს, მაშინ აზრად არ მოგვივიდოდა მეზობლის შესახებ რაიმე შეგვეტყო. როდესაც შენი სახლი იწვის, თუ ყველაფრის ხსნას ვერ შეძლებ, ისწრაფი, რომ გადაარჩინო, რასაც შეძლებ; მეზობელზე ფიქრის დრო არ არის.

✝საკუთარი თავი განსაჯე და სხვებს განსჯას შეწყვეტ.

✝გამუდმებით მიაპყარი მზერა საკუთარ ცოდვებს და სხვებს არ განიკითხავ.

✝საკუთარი ბოროტი საქმეებიც საკმარისად გაქვს, სხვის ცოდვებს რომ არ უყურო *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

✝საკუთარი თავი შეიცანი და ეს საკმარისი იქნება.

✝შემცოდე ძმის ხილვისას ნუ განიკითხავ მას, არამედ შენთვის თქვი: „განა თვითონაც ცოდვილი არა ვარ? რა უფლება მაქვს, რომ სხვა განვიკითხო?“

✝ნუ განიკითხავ სხვას, არამედ ეცადე, საკუთარი თავი გამოასწორო, რათა თვითონ არ გახდე განსჯის ღირსი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝თავი შეიკავოთ სხვების განსჯისაგან; საკუთარი შეცოდებები განვსაჯოთ.

✝ცოდვილი ადამიანები განკითხვისას საკუთარ თავს განვიკითხავთ, რადგან არც ჩვენ ვართ თავისუფალნი ცოდვისაგან.

✗გვეშინოდეს, რომ ოდესმე არ გვამხილონ ჩვენივე საკუთარი სიტყვებით!

✗სხვისი განმკითხველი ბეჭედს ასვამს საკუთარ ბოროტ საქმეებს *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

✗როდესაც ძმის ცოდვებს დავფარავთ, უფალიც დაფარავს ჩვენს შეცოდებებს; ხოლო, როდესაც მოყვასის შეცოდებებს გავამჟღავნებთ, უფალი ჩვენს ცოდვებს განაცხადებს.

✗„აი, ერთი უმოკლესი გზა, რომელსაც ცოდვათა შენდობისაკენ მივყავართ, – ბრძანებს წმიდა იოანე კიბისაღმწერელი, – კონკრეტულად კი: არ განიკითხო! თუ არ განიკითხავთ, არც თქვენ განიკითხებით!“ (ლუკა 6, 37). „აი, ცხონების გზა მარხვის, ღამისთევისა და შრომის გარეშე!“ – ამტკიცებს წმიდა ანასტასი სინელი. როგორც თვითმხილველი, იგი გვიამბობს, რომ ერთმა დაუდევარი ცხოვრების მქონე ძმამ სიკვდილის წინ იხილა, რომ ანგელოზებ-

მა მისი მხოლოდდამხოლოდ ერთი სათნოების გამო — იმისათვის, რომ იგი არავის განიკითხავდა, დახიეს ყველა მისი უკანონო ქმედების ამსახველი ფურცელი და სხეულიდან გასვლის ჟამს მისი სული ზეციური სიხარულით აავსეს.

✝შეწუხდი შემცოდე მოყვასის გამო, რათა ამასთან ერთად წუხდე საკუთარ თავზეც, რადგან ყველანი ცოდვილნი ვართ და სასჯელს ვიმსახურებთ *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✝ვისაც სწამს, რომ სხეულიდან გასვლის ჟამს ღვთის სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგეს, არავითარ შემთხვევაში არ განიკითხავს მოყვასს, რამეთუ თვითონაც უნდა აგოს პასუხი ღვთის წინაშე ყველა თავისი საქმის გამო.

✝ნუ უყურებ სხვის ცოდვებს, არამედ საკუთარ ბოროტ საქმეებს შეხედე, რამეთუ პირველისთვის არ განისჯები, საკუთარისთვის კი უცილობლად აგებ პასუხს *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

✝სუფთაც რომ იყო ცოდვებისაგან, მაშინაც ნუ განიკითხავ მოყვასს შეცოდებების გამო, რათა ამ განკითხვის გამო ცოდვაში არ ჩავარდე.

✝ნუ განიკითხავ სხვას ცოდვის გამო, არამედ – საკუთარი თავი იხსენი განკითხვის ცოდვისაგან.

✝ნუ განიკითხავ მემრუშეს, განა თვითონ კი კეთილგონიერი ხარ? თვით შენც ხომ მასავით დაარღვევ კანონს, თუ მას განიკითხავ; რამეთუ თქმულ არს: „არა იძრუშო“ (მათე 5, 27) და კიდევ: „ნუ განიკითხავთ“ (მათ. 7, 1) (ძველი პატერიკი).

✝თუმცა კი მართალი ხარ, მაინც არ უნდა განიკითხო ცოდვილი, რადგან თუ შენი განვლილი ცხოვრება იმის მსგავს ცოდვებზე არ მიგითითებს, რომელსაც ახლა მოყვასში ხედავ და რომლის გამოც მისი განსჯა გსურდა, სამაგიროდ, შენი მომავალი ცხოვრების უამს თავდები ვერ იქნები, რომ მათ არ ჩაიდენ.

თუ რომელიმე ცოდვას არ ჩადიხარ, შესაძლოა, იგი უკვე ჩადენილი გაქვს; თუ არ ჩაგიდენია, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად შესცოდო, ვიდრე – შენმა მოყვასმა, რომელსაც ცოდვის გამო განიკითხავ.

არ არსებობს ადამიანის მიერ აღსრულებული ცოდვა, რომლის ჩადენაც ყველა სხვას არ შეეძლოს.

ყველა ერთსა და იმავე ვითარებას ვექვემდებარებით. მოყვასი – დღეს, შენ კი – ხვალ შეძლებ იმავეს გაკეთებას, თუ საქმით არა, – სიტყვით ან აზრით.

რაც ერთს გადახდა, ის, შესაძლოა, სხვასაც შეემთხვას.

როდესაც ამბა აღათონი რაიმე საქმეს ხედავდა და ზრახვა მას განკითხვისაკენ უბიძგებდა, საკუთარ თავს ეუბნებოდა: „აღათონ! ნუ გააკეთებ თვითონაც იმავეს!“ და ზრახვა წყნარდებოდა.

მოყვასის განმკითხველი, როგორც საკუთარ თავში თავმდაბლობისა და თავისი

თავისადმი სიფხიზლის გრძნობს მოკლებული, უწინარეს ყოვლისა, თვითონ შეიძლება ჩავარდეს იმ ცოდვებში, რომლების გამოც სხვებს განიკითხავს.

✝ვინც მზერას მუდამ საკუთარი ნაკლოვანებებისკენ მიმართავს, იგი ყოველთვის თვლის, რომ სხვები მასზე უკეთესნი არიან და მხოლოდ ასეთი არ დგას დაცემის გზაზე.

✝ნურავისზე იფიქრებ ბოროტს, სხვაგვარად თვითონ გაბოროტდები.

✝აბუჩად ნუ აიგდებ ცოდვილს მისი ნაკლოვანებების გამო, რათა თვითონ არ გამოიცადო იმავეთი, რითაც – ის *(წმიდა ისააკ ასური)*.

✝ნუ დასცინებ და ნუ განიკითხავ განსაცდელში დაცემულს, არამედ, ხშირად ილოცე, რათა თვითონ არ ჩავარდე განსაცდელში *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✝როდესაც მოყვასში რაიმე ცუდს დაინახავ ან გაიგებ, მდუმარება დაიცავი, უფალს

კი. მისი გამოსწორება შესთხოვე; იმასაც ეცადე, რომ შენც ასეთივე ცოდვაში არ ჩავარდე, რადგან ყოველი დაცემა უძლურებაა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ნურავის განიკითხავ, თუნდაც მან შენს თვალწინ საშინლად შესცოდოს. გახსოვდეს, რომ თუ მადლი დაგტოვებს, შესაძლოა, ყველას გადააჭარბო ცოდვებით.

ყველა ეცემა, როდესაც მას უფალი არ განამტკიცებს – ღვთის შეწევნის გარეშე დგომა არ შეგვიძლია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

როდესაც დაინახავ შემცოდე მოყვასს, უფალს ნეტარი ავგუსტინესავით შეჰღაღადე: „ო, ღმერთო! შენ რომ მიმატოვო, მე მასზე მეტად შევცოდავ!“

როგორც წმიდა წერილი ბრძანებს, არავის განკითხვა არ შეიძლება: „არა განიკითხოთ და არა განიკითხებით“ (ლუკა 6, 37), და იმისთვის, რომ საკუთარი თავი ყველაზე ცოდვილად ჩათვალო, ძმის შეცოდება შენს საკუთარ შეცოდებად უნდა მიიჩნიო

და უნდა გძულდეს მისი მაცდუნებელი ეშმაკი. თუ ვინმე სხვას ხრამისკენ უბიძგებს, ჩვენ მას ამის გამო ვკიცხავთ ხოლმე, სწორედ ასეა ამ შემთხვევაშიც.

თუ საკუთარი თავით იხილავ ძმის შეცოდებას და ზრახვა მისი განკითხვისაკენ გიბიძგებს, განიშორე ეს აზრი და უთხარი: „ანათემა შენ, სატანავ! შენი ბრალია, რაც ჩემმა ძმამ ჩაიდინა!“ შენი გული კი დაარწმუნე, რომ ძმა არ განიკითხოს; სხვაგვარად ღვთის მადლი განგეშორება *(სულიერი მარგალიტი)*.

რამდენად მძიმეა განკითხვის ცოდვა, ეს კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: ერთხელ წმიდა იოანე საბაიტელი სენაკში იჯდა და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა: „ვაი მას“ (ეს ეხებოდა ძმას, რომლის შესახებაც ცუდი ხმები დადიოდა)! რის გამოც მას მოაკლდა ღვთის მადლის მფარველობა, რომლის დასაბრუნებლადაც შვიდი წლის განმავლობაში იღწვოდა და ტიროდა.

✝განკითხვა უსირცხვილო მიტაცებაა ღვთის ღირსებისა *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი).*

✝არაფერია განკითხვაზე მძიმე და საშინელი *(ამბა დოროთე).*

✝განმკითხველის ენა ჯოჯოხეთზე უარესია: ჯოჯოხეთი მხოლოდ ბოროტებს მიიტაცებს, ის კი შთანთქავს ბოროტებსა და კეთილებსაც.

✝ცილისმწამებლის შხამიან ბაგეებზე მოყვასის მამაცობა კადნიერებაა, კეთილგონიერება – სიმხდალე, მოკრძალება – სისუსტე, სიმტკიცე – სისასტიკე, გულახდილობა – უკრძალველობა, სიფრთხილე – თავის მოჩვენება, მომჭირნეობა – სიძუნწე, დიდსულოვნება – მფლანგველობა.

✝მძარცველი სხვებს ქონებას ართმევს – ეს შავი სულის საქმეა. უფრო ლამაზი და ადამიანურია ცილისწამების საქმეები, რომლებიც სხვას ართმევენ კეთილ სახელს, ზოგჯერ კი – მთელი ცხოვრების ბედნიერებას.

მძიმეა მოყვასის განკითხვის ცოდვა და განსაკუთრებით ამ ცოდვის უმაღლესი სახე – ცილისწამება მოყვასის მიმართ. მაგრამ განა ყველაზე ხშირად ამ ცოდვაში არ ვვარდებით? ქრისტიანული სიყვარულის მოვალეობა მოითხოვს, რომ მოყვასის თვალნათლივი ცოდვა დავფაროთ, განა ჩვენ არ გვემართება, რომ დაუფიქრებელ სიტყვასა და საქციელში ზოგჯერ მჭევრმეტყველებისათვის ვამატებთ იმასაც, რაც სინამდვილეში არ ყოფილა, ანდა, უბრალო სიტყვასა და საქციელში ვეძებთ და ვპოულობთ დანაშაულებრივ მიზეზებს?

თუ რაიმეთი ყველაზე მეტად ვცოდავთ, იმით, რომ სხვა ადამიანებს განვიკითხავთ.

ჩვენ ყველამ ვიცით და ვამბობთ, რომ ადამიანი ხშირად საკუთარ თავს არ ჰგავს – რომ აზრები, გონება, ხასიათი და ყველა ჩვენი სულიერი ნიჭი გრძნობს გავლენას იმ გარემოებებისა, რომლებიც ჩვენზე არ

არის დამოკიდებული; ჩვენ კი როგორ განვსჯით ადამიანებს? მხოლოდ ერთი საქმით, მხოლოდ ერთი დღით!

თუნდაც საკუთარი თვალით იხილო ცოდვილი, მაინც ნუ განიკითხავ, რადგან ხშირად თვალებიც ცდებიან *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

ძმის სული ჩემთვის დაკეტილი ტაძარია. მართალია, ვხედავ მის საქმეებს, მაგრამ მისი სულის განწყობა ხომ უცნობია ჩემთვის? ეს კი საქმეში ძალიან ბევრს ნიშნავს: იგი საქციელის ხასიათს ცვლის.

ხდება, რომ ადამიანი აკეთებს საქმეს, როემლიც მის მხილველებს მიუღებლად ეჩვენებათ, მაგრამ იგი მადლიანი განზრახვით ხდება.

შენ ხშირად გაუხარებლად ავსიტყვაობ და სასტიკად განიკითხავ ადამიანს, რომელიც ცხონებასთან შენზე ახლოსაა.

ნუ განიკითხავ მოყვასს: შენთვის ცნობილია მისი ცოდვა, სინანული კი — არა *(ამბა დოროთე)*.

ნურავის დააყვედრებ, არამედ თქვი: „ღმერთი თითოეულს იცნობს“.

უფრთხილდი ვინმეს განკითხვას მანამ, ვიდრე თვით უფალი განსჯიდეს მას *(წმიდა ისიდორე პელუზიელი)*.

ღვთის სამსჯავრო ჯერ არ ყოფილა. მაშ, ნურც შენ განსჯი დროზე ადრე ნურცერთ ადამიანს. შესაძლოა, ცოდვილი გამოსწორდეს, ცუდი კი კეთილი გახდეს.

სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი ნურავის ცხონების გამო, ვიდრე ადამიანს ჯერ კიდევ აქვს სინანულის დრო.

შესაძლოა, უდიდესი ცოდვილიც დიდი წმიდანი გახდეს (ლუკა 19, 9; 1 ტიმ. 1, 15).

სასოწარკვეთას არ უნდა მივეცეთ ბოროტისმოქმედთა გამო, არამედ – გულმოდგინედ უნდა ვილოცოთ მათთავის, რომ კეთილნი გახდნენ. წმიდანთა რიცხვი ყოველთვის ცოდვილთაგან ივსება *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ნურავის განვიკითხავთ დროზე ადრე; ისინი, ვინც ცათა სასუფევლისაგან ყვე-

ლაზე შორს გვგონია და რომლებიც ჩვენ, შესაძლოა, გვძაგს კიდეც ამის გამო, იქნებ წმიდანები გახდნენ და ოდესმე ამის გამო თვით ჩვენ განგვიკითხონ.

✝ნუ განიკითხავ ცოდვილს, რაც არ უნდა დიდი იყოს მისი ცოდვები, რადგან, თუ ის იგრძნობს თავის დანაშაულებათა სიმძიმეს და ღვთისაკენ მობრუნდება, შესაძლოა, უფალი უფრო მეტად შეიყვაროს, ვიდრე მან, ვისაც მძიმე ცოდვები არა აქვს.

✝ცოდვილთა განკითხვისაგან თავს შეიკავებ, თუ ყოველთვის გემახსოვრება, რომ იუდა ქრისტეს მოწაფეთა კრებულში იყო, ავაზაკი კი – მკვლელთა; მაგრამ ერთ წამში მათში სასწაულებრივი გარდასახვა მოხდა *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

✝აღსასრულამდე ნურავის დანატრებ და სიკვდილამდე სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✝არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი ბრძენის სწავლება: „ნურასოდეს იტყვი ცუდს მასზე, ვინც იმ წუთას იქ არ არის“.

ძმაზე, რომელიც იმწუთას იქ არ არის, განმაქიქებელი არაფერი თქვა: ეს ცილისწამებაა, თუნდაც ნათქვამი სიმართლე იყოს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

აშკარა ცოდვებიც კი არ უნდა გაახმაურო.

მოყვასის მკაცრი განსჯა კეთილგანწყობის მაჩვენებელი არ არის, არამედ ადამიანის მიმართ სიძულვილის მიმანიშნებელია.

მოყვასის სიყვარულის დამოწმება მისი არგანკითხვით დასტურდება.

მოყვასის შესახებ ხუმრობით ნათქვამი ცუდიც კი მის მიმართ არაწინასწარგანზრახული ბოროტებაა – ამან შესაძლოა, ძლიერ ავნოს მის ღირსებას.

ხუმრობით დანით მიყენებული ჭრილობა არანაკლებ მტკივნეულია, ვიდრე ის, მტერი რომ განზრახ დაგაწყლულებს, – ამგვარადვე, მოყვასის ღირსება, რომლის შესახებაც რაიმე მცდარი, ხუმრობით ნათქვამი სიტყვის გამო ბოროტი ხმები ვრ-

ცელდება, არანაკლებ ილახება, ვიდრე – წინასწარგანზრახული ცილისწამების შედეგად.

✝ჭეშმარიტი სიყვარული მოყვასის მიმართ არა მხოლოდ არ გამოამჟღავნებს მის ნაკლოვანებებს, არამედ პირიქით, რამდენადაც შესაძლებელია, ცდილობს, დაფაროს ისინი სხვა ადამიანების თვალთაგან (1 პეტ. 4, 8).

✝დაცემული ფეხზე უნდა დააყენო და არა – დასცინო *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✝გონს მოიყვენე ცოდვილი, მაგრამ ნუ განიკითხავ დაცემულს; რამეთუ ეს უკანასკნელი ავი საქმეა, პირველი კი – გამოსწორების სურვილი *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✝სხვა საქმეა მოყვასის განკითხვა არასასურველი განწყობით და სხვაა მისი სიყვარულით გონს მოყვანა: პირველს თავი აარიდე და მეორე გააკეთე.

✝ვისაც მოყვასი სინანულით მწუხარებისაკენ მიჰყავს, ის მას ზიანს არ აყენებს (2 კორ. 7, 9) *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ცოდვილ მეგობარს მსაჯულის შესახებ შეახსენე. ამით მასაც სარგებელს მოუტან და საკუთარ თავსაც; რამეთუ ეს რჩევითი მკურნალობა სასარგებლოა როგორც მისთვის, ისე – შენთვის *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ნუ იჩქარებ მოყვასის მხილებას, არამედ ამისათვის შესაფერისი დრო ეძიე.

ჩუმად მამხილებელი მეგობარი გონიერი ექიმია, ხოლო მრავალთა თვალწინ მკურნალი – მაგინებელია *(წმიდა ისააკ ასური)*.

თავი ავარიდოთ ავისმეტყველებას, ამ უდიდეს და სამწუხაროდ, ძალზე გავრცელებული ცოდვას; მომაბეზრებელი ბუზებივით ნუ მივეტანებით სხვის ჭრილობებს; უმჯობესია, მივბაძოთ გონიერ ფუტკარს, რომელიც ყოველთვის ყვავილებზე ჯდება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ფუტკრის მსგავსად ყველა ყვავილისაგან გამოვსრუტოთ თაფლი, ანუ დავინახოთ და აღმოვაჩინოთ მშვენიერი თვისებები მოყვასში და საკუთარ თავში აღვანთოთ მათი მიბაძვის სურვილი.

თუ სხვისი საქმეების გამოცდა გსურს, მათ კეთილ საქმეებს შეხედე და არა – ბოროტს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

სხვებში სათნოებები დავინახოთ, საკუთარ თავში კი – ცოდვები.

ნურასოდეს იტყვი სხვაზე იმას, რისი მოსმენაც საკუთარ თავზე არ გსურს.

სხვებზე ცუდს ამბობ; როგორც ჩანს, არ გეშინია, რომ ისინი ცუდს იტყვიან შენზე, რამეთუ თვითონ აძლევ მათ ამისათვის საბაბს.

სხვებზე ცუდს ამბობ და მათში მცირე ნაკლოვანებასაც კი ამჩნევ; როგორც ჩანს, არ გეშიანია, რომ ისინი შენს უფრო დიდ ნაკლოვანებებზე ილაპარაკებენ!

უმჯობესია, საკუთარ თავზე ცუდი მოისმინო, ვიდრე – სხვაზე თქვა ცუდი *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

ჩვენ საკუთარ თავს ვაყენებთ შეურაცხყოფას, როდესაც ამას სხვას ვუკეთებთ.

ვინც მოყვასის ცოდვებს აზვიადებს, ის თვითონ ძალზე პატარაა ღვთის თვალში.

ვინც ნახატს დასცინის, ის მის მხატვარს დასცინის. „ვინც საპყარს დასცინის, მის შემოქმედს შეურაცხყოფს“ (იგავ. 17, 5).

საკუთარი ენა ღვთის სადიდებლად მივმართოთ. ყოველდღიურად გავარჩიოთ ჩვენი ცხოვრება, სხვისი ცხოვრების განსჯა კი მივანდოთ მას, ვინც ზუსტად უწყის დაფარული *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

თუ ზრახვა შენი ძმის შესახებ რაიმე ცუდის სათქმელად გიბიძგებს, დაფიქრდი, რაოდენ საშიშია ეს შენი სულისათვის, ღვთისთვის კი – საძაგელია – და დამშვიდდები *(აბბა ისაია)*.

ავისმეტყველ სულს სამკაპა ენა აქვს: იგი ზიანს აყენებს საკუთარ თავს და მსმენელს, ზოგჯერ კი მასაც, ვისზეც ავმეტყველებს.

მოყვასის განკითხვით შენ მასაც ზიანი მიაყენე, ვინც გისმენდა. თუ ის ცოდვილია, უდარდელი ხდება, როდესაც ცოდვაში თანამზრახველს იპოვის; ხოლო თუ მართალია,

ამპარტავნებაში ვარდება და სხვისი ცოდვის გამო ამაყდება, რაც საბაბია იმისათვის, რომ დიდი წარმოდგენა შეექმნას საკუთარ თავზე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠გველმა ევა სამოთხიდან გამოდევნა წყევით; ამიტომაც მოყვასზე ცუდის მთქმელი გველს ჰგავს. ის ღუპავს მსმენელის სულს და ვერც საკუთარს აცხოვნებს.

✠სინდისის წესად დაიდგინე, რომ არასოდეს არავისზე ცუდი არ თქვა. თუ არ შეგიძლია, სხვას წინ აღუდგე ავსიტყვაობაში, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, შენი მდუმარებით მაინც უჩვენე, რომ არავითარ მონაწილეობას არ იღებ მის ავსიტყვაობაში.

✠მოყვასის არათუ განკითხვა, არამედ განკითხვის მოსმენაც კი არ შეიძლება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠ცილისმწამებლებს და მათ შორის, ვინც მათ სიამოვნებით უსმენს, ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც დამნაშავესა და მის თანამზრახველებს შორის.

✗ცილისმწამებელსა და მის მსმენელს – ორივეს ეშმაკი ჰყავს – ერთს ენაზე და მეორეს – ყურებში.

✗მოყვასის დამამცირებელი და განმკითხველი სიტყვის მოსმენისას გაფრთხილდი, რათა სმენით სხვისი ენის ცოდვის თანამოაზრე არ გახდე. ნუ დაუდებ გულს სიტყვებს, რომლებიც განმკითხველს უფრო ავნებს, ვიდრე მას, ვინც განიკითხეს.

✗განკითხვის მოსმენისას წესად გქონდეს – არ დაიჯერო. როდესაც ერთ ბერთან ვიღაც მივიდა და მეორე ადამიანის შესახებ ცუდის თქმა დაიწყო, მოძღვარმა ჰკითხა: – „საიდან იცი ეს?“ მან უპასუხა, ერთმა კეთილმა ადამიანმა მითხრაო. – „არა, ის კეთილი არ არის, – უპასუხა ბერმა, – ასეთი რომ იყოს, სხვაზე ცუდს არ იტყოდა“.

✗როდესაც უფალმა სოდომელთა გოდება მოისმინა, არ დაიჯერა, ვიდრე საკუთარი თვალით არ იხილა (შეს. 18, 20-21); ასევე

ყოველთვის არ უნდა დავიჯეროთ მოყვასის ლანძღვა.

თუ ძმა მოყვასს შენს წინაშე განიკითხავს, დაუფიქრდი და ნუ გააღიზიანებ მას უფრო მეტად და ნუ ეტყვი – დიახ, ეს ასეა; არამედ ან გაჩუმდი, ან უთხარი მას: მე თვითონაც ცოდვილი ვარ და სხვისი განკითხვა არ შემიძლია. – ამით საკუთარ თავსაც იხსნი და მასაც *(სულიერი მარგალიტი)*.

როდესაც ვინმე შენი თანდასწრებით მოყვასის განკითხვას დაიწყებს, თავი აარიდე მას. რაც უფრო სწრაფად გაბაკეთებ ამას, ღვთის წინაშეც და ამ ადამიანთანაც მართალი იქნები *(წმიდა ისააკ ასური)*.

თუ არ შეგიძლია, რომ განმკითხველი დაადუმო, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, მასთან ურთიერთობას მაინც მოერიდე *(წმიდა ისაკ ასური)*.

უფრთხილდი ცილისმწამებელს, როგორც უფრთხილდები ჭირის წყლულით დაავადებულ ადამიანს, რათა თვითონაც არ

დაავადდე და არ დაილუპო *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✠ვინც მოყვასის განმკითხველ ენას განერიდება, ის თვითონაც აარიდებს თავს ავისმეტყველების მანკიერებას *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✠თუ ყურს გაუფრთხილდები, ენით არ შესცოდავ *(აბბა ისაია)*.

✠ნუ დაეთანხმები ცილისმწამებელს, ნუ გაერთობი მისი ავი სიტყვით; მაგრამ ნურც სიძულვილის განცდა გექნება იმის მიმართ, ვინც მოყვასს განიკითხავს.

✠ცოდვა უნდა გძულდეს, ცოდვილი კი უნდა გიყვარდეს.

✠გეშინოდეთ ვინმეს განკითხვისა გულშიც კი და — არა მხოლოდ აშკარად.

პირფერობა და პირმოთნეობა

❦არაფერი ისე სწრაფად და ადვილად არ დაგაზიანებს, როგორც პირფერობა.

❦არ არსებობს იმაზე სასტიკი განსაცდელი, ვიდრე პირფერ ადამიანთან შეხვედრაა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

❦პირფერი ადამიანი ყოველგვარ მხეცზე საშინელია. ცხოველი ისეთს გიჩვენებს საკუთარ თავს, როგორიც არის სინამდვილეში, ასეთი ადამიანი კი ხშირად თავმდაბლობისა და სათნოების ნიღაბქვეშ მალავს თავის შხამს, ასე რომ, ძალზე ძნელია, ამოიცნო და ფრთხილად იყო მისი ვერაგობასთან *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

❦ვინც გეპირფერება, ის აშკარა მტერზე საშიშია შენთვის.

❦პირფერს ენაზე თაფლი აქვს, გულში კი ღვარძლს ატარებს – სიტყვით მშვიდობას გპირდება, საქმით კი მახვილს გიმზადებს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

პირფერი ადამიანი იოაბს ჰგავს, რომელსაც ამესიას მკვლელობის განზრახვა ედო გულში (2 მეფეთა 20, 9-10); ეს არის იუდა, რომელმაც ამბორით გასცა ძე კაცისა (ლუკა 22, 47-48).

პირფერნი თვით იმ ნაკლოვანებისთვისაც კი გვაქებენ, რომლებიც თვითონვე არ მოგვწონს საკუთარ თავში *(წმიდა გრიგოლ დიოლოღოსი)*.

ვინმეს გულწრფელ შექებასაც კი ერიდე, რადგან თავმდაბალ ადამიანს ის არ უყვარს, ამპარტავანი კი კიდევ უფრო ქედმაღალი ხდება.

არის სამყაროში რაღაც ისეთი, რასაც არ შეიძლება, ეწოდოს პირფერობა, მაგრამ მას ჰგავს: ეს თავაზიანობაა.

ნუ იქნები თვითონ მლიქვნელი და ნურც სხვას მისცემ საშუალებას, თავი დაიმციროს შენს წინაშე და გეპირფერებოდეს: პირველი ცბიერი და ვერაგი ადამიანის თვისებაა, უკანასკნელი კი — პატივმოყ-

ვარე და ამპარტავანისა *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*.

✣როდესაც პირფერები ჩვენს ქებას იწყებენ, გავიხსენოთ ჩვენი ყველა უკანონო ქმედება და ისე დავუჯეროთ პირფერობის ცრუ ხმას. მაშინ მშვენიერი პიროვნება, რომლის მორგებასაც ცდილობენ ჩვენზე, ჩვენს დამახინჯებულ სახეს აღარ მიესადაგება.

✣ზოგიერთი ჩვენი სათნოების უკანა სახე მრავალ მანკიერებაზე უარესია.

✣ისეც ხდება, რომ ზოგიერი დიდებისათვის იმდაბლებს თავს *(ამბა დოროთე)*.

✣ზოგიერთს ბაგეზე მეზვერის სიტყვები აკერია, მაგრამ გული და აზრები ფარისევლისა აქვს.

✣მრავალნი სიტყვით აღიარებენ ღმერთს, ზნეობით კი მასთან დაშორებულნი არიან *(წმიდა გრიგოლ დიოლოღოსი)*.

✣ზოგიერთი მზად არის, მთელ კაცობრიობას ძმასავით ჩაეხუტოს, მაგრამ ეს

მხოლოდ სიტყვით, საქმით კი ძმასაც არ მოეხვევა.

დაუკვირდით, რომ უპატიოსნო ადამიანი განუწყვეტლივ საუბრობს პატიოსნებაზე. ნუ ენდობით იმას, ვინც ზედმეტად აქებს პატიოსნებასა და გულუხვობას, და ნუ დაეძებთ დაცვას იმისაგან, ვინც უდროოდ და ყველგან მამაცობაზე საუბრობს.

მლიქვნელნი, ჩვეულებისამებრ, სხვაში იმას ხედავენ, რასაც თვითონ აკეთებენ, თანაც გაცილებით ხშირად (ლუკა 13, 15; რომ. 2, 1-2).

მლიქვნელებს ფუტკარივით ბაგეზე თაფლი აქვთ, პირში კი – ბოლმა.

მძიმე მდგომარეობაა, როდესაც ბაგეზე სიწმინდეა, გულში კი უკანონობა და ბოროტება *(ამბა ისაია)*.

მტკივნეულია, როდესაც ბოროტება კეთდება, მაგრამ უფრო მტკივნეულია, როდესაც სიკეთისაგან ბოროტებას ქმნიან!

სიძულვილი ანდა შური სათნოების ნიღაბქვეშ – იგივეა, რაც მწარე წყალი ოქროს ჭურჭელში *(წმიდა ეფრემ ასური)*.

უმჯობესია, კარგი იყო და სხვის თვალში ცუდად დარჩე, ვიდრე კეთილი სახელი გქონდეს და ადამიანთათვის დარჩე მატყუარა კუბოდ, რომელიც სავსეა გახრწნილი ცხედრების სიმყრალით, გარედან კი თეთრად ბრწყინავს და თვალისათვის სასიამოვნო ფერები აქვს *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

ჩვენ, ადამიანებს შორისაც არ არის იმდენად საძაგელი ის, ვინც სიყვარულსა და პატივისცემას არ გვიჩვენებს, რამდენადაც ის, ვინც საძულველს სიყვარულს უჩვენებს ანდა საძაგელს საპატიოსავით ექცევა: ასევე განა არ იქნება, ყოვლისმჭვრეტელი ღვთის წინაშე საძაგელი ის, ვინც სათნოებისა და სიწმინდის წინაშე მხოლოდ გარეგნულად გამოხატავს მოკრძალებას, რომელიც გულში არა აქვს?

ნუ იყოფინ, რომ ბაგეზე ერთი რამ გვქონდეს და გულში კი – მეორე. „ღმერთი არა შეურაცხ იქმნების“ (გალ. 6, 7). იგი ერთნაირად ხედავს როგორც დაფარულს, ისე – გაცხადებულს.

მიაჩვიე ენა, ის ილაპარაკოს, რაც გულში გაქვს.

გამოსცადე საკუთარი თავი: იმას ლაპარაკობ, რაც გონებაში გაქვს? ხანდახან გული შხამითა და ბოლმით ხომ არ გაქვს სავსე?

აშკარა მოტყუებაა, როდესაც ყველას სხვანაირად ექცევიან, ვიდრე ამბობენ და ბაგეებით პირდებიან.

არ არსებობს იმაზე საშინელი და საძაგელი ტყუილი, ვიდრე ის, რომელიც ფარავს ბოროტებასა და სიცრუეს გულახდილობის საფარქვეშ და რელიგიის მიღმა აფარებს.

ნუ იქნები ორპირი, ანუ სიტყვით ერთს რომ ამაბობდე და გულში სხვა გქონდეს;

რამეთუ ასეთი, წმიდა წერილის მიხედვით, წყევას ექვემდებარება (ზირ. 28, 15) *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

✠ვისაც გულში სიავე აქვს და ენით კი მლიქვნელობს, მისი ლოცვა და ღვაწლი ამაოა.

✠როგორც ნაყოფის შიგნით გაჩენილი მატლი მთელ შიგთავსს სპობს და მხლოდ გარეკანს ტოვებს საღს, ასევე პირფერი მთელ შინაგან სათნოებას ანადგურებს.

✠ყოველთვის ისე მოიქეცი, რომ შენი ქმედებების მიზეზი საერთო წესით მთელ კაცობრიობას ემსახურებოდეს.

✠ნუ ეცდები, მართალი გამოჩნდე, მაგრამ ასეთი იყავი. რამეთუ ცნობილია, რომ არასოდეს არ არის მართალი ის, ვინც ცდილობს, მართალი გამოჩნდეს.

✠კი არ უნდა გეჩვენებოდეს, არამედ სინამდვილეში ასე უნდა იყოს.

✠ატარე სათნოების სახე, მაგრამ არა იმისათვის, რომ მოატყუო ისინი, ვინც გხე-

დავენ, არამედ იმისათვის, რომ მათ სარგებლობა მოუტანო *(წმიდა ნილოს სინელი).*

✝უეჭველად ისეთი უნდა იყო, როგორიც გინდა ჩანდე, თუ საკუთარი თავისათვის სიკეთე გსურს.

✝ჩვენ გაცილებით მოგებულნი ვიქნებოდით, ისეთები რომ ვჩანდეთ, როგორნიც სინამდვილეში ვართ, ვიდრე წარმოვაჩენდეთ იმას, რაც სინამდვილეში არ არის.

✝პირფერებს ხშირად იგივე ემართებათ, რაც ცხოველებს, რომლებიც საკუთარ ბუნაგში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, მაგრამ ადრე თუ გვიან გამოდიან და გამოჩნდებიან ხოლმე. ასევე პირფერებმა, რაც არ უნდა დაფარონ საკუთარი თავი სიმართლის ნიღბით, შემდგომში მაინც გამომჟღავნდება მათი მდაბალი სული.

✝არაფერია დაფარული, რაც შემდგომში არ გაცხადდება (ლუკა 8, 17).

მეფე და სახელმწიფო

ხელმწიფის ძალა ღვთისადმი ერთგულებაშია, სახელმწიფოს ძალა კი — თავისი მეფისადმი ერთგულებაში.

მიწიერ მეფეზე სამართლიანად განსჯით ჩვენ ზეციურ მეუფეს განვსჯით.

მეფის პატივისმცემელი ერი ამით ღმერთს აამებს, რადგან მეფე ღვთივკურთხეულია.

პირამიდა ერთმანეთზე დალაგებული მრავალი ქვისაგან შედგება, და თითოეული მათგანი მთლიანობისათვის აუცილებელია: ეს საზოგადოების სახეა. მაგრამ მალლა ქვების უფრო ნაკლები რაოდენობაა, ხოლო სულ თავში მხოლოდ ერთია.

სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი უცვლელია: შეიძლება, ქვედა ზემოთ გადავიტანოთ, მაგრამ ყოველთვის იქნება ქვემოთა და ზემოთა, ნება და იძულება, სიმდიდრე და სილარიბე, სიამოვნება და ტანჯვა.

თუ სახელმწიფო მართვის გარკვეული სახისათვის მომწიფდა, განმტკიცდა, გაფართოვდა და აყვავდა, ნუ შეეხებით ასეთ მმართველობას; როგორც ჩანს, იგი მისაღებია სახელმწიფოსათვის, ამიტომ მასში სხვა მმართველობის შემოღება დამღუპველი და საზიანო იქნებოდა.

გულითადი მადლობა გადაუხადე უფალს და ილოცე იმისათვის, რომ იგი იფარავს შენს სიცოცხლეს, სახლს, შვილებს, მამულს და შენი წინაპრების ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

დედამიწაზევე ნეტარია სახელმწიფო, რომელიც თავის მოქალაქეებს ზეციური სამეუფოს მოპოვებაში დაეხმარება.

მეფისა და ხალხის ერთიანობა ჭეშმარიტ რწმენაში არის ცხოველმყოფელი წყარო მათი სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და ძალისა.

მიწიერი მეუფება მხოლოდ ზეციურთან კავშირშია მტკიცე და ჭეშმარიტად წარმატებული.

ადამიანთა ჭეშმარიტი კეთილდღეობა ვნებათაგან გათავისუფლებაში მდგომარეობს; ვნებათა შეკავება მხოლოდ რწმენით, ღვთისმოსაობითა და სიმტკიცითაა შესაძლებელი.

თვით ყველაზე უდიდესი გონებაც კი, თუ იგი ვნებითაა გატაცებული, ზოგჯერ უფრო მეტად ხალხთა მტერია, ვიდრე — კეთილისმყოფელი.

სახელმწიფოებს ჰყავთ შინაური არაკეთილიმსურველებზე უფრო სახიფათო მტრები — გარყვნილება და ბიწიერება, რომლებიც ყრუ და ნელ, მაგრამ გაცხოველებულ და გამუდმებულ ომს აწარმოებენ კეთილზნეობის წინააღმდეგ; და ეს ომი უფრო საშიში და დამღუპველია, რადგან თითოეული მოქალაქის გაერთიანებული ძალისხმევის გარეშე მას ვერც თავიდან ავიცილებთ და მისი შეწყვეტაც შეუძლებელია.

საზოგადოების გამოსწორების საუკეთესო საშუალება მისი თითოეული წევრის მიერ საკუთარი თავის გამოსწორებაა.

ისინი, ვინც საკუთარ ცხოვრებას ზეცაში იწყობენ, მიწაზე უკეთესი მოღვაწეები და საზოგადოების უკეთესი წევრები არიან.

მეფეთა უკეთესი მსახური და მამულის ყველაზე საიმედო დამცველი ისაა, ვინც ღვთის ერთგული გულითა და სუფთა სინდისით ზეციური სამშობლოს ნამდვილ რწმენას ატარებს.

ის მეომარია ჭეშმარიტად დაუმარცხებელი, რომლისთვისაც რწმენის, მეფისა და მამულისათვის მოწამეობის გვიგვინი ისევე სასურველია, როგორც – გამარჯვებისა.

მშვიდობა, სიყვარული, ერთიანობა – საზოგადოების ყველაზე უფრო მტკიცე საყრდენი და ყველაზე ძლიერი ჯაჭვია, რომელიც მის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ყველაფერი, რასაც სიყვარული ვერ აერთიანებს, არარაობაა და სიყვარულის გარეშე არცერთი სხვა ჯაჭვი ნამდვილი

არ არის. რასაც ანგარება აერთიანებს, იმას ანგარებავე არღვევს; რასაც ძალადობა აერთიანებს, ის ძალადობითვე ინგრევა; რასაც დროის ძლიერება აერთიანებს, მას იგივე დროის სიმძლავრე ანგრევს. მარადიულად დაურღვეველია მხოლოდ ის, რასაც სიყვარული აერთიანებს, რამეთუ სიყვარული სიკვდილზე და კაცობრიობაზე ძლიერია.

ერთსულოვნებას მცირეს გამრავლება და გამრავლებულის შენახვა ძალუძს.

მუსიკოსები ერთმანეთისაგან გარკვეულ მანძილზე განლაგდებიან, და მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავენ, დამატყვევებელი კეთილხმოვანებას ეს ხელს მაინც არ უშლის. ეს არის იმ სიკეთის გამოხატულება, რაც საზოგადოების წევრთა ერთობას მოაქვს.

უთანხმოების გამო საზოგადოება ირღვევა: ბოროტ სულთა სამეფოშიც კი გარკვეული დაქვემდებარება არსებობს.

კარგი მმართველობა იქაა, სადაც მოქალაქენი მსაჯულებს ექვემდებარებიან, მსაჯულნი კი – კანონს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ჭეშმარიტებამ გადამეტებული სიმკაცრით არ განდევნოს მოწყალება, რათა ეს მოწყალება გადამეტებული შემწყნარებლობით ჭეშმარიტებას არ დაშორდეს.

იმისათვის, რომ სახელმწიფოებრივ სარბიელზე მრავალრიცხოვანი მოვალეობების აღსრულებისათვის კარგი შემსრულებლები არსებობდნენ, საჭიროა, გონივრულად შეირჩეს თანამდებობის პირები და ასევე გონივრულად წახალისდეს მათი შრომა.

აირჩიეთ არა ის, ვინც თანამდებობას ეძიებს, არამედ ის – ვისაც თანამდებობა ირჩევს.

ჯილდოს მიცემა მისთვის, ვინც მას არ იმსახურებს, არა მარტო წყალობას არ წარმოადგენს მისდამი, არამედ – უსამართლობას სხვათა მიმართ.

სახელმწიფო ბედნიერია, როდესაც მას ბოროტები არ განაგებენ.

თუ შლამი ფსკერზეა დალექილი, წყალი სუფთა რჩება, მაგრამ როგორც კი რაიმე არასწორი მოძრაობით შლამი ზემოთ ამოვა, აქამდე სუფთა წყალი სისუფთავეს კარგავს და იმღვრევა. ამის მსგავსად, ადამიანთა საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწილი ბოროტია, მაინც სუფთაა, მშვიდობიანი, როდესაც მისი არაწმიდა სტიქია ფსკერზეა; როდესაც უკეთური ადამიანები, საყოველთაო აზრით სამართლიანად დამცირებულნი, ვერ აღწევენ ხელისუფლებას, პატივსა და სხვებზე გავლენას, მაშინ ისინი ამღვრევენ სუფთა წყალსაც და კეთილ ადამიანებსაც, ანდა თავიანთი გავლენით აცდუნებენ, ან თავიანთი ძალით შეჭირვებისა და მწუხარებისაკენ უბიძგებენ; თანაც, როდესაც ძლიერდებიან, მთელ საზოგადოებას აზიანებენ.

სახელმწიფოს პატივი და დიდება ხელმწიფის პატივი და დიდებაა. ქვეშევრდომებზე ზრუნვით იგი საკუთარ თავზე ზრუნავს.

ის მოქალაქე იდგამს მარადიულ ძეგლს თავის მამულში, ვინც თესავს მასში ერთადერთ მარადიულს – ზნეობრივ სიკეთეს.

პატიოსანი და კეთილი მოქალაქე თავის საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებს და ემორჩილება თავისი სახელმწიფოს კანონებს არა მათი დარღვევის გამო სასჯელის შიშის, ანდა – გამორჩენისა თუ ჯილდოსთვის, არამედ – სინდისისა და სიყვარულის გამო.

თუ მეფისა და სამეფოს მსახურებაში აშკარად დგას პირადი პატივი და გამორჩენა, რისი მომტანია ასეთი სწრაფვა – თავის შეწირვისა მამულისათვის თუ მამულის შეწირვისა საკუთარი თავისათვის?

კანონის მორჩილება მხოლოდ შიშის გამო ნიშნავს დამდაბლებას გარეული მხეცების მდგომარეობამდე, რომლებიც ასევე არ ესხმიან თავს ფარას, როცა მათ მოდარაჯე ადამიანებსა და ძაღლებს ხედავენ.

ვისაც იმდენი მამაცობა არ აქვს, რომ გულზე აღბეჭდილი წმიდა კანონის დარღვევას სიკვდილი ამჯობინოს, ის სიცოცხლის ღირსი არც არის.

მიწიერი სამეუფოს ცუდი მოქალაქე არც ზეციურისათვის გამოდგება.



მაღალი წოდებისა და მდგომარეობის პირთა და მათდამი დაბალი რანგის ადამიანების დამოკიდებულების შესახებ

ყოველგვარი წოდებისა და განათლების – დიდისა თუ მცირეს მქონე ადამიანები, ზუსტად და გულმოდგინედ უნდა აღასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს საკუთარი და საზოგადოების კეთილდღე-

ობისათვის, ასევე უნდა ზრუნავდნენ საკუთარი ზნეობრივი განვითარებისა და სრულყოფილსათვის. მაგრამ ეს განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე ადამიანთა ვალია, მათი გავლენის ფართო სპექტრიდან გამომდინარე, რასაც მათი ცხოვრება და საქციელი ახდენს წოდებით და მდგომარეობით მათზე დაქვემდებარებულ ადამიანთა მასაზე.

რაც უფრო ფართოა ჩვენი მოღვაწეობის სარბიელი, მით უფრო მნიშვნელოვანია პატივი, რომლითაც ვსარგებლობთ; მით მეტად ვართ ვალდებულნი, საკუთარი კეთილი მაგალითით წინ აღვუდგეთ ბოროტს და შევეწიოთ სიკეთეს.

როგორც წყალი მაღალი ადგილებიდან დაბლისაკენ მიემართება და ყოველთვის ვერ აკავებს წინააღმდეგობებიც კი, ასევე საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის მქონე ზნეობრივი სული მიბაძვით დაბლა მდგომში გადადის – მიუხედავად გარკვეუ-

ლი წინააღმდეგობებისა, რომელსაც წოდების განსხვავება შობს.

✠ხარისხი ანდა პატივი ქრისტიანისათვის უღელია, რომელიც ღვთის სახელის სადიდებლად და მოყვასის სასარგებლოდ უნდა დაიდგას *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✠დიდი მდინარეები თავისთვის რიდი მიედინებიან; დიდი ხეები თავისთვის როდი იზრდებიან, არც დიდი ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ საკუთარი თავისთვის.

✠დიადი, მაგრამ საზოგადოებისათვის უსარგებლო ადამიანები მაღალი მთის წვერს ჰგვანან, რომელიც, თოვლითა და ყინულით დაფარული, მზის ყოველი ამოსვლისა და ჩასვლისას ბრწყინავს ბრწყინვალე სხივებით და მზერას ატყვევებს, მაგრამ, გამუდმებით შიშველი და უნაყოფო დარჩება – სიცოცხლის ყოველგვარ ნიშანწყალს მოკლებული.

✠ღვთისაგან განდიდებულებმა თავმდაბლობა მისგანვე უნდა ისწავლონ.

ცნობილი, მაგრამ უგუნური დიდებული მთაზე მდგომ ადამიანს ჰგავს, რომელსაც ქვემოთ მოსიარულე ადამიანები პატარებად ეჩვენება, მაგრამ მათთვის თვითონაც ასეთივე ჩანს.

დიდებულნი ამაყად და ზიზღით არ უნდა უცქერდნენ მათზე დაბლა მდგომებს, უნდა ფიქრობდნენ, რომ ღვთის წინაშე ყველა თანასწორია, რომ მის მართლმსაჯულ თვალში „მეფე მეომერზე აღმატებული არაა, პატრონი კი – მონაზე“. დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და თანამდებობის მქონე ადამიანები პატივისცემითა და მოკრძალებით ეკიდებიან თავისზე მაღლა მდგომთ, მაგრამ მათ წინაშე თავს მონებად უნდა გრძნობდნენ, არ უნდა ემლიქვნელობდნენ მათ და, მითუმეტეს, არაფერი არ უნდა გააკეთონ მათთვის სასიმოვნოდ – ღვთისა და სინდისის საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში ისინი პლანეტებს უნდა ჰგავდნენ, რომლებიც მზის გარშემო მოძრაობენ, რო-

გორც მორჩილნი თავიანთი მეუფისა და ამასთან, იოტისოდენადაც არ არღვევენ დროის კანონებსა და სივრცის საზღვრებს, რომელიც მათ სამყაროს შემოქმედმა დაუდგინა.

ნუ გაგიკვირდება, თუ დაინახავ, რომ ადამიანმა მიწაზე დიდ წარმატებებს მიაღწია; არამედ გიკვირდეს იმისი, ვინც მიწიერი დიდება მოიძულა *(წმიდა ეფრემ ასური)*.

როდესაც ძლიერის წინაშე წარსდგები, გახსოვდეს, რომ ყოვლადძლიერი ხედავს ყოველივეს, რაც ხდება, და ეცადე, ღმერთს აამო და არა – მიწიერ ძლიერებას.

ნუ ეცდები, ქრისტეს გარდა ვინმეს მოაწონო თავი, და ღვთის გარდა ნურავის მრისხანებისა ნუ შეგეშინდება.

უფრო მეტად ღვთისა და მარადიული ტანჯვისა გეშინოდეს, ვიდრე – ადამიანებისა და ხანმოკლე განრისხებისა.

საქმე, რომლის აღსრულებაც ღმერთმა დაგვაკისრა, არასოდეს არ უნდა გადადო იმისათვის, რომ ადამიანს აამო.

ადამიანის ნების აღსასრულებლად ღვთის ნებას ნუ უგულებელსჰყოფ *(წმიდა ანტონი დიდი)*.

ჩვენ ნაკლებად უნდა ვიფიქროთ იმ შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც ადამიანებმა მოგვაყენეს, თუკი მათდამი მორჩილება ღმერთს შეურაცხყოფდა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

სელმძღვანელთა მოვალეობანი

ბრავალნი ადამიანებზე ბატონობენ და მეუფებენ, მაგრამ თვითონ საკუთარი ვნებების მონები და ტყვეები არიან *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ცუდი და უაზროა ადამიანებზე მბრძანებლობა, როცა თვითონ ვნებებისგან ხარ შეპყრობილი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✣ლატაკია ის მსაჯული, რომელიც ენითა და კალმით განსჯის ადამიანებს, თვითონ კი განუწყვეტლივ მხილებული და განსჯილია საკუთარი სინდისისაგან *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✣საქებარი როდია უფროსობის ძიება, მაშინ, როცა ჯერ საკუთარ თავზე ბატონობა ვერ გისწავლია.

✣ჯერ საკუთარი თავის მართვა უნდა ისწავლო, შემდეგ კი – სხვებისა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✣მბრძანებელო! გსურს, მოიპოვო დიდება? მაშ, ჯერ შენი ხელისუფლების კანონებს დაემორჩილე.

✣თუ ადამიანებს შორის ხარ განდიდებული, გახსოვდეს, რომ შენს ზემოთ ღმერთია (კოლ. 4, 1).

✣მიწაზე მართლმსაჯულების აღმასრულებელს თვითონ უნდა ეშინოდეს – ზეცაში ღვთის მართლმსაჯულებისა *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✻რაც უფრო დიდია ჩვენი მაგალითის გავლენა სხვებზე, მით უარესი დაგვემართება საკუთარი ცოდვების გამო.

✻რაც უფრო ფართოა მოღვაწეობის სფერო, მით მეტია პასუხისმგებლობა; რასაც ერთს არ მოჰკითხავენ საყოველთაო სამსჯავროზე, სხვა იმისათვის განისჯება.

✻ქსოვილი ისე მოხერხებულად არ იღებს საღებავს, ჰაერიდან ისე სწრაფად და ადვილად არ შეეყრებათ ცხოველებს რაიმე მძიმე დაავადება, რასაც გადამდები სენი ჰქვია, როგორი სისწრაფითაც დაქვემდებარებულნი ითვისებენ უფროსთა ნაკლოვანებებს, უფრო მეტიც — ნაკლოვანებებს უფრო სწრაფად, ვიდრე მის საპირისპიროს — სათნოებას *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✻როგორც საკმეველი კეთილსურნელებით ავსებს ჰაერს და გარშემომყოფებს ატკბობს, ასევე ღვთივსათნო ბატონი ანდა ქალბატონი ემსახურება გარშემომყოფთა აღზრდასა და ცხონებას *(წმიდა ბასილი დიდი)*.

თქვენს ხელქვეითებს ისე მოექეცით, როგორც ისურვებდით, რომ თქვენი უფროსი მოგექცეოდათ.

ისეთი იყავი მომსახურეებთან, როგორიც გინდა, რომ იყოს უფალი შენს მიმართ.

ნუ დასჯი მკაცრად მცირე დანაშაულისათვის, თითქოსდა თვითონ სრულიად მართალი იყო; და ნურც ხშირად ამხილებ, რამეთუ ეს დამამძიმებელია, ხშირად მხილების ჩვევას უგრძნობლობასა და დაუდევრობამდე მივყავართ *(ამბა დოროთე)*.

უმჯობესია, ხელქვეითებს უყვარდე, ვიდრე ეშინოდეთ, რადგან შიში სიცრუესა და პირფერობას ბადებს, სიყვარული კი — ჭეშმარიტებასა და გულმოდგინებას *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

ღვთისმიერი წინაგანგებულებით ისეა მოწყობილი, რომ დედა ფუტკარს შხამი არა აქვს; რადგანაც მას რომ ის ჰქონოდა, ყველა ფუტკარს მოკლავდა. აი, მაგალითი უფროსთათვის! უფროსისათვის სრულიად

დაუშვებელია, თავდავიწყებამდე მიეცეს მრისხანებასა და გაღიზიანებას, რათა თავისი მრისხანე თავდასხმით ყველა ურჩი არ დაღუპოს *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

ხელმძღვანელთა ვალი გადარჩენაა და არა – დაღუპვა.

ადვილად ნუ დაუჯერებ დამსმენს, არამედ ერთი ყურით უსმინე მას, მეორე კი – მოპასუხისათვის დაიტოვე *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ხელმძღვანელი კეთილი და, ამავე დროს, მკაცრი უნდა იყოს, რათა ღვთივსათნო ადამიანებს მასთან თავისუფლად შეეძლოთ მისვლა, ბიწიერთ კი ეშინოდეთ მისი. თუ ერთ-ერთი ამ თვისებათაგანი არ ექნება, ხელისუფლება უფრო მეტად დაემსგავსებოდა უხელმძღვანელობას, ვიდრე – ხელმძღვანელობას. ყველა ხელქვეითს რომ უყვარდეს სათნოება, მაშინ უფროსს მხოლოდ სიკეთე დასჭირდებოდა, ხოლო თუ ყველა ისინი მანკიერნი იქნებოდნენ, მაშინ

იგი მხოლოდ მკაცრი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რამდენადაც ხელქვეითთა შორის არიან კეთილნიც და ბოროტნიც, ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სიკეთეცა და სიმკაცრეც, რათა თავისი სიკეთით კეთილზნეობრივ ადამიანებში სიკეთის სიყვარული განამტკიცოს, ხოლო შიშით ავები დანაშაულის ჩადენას გადაარჩინოს *(წმიდა ისიდორე პელუზიელი)*.

✠ნურასოდეს გაიხარებ ისე, რომ ამ სიხარულს მწუხარება მოჰყვეს; ნურასოდეს იქნები მწუხარე ისე, რომ ამ ნაღველისაგან მადლი არ მიიღო.

✠დამნაშავეთა შეწყნარება კარგია, მაგრამ უფრო მეტად საჭიროა ის, რომ უდანაშაულონი არ დავამძიმოთ.

✠ვინც ბოროტებას დაინდობს, ის კეთილებს გულს სტკენს.

✠სიკეთე სიმტკიცის გარეშე სისუსტეა.

✠ერთი მოვალეობის აღსრულება მეორის უგულებელყოფის უფლებას არ იძლევა.

საჭიროა, გქონდეს თანაგრძნობა ადამიანთა მიმართ და სამართლიანობა – ნაკლისადმი.

ვინატი ტიროდა, როდესაც ერთ ადამიანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ვილაცამ მას უთხრა: „შენ დამნაშავის გამო ტირი; მაშ, რატომ დასაჯე იგი?“ „უნდა დაემორჩილო ბუნებას, რომელიც სიბრალულს გვინერგავს, – უპასუხა მან – და დაემორჩილო კანონს“.

ქვეშევრდომთა მოვალეობები

ეცადე, საკუთარ თავს ფლობდე, შენი უფროსის ნებას კი დაემორჩილო.

ხელმძღვანელს დამორჩილებული ღმერთს ემორჩილება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

თუ დროებითი ხელისუფალი, რომელიც გიბრძანებს, თავისთავად არ იმსახურებს

შენს მორჩილებას, ამას იმსახურებს უმაღლესი ხელისუფალი, რომლის სახესაც დროებითი წარმოგიდგენს.

✠დამორჩილება უფრო ადვილი იქნება, თუ ნაკლებად ვიფიქრებთ ადამიანზე, რომელსაც ვემორჩილებით, ვიდრე ღმერთზე, რომლის გამოც ვალდებულნი ვართ, ადამიანს დავემორჩილოთ.

✠მშვიდობის შვილებს არამშვიდობიან ხელისუფალთანაც შეუძლიათ, მოთმინებით შეინარჩუნონ მშვიდობა.

✠ის, ვინც არ უსმენს თავისი უფროსის რჩევა-დარიგებებს, არ ასრულებს, ანდა ცუდად ასრულებს ბრძანებას, არ შეიძლება, იყოს კარგი უფროსი.

✠ადამიანს, რომელსაც უჭირს ქვეშევრდომად ყოფნა, კიდევ უფრო მეტად გაუჭირდება ადამიანების ხელმძღვანებლობა *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✠უგუნური და გამოუსწორებელი ხელქვეითი გონიერი და გამოსწორებული უფროსი ვერ იქნება.

არავინ იქნება უსაფრთხოდ უფროსობისას, თუ მორჩილებას არ ისწავლის.



სამღვდელო მსახურება და მოვალეობანი

ზნეობრივი თვალსაზრისით მღვდელი იგივეა, რაც – მეომარი სამოქალაქო თვალსაზრისით. მხედრები იცავენ ხალხს სახელმწიფო მტრებისაგან, მწყემსები კი – ზნეობრივი მტრებისაგან. დიდება მეომრებს, რომლებიც მკერდით აეფარებიან თავიანთ სახელმწიფოს საშიშროების ჟამს. ხელშეუვალი პატივი ეკუთვნით მღვდლებსაც, რომლებიც თავიანთი ღვაწლით შეყევისაგან იცავენ ეკლესიას, რწმენა და ზნეობას.

თითოეულ მოძღვარს ორი დიდი საქმე აკისრია: პირველი საკუთარი სულის ცხ-

ონებაა, მეორე კი, პირველისაგან განუყოფელი – მათ ხელმძღვანელობას მინდობილი სულის გადარჩენა. „ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა“ (საქმ. 20, 28). ასეთია მთავარი წესი სამღვდელო მსახურებისა!

მღვდელი არა მხოლოდ თვითონ უნდა შევიდეს, არამედ სხვებიც უნდა შეიყვანოს ცათა სასუფეველში.

ძლიერი უნდა იყოს ის, ვისაც სხვისი უძლურების ტვირთვა დაეკისრა.

თუ წმიდა ეკლესია ადვილად არ ანდობს გაუწაფავს წმიდა წერილის კითხვას – ხელმძღვანელობის გარეშე, განა ამით მღვდელთაგან, როგორც ხელმძღვანელთაგან არ ითხოვს, მასში ღრმა განსწავლას?

ადამიანს, რომელსაც არასოდეს უგემია თაფლი და ცდილობს, სხვას აუხსნას, რა ტკბილია იგი, ჰგვანან მოძღვრები, რომლებიც სულიერ სწავლებებს ქადაგებენ და თვითონ არასოდეს უგემიათ და გამოუცდიათ იგი.

ვინც თავისი თანამდებობის გამო, ვალდებულია, სიწმიდეზე ილაპარაკოს, იგი ვალდებულია აგრეთვე, თავისი ცხოვრებითაც სიწმიდეს წარმოადგენდეს.

ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი, პირველ რიგში, თვითონ უნდა იყოს ჭეშმარიტი და სამართლიანი.

ყველასათვის სასურველი მშვიდობა კიდევ უფრო მეტად სასურველია მშვიდობის დამარღვეველთათვის.

ის, ვინც საკუთარი სულის ცხონებაზე არ ზრუნავს, არასოდეს იზრუნებს მოყვასის სულის ცხონებაზე.

მქადაგებელი კეთილი საქმეებისა და უბიწო ცხოვრების გარეშე — რომელიც ასწავლის და არ ქმნის, ვერავითარ სარ-

გებელს ვერ მოუტანს თავის მსმენელებს და მიემსგავსება ქუხილს ელვის გარეშე, სროლას – ისრის გარეშე, ისრის გარეშე დაჭიმულ მშვილდს, მარტო იქუხებს და მხოლოდ სიტყვებს ისვრის, მაგრამ ღვთის შიშით ვერ აღანთებს მსმენელთა გულებს.

✠ვისაც სხვისი ჭრილობების მკურნალობა სურს, თვითონ უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი ავადმყოფობისაგან, რათა არ მიემართებოდეს მას სახარების სიტყვები: „მკურნალო, განუკურნე თავი შენი“ (ლუკა 4,23) *(წმიდა კასიანე რომაელი)*.

✠სხვის ვნებებზე ვერ იბატონებს ის, ვისაც ჯერ საკუთარი არ დაუძლევია *(წმიდა ისიდორე პელუზიელი)*.

✠როდესაც გემზე მოცურავე უშვებს შეცდომას, ეს მასთან ერთად მოცურავეებს დიდ ზიანს არ აყენებს; ხოლო, როდესაც მესაჭე უშვებს შეცდომას, ამას საყოველთაო სიკვდილი მოაქვს; ასევე ხელქვეითთა ცოდვით დაცემა საზოგადოებას იმდე-

ნად არ ავნებს, როგორც თვით მათ, ხოლო სამღვდელო ხარისხის მქონეთა ცოდვებს ყველასთვის ზიანი მოაქვს *(წმიდა ისიდორე პელუზიელი)*.

თუ იესო ქრისტემ უბრალო ადამიანზე – მაცდუნებელზე თქვა: „ვაი მას, რომლისაგან მოვიდეს საცთური“ (ლუკა 17, 1). მაშ, რაღა უნდა ითქვას მაცდუნებელზე – ეკლესიის მსახურზე?

მრევლის დამოკიდებულება მოძღვრის მიმართ

ჩვენი სულიერი მოძღვრის წინაშე გაცილებით მეტად ვართ ვალდებულნი, ვიდრე – ხორციელი მამის წინაშე, რადგან ეს უკანასკნელნი ამ სოფლისა და საერო ცხოვრებისათვის გვშობენ, პირველნი კი – ზეცისა და მარადიული ცხოვრებისათვის *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ყველა მღვდელს პატივი ეცი, მაგრამ კეთილთან იარე *(წმიდა ნილოს სინელი)*.

შენს ხელმძღვანელად ის აირჩიე, ვინც თავისი ცხოვრების წესით უფრო ასწავლის, ვიდრე იმით, რაც მისგან ესმით.

რომც არ იცოდეთ, ესა თუ ის მოძღვარი მღვდლობის ღირსია თუ – არა, ქრისტეს მცნებების გამო ნუ მოიძულებ მას. როგორც სუფთა ოქრო არ ზიანდება, თუ იგი ჭუჭყით დაიფარება, ასევე – ყველაზე სუფთა მძივი, თუ რაიმე არაწმიდა და შებილწულ ნივთს შეეხება; ამის მსგავსად, მღვდლობა არ შეირყვნება ადამიანისაგან, თუნდაც იგი ულირსი იყოს *(წმიდა ეფრემ ასური)*.

ღვთის ძღვენი ისეთი არ არის, რომ იგი სამღვდელო სათნოებაზე იყოს დამოკიდებული *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

როდესაც ხედავს ზოგიერთ მოძღვარს, რომელიც არ შეეფერება სამღვდელო ხარისხს, მრევლიდან მრავალი ხშირად გაურკვევლობაში ვარდება იმის გამო: არის

თუ არა მადლმოსილი ის ღვთისმსახურება, რომელსაც ის აღსრულებს? ასეთ ერისკაცთა დასამშვიდებლად და სანუგეშოდ მოვიყვან წმიდა იოანე ოქროპირის შენიშვნას: „მღვდელი მხოლოდ პირს აღებს, ყველაფერს კი ღმერთი აღასრულებს“. წმიდა იოანე ოქროპირის ეს შენიშვნა მართლაც ჭეშმარიტება. მთესველი ხშირად უსუფთაო ხელით თესავს მარცვალს. ამის მიუხედავად, ყანა, ღვთის წყალობით, უხვ მოსავალს იძლევა.

✝ცოდვილ ბაგეებში გამოვლის შემდეგ წმიდა წერილი კვლავ წმიდად რჩება.

✝როდესაც სასარგებლო სიტყვა გესმის, ნუ განსჯი იმას, ვინც მას ამბობს, რათა სასარგებლო სწავლებას არ მოაკლდე.

მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ

✠შენ შვილების ხორციელ მამად იწოდები; სულიერი მამაც იყავი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✠მხოლოდ შობა როდი ხდის მამად, არამედ – შვილების კარგი განათლებაც.

✠თუ შვილების შობა შეძელი, მათი კარგად აღზრდაც უნდა შეძლო, რათა ღირსეულად ატარო მამის სახელი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✠მხოლოდ საშოთი ტარება კი არ ხდის დედად, არამედ – შვილების კეთილად აღზრდა.

✠პირველი სიტყვა ღვთის შესახებ ბავშვს უნდა უთხრას იმან, ვისაც მისი პირველი ღიმილი ეკუთვნოდა.

✠როდესაც დედა შვილს შობს, ჯერ სამყაროს ადამიანს ჩუქნის, შემდეგ კი – ზეცას ანგელოზი უნდა მისცეს.

❧ბავშვის ზნეობრივი მდგომარეობა თითქმის მთელი მისი ცხოვრების მანძილზე უმეტესწილად დამიკიდებულია დედის ზნეობრივ გავლენეზე. „მოგვეცით საუკეთესო დედები, – ითქვა ერთხელ, – და საუკეთესო შვილები გვეყოლება“.

❧არ არსებობს აღზრდაზე უმაღლესი ხელოვნება. მხატვარი და მოქანდაკე მხოლოდ უსიცოცხლო ქანდაკებას ქმნიან, ბრძენი აღმზრდელი კი ქმნის ცოცხალ სახეს, რომლის ცქერაც ღმერთსაც უხარია და ადამიანებსაც *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

❧მშობლები, რომლებიც არ ზრდიან თავიანთ შვილებს ისე, როგორც საჭიროა, დროებითი ცხოვრებისათვის შობენ მათ, მაგრამ მარადიული სიკვდილისათვის კარს უხსნიან.

❧წყლის წვეთი გლუვ ზედაპირზე იქითკენ მიდის, საითაც თითით წაიყვან; ასევე ნორჩი, ნაზი ბავშვი შეიძლება, წარმართო ერთ ან მეორე მხარეს (კარგიც და ცუდ-

იც) და საითაც გინდა, იქით მიდრიკო *(ნეტარი იერონიმე).*

ყრმა შეიძლება, შევადაროთ დაფას, რომელიც სურათის დასახატადაა გამზადებული: რასაც მხატვარი აღბეჭდავს მასზე – ცუდს თუ კარგს, სიწმიდეს თუ ცოდვას, ანგელოზს თუ ეშმაკს – ის დარჩება. ასევეა ბავშვიც: როგორ ზნეობასაც მისცემენ მას მშობლები აღზრდის დასაწყისში – ღვთისთვის სათნოს თუ ღვთისთვის საძაგელს, ანგელოზებრივს ასწავლიან თუ ეშმაკეულს – სწორედ იმ ზნეობით იცხოვრებს იგი *(წმიდა დიმიტრი როსტოველი).*

ჭურჭელი არ კარგავს თავის სურნელებას – ცუდს თუ კარგს – რითაც იყო იგი სავსე. ასევეა ბავშვის აღზრდაც! ამიტომ აუცილებელია, მას ბავშვობიდანვე ვასწავლოთ სიკეთე *(წმიდა დიმიტრი როსტოველი).*

ბავშვების მიმართ დაუდევრობა ერთერთი უმძიმესი ცოდვაა და ეს უწმიდურების უკიდურესი ხარისხია.

✦მშობლები არა მხოლოდ საკუთარი ცოდვებისათვის დაისჯებიან, არამედ თავიანთი შვილებისაც, თუ მათ ღვთისმოშიშებით არ აღზრდიან *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✦შვილები, რომლებიც მშობლებს აღზრდის დროს ავიწყდებოდათ, თავისი მხრივ, ივიწყებენ მშობლებს, როცა გაიზრდებიან.

✦ბავშვებისადმი უდიდესი გაუფრთხილებლობაა მხოლოდ მათთან გართობა ან მათით გართობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დგება დრო, რომ გართობაზე მეტად მათ სწავლაზე უნდა იზრუნონ *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

✦ბავშვებისათვის მხოლოდ ალერსი და სიამოვნება საზიანოა. ყვავილების სილამაზე მზის სხივებზეა დამოკიდებული, მაგრამ როდესაც სხივები ძალიან მწველია, მაშინ ყვავილები ღეროებზე ჭკნებიან ხოლმე.

✦ახალგაზრდა ირიბი ხე ირიბად და უსახურად რჩება, თუ სინორჩეშივე არ გაასწორებენ. იგივე ითქმის ბავშვებზეც. თი-

თოეულ მათგანში შეიმჩნევა თავნებობა და თავისებური ხასიათი. მათი ამ გამოვლინებების უყურადღებოდ დატოვება ნიშნავს იმას, რომ ჩვენთავის საყვარელი არსებანი მთელი ცხოვრების მანძილზე უბედურებისათვის გავწიროთ.

ყრმა, რომელშიც ცუდი მიდრეკილებები კარგზე მეტად ვითარდება, ჰგავს ჭიისაგან გამოხრულ ნორჩ ხეს, რომელიც საკუთარ თავში ნგრევის საწყისს მალავს.

ბავშვებს უნდა მივუტევოთ ქარაფშუტობა და უყურადღებობა, და არა – ბოროტება და მზაკვრობა.

იმ ბავშვების გამო, რომელთა ტირილისაც მშობლებს მათი უსაქციელობის შემთხვევაშიც ეშინიათ, შემდგომში თვითონვე ხშირად უწევთ ტირილი.

უკეთესია, ბავშვი ტიროდეს მამის გამო და არა მამა – შვილის გამო.

ისე აწყენინე სხვას, მითუმეტეს, შენს შვილებს, რომ შემდეგ მათ გაგახარონ (2 კორ. 2, 2; 7, 9).

მებაღე ნორჩ, ახლადდარგულ ხეს მიწაში მყარად დამაგრებულ სარზე მიაბამს, რათა ქარმა არ ამოგლიჯოს იგი და ზედმეტ ამონაყარს აჭრის, რათა მათ ზიანი არ მიაყენონ და არ დააჭკნონ ნორჩი მცენარე. ასევე მოექეცით თქვენს შვილებს: მათი გულები ღვთის შიშით განამტკიცეთ, რათა საცდურისაგან არ შეირყენენ; მოკვეთეთ მათში გაჩენილი საცდურები, რათა ისინი არ განმტკიცდნენ და არ მოკლან წმიდა ნათლისღებით დაბადებული შინაგანი ახალი ადამიანი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

აღზრდისას არც ზედმეტი სირბილეა საჭირო, არც სიმკაცრე – მხოლოდ გონიერებაა საჭირო.

გაღიზიანებული მასწავლებელი კი არ ასწავლის, არამედ – აღიზიანებს.

მშობლებო! „ნუ განარისხებთ შვილთა თქუენთა“ (ეფეს. 6, 4), არამედ – გიყვარდეთ: სიყვარულის ხმას გული ყოველთვის ეხმიანება.

ის კი არ არის გონიერი, ვისაც დასჯა შეუძლია, არამედ იგი, ვისაც დანაშაულებრივი საქციელისგან დაცვა ძალუძს.

სასჯელი გამოსწორების აუცილებელი საშუალებაა, მაგრამ არა – ერთადერთი.

შემწყნარებლობას, სიმართლესა და სიყვარულს შეუძლიათ და ვალდებულნი არიან, რომ შეერთდნენ.

ჭრილობებს ღვინით ბანენ და ზეთით მკურნალობენ. ასეევა აღზრდის დროსაც: შემწყნარებლობა შეერთებული უნდა იყოს სიმკაცრესთან *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*.

„როზგის გვერდით ვაშლი უნდა იდოს“. – თქვა ბავშვის ბუნების ერთმა მცოდნემ.

ჯერ თვითონ იყავი ის, რადაც გსურს, სხვა აქციო.

თუ სხვისი აღზრდა გსურს, ჯერ საკუთარი თავი აღზარდე ღმერთში.

როგორ გეყოლებათ წესრიგში შვილები, თუ თვითონ უწესრიგო ცხოვრებას ეწევით *(წმიდა ბასილი დიდი)*.

კეთილი მაგალითი ყოველგვარ სწავლებაზე აღმატებულია – ნუ დაივიწყებ ამას, მამავ.

ღვთის შემეცნება და მისდამი მოწიწება საქმით აჩვენე და არა – სიტყვით *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

საქმეები სიტყვებზე მეტად მეტყველებენ.

მაგალითი მიმზიდველია. დამოძღვრის მიუხედავად, რამდენი ბავშვი სწავლობს მშობლისაგან ჩხუბს, მრისხანებას, შურს!

ნაკლები სიტყვა გახდება საჭირო, თუ, რაც საჭიროა, იმას გააკეთებ. მხატვარი თავისი სურათებით მეტად ასწავლის *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

საქციელითა და ცხოვრებით სწავლება ყველაზე უკეთესია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ვინც ასწავლის და ცხოვრობს ღვთივსათნოდ, ის ორმაგად ასწავლის.

ვისაც გონიერი შვილების ყოლა სურს, ღვთივგონივრულად მოიქცევა, თუ მანამდე საკუთარ თავს ღირსეულ მშობლად გახდის.

✠შენს ვაჟიშვილს სიმდიდრეს კი ნუ დაუტოვებ, არამედ – საკუთარ თავზე კეთილ ხსოვნა; არა – ოქრო, არამედ პატიოსანი სახელი; არა ვერცხლი, არამედ – მეცნიერება, არა მდიდრული სახლი, არამედ – მოთმინების უნარი, არა ცნობილი, არამედ – კეთილი მეგობრები.

✠ბედნიერნი არიან ის ბავშვები, რომელთა მშობლებიც ღვთის ტაძარში ხშირად დადიან და თავიანთ საცხოვრებელს სამლოცველო სახლად აქცევენ და ამით მათ ღვთისმოსაობის მაგალითს აძლევენ! მაგრამ ვის შეუძლია, ჩასწვდეს იმ ბავშვთა უბედურებას, რომელნიც მშობელთაგან ამქვეყნიური უწმინდურობის გავლენით იზრდებიან და ამით სისხლისმსმელი მოლოხისათვის შეიწირებიან მსხვერპლად? (იერ. 32, 35).

✠ვინც ბავშვებს ეკლესიის გარეშე გაზრდის, იგი მათ ღმერთისა და ყოველგვარი ბედნიერების გარეშე ტოვებს.

✠რა სარგებელია, თუ ბავშვები მთელ ცხოვრებისეულ სიბრძნეს შეითვისებენ, ზუს-

ტად შეიტყობენ მაღალი საზოგადოების ყველა წეს-ჩვეულებას, თავიანთი სიმარჯვისა და გონებამახვილობის წყალობით ხმამაღალ ქებას დაიმსახურებენ და ყოველივე ამასთან ერთად, ექნებათ დასახიჩრებული და მზაკვარი გული და ქრისტიანული მოვალეობების აღსრულებისა შერცხვებათ?

ყრმისათვის მხოლოდ გონების განვითარებაზე ზრუნვა და მისი შერყვნილი გულის გამოუსწორებლობა ნიშნავს იმას, რომ დახელოვნებულ ბოროტმოქმედს ხელში მჭრელი მახვილი მისცე. უმეცრებას რელიგიის გარეშე თავისი სიბრიყვით ნაკლები ბოროტების გაკეთება შეუძლია; ხოლო უღმერთოს მოქნილი, განვითარებული გონება ადამიანთა მოდგმის ჭირიცაა; მას ძალუძს, თავზარი დასცეს საზოგადოებას და გადმოაფრქვიოს დამღუპველი შხამი არა – მხოლოდ დღევანდელ, არამედ – მომავალ თაობებსაც, რისი მაგალითიც, სამწუხაროდ, მრავლად არსებობს.

თუ შენი შვილები ცუდად ცხოვრობენ, ამან არანაკლები მწუხარება უნდა მოგიტანოს, ვიდრე – მათი სიკვდილი მოგიტანდა.

ღვთივსათნო შვილები საუკეთესო ნუგეშია კეთილმორწმუნე მშობლებისათვის, საუკეთესო სამკაულია ცოცხალი მშობლებისათვის და საუკეთესო ძეგლია გარდაცვლილი მშობლებისათვის.

გონიერი და კეთილი ძე დიდება და პატივია მამისათვის.

ბედნიერია ის მამა, რომელიც თავის შვილებს საკუთარ თავზე უფრო მომწიფებულსა და სათნოებებით აღსავსეს ხედავს.

შვილების მოვალეობები მშობლების მიმართ

თუ ვიფიქრებთ, რა გააკეთეს ჩვენთვის ჩვენმა მშობლებმა, თავსარდ-

აცემულნი დავრჩებით ჩვენი ვალის განუსაზღვრელობით *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)*.

გაიხსენე, რა ბევრი გადაიტანეს მშობლებმა შენს გამო, ვიდრე გაიზრდებოდი; როგორ ფრთხილად გატარებდა დედა მკერდქვეშ, როგორი მტანჯველი ტკივილებით გშობა, როგორ გაბანავებდა, ძუძუს გაწოვებდა, გაცმევდა, უძილო ღამეებს ატარებდა შენს გამო; რა დაუღალავად შრომობდა მამაშენი შენს გამოსაკვებად! გიხაროდეს, თუ მოგეცა შესაძლებლობა, სანაცვლო მიაგო შენს მშობლებს იმ შრომისათვის, რომელიც მათ შენთვის გასწიეს.

თუ, მოციქულთა სწავლებისამებრ, ცოლს „უნდა ეშინოდეს ქმრისა“ (ეფ. 5, 33), მაშინ, რასაკვირველია, უფრო მეტად უნდა ეშინოდეთ შვილებს საკუთარი მშობლებისა.

მშობლებისადმი მორჩილება არა მხოლოდ მოვალეობაა, არამედ – სასარგებლოცაა ჩვენთვის. მათი ბრძნებით გვე-

ბოძა სიცოცხლე და მათი მორჩილებით შეგვიძლია, მისი გახანგრძლივება; რამეთუ მშობლების მორჩილება აღთქმის პირველი მცნებაა (ეფ. 6, 2).

✠შვილებო! გაუფრთხილდით მშობლების კურთხევას ათასგზის უფრო მეტად, ვიდრე სხვა – მემკვიდრეობას.

✠საკუთარი შვილების ქება ამპარტავნებას ნიშნავს; საკუთარი მამისა და დედის ძაგება საკუთარი თავის ძაგებას ნიშნავს.

✠როგორც შენ ექცევი მშობლებს, ისევე მოგექცევიან საკუთარი შვილები.

✠ღმერთი მშობლების უმადურ შვილებს ხშირად საკუთარი შვილების უმადურობით სჯის.

✠ისე მოექეცით მშობლებს, როგორც ისურვებდით, რომ თქვენი შვილები მოგექცნენ.

სიყმაწვილე

ბედნიერია, ვინც ყრმობიდანვე ემზადება უზენაესი მსაჯულის წინაშე წარსადგომად, რომელიც ყველა ასაკში ჩადენილი ცოდვისათვის მოითხოვს პასუხს.

ყრმობისათვის მოხუცებულობა უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ შეუნანებელ ახალგაზრდას დაღუპვა ელის.

გრძნობადი სიამოვნებებისაკენ უგუნურად მიდრეკილი რამდენი ახალგაზრდა ეძლევა ამ გასართობებს, დროებით თუ მარადიულ ინტერესებს სრულად ივიწყებს, პეპლების მსგავსად — რომელთაც ჰგონიათ, რომ ცეცხლი ისეთივე მოკრძალებულია, რამდენადაც მშვენიერი — უგუნურად იწვავენ მასზედ ფრთებს!

გინახავთ, როგორ აცლის ქარი გაზაფხულის ყვავილებს ხეებს. სიცოცხლითა და სილამაზით აღსავსე ყვავილი სრულიად ჭკნება, როდესაც ფესვს მოცილებულს ხელში დასრჩენენ — ამრიგად, ნორჩ ასაკში

დაზიანებული ყველაზე ლამაზი ხე სამუდამოდ მახინჯდება, უნაყოფო ხდება და მხოლოდ ცეცხლში დასაწვავად თუ გამოდგება; ეს სათნობებს განშორებული ახალგაზრდობის სახეა, რომელიც მზაკვარ სამყაროსა და მის სიამოვნებებსა თუ ვნებებს მისცემია.

ბოროტი ეშმაკი ცდილობს, განსაკუთრებით ახალგაზრდები დააშორის სათნოების საქმეებს; მაგრამ შენ, ყმაწვილო, ნუ მოიხიბლები მისი მზაკვრობით! ვინც დილით გაუდგა გზას, ის უფრო მალე მიაღწევს დანიშნულების ადგილს, ვიდრე ის, ვინც საღამომდე გადადო წასვლა.

ჰოი, რამდენი ცრემლის ღირსია თანამედროვეობის ხრწნა! სურთ, რომ ღვთისმოსავნი გახდნენ არა სხვაგვარად, არამედ იმით, რომ ღმერთს სიბერეში ამ სოფლისადმი ცოდვილ მსახურებაში უგუნურად გაფლანგული საკუთარი ძალების ნარჩენები მიუტანონ.

ღმერთს სურს, რომ შენ მის მსახურებას მიუძღვნა მთელი ცხოვრება და არა – მისი უარესი ნაწილი.

ცხოვრების ნელი გამოსწორება მხოლოდ ასეთ რამეს გამოხატავს: „დაე, ჩემში ჯერ ცოდვა ბატონობდეს, შემდეგ ოდესმე ღმერთიც იბატონებს; თავდაპირველად „ასონი ჩემნი წარუდგინებთ საჭურველად სიცრუისა ცოდვასა“, შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, „საჭურველად სიმართლისა ღმერთსა“ (რომ. 6, 13). ასე შესწირა კაენმა მსხვერპლი: რაც უკეთესი იყო, თავისთვის დაიტოვა, ხოლო უარესი – თავის შემოქმედსა და სიცოცხლისმომნიჭებელ ღმერთს. ვიდრე შრომის უნარი გაქვს, ახალგაზრდობას ცოდვაში აატრებ, ხოლო, როდესაც დასუსტდები, მაშინ უძღვნი საკუთრ თავს ღმერთს, როდესაც სხეული აღარაფერში გამოდგება და იძულებული ხარ, უმოქმედოდ დატოვო იგი *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✠ვინც სიბერეს ელოდება იმისთვის, რომ საკუთარი თავი ღმერთს მიუძღვნას, ის ნათლად აჩვენებს, რომ სურს, საკუთარი თავი სათნოებისათვის შემოინახოს იმ დროისათვის, როდესაც სხვა არაფრის გაკეთება აღარ შეეძლება.

✠გონიერება სიბერის უამს უკვე გონიერება აღარ არის, არამედ ის, რომ ადამიანს თავშეუკავებლობა აღარ ძალუძს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✠ცუდი ქრისტიანია ის, ვინც მხოლოდ იმიტომ არ სცოდავს, რომ ხელი და ფეხი აღარ ემორჩილება.

✠თუ ცოდვის ჩადენას ასაკის მიზეზით შეწყვეტ, ეს შენი უძლურების წყალობით მოხდება. ჩვენ კი ვაქებთ (ღვთის სიტყვაზე დაყრდნობით) მათ, ვინც ნებაყოფლობით არიან კეთილნი და არა მათ, რომელნიც იძულებულნი არიან, ასე მოიქცნენ *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✻დღე დედამიწაზე ყოველთვის საღამოთი მთავრდება; ამიტომ დილის დამკარგავს შეუძლია, ჰქონდეს გარკვეული იმედი, რომ საღამოს აინაზღაურებს დაკარგულს; ადამიანის ცხოვრების დღეს კი ხშირად საღამოზე (მოხუცებულობაზე) ადრე, არცთუ იშვიათად კი — შუადღეზე (მოწიფულობის ასაკი) ადრე მოულოდნელი სიკვდილი წყვეტს.

✻მრავალნი ამბობენ, რომ მოწიფულობის ასაკში მიუძღვნიან თავს ღმერთს, მაგრამ მიაღწევენ კი ამ ასაკს, როგორც ისინი იმედოვნებენ? და თუ მიაღწევენ კიდეც, განა ისე ადვილი იქნება შეცვლა, როგორც ისინი ფიქრობენ?

✻ნუთუ ფიქრობთ, რომ მოხუცებულობის უამს გაფურჩქვნის ასაკზე მეტად იქნებით მზად სინანულისათვის და გექნებათ მეტი სიმტკიცე მის შესანარჩუნებლად, და მოშურნეობა იმისათვის, რომ მისი გამოცდილება აჩვენოთ და ძალა, რომ მისი წინააღმდეგობანი გადალახოთ?

✻რაც უფრო დაგვიანდება სინანული, მით უფრო გაძნელდება იგი.

✻თქვენ თავს იტყუებთ, თუ ფიქრობთ, რომ ვნებები ახალგაზრდობასთან ერთად მიწყნარდება. რამდენი მოხუცია, რომელიც თავისი ცხოვრების პირველი წლების სამარცხვინო მიდრეკილებებითაა დაავადებული! რამდენი ჭაღარა პატივმოყვარეა, რომლებიც დაღლილობას არ უჩივიან, დაუღალავი სიხარბით დასდევენ პატივს, რომელიც მხოლოდ გაზრდის მათი დაკრძალვის დანახარჯს და რამდენიმე ზედმეტ სიტყვას დაამატებს მათ ეპიტაფიაზე! რამდენი ფეთქებადი ადამიანია, რომლებშიც არც სისხლის დადინჯება, არც დაუძლურება არ ამცირებს მათ ძველებურ გაღიზიანებას, რომელიც შეიძლება, გაცოფებამდეც მივიდეს! რამდენი გემოთმოყვარეა, რომლებსაც, ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, მაინც გრძნობენ დაფარულ ცეცხლს, მხოლოდ მათ სიცოცხლესთან ერთად რომ ჩაქრება! რა

საბრალონი არიან თავიანთ სასტიკ მბრძანებლებს დამორჩილებული ეს მონები!

✦ეცადე, ახალგაზრდობის წლებში დაძლიო შენი ცუდი მიდრეკილებანი, ჩვევები და ვნებები, რომლებსაც ჯერ კიდევ ღრმად არ გაუდგამთ ფესვები შენს გულში. რაც მეტად გადადებ ამის გაკეთებას, მით უფრო ძნელი იქნება, შეუდგე ამ მძიმე საქმეს — შენი სულის ცხონებას.

✦რაც მეტად იზრდება ხე, მით უფრო ღრმად უშვებს მიწაში ფესვებს; ასევე, რაც მეტად იზრდება ცოდვილი ჩვეულება, მით უფრო იმტკიცებს ფესვებს ადამიანის გულში *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

✦კარგ ჩვეულებასაც და ცუდსაც დრო კვებავს, როგორც შეშა — ცეცხლს *(წმიდა ჰეტრე დამასკელი).*

✦ცოდვა მთის ნაკადია, რომელიც სიჩქარის მატებასთან ერთად იზრდება.

✦ბავშვობაში გამომუშავებული ჩვევები ახალგაზრდა ხის ფესვზე ამოჭრილ ასოებს ჰგავს; ისინი მასთან ერთად იზრდ-

ებიან ფართოვდებიან და მის ნაწილსაც კი შეადგენენ.

✻რაც უფრო დიდია ხე, მით უფრო ძნელია მისი ამოძრკვა მიწიდან; ასევე, რაც უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება ცოდვილი ჩვეულება, მით უფრო ძნელად თავისუფლდება ადამიანი მისგან *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

✻ჩქარა გამოასწორეთ თქვენი ნაკლოვანებები: ისინი, რომლებსაც გაზრდის საშუალებას მისცემთ, თქვენს საუკეთესო თვისებებს დააზიანებენ.

✻რასაც ასწავლი საკუთარ თავს ახალგაზრდობაში, ის დარჩები მთელი ცხოვრების მანძილზე.

✻წარსულშია აწმყოსა და მომავლის თესლი.

✻რასაც ახალგაზრდობაში დასთეს, მას მოიმკი მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე.

✻ახალგაზრდობაში გულმოდგინება მოხუცებულობის ჟამს პატივს მოგიტანს *(ამბა ევაგრე).*

მოხუცებულობის ჟამს პატივი მანამდე შრომისმოყვარეობის დასტურია *(ამბა ევაგრე)*.

გულმოდგინედ მიიტანე ქრისტეს წინაშე შენი ახალგაზრდობის ნაყოფი და გაიხარებ სიბერეში უვნებელი სიმდიდრით, რამეთუ ახალგაზრდობაში შეკრებილი კვებავს და ანუგეშებს მოხუცებულობის უძლურებას *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

როგორც მშვენიერი დღის საღამოა ულრუბლო, ასევე მშვენიერი ცხოვრების დასასრულია უდარდელი.

ქალწულება და ქორწინება

ქორწინება ქალწულებაზე უმდაბლესია, თუმცა ქალწულება ქორწინებისაგან წარმოიშობა.

ქალწულება სულს ზეციური სიძის – ქრისტეს სასძლოდ, ხის სხეულს კი სუ-

ლიწმიდის ტაძრად აქცევს (1 კორ. 3, 16-17; 6, 19).

✝ქალწულნი თავისუფალნი არიან ღვთის მსჯავრისაგან დედაკაცის მიმართ (დაბ. 3, 16).

✝ქალწული ევასთვის განკუთვნილ სასჯელზე მაღლა დგას.

✝კარგია ქალწულებრივი ცხოვრება; მაგრამ თუ იგი ამქვეყნიურსა და მიწიერს მიეცემა, მაშინ ქორწინებაზე უარესია *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✝რამდენადაც ქალწულება ქორწინებაზე აღმატებულია, იმდენად შეურყვნელი ქორწინება აღმატებულია საეჭვო ქალწულებაზე *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✝ქორწინებით ცხოვრებაშიც შეიძლება, სათნო ცხოვრების ღირსი გახდე.

სიძვა და უბიწოება

ძალწულება და ქორწინება ყველასთვის როდია, ხოლო უბიწოება ყველასთვისაა.

ერიდე ხორციელ ზრახვებს, რადგან იგი სხეულსაც ხრწნის და სულსაც აბინძურებს *(წმიდა ილოს სინელი)*.

თუ გვრცხვენია, რომ ჩვენი მსგავსი ადამიანები ჩვენი საქმეების გაშიშვლებულ უწმიდურებას ხედავენ, გავიხსენოთ, რომ ყოვლადწმიდა უფალი და მისი წმიდანები ხედავენ ჩვენში ვნებიანი ზრახვებისა და ხორციელი სურვილების ფარულ უწმიდურებას.

ბუნებაზე დამკვირვებელთა აზრით, მტრედები განეშორებიან უწმიდურ ადგილს, ფუტკრებიც ვერ ჩერდებიან კვამლთან; ასევე ღვთის მადლი განეშორება იმ გულს, რომელშიც უწმინდური ზრახვებია და ასე ვთქვათ, ცუდი აზრები ბოლავს.

✠უფალი დაივანებს შენში და თავისი წმიდა მადლით იმოქმედებს შენზე მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულად განიწმინდები ხორციელი ზრახვებისაგან.

✠სათნოების გზით სვლა და წარმატება შეუძლებელია უწმიდური ზრახვებისაგან თავის დაღწევის გარეშე.

✠გადარჩენის იმედი არ არსებობს მათთვის, ვინც სიძვის აზრებს ეთანხმება და ტკბობას განიცდის მათით; და პირიქით, ის, ვინც არ ეთანხმება მათ და წინააღმდეგობასაც უწევს მთელი ძალისხმევით, ლოცულობს მათ წინააღმდეგ – გვირგვინს მიიღებს უფლისაგან.

✠როდესაც სული ძილის დროს უწმიდური ცოდვებით შეიბილწება, ეს იმას ნიშნავს, რომ მან ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სრულ უბიწოებას *(წმიდა კასიანე რომაელი)*.

✠როგორც დაზიანებულ წყალსადენში ვერ გაჩერდება წყალი, ასევე გაფანტული თვალი ვერ შეიკავებს უბიწო გონებას *(წმიდა ეფრემ ასური)*.

❦გრძნობებისათვის თავისუფლების მიცემა გულის თავისუფლებასაც ნიშნავს *(წმიდა ისაკ ასური)*.

❦უმჯობესია, გახურებულ ცეცხლთან მიხვიდე, ვიდრე ყმაწვილ ქალთან, როდესაც თვითონაც ახალგაზრდა ხარ, რადგან ცეცხლთან მიახლოებული ტკივილს იგრძნობ და მეყსეულად განეშორები მას, ქალთან საუბარს კი მაშინვე ვერ დააღწევ თავს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

❦უფრთხილდი ქალებს. შენ არც დავითზე წმინდა ხარ და არც — სოლომონზე ბრძენი.

❦ყოველთვის გახსოვდეს, რომ ქალმა გამოდევნა სამოთხის მცხოვრებნი ღვთაებრივი სანახებიდან (ზირ.25, 27).

❦ევას მუდამ იგივე ხასიათი აქვს და მუდამ მომხიბვლელია *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

❦მართალია, ცოლი გყავს, მაგრამ ქალებს მაინც ერიდე.

❦ნეტარია, ვინც ვნებებზე გაიმარჯვებს და არც აზრით და არც გრძნობით არ

ცდუნდება ხორცით, რომელიც სულ მალე ხრწნას მიეცემა! *(წმიდა ეფრემ ასური).*

თუ შენს აზრებში ლამაზი სახე წარმოგიდგება, წარმოიდგინე იგივე ადამიანი უსახური ცხედრის სახით და ვნებიანი სურვილი შენს სულს აღარ დაამძიმებს.

თუ შენს გულს ხორციეული სილამაზე ხიბლავს, წარმოიდგინე, როგორი გახდება იგი ხრწნის შედეგად და დამშვიდდები.

ნუ შეხედავ სანდომიან სახეს, რომელიც დემონური ვნებებისთვის აღგძრავს, არამედ – უფრო მეტად უფრთხილდი მის შხამიან კუდს.

ხორციელი ვნებების დაკმაყოფილების შედეგად მიღებული სიამოვნება სწრაფად გაივლის, მისგან მოყენებული ზიანი კი – სამუდამოდ დაგვრჩება.

მგრძნობელობა უფსკრულია, რომელშიც მრავალი ადამიანი დაიღუპა და დაიხრჩო.

ვნებიანობა გვაიძულებს გავაკეთოთ ის, რის შესახებაც საუბარსაც კი ვერ ვბედავთ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

რაც არ უნდა დიდი იყოს ვნების ძალა, თუ ღვთის შიშით შეიზღუდავ თავს, მის დამარცხებას მაინც შეძლებ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ერთმა ძმამ ბერს ჰკითხა: „როგორ მოვიქცე, მამაო? სამარცხვინო ზრახვები მანადგურებენ“. ბერმა მიუგო: — „როდესაც დედას სურს, რომ ბავშვი ძუძუს მოსწყვიტოს, მწარე ზღვის ხახვს ისვამს. ბავშვი, ჩვეულებისამებრ, მივარდება ძუძუს, მაგრამ სიმწარის გამო სწრაფად განაგდებს. „ასევე შენც, თუ გსურს, შენი ზრახვები სიმწარით დაფარე“. ძმამ კვლავ ჰკითხა: „როგორი სიმწარით უნდა დავფარო?“ „სიკვდილის ხსოვნით და მომავალი ცხოვრების სატანჯველზე ფიქრით“. — უპასუხა ბერმა *(ძველი პატერიკი)*.

თუ ხორციელი ვნების ცეცხლი გწვავს, გეენიის ცეცხლი დაუპირისპირე მას და შენი

ხორციელი ვნების ცეცხლი მეყსეულად ჩაქრება და გაუჩინარდება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

გამოზომილად მიიღე პური და წყალი და სიძვის ეშმაკი განგეშორება.

მუცლის დამთრგუნველი ვნებას ჩაახშობს, მისი გონება კი სიძვის ზრახვებით არ აღივსება.

თუ მეფე მტრის ქალაქის აღებას მოისურვებს, უპირველეს ყოვლისა, უსპობს მას საარსებო წყაროს: შიმშილით შეწუხებული მოქალაქეები მას ემორჩილებიან. იგივე ემართება ხორციელ სურვილებსაც: თუ ადამიანი მარხვითა და თავშეკავებით იცხოვრებს, ზრახვები მის სულს ვეღარ შეაწუხებენ.

როგორც ცეცხლი ვერ აღენთება შეშის, ანდა რაიმე სხვა საწვავი საშუალების გარეშე, ასევე თუ ჩვენს უძლურ ხორცს ნაყროვანებაში არ ჩავაგდებთ, ხორციელი ვნებით არ აღენთება და მშვიდი და ღვთის ნების მორჩილი იქნება *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✠მუცლის მაამებელი და ამასთან ერთად სიძვის სულის დამარცხების მსურველი ჰგავს ადამიანს, რომელსაც ზეთით ცეცხლის ჩაქრობა სურს *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი).*

✠ნაყროვანებასა და ფუფუნებაში უბიწოების შენარჩუნების მსურველი ჰგავს ადამიანს, რომელსაც ჭაობში წოლით მოუსურვებია სიწმინდის შენარჩუნება.

✠როდესაც რაიმე ხორციელი სურვილი გწვავს, მოიძულე იგი და შენს სულს უთხარი: „იმითი მძიმდები, რომ სიამოვნებებს გაკლებ?.. დამშვიდდი, რამეთუ ამით ზეცისა და მისი ყოვლადსასიხარულო მადლის ღირსი გახდები. მცირეოდენი დაითმინე და ნაყოფს მოიმკი *(სულიერი მარგალიტი).*

✠ნურასოდეს გაიხსენებ შენს მიერ ოდესმე ჩადენილ ხორციელ ცოდვებს, რომ მისით კვლავ არ შებღალო შენი სული, არამედ ღმერთს ევედრე და თქვი: — „უფალო, შენ ხედავ ჩემს უწმინდურსა და აურაცხელ ცოდვებს, შენ თავად გამოიძიე

ისინი, მათ შესახებ საუბარს მე ვერ გავბედავ, რომ უმეტესად არ განგარისხო!“



ცოლ-ქმრული მოვალეობები

ქმარი ცოლის თავია, მაგრამ – არა ბატონი.

ქალი, როგორც ადამის ნეკნიდან აღებული, ახლოსაა მის გულთან და ქმრის გულში უპირველესი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი.

ვისაც ცოლი ღმერთზე მეტად უყვარს, – კერპთაყვანისმცემელია; თუ მხოლოდ ვნებისთვის უყვარს იგი, – მეძავია; ხოლო, ვისაც უყვარს იგი, როგორც ქრისტეს – ეკლესია, იგია ჭეშმარიტი ქრისტიანი.

თუ ცოლში ხედავ ცოდვას, ის განაგდე და არა – ცოლი.

დედაკაცი ისეა, როგორც თანამგზავრი-პლანეტა, რომელიც თან ახლავს ქმარს, ამქვეყნიურ გზაზე, იგი გაუმრუდებელი სიმართლით უნდა უძღვებოდეს მის შინაურ ყოფას და მის ირგვლივ სათნოებისა და კეთილგონიერების მოკრძალებულ შუქს ჰფენდეს.

იქნებ ჰგონიათ, რომ სიხარული გულში გარედან მოდის, შეხედე და ნახავ, რომ ის ცხოვრებას შიგნიდან აშუქებს, ოჯახის ქალი, რომელიც თავისი ოჯახის კეთილდღეობით არის დაკავებული, დაუღალავად შრომობს დედისა და დიასახლისის მოვალეობების ჩარჩოში, გართობაზე ფიქრისთვის ვერ იცლის, სამაგიეროდ მეურნეობის მართვა და ოჯახის გაძღოლა ჰარმონიით ავსებს მის გულს.

დედაკაცი, რომელიც საწინააღმდეგო სქესისთვის განკუთვნილ გზას ირჩევს, ისევე მოქმედებს ბუნებისა და საღი აზრის საწინააღმდეგოდ, როგორც კაცი, ქალის მს-

გავსად რომ გამუდმებით თავის მორთულობაზე ზრუნავს და მთელი მისი ღირსება პირადი ტუალეტის ხარისხის შესაბამისად წარმოუდგენია.

ბედნიერია ის, ვინც თავისი დედობის წოდებით ამაყობს და საკუთარ შვილებს ისე უცქერს, როგორც თავის საუკეთესო სამკაულს!

სიძულვილის ღირსია ქალი, რომელსაც შვილები ჰყავს და მაინც შეუძლია, მოწყინებაში იყოს.

ერი და ერში ცხოვრება

ეს სოფელი ჰგავს ბრწყინვალედ მორთულ ხომალდს, რომლის ცქერაც სასიამოვნოა, მაგრამ მასზე მგზავრობა — სახიფათო.

ამჟამინდელი, დაცემული სოფელი ჰგავს ძალზე მდიდარ, უზადო გემოვნებით გაკეთებულ, მაგრამ გაუმართავ საათს. მასში ყველაფერია, რაც ადრე იყო და რაც უნდა იყოს, მაგრამ მასში არ არის ჰარმონიულობა და მარადიულობა. ამიტომ ვინც მოინდომებდა, ამ საათის მიხედვით მოეწყო თავისი ცხოვრების წესი, ყველაფერი ამაო იქნებოდა.

ხეზე მრავალი ყვავილია, მაგრამ ბევრ ნაყოფს გამოიღებენ ისინი? ასევეა სოფელიც – ბევრ რამეს გვპირდება, მაგრამ ცოტას გვაძლევს.

სოფელს სჩვევია ჭეშმარიტების გზიდან ჩვენი აცდენა, მაგრამ მიზანთან იგი არასოდეს მიგვიყვანს; მას ძალუძს წყურვილის გაღვიძება, მაგრამ სულის დაკმაყოფილება არ შეუძლია; ყველაფერს გვპირდება, მაგრამ ბოლოს, უმეტესწილად, ყველაფერს თვითონვე გვართმევს.

სოფელი თავის მონებს უგზავნის იმდენ სასტიკ მეუფეს, რამდენიც ესაჭიროება ვნებებს და ჩვეულებებს.

სოფლის საცდურები არასოდეს თავდება, რამდენადაც სოფელი არის ის, რაც არის.

ცოდვით დაცემის დროიდან სოფელი განუწყვეტლივ აცდუნებდა ადამიანებს, აცდენდა მათ ჭეშმარიტების გზიდან – ღვთის რწმენისა და სათნოებისაგან; სხვათა შორის, სოფლის ეს გავლენა დროის სხვადასხვა მონაკვეთში ერთგვარი არ ყოფილა. ის მეტნაკლებად დამღუპველი იყო, იმისდა მიხედვით, დროის როგორი სული ბატონობდა.

ჩვენს საუკუნეს თავისუფლება თვითნებობამდე დაჰყავს, დამოუკიდებლობა – ანარქიამდე, დათმენა – ინდეფერენტიზმამდე, მშვიდობა – სამხედრო მდგომარეობამდე, პროგრესი – ზნეობის დაცემამდე.

ძველი დრო გვაუწყებს, რომ მიდასი მხოლოდ ერთი შეხებით ყველაფერს ოქროდ აქცევდა, ჩვენი საუკუნე კი ყველაფერს პირიქით აკეთებს – რასაც კი ოქროთი შეეხები, რადაც მოისურვებ, იმად აქცევ მას.

ჩვენს დროში ირონიადას ვნება. ხელოვნებისადმი თითქმის კანონად იქცა.

ცოცხალი თევზი წყლის დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, მკვდარი კი – ქვემოთ, წყლის ფსკერისაკენ. ჭეშმარიტი ქრისტიანი ცოდვილი სამყაროს ნაკადის წინააღმდეგ მიდის, ცრუ კი – მისი სისწრაფით შეიქცევს თავს.

აზრებისა და გრძნობების მეტნაკლებად მიღებული სახე არცთუ იშვიათად მეტნაკლებად საშიშია.

კეთილგონიერებამ და წინდახედულებამ უნდა გვიბიძგოს იმისაკენ, რომ არ დავემორჩილოთ ამა ქვეყნის კანონებსა და ჩვეულებებს, როდესაც ისინი ან საერთოდ არ ეთანხმებიან რელიგიისა და ზნეობის

კანონებს, ანდა ეწინააღმდეგებიან მათ გულდასმით აღსრულებას. ძალზე მცირე გონება აქვს, ხოლო ნებისყოფა კი, როგორც ჩანს, საერთოდ არ გააჩნია იმას, ვინც გარდაუვალად მიიჩნევს ადამიანთა უმრავლესობის მიერ ერთხანს გამართლებულ, შემდგომში კი – უარყოფილ კანონს.

✦მედროვე ადამიანები ისევე არამდგრადნი არიან თავიანთ წესებში, როგორც ცვალებადია დრო და ვნებების კაპრიზები.

✦ადამიანები ჰგვანან ღრუბლებს, რომლებიც ქარის ცვლილებასთან ერთად ჰაერში აქეთ-იქით გადაადგილდებიან *(წმიდა ბასილის დიდი)*.

✦დროის სული სიცრუის სულია. იგი დღეს ერთს აქებს, ხვალ – მეორეს; ის დღეს დასცინის იმ კანონებსა და აზრებს, რომლებიც ხუთი წლის წინ მისაბაძად მიაჩნდა, ხუთი წლის შემდეგ კი, თუ უფრო ადრე არა, უკვე იმას დასცინებს, რომლითაც დღეს აღფრთოვანებულია.

როგორც აღტაცების წუთებში, როდესაც თავში ხმაურია, თვალებში ყველაფერი გაორებულია და თავბრუ გეხვევა – შეუძლებელია, რაიმეს დანახვა ან მოსმენა და შესაბამისად – გაგება; ასევე დროის სულის გავლენის ქვეშ ადამიანები ისეთივე თავბრუსხვევაში არიან და ისევე ნაკლებად ხედავენ და ესმით, როგორც აღტაცების უამს.

ნუ მიაპყრობ მზერას მრავალთა მაგალითს, რომლებიც ფართო გზით მიდიან: ჯოჯოხეთში მრავლისათვის მოიძებნება ადგილი.

იყავი ერში ისე, როგორც ლოთი სოდომში, სადაც ყველა უკანონობას ჩადიოდა, მაგრამ იგი მათ არ ბაძავდა და აკეთებდა იმას, რაც ღვთის წმიდა ნებისათვის სათნო იყო: ასევე მოიქეცი შენც – ნუ მიბაძავ იმას, რასაც ბოროტი სამყარო ჩადის *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ზოგჯერ თანხმობაც ცუდია, ზოგჯერ კი – უთანხმოებაც კარგია.

არიან ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმით სამყაროს მრავალ კანონისა და ჩვეულების უთანხმოება ქრისტიანულ სულთან, მაგრამ რცხვენიათ საზოგადოების წინააღმდეგ წასვლა, რცხვენიათ ღვთისმოსაობისა, მაგალითად სხვისი თანდასწრებით პირჯვრის გადაწერისა, რომ დაცინვა არ დაიმსახურონ. მაგრამ რა არის დაცინვა? თითოეულმა ამ შემთხვევაში ასე უნდა განსაჯოს: „ — როდესაც დაიწყება მთელი სამყაროსთვის საშინელი სამსჯავრო, ისინი ვერ მიშველიან, რომელთა შიშითაც სათნოების საქმეებისგან თავს ვიკავებდი“. ამიტომ უმჯობესია ამ ცრუ სირცხვილის გრძნობაზე ამაღლება, უმჯობესია, ადამიანთა განკითხვის შიშის გადალახვა, რათა კადნიერება მოიპოვო მრისხანე მსაჯულის ტახტის წინაშე.

ადამიანური შიში ღვთის შიშმა უნდა გადაწონოს.

თუ სახალხო სირცხვილზე იფიქრებ, რომელიც ღვთის წინაშე ცოდვილებს მოეწევათ, დროებით სირცხვილს ალარაფრად მიიჩნევ *(აბბა იოანე)*.

შიშობ, რომ რაიმე არასასიამოვნო არ გაუკეთო ადამიანებს და გავიწყდება განაჩენი, რომელიც არაწმიდა კაცთმოთნისათვის არის გამოცხადებული: „ღმერთმან განაბნინა ძუალნი კაცთ-მოთნეთანი. ჰრცხუენოდენ მათ, რამეთუ ღმერთმან შეურაცხყვნა იგინი“ (ფს. 52, 5).

რას იტყვიან ჩემზე საზგადოებაში? – ამბობ შენ. ნუთუ არ ფიქრობ იმაზე, რას იტყვიან შენზე ღვთის მართლანი, რომლებსაც მთელი სამყაროს განსჯის უფლება აქვთ (1 კორ. 6, 2). „იხილონ მართალთა და შეეშინოს და მას ზედა იცინოდიან და თქუან: აჰა, ესერა კაცი, რომელმან არა ყო ღმერთი მწე მისა“ (ფს. 51, 6-7). აი, რას იტყვიან შენზე ისინი, და რა საშინელი სიმართლეა მაოი ბაგეებიდან.

✣ნურასოდეს გააკეთებ რაიმე სამარცხვინოს, თუნდაც იგი მრავალს მოსწონდეს, და ნუ მიატოვებ კეთილ საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ბიწიერებს იგი სძულთ *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✣სამყაროს ყოველმხრივი სიყვარული და პატივისცემა უნდა გამოეხატა ღვთისმოსავი ადამიანების მიმართ, რადგან მათ გამო ღმერთი მიწაზე ბოროტის დღეებს შეამცირებს, ხან მადლს გარდამოავლენს მიწაზე, რომელსაც იგი სხვა შემთხვევაში ვერ მიიღებდა (მათე 24, 22; საქმე მოც. 27, 24) – მაგრამ საქმით სრულიად საწინააღმდეგო გამოდის.

✣ადამიანი ტოვებს სამყაროს – სამყაროც ტოვებს მას – სდევნის.

✣ღვთისმოსავ სულს ამქვეყნად არა აქვს ნამდვილი სახლი და მამული, ყველაგან დევნა და გადასახლებაა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✣ავისმეტყველებისა და ცილისწამების ქარიშხალში (რომლითაც ბოროტი სამყარო თითქმის ყოველთვის უმასპინძლდება

მათ, ვინც არ უყვარს), ისევე მშვიდად უნდა განაგრძო სვლა, როგორც მზე და მთვარე დაცურავენ ცაზე, როდესაც მიწიდან მათ ძაღლები უყეფენ.

არის გაკიცხვა, რომლის დამსახურებაც უფრო სასიმოვნოა, ვიდრე – ზოგიერთი ქებისა. ასეთია სწორედ გაკიცხვა სამყაროსაგან მისი საქმეებისა და ჩვეულებებისაგან ჩამორჩენისა და ქრისტესათვის სრული მიმდევრობის გამო.

ვინც სოფელს სძულს, ის ღმერთს უყვარს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

გაცილებით უკეთესია, მხოლოდ ღმერთს უყვარდე, ვიდრე – მთელ სამყაროს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

დაე, მთელმა სამყარომ შემიძულოს და რაც უნდა, ის მიყოს, ოღონდ ღმერთს ვუყვარდე და თავის წყალობას არ მაკლებდეს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

მზაკვარო სოფელო, გძულვარ? დაე, ასე იყოს! მაგრამ თუ შენი რისხვა მხოლოდ

ჩემი ღვთის წინაშე გამართლებისათვის დავიმსახურე, მაშინ დამამცირე, მდევნე და შეურაცხმყავი, რამდენიც გსურს! მზად ვარ, ვევნო უფალ იესოსთან ერთად, ამაშია ჩემი ნეტარება! აი, როგორი გრძნობით იღებს ქრისტეს მიმდევარი სოფლისგან მიყენებულ ვნებებს!

✤როდესაც ადამიანი სოფლის მიმართ თანაგრძნობას დაკარგავს, მაშინ სამყაროც კარგავს მასზე გავლენას.

✤შეიძულე ეს სოფელი მთელი თავისი მომხიბვლელობით, მხოლოდ ღმერთი და მარადიული ცხოვრება შეიყვარე და სამყაროში ისე იცხოვრებ, როგორც ლოთი – სოდომში, უვნებლად იქნები *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

✤სამყაროს საცდურები თავისთავად კი არ არიან ძლიერნი, არამედ ჩვენი ნებაყოფლობითი სისუსტით.

✤როდესაც ჩიტები ჰაერში მაღლა დაფრინავენ, მათ მახით ვერ დაიჭერ; ასევე შენც ვერ დაგიჭერს ვნებებისა და საც-

დურების მახეები, როდესაც ზეცად ამაღლდები. ვინც მთის წვერზე ავიდა, მას ქალაქი და მისი გალავანი მცირედ მოეჩვენება, მიწაზე მოსიარულე ადამიანები კი – ჭიანჭველებად. ასევე შენც ყველაფერი მიწიერი არარაობად მოგეჩვენება, თუ ღვთის სიყვარულში ამაღლდები *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ამ სამყაროში ისე უნდა იცხოვრო, თითქოს სულით ზეცად იყო, სხეულით კი – საფლავში.

სამყარო არ არის ის წინამძღოლი, რომელსაც უნდა გავყვეთ, არამედ მტერია, რომელზეც ღვთის შვილებმა უნდა გაიმარჯვონ: „ყოველი, რომელი შობილ იყოს ღმრთისაგან, სძლევს სოფელსა (1 იოანე 5, 4).

„ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცალა რა არს სოფლისა ამის“ (1 იოანე 5, 4); ვინც ამ სოფლის მეგობარია, იგი ღვთის მტერია.

ამ სოფლის სიყვარული ღვთის სიყვარულს განგვაშორებს.

ძალიან დიდი პატივი იქნება სოფლისთვის, თუ მას შენი კეთილგანწყობის რაღაც ნაწილს მაინც დაუთმობ.

ამ დროის მეგობრად გახდომა იგივეა, რაც – ღვთის მტრობა.

ვინც ცდილობს, ამ წუთისოფელს აამოს, იგი ღმერთს სათნო ვერ ეყოფა.

ვერავინ მიუახლოვდება ღმერთს, თუ ამ სოფელს არ განეშორება *(წმიდა ისაკ ასური)*.

ამ სოფლისაგან განშორება იმას კი არ ნიშნავს, რომ ოჯახიდან ან საზოგადოებისაგან გაიქცე, არამედ – დატოვო ის ჩვეულებები, თვისებები, წესები, ჩვევები, მოთხოვნები, რომლებიც სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ მიღებულსა და მოწონებულ ქრისტეს სულს.

როგორც უდაბნოში მხოლოდ გარეგნული მყოფობა ვერავის გადაარჩენს, ასევე ვერავის დაღუპავს ამ სოფელში მხოლოდ გარეგნული ცხოვრება.

ადამიანს ადგილი კი არ აცხოვნებს, არამედ – საქციელი. ჩვენი წინაპარი ადამი სამოთხეში დაეცა, მართალმა ლოთმა კი სოდომშიც დაიცვა თავი *(წმიდა ეფრემ ასური)*.

ისეც მომხდარა, რომ მრავალნი კარგავდნენ სრულყოფილებას უდაბნოში, როგორც არ უნდა მადლმოსილი იყოს იგი ცხონებისათვის; ამავე დროს სხვები მას ერში ცხოვრებითაც ინარჩუნებდნენ. ლოთმა უდაბნოში დაკარგა ის უბიწოება, რომელიც გარყვნილ ქლაქში შეინარჩუნა.

ყველა ადამიანთან მეგობრული ურთიერთობა გქონდეს, აზრით კი – მუდამ მარტო იყავი *(წმიდა ისაკ ასური)*.

მხოლოდ ის არის ჭეშმარიტად განმარტოებული, ვინც საკუთარ ფავთან განმარტოვდება.

უდაბნოში განმარტოებული არ უნდა ნანობდეს სოფელზე, რომელიც მან დატოვა; ერში ცხოვრებისათვის მოწოდებული კი არ უნდა ამბობდეს, რომ აქ ცხონება შეუძლებელია.

✤როგორც ღამე ვერ ჩააქრობს ვარსკვლავებს ცაზე, ასევე სოფლის არაწმიდება ვერ დაახშობს მორწმუნეთა გონებას, რომელიც ღვთის სიტყვით არის განმტკიცებული *(ნეტარი ავგუსტინე)*.

✤შესაძლებელია, ამ სოფელში იცხოვრო, მაგრამ ამ სოფლისა არ იყო (იოანე 15, 19).

✤ამბა ანტონს უდაბნოში ეუწყა: „არის ქალაქში ვიღაც შენი მსგავსი, პროფესიით ექიმი, რომელიც თავის შემოსავალს გაჭირვებულებს აძლევს და ყოველდღიურად ანგელოზებთან ერთად „სამწმიდაოს“ გალობს“.

✤როდესაც კეთილი ბოროტის ზნეს არ ღებულობს, თუნდაც ისინი ერთად ცხოვრობდნენ, მათ შორის მაინც დიდი განსხვავებაა. ამიტომ ადამიანებს კი არ უნდა გავექცეთ, რომლებიც, შესაძლოა, კეთილთა მაგალითით გამოსწორდნენ, არამედ – ადამიანთა გარყვნას *(ნეტარი ავგუსტინე)*.

✤საკუთარი თავის სუფთად და შეურყვნელად შენახვას განუწყვეტელი განსა-

ცდელებისა და ცოდვათა საცდურისაგან ისეთივე ფასი აქვს ღვთის თვალში, როგორც მეუდაბნოის მოსაგრე ცხოვრებას, მითუმეტეს, რომ წუთისოფელში კეთილი მაგალითი განსაკუთრებით მოქმედებს ერში მცხოვრებლებზე.

როგორც მარილი მოქმედებს იმ საჭმლის გემოს გასაუმჯობესებლად, რომელსაც მას მოაყრიან, ასევე კეთილმორწმუნე ქრისტიანი მოქმედებს იმ ადამიანთა ზნეობის გამოკეთებაზე, რომლებთანაც მას ურთიერთობა აქვს.

მონაზვნობა

მონაზვნობას, როგორც თავისთავად, აღთქმით განმტკიცებულ უარყოფას სოფლის თვით ყველაზე უფრო უმნიშვნელო სიხარულისა და სიამოვნებისას, უდიდესი ფასი აქვს ღვთის თვალში, როგორც სათ-

ნოების უმაღლეს სახეს და ამიტომაც უფლისაგანაც უმაღლესი ჯილდოს ღირსი ხდება. „და ყოველმან, რომელმან დაუტევა სახლი, გინა ძმანი ანუ დანი, ანუ მამაი და დედაი, ანუ ცოლი, ანუ შვილნი ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათვის, ას წილად მიიღოს და ცხოვრებაი საუკუნოი დაიმკვიდროს“ (მათე 19, 29).

რომელ ერისკაცთაგანს აღუსრულებია ოდესმე სასწაული? ვინ აღადგინა მკვდარნი? ვინ განდევნა ეშმაკნი? არავინ. ეს ყოველივე გამარჯვებულ მოსაგრეთა პატივია და მათ სამყარო ვერ იტევს, და თუ შეძლებდა, მაშინ რა საჭირო იქნებოდა სოფლისაგან განდგომა? *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი).*

ამბა დოროთეს აზრით, მოვალეობის გამო აღსრულებულ სხვადასხვა სათნოებებს მხოლოდ ხარკის მნიშვნელობა აქვს, რომელიც აუცილებელია, ყველამ გაიღოს – როგორც ძღვენი სახელმწიფოს და მეფისათვის; ხოლო საკუთარი ნებით აღსრ-

ულებული სამონაზვნო მორჩილება, უპოვარება და ქალწულება, როგორც სათნოება, ღვთისადმი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით ბოძებული ძვირფასი ძღვენია, მსგავსად იმისა, როგორც სახელმწიფოში ცნობილი ადამიანები ხარკის გარდა, მეფეს უძღვნიან საჩუქრებსაც და ამის გამო მდიდრულ ჯილდოს, პატივსა და ხარისხს იღებენ.

ვინც ღვთის გამო უპოვარი გახდება, იგი დაუსრულებელ საუნჯეს მიიღებს. *(წმიდა ისაკ ასური).*

რამდენადაც ადამიანი ამსოფლიურ ნუგეშს მოიკლებს, იმდენად მეტ ღვთიურ სიხარულს მიიღებს სულიწმიდის მადლით *(წმიდა ისაკ ასური).*

ერში ცხოვრებითაც შესაძლებელია, არაამსოფლიური იყო. მაგრამ ყოფითი საზრუნავებით, გამუდმებული განსაცდელებითა და ცოდვაში ჩავარდნებით განა შეიძლება, იმედოვნებდე, მიაღწიო ისეთ ზნეობრივ სრულყოფას, სათნოების ისეთ სიწმიდეს, რო-

მელსაც გპირდება და უხვად წარმოგიდგენს მონაზვნის წყნარი, განმარტოვებული ცხოვრება – სოფლისა და მისი ამაოებისაგან მოშორებით?

✤რაც მეტად შორს იქნები სოფლისაგან, მით უფრო ახლოს მიხვალ ღმერთთან.

✤ადამიანთათავის თავის არიდების სურვილი მომწიფებულ ვენახს, ხოლო მათთან ურთოერთობის მქონე – მოუმწიფებელს ჰგავს *(ამბა მოსე)*.

✤ვინც უდაბოსა და მდუმარებაში ცხოვრობს, ის სამი განსაცდელისაგან თავისუფალია: სმენის, ენისა და მზერისაგან; მას მხოლოდ ერთი განსაცდელი აქვს – საკუთარი გულისაგან *(წმიდა ანტონი დიდი)*.

✤სამონაზვნო და საერო ცხოვრებას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც – ნავსადგურსა და გამუდმებით ქარისაგან მღლვარე ზღვას შორის. *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✤მონაზვნობის მნიშვნელოვნება მთელი მისი ნაყოფით მკაცრად უკავშირდება მისი

აღთქმების ერთგულად აღსრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მონაზონი მხოლოდ შეაგინებს მონაზვნობას – ერისკაცთა საცდუნებლად და საკუთარი თავის დასაღუპავად.

ჭეშმარიტი მონაზვნობის მიზნის მისაღწევად – საკუთარი თავის ზნეობრივი სრულყოფილსა და ღმერთთან, სიწმიდისა და ნეტარების წყაროსთან მჭიდრო კავშირისათვის – მონაზვნად აღკვეცილისათვის აუცილებელია ცოდნა და აღსრულება შინაგანი და გარეგნული კანონებისა, რომელსაც მისგან ეს ანგელოზებრივი (როგორც მას არცთუ უმიზეზოდ უწოდებენ) სახე მოითხოვს. სხვაგვარად, შესაძლოა, მონასტრის კედლებში ხმაურისა და სოფლის ამაოებისაგან მოშორებით იცხოვრო, სამონაზვნო სამოსი და წოდება ატარო, სულში კი ერისკაცზე დაბლა იდგე.

უმჯობესია, არც კი დაიწყო სოფლისაგან განდგომილი ცხოვრება, ვიდრე შემ-

დგომში ცივად აღასრულებდე მას და საკუთარი თავი დიდი საფრთხეში ჩააგდო. უმჯობესია, არ დადო აღთქმა, ვიდრე აღთქმის შემდეგ არ აღასრულო იგი *(წმიდა კასიანე რომაელი)*.

მონასტრის ყველა მცხოვრები როდია მონაზონი, არამედ იგი – რომელიც მონაზვნურ საქმეს აღასრულებს *(წმიდა ბარსანოფი დიდი)*.

სიბრძნისაგან – სიბრძნე და ეშმაკობისაგან – ეშმაკობა ესაა სამონაზვნო ცხოვრება.

მოსაგრეს ყველაფერი განსხვავებული უნდა ჰქონდეს.

ბერს ყველაფერი – გონება, გრძნობა, წესები – სხვაგვარი აქვს, ვიდრე – ერში მცხოვრებთ. მდუმარება ნეტარებაა; ლოცვა – სულიერი ჭვრეტა; ღვთის სიტყვა – საზრდო მისი სულისათვის; უტკბილესია საუბარი ღმერთთან; ტაძარი ერთადერთი თავშესაფარია; სავანის ზღუდე საზღვარია, რომლის იქითაც მისთვის აღარაფერი არსე-

ბობს; მისი სამყარო მარადიულობაა; იქ არის მისი საუნჯე, იქვეა მისი გულიც. მიწაზე მცხოვრებლებთან ერთადერთი კავშირი აქვს – თბილი ლოცვა მათზე. აი, რა არის მონაზვნური ცხოვრება!

ჭეშმარიტი ბერისათვის მიწაზე არავინ და არაფერი არსებობს. მისი სიხარული და ნეტარება განუწყვეტელი ლოცვაა. მას ყველა ადამიანი უყვარს, მაგრამ სწყინდება მათთან, რადგან ისინი ღმერთს აშორებენ.

მონაზონს ერთი საზრუნავი და უკიდურესი სურვილი აქვს – სათნოეყოს ღმერთს და ღვთის საქმეები აღასრულოს. როდესაც იოანე კიბისაღმწერელს ჰკითხეს, თუ ვინ არის ჭეშმარიტი და კეთილგონიერი ბერი, მან უპასუხა: „ის, ვინც ყოველდღიურად, ცხოვრების ბოლომდე განუწყვეტლივ ცეცხლს ცეცხლზე ამატებს, სურვილს – სურვილზე, მეცადინეობას – მეცადიონეობაზე“.

მონაზონი ის არის, ვისაც ისე აქვს მოწყობილი შინაგანი სამყარო, რომ მხოლოდ ღმერთი და თვითონ არიან.

❧ მონაზონი არის ის, ვინც ხორციელ სხეულში მყოფი უხორცოთა მდგომარეობას ბაძავს *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

❧ ვისაც სურს, ჭეშმარიტი მონაზონი იყოს, უკიდურესად არამომხვეჭელი უნდა იყოს, მუდამ უნდა ეძიებდეს, აუცილებელის გარეშეც კი როგორ გავიდეს იოლად.

❧ სილატაკე, მწუხარება, ყოველივეს ნაკლებობა — აი, მონაზვნური ცხოვრების სამუშაო იარაღები *(აბბა ჰიმენი)*.

❧ მონაზონი ის არის, ვინც ყველაფერს მოაკლებს საკუთარ თავს.

❧ დანიელ წინასწარმეტყველმა საკუთარ თავზე თქვა: „გემრიელი პური არ მიჭამია“ (10, 3). მონაზვნური ცხოვრება ხორციელ სურვილებზე განუწყვეტელ უარის თქმას მოითხოვს, რამეთუ მათთან ერთად მონაზვნური ცხოვრება შეუძლებელია *(აბბა სისო)*.

❧ მონაზონმა საკუთარ თავში არ უნდა დაუშვას, რომ სინდისი რაიმეში ამხელდეს *(აბბა აგაფონი)*.

მონაზონი, რომელიც საკუთარ ცხონებაზე არ ზრუნავს, ღვთის მგმობელია.

უმჯობესია, მონაზონი დედის საშოშივე მოკვდეს, ვიდრე საკუთარ წოდებაზე არ ზრუნავდეს.

მონაზვნობა, როგორც თვითონ სიტყვა გვიჩვენებს, განმარტოებაა — საუბარი საკუთარ თავთან და ღმერთთან; აქედან გამომდინარე, ამ მარტოობის საჭიროების გარეშე დარღვევა მონაზვნობის აღთქმისა და წოდების დარღვევა იქნებოდა. ამიტომ მონაზვნური ცხოვრების კეთილგონიერი წინამძღვრები და მასწავლებლები განსაკუთრებით ასწავლიან და არწმუნებენ მონაზვნად აღვეცილებს განმარტოებით ყოფნას, უჩვენებს რა ერთის მხრივ, ამ განმარტოვების მადლიან ნაყოფს და მეორეს მხრივ — მისი დარღვევის ცუდ შედეგებს.

არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ — შინაგანად და საქმითაც მონაზონი ანუ განმარტოვებული იყავი *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

✠ბერი მარტო უნდა ცხოვრობდეს და მასთან მხოლოდ უფალი უნდა იყოს.

✠დედამიწაზე მარტოობას მონაზონი ზეციურ საზოგადობემდე მიჰყავს.

✠ვინც საკუთარ თავს მიწიერსა და მეგობრებს განაშორებს, მას ღმერთი წმიდა ანგელოზებთან ერთად უახლოვდება.

✠ადამიანი ისე ხშირად არაფრით სცოდავს, როგორც — ენით, განმარტოებით ყოფნისას კი ამ ცოდვას გაურბის.

✠განმარტოებას ამაოდმეტყველება არ ახასიათებს, რომლის გამოც სამსჯავროზე პასუხის გაცემა მოგვიწევს (მათე 12, 36).

✠განმარტოებასა და სიჩუმეში და არა — ხალხსა და ხმაურში იბადება კეთილი და ზეციური აზრები.

✠იყავი შენს სენაკში და სენაკი ყველაფერს გასწავლის *(აბბა მოსე)*.

✠რამდენადაც ადამიანი განეშორება ადამიანებთან ურთიერთობას, იმდენად თავისუფლად მიაღწევს ღმერთთან საკუთარი გონებით *(წმიდა ისააკ ასური)*.

❦როგორც წყნარ და სუფთა წყალში მზე უკეთ ჩანს, ვიდრე ამღვრეულსა და მღელვარეში, ასევე მარადიული და სულიერი მზე – ღმერთი – უფრო უკეთ შეიცნობა სიმშვიდესა და სიწყნარეში – რწმენისა და გონების თვალით, ვიდრე შფოთსა და ადამიანთა ხმაურში *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

❦ადამიანი, რომელმაც სენაკის სიტკბოება შეიცნო, გაურბის მოყვასს, თუმცა კი უყვარს და პატივს სცემს მას *(ამბა თეოდორე)*.

❦ამბა მარკოზმა ერთხელ ამბა არსენის უთხრა: რატომ გაგვირბიხარ? ბერმა მიუგო: „ღმერთი ხედავს, რომ მიყვარხართ, მაგრამ არ შემიძლია, ვიყო ერთდროულად ღმერთთანაც და ადამიანებთანაც. ზეცაში ათასებსა და მილიარდებს ერთი ნება აქვთ, ადამიანების ნება კი განსხვავებულია“.

❦განმარტოვებული ყოფნა სულიერ განძს აგროვებს, მასთან განშორება კი – სადღაც გაფანტავს მას *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

თევზები წყლის უკმარისობისაგან კვდებიან; ასევე კვდებიან მოსაგრის გულში ღვთისაგან დაბადებული სულიერი მოძრაობები, როდესაც მოსაგრე ხშირად ცხოვრობს ერში და ერისკაცებთან აქვს ურთიერთობა *(წმიდა ისააკ ასური)*.

უკიდურესი აუცილებლობის გარეშე ნუ გამოხვალ მონასტრიდან და საეროთა სახლებში ნუ შეხვალ; სხვაგვარად უკან ისეთი ვეღარ დაბრუნდები, როგორიც – გამოხვედი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

როდესაც თუნდაც მაცხოვნებელი გარემოებების გამო გამოხვალ განმარტოვებული ყოფისაგან, უკვე ისეთი ვეღარ ბრუნდები, როგორიც განმარტოვებაში იყავი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ერთმა თქვა: „ყოველთვის, როდესაც ადამიანებთან გავდივარ, უფრო ნაკლებად ადამიანი ვბრუნდები უკან“. ჩვენ ხშირად ვართ ამ მდგომარეობაში, რადგან დუმილი უფრო ადვილია, ვიდრე ის, რომ საუბარში რაიმე

ზედმეტი არ თქვა; უფრო ადვილია სახლში დარჩენა, ვიდრე საზოგადოებაში მოუფრთხილდე საკუთარ თავს ისე, როგორც საჭიროა.

✗სიბრძნეში მიბაძე ფუტკარს, რომელიც თავის გარშემო უამრავი კრაზანის დანახვაზე სკაში შედის და მოსალოდნელ ხიფათს თავს არიდებს.

✗როდესაც საჭიროება საზოგადოებაში გამოჩენას გაიძულებს, მიბაძე მტრედს, რომელიც იძულებული იყო, ბუდიდან გამოფრენილიყო, მაგრამ მალევე დაბრუნდა უკან, რადგან გარეთ მშვიდი ადგილი ვერ იპოვა.

✗როდესაც განმატროებიდან გამოდიხარ, შეინახე, რაც მოგიპოვებია; რამეთუ თუ გალიის კარი ღია იქნება, მასში ჩაკეტილი ჩიტები გამოფრინდებიან. მაშინ უკვე არანაირი სარგებელი აღარ გვექნება ჩვენი მდუმარებისაგან *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

✗საკუთარი თავი სენაკშიც დაიცავი და — მის გარეთაც.

✦ვიდრე ესოდენ მნიშვნელოვან, მაღალ და მრავლისდამტევ მონაზვნობას მიიღებდე, საჭიროა, ჯერ კიდევ ერში ცხოვრებისას იმდენად განაწყო საკუთარი თავი ამისათვის და ზნეობრივად მოემზადო, რათა ყველა მონაზვნის მოთხოვნა და წესი ახალი კი არ მოგეჩვენოს, არამედ – უკვე გამოცდილი; არა – სიმძიმედ, არამედ სასიამოვნოდ აღსასრულებლად.

✦თუ მანამდე არ ისწავლი ადამიანებთან კარგად ცხოვრებას, განმარტოებაშიც ვერ იქნები კარგად.

✦თუ ადამიანებთან მშვიდობიანი ცხოვრება ვერ ისწავლე, უდაბნოშიც ვერ მოიპოვებ სიმშვიდეს.

✦თუ ადამიანთა შორის ვერ შეუქმნი საკუთარ თავს სწორ განწყობას, მის სიმძიმეს მარტოდ ცხოვრებისასაც ვერ იტვირთავ.

✦თუ რაიმე გამოუსწორებელ ნაკლოვანებებს უდაბნოში თან წავიღებთ, ისინი მხოლოდ დაფარული იქნება ჩვენში და არა – აღმოფხვრილი *(წმიდა კასიანე რომაელი)*.

დამშვიდებული სინდისის მქონე ადამიანი ყველასთან შესძლებს მეგობრობას, ცუდი სინდისით კი – განმარტოებაშიც იტანჯება და შფოთავს.

ნუ იფიქრებ, თითქოს უდაბნოში განმარტოებით მარტო იქნები. თუ შენთან ღმერთი არ იქნება, მაშინ აუცილებლად ეშმაკი იქნება შენთან.

სადაც არ უნდა იყო, სატანურ ხრიკებს ვერსად გაექცევი.

მონაზვნობის ხარისხის მიმღებმა უნდა იცოდეს, რომ სადღაც მარტოობაში განსაკუთრებით ესხმის თავს ბოროტი სული, რომელსაც სურს, ცხონების სწორ გზას მოსწყვიტოს იგი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ერში მცხოვრებნი ეშმაკებს ისე ებრძვიან, როგორც – ცხვრებს, ხოლო განმარტოებაში მყოფნი ისე, როგორც – ვეფხვებსა და ლეოპარდებს.

პირველ ხანებში, როგორც მოსაგრე ცხოვრებში გამოცდილნი გვასწავლიან,

ბოროტი სულები მონაზონს განსაკუთრებით ებრძვიან მოწყინებით, სასოწარკვეთილებით, ნაღვლით – მათ მიერ დატოვებული სოფლის გამო; ამასთან ერთად, მათში აღვიძებენ სურვილს, რომ დატოვონ უდაბნო და კვლავ ერში დაბრუნდნენ. მონაზონმა ეს წინასწარ უნდა იცოდეს, რათა სულმოკლეობაში კი არ ჩავარდეს ასეთი განსაცდელის ჟამს, არამედ – მშვიდად შეხვდეს და მამაცურად შეებრძოლოს მას, ამასთან ერთად, უნდა ფლობდეს და მოქმედებდეს დაუმარცხებელი იარაღით – ლოცვით.

ერთი ძმა გამოცდილ ბერთან მივიდა და უთხრა: „ამბა! უდაბნოში ყოფნით მოწყენილი ვარ“; ბერმა უპასუხა: „უფრო ხშირად ილოცე და უფალი შეგეწევა, ძალასა და სიმშვიდეს მოგცემს“. ლოცვა ნაღვლისა და სასოწარკვეთილების წამალია“ *(წმიდა ნილოს სინელი).*

ადამიანის მიწიერი ცხოვრება

ჩვენი ამჟამინდელი ცხოვრება არ არის ჭეშმარიტი, ნამდვილი ცხოვრება, რომლისათვისაც შეგვქმნა შემოქმედმა. მომავალ ცხოვრებასთან მიმართებაში ის იგივეა, რაც ჩიტის ცხოვრება კვერცხში, რაც ჩვილის ცხოვრება დედის საშოში.

მიწიერი ცხოვრება მხოლოდ დასაწყისია, ცხოვრებისათვის მომზადებაა.

ჩვენი ამჟამინდელი ცხოვრება იმისათვის მოგვეცა, რომ მომავალი ცხოვრებისათვის მოვემზადოთ.

ამ დროებით ცხოვრების ყველაზე ჭეშმარიტი მიზანი მარადიული ცხოვრების სწავლაა.

ამ სოფელში ჩვენი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა განუწყვეტელი მოგზაურობა მომავალ ცხოვრებაში *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

არასოდეს უნდა დაგავიწყდეს, რომ ყველანი გზაში ვართ და ჩვენს სამშობლოში ვბრუნდებით, ვინ – მხრებზე შულდაკით, ვინ – ოთხმაგი სიმკვირცხლით, მაგრამ ყველა ერთ კარში შევალთ.

ადამიანი ერთი კარით – დაბადებით – ამ სოფელში შემოდის, მეორით კი, ანუ სიკვდილის კარით – მისგან გადის.

ო, ადამიანო! შენ აქაური მკვიდრი კი არა – უცხო სტუმარი ხარ.

სულიც და სხეულიც სტუმრები არიან – ერთი ზეციური, მეორე კი – მიწიერი (ეკლ. 12, 7).

როგორც აბრაამს ქანაანის ქვეყანაში მუდმივი საცხოვრებელი არ ჰქონდა, არამედ მემკვიდრეობით კუბო გააჩნდა, ასევე ჩვენი ამჟამინდელი ცხოვრება მხოლოდ სასტუმრო და კუბოა.

აქ, მიწაზე მხოლოდ სტუმრები ვართ, ჩვენი სახლი – მამული კი ზეცაშია.

ჩვენი სამშობლო ზეცაშია, აქ კი უცხო ქვეყანაა, რომლითაც ზეცისაკენ მივდივართ.

ამიტომაც ვართ ზოგჯერ აქ ასე მოწყენილები, რომ არანაირი მიწიერით არ ძალგვიძს, გავფანტოთ ჩვენი იდუმალი ნაღველი; ეს ზეცის მონატრების ნაღველია, როგორც – მშობლიური მხარისა.

ჩვენი ცხოვრების გზას ისე უნდა ვუცქიროთ, როგორც ზეცისაკენ მიმყვანებელ გზას; მაშინ ქარაფშუტა დაფიქრდება და მიმართულებას ჭეშმარიტი მიზნისაკენ აიღებს; მაშინ მანკიერი მობრუნდება და სათნოებისაკენ მიმავალ გზებს დაუწყებს ძებნას; მაშინ ნაღვლიანი, დევნილი და მოძულებული ადამიანი მცირე ხნით ნაღველს მამაცურად გადაიტანს.

ყველანი ღვთისკენ მიმავალ გზაზე ვართ და კარგად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რათა გზის მითითებები არ დაგვავიწყდეს.

ნუ მიეჯაჭვება შენი გული სასტუმროს – მიწიერი მოგზაურობის ჟამს. არცერთი კეთილგონიერი ადამიანი სახლს გზაზე არ აშენებს.

საბრალოა ის ადამიანი, რომელიც იმის ნაცვლად, რომ სახლი თავის სამშობლოში აიშენოს, უცხო ქვეყენაში აშენებს მას და არაფერს იმზადებს მამულისათვის, რომელშიც უნდა იცხოვროს!

ვინც მიწაზე არ წუხს და არ ოხრავს, როგორც მგზავრი, ის ზეციური მოქალაქე ვერ გახდება.

ჩვენი მიწიერი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა — განუწყვეტელი და გამუდმებული მიახლოება ღმერთთან *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

დაბადების დღე გარდაცვალების დღეს ჩამოართმევს ხელს. სიცოცხლე გარდაცვალების დასაწყისია.

ახალდაბადებულის პირველი ტირილი მისი სიკვდილის პირველი მაუწყებელი და მის საფლავთან წარმოთქმული პირველი სიტყვაა.

ძლივს მოასწრებს ადამიანი ერთი ფეხი შემოდგას ამ სამყაროში, რომ მეორე უკვე

საფლავში უდგას. დაბადების უძლურებანი თითქოს უკვე დაწყებული სიკვდილის მომასწავებელია, აკვანი კუბოს წინაპირობაა, სახვევები სუდარის პირველი მხარეა.

ჩვენი ნამდვილი ცხოვრება ზრდასთან ერთად იმატებს, მრავლდება და მცირდება.

რაც უფრო მეტხანს ვცხოვრობთ, მით მეტად მცირდება ჩვენი ცხოვრება.

ჩვენი ცხოვრება ზღვით მოგზაურს ჰგავს. რომელიც ცურვის დროს გინდ იდგეს, გინდ იჯდეს ან იწვეს – ყოველთვის უახლოვდება ნაპირს და მიდის იქითკენ, საითაც გემი მიისწრაფვის; ასევე ჩვენც: გვძინავს თუ გვღვიძავს, ვწევართ თუ დავდივართ, ყოველ წუთს დასასრულს ვუახლოვდებით.

მოკვდავო ძმაო! დაე, რაც შეიძლება, ხანგრძლივი იყოს შენი სიცოცხლე, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენი სასიკვდილო სარეცელი მაინც ახლოსაა.

✝ჩვენ სწარფად გვიახლოვდება გაფითრებულ ცხენზე მჯდომი – მისი სახელი სიკვდილია (აპოკ. 6, 8).

✝ადამიანური ცხოვრების დღეს, არცთუ იშვიათად, საღამოზე და შუადღეზე ადრე სიკვდილის ჟამი გვიწევს.

✝„წელნი ჩუენნი ვითარცა დედაზარდლი“ (ფს. 9, 10). ობობის საცხოვრებელი, რაც არ უნდა გამაგრებული იყოს იგი, მეყსეულად ინგრევა, როგორც კი ხელი ან რაიმე სხვა შეეხება; ასევეა ჩვენი ცხოვრებაც – მაშინვე შეწყდება მცირეოდენი შემთხვევისაგან, იმისგან, რისგანაც სულ არ მოელი.

✝ძმანო! ჩვენ ახლა აქ ვართ, და ვინ იცის, რამდენ ხანს იქნება ასე? თითოეული ნაბიჯი, რომელსაც ცხოვრებაში ვდგამთ, არის ის, რომელსაც უკანასკნელი ნაბიჯისაკენ მივყავართ.

✝ვაი, სულო ჩემო! რატომ ხარობ ამ ცხოვრებით? რატომ ატარებ მის ისედაც მცირ-

ეოდენ დღეებს დაბნეულად? განა არ იცი, რომ სადაცაა მოგიხმობენ? *(წმიდა ეფრემ ასური).*

✝ჩვენი მოვალეობაა, მთელი ცხოვრება ისე გავატაროთ, რომ როდესაც ამ ცხოვრებიდან გაგვიხმობენ, დაუყოვნებლივ ვთქვათ: „ჩემი გული მზად არის“ *(წმიდა იონე ოქროპირი).*

✝ყველაზე უკეთესი სარგებელი ამ ცხოვრებიდან არის – „ვკვდებოდეთ ყოველდღე“, ანუ ყოველდღე ისე ვიცხოვროთ, თითქოს იმ დღეს უნდა მოვკვდეთ.

✝ყოველდღიურად მოკვდი, რათა მარადიულად იცოცხლო *(წმიდა ანტონი დიდი).*

✝მარადიულობასთან შედარებით ჩვენი ცხოვრება ერთი წუთია.

✝რაც ერთი წვეთია უსაზღვრო ნაკადთან შედარებით, ის არის ამჟამინდელი ცხოვრება – მომავალთან შედარებით *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

✝უფალმა ჩვენი ცხოვრების დღეები შეამცირა, რათა ჩვენი ცოდვების რიცხვი უფრო არ გაზრდილიყო.

ცხოვრება ხანმოკლეა და სწარფად გარბის, – გვასწავლის გამოცდილება; შეაყოვნე იგი სიკეთით, – გვასწავლის გონება.

ჩვენი ცხოვრება სწარფწარმავალია, მაგრამ მასში მოვიპოვებთ, ან ვკარგავთ მარადიულ ცხოვრებას.

ჩვენს ცხოვრებას ვუყუროთ ისე, როგორც არცთუ ხანგრძლივ დილას იმ დიდი დღისა, რომელსაც საღამო არა აქვს და, შესაძლოა, სულ მალე გაბრწყინდება კიდეც რომელიმე ჩვენთაგანისათვის: ან სასუფევლის ნეტარებაში, ან ჯოჯოხეთის უფსკრულში, იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვაგებდით ჩვენს აზრებსა და გრძნობებს, სურვილებსა და ქმედებებს.

იფხიზლე, ძმაო! შენ მოკვდავი და წარმავალი ხარ: ნუ მოისურვებ, ამ მცირე დროის გამო მარადიული ცხოვრება დაკარგო *(წმიდა ბარსანოფი დიდი)*.

ნუ მიაჯაჭვავ შენს გულს მიწიერ ცხოვრებას, იმიტომ, რომ იგი ხანმოკლე და

არარაობაა მომავალ, მარადიულ ცხოვრებასთან შედარებით; იმისთვისაც, რომ მისი ეს მოკლე დინება მხოლოდ სიხარულით როდია აღსავსე, არამედ – მწუხარებებით, ზღვის ტალღების მსგავსად, სადაც ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან.

ჩრდილსა და ბორბალს ჰგავს ცხოვრებისეული მწუხარება და სიხარული, რადგან ჩრდილივით მარადიული არ არის და ბორბალივით ბრუნავს *(წმიდა ნილოს სიტყვა)*.

ზედმეტად არც სიხარულია საჭირო და არც მწუხარება, არც დრტვინვა, რადგან სიხარული და მწუხარება ცხოვრებაში არამარადიულია და ერთმანეთს მოსდევს.

სრულყოფილი მამა ის არის, ვინც სულის ერთნაირი მდგომარეობით, მადლიერებით იღებს ღვთის ყოვლისმჭვრეტელი ხელიდან თავისი ცხოვრების როგორც ბედნიერ, ისე სამწუხარო ცვლილებებს.

მოდის თქვენთან ღიმილით ბედნიერება, რათა საჩუქრებით აგავსოთ? – გაუწო-

დეთ მას ხელი. აპირებს ის თქვენგან გაფრენას? გულგრილად დაუბრუნეთ თავისი საჩუქრები და ნუ ინანებთ, თუ იგი გაგშორდებათ. მხოლოდ ბავშვებს სჩვევიათ, ყველა სათამაშო გადაყარონ, როდესაც ერთს ართმევენ.

✗ადამიანური საქმეების ბედნიერი დინებაც ნუ წარმოშობს შენს სულში განუსაზღვრელ სიხარულს; მწუხარებაც ნუ დაამცირებს მის სიმხნევეს და ამაღლებულობას – წუწუნითა და წუხილით *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✗ისე მოიპოვე, თითქოს არანაირი საჭიროება არ გქონდეს; ისე დაკარგე, თითქოს ზედმეტს აძლევდე.

✗დღევანდელი ცხოვრების დიდ სიხარულებსაც კი მწუხარების ჩრდილი დასდევს, როგორც სურათი არ არსებობს ჩრდილის გარეშე.

✗რომელი ცხოვრებისეული სიტკბოა, მწუხარება რომ არ ახლდეს თან *(წმიდა იოანე დამასკელი)*?

✦როგორ შეიძლება, გიყვარდეს ადამიანური ცხოვრება, როდესაც მასში ამდენი მწუხარებაა და ასე აღსავსეა თავდასხმებითა და უბედურებებით?

✦იმას, რომ ადამიანური ცხოვრება ტირილით არის აღსავსე, ნათლად ხედავ მაშინ, როდესაც დედის საშოდან გამოსვლისთანავე ტირიან ჩვილები და მაშინაც, როდესაც საბრალო ადამიანს სიკვდილის მერე დაიტირებენ *(წმიდა ნილოს სინელი).*

✦დაღვარო ცრემლები ანდა შენ დაგიტირონ – აი, ჩვენი მიწიერი ხვედრი! ბუნებამ დაგვაყენა მეგობრების კუბოებს შორის, ანდა იმ კუბოსთან, რომელიც ჩვენს ჩასანთქავად არის მზად.

✦ჩვენი ცხოვრება აღსავსეა წარსულზე დარდით, ახლანდელის შრომით და მომავლის შიშით.

✦ჩვენი ცხოვრების დასაწყისი უცოდინრობაში გადის; შუა პერიოდში იგი საზრუნავებით იტვირთება, ბოლოს კი სიბერის უძლურებით მძიმდება.

ტყუილად როდი ჰქონდათ თითქმის ყველა ხალხს ძველი გარდამოცემა, რომ ადამიანის მიწიერი მდგომარეობა მისი დაცემა ანდა დასჯაა; ეს გარდამოცემა გულის გრძნობაზეა დამოკიდებული. ავადმყოფობა მოგველის აქ შესვლისა და გასვლის დროს; შუალედში კი, ჯანმრთელობის გაფურჩქვნის ხანში, გულითადი მწუხარებების გველი იმალება.

მთელი ჩვენი ცხოვრება იმისაგან შედგება, რაც ჯერ კიდევ არ არის და რაც უკვე აღარ არის ანუ – სურვილებისა და იმედგაცრუებებისგან.

ძველი აღთქმის ერთი მართალი, რომელმაც ცხოვრებაში მრავალი მწუხარება გამოიარა, სამართლიანად ამბობდა, რომ ადამიანის ცხოვრება ომია (იობი 7, 1), ანდა ბრძოლა – ეშმაკთან და სოფელთან.

როგორც კი გაივლის ერთი უბედურება, ერთი განსაცდელი, უკვე მეორე მოდის. ერთი ბრძოლა კიდევ არ დამთავრებულა,

რომ უკვე სხვა მრავალი მოულოდნელი ბრძოლა იწყება.

საკუთარ ნაკლოვანებებთან ბრძოლა ჩვენი ხვედრია მჯიწაზე, გონიერება და დათმენა კი უპირველესი სათნოებები.

მიწიერი ცხოვრებისაკენ მიდრეკილების არქონა და ყოველგვარი ცხოვრებისეულის მოძულება კიდევ არ ნიშნავს ცხოვრებაზე უარის თქმას: პირიქით, ეს ნიშმავს, ჭეშმარიტი განსაზღვრების ცოდნას და, აქედან გამომდინარე, მისი ჭეშმარიტად მაღალი ღირებულების ცოდნას.

სიცოცხლე ღვთის საჩუქარია: მისი განკარგვა საკუთარი და არა — ღვთის ნების მიხედვით, დანაშაულია.

ღვთისთვის უნდა იცხოვრო და სიცოცხლეც ღვთისთვის უნდა გიყვარდეს.

ეს ცხოვრება ღვთისაგან სინანულისათვის მოგვეცა. თუ მას უაზროდ, ცუდად დავხარჯავთ, ძალიან ვინანებთ, მაგრამ მეორედ ვეღარ ვპოვებთ.

✦ცხოვრება ბრძოლის სარბიელია. ვაი მას, ვინც იქიდან გამარჯვებული არ გამოვა! მისი ხვედრი მარადიული დალუპვა იქნება!

✦ამუამინდელი ცხოვრება სავაჭრო ადგილად ჩათვალე. თუ ვაჭრობას დაიწყებ, მოგება გექნება, რადგან მცირედის სანაცვლოდ ბევრს მიიღებ და სწრაფწარმავალისთვის — მარადიულს. ხოლო თუ ხელიდან გაუშვებ შესაძლებლობას, სხვა დრო ამისთანა გაცვლისათვის უკვე აღარ გექნება *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✦ცხოვრების მიმდინარე მოვლენები ბაზრობას ჰგავს. ვისაც ვაჭრობა შეუძლია, ის მოგებას იღებს, ხოლო ვისაც არ შეუძლია, დანაკარგს განიცდის *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

✦ცხოვრების თითოეულ საქმეს ისე უყურე, როგორც ნაბიჯს ზეცისაკენ, ანდა — ჯოჯოხეთისაკენ.

✦მიწაზე ზეცისათვის ვიცხოვროთ, დროში — მარადიულობისათვის.

შენი დაბადება ადამიანებს უხაროდათ: ისე იცხოვრე, რომ შენი სიკვდილის გამო ტიროდნენ.



შრომა და უსაქმურობა

ცხოვრება შრომაა; შრომა კი ცხოვრებაა.

თუ ცხოვრება მოღვაწეობაა, მაშინ, საპირისპირო — უსაქმურობა ცხოვრება არ არის, უკიდურეს შემთხვევაში, გონიერი და ზნეობრივი არსების ცხოვრება არ არის.

ბუნებაში ყველა, მცირიდან დიდამდე, განუწყვეტელ მოღვაწეობაშია: უსულო ქმნილებანი (მზე, მთვარე, დედამიწა), ცხოველები, ანგელოზები — ნუთუ მხოლოდ ადამიანია გამონაკლისი ამ კანონიდან?

ღმერთმა ადამიანი შრომისათვის შექმნა და მისცა მას ამისთვის აუცილებე-

ლი ორგანოები; აქედან გამომდინარე, უსაქმური ღვთის წესრიგიდან და ქმნილების მიზნიდან გადახვევაა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

❧შრომისგან, როგორც ღვთის სასჯელისაგან თავის არიდება (შეს. 3, 19) განა შესაძლებელია დიდი სასჯელის გარეშე?

❧სიღატაკე კურიერს ჰგავს – ზარმაცს მალე ეწევა (იგავნ. 6, 11).

❧გიყვარდეს შრომა. თუ ის თავის სარჩენად არ გესაჭიროება, შესაძლოა, საჭიროა – როგორც წამალი. შრომა სხეულის ჯანმრთელობა და სულის სარგებელია.

❧როგორც ახალი და სუფთა წყალი მდორედ გადაქცევისას ფუჭდება; ასევე ადამიანის სული და სხეული უსაქმურობით ზიანდება.

❧ერთმა ბრძენმა საფუძვლიანად თქვა, რომ „შრომა სათნოების დარაჯია“.

❧სიმშვიდე და უსაქმურობა სულისათვის დამღუპველია და დემონზე მეტად შეუძლია მისი დაზიანება *(წმიდა ისააკ ასური)*.

ნაკლოვანებათა დედაჲ სიზარმაცე ჩათვალე, რადგან იტაცებს მადლს, რომელიც გაქვს, და რაც არ გაქვს, იმის მოპოვების საშუალებას არ გაძლევს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

არაერთხელ შეუნიშნავთ, რომ ადამიანები, რომლებსაც მეტნალკებად თავისუფალი დრო აქვთ, ნაკლებად იყენებენ მას სასარგებლოდ.

ასი წლის უსაქმურობა არ არის კარგად გამოყენებული ერთი საათის ფასი.

ვინც უსაქმურად ცხოვრობს, ის განუწყვეტლივ სცოდავს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ბოროტადმეტყველ კაცს განუკითხველი არავინ დარჩება, რას არ დააბრალებს იგი სხვა და რაში არ შეეპარება ეჭვი! თუ ნახა, რომ ვინმე ყოველდღე დადის ეკლესიაში და ყოველდღე ევედრება ღმერთს, იტყვის, ფარისეველიაო; თუ ნახა, რომ ყოველთვის არ დადის – ურწმუნოაო; თუ ვინმე სიმართლის თქმას ცდილობს, კაცთმოძულე არისო, კაცის სიკეთე არ სურსო;

მშვიდი და მდაბალი კაცი არ მოსწონს – სუსტიაო; მტკიცე და მაგარი ხასიათის კაცზე იტყვის – სასტიკი და ფიცხელიაო და ა.შ. ერთი სიტყვით, ყოველ კაცს დაიწუნებს, ყოველ საქმეს გაამტყუნებს, ანუ, როგორც იაკობ მოციქული გვასწავლის: „მცირე არს ენა და დიდად მაღლობს.“ ნუ დაივიწყებთ, რა დიდი ცოდვაა ავად ხსენება და განკითხვა მოყვასისა და გახსოვდეთ მაცხოვრის სიტყვები: „ნამეტნავისაგან გულისა იტყვიან ბაგენი“ *(წმ. ეპ. გაბრიელ ჯაჯოძე).*

✍ზარმაცი და უსაქმური ცხოვრება იგივეა, რაც გამოუყენებელი და დაუმუშავებელი ყანა, რომელსაც მხოლოდ თივად გამოიყენებ.

✍დაუთესავ და დაუმუშავებელ მიწაზე ბალახი ამოდის (უსარგებლო და გამოუყენებელი); ასევეა სულიც, რომელიც კეთილი საქმეებისთვის არ იღწვის, თავისი ბუნებით კი განუწყვეტლივ მიისწრაფვის მოღვაწეობისაკენ, აუცილებლად მიიდრიკება ცუდი საქმეებისაკენ *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

ადამიანის გულს უსაქმოდ ყოფნა არ ძალუძს; ჩვენს სულს უსაქმოდ ყოფნა არ შეუძლია. თუ გონება წმიდა აზრებით არ არის დაკავებული, მაშინ ის ფუჭი ან მავნე აზრებითაა დაკავებული; თუ გულში წმიდა, ზეციური აზრები არ არის, მაშინ იგი არაწმიდა, მღვრიე, ხორციელი აზრებით სუნთქავს; თუ ადამიანის ნება ზეცისაკენ, ღვთის წმიდა ნების აღსრულებისაკენ არ მიისწრაფვის, მაშინ იგი ცოდვის გზით ჯოჯოხეთისაკენ მიდის.

ადამიანის ძალა და შესაძლებლობები ძალიან ჰგავს წისქვილის დოლაბებს, რომელთა შორისაც ან არ არის ხორბალი, ანდა ისინი თვითონვე იქცევიან ფერფლად.

არიან მწერები, რომელბიც სიამოვნებით მყოფობენ ტალახში. ასეთია უსაქმური სულიც. მისი წარმოდგენა არაწმიდა სურათებით ივსება, რომელთაგან ბინძური ვნებები აენთება. ქეიფი, სეირნობა, გასართობები, საძაგელი საქმეები — აი, რა არის მის გონებაში!

მოწყინება ისაა, როცა კაცს მოეწყინება, ანუ მოსძულდება თავისი თავი, ან

რომელიმე კეთილი საქმე; ეს ცოდვაც ეშმაკის მანქანებისაგან მოდის *(წმ. ეჰ. გაბრიელ ქიქოძე).*

მიმომწილველობა დიდი და საშინელი ცოდვაა, პირველ რიგში იმიტომ, რომ ქრისტიანი ყოველთვის მღვიძარე, ფრთხილი და სულგრძელი უნდა იყოს *(წმ. ეჰ. გაბრიელ ქიქოძე).*

ღმერთმა ადამიანს, რაც მისი ბედნიერებისათვის საჭიროა, ყველაფერი მისცა. ამიტომ ვინც ღმრთისაგან ბიძებულ ნიჭს კარგად მოიხმარს, ვინც გულმოდგინედ ირჯება და შრომობს, ის მოწყინებაში არ ჩავარდება, მოწყინებას მხოლოდ ზარმაცი, ცუდი ხასიათისა და ყოფაქცევის კაცი გრძნობს *(წმ. ეჰ. გაბრიელ ქიქოძე).*

ერთმა წმიდა მამა თქვა: „იფიქრე კეთილზე, რათა ბოროტზე არ იფიქრო, რამეთუ ბოროტ სულს უმოქმედობა არ შეუძლია“. ჩვენი გონება ღვთის სიტყვაზე, გულითად ლოცვაზე და მადლმოსილი ფიქრებისაკენ

უნდა მივმართოთ. ამაო ფიქრებისაგან საამო შეგრძნებები წარმოიშობა, კეთილი აზრები კი კეთილ ნაყოფს იძლევა.

დილით ადგომისას საკუთარ თავს უთხარი: „სხეულო, იმუშავე, რათა გამოიკვებო; სულო, იფხიზლე, რათა ზეციური სასუფეველი დაიმკვიდრო“.

ნურასოდეს იქნები სრულიად უქმად: ან იკითხე, ან წერე, ან ილოცე, ან იფიქრე.

ვისაც ხელთ საქმე აქვს, მის სულში მწუხარება განახევრებულია.

რა სასიამოვნოდ და სწარფად გადიან დღეები, როდესაც იცი, რომ ღვთისაგან შენთვის მოცემული დრო ფუფუნების ამაო და ფუჭი საქმეებით კი არ არის დაკავებული, არამედ — სასარგებლო შრომით, რომელიც უფალმა კეთილი საქმეებისათვის მოგვცა! რა სასიხარულოა, როდესაც შენს საქმეს დასრულებულს ხედავ! რა ტკბილია მაშინ დასვენებაც!

უსაქმურობა ისევე დამღლელია, როგორც დასვენებაა სასიამოვნო.

მხოლოდ შრომის ხეზე იზრდება სიტკბოების ყვავილები.

უფრთხილდი მდაბიო ზრახვებს, რომლებიც შრომას მდაბიოს ხდის.

ქონებრივი მდგომარეობით დაკმაყოფილება სიღატაკისა და დაბალი მდგომარეობის დროს

ნუ დაძრახავ სიღატაკეს, როდესაც სხვებთან შეხვდები მას; ნუ შეგეშინდება მისი, თუ იგი შენთან მოსვლას დააპირებს; ნუ შეგრცხვება მისი, თუ ის უკვე შენთანაა.

ცუდი ის კი არ არის, რომ ღარიბი იყო, არამედ უკმაყოფილება ამ სიღარიბით და წუწუნი მასზე, როგორც შენს მტერსაც; ცუდია, თუ მდიდრებისა შეშურდება და სიმდიდრეს მოისურვებ.

ნუ ცდუნდები, თუ ვინმეს სიმდიდრეს, ფუფუნებასა და დიდებულებას დაინახავ, რამეთუ სიკვდილის შემდეგ თან ვერავინ ვერაფერს წაიღებს. სად არის ახლა სოლომონის სიმდიდრე, ფუფუნება და დიდება?

როდესაც სიმდიდრეს, დიდებას ან საერო ხელისუფლებას ხედავ, იფიქრე იმაზე, რაც მათში ხრწნადია და საცდურს თავს დააღწევ *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ნუ შეგშურდება მდიდრის და ნუ იწუხებ, რომ სიმდიდრე არ გაქვს, რადგან ის სულაც არ არის ჭეშმარიტი ბედნიერებისა და კმაყოფილების ნიშანი. „ოქროს მდინარესაც მოჰყვება მწარე ცრემლები.“ – თქვა ერთმა პოეტმა.

მხოლოდ მდიდრები კი არ მხიარულობენ და ღარიბებს სიამოვნებანი აკლიათ. ისინიც მხიარულობენ და როგორც ჩანს, უფრო ხშირად და სრულად, ვიდრე – მდიდრები.

ზოგიერთი მდიდარია, მაგრამ მწუხარებაშია; მეორე კი ღარიბია, მაგრამ – მხ-

იარული. „ძალიან ნაკლები განსხვავებაა, ოქროს ფიალიდან ვსვამ თუ თიხისა“. – თქვა ერთმა ბრძენმა.

✍ქოხი, რომელშიც სიხარული და მხიარულება სახლობს, უმდიდრეს სასახლეებს სჯობს, რომლებშიც ტირიან და წუწუნებენ.

✍მიწიერი ბედნიერება მიწიერი სიკეთეების მოპოვება'ში კი არ გამოიხატება, არამედ – სულის სიმშვიდესა და კმაყოფილება'ში, რომელიც უმეტესწილად მიუღწეველია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მიწიერი მადლით არიან აღვსილნი.

✍სიმდიდრის ქონა სულაც არ ნიშნავს სიმშვიდესა და კმაყოფილებას და იმას, რომ აღარაფერი გინდოდეს. „შენ მწუხარებ, – ამბობს წმიდა იოანე ოქროპირი, – როდესაც მდიდარს ხედავ, ის კი თავისზე მდიდრის დანახვაზე შენზე მეტად წუხს“.

✍შენ არ გაქვს ის, რაც აქვს შენს მოყვასს, სამაგიეროდ მას არ აქვს ის, რაც შენ გაქვს.

✦ბევრის მქონეს ხშირად არ აქვს ის, რაც შენ გაქვს, თუნდაც უმცირესი იყოს.

✦შემოქმედის მიერ ბოძებული ბედით სილარიბე უკეთესი ცხოვრების პირობებს ქმნის, რაც სიმდიდრეს არ გააჩნია.

✦თუ ადამიანებს სილარიბის გამოყენება არ შეუძლიათ, ამაში ადამიანები არიან დამნაშავე და არა – სილარიბე.

✦ღარიბისთვის უცნობია ხმაურიანი საზოგადოების მრავალი სიხარული. მაგრამ რა საბრალოა მათი სიცარიელე! ეჰ, ისინი მხოლოდ ცარიელნი რომ იყვნენ!

✦თუ სილარიბე მრავალ მიწიერ სარგებელს გვაკლებს, სამაგიეროდ, მას მივყავართ იმ გზისაკენ, რომელიც მრავალი ხიფათისაგან არის თავისუფალი.

✦სილარიბე კეთილზნეობრივ ადამიანისთვის სიმდაბლის მოხვეჭის საუკეთესო საშუალებაა *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✦ბედნიერია სილარიბე. იგი არ იცნობს დამღუპველ მანკიერებებსა და დანაშაუ-

ლებრივ ვნებებს, რომლებიც ესოდენ ხშირად აწამებენ გაფუფუნებული მდიდრის სულს.

კეთილდღეობა შეიძლება, სიღარიბეზე საშიშიც იყოს და უბედურება კეთილდღეობაზე მაცხოვნებელი. ნუ შეგშურდება კეთილდღეობაში მყოფის და უბედურებისას გულს ნუ გაიტეხ.

სიღარიბე არასწორად მოპოვებულ სიმდიდრეზე უმჯობესია.

სჯობს სილტაკეში იცხოვრო, ვიდრე – არამართებულად მოპოვებულ სიმდიდრეში *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

უმჯობესია, მცირეოდენი – სიმართლით, ვიდრე ბევრი – უსამართლობით.

სჯობს დაკარგო, ვიდრე სამარცხვინო გზით მოიპოვო.

სჯობს ითხოვო, ვიდრე მიიტაცო.

უმჯებესია მისი მწუხარება, ვინც უსამართლოდ ითმენს, ვიდრე მისი სიხარული, ვინც უსამართლოდ ნეტარებს.

თუკი არ ვიდარდებთ იმაზე, რაც არ გვაქვს, მაშინ ვისწავლით, ვმადლობდეთ იმისთვის, რაც გვაქვს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

ჩიტი მაშინაც დიდებით უგალობს შემოქმედს, როცა არც ბუდე აქვს და არც საკვები.

ზოგიერთები უბედურების გარეშეც თავს უბედურად მიიჩნევენ.

როგორც ჭიანჭა ადვილად უჩნდება რბილ ნაყოფს, ასევე მწუხარება ჩაისახება იმ ადამიანებში, რომლებსაც მეტად ფაქიზი ზნეობა აქვთ *(წმიდა ბასილი დიდი)*.

შინაგანად მდიდრები გარეგნულ სიღარიბეს ვერ გრძნობენ.

განა ბევრი რამ არის საჭირო ამ ცხოვრებაში? წმიდანები ხომ მცირედითაც კმაყოფილდებოდნენ. ის მცირედი, რაც ბოძებული გვაქვს, ფუფუნებაა იმასთან შედარებით, როგორც წმიდანები ცხოვრობდნენ. გვრცხვენოდეს ჩვენი უგუნურების.

არიან ათასობით და ათიათასობით ადამიანები, რომლებსაც შენზე ნაკლები აქვთ, თუმცაღა საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილნი არიან და იმ ათასობით ადამიანზე ბედნიერნი არიან, ვისაც შენზე მეტი აქვთ.

ის კი არ არის მდიდარი, ვისაც შენზე მეტი აქვს, არამედ ის, ვინც მცირედითაც კმაყოფილია.

სიმდიდრე ის კი არ არის, რომ ბევრი გქონდეს, არამედ ის, რომ მის მოხვეჭაზე არ ზრუნავდე *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ის კი არ არის ღატაკი, ვისაც არაფერი აქვს, არამედ ის, ვისაც მეტი უნდა. ასევე, მდიდარი ის კი არაა, ვისაც ბევრი აქვს, არამედ ის, ვინც არაფერს ითხოვს.

მცირედზე კმაყოფილებით ცხოვრება ნიშნავს ჭეშმარიტად მდიდარი იყო.

უსაზღვრო სურვილებით აღსავსე ადამიანი ღატაკია სიმდიდრეშიც კი, ზომიერი ადამიანი კი მცირედითაც მდიდარია.

✦ზედმეტს ნუ მოვისურვებთ: მცირედითაც კმაყოფილნი ვიყოთ — და ყოველთვის მდიდრები ვიქნებით *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✦რაც ნაკლები გვსურს, მით უფრო მეტს ვფლობთ.

✦ვინც სიმდიდრის ვნება დათრგუნა, ყველაზე მდიდარია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✦ყველაზე დიდებული სიმდიდრე ისაა, რომ არ გქონდს სიმდიდრის მოთხოვნილება *(წმიდა ისიდორე პელუსიელი)*.

✦კმაყოფილი გული და კეთილი სინდისი ადამიანს ყველა ვითარებაში ამდიდრებს.

✦ქრისტეს მხედარი ის არაა, ვინც თავის ხვედრზე წუწუნებს *(აბბა ჰიმენი)*.

✦ცოდვაა საკუთარ თავს უნიჭო ადამიანად თვლიდე: ვინაიდან ყოველ ადამიანს ღმერთი აძლევს ტალანტს — იმდენ ძალასა და საშუალებას, რამდენსაც დაიტევს მისი ბუნება და რამდენიც საჭიროა მისთვის საბოლოო მიზნის მისაღწევად.

✦როცა ღმერთი იმდენს არ გაძლევს, რამდენიც შენ გინდა, ან შენ თავს სხვებს

ამჯობინებს, ამით ნუ განაწყენდები, თავი ულირსად მიიჩნიე ამ ძღვენისა, იმითაც კმაყოფილი იყავი, რაც გაქვს, ადიდე შემოქმედი უფლის განგება, რამეთუ იგი ყოველთვის წმიდაა და სამართლიანია, თუნდაც შენთვის ეს გაუგებარი იყოს.

✝დიდი სიკეთის ღირსი ისაა, ვინც თავს იმის ულირსად მიიჩნევს, რაც აქვს.

✝ვინც თავს უნიჭოდ მიიჩნევს, იგი ან ვერ აცნობიერებს ღვთის ძღვენს, ან სურს მეტისმეტი, ან თავისი უქნარობის გამო ისიც დაკარგა, რაც ღმერთისგან მიუღია.

✝თუკი ჩვენ უწინდელზე ნაკლებად გვენდობიან და მოგვანდობენ, აღვასრულოთ ის, რაც ჯერ კიდევ ჩვენ გვაკისრია, და მცირეზე ერთგულება, შეიძლება, დაგვიბრუნოს ნდობა, რომლის ამოძირკვა შეუძლებელია, ან ღვთის განგებით საკუთარ თავს მოვუწოდოთ უკეთ მოაწყოს ჩვენი ცხოვრება

✝მცირედმნიშვნელოვნად ნუ მიიჩნევ იმასაც კი, რომ მცირესა ზედა ერთგულ იყო (მთ. 25, 21).

✦მცირესა ზედა ერთგულებით მოიხვეჭება მრავალსა ზედა ნდობა.

✦გელიმება, როცა ხედავ, რომ ბავშვს თავი დიდად მოაქვს. მიმოიხედე, განა ნაკლებად სასაცილო ხარ შენ, როცა უკმაყოფილო ხარ შენი მდგომარეობით?

✦ის, რომ ყველას არათანაბარი ნიჭი მიეცა, ხელს არავის უშლის, რომ ერთნაირ ნეტარებას მიაღწიონ.

✦მცირესა ზედა ერთგულიც მრავალსა ზედა ერთგულებთან ერთად იქნება დადგინებული უფლის სიხარულში.

✦უფალი ჩვენგან არასდროს მოითხოვს ანგარიშს დიდებულ საქმეებში, არამედ მხოლოდ მცირეზე ერთგულებას ითხოვს.

✦უმჯობესია, იყო სრულყოფილი ნაკლებად სრულყოფილში, ვიდრე არასრულყოფილი მეტად სრულყოფილში.

✦არა ასპარეზის სირთულით იზომება უფლის წინაშე ჩვენი დამსახურება, არამედ – მისდამი სიყვარულისა და ერთგულების

საზომით, რითაც ყოველი ჩვენთაგანი ემსახურება მას, სულ ერთია, დიდი იქნება ის თუ მცირე. – მიწიერი გაგებით.

ღვთისთვის სათნო დიდებული საქმეები კი არაა, არამედ – დიდი სიყვარული, რომლითაც ისინი კეთდება. არაფერია დიდებული, როცა მცირედ უყვართ, და არაფერია მცირე, როცა ძალიან უყვართ *(წმიდა ბასილი დიდი)*.

მცირისადმი ერთგულებაზეა დამოკიდებული წარმატება დიდ საქმეებში. „გინდა იყო დიდებული, დაიწყე ყველაზე უმცირესიდან“. – ამბობს ნეტარი ავგუსტინე.

ის, ვინც დარდობს იმაზე, რომ არ შეუძლია ბევრის კეთება, მცირესაც ვერ აკეთებს.

იგი, ვინც ზარმაცობს მცირედში, რომელიც მას ეხება, ნუ დაიჯერებ, რომ ოდესმე დიდებაში თავს გამოიჩენს *(წმიდა ისააკ ასური)*.

არც ერთი მდგომარეობა არ არის ადამიანთა შორის ისეთი, რომლითაც შეუძ-

ლებელი იქნებოდა უსასრულოდ განდიდება, ან იმით რასაც ვაკეთებთ, ან იმით, რასაც ვითმენთ.

✗მდაბალი მსახურება არასდროს დაამდაბლებს მაღალ ადამიანს.

✗დამამცირებელი არაა იყო თანამდებობაზე მაღლა: დამამდაბლებელია, შენი საქმეებით მასზე დაბლა იდგე.

✗როგორც ქმნილებათა სხვადასხვაგვარობა შეადგენს სილამაზეს ნივთიერ სამყაროში: ასევე ტალანტთა სხვადასხვაობა და ადგილი ადამიანთა საზოგადოებაში შეადგენს სულიერი სამყაროს სილამაზეს.

✗დაე, ყველამ შეასრულოს თავის დანიშნულება: მაშინ ყველას მაღალი დანიშნულება ექნება — საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის, და მთლიანობაში — შესანიშნავი წესრიგი.

✗დიდებულებს მცირეთა გარეშე, ისევე როგორც მცირებს დიდებულთა გარეშე არსებობა არ შეუძლიათ.

❧ქრისტეში ყველანი ერთნი არიან: ერთი მეორეზე მეტი არ არის, და მეორე – მესამესე.

❧ბატონებსა და მორებს – ერთი უფალი ჰყავთ ზეცაში.

მწუხარება

❧Ოსრაელის მოგზაურობა არაბეთის უდაბნოში ჩვენს მიწიერ ცხოვრებას ჰგავს. ვიდრე ზეციურ ქანაანს მივაღწევდეთ, მანამდე მრავალი უბედურებისა და მწუხარების დათმენა მოგვიწევს.

❧როგორც მიწაზე მცხოვრებისათვის შეუძლებელია, თავი აარიდოს ამ ჰაერს, ასევე ამ სამყაროში მცხოვრები ადამიანი ვერ იქნება მწუხარებისა და განსაცდელის გარეშე *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✝როგორც ადამიანი აუცილებლად გამოსცდის სიკვდილს, ასევე ვერც მწუხარებებს აუვლის გვერდს *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

✝ამბობენ, რომ არსებობს ქვეყანა, სადაც მავნე ცხოველები არ არსებობენ; არის მეორე ქვეყანაც, სადაც თოვლი არ არსებობს; მაგრამ მოკვდავთა შორის არ არსებობს ადამიანი, რომელიც დაიკვეხნიდა, რომ მან ცხოვრების გზა მძიმე განსაცდელების გარეშე გაიარა *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).*

✝როგორც ზღვაში ტალღას ტალღა მოსდევს, ასევე ცხოვრებაშიც, უბედურებას უბედურება მოსდევს, წყენას – წყენა, განსაცდელს – განსაცდელი *(წმიდა დიმიტრი როსტოველი).*

✝მართალია, ჩვენი აზრით, მრავალნი კეთილდღეობაში ცხოვრობენ, მაგრამ მაინც არ არსებობს ისეთი კეთილდღეობა, რომელსაც ავი დღეების სიმწარე არ ახლდეს *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

შესანიშნავ სამყოფელებში ისევე ტირიან, როგორც ქოხში, ხშირად კი ოქროდანაც მოედინება ცრემლები.

ზოგჯერ გარეშე მაყურებლის თვალში ძალზე ბედნიერი ადამიანები, სინამდვილეში ყველაზე უბედურები არიან.

მიწაზე ყველაზე კეთილდღეობითი ცხოვრება აღსავსეა გაუთვალისწინებელი წყენით, დაუკმაყოფილებელი სურვილებით, მძიმე, არცთუ იშვიათად დამქანცველი შრომით. რისთვის არის ეს დაშვებული ღვთის განგებულებისგან, თუ არა იმისათვის, რომ ადამიანმა, რომელმაც იმ ნეტარების შენარჩუნება არ ისურვა, უკვე მწარე გამოცდილებით შეიცნო, რა დაკარგა და მორჩილებითა და სათნო ცხოვრებით უფრო გულმოდგინედ უბრუნდება ზეციურ ცხოვრებას.

ხილულ მწუხარებაში ყოველთვის უხილავი მადლი იმალება.

მწუხარებები ჩვენი სკოლაა, სადაც ვსწავლობთ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

მწუხარებები ბადეა, რომლითაც მაცხოვარი ზეციური სასუფევლისათვის გვინადირებს; ეს მისი სათხეველია, რითაც ზეცისაკენ მიგვიზიდავს; ეს ბორკილია, რომელითაც იგი გვაბამს თავისთან ჩვენდამი სიყვარულის გამო.

მწუხარებანი და უბედურებანი, რომელთაც ჩვენ ცხოვრების მანძილზე ვხვდებით, ნამდვილი წამლობაა ჩვენი სულიერი ავადმყოფობის ჟამს. ისინი აცოცხლებენ ჩვენში ცნებებისა და უკანონობისაგან მიძინებულ ჩვენს სინდისს, გვაიძულებენ, ჩავუღრმავდეთ საკუთარ თავს, შევიცნოთ საკუთარი ცოდვილი მდგომარეობა და ჩვენი თავის გამოსწორებაზე ვიზრუნოთ; ისინი უნებურად მოსწყვეტენ ჩვენს გულს მიწასა და მიწიერს და მიმართავენ ღვთისაკენ, რომელსაც სულ მალე ვივიწყებთ, როგორც კი სიამოვნებასა და ბედნიერებაში აღმოვჩნდებით.

❦როგორც ბედნიერება აამაყებს, ისე უბედურება ამდაბლებს და საკუთარი თავის შეცნობას უწყობს ხელს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

❦არფცერი ისე არ განაწყობს სულს სიბრძნისმოყვარეობის მიმართ, როგორც – მწუხარება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

❦ქარიშხლის დროს ადამიანები უსაფრთხო სამყოფელში იმალებიან; ასევე განსაცდელისა და უბედურებისას ულრმავდებიან საკუთარ თავს და პირისპირ ხედავენ მას.

❦როგორც ჩაქუჩი ამტვრევს ქვას, ასევე მწუხარება შემუსრავს უხეშობას, უგრძნობლობას, ამპარტავნებასა და გულის უშიშრობას.

❦მწუხარებებს შეუძლიათ, „სატანისაგან ღვთისაკენ მიაქციოს“ (საქ. 26, 18) ქვეშლაზე ჯიუტი ცოდვილიც კი, თუ მან ბოლომდე არ ჩაახშო საკუთარ თავში ზნეობრივი გრძნობები.

ზოგჯერ ღმერთი იძულებულია, ადამიანს წაართვას ჯანმრთელობა, ქონება და სხვა სიკეთეები, როდესაც მათი მფლობელი ადამიანი არც სინდისის ყვედრებას ისმენს, არც სჯულის ქადაგებას და ამ ყოველივეს თავის საზიანოდ შეატრიალებს.

არც მამის გეშინია, არც მასწავლებლის, არც უფროსის, არც კანონის დამცველისა და არც მსაჯულის? არ გრცხვენია მეგობრის? ვერც სინდისი გამოგასწორებს? სწორედ ამ დროს მოდის ხორციელი ავადმყოფობა და არცთუ იშვიათად ყველაფერს ასწორებს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

თავმდაბალი იყავი ბედნიერებაში, ვიდრე ღვთის მძიმე ხელი უბედურების საშუალებით არ დაგამდაბლებს.

თვითონ დაიმდაბლე თავი, და მაშინ არ დაგჭირდება, რაიმე განსაკუთრებულმა უბედურებამ დაგამდაბლოს.

ვისაც არ სურს სინანულის მწუხარება იტვირთოს, მას საღვთო განგებულება უნებურ მწუხარებას შეახვედრებს *(აბბა ფალასი)*.

რბილი თიხა ადვილად იჭრება, ქვის დამტვრევას კი მძიმე ურო სჭირდება.

უბედურებანი ისევე აუცილებელი და სათნომყოფელია სულისათვის, როგორც — ქარიშხალი და ქუხილი ხილული ბუნებისათვის.

საშინელია ქუხილი, მაგრამ რა დაემართებოდა ატმოსფეროს მის გარეშე? მწარეა მწუხარება, მაგრამ რა დაბლა დაეცემოდა ადამიანის ბუნება ამ განმწმენდი ძალის გარეშე!

განსაცდელები რომ არ არსებობდეს, ვერავინ ცხონდებოდა *(ამბა ეფაგრე)*.

საშინელებაა მწუხარების გარეშე დიდხანს დარჩენა. დამდგარი წყალი ჭაობად იქცევა, ქარიშხლები და ქარები კი აცოცხლებენ და შემოქმედებითად აღანთებენ მას.

ოქრო და ვერცხლი უცეცხლოდ არ განიწმინდება; ასევე სულიც, მწუხარებებისა და განსაცდელების გარეშე ვერ განიწმინდება ცოდვილი ვნებებისაგან.

კეთილდღეობა მწუხარების გარეშე საშიშია: მეყსეულად მოეწევა ადამიანს უბედურება.

ადამიანური ბედნიერება ხშირად მუდმივი განსჯის მიზეზი ხდება.

ავადმყოფისთვის ცუდის მომასწავებელი ნიშანია, როცა ექიმი უკვე ნებას რთავს, ის ჭამოს და სვას, რაც ესიამოვნება: როგორც ჩანს, ექიმმა უკვე მისი გაჯანსაღების იმედი დაკარგა და მას სიკვდილის გარდაუვალ მსხვერპლად მიიჩნევს. სუსტად ასევე ექცევა ღმერთი ცოდვილსაც, რომელმაც ვერ შეძლო, ესარგებლა მისი მადლის ნიჭით. მაშინ ნებას გვაძლევს, ვაკეთოთ ყოველივე, რაც ჩვენ გრძნობებს ეამება (ფს. 80, 12,13; რომ 1, 21-24).

როცა მამა შვილს დაუსჯელად ტოვებს და თავის ნებაზე მიუშვებს, აშკარავდება, რომ მან სურგი აქცია და განიშორა იგი; ასევე, როცა უფალი ადამიანს დატოვებს დაუსჯელად, იმის მიმანიშნებელია, რომ მან

ღვთის წყალობისგან განაძევა იგი. და ასეთ ადამიანს სხვა არაფერი ელის, გარდა – საკუთარ თავზე მოწვნული ღვთის რისხვისა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ის, ვინც ცოდვის გამო აქ არ ისჯება, ყველაზე უბედური ადამიანია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ღვთის სიმართლე მოითხოვს, რომ ცოდვილი თავისი ცოდვების გამო დაისაჯოს. და თუკი ცოდვილი აუცილებლად დაისჯება, მისთვის უკეთესია დაისაჯოს აქ და მადლიერებით ითმინოს დროებითი სასჯელი, ვიდრე მომავალ საუკუნეში უსასრულოდ დაიტანჯოს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

მან, ვისაც სურს, თავიდან აირიდოს მომავალი უბედურებები, სიხარულით უნდა აიტანოს ის, რაც დღეს შეემთხვევა *(წმიდა მარკოზ მოსავრე)*.

იმისათვის, რომ მარადიულად არ ვიტანჯოთ, დროებითი სატანჯველი უნდა დავითმინოთ.

მეტად საცოდავია ის, ვინც ბევრს სცოდავს და აქვე მადლიერებით არ დაითმენს მწუხარებას, რომელიც ცოდვათა გამო მოევლინა, არამედ, მუდამ სურს, რომ ყოველივე მისი სურვილით ხდებოდეს! იცოდე, რომ ამგვარი კაცი, თუმცა კი არ სურს, მაინც დაიტანჯება მომავალ ცხორებაში *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

თუკი მიხვდები, რომ არსებობს მარადიულობა, და გონებაში წარმოიდგენ, რაოდენ მძიმეა მარადიული დიდების მოკლება და გეენიის ცეცხლში ჩავარდნა, რასაც დემონებიც უფრთხიან: ნებისმიერ სატანჯველის დათმენას ამოირჩევ და ღმერთს მადლობას შესწირავ მისი მამობრივი გულმოწყალე სასჯელის გამო *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ჯოჯოხეთში მოხვედრა — აი, უბედურებათა უბედურება.

უმჯობესია ყოველგვარი სასჯელის აქ, უფლის ხელიდან დათმენა, და მარადი-

ულ მომავალ ცხოვრებაში ნუგეშის მიღება, ვიდრე აქ დაუსჯელი ყოფნა და სიკვდილის შემდეგ ღვთის მარადიული რისხვის დათმენა, რომელსაც ვერაფრით აიცილებენ თავიდან ამქვეყნად დაუსჯელი და გამოუსწორებელი ცოდვილები *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

უკეთესია, მთელი ცხოვრება ტიროდე ზეციური ნუგეშის იმედით, ვიდრე ცხოვრება განუწყვეტელი სიამოვნებებით გაატარო, რათა შემდეგ სასოწარკვეთილმა მარადიულად იგლოვო.

არასდროს გეშინოდეს სასჯელის, მაგრამ გეშინოდეს ცოდვის, რაც სასჯელს წარმოშობს *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

რა მწუხარებაც უნდა შეგემთხვეს, ნურავის დაადანაშაულებ, საკუთარი თავის გარდა, და თქვი: „ეს ჩემი ცოდვების გამო დამემართა“.

თუნდაც მხოლოდ ადამიანთა ხელსა და ადამიანთა ქმედებას. ხედავდე შენს მწუხარე-

ბაში, მაინც აუცილებლად იფიქრე ასე: „ეს არ მომივიდოდა, ღმერთს რომ არ დაეშვა“.

როდესაც ვინმე იმ წამალს გაწვდით, რომელიც ჯანმრთელობის აღსადგენად გამოცდილმა ექიმმა გამოგიწერათ, წამლის დალევისას ხომ არ ფიქრობთ იმ ხელზე, ვინც სამკურნალო საშუალება მოგაწოდათ, არამედ იმაზე, ვინც საჭიროდ ჩათვალა, რომ ის მიგეღოთ. სწორედ ასევე მოიქეცით სულიერი განსაცდელის ჟამს – თქვენი გონება მხოლოდ უფალს მიმართეთ, რომელიც მიუწვდომელი სიბრძნით გიგზავნით მწუხარებას, რათა თქვენი სულიერი სიმართლე აღადგინოს.

ნუ იტყვი: „ო! რა უბედური ვარ!“ არამედ თქვი: „ეს კიდევ ცოტაა ჩემი ცოდვებისათვის“.

ჩვენი ცოდვები, რითაც უფლის სახიერებას შევურაცხყოფთ, ბევრად მეტია, ვიდრე – ღვთის სასჯელი, როგორიც არ უნდა იყოს იგი: ღმერთი, თავისი უდიდესი გულ-

მოწყალების გამო, ყოველთვის ნაკლებად გვსჯის, ვიდრე ჩვენ ვიმსახურებთ *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ერთ რამეს ერიდე და გეშინოდეს ყველზე მეტად – ცოდვისა; მწუხარება, დარდი - ეს სულიერი მკურნალობაა.

უბედურება, თუმცა კი მწარე, მაგრამ განმკურნებელი წამალია ჩვენი სულიერი სიმართლისათვის *(მარკუს აურელიუსი)*.

მწუხარება ან ტაჯვა-წამება მტკივნეული, თუმცა კი – მხსნელი ოპერაციაა, რომლითაც სულის ქქიმი მისგან უხეშ წანაზარდებს კვეთს; ამ აზრით, ადამიანის დასჯა, კეთილდღეობის დაკარგვა, მასზედ მწუხარებების, დანაკარგების, აცადმყოფობების მოწევნა, ტანჯულისადმი საღვთო სიყვარულის გამოვლინებაა, მსგავსად იმისა, როგორც მოყვარული მშობლები ართმევენ ბავშვს სახიფათო სათამაშოებსა და მავნე წამლებს – მისი ტირილისა და ცრემლების მიუხედავად.

✻როგორც ზოგჯერ სხეულის ექიმი ხორცის წყლულს მტკივნეულად მოწვავს ან რკინით ამოკვეთს და ხელოვნურ ტკივილს აყენებს ადამიანს, რათა განკურნოს მისი სნეულება, მსგავსად ამისა, სულისა და სხეულის ექიმი იყენებს მწუხარების იარაღს, რათა ამოძირკვოს ფესვები და დაფაროს ცოდვის ნაკვალევი, ტანჯვის ცეცხლით სწვავს ვნებებსა და ცოდვებით ტკბობის წყლულს.

✻უბედურებას შეხვდი არა როგორც მტერსა და მტანჯველს, არამედ, როგორც – ცოდვების გამო სამართლიან დამსჯელს, როგორც – სულიერ სნეულებათა ექიმს, როგორც ღვთის მიერ მოვლენილს, როგორც მადლის მაცნეს: „უფალს ვინც უყვარს, ტანჯავს" (ებრ. 12, 6).

✻როცა ღვთისგან მოვლენილ სასჯელს ითმენ, ნუ დრტვინავ, ვინაიდან ის გსჯის, როგორც მამა და მადლიერებას იმსახურებს, როგორც – კეთილისმოქმედი *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✝უფალი სიყვარულის და არა – მრისხანების გამო გვსჯის: ამიტომაც უნდა მოვითმინოთ მისი მამობრივი სასჯელი რისხვითა და ყვედრებით კი არა – არამედ სიყვარულითა და მადლიერებით *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝განა ცხვრებს უფლება აქვთ, იწუწუნონ, როცა მწყემსი მათ ერთი ადგილიდან მეორეზე გარეკავს, სჯის კიდეც, რადგან სურს, უფსკრულს განარიდოს, რომელშიც ადვილად ჩაცვივდებონენ? – განა ჩვენ კი გვაქვს უფლება, მამაზეციერს ვაყვედროთ, თუ იგი, ცოდვისგან ჩვენი განშორების მიზნით, მწუხარებითა და უბედურებით გვეწვევა?

✝განა ვურისხდებით და ვსაყვედუროთ ექიმს, როცა მძიმე სნეულების ჟამს დროულად გვაძლევს მწარე წამალს? არანაირად. პირიქით, ვმადლობთ მას. ასევე არ უნდა ვდრტვინავდეთ ღვთის წმიდა განგებულებაზე, რომ ცხოვრებაში სამწუხარო გარემოებებს მოგვიყლენს.

ჭრილობის სალბუნი, მაშინ მოქმედებს, როცა სნეული მოთმინებით ატარებს მას წყლულზე. სხვაგვარად საუკეთესო სალბუნიც კი, თუ უდროოდ მოაშორებენ წყლულიდან, სნეულს ვერ არგებს. იგივე შეიძლება ითქვას მწუხარებაზეც. თუ მწუხარებას არ დავითმენთ, მან შეიძლება, ვეღარ იმოქმედოს და ვერ შეძლოს, იმ კეთილსასურველი მიზნის მიღწევა, საცა ყოვლადბრძენის განგებულებით გვეგზავნება.

ვნუგეშობთ და ვხარობთ, როცა მკურნალი კურნავს ჩვენს უძლურ სხეულს, თუმცა კი – მწარე წამლით და სასტიკი კურნებით. ვმადლობთ და სამაგიეროს მივაგებთ მას. მით უფრო უნდა გვიხაროდეს და გულით ვმადლობდეთ უფალს, როცა ჩვენს სულიერ უძლურებებს მწუხარებითა და განსაცდელებით კურნავს.

სულგრძელად გადაიტანე შენი მწუხარება: მაშინ თავად დაინახავ, რისთვისაც გამოგეგზავნა იგი (ფს. 72, 12-17).

ავადმყოფი წამლის მიღებისას გრძნობს მის მწარე, უსიამოვნო გემოს, მაგრამ ვერ შეიგრძნობს მის მაკურნებელ თვისებებს; საკურნებელ მოწვისა და ჭრილობის დროს მხოლოდ ტკივილს და ფიზიკურ ტანჯვას განიცდის და მხოლოდ მერე, გამოჯანმრთელებისას იგრძნობს უსიამოვნო წამლის ძალას, გადატანილი მტანჯველი წვისა და ჭრილობის აუცილებლობასა და გადამრჩენელ ძალას. იგივე ითქმის სულიერი ავადმყოფის შესახებაც.

უბედურების შემდეგ მაინც ბქვი, რისი თქმაც თავად უბედურების ჟამს ვერ შეძელი: „იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერითგან და უკუნისამდე“.

უბედურებამ ჩაიარა, მაგრამ არ უნდა ჩაიაროს მისმა მოგონებამ.

წარსული უბედურებების გახსენება ყოველთვის გვაძლევს საშუალებას, ვხედავდეთ დღევანდელ კეთილდღეობას.

იცოდე, რომ ყოველთვის ცოდვებისათვის არ ხდება უბედურების, მწუხარების დაშვე-

ბა. ზოგჯერ კაცთმოყვარე ღმერთი, რომელსაც უყვარს თავისი მრონა, განგებ აგდებს მას სატანჯველში, როგორც ოქროს ხოდს ცეცხლში, რათა გამოსცადოს იგი, როგორც ოქრო ქურაში. უფალი გცდით, ეუბნებოდა მოსე ისრაელს (მეორე სჯ. 13, 3).

✝ხშირად მართალნიც მიეცემიან უკეთურ ადამიანთა ხელთ, არა – უკეთურთა განსადიდებლად, არამედ – მართალთა გამოსაცდელად *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი).*

✝ოქრო ცეცხლით გამოიცდება, რწმენა კი – განსაცდელებით.

✝მეომრის სიმამაცე ბრძოლაში გამოიცდება, ჩვენი რწმენის სიმტკიცე კი – განსაცდელებში.

✝რკინა ცეცხლში გამოიცდება, სიმამაცე კი – უბედურებით *(სენეკა).*

✝ოქრო ცეცხელის ქურაში გამოიცდება, კეთილზნეობრივი ადამიანი კი – მწუხარებაში.

✝ნივთი, რომელიც ოქროს ჰგავს, შეიძლება, სუფთა ოქრო იყოს და შეიძლება,

მინარევები ჰქონდეს, ან სულაც არ იყოს ოქრო შიგნიდან. ცეცხლში ოქრო იწმიდება, მინარევი შორდება, ყალბი ნივთიერება კი გამოააშკარავდება. ასევე ადამიანის სათნოება შეიძლება იყოს წმიდა და მტკიცე, ღვთისათვის აღსრულებული და ღვთის ძალის მიერ განმტკიცებული, ან უწმიდური, რომელთანაც შერწყმულია ამპარტავნების გულისთქმები, ანგარება და თვითმაამებლობა, ან სულაც მლიქვნელობა: განსაცდელის ცეცხლში სიწმიდე მაღლდება, უწმიდურობა ჩამოშორდება, მლიქვნელობა ემხილება.

✻სათნოება, რომელიც მწუხარებაში არ არის გამოცდილი, სრულყოფილი სათნოება არაა. მას ჯერ სათნოებასაც კი ვერ უწოდებენ.

✻როგორც მეგობარს ვერ დაუდგები თავდებად, თუკი მისი ერთგულება ჯერ კიდევ არ არის გამოცდილი უბედურებაში (ზირ. 6, 7); ზუსტად ასევე ვერც სათნოების სიმტკიცეს, სიმყარეს, გულწრფელობას მიენდო-

ბი, ვიდრე იგი მწუხარების საცდელი ქვით არ გამოიცდება.

✤ბოცმანის ხელოვნება მაშინ კი არ გამოიცდება, როცა წყნარი ამინდია, არამედ მაშინ, როცა ქარიშხალია და ღელვაა ზღვაზე.

✤ქრისტიანი, რომელიც უბედურებით არ არის გამოცდილი, იმ მეომარს ჰგავს, რომელიც ბრძოლაში ჯერ არ ჩაბმულა. მზერა, მიმართვა, მეთოდები, მეტყველება – ყოველივე ეს მის სიმამაცეს გვიჩვენებს; მაგრამ თუ იგი არსად შეხვედრია მტერს, არც კი დაუნახავს იგი. განა შეიძლება, მივენდოთ მის სიმამაცესა და უშიშარობას?

✤კეთილზნეობა ჯვრის გარეშე უმეტესწილად მხოლოდ წარმოსახვითი კეთილზნეობაა (ფს. 118, 67,71).

✤რა სათნოებაა იმაში, რომ სიხარულით მიიღო სასიამოვნო რამ? მაგრამ სამწუხაროს მიღება სულგრძელად, ღვთის ნებისადმი მინდობით, – აი, ღვაწლი, აი, სათნოება, აი, ჯილდოს წინდი!

ნება რომ მქონოდა, შემეცნებითი გაკვეთილები მეძებნა გართობის ამქვეყნიურ სკოლაში, ვიკითხავდი, რა იწვევს ცოცხალ თანამონაწილეობას, რა შეძრავს და აძრწუნებს მაყურებელს დრამატულ სცენაზე? დარწმუნებული ვარ, რომ მათ განაცვიფრებს არა – ბედნიერება, რაც ვერაფრით აღელვებს მათ, არა – ვნებაზე იოლი გამარჯვება, არამედ – სიმამაცე, რომელიც ყველა დაბრკოლებასა და ხიფათს ამარცხებს, უდიდესი სულგრძელება – ნებისმიერი შეურაცხყოფისას. შეურყეველი სულის სიმტკიცე, რაც ყოველგვარ მომხიბვლელ ცდუნებებზე იმარჯვებს. მართლაც, ყოველგვარი სათნოება ჩვენთვის მშვენიერი და ამაღლებული ხდება მხოლოდ ძალისხმევისა და თავგანწირვის შემთხვევაში.

მტერთან ბრძოლის გარეშე სათნოება ჭკნება. მხოლოდ მაშინ ჩანს იგი, როცა მის ძალას მოთმინება გვიჩვენებს *(სენეკა)*.

უბედურება სათნოების გამოვლინების შემთხვევაა *(სენეკა)*.

ჯუბედურებები გამოავლენენ დიდებულებსა და წმიდანებს, მსგავსად იმისა, როგორც ომი შობს გმირებს.

ჯროგორც რკინის მაგარ ქვაზე ხახუნი აჩენს ნაპერწლებს, რომელთა ნიშანწყალიც მანამდე არ არსებობდა: ასევე მწუხარების შემოტევისას მტკიცე სულიდან გამოანათებს სათნოებათა ნაპერწკლები, რომლებიც მის გარეშე ვერ გაიღვიძებდნენ.

ჯფუტკარი თაფლს არ აკეთებს, ვიდრე ყვავილებზე მოსვენებით ზის. ადამიანიც, ვიდრე მოსვენებულ მდგომარეობაში, სიამოვნებასა და ბედნიერებაში იმყოფება, არ გამოაჩენს თავის თავში რწმენის, სიყვარულის, ლოცვის ნაყოფს.

ჯვერც ღვინოსა და ვერც ცვილს ვერ აკეთებენ ზეწოლის გარეშე: სწორედ ასევე კეთილი საქმეების აღსრულება შეუძლებელია ძალდატანებითი შრომისა და ღვაწლის გარეშე. ყოველმა მართალმა დიდი მწუხარებითა და ტანჯვით განიბანა სა-

მოსელი (აპოკ. 7, 14), როგორც ამბობს იდუმალთმხილველი.

✠თუკი კეთილ ადამიანს ხედავთ, გწამდეთ, რომ ის უბედური იყო.

✠ოქროს წვავენ, რათა იგი გაიწმინდოს, მართალთ კი უფალი მწუხარებას მოუვლენს, რათა აამაღლოს, გააუმჯობესოს მათი სიწმიდე.

✠ოქრო ცეცხლით განიწმიდება, სული კი — განსაცდელებითა და მწუხარებებით.

✠განსაცდელი ბოროტება არ არის, არამედ სიკეთე. იგი კარგს უკეთესებად აქცევს. ესაა ქურა — ოქროს განსაწმედელი, ესაა წისქვილი — ხორბლის დასაფქველი, ესაა ცეცხლი, რომელიც ეკალ-ბარდებს შემუსრავს, რათა მიწამ შეძლოს, რომ მიიღოს თესლი კეთილი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠ბუნებაში ყოველივე უსუფთაო, პირველყოფილიდან წარმომდგარი და დაუმუშავებელი სრულყოფილებას სხვაგვარად ვერ შეიძენს, თუ არ დამუშავდა. ძვირფას ქვებს

აპრიალებენ; საღებავები იწურება და იწმიდება; ბროლსა და ფაიფურს ცეცხლში ატარებენ; ქვები იმტვრევა; ყველაფერში და ყველგან გარკვეული დანაკარგის გარეშე არაფერი უმჯობესდება.

გამოცდის გარეშე ადამიანი გამოცდილი ვერ იქნება.

თუკი მატყლი ვერ გამოდგება საქსოვად, თუ მას მრავალჯერ არ დატკეპნიან და დაჩეჩავენ, რის შედეგადაც ის სუფთავდება და საქსოვად გამოსადეგი ხდება; ასევე ღვთისმოყვარე სული, რომელმაც მრავალი განსაცდელი და მწუხარება გადაიტანა და მამაცურად დაითმინა მწუხარება, წმიდავდება, სულიერი ქმედებისათვის ფაქიზდება, და ბოლოს, ცათა სასუფევლის ღირსი ხდება *(წმიდა ეფრემ ასური)*.

როგორც გამოცდილი მებაღე ხიდან უნაყოფო ყლორტებს ჭრის, რათა წვენი ამოძრავდეს და ნაყოფიერ ტოტებში ჩადგეს, ასევე ყოვლადბრძენი უფალი განსაცდე-

ლის ორლესული მახვილით წმენდს სათნო ადამიანის სულს, რათა მან უმეტესი ნაყოფი გამოიღოს.

სიბრძნისმოყვარება ტანჯვისაგან უფრო მხნევდება და უბედურებებში მტკიცდება, როგორც გამოწრთობილი რკინა ცივ წყალში *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

რკინის იარაღებით დამუშავებული და ლპობადი ნივთიერებებით განაყოფიერებული მიწა განსაკუთრებით ნაყოფიერი ხდება: ასევე გული, რომელიც მწუხარებებით მუშავდება, დამცირებით რწყულდება, უმაღლესი სათნოებების განსაკუთრებულ უნარს იძენს.

თუკი სუსტი საგანი, რომელიც მყარს შეეჯახება, ზოგჯერ იმსხვრევა, ბუნებაში მრავალ ისეთ მოვლენასაც ვხვდებით, როცა დაბრკოლებისას საგნის ძალა იზრდება და უფრო მტკიცდება. მდინარე ჩუმად მიადინებს თავის წყლებს, როცა მისი კალაპოტი ფართოა: სწრაფად და ძლიერად მიისწრაფის

მაშინ, როცა გარშემო ვიწრო, კლდოვანი ნაპირები აწვება. ბუშტავს და სრულიად ქრება ნაპერწკალი, როცა ჰაერი არ მოძრაობს: ხოლო დიდ კოცონად გადაიქცევა, როცა ქარი ცეცხლს გააღვივებს. ქრისტიანი, არ მცონარებს, ყოველთვის უფალს მონებს და (რომ. 12, 11), მისდამი მხურვალე სიყვარულს განიცდის; მაგრამ. ის მეტად მოშურნე ხდება, როცა ღვთისთვის სათნო საქმეების კეთებისას განსაცდელსა და დაბრკოლებებს აწყდება.

როგორც მაგარ ხეებს ძირ-ფესვიანად ვერ ამოთხრის ქარის შემოტევა, თუნდაც მრავალი მხრიდან უტევდეს მას, პირიქით, ამით ხეს უფრო მყარსა და მტკიცესაც კი ხდის. ასევე სულს, რომელიც წმიდად და კეთილზნეობრივად ცხოვრობს, განსაცდელები და მწუხარებები ვერ დასცემენ, არამედ მასში კიდევ უფრო მეტ მოთმინებას გამოიწვევენ, როგორც მათ ნეტარი იობი გახადეს უფრო დიდებული და პატივცემული *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠დაითმინე მწუხარებები, რადგან ძაოში, როგორც ვარდები ეკლებში, იზრდებიან და საზრდოობენ სათნოებები *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✠ცნობილია, რომ ფუტკრები თაფლის შეგროვებისას მწარე საზრდელით იკვებებიან. ჩვენც მხოლოდ მაშინ შევძლებთ ღვთივსათნო საქმეების აღსრულებას, ან სათნოებათა თაფლის მოგროვებას, როცა მწუხარების პურს ვიგემებთ და მოთმინებაში ვიცხოვრებთ.

✠თუ შენ მართალი კაცი ხარ და სნეულება შეგეყრება, მისი მეშვეობით დიდებულიდან უდიდესისკენ გადადიხარ; შენ – ოქრო ხარ და ცეცხლის მეშვეობით უფრო იწმინდები.

✠თუ ცოდვები გაქვს, ისინი ადვილად დაიფერფლება და შეიმუსრება მწუხარებით. ხოლო თუკი სათნოება გაქვს, მწუხარებისგან იგი უფრო ნათელი და ბრწყინვალე ხდება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✠თაფლი, რომელიც კვლიავის – მწარე მცენარისგან კეთდება, საუკეთესოდ ითვ-

ლება. სიკეთეც, რომელიც ცხოვრებისეული განსაცდელების ჟამს, ტანჯვა-წამებით აღესრულება, უმაღლესი სიკეთეა.

ერთმა მართალმა მეუდაბნოემ შეამჩნია, რომ ერთი მისი სნეული მოწაფე ხშირი ამოოხვრით მოუთმენლობას გამოხატავდა, უთხრა: „ნუ სულმოკლეობ, შვილო ჩემო! შენი სხეული, რომელიც სნეულებით არის ტანჯული, შეიძლება, შენი სულისათვის მაცხოვნებელ მკურნალად იქცეს. თუ შენი საქმეებით რკინას ჰგავხარ, ტანჯვის ცეცხლი ჟანგისგან განგწმენდს, ხოლო თუ ოქრო ხარ, მაშინ ეს ცეცხლი შენს სათნოებებს მეტ ბრწყინვალებას მიანიჭებს“.

საქებარია სათნოებათა აღსრულებისას გამოჩენილი სიმამაცე მშვიდობის ჟამს; მაგრამ კიდევ უფრო საქებარია იგი ბრძოლის დროს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ეკლები, რომლებიც ვარდს გარს ერტყმიან, მას ვერც ფერს და ვერც კეთილსურნელებას ვერ წაართმევენ: განსაცდე-

ლი და ტანჯვა-წამება ჭეშმარიტ ქრისტიანს ბრწყინვალებას მატებენ.

✣როგორც ისრაელს არ შეეძლო, მიეღო აღთქმული ქანაანის მიწა მანამდე, ვიდრე სხვადასხვა მტერს არ დაამარცხებდა: ასევე მორწმუნე სული საკუთარ თავს არ უნდა შეჰპირდეს ზეციურ სასუფეველს, ვიდრე არ დასძლევს სხვადასხვა განსაცდელსა და მწუხარებას.

✣განსაცდელის გარეშე ბრძოლა არ არსებობს; ბრძოლის გარეშე არაა გამარჯვება, გამარჯვების გარეშე არაა სამაგიერო (2 ტიმ. 2, 5).

✣მან არ დაიმსახურა ტკბილი, ვინც არ იგემა და არ განიცადა მწარე.

✣მამაცურად დაითმინე ამ დროებით ცხოვრებაში ღვთისგან გამოგზავნილი ყოველგვარი მწუხარება, რათა მარადიულად იხარებდე მომავალ საუკუნეში. ვინაიდან ვინც არ ითმენს აქ სამწუხაროს, ის ვერ მიიღებს იქ სასიხარულოს *(წმიდა დიმიტრი როსტოველი).*

ჯის, ვინც აქ არ დაიტანჯება, იქ გაიგონებს სიტყვებს: „შვილო, მოიხსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხოვრებასა შენსა“ (ლკ. 16, 25).

ჯგონების თვალი აღუპყარ ზეციურ სამყაროს და მოიხილე მისი მკვიდრნი – ვერც ერთს ვერ ჰპოებ იქ, ვინც იქამდე მოთმინების გზით არ მისულა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ჯთუკი გსურს, შეხვიდე ზეციურ სასუფეველში, ისურვე მწუხარება: ვინაიდან ვისაც არ ჰქონია იგი, ის ვერაფრით შევა იქ, რადგან ვიწროა ბჭენი სამოთხისანი (მთ. 7, 14) *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ჯარავინაა ისეთი, ვინც აქაც – ამსოფლად, და იქაც – მომავალ ცხოვრებაში სიხარულში იმყოფებოდა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ჯთუ მწუხარებებს არ ითმენ, ნუ ელი მომავალ გვირგვინებს, რადგან აქ არ გაგიწევია ის შრომა და ღვაწლი, რაც გვირგვინების მისაღებად არის დადგენილი *(წმიდა ბასილი დიდი)*.

მწუხარებისაგან განშორება სასუფეველისაგან განშორებას ნიშნავს.

თუ არ გსურს მოთმინება, გვირგვინი არ გდომებია.

დიდია მწუხარება: ამას ვეთანხმები: მაგრამ დიდია ის ჯილდოც, რაც უფალმა განუმზადა მოთმინებით აღსავსე ადამიანებს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

დაე, დიდი იყოს ჩვენი მწუხარება: მაგრამ ჯილდო, რაც მისთვის გვაქვს აღთქმული, შეუდარებლად დიდია. ნუთუ უარს ვიტყვით, დავითმინოთ მცირედი, იმისთვის, რომ უდიდესი მივიღოთ?

ჯობს, დროებითი მწუხარებით საკუთარი თავი მარადიული სიხარულისათვის მოვამზადოთ, ვიდრე, აქ მსუბუქი მწუხარებისაგან თავის დახსნით, მოკლებულ ვიქნეთ წარუვალ სიხარულს.

მწუხარება ცხოვრებისეული გზა, მაგრამ — დროებითია; მიგება კი — მარადიული.

ჩვენ დიდხანს არ მოგვიწევს მოთმინება: ეს წუთისოფელი ხომ მეტისმეტად ხანმოკლეა.

ჩვენი ცხოვრება — ერთი წუთია მარადისობასთან შედარებით და ამიტომ „ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის ჟამისანი მერმისა მის თანა დიდებისა, რომელ გამოჩინებად არს ჩუენდა მომართ“ (რომ 8, 18) მომავალ საუკუნეში.

ყველა მიწიერი მწუხარება მომავალი ცხოვრების ნეტარებასთან შედარებით იგივეა, რაც მწერის მიერ ნაკბენის წამიერი ტკივილი.

მწუხარებისას სასოწარკვეთილებაში კი არ უნდა ჩავვარდეთ და ვდრტვინავდეთ, არამედ პირიქით, გვიხაროდეს და ვმადლობდეთ უფალს, მის უსაზღვრო გულმოწყალების გამო, რომელმაც უდიდესი ცოდვების გამო უმცირესი სასჯელი მოგვივლინა და მცირეოდენი მწუხარების მარადიულ სიხარულს გვიმზადებს.

დავითმინოთ „აწმყო მამაცურად, მომავლით კი ვხარობდეთ“.

მომავალისადმი იმედით შეიმსუბუქე აწმყო. როგორც თვალით სნეულნი მზერას მოარიდებენ მეტისმეტად ბრწყინვალე საგნებს და ყვავილებსა და მცენარეებს შეჰურებენ. ასევე სულმა მუდმივად არ უნდა უცქიროს სამწუხაროს და იფიქროს მასზე, არამედ მზერა მომავალ სიკეთეების უნდა მიაპყროს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

ქონება წაგართვეს? – ზეციურ სიმდიდრესა და შეუდარებელ საუნჯეს უმზირე. სამშობლოდან გაგაძევეს? – შენ ხომ ზეციური იერუსალიმი გაქვს! შვილი დაკარგე? – მეგობრად ხომ ანგელოზები გყავს, რომლებთან ერთადაც ღვთის საყდრის წინაშე მარადიულად გაიხარებ.

მოგზაური გზაში უდრდტვინველად იტანს ყველა ქარიშხალსა და უამინდობას, ყველა გასაჭირსა და დანაკლისს იმ იმედით, მოგზაურობის დასასრულს, სრულყოფილ

განსვენებას ჰპოვებს მშობლიურ კერაზე. მებრძოლი ომში მამაცურად მიდის მტრის წინააღმდეგ, რომელთაც მისი მოკვლა სურთ, იმ იმედით, რომ ბრძოლის დასასრულს მისი გმირობა ღირსეულად დაგვირგვინდება. ჩვენც, მიწიერი მოგზაურები ვართ, ქრისტეს მეომრები, განა არ უნდა ვიტანდეთ და ვითმენდეთ სულგრძელად ყველა მწუხარებას? მამაცურად წინ აღვუდგეთ ყველა ცხოვრებისეულ განსაცდელს, სრული და ცოცხალი რწმენით იმისა, რომ „საწუთროი ესე მცირე ჭირი ჩუენი გარდამეტებულსა და გარდარეულსა დიდსა დიდებასა საუკუნესა შეიქმს ჩვენთვის“ (2. კორ. 4, 17).

თუკი ხალისით მიუყვებით ოლროჩოლრო გზას, რადგან იცით, რომ მშობლიური სახლისაკენ მიჰყავხართ: მაშ, გაიარეთ ხალისით მწუხარე ცხოვრების გზა, რომელსაც ღვთის სასუფეველ'ში შევყავართ.

ერთმა კეთილსნეობრივმა ხუცესმა აღსასრულის წინ წარმოთქვა: „ოჰ! რაოდენ

ვინც მოთმინებას გაურბის, ის ცხონებასაც გაურბის.

ღმერთი არც ერთი სათნოებით არ ხარობს ისე, როგორც მაშინ, როცა ვინმე რაიმე მწუხარებაში ჩავარდება და ბოლომდე მოთმინებით იტანს მადლიერებით.

წმიდა წერილში ღატაკი ლაზარეს სათნოებების შესახებ არაფერია ნათქვამი. მხოლოდ ის ჩანს, რომ არასდროს ყვედრიდა მდიდარს, არამედ მადლიერებით ატარებდა სილატაკის უღელს. ამისათვის ლაზარე აბრაამის წიაღში მიიღეს.

თუ მოთმინება შეირყევა – ვერც სხვა სათნოება გაძლებს.

მოუთმენლობის წუთმა შეიძლება, წლები და საუკუნეები დაანგრიოს.

როგორც მწუხარების მოთმინებით, სულგრძელად ატანა ამსუბუქებს მას, ასევე, პირიქით, მოუთმენლობა, სასოწაკვეთილება, მეტისმეტი დარდი მხოლოდ და მხოლოდ ვნებს და აძლიერებს მას.

✤როგორც მოთმინებით მსუბუქდება, ასევე მოუთმენლობით მრავლდება ტანჯვა-წამება *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✤სასოწარკვეთილება სხეულსაც ახმობს და სულსაც ანადგურებს.

✤მოუთმენელი ადამიანი ნებისმიერ შემთხვევაში ამრავლებს თავის მწუხარებას და სასოწარკვეთილებასთან ახლოს იმყოფება: მაგრამ ის, ვინც მწუხარებისას მოთმინებით აღიჭურვება, მოთუმენელზე ბევრად ახლოს იმყოფება ბედნიერ ცვლილებასთან და ბოროტებას ისე ძლიერ არ გრძნობს, რადგან არ დრტვინავს და არ წუწუნებს, ტანჯვა-წამებისას. ამიტომაც, რაც სიჩუმითა და მოთმინებით იტანს ადამიანი მწუხარებას, მით უფრო მწიფდება იგი და სრულიქნება და შესაბამისად, უფრო უახლოვდება გამოხსნისა და გადარჩენის წუთს (მთ. 24.13).

✤მოთმინებაში განისწავლე მანამ, ვიდრე ამის საჭიროება დადგება, რათა სა-

ჭიროების შემთხვევაში ყველა იარაღი უკვე მზად გქონდეს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✝ჩვენ უნდა მოვემზადოთ განსაცდელის გადასატანად მანამ, ვიდრე განსაცდელი მოგვიკაკუნებდეს, რათა გამოცდილნი აღმოვჩნდეთ მაშინ, როცა ის დაგვატყდება თავს.

✝განსაცდელის განჭვრეტა და მისთვის წინასწარ მზადება ნიშნავს ახლანდელი, თითქმის ნებაყოფლობითი ტანჯვით შევამციროთ მომავალი წამება. ეს თითქმის იგივეა, რომ უმძიმესი ვალი ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა ვადებში გადავიხადოთ.

✝მწუხარებისას სიკეთის იმედს ნუ დაკარგავ და საქმის წარმარტებით მსვლელობისას მწუხარებას ელოდე *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✝თუ სიხარული შეგვემთხვევა, ვივარაუდოთ, რომ ჩვენგან შორს არაა მწუხარებაც; და თუ მწუხარება გვეწვია, ველოდოთ სიხარულის მოახლოებას. გამოიყენე 'სლვაზე მოცურავეთა მაგალითი. როცა ქარიშხ-

ალი ატყდება, ისინი გადარჩენის იმედს არ კარგავენ, ტალღებს ეწინააღმდგებიან, და მშვიდ ამინდს ელიან. ხოლო როცა სიმშვიდე დაისადგურებს, ქარიშხლს ელიან; ამიტომაც ყოველთვის ფხიზლად არიან, რათა მოულოდნელად ამტყდარმა ქარიშხალმა მათ მოუმზადებლებს არ მოუსწროთ და ზღვაში არ დანთქას *(წმიდა ეფრემ ასური)*.

მწუხარება უფრო დამაწყლულებელია, როცა მოულოდნელია.

როცა უბედურებას ელი, მაშინაც კი ძნელი ასატანია იგი; ხოლო თუ უბედურება მოულოდნელია, – მძიმე როგორ არ იქნება?!

სიჩუმის დროს ელოდე ქარიშხალს, ჯანმრთელობის უამს – ავადმყოფობას, სიმდიდრისას – სიღატაკეს, სიამოვნებისას – შიმშილს და თავსდამტყდარი უბედურება ვერ გაგტეხს.

ვიდრე უბედურება დაგტყდომია თავს, მანამდე ელოდე მას და ემზადე მისთვის. ხოლო როცა უბედურებამ უკვე გიწია, სა-

სოს ნუ წარიკვეთ, დაითმინე იგი და გადარჩები მოთმინებით აღსავსე სხვა ადამიანებთან ერთად.

❦არავინ დაუძლურდეს სულით მწუხარების ჟამს. ამქვეყნად იყო და იქნება მრავალი – შეუდარებლად მძიმე უბედურება, რომელთა მსგავსიც, ჩვენ, უეჭველია, არ განგვიცდია.

❦თუ უბედური ხარ, იცოდე, რომ შენზე უბედურებიც არიან.

❦მწუხარებ შენი უბედურებების გამო? რომ გეფიქრა, სხვები რამდენს ითმენენ, უფრო ხმადაბლა იწუწუნებდი.

❦შენი მწუხარება განყენებულად კი არ გაზომო, რათა აუტანელი არ მოგეჩვენოს. არამედ ყველა ადამიანურ უბედურებას შეადარე და ნუგეშს ჰპოვებ მწუხარებისას *(წმიდა ბასილი დიდი)*.

❦ყველა წმიდანი ცხორებას მწუხარებასა და ნაღველში, მოთმინებასა და დევნაში ატარებდა: რა? მარტო შენ გინდა

დარჩე ყოველგვარი ტანჯვისა და მწუხარების გარეშე? თუ შენ მარტოს გინდა იყო ღვთის იმ რჩეულთა რიცხვში, არაფრის დათმენა რომ არ გსურს? ეს არ მოხდება *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

თუკი საფრთხე, უბედურება, მწუხარება შენს სიმამაცეს არყევს და შენს მოთმინებას ფიტავს – გაიხსენე დედა ღვთისა, რომელიც თავისი საყვარელი ძის ჯვრის წინაშე იდგა.

თუკი ქრისტემაც კი, რომელსაც ცოდვა არ ჩაუდენია, იტანჯა, განა ჩვენ, ცოდველები, ტანჯვაში უნდა ვდრტვინავდეთ?

მართალია, შეუძლებელია, ტანჯვისას მწუხარებას არ გრძნობდე: წმიდანებიც, რომლებიც საზოგადო ვალს უხდიდნენ ბუნებას, ზოგჯერ ცრემლებით ასველებდნენ სარეცელს, მაგრამ მათ ცრემლებში გამოსჭვიოდა სულის უდრტვინველი სიმშვიდე, მსგავსად იმისა, როგორც ზოგჯერ წყნარ ამინდში – წითელი მზე აირეკლება წვიმის წვეთებში.

წმიდა მამები გვირჩევენ კიდეც, მწუხარების ცრემლი დავლვაროთ. ოღონდ არა – ცრემლი გოდებისა და სასოწარკვეთისა, რომლებიც მხოლოდ გულს გვიგლეჯენ და მწუხარებას უნუგეშოდ აქცევენ, არამედ – ცრემლი, რომლებიც უფლისადმი ლოცვით მხურვალებასთანაა შეზავებული. ამგვარი ცრემლები, მართლაც, შეიძლება, და უმჯობესიცაა, ვურჩიოთ მწუხარე კაცს. ისინი მეტად ამსუბუქებენ მწუხარებას, მსგავსად – კეთილსასურველი წვიმისა: მწუხარებისა და ნაღველისაგან გამხმარ გულზე ზეციდან იმედსა და ნუგეშს ღვრიან.

შეიძლება ალზე დაკვირვებისას შევამჩნიოთ, რომ იგი საკუთარი კვამლით იხშვება, თუ კვამლი გარეთ არ გამოდის, მაღლა არ აიკლაკნება ალის სიახლოვეს. ასევე ხდება ცხოვრებისეულ ძალასთან მიმართებაში, იგი ილევა მწუხარებისაგნ, როცა გარეთ გამოსასვლელს ვერ ჰპოვებს (ცრემლების მეშვეობით) *(წმიდა ბასილი დიდი).*

როგორც ღრუბელთა გროვა აბნელებს ჰაერს, წვიმის წამოსვლითანავე კი ყველგან სიმშვიდე და სინათლე დაისადგურებს: ასევე მწუხარება, ვიდრე ჩვენს შიგნითაა, გონებას გვიბნელებს, ხოლო როცა ლოცვითი სიტყვებითა და ცრემლებით გარეთ გამოაღწევს, სულში უდიდეს სინათლეს დაავანებს. მაშინ ღვთაებრივი შეწევნა, როგორც ლამპარი, იგზავნება სულში.

არიან უბედურნი, რომლებიც ცდილობენ, თავსდატეხილი უბედურება დამღუპველი ვნებით — ღვინის სმით ჩაახშონ. საშინელი სისუსტეა! საშინელი ცდომილება! ასეთნი მწუხარებას კი არ ახშობენ, არამედ ერთი ბოროტებას (თუკი საერთოდ შეიძლება მწუხარებას ბოროტება უწოდო) მეორეს უმატებენ.

მწუხარება არ გამონელდება ღვინოსთან ერთად, მასთან ერთად კი სულში ახალი ბოროტება ჩნდება — ლოთობა (წმიდა ბასილი დიდი).

მწუხარებაში ნუგეშისცემას იესო ქრისტეში უნდა ვეძებდეთ; სხვაგვარად ამაოდ დავუწყებთ ძებნას ნუგეშს.

თუ მწუხარე ხარ, იტირე ჯვარცმული მაცხოვრის წინაშე. როგორც ღრუბლებისა და ნისლის შემდეგ ნათლდება ზეცა, ასევე ტირილის შემდეგ შენი სული მადლმოსილი ნუგეშის ცისკრით განათლდება.

მწუხარე ადამიანისათვის ლოცვა იგივეა, რაც გვალვის დროს ცვარი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ჭირი ასწავლის ლოცვას, ლოცვა კი ამსუბუქებს ჭირს.

ზოგიერთი თავდაუზოგავად ცდილობს ადამიანური დახმარების მიღებას, ღმერთს კი არ იხსენებს. „ღმერთი ჩვენი შესავედრებელ და ძალ, შემწე ჭირთა შინა, რომელთა მპოვნეს ჩუენ ფრიად“ (ფს. 45, 1).

ისე ვერაფერი გაამხიარულებს სასოწარკვეთილსა და მწუხარებისაგან დათრგუნულ გულს, როგორც – ღმერთის გახსენება *(წმიდა ისიდორე პელუზიელი)*.

იმისათვის, რომ მოთმინება მოიხვეჭო მწუხარებასა და განსაცდელში – გწამდეს, რომ ყველაფერი ღვთის ნებით ხდება.

უფალი ჩვენი ყოვლისმცოდნეა: ამიტომ მას ესმის ჩვენი ყოველი ამოოხვრა, ხედავს ყოველ ჩვენს ცრემლს. ღმერთი ჩვენი ყოვლისშემძლეა: ამიტომ, მას შეუძლია, დაგვიხსნას ყოველგვარი მტრისაგან, თვით სიკვდილის ბრჭყალებისაგანაც კი. ღმერთი ჩვენი ყოვლადსახიერია: ამიტომ, მას სურს, რომ ვტკბებოდეთ კეთილდღეობით ახლანდელ, მის მიერ მონიჭებულ ცხოვრებაში. ამგვარად, თუკი ყოველივე ამის მიუხედავად, რაიმე უბედურება გვთრგუნავს, ნიშნავს, რომ ის, ღვთის განგებით, ჩვენთვის სასარგებლო და აუცილებელია.

თუკი ყოვლადსახიერი გვიგზავნის ტანჯვას, მაშინ, რა თქმა უნდა, ტანჯვაშიც არის რალაც სიკეთე.

თუკი განგება ერთიმეორის მიყოლებით გიგზავნის მწარე ფიალას, ისე რომ შენი

გული ღვთის გულმოწყალებაში ეჭვდება, მაშინ საკუთარ თავს უთხარი: „განა შეიძლება, როდესმე მზე იყოს უსხივოდ და სიყვარულის ღმერთი სრულიად უსიყვარულოდ?“

ღმერთი ჩვენზე რომ ზრუნავს, ამის ნიშანი ისაა, რომ უბედურებებითა და მწუხარებებით კურნავს ჩვენს ცოდვებს.

ცხოვრებაში თავსდატეხილ უბედურებებში, შენი თავი მიანდე ღვთის ნებას და ნუგეშსა და სიმშვიდეს მიიღებ.

შეშინებული ბავშვი დედის სარეცელისკენ გარბის. მის მსგავსად, ქრისტიანი, რომელიც მწუხარებებით არის დამარცხებული, ჩქარობს მადლის საფარველს შეეფაროს, რადგან მტკიცედ სწამს, რომ უწინ მიწიერი დედა დაივიწყებს თავის შვილს, ვიდრე მამაზეციერი დატოვებს მის მოყვარულს უმეტეს მწუხარებაში, ვიდრე – ატანა შეუძლია.

ღმერთი ჩვენზე იმაზე მეტ განსაცდელს არ უშვებს, რამდენი ძალაც გვაქვს.

ბროლისა და შუშის ჭურჭელს ხელოსანი მსუბუქად ურტყამს, რათა არ გატყდეს იგი, ვერცხლისა და სპილენძისას კი მაგრად მიარტყავს; ასევე უძლურებისთვის – მსუბუქ, ძლიერებისთვის კი მძიმე განსაცდელს უშვებს უფალი.

ოქრომჭედელი ძვირფას მეტალს რომ ცეცხლში ჩააგდებს, განა იქ დარჩება და დაავიწყდება? არა, იგი მეტისმეტად უფრთხილდება და ეძვირფასება. იგი ზის ქურასთან და უცდის, ყურადღებით აკვირდება მეტალს და როცა საკუთარ ანარეკლს შენიშნავს დამდნარ ოქროში, დაასკვნის, რომ გამოცდა დასრულებულია და ცეცხლს აქრობს. სწორედ ასევე მაცხოვარი ფხიზლობს უბედურებათა ქურასთან, რომელშიც ქრისტიანები უნდა განიწმდონ, ფუჭად არ უშვებს უმცირეს ტანჯვასაც კი და მხოლოდ უცდის, რომ მისი ხატება გამოისახოს მათ გულებში. და მისი ძეები გამოდიან იქიდან, როგორც „შვიდწილ“ განწმედილი ოქრო.

✝ადამიანური განსაცდელის უამს გულს ნუ გაიტეხთ.

✝მწუხარების დღეები გადის, ისევე როგორც – ბედნიერებისა.

✝ამქვეყნიური ცხოვრების განსაცდელსა და უბედურებებს ისეთივე გულგრილობით უნდა ვუყუროთ, როგორც კეთილგონიერი კაცი ბნელი ღამის განმავლობაში ცის კაშკაშა დღეს. მეტად უგუნური იქნებოდა ის მოგზაური, რომელიც უარს იტყოდა სამშობლოსკენ წასვლაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მზე განუწყვეტლივ არ გაუნათებს გზას.

✝სულით ნუ დავეცემით, როცა რაიმე უბედურება დაგვატყდება, რაც არ უნდა იყოს ის, ეს – მსწრაფლწარმავალი ღრუბელია. რა მწუხარებაც არ უნდა დაასახელო, მას მაინც თავისი დასასრული აქვს და უბედურებასაც საზღვარი აქვს (წმიდა იოანე ოქროპირი).

✝როგორ იქცევით ძლიერი ქარიშხლის დროს? – მოთმინებით უცდით მშვიდ და

ნათელ ამინდს. ღვთის სიკეთე გიღვივებთ იმედს, რომ ჭექა-ქუხილის შემდეგ სასიამოვნო ამინდით დატკბებით. ასევე მოიქცით, როცა ცილისწამება და ბოროტება გდევნიან: უდრტვინველად გადაიტანეთ შეურაცხყოფა და სულგრძელად დაელოდეთ წუთებს, როცა განგება სიხარულის ნათლით გაგაბრწყინებთ.

✝უბედურებასა და განსაცდელებში, მწუხარებებსა და ავადმყოფობებში უნუგეშოდ ნუ იქნებით და მეტისმეტ დარდს ნუ მიეცემით. ამ შემთხვევაში ნურავის დაადანაშაულებთ და ნურც გაიკადნიერდებით – განგებაზე დრტვინავთ. ვინ იცის, რას აკეთებს, როცა ეკლიანი გზით მიჰყავხართ: თქვენზეა დამოკიდებული, რომ იგი ვარდისფერად აქციოთ. მიენდეთ განგების წინამძღოლობას, სრულად და უსიტყვოდ დამორჩილდით ღვთის მტკიცე ხელს.

✝დააყენე თავი ტანჯვა-წამებაზე მაღლა და გწამდეს, რომ ღვთის ნებით, კურთხე-

ვად გადმოგვეღვრება ის, რასაც მწუხარების ამოუწურავ წყაროდ თვლიდი; გწამდეს, რომ უბედურების ბნელი, ბობოქარი ღამე წყნარი და ნათელი დღის დასაწყისი იქნება.

✦უბედურებისაგან შეიძლება ჭეშმარიტი ბედნიერების გამოწვლილვა, ისევე, როგორც მწარე ქერქიდან – ტკბილი მარცვლისა.

✦ევას მემკვიდრეები უცილობლად უნდა მწუხარებდნენ: მაგრამ, როცა მწუხარებას მადლიერებით ვიტანთ, წყევლა ჩვენთვის ლოცვა-კურთხევად გადაიქცევა *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✦ნუ შეშფოთდები განსაცდელთა ჟამს. ვინც ბრძოლაში გვაგზავნის, ის ძალასაც მოგვცემს გამარჯვებისათვის.

✦ღმერთი, რომელიც ჯვარს გვატვირთავს, თავადვე გვეხმარება ჯვრის ზიდვაში *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✦სთხოვე უფალს, არა მხოლოდ ის, რომ ახლანდელი უბედურებისაგან გიხსნას, არა-

მედ უფრო მეტად ითხოვე, რომ მოგცეს ძალა, გადაიტანო ისინი.

✝მწუხარების ჟამს სულმოკლეობას ნუ გამოიჩენ, არამედ ილოცე წმიდა იოანე ოქროპირთან ერთად: „მომანიჭე მე სულგრძლობა უფალო!



ბედნიერება

✝Uრული ბედნიერება არ არის და არც შეიძლება იყოს დედამიწაზე.

✝მიწიერი ბედნიერება შეუძლებელია ზოგიერთი უსიამოვნების გარეშე, ისევე როგორც დახატული ყვავილები – ჩრდილის, ვარდი კი – ეკლების გარეშე.

✝ეკლებით დაფარული ვარდი ადამიანებს მშვენიერ შეგონებას აძლევს: „ყოველივე ის, რაც სასიამოვნოა ამქვეყნად, ჰოი, მოკვდავნო, მწუხარებასთან არის შეზავებული,

თქვენ აქ ვერ ჰპოვებთ სუფთა სიკეთეს, ყველგან და ყველაფერში სიკეთესთან რაიმე ბოროტებაა შერეული: სამოვნებასთან - სინანული, ცოლ-ქმრობასთან – ქვრივობა, სიუხვესთან – შრომა და საზრუნავი, ამაღლებასთან – დაცემის შიში, სახელოვნებასთან – დანახარჯები, კმაყოფილებასთან – გადაჭარბება, ჯანმრთელობასთან – ავადმყოფობა *(წმიდა ბასილი დიდი)*.

ბევრს აქვს სიმდიდრე, მაგრამ არ აბადია ჯანმრთელობა, სიმშვიდე, მშვიდობა და კეთილი სახელი.

უდიდესი მიწიერი სიკეთეც საკუთარ თავში ატარებს მწუხარების ჩანასახს იმაზე ფიქრით, რომ ის ოდესმე დამთავრდება.

თავადი და წარჩინებული მხოლოდ საფლავამდეა თავადი და წარჩინებული *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

დედამიწაზე შესაძლებელი ბედნიერება იმ აზრით ფერმკრთალდება, რომ ან ჩვენ მივატოვებთ მას, ან ის დაგვტოვებს.

ყოველივე მიწიერი ცვალებადია, ჩრდილივით ქრება, ტალღასავით ჩაიკლის, ჭკნება, როგორც ყვავილი, კვამლივით გაიფანტება.

ბედნიერება მსწრაფლწარმავალია: ვინ შეინარჩუნებს მას? — კინ აღუდგება წინ, რომ ნათელი დღის ბრწყინვალება დროთა განმავლობაში არ გაფერმკრთალდეს. არ დაიჩრდილოს და უკუნი არ გაბატონდეს ჭექა-ქუხილთან ერთად იმ ადგილას, სადაც ეს-ესაა ნათლის ბრწყინვალებაში გაზაფხულის ნიავქარი ქროდა?

ხდება ხოლმე, რომ ვინც ერთ დღეს ეტლით მგზავრობს, მეორე დღეს ურემში აღმოჩნდება.

ბედნიერება გემის ყველაზე შეუმჩნეველ ნაკვალევს ჰგავს, რომელიც წინ იჭრება და ბოლოში უკვალოდ ქრება.

მზის ყოველი სხივი, რომელიც იშვიათად გამოანათებს ღრუბლებიდან და სწრაფადვე ამოეფარება მათ, სიხარულის მსწრაფლწარმავალობას, მიწიერი ბედნიერების უხანობას მოგვაგონებს.

როცა სახლის ზღურბლთან ღატაკი მათხოვრის ღარიბულ სამოსს დაინახავ, დაფიქრდი, შეიძლება, ხვალვე მასზე ღატაკი აღმოჩნდე.

ნუ მიაჯაჭვავ გულს იმას, რაც ჩრდილივით სწრაფწარმავალია, ცვალებადია, როგორც – ღრუბელი, ორთქლივით არამდგრადი, არამუდმივი, როგორც – ქარის სუნთქვა.

რა დაგვემართებოდა, მიწიერი ბედნიერება მუდმივი რომ ყოფილიყო, მაშინ, როცა არამდგრადსაც კი ესოდენ ვეჯაჭვებით?

ამქვეყნად ჭეშმარიტად ბედნიერი ისაა, ვისაც ბედნიერება არ სურს, უბედურების კი არ ეშინია.

მწუხარებაში სასოს ნუ წარიკვეთ, ბედნიერებაში კი ნუ განდიდდები.

ბევრს ჰგონია, რომ კაცისთვის ძნელია სულის სიდიადის შენარჩუნება იმ დროს, როცა ბედნიერი უბედურად გადაიქცევა. მე კი მგონია, რომ ყველაზე ძნე-

ლია, შეინარჩუნოს სიმდაბლე იმან, ვინც გაჭირვებული მდგომარეობიდან ბედნიერში გადავიდა *(წმიდა ისიდორე ჰელუზიელი)*.

თავს ნუ აღიმაღლებ ბედნირებისას: როცა უბედურება შეგემთხვევა, დამდაბლება მოგიწევს.

მას ვერანაირი უბედურება ვერ შემუსრავს, ვისაც ვერანაირი ბედნიერება ვერ აზიანებს *(ნეტარი აგუსტინე)*

ბედნიერებას ყველა ეძებს, მაგრამ ცოტანი პოულობენ მას იქ, სადაც ის არის.

შეიძლება, მთელი ცხოვრება ბედნიერებას ეძებდე, მაგრამ ვერ მოიპოვო იგი.

არცერთ მიწიერ წყაროს არ ძალუძს წყურვილი მოუკლას ჩვენს გულს. შეკრიბეთ ყველა მიწიერი ბედნიერება და სიხარული და მიეცით იგი ერთ ადამიანს. ის მაშინაც იტყვის: ეს ყოველივე ჩემთვის არაფერია, ვიდრე გულის სიღრმეში განვიცდი სურვილს, რომელიც ჯერ არ ამსრულებია, სიცარიელეს, რომელიც ჯერ არ ამოვსებულა.

✻უკვდავ სულს ვერ დაარწყულებ მიწიერი სიამოვნებების წყლით: ეს წყალი მხოლოდ აძლიერებს საცოდავი სულის წყურვილს.

✻კაცის გული ვერანაირი დროებითი კეთილდღეობით ვერ დაკმაყოფილდება. რაც უფრო მეტია სიმდიდრე, დიდება, პატივი, მით უფრო იზრდება სურვილი მათ მიმართ *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✻მონა ოხრავს იმიტომ, რომ არა აქვს თავისუფლება, თავისუფალი დარდობს, რომ არ ჰყავს მონები; ოქროს მთებიც კი ცოტაა ხარბისა და მომხვეჭელისათვის; კვარცხლბეკი დაბალია პატივმოყვარეობისათვის. სასახლეებიც ვერ იტევენ ადამიანურ სურვილებს, ისევე, როგორც ქოხები, თუმცაღა ის შეიძლება უფრო პატარაც კი ყოფილიყო ადამიანის სხეულისათვის.

✻ნოეს კიდობანიდან გამოუშვებულ მტრედს, არ შეეძლო, წყლის ტალღებზე ისეთი ადგილი ეპოვა, სადაც მისი ფეხი მოი-

სვენებდა. ასევე, სული ყველა მიწიერ საგანში ვერ ჰპოვებს ისეთს, სურვილი რომ სრულებით დაიკმაყოფილოს და აისრულოს – ამ საგნების მერყეობის და სისუსტის გამო.

✦ნებისმიერი ბედნიერება, რომლის დაკარგვაც შეიძლება, ყალბი ბედნიერებაა.

✦ჭეშმარიტი ბედნიერებისათვის საჭიროა ის, რასაც ყველგან და ყოველთვის ჩვენთან ყოფნა შეუძლია და რასაც ვერავინ მოკვდავთაგანი ვერც მოგვტაცებს და ვერც წაგვართმევს.

✦ბედნიერების მოსაპოვებლად ცხრა ზღვასა და ცხრა მთას გადალახავენ ხოლმე, ის კი ჩვენშია, ჩვენს გულში, სადაც თითქმის არც ვიხედებით.

✦მხოლოდ გულს შეუძლია, დაგვაჯილდოვოს ჭეშმარიტი სიმშვიდით, შესაბამისად – ბედნიერებითაც.

✦ნურაფერს ეძებთ სულის გარეთ – ყველაფერი მასშია.

ეძიე ბედნიერება საკუთარ გულში: თუ ის იქ არ არის, მაშ, ვერსად იპოვი.

ჰოი, ნეტავ ადამიანებს შეეძლოთ, გაიგონ, რომ ბედნიერება დამოკიდებულია არა გარეგნულ გარემოებებზე, არამედ გულის შინაგან მდგომარეობაზე.

ერთი მდიდარია, მაგრამ მწუხარებს: სხვა თუმც ღარიბი, მაგრამ — მხიარულია.

ბედნიერებას ყოველთვს არ ნიშნავს ის, რომ შენ დიდებული, ცნობილი, მდიდარი და ძლიერი ხარ, ხშირად ეს მხოლოდ გამოცდაა შენი ჭეშმარიტი ბედნიერებისათვის.

დაბალ მდგომარეობაშიც ცხოვრობენ მშვიდად და კეთილდღეობით.

ბედნიერად ყოფნის მეცნიერება ძალიან მარტივია: გიყვარდეს შენი მოვალეობები და ეძებე მათში ნეტარება.

შინაგანი გაცნობიერება იმისა, რომ ჩვენ, სინდისიერად მაინც ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, უძვირფასესი ბედნიერებაა,

მხოლოდ ამას უნდა ეძიებდეს ჭკვიანი ადამიანი, იგი ანიჭებს სულს მშვიდობასა და სიმშვიდეს, რასაც ვერანაირი სარგებელი და სხვა ადამიანების მიერ მოწონება ვერ შეედრება.

✦იმაზე ბედნიერი კაცი არ არსებობს, რომელსაც სრულებით გაცნობიერებულად შეუძლია თქვას, რომ დროებითი ბედნიერება მოპოვებული და დამსახურებული აქვს თავისი წოდების მოვალეობების ერთგული ასრულებით.

✦ყველა სიამოვნებათა შორის ყველაზე სასიამოვნო ისაა, რასაც კეთილი მოქმედების შემდეგ შეიგრძნობენ.

✦ბედნიერება ეხმარება იმას, ვინც საკუთარ თავს ეხმარება გონებითა და შრომით.

✦იმისათვის, რომ ბედნიერი იყო, უნდა იყო კეთილზნეობრივი.

✦გქონდეს ჭეშმარიტი კეთილზნეობა და მაშინ ჭეშმარიტი ბედნიერებაც გექნება *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ღვთის შიშში ჩადებულია ჭეშმარიტი ბედნიერების მარცვალი.

თუ არ არის ღვთის შიში და კეთილზნეობა, ვერც ჭეშმარიტი ბედნიერება იქნება. ბოროტი და გარყვნილი ადამიანები, მიუხედავად გარეგნული მხიარულებისა, შინაგანად, სულიერად მოკლებულნი არიან იმ სიმშვიდესა და მოსვენებას, რითაც ტკბებიან მხოლოდ მართალნი და კეთილსინეობრივნი (ეს. 57.21) „მშვიდობაი მრავალ არს მათ თანა, რომელთა უყუარს შჯული შენი, და არა არს მათ თანა საცთურ“ (ფს. 118, 165) ერთმა წარმართმაც კი ამოიძახა: „უფალო! გულმოწყალე ექმენ ბოროტებს, ვინაიდან ყველა სიხარული კეთილს მიანიჭე“.

უშედეგოა ადამიანური დიდება, თუკი მას შინაგანად მკაცრი სინდისი ამხელს! რა ერგება ციებ-ცხელების სენით შეპყრობილ ადამიანს, რომელიც სპილოს ძვლისგან გაკეთებულ სარეცელზე განისვენებს მაშინ, როცა შინაგანი ცხელება არ ქრება?

✦უსიამოვნოა, როცა საკუთარი ბედნიერების მოსაპოვებლად სხვათა უბედურებით ხარ დავალებული.

✦სრულყოფილი ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ სხვები გააბედნიერო.

✦ახლობელთა კეთილდღეობაზე ფიქრი ნიშნავს, მეტი შესძინო საკუთარ კეთილდღეობას.

✦ვინც საკუთარი თავით არის კმაყოფილი, ის ბედნიერი და მდიდარია, მაგრამ უმეტესად ბედნიერია ის, ვინც სხვებს აბედნიერებს.

✦სიყვარული გამოულეველი საუნჯეა, ვინც ამ საუნჯეს ფლობს, მდიდარია, ვინც არა — ღარიბი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✦მოიხვეჭე სიყვარული, რათა მოიხვეჭო აშქვეყნად შესაძლებელი ბედნიერება.

მიწიერი სიკეთეები

ადამქვეყნიური სიკეთე ვარდს ჰგავს, რომელიც სახილველად მშვენიერია და კეთილსურნელოვანი, ღერო კი ეკლიანი აქვს.

ყველაზე ხშირად დიდება ბედნიერებაზე იყიდება, სიამოვნება – ჯანმრთელობაზე, დიდებულთა მოწყალება – დამოუკიდებლობაზე, ფული – სინდისზე. სიმდიდრეს სიმშვიდეს ვწირავთ, პატიოსნებას – სიმდიდრეს და ისევ სიმშვიდეს – პატიოსნებას.

ის ხიბლი, რასაც ამასოფლის სიკეთეები წარმოგვიდგენს, ისე ძლიერ და ცოცხლად მოქმედებს, რომ მათ წინაშე ყველაფერი ფერმკრთალდება – მომავალი ცხოვრების დიდებაც კი. ერთმა გერმანელმა ფილოსოფოსმა მეგობრებთან საუბრისას თქვა: „ამათუიმ რამის მისაღწევად მივცემდი ჩემი მომავალი ნეტარების ორ მილიონ წელს“. – და ის იყო მეტისმეტად ზომ-

იერი თავის თავგანწირვაში („მეტისმეტად ზომიერი“ – როგორც სამართლიანად აღნიშნავს მწერალი, – იმიტომ, რომ ყველანი, ვინც მიწიერი სიკეთეებისადმი ვნების გამო თავს ზეციურ სიკეთეებს აკლებენ, საკუთარ თავს ათასობით და მილიონობით წლებით განაშორებენ მათ).

მალე იღუპებიან მწერები, როცა ღამის ნათურის ბრწყინვალებით იხიბლებიან: ჩვენც მალე ვიღუპებით, როცა ამაო სიკეთეებით ვიხიბლებით!

სული, რომელიც მიწიერ სიკეთეებს ემონება, მარადიულ სიკეთეების თანაზიარი ვერ გახდება.

ვინც აწმყოს მეტისმეტ პატივს სცემს, ის ვერასდროს გახდება მომავალი სიკეთეების ხილვის ღირსი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ის, ვისაც მიწიერი ზეციერზე მეტად უყვარს, ზეციერსაც მოაკლდება და მიწიერსაც *(აბბა ევაგრე)*.

ბუნებრივიც რომ იყოს სიკეთის ძიება, უგუნურებაა, ეძიო იგი თავდავიწყებით და დაკარგო საუკეთესო ზეციური.

საცოდავნი, უგუნურნი არიან ისინი, ვინც არარაობას ყოველივეს ამჯობინებენ.

არაფერი აქვს მას, ვინც არ მოიხვეჭა ცხონება, თუნდაც მას მთელი სამყარო ეკუთვნოდეს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

კაცი არაა სოფლისათვის, თუმცა სოფელი კაცისათვისაა შექმნილი.

ვიდრე სული სხეულს გაყრია, მანამდე განვარიდოთ იგი სოფელს.

როცა სხეულს გაეყრები, მაშინ ინანებ, რომ ამდენს ზრუნავდი იმაზე, რასაც შენთვის არანაირი სარგებელი არ მოაქვს *(ამბა ისაია)*.

ნუ მიაჯაჭვავ შენს გულს მიწიერ სიკეთეებს, რომელთა ძიებაც დიდ გაწამაწიასთან, მოპოვება – შიშთან, დაკარგვა კი მწუხარებასთან არის დაკავშირებული.

მხოლოდ ის უნდა გვიყვარდეს, რასაც არასდროს დავკარგავთ.

ნუ მოისურვებ სიკეთეებს, რომელთაც ოდესმე ველარ მოიხმარ, მუდმივად ფლობას კი ვერ შეძლებ *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ადამიანს ამაოდ სურს, ინუგეშოს თავი იმით, რაც მსწრაფლწარმავალია: ამაოდ სურს, მიეწებოს იმას, რაც მასთან მუდამ არ იქნება; ამაოდ სურს, თავის გული დაუდოს იმას, რაც ჩრდილივით ქრება *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

„ხილული დროებითია“ (2 კორ. 4, 18). რატომ უნდა შევყურებდეთ დროებითს? რა სარგებელი აქვს ქვიშაზე შენებას, წყალზე წერას, ქარის დევნას ან მორბენალი ჩრდილის მიყოლას. რატომაა, რომ ანგარებით, პატივმოყვარე, შურიან ადამიანს გაუმაძღარი თვალებით მთელი სამყაროს გადაყლაპვა სურს? ვიდრე სამყარო გაქრება, ისინი გაქრებიან ამქვეყნიდან.

თავი დაანებე ამაოების ძიებას, ვიდრე ის თავს თავად არ დაგანებებს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✤თავი დაანებე იმის ძიებას, რასაც პოვნისთანავე დატოვებ.

✤თავს ნუ ჩათვლი იმის მფლობელად, რის წაღებასაც, სიკვდილის შემდეგ, ვერაფრით მოახერხებ.

✤შიშველი გამოხვედი დედის მუცლიდან, შიშველივე წახვალ, არაფერი მოგიტანია ამქვეყნად და ვერც ვერაფერს წაიღებ თან.

✤ამქვეყნად არცა არაფერი მოგვაქვს და ვერც ვერაფერს წავიღებთ ამქვეყნიდან.

✤ადამიანი შიშველი შემოდის მიწიერ ცხოვრებაში, იქიდან გასვლისას კი სხეულსაც აქ ტოვებს.

✤სამარშინიან ადგილზე ეტევიან ისინიც კი, ვისაც არ ყოფნიდა მთელი ქვეყანა *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✤ადამიანი ას წელსაც ვერ ცოცხლობს, ათასი წლისთვის კი ემზადება.

✤თავიდან ვეძებთ აუცილებელს, შემდეგ ვფიქრობთ სასარგებლოსა და სასიამოვნოზე, და ბოლოს ზედმეტიც კი აუცილებელი გვეჩვენება.

ადამიანი მანამ არ დაასრულებს ზრუნვას, ვიდრე არ შეიყვარებს იმ სიკეთეს, რაც ვერასდროს წაერთმევა *(ნეტარი ავგუსტინე)*.

ვინც ბევრს ეძიებს, გარდა – ღმერთისა და სულის ცხონებისა, ის ვერაფერს იპოვის, გარდა მღელვარებისა და მწუხარებისა.

დიდად ნუ ეძიებ ნუგეშს იმაში, რაც ძალიან მცირე ხნით მოგეცა; არამედ, ეძიე ჭეშმარიტი ნუგეში ღმერთთან – ეს ნუგეში მარად შენთან დარჩება *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

უდიდესი ბოროტებაა ადამიანისათვის ის, რომ სურს ნეტარება იმ საგნებით, რითაც მხოლოდ უნდა სარგებლობდეს, და პირიქით, სურს ისარგებლოს იმით, რითაც უნდა ნეტარებდეს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

თუ ის გეყვარება, რისი სიყვარულიც არ შეიძლება, ველარ გეყვარება ის, რაც უნდა გიყვარდეს *(ამბა ევაგრე)*.

„სადაცაა საუნჯე თქვენი, იქ იქნება გული თქვენი“ (მთ. 6,21). თუ შენი საუნჯე, ის, რაც გსურს, რაზეც ზრუნავ, რაც გიყვარს – მიწაზეა, მაშ, ნუ იფიქრებ, რომ შენ გული ზეცაში – ღმერთთანაა.

მიუხედავად იმისა, რომ ორი თვალი გვაქვს, ერთბაშად არ შეგვიძლია მიწასაც ვუცქიროთ და ზეცასაც, წინაც და უკანაც, მით უმეტეს, როცა ერთი გული გვაქვს, არ შეგვიძლია, იგი უფალსაც მივაჯაჭვოთ და ქმნილებებსაც *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

მიწიერი საგნებისადმი სიყვარული არის კუპრი, რომელიც სულიერ ფრთებს ბოჭავს.

ადამიანები, რომლებიც ძლიერ მიეცემიან ყოფით საზრუნავს, გაზულუქებულ შინაურ ფრინველებს ჰგვანან, რომლებსაც ტყუილად აქვთ ფრთები და მიწაზე პირუტყვთან ერთად დადიან *(წმ. ბასილი დიდი)*.

ვინც შებოჭილია მიწიერი სიკეთეებისადმი ვნებით, ის მფობელი კი არა – ფლობილია *(ნეტარი ავგუსტინე)*.

თუკი მიწიერისადმი ვნება თავის ბორკილებში გაქცევს, იმ არწივს ჰგავხარ, რომელიც ფეხებითაა დაჭერილი და ზევით აფრენა არ შეუძლია *(ამბა თეოგნოსტე)*.

არიან უწმიდური ცხოველები, რომლებიც მხოლოდ მიწას დასცქერიან – ისინი სწორედ ასეთად არიან შექმნილნი, რომ არ შეუძლიათ ზეცას უყურონ. ვინც ივიწყებს ზეციურს და მიწიერს მიეჯაჭვება, ამ ცხოველებს ემსგავსება, მაგრამ მათზე უბედურია: მათ არ გააჩნიათ გონიერი სული – შენ კი თუკი უკვდავი სულით მხოლოდ მიწიერს ჩაულრმავდები, საუკუნოდ ჯოჯოხეთში ჩასვლისა გეშინოდეს.

ნებას ნუ მივცემთ უკვდავ სულს, ვნებების გამო თავი ჩაიმარხოს მიწაში, რომელიც სხეულიც კი არ უნდა დარჩეს სამარადისოდ.

ვისაც სურს, გასცუროს, მანამდე უნდა ახსნას – ან სიჩქარისას, გადაჭრას თოკი, რითაც ნავი ნაპირს არის მიბმული. ვისაც

მართლაც სურს ზეცისკენ მიმავალ გზას დაადგეს, გადამჭრელი დარტყმით უნდა მოიკვეთოს ყველა ვნებიანი, მიწიერი მიჯაჭვულობა.

✝ყოფითი საზრუნავის უარყოფა ყველაზე საუკეთესო ზრუნვაა საკუთარ თავზე.

✝თუკი მოიძულებ ყოველივე მიწიერს, მთელ ქვეყნიერებაზე უძვირფასესი იქნები *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝ზეციურის ღირსი რომ გახდე, შეიძულე აწმყო.

✝ყველა საგანი, რაც ჩვენს გარშემოა, თავისთავად სიკეთეა, რადგან ისინი ღვთის ქმნილებებია – „ყოველი დაბადებული ღმრთისაი კეთილ არს, და არარაი არს განსაგდებელ“ (1 ტიმ 4, 4). შესაბამისად, სულაც არ არის განსასჯელი, რომ ისურვო ისინი და ისარგებლო მათით, ოღონდ ეს სურვილი არ უნდა იყოს ცარიელი ვნება, მათი გამოყენება კი – ბოროტადგამოყენება.

✝ვისურვოთ – ეს ღვთისგან ნებადართულია – დროებითი სიკეთეებიც, მაგრამ

ვნების, მათ მიმართ მიჯაჭვულობის გარეშე; გამოვითხოვოთ ისინი უფლისაგან, მაგრამ დაჟინებისა და მოუთმენლობის გარეშე; ვიშრომოთ მათი შეძენისათვის, მაგრამ მეტისმეტი ზრუნვის გარეშე, და როცა უფალი ინებებს, განვეშოროთ მათ სინანულისა და გულის დაწყვეტის გარეშე.

ამ საუკუნის სიკეთეებით უნდა ვისარგებლოთ ზომიერად, გარკვეული უნდობლობითაც, „შიშით, რომ არ მივიღოთ ჩვენი სიკეთე ჩვენს ცხოვრებაში“ (ლკ. 16.25) – მომავალი ცხოვრებისათვის ნუგეშის გარეშე.

ისწავლე დროებითით ისე სარგებლობა, რომ ამან არაფრით შეგიშალოს ხელი მარადიულისადმი მისწრაფებაში.

მიწიერი სიკეთეები იმ საშუალებად გადააქციე, რაც ზეციურ სიკეთეებს მოგაპოვებინებს.

მიწიერი სიკეთე ცრუა; ის დამღუპველია ყველასათვის, გარდა იმ ადამიანებისა, ვინც მათ მარადიული სიკეთის მოსაპოვებლად იყენებს.

„ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღვთისა და სიმართლესა მისსა და მერმე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (ანუ ყოველივე აუცილებელი თქვენი მიწიერი არსებობისათვის). — აი, კანონი ჩვენი დამოკიდებულებისა მიწიერისადმი ზეციურის დაზიანების გარეშე! — აი, სწორი მითითება, თუ როგორ მოვიპოვოთ მიწიერი სიკეთეები, ისე რომ არ დავკარგოთ ზეციური სიკეთე.

ამქვეყნიური სიკეთეები მხოლოდ დროებით არის ვარგისი, ღვთის სასუფეველი კი — დროებითაც და სამარადისოდაც.

როცა ჩვენ მიწიერი სურვილების დატევებისას მთელი გულით მივისწრაფით ცათა სასუფევლის მოსაპოვებლად, ღმერთი გვანიჭებს მას და ამასთან, მიწიერ სიკეთესაც არ გვაკლებს.

თუკი გვსურს, მივიღოთ ყველა სიკეთე, ვეძიოთ ღვთაებრივი სიკეთეები; როგორც წუთისოფლის სიკეთეებს მაძიებლები კარგავენ იმასაც და სხვასაც, ასევე ისინი,

ვინც ღვთაებრივ სიკეთეებს ამჯობინებენ, ღებულობენ იმასაც და სხვასაც *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

ძეძიე ღვთაებრივი და ადამიანური მეტად ადვილად მოგენიჭება. თუ უხრწნელს დავუწყებთ ძიებას, მაშინ ხრწნადიც მოგვეცემა.

ძეძიე მომავალი სიკეთეები და მიიღებ დღევანდელსაც.

მიწიერი სიამოვნებები

თუ დაგატკბობს მიწიერი, დროებითი მხიარულება, ეს – ანკესია, რომელიც, თევზივით, იჭერს სულს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

ადამიანი, რომელიც ანგარიშმიუცემლად მიეცემა სასიამოვნო შთაბეჭდილებებს, რა საგნებიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი, იმას ჰგავს, ვინც მზადაა, განურჩევლად გამოიყენოს ნებისმიერი,

სასიამოვნო გემოს მქონე საკვები და არ იზრუნოს შედეგებზე.

ხმაურიანი საერო დღესასწაულები და ქეიფები საუკეთესო გარემოებას წარმოადგენს ცოდვისათვის. უდიდესი საცთურია, როცა იძულებულნი ვართ მოვალეობის ან ჩვენი წოდების გამო იქ გამოვცხადდეთ; უდიდესი უგუნურებაა, თავი არაფრით დაიცვა მათგან მომდინარე მყარლი ოხშივარისგან. ღვთის წინაშე აშკარა ორგულობაა – თავი არ შეიკავო მათგან, თუკი ამის შესაძლებლობა გექნება; აშკარა სიგიჟეა – ჩაერთო მათში – ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე, მხოლოდ ამაოებისა და დაბნეულობის გამო.

ფუჭი გართობების მეშვეობით, რომლებსაც ერში „უცოდველს“ უწოდებენ, ისევე ადვილად შემოდის სულში უდიდესი ცოდვები, როგორც უმცირესი ღრიჭოებიდან ადვილად აღწევს სახლში მყრალი ჰაერი.

წუთისოფელი მოლხენას თითქმის ისეთივე ცხოვრებისეულ მოთხოვნილებად წარმოგვისახავს, როგორც შრომა, საზრდელის მიღება და დასვენებაა. იგი შთაგვაგონებს, რომ ცხოვრება თამაშია. არა: ცხოვრება თამაში არაა, არამედ სერიოზული საქმეა. მიწიერი ცხოვრება ადამიანს იმიტომ მიეცა, რომ მისგან – თავისუფალი ნებისა და ღვთის მადლის ძალით, მარადიული ნეტარება გამოიმუშაოს. ვინც ჩაწვდა ამ საქმის არსს და მას ისე შეუდგა, როგორც საჭიროა, იგი დიდ დროს ვერ გამონახავს თამაშისა და გართობისათვის.

ვილაცამ სამართლიანად აღნიშნა: „მითხარი, ვინ არის შენი ნაცნობი, – და მე გეტყვი, ვინა ხარ შენ“. მაგრამ, როგორც ჩანს, უკეთესია ასე გამოვთქვათ: „მითხარი, რითი ხარ დაკავებული და რაში პოულობ სიამოვნებას და მე გეტყვი – ძვირფასია თუ არა შენი შინაგანი სამყარო“.

ღორის თავი ბუნებრივად ისეა მოწყობილი, რომ ზეცაში ვერაფრით აიხედავს. ასევე მათი სული, ვინც მხოლოდ გრძნობითი სიამოვნებებით ნეტარებს და ვნებებშია ჩაძირული, ძნელად თუ ახედავს უფალს ან ღვთისათვის რაიმე ღირსეულ სიბრძნეს გამოთქვამს.

ადამიანებს, გრძნობებს რომ აამებენ, წმიდა პავლე მოციქულის მტკიცებით, არ შეუძლიათ, ალიქვან ფასდაუდებელი სიკეთეები, რაც ზეციურ მსაჯულს აქვს გამზადებული კეთილისმოქმედთათვის (1კორ. 2, 14). და ამასოფლის მიმდევრებს არ ესმით სხვა სიამოვნებები, გარდა იმისა, რაშიც საკუთარი ვნებების დაკმაყოფილებას ჰპოვებენ.

როდესაც უდაბნოდან გამოსვლის შემდეგ ისრაელმა ერმა დაიწყო ნაყოფიერი მიწის გამოყენება, მანანა, რომელიც მას აქამდე ასაზრდოებდა, ზეციდან აღარ მოდიოდა. აქაური ცხოვრების სატყუარას წამოგებულ სულსაც, რომელიც გრძნობით

სიამოვნებებს მიელტვის, ამაოდ ექნება იმედი, იგემოს ღვაებრივი ნუგეში. ჯერ პირველზე უნდა თქვა უარი, რათა დატკბე უკანასკნელით. შეუძლებელია ერთიცა და მეორეც ერთად არსებობდეს. გსურთ, რომ ღმერთი თქვენთვის ზეციურ მანანაზე ტკბილი აღმოჩნდეს? დაე, ეს სოფელი მთელი თავისი ამაოებით თქვენთვის უდაბნოდ გადაიქცეს.

✗როცა უარს იტყვი გარეგნულ ნუგეშზე, მაშინ შეძლებ, უჭვრეტდე ზეციურს და ხშირად იხარებდე შინაგანი ბედნიერებით.

✗რაც უფრო მეტად განეშორება ადამიანი ყოველგვარ მიწიერ ნუგეშს, მით უფრო უახლოვდება იგი უფალს.

✗გაექეცი ქმნილებას, თუ გინდა გყავდეს შემოქმედი.

✗მიწიერი სიხარულები მინავლებულ ცეცხლს ჰგავს, რომელიც ძლივს აალდება და წამიერად ქრება.

✗როგორც კი ლხინი დასრულდება, მხიარულება მაშინვე გაფრინდება.

მიწიერი სიამოვნებები მხიარულებით იწყება, მაგრამ მწუხარებით მთავრდება.

ხრწნადი ნეტარება მის ამაოებას შეადარე, ხორცის სიამოვნება სულიერ სიმძიმეს, რომელიც უცილობლად მოჰყვება მას, დროებითი ნუგეში — სულიერ მწუხარებას, რომელსაც აუცილებლად მოგვაყენებს იგი და ყოველივე ამით ვეღარ მოიხიბლები *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

ის, ვინც მუდამ ფიქრობს, როგორ გაერთოს, რისკზე მიდის, რომ ძალიან დიდიხანს იდარდოს.

ვინც მხიარულად განვლო წუთისოფელი, მისთვის სიკვდილი ადვილი არ იქნება.

ვნებათმოყვარე ადამიანების ჩვეულებრივი წესია: „გამხიარულდი; ჯერ კიდევ არის ამის მიზეზი“. მაგრამ ეს მხიარულება ხანმოკლეა, მწუხარება კი, რაც მას თან სდევს — დაუსრულებელი.

დროებითი ტკბობა ადამიანს მარადიულ მწუხარებას უმზადებს, თუკი უგუნურად მიელტვის მას *(წმიდა დიმიტრი როსტოველი)*.

✦რამდენიმე წუთის ნეტარებას მარადიული ტანჯვა-წამება მოსდევს.

✦შეუძლებელია, გქონდეს ერთიც და მეორე სიხარულიც: აქაც ნეტარებაში იყო და მომავალშიც ქრისტესთან ერთად მეფობდე.

✦უგუნურებაა, მეგონოს, რომ შეიძლება, წუთისოფელთან ერთადაც ინეტარო და ქრისტესთან ერთადაც იმეფო *(ნეტარი იერონიმე)*.

✦სასიამოვნოა აწმყო, მაგრამ იგი სიზმარია მომავალთან შედარებით *(სულიერი მარგალიტი)*.

✦რა არის მიწიერი სიამოვნებებით ტკბობა მომავალ ნეტარ მდგომარეობასთან შედარებით, თუ არა — ერთი ღამის სიზმარი მთელი ცხოვრებასთან შედარებით? განა უგუნური არ იქნებოდა ადამიანი, რომელიც არაფრის გამო, მხოლოდ იმისათვის, რომ სასიამოვნო სიზმარი ენახა, გადაწყვეტდა, მოეთმინა რაიმე სასჯელი მთელი ცხოვრების განმავლობაში *(წმიდა იოანე ოქროპირი)*?

✦ჰოი, რა ცრემლები გამოიგლოვს იმ გარყვნილებას, რასაც ზოგიერთი თავის სუ-

ლს, ქრისტეს მიერ გამოსყიდულს, წუთიერ, გრძნობად სიამოვნებაზე ცვლის.

✝უმჯობესია, აქ ყველაფრის დათმენა დროებით და იქ მარადიული სიხარული, ვიდრე აქ წუთისოფელთან ერთად დროებით მოლხენა, იქ კი მარადიული ტანჯვა-წამება *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✝უკეთესია, ლაზარესთან ერთად, რომელმაც აქ დაითმინა, დროებით დავითმონოთ და იქ აბრაამის წიაღში მარადიულად ვპოვოთ სიმშვიდე, ვიდრე მდიდართან ერთად აქ გავიხაროთ, იქ კი მარადიულ ცეცხლში ვიტანჯოთ (ლკ. 16; 19-31).

✝სიამოვნება კეთილსურნელოვან ყვავილს ჰგავს, რომელიც ზომიერად უნდა დავყნოსოთ, რათა არ შევასუსტოთ ყნოსვის უნარი და დიდხანს დავტკბეთ მისი სურნელებით.

✝ისე უნდა ვხარობდეთ, რომ არასდროს დაგვავიწყდეს მომავალი სამსჯავრო *(წმიდა გრიგოლ დიოლოღოსი)*.

მიწაზე მხოლოდ ის სიამოვნებებია უცოდველი, რომელთა შორისაც შეიძლება, მშვიდად იფიქრო სიკვდილზე და ქრისტეს მეორედ მოსვლაზე.

უცოდველი სიამოვნებების დროსაც კი არ დაგავიწყდეს, რომ შენ კიდევ უნდა იგლოვდე ცოდვათა გამო.

უფრთხილდი, ისეთი სიამოვნებები არ იგემო, რომლებიც შეიძლება, შენი მოყვასის ცრემლის ფასი იყოს.

ვაი, იმ მხიარულ ადამიანებს, ვის გამოც სხვები ტირიან.

პატივი და პატივმოყვარეობა

ნუთისოფლის სიამოვნებები და პატივი მეტად ფუჭი და ამაოა, ისინი კი, ვინც მათ ეძიებენ, უფრო ფუჭნი არიან.

პატივის ღირსი არაა, ვინც პატივს ეძებს *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

პატივი იმას გაურბის, ვინც მას საკუთარი თავისათვის ეძებს.

ღირსეული ადამიანები კიდევ მეტ ღირსებას ანიჭებენ თავს, როცა ღირსებაზე უარს ამბობენ.

მხოლოდ ის პატივი შეიძლება, იწოდოს ჭეშმარიტად, რომლითაც უფალი ოდესმე დააჯილდოვებს თავის რჩეულებს.

როგორც ჟანგი ჭამს რკინას, ასევე პატივმოყვარეობა ხრავს ადამიანის გულს *(ამბა ისაია)*.

თვითონ პატივმოყვარე სხვებში პატივმოყვარეობას ვერ იტანს.

ფუფუნებისმოყვარე ადამიანი ადვილად უამხანაგდება ფუფუნებისმოყვარეს; ანგარი კაცი, თუ ანგარს არ თანაეზიარება, გაურბის მას; მაგრამ პატივმოყვარე პატივმოყვარე ადამიანის დამცირებასა და შემუსვრას ცდილობს და სიმშვიდეს არავის აძ-

ლევს, ვინაიდან მისი საბოლოო მიზანია, რომ ყველა მის ფერხთით განერთხას.

❧უგუნური კაცისთვის პატივი იგივეა, რაც ხმალი, რომლითაც თავსაც იკლავს და სხვებსაც ხოცავს *(წმიდა ტიხონ ზადონელი).*

❧ადამიანები, რომლებიც პატიოსნებას აფასებენ, ზოგჯერ ისეთ საქმეს უშვებენ, რასაც პატიოსნება მეტად აფასებს.

❧ჭეშმარიტად პატიოსანი კაცი ხმლით ხელში კი არ იცავს თავს, არამედ — უბიწო ცხოვრებით. უპატიო ადამიანი კი საკუთარ თავს თავისივე სისხლითაც ვერ განბანს, თუკი არ გამოსწორდება.

დიდება

❧**მ**იწიერი დიდება განა უფრო მეტია, ვიდრე — ზედაპირული ბრწყინვალება? მათთვის, ვინც მის ბწყინვალებას ხედავენ, მეტწილად მიუწვდომელია, იმათთვის კი,

ვისგანაც ეს ბრწყინვალება იფრქვევა, იციან, რომ მიწიერი დიდება არ არის სიხარულის ნამდვილი ნიშანი.

✦ვინც დიდებას ელის, მას მწუხარება ელოდება.

✦სადაც დიდებაა, იქვე შურია; სადაც შურია, იქ – ცილისწამება და სასჯელი.

✦დიდება უბრალო კვამლია, რომელსაც შეუძლია, დროებით დააბრმავოს ადამიანი, მაგრამ სულაც არა ღირს იმად, რომ მთელი ცხოვრება მას მისდევდე.

✦ნუ გაგიტაცებს დიდება, რათა არ მოტყუვდე კეთილდღეობით, როგორც ტყუვდებიან ისინი, ვინც გაზაფხულის ყინულზე მიაბიჯებენ.

✦იზრუნე ყოველთვის მარადიული დიდებისათვის, ვინაიდან ახლანდელი დიდება ყოველდღე გატყუებს *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✦ადამიანთაგან განდიდება ისეთივე არაამყარია, როგორც თავად ისინი, ვინც გადიდებენ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ის კი არ არის დიდებული, ვისაც ეს სოფელი ადიდებს, არამედ ის – ვისაც ღმერთი განადიდებს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ეძიე დიდება არა ადამიანებისაგან შენს მიმართ, არამედ ერთი უფლის მიმართ, შენი თავისთვის კი – მხოლოდ ერთი ღმერთისგან და არა – ადამიანებისგან.

ვისაც მარადიული და ჭეშმარიტი დიდება სურს, დროებითი დიდებისათვის ნუ იზრუნებს.

ჭეშმარიტი დიდება ისაა, რომ შეიძულო ადამიანური დიდება, არარაობად მიიჩნიო და ყველასფერი მხოლოდ უფლის საამებლად აკეთო და ილაპარაკო *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ვინც არად აგდებს ადამიანურ დიდებას, იგი ღვთის დიდების ღირსი ხდება *(წმიდა ისააკ ასური)*.

არ შეიძლება, დროებითი დიდებაც გიყვარდეს და – საუკუნოსაც ეღირსო.

✦ნუ გაყიდი მომავალ დიდებას ადამიანთა შექებაზე, რომელიც არაფრად ღირს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✦დიდების მისაღებად უკეთესი საშუალება არ არსებობს, ვიდრე დიდებისაგან გაქცევაა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✦როგორც მდიდარი არაა ის, ვისაც ბევრი რამ აკლია, არამედ ის, ვისაც აღარაფერი სჭირდება: ასევე დიდებული ის კი არაა, ვინც დიდებას ეძიებს, არამედ ის – ვისაც ის სძულს.

✦თუკი გსურს განდიდდე, შეიძულე დიდება და ყველაზე დიდებული იქნები.

✦გსურს დიდების მიღება? გაექეცი დიდებას და გექნება დიდება, თუმცა კი არ გსურს იგი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✦არარაობად მიიჩნიე თავი უფლის გულისათვის და ნახავ რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში განდიდდები *(წმიდა ისააკ ასური)*.

✦თუ გსურს, დიდებას მიაღწიო, შეიძულე იგი. და თუკი დიდებას დაუწებ დევნას, მოაკლდები მას *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

დიდება – ჩრდილივითაა, ვინც მას დასდევს, მისგან გარბის; ხოლო, ვინც მისგან გარბის, ის მას ეწევა.

ღვთისნიერ ადამიანებს არ უყვართ ადამიანთა შორის განდიდება.

ჭეშმარიტად სათნოთმოყვარე ადამიანი მეტად უფრთხის ქებას, ვიდრე – ცილისწამებას.

კეთილი ადამიანისათვის დიდება – კეთილი სინდისის მოწმობაა.

ადამიანი, რომელიც თავისი სინდისის შესაბამისად იქცევა და არ უყურებს, რას ფიქრობენ მასზე სხვები, დიდებული ადამიანია.

აკეთე ის, რაც ჯილდოს ღირსია, მაგრამ მას ნუ ეძებ.

გიყვარდეს რჩევების მოსმენა და არა – შექებისა.

როცა საკუთარი თავის ქებას გაიგონებ, გაიხსენე შენი ნაკლოვანებები და დაფიქრდი, როგორი უნდა იყო.

თუ საკუთარი თავის ქებას მოისმენ, შენს ცოდვებზე დაფიქრდი — და თავიდან აიცილებ ამპარტავნებას, რომელიც ადვილად ეუფლება მიწიერი დიდებით მოხიბლულ ადამიანს.



წარმომავლობის მემკვიდრეობა

უგუნურებაა და სულისათვის დამღუპველია ამპარტავნება, თუნდაც შრომითა და ღვაწლით იყოს იგი მოპოვებული. უმეტესი უგუნურება და სისულელეა, თავი აღამაღლო და სხვებზე უკეთესი გეგონოს მხოლოდ წარმომავლობის გამო, რომელიც ცნობილი მშობლებისგან ან წინაპრებისგან გადმოგეცა.

განა უგუნურად არ ჩათვლით იმას, ვინც საკუთარ თავს მიაწერს იმ დამსახურებას, რომ წვიმა გვერდს აუვლის სხვ-

ების მინდვრებს და მხოლოდ მისას მორწყავს? თქვენც სწორედ ასე იქცევით, თუკი მხოლოდ წარმომავლობით ყოყოჩობთ, რაც სრულიად კარგავს ფასს – პირადი ღირსების გარეშე.

✗ადამიანი, რომელიც თავს წარმომავლობით იქებს, იმ შუშას ჰგავს, რომელიც მზის ბრწყინვალებით ბრწყინავს, მაგრამ უმცირესი დარტყმისასაც კი იმსხვრევა. ადამიანიც, რომელსაც საკუთარი ღირსებები არ გააჩნია, არარაობაა.

✗საკუთარი წინაპრების დიდებითა და კეთილშობილებით თავის მოწონება ნიშნავს, ხის ფესვებზე ეძებდე ნაყოფს, რომელიც სინამდვილეში ტოტებზე უნდა იყოს.

✗ფუჭია თავის ქება იმით, რომ კეთილშობილი წინაპრები გყავდა, თუკი მათ საქმეებს არ ბაძავ *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✗კეთილშობილება – არა წინაპართა წარჩინებულობაა, არამედ ზნეობრივი უბიწოება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ვაი, იმ ადამიანს, ვისი სახელიც საქმეებზე წარჩინებულია.

სახელი ცხოვრებას უნდა შეესაბამებოდეს, ცხოვრება კი სახელს ამშვენებდეს.

ნეტარია ის, ვინც რწმენით უერთდება ქრისტეს, მისგან, როგორც მეორე ადამისგან თავის სულიერ წარმომავალობას ქმნის და თავის წინაპრებად შეუძლია, ჩათვალოს ყველა ძველი მამა, რომლებიც რწმენასა და კეთილზნეობაში წარემატნენ!

სიმდიდრე

მიწაზე არაფერი ისე არ ბატონობს გონებაზე და არ ეუფლება გულს, თუნდაც – გულით ქრისტიანებისასაც კი, როგორც – ფული და ქონება.

ოქრო – კერპია, რომლის საკერპოზე გროვდებოდნენ და გროვდება კაცთა მოდგმის უმეტესი ნაწილი.

ჩვენ ქრისტეს მიერ ვართ გამოსყიდულნი, მაგრამ ოქროს ვემსახურებით; ვქადაგებთ ერთის მეუფებას, მეორეს კი ვემორჩილებთ *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ქრისტეს მოწაფეთა მცირე წრეშიც კი აღმოჩნდა ისეთი პიროვნება, რომელმაც არა ოქროზე, არამედ ვერცხლზეც კი შეძლო გაეცა თავისი ღვთაებრივი მოძღვარი და მიეცა იგი მტრებისთვის.

ფული მხოლოდ ნიშანი უნდა იყოს, რომელიც ზარაფხანის შესამსუბუქებლად არის შექმნილი; ახლა კი იგი იქცა ნადავლად, რომლითვისაც ქრისტიანული სისხლიც კი იღვრება.

ყველა კითხულობს: მდიდარია თუ არა ესა და ეს? თითქმის არავინ კითხულობს: კეთილი და ჭკვიანი თუ არის იგი.

როცა ოქრო ლაპარაკობს, მაშინ ყველა სხვა დიდება უმოქმედოა. მას შეუძლია ადამიანის დარწმუნება, თუმც კი ენა არ გააჩნია *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

ოქრო – ისეთივე ხაფანგია კაცთათვის, როგორც – ჩიტებისთვის კაკანათი.

როგორც ესავმა გაყიდა პირველობა საჭმელზე, ასევე მრავალნი ქრისტეს მიერ აღთქმულ სასუფეველს დროებით საგანძურზე ყიდიან.

როგორც იუდამ გაყიდა ქრისტე ოცდაათ ვერცხლად, ასევე მრავალი ადამიანი ქრისტეს მადლს ხრწნად სიმდიდრეზე ყიდის.

არ შეიძლება, ქრისტესადმი მსახურება მამონისადმი, ანუ სიმდიდრისადმი მსახურებას შეუთავსოთ (მთ. 6, 25).

„ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“ (მთ. 6, 24), ვინაიდან ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო რამეს ქადაგებენ. ქრისტე გვეუბნება: დაიხდე ღატაკი, მამონა კი ჩაგვაგონებს: წაართვი მას, რაც გააჩნია; ქრისტე გვეუბნება: დახარჯე შენი ქონება (ღარიბებზე), მამონა კი ჩაგვაგონებს: ისიც წაართვი, რაც .აქვს *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

თითქმის ყველა მდიდარი ან თავად არის უსამართლო ადამიანი, ან – უსამართლოს ნაშიერია.

გამოწურეთ მდიდრების სახლები და ეტლები: ნახეთ, რამდენი ცრემლი დაედინება!

მდიდარი გაწყენინებს და თავადვე დაგემუქრება; ღატაკს აწყენინებენ და თვითონ უნდა იყოს დამცირებული.

თუ ღატაკთ გაანაწყენებ, მწუხარებას მწუხარებას მიუმატებ.

ღატაკის მაწყენარი იმას ჰგავს, ვინც წყალში ჩავარდნილს კიდევ უფრო მეტად ფლავს წყალში.

ნუ შეურაცხყოფ ღატაკს: იგი უფალთან იჩივლებს.

დაინდე ღატაკი და შენც დაგინდობს უფალი.

მათ, ვისაც არაფერი აქვთ, გარდა – ცრემლისა და სიღატაკისა, ბევრი რამ აქვთ, რაც შეუძლიათ, მდიდარსაც უწილადონ.

აქ მდიდრები ხშირად მფარველობენ ღარიბებს; იქ (მომავალ ცხოვრებაში) ღარიბი იქნება მდიდრის შუამდგომელნი.

ქრისტიანო! ისწავლე მიბაძო ზაქეს – მეზვერეთა უფროსს (ლუკ. 19, 8). თუკი სინდისი უმცირესი ყვედრება გესმის, როდის იფიქრებ და განსჯი შენი საუნჯის შესახებ?

ვაჭრობაში სასწორად ყოველთვის სინდისი გამოიყენე.

ჩვეულებრივ ვამჯობინებთ სიმდიდრის ბედნიერ შუამდგომლობას, რომელიც, ამასთან კაცთა მოდგმის თითქმის ყველა უბედურების სათავეა, ხოლო მათთვის, ვინც ამ სიმდიდრის მფლობელია, სრულებით არ არის იგი ჭეშმარიტი ბედნიერების სათავე.

სიმდიდრესთან განუშორელია საზრუნავი, როგორც ჟანგი – რკინისაგან.

ზედმეტად ნუ გამოედევნები სიმდიდრეს: რაც არ უნდა მდიდარი იყო, ყველაფერი არ გექნება და არც იმის ნახევარი, რაც გსურს.

სიმდიდრის მოყვარულთა ბიწიერება ისეთია, რომ არაფრით შემოიფარგლება, ითხოვს, რაც შეიძლება მეტს: იგი იმით მკურნალობს დაუოკებელ წყურვილს, რომ განუწყვეტლივ სვამს *(წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

არა მარტო ღარიბები არიან ღარიბები, არიან მდიდარი ღარიბებიც.

ღარიბია ის ვისაც, სიმდიდრე აქვს, და უმეტესიც ვერ აძლობს.

მავანი მდიდარია ფულით, სულით კი ღარიბია.

ღატაკია ის მდიდარი, რომელიც ხრწნადი ვერცხლითა და ოქროთი მდიდრდება, მაგრამ სათნოებებით ღარიბდება *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

რა სარგებელია - გქონდეს ნივთებით სავსე სკივრები და სული მცონარობდეს (სათნოებათაგან)? *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

ღატაკია ის მდიდარი, რომელსაც შინაგანად სულიერი საუნჯე არ გააჩნია, თუნდაც გარეგნულად ყველაფერი ჰქონდეს. *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

✝არავითარი სარგებელი არაა ფულში, როდესაც სული ღარიბია.

✝რა სასარგებლოა მდიდრისათვის ყველა სიკეთის ფლობა, როდესაც იგი არ ფლობს უფალს - უმაღლეს სიკეთეს? *(ნეტარი იერონიმე).*

✝ნეტარია მდიდარი, რომელიც არასდროს კარგავს მხედველობის არიდან მადლის სიმდიდრეს. *(წმ. იოანე ოქროპირი).*

✝მაშინ ვიხვეჭთ სიმდიდრეს, როდესაც იგი გვძაგს და მხოლოდ უფლისაგან ვეძიებთ სიმდიდრეს. *(წმ. იოანე ოქროპირი).*

✝მიწიერი სიმდიდრისადმი გულით მიკრული ვერ გადაიხდის ზეციურ საუნჯეს.

✝დაიღუპები, ო, მოკვდავო, თუ მხოლოდ დამღუპველ საგანძურს აგროვებ.

✝თუ სიმდიდრის იმედი გაქვს, რისი სასოება გექნება შენი ცხოვრების უკანასკნელ საათში?

✝პირველ მდიდარს, ისევე როგორც უკანასკნელ ღატაკს, მარადისობაში მხოლოდ

მისი საქმენი –კეთილნი და ბოროტნი მიჰყვება.

თუნდაც მთლიანად მოიპოვე სამყარო, მაინც საფლავში მოთავსდები, სადაც ვერ განარჩევ მეფეს მათხოვრისგან.

როცა კვდება ადამიანი, ყველაფერს ტოვებს, ხოლო თავად მისი სხეული მიწაში იკრძალება.

თქვენ გაქვთ მინდორი, ტყე, მდელო, ბაღები, ტბორები და – რა? პატარა მიწის ნაკვეთი, ერთი ნაბიჯი სიფართისა და ექვსი ნაბიჯი სიგრძისა გახდება თქვენი საცხოვრებელი, და ერთი ქვაც საკმარისი იქნება თქვენს დასაცავად *(წმ. ბასილი დიდი)*.

ხშირად შეახსენე თავს, რომ მცირედი ხნის შემდეგ ან სიმდიდრე დაგტოვებს, ან შენ დატოვებ სიმდიდრეს.

რაოდენ სიმდიდრესაც არ უნდა ფლობდეს ამქვეყნად ვინმე, მუდამ ისმის მისი ნაღვლიანი ხმა: რამდენ ხანს გაგრძელდება იგი? *(ნეტარი ავგუსტინე)*.

თუმცაღა უკიდურესად მიდრეკილი ხარ სიმდიდრისადმი, იგი დიდხანს არ გაჩერდება შენთან.

სიმდიდრე - ორგული მონაა: დაადე მას ათასი ჯაჭვი, იგი ჯაჭვითაც გაიქცევა.

არ მიაჩვიო შენი გული იმას, რაც დროებით გეძლევა. ის სიმდიდრე არაა, რაც მალე წავა ჩვენგან.

ჭეშმარიტი სიმდიდრე ისაა, რომელსაც ისე ფლობ, რომ დაკარგვა არ შეგიძლია. *(ნეტარ ავგუსტინე).*

მოექეცი მიწიერ სიმდიდრეს ისე, როგორც სტუმარს, რომელიც პატიოსნად უნდა მიიღო და პატიოსნად გააცილო.

როდესაც არ გაქვს სიმდიდრე, არც უნდა გსურდეს ის, ხოლო როდესაც გაქვს, ბევრი უნდა იფიქრო არა იმაზე, რომ ფლობ მას, არმედ იმაზე, შეგიძლია თუ არა მისი განკარგვა. *(წმ. ბასილი დიდი).*

მდიდარი უფლისაგან ბოძებული სიმდიდრის პატრონი კი არაა, არამედ — გა-

მკარგვი და მოურავი, რომელმაც უფალს ბოძებულისთვის თავის დროზე უნდა მიაგოს პასუხი. რამეთუ ამ ქვეყნად არავის არაფერი მოუტანია თან, გარდა შიშველი სხეულისა, და ამიტომ არაფერი საკუთარი არ გააჩნია, მაგრამ ყველაფერი რაც არ აქვს, არის ღვთიური სიკეთე *(ტიხონ ზადონელი)*.

✝ის კი არაა მდიდარი, ვისაც ბევრი აქვს, არამედ ის, ვინც კარგად სარგებლობს იმით, რაც აქვს.

✝იბატონე სიმდიდრეზე, მას კი არ მისცე ნება, გმართოს.

✝ვინც სიმდიდრის მონაა, იგი ისე ინახავს მას, როგორც მონა, ხოლო ვინც გადაიგდო მონობის უღელი, იგი გასცემს სიმდიდრეს, როგორც ბატონი *(ნეტარი ავგუსტინე)*.

✝სიმდიდრე ბოძებული გვაქვს ჩვენი ცხოვრების შესანახად, და არა ცოდვის წაქეზებისათვის: ოქრო ცხონების საშუალებად უნდა მსახურებდეს, და არა – სულის დასაღუპავად *(წმ. ბასილი დიდი)*.

✦უფალმა იმიტომ მოგცა სიმდიდრე, რომ მისით ზეცა იყიდო *(წმ. იოანე ოქროპირი).*

✦ვეცადოთ, რომ ქონება, რომელიც ღირსია დაიღუპოს, იმ ჯილდოდ შეცვალოთ, რომელიც არასდროს იღუპება *(წმ. გრიგოლ დიდოსტატი).*

✦ხელოვნება – ყველაფერი გადააქციო ოქროდ – სრულიადაც არ არის ისე მნიშვნელოვანი, როგორც ხელოვნება – გადააქციო მკვდარი ოქრო ცოცხლად და სიკვდილისაგან გამათავისუფლებელ სათნოებად.

✦სად გაქრა შენი ქონება? – ჰკითხა ერთხელ მეფემ თავის დიდებულ შერემეტიევს. – „ღატაკთა ხელით მე იგი მამაზეციერთან წარვავლინე “, - უპასუხა მან. აი, საუკეთესო გამოყენება სიმდიდრისა – ღირსეული ჭეშმარიტი ქრისტიანისა და დიდებულისათვის!

✦როგორც უხვი წყლის სათავე, რომელის აღმოჩენის ბედნიერებაც შენ გხვდა წილად, მოედინება შენს ეზოში, ხოლო

შემდეგ წყურვილს რომ მოგიკლავს, სხვასთან გაედინება: ასევე მორაკრაკებს და ასევე გაედინება შენგან სიმდიდრე.

✗იმისთვის გეძლევა სიმდიდრე, რომ შენც გასცე.

✗სიმდიდრე და ქველმოქმედება განუყრელნი უნდა იყვნენ.

✗უფალი ბრძნულად და მართებულად აგვარებს გაჭირვებულთა კეთილდღეობას კაცთმოყვარე მწყალობელთა მეშვეობით და კეთილისმყოფელთა ნეტარებას – კაცთმოყვარეობის საქმეთა მეშვეობით.

✗მდიდრები მხოლოდ მაშინ შევლენ ცათა სასუფეველში, როდესაც მათ ღარიბები შეიყვანენ (ლ. 16, 9)

✗მდიდრებს ღარიბთა გარეშე ცხონება არ შეუძლიათ. მათ მხოლოდ უნდა გაშალონ ხელები ღარიბთათვის, მაშინ უფალი განაღებს მათთვის ცათა სასუფევლის კარიბჭეს *(ნეტარი ავგუსტინე)*

✗სიღარიბის გარეშე სიმდიდრეც უსარგებლოა *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

სიმდიდრე მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ჩვენი საკუთრება, როდესაც მას ღატაკებს დავურიგებთ *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

როდესაც მდიდარი გარდაიცვლება, არაფერს წაიღებს თან. მას მიაქვს თან მხოლოდ თავისი სიკეთე — მთხოვნელებს რაც დაურიგა *(წმ. გრიგოლ დიოლოღოსი)*.

გლახაკთათვის გაღებული მოწყალება მდიდართა საგანძურია.

მიწაზე საგანძურის მომხვეჭი ჰგავს იმას, ვინც თავის მოსავალს მდაბალ და ნოტიო ადგილას მალავს, არ ფიქრობს იმაზე, რომ ის მოკლე დროში შეიძლება ჟანგად და მტვრად გადაიქცეს.

სახლში საგანძური სახიფათოა: გლახაკთა ხელში კი — უსაფრთხო *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

ის კი არაა მდიდარი, ვისაც ბევრი აქვს, არამედ ის, ვინც ბევრს გასცემს (უპოვართათვის).

მდიდარია არა ის, ვინც ბევრი მოიხვეჭა, არამედ ის, ვინც ბევრი გასცა.

თუ თქვენ აფასებთ სიმდიდრეს იმ ღირსების გამო, რასაც იგი თქვენ განიჭებთ, მაშინ დაფიქრდით, რამდენად ალმატებულია იწოდებოდეთ ათასი გლახაკის მამად, ვიდრე ჩაითვალოთ ათასი მონეტა საფულეში! *(წმ. ბასილი დიდი)*

სალესი ქვით შეიძლება გაიგო ოქროს ხარისხი, ხოლო ოქროთი — ადამიანის ხარისხი.

ვისაც უყვარს სიმდიდრე, მას არ შეუძლია, უყვარდეს ახლობელი.

„მე რომ მდიდარი ვიყო, — ამბობს მავანი, — მთელ სამყაროს მოვაოქროვებდი!..“ სისულელე! ხშირად ჩვენ უფრო მეტად ვუფრთხილდებით სიმდიდრისას ხურდებს, ვიდრე სიღარიბეში — მანეთიანს.

სიმდიდრე ხშირად ხდება დასასრული ერთი სიღატაკისა და მეორის (ზნეობრივის) დასაწყისი *(სენეკა)*.

იოლია, გძულდეს ფული სიღარიბეში, ვიდრე — სიმდიდრეში.

✝მიიჩნიე სიმდიდრე სხვა არაფრად, თუ არა – ეკლად, რომელიც ერჭობა და ასისხლიანებს მას, ვინც მას ხელს მოჰკიდებს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

✝სიმდიდრე ბიწიერთათვის წინააღმდეგობაა, კეთილთათვის კი –სათნოებებში შემწეა *(წმ. ამბროსი მედიოლანელი)*

✝დავადანაშაულოთ არა თავად საგნები, არამედ, გარყვნილი ნება: რამეთუ შეიძლება, სიმდიდრეც გქონდეს და არ ცდუნდებოდე მისით *(წმ. იოანე ოქროპირი)*

✝სახარებისეული სიგლახაკე მდგომარეობს არა – სიმდიდრის ჩამორთმევაში, არამედ – მისადმი სიყვარულის არარსებობაში. შეიძლება გლახაკი იყო და ყველაზე აუცილებელი გაკლდეს, მაგრამ ამასთან – სიმდიდრისადმი ძლიერი წყურვილითა და მისწრაფებით და, პირიქით, შეიძლება, ფლობდე მიწიერი ბედნიერების ყველა სიკეთს და არ გქონდეს მხოლოდ ერთი რაიმესადმი სიყვარული *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

✤რას აკეთებენ ზღვაოსნები, როდესაც გრიგალი გემს ჩაძირვით ემუქრება? ისინი ტვირთს ზღვაში ისვრიან. აი, რითი განიმარტება რჩევა, რომელიც იესო ქრისტემ მისცა მდიდარ ახალგაზრდას (მათ 19,21), რომელსაც სიმდიდრისადმი სიყვარული საუკუნო დაღუპვას უქადდა! ამ რჩევის შესრულება ახალგაზრდისთვის ცხონების ერთადერთი საშუალება იყო.

✤სიმდიდრე კი არ ღუპავს მდიდრებს, არამედ სიმდიდრის მოხმარება.

✤სიმდიდრე კი არ ხერგავს ცათა სასუფეველში შესასვლელს (მათ. 19,23), არამედ — სიმდიდრის ბოროტადგამოყენება.

✤მდიდრები კი არა, სიმდიდრის მსახურნი განისჯებიან *(წმ. იოანე ოქროპირი)*

✤სიმდიდრე კი არ არის ცუდი ნივთი, არამედ ვეცხლისმოყვარებაა ცუდი.

✤მდიდარი ხარ; ამის წინააღმდეგი არ ვარ: ძუნწი ხარ, აი, რისთვის გკიცხავ.

მოვიქცეთ ისე, როგორც პატარა ბავშვები, რომლებიც ერთი ხელით მამას არიან ჩაჭიდებულნი, მეორეთი კი — მდელოზე კენკრას აგროვებენ. — და ჩვენც ერთი ხელით შევაგროვოთ აქაური სიკეთე, ხოლო მეორეთი ჩავეჭიდოთ მამაზეციერის მარჯვენას და, რამდენადაც შესაძლებელია, ხშირად მივაპყროთ მას ჩვენი მზერა, რათა ვიცოდეთ, სათნოა თუ არა მისთვის ჩვენი საქმენი.

ვეცხლისმოყვარება და ანგარება

არც ერთი ვნება არაა ისე საძულველი და არ იმსახურებს იმდენ დაცინვას, როგორც — ვეცხლისმოყვარება *(წმ. ჰეტრე დამასკელი)*

თუ იმედოვნებ, მარადიულობა მოიპოვო, მაშინ რად გსურს ამდენი წარმავალი რამ?

ვეცხლისმოყვარე ადამიანი ყველაზე უსამართლოა. ამქვეყნად არაფერი მოუტანია და ისე ზრუნავს მიწიერ საგანძურებზე, თითქოს ამქვეყნიდან ყველაფრის თან წაღება შეუძლია.

ყოველგვარი ცოდვის საწყისი ამპარტავნებაა, ხოლო დასასრული ყველა ბოროტებისა — ვეცხლისმოყვარება: პირველი ღმერთისთვის ზურგს გვაქცევინებს, მეორე კი — გვაბრუნებს ეშმაკებისკენ.

ვეცხლისმოყვარე ღვთისგან განდგომილია, ისევე, როგორც ვეცხლისმოყვარეებაა კერპთთაყვანისმცემლობა.

ამბა ისაიას ჰკითხეს: „რა არის ვეცხლისმოყვარება? მან უპასუხა: „ღვთისადმი უნდობლობა იმაში, რომ იგი ზრუნავს შენზე, ღვთის აღთქმების უსასოობა და დამღუპველი სიამოვნებების სიყვარული“.

მომხვეჭელობის ვნება ხშირად მშობლებშიც ბუნების ხმას ახშობს, აღძრავს ძმათა შორის შურლს, უდაბნოებს ავსებს

მკვლელებით, ზღვებს ყაჩაღებით, ქალაქებში წარმოშობს ცილისმწამებლებს *(წმ. ბასილი დიდი)*.

ანგარებიანის ხელები ძუნწადაა გამოწვდილი, რათა დაიპყროს მარჯვნიდან და მარცხნიდან, მართებული მოპოვებით და უმართებულო მიმტაცებლობით.

არა არსებობს ტყუილი, რომელსაც არ იკადრებს ცილისმწამებლები, როგორც ეს დაამტკიცა თავის მაგალითით იუდამ. მისგანაა ქურდობა, მკრეხელობა, მკვლელობები, გამცემლობა.

ანგარებიანი არ ინდობს არც მამას, არც დედას, არც ძმებს, არც სხვებს *(ნეტარი აგუსტინე)*.

ლითონის ხმა, რომელიც ვეცხლისმოყვარის ყურებს ავსებს, მადლის ხმისთვის აყრუებს მათ *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

ვეცხლისმოყვარეს არაფრის გაგონება არ სურს, არც ლაპარაკი რაიმეზე, ისე, როგორც ვერცხლზე, ასევე – სარგებელზე და სარგებელიდან სარგებელზე.

თავის ოქროზე გამუდმებული ფიქრითა და საზრუნავით შეპყრობილ ადამიანს, შეუძლია კი მიისწრაფოდეს ზეცისკენ და ეძიებდეს უხრწნელ, ზეციურ საგანძურებს? მისი გული ეფლობა საკუთარ სიმდიდრეში, როგორც – ლოკოკინა ნაჭუჭში, რომელსაც არ გააჩნია არც სურვილი, არც საშუალება გაეყაროს მას.

შეუძლებელია, ერთდროულად გიყვარდეს ვერცხლიცა და სულიც *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

„კარგია სიტყვა, – ფიქრობს თავის თავზე ვეცხლისმოყვარე, მაგრამ – ოქრო უკეთესია“.

როგორც ზღვა ვერ ივსება მდინარის წყლით, ისევე ვეცხლისმოყვარე ვერ ძღება ვერანაირი მომხვეჭელობით *(სულიერი მარგალიტი)*.

ჯოჯოხეთი არ იტყვის: მეყოფა (იგავ. 30,16)! და ანგარებიანიც არასდროს ამბობს: „საკმარისია“! *(წმ. ბასილის დიდი)*.

რაც მეტს პოულობს ვეცხლისმოყვარე, მით მეტს ეძიებს.

კარგად შეადარა ვიღაცამ ანგარებიანი წყალმანკთან მებრძოლებს. მათ რაც მეტი წყალი აქვთ სხეულში, მით მეტ წყურვილს გრძნობენ, ასევეა ანგარებიანი, რომელსაც ბევრი აქვს და უფრო მეტი უნდა *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

როგორც ცეცხლი, რომელიც ბევრ შეშას მოედო, ვრცლად აალდება, ასევე ვეცხლისმოყვარება, თავდაპირველად პატარა ნაკადულს ჰგავს, საბოლოოდ კი თვალუწვდენელ ოკეანედ იქცევა.

ყველა ცოდვა ძველდება ადამიანთან ერთად; მხოლოდ ანგარება ახალგაზრდავდება ყოველდღიურად *(წმ. ამბროსი მედიოლანელი)*.

ძვირფასი ქვის მაძიებელი დაუღალავად მისდევს ბწყინვალე მეტეორს, ვიდრე საფლავის ქვის ქვეშ არ დამშვიდდება.

ვეცხლისმოყვარისთვის სიმდიდრე იგივეა, რაც უგუნურისათვის ხმალი *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

ანგარებიანი იმდენად სახლს სიმდიდრით არ ავსებს, რამდენადაც სულს – საზრუნავით.

თავისუფალია თუ არა ანგარებისმოყვარე? – შეუბორკავია თუ არა ოქროს ბორკილებში?

ვეცხლისმოყვარე შეპყრობილია საზრუნავებით, როგორც ტყვე – ჯაჭვებით *(სულიერი მარგალიტი)*.

როგორც შეუძლებელია ოდესმე ზღვა იყოს ტალღების გარეშე, ასევე ვეცხლისმოყვარე ადამიანის გულს არ შეუძლია დარდის, ურვის, შიშისა და ტანჯვის გარეშე ყოფნა *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

ძუნწი და ანგარებიანი, რომელსაც ბევრი სიკეთე აქვს, მაგრამ არ აქვს სიმშვიდე და მოსვენება, შეიძლება შევადაროთ ხეს, რომელიც გარედან დაფარულია ფოთლებითა და მომწიფებული ნაყოფით, შიგნიდან კი უკვე ჭიები ღრღნიან და ახლოა სრულ განადგურებამდე.

ვეცხლისმოყვარენი ნამდვილად უბედური ხალხია ამ და იმქვეყნიურ მომავალ ცხოვრებაშიც. აქ ისინი გაუთავებელ საზრუნავში, შრომასა და წუხილში იმყოფებიან, იქ კი უნდა ითმინონ საუკუნო სატანჯველი.

ვაი, ანგარებისმოყვარეს! სიმდიდრე მისგან გარბის; მას კი ელის ცეცხლი (წმ. ნილოს სინელი).

საშინელი ვნებაა ანგარება, ყველაფერზე წამსვლელი და ყოვლად უსირცხვილო, მის მიერ მოპოვებულ სულს ბოროტების უფსკრულში იტაცებს. ამიტომ განვაგდოთ ეს ვნება დასაწყისშივე. რადგან გაძლიერებული იგი დაუმარცხებელი ხდება.

მაცხოვრის მცნება არამომხვეჭელობის შესახებ (მათ. 6, 19) ეხება არა მხოლოდ მდიდრებს, არამედ – ღარიბებსაც, იმიტომ, რომ შესაძლოა, გლახაკის გულიც იმდენად იყოს მიდრეკილი ერთ მანეთთან, როგორც მდიდრისა – მთელ ათასთან.

✤შეიძლება, ბევრი არ გქონდეს, მაგრამ ბევრისკენ იყო მიდრეკილი.

✤მარტო ის კი არ არის ვეცხლისმოყვარე, ვისაც ბევრი აქვს და არ უყოფს უქონელს, არამედ ისიც, ვისაც, თუმცა არ აქვს ზედმეტი, მაგრამ გაუმაძღრად უნდა იგი და მუდამ ამაზე ფიქრობს.

✤ყველა მდიდარი კი არ დაიღუპება, შესაბამისად – ვერც ყველა ღარიბი ცხონდება.

✤ყველაზე მეტად რწმენის სიმდირეზე ვისურვოთ, ძმანო, მდიდრებო და ღარიბებო!

✤უდიდესი საქმეა – ფული კი არ მოიხვეჭო, არამედ მოიპოვო შიში და ღვთისმოსაობა.

✤კარგია სიყვარულითა და სიმშვიდით გამდიდრება *(ამბა ევაგრე)*.

✤კარგია მიიტაცო არა მხოლოდ წარმავალი საგნები, არამედ – ცათა სასუფეველიც (მათ. 11,12).

გამდიდრება გსურს? დაუმეგობრდი უფალს და ყველაზე მდიდარი გახდები *(წმ. იოანე ოქროპირი)*.



სიძუნწე

საწყალს ბევრი გასაჭირი აქვს, მფლანგველს უფრო მეტად, ხოლო ძუნწი ყველაფერში ნაკლულოვანია.

რა სიმდიდრესაც არ უნდა ფლობდეს ძუნწი ადამიანი, ყველაზე ღარიბია, რადგან ყველაფერი მხოლოდ თავის საკუთრებად სურს, თითქოს არაფერი ჰქონდეს.

ადამიანი, რომელიც ფლობს საგანძურს და სიძუნწითაა შეპყრობილი, რომელიც მას ბორკავს და თითქოსდა ართმევს და ანადგურებს მის საგანძურს, განა იმ გლახაზე საცოდავი არაა, რომელსაც აქვს ძალა და თავისუფლება განაგოს და გამოიყენოს თავისი მწირი ქონება?

სიმდიდრე მხოლოდ მაშინაა კარგი, როდესაც მისით კარგად სარგებლობენ. ამიტომ ძუნწი არ აკეთებს ასეთ გამოსაყენებელს, რადგან მის სიმდიდრეს არ მოაქვს მისთვის სარგებელი.

ძუნწისათვის ისევე არ არსებობს ის, რაც მას აქვს, როგორც ის, რაც მას არ აქვს.

განა ძუნწი ციებ-ცხელებით დაავადებულს არ ჰგავს, რომელიც ყველაზე ულმობელი წყურვილით ითანგება, თუმცა შეიძლება წყალს სათავიდანაც კი ხაპავდეს?! *(წმ. იოანე ოქროპირი).*

ძუნწი აგროვებს მხოლოდ იმისთვის, რომ შეაგროვოს. იგი არ კმაყოფილდება თავისი მოთხოვნილებებით — იგი უარს ეუბნება თავის თავს მასზე.

ძუნწ ადამიანებს მთელი სამართლიანობით შეიძლება ეწოდოთ საზოგადოების მტრები და ახლობლების მძარცველნი.

როდესაც ძუნწი თავადაა საკუთარი თავის მტერი, მაშინ განა შეიძლება იყოს ვინმესთვის კეთილი და სასარგებლო? (ზირ. 14, 5)

ჭაში წყლის ამოხაპვის შემდეგ დგება უკეთესი წყალი; და თუ ჭა მიშვებულია, მაშინ მასში წყალი ყროლდება; სიმდიდრის დაგროვებაც უსარგებლოა; მისი გაღება და ხელიდან ხელში გადაცემა კი საყოველთაოდ სასარგებლო და ნაყოფიერია *(წმ. ბასილი დიდი)*.

ვინც ჩაცმულს აშიშვლებს, მას მძარცველს უწოდებენ; ხოლო ვინც შიშველს არ აცმევს, თუმცა კი შეუძლია ამის გაკეთება, ღირსია კი იგი რაიმე სხვაგვარი სახელისა?

ძუნწმა მონეტის გამოჭედვა და ნამდვილი მონეტის ყალბისგან განსხვავება იცის, მაგრამ იგი სრულიად ვერ შეიცნობს ძმას გასაჭირში.

ძუნწს უკიდურესად ახარებს ბოროტების აყვავება, მაგრამ იგი ვერ ითვლის, გლახაკის რამდენი ხვნეშა ახლავს მას.

ძუნწს ერთი სიტყვა აქვს დაზეპირებული: „არ მაქვს, არ მოგცემ, რადგან თა-

ვად ღარიბი ვარ“. ნამდვილად, შენ ღარიბი ხარ და ყველა სიკეთით გაღატაკებული, გლახაკი ხარ სიყვარულით, გლახაკი ხარ კაცთმოყვარეობით, გლახაკი ხარ ღვთის რწმენით, გლახაკი ხარ მარადიული სასოებით.

ვიდრე ძუნწი ცოცხალია, არაფერს კარგს არ აკეთებს; მხოლოდ მაშინაა მისგან სიკეთე, როდესაც მოკვდება. მისი სიმდიდრე, რომელიც მანამდე ტუსაღი იყო, სინათლეზე გამოდის.

ძუნწი მდიდარი მსგავისია ზუსტად იმ ცხოველისა, რომელიც უსარგებლოა თავისი ცხოვრების მანძილზე და სასარგებლო ხდება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ.

ძუნწი აგროვებს, სხვები კი შეგროვებულს გამოიყენებენ.

რამდენადაც მძიმეა ძუნწის სკივრი, იმდენად მსუბუქია მისი მემკვიდრეების მწუხარება.

მევახშეობა

ხარბი მევახშე ისეთ ღრუბელს ჰგავს, რომელიც იმ წყლით ივსება, რაც მისგან უნდა გამოსწუროს.

ისე არავინ აზიანებს საზოგადოებას, როგორც მევახშეები. მათ მიერ საზოგადოება უფრო მეტად კვნესის, ოხრავს და უძლურდება, ვიდრე — უცხოტომელი მტრებისაგან *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

კურდღლებზე ამბობენ, რომ ისინი ერთდროულად შობენ, კვებავენ და ამავე დროს, ჩაისახავენ კიდეც შვილებს. მევახშეებსაც ფული ერთსა და იმავე დროს ვალადაც მიეცემათ, უჩნდებათ კიდეც და უმრავლდებათ.

თესლი ნაყოფს თავიდანვე არ გვაძლევს და ცხოველებიც მხოლოდ დროის განმავალობაში ხდებიან მოწიფულნი; მევახშე კი დღეს იშვება და იმავე დღეს იწყებს გამრავლებას.

მევახშე უბადრუკ ცხოვრებას ეწევა, ყოველთვის შიშსა და მწუხარებაშია; შიშში

– იმის გამო, რაც აქვს, მწუხარებაში კი – იმის გამო, რაც ჯერ არ გააჩნია *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

მევახშეები ყველგან მიიღებენ თავიანთ სასჯელს: ამ ცხოვრებაშიც, სიკვდილის ჟამს და სიკვდილის შემდეგაც.

ფუფუნება

ძუნწი უსასრულოდ კრებს, დარდიმანდი კი ბოლომდე გაანიავებს.

ფუფუნებაში მცხოვრობი მდიდრები, ღარიბებზე ღატაკნი არიან.

ბევრი ადამიანი ზედმეტ ქონებად იმიტომ არ თვლის რაიმეს, რომ ყველაფერი რაც აქვს – ზედმეტია.

ერთი ლხინს აწყობს მთელი ქვეყნისათვის, შემდეგ ლამის მთელი ქვეყანა გადათელოს.

ერთი ითმენს ნაკლოვანებს სიბერეში, ვინაიდან ახალგაზრდობაში საკმარისად არ მოაგროვა, ან შეძენილი ქონება გაფლანგა. „შენ ცუდად სადილობ, იმიტომ რომ მეტისმეტად კარგად ისაუზმე“. — თქვა ერთმა ძველმა ბრძენმა.

ყოველივე იმის შორისაც, რაც გვჭირდება, უნდა გქონდეს აუცილებელი და არა — ზედმეტი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*..

თუ ზედმეტს ყიდულობ, მალე საჭიროსაც გაყიდი.

მიატოვე არა მხოლოდ ამაო საზრუნავი ზედმეტისათვის, არამედ — საჭიროსათვის ზედმეტი ზრუნვა.

ნუ გამოძღები პურით — და არც ღვინო მოგინდება.

სხეულის მორთვა და მოკაზმულობა

ო ქვენ, ვინც საკუთარ გარეგნობაზე ზრუნავთ, თქვენ, ვინც ფერ-უმარილით იკაზმავთ სახეს – გაიხსენეთ, თქვენი გულისთვის რა დაემართა იესო ქრისტეს სახეს, და დაკმაყოფილდით იმ გარეგნობით, როგორითაც ღმერთმა შეგქმნათ!.

კაცობრიობის სამარცხვინოდ, მოხუცებიც კი არიან ისეთები, რომლებიც გულმოდგინედ იღებავენ სახესა და თმებს, რადგან რცხვენიათ თავიანთი ჭაღარის – ამ ბუნებრივი სითეთრის, რომელიც უფალს მიამსგავსებს მათ – „თავი და თმანი მისნი სპეტაკ, ვითარცა მატყლი სპეტაკი, ვითარცა თოვლი“ (გამოცხ. 1, 14).

სხეულის მორთვა სულის დაღუპვაა *(ამბა ისაია)*.

არ შეიძლება, ერთდროულად რთავდე სულსაც და სხეულსაც.

ოქროსა და ძვირფას ქვებს შეუძლიათ, მორთონ სხეული, მაგრამ ისინი ვერ გაამდიდრებენ სულს.

ქალებს ჰგონიათ, რომ ფართო და გრძელი კაბები ვიწრო და მოკლე შემეცნებისთვისაა განკუთვნილი.

სულის მშვენიერება ისეთი თვისებისაა, რომ სიბერეშიც მრავალი მოყვარული ჰყავს, ვინაიდან არასდროს ჭკნება და ყოველთვის ჰყვავის *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ნუ იამაყებ გარეგნული სილამაზით: ხორციელი სილამაზე სულიერის გარეშე სილამაზე კი არა – სიმახინჯეა.

რას ნიშნავს ეს სიამაყე, რომლითაც ძვირფასი ტანსაცმლით მოსილი ადამიანი ძონძებში გამოხვეულ სიღარიბეს ძლივს მიიჩნევს შეხედვის ღირსად? განა ეს იმის მსგავსი არ იქნებოდა, რომ ავადმყოფს თავისი მრავალრიცხოვანი ჭრილობებისა და სახვევების სილამაზით ეამპარტავნა, ან მონას, რომელიც იძულებულია ბორკილე-

ბი ატაროს, მრავალგვარი ორნამენტით და სხვადასხვაგვარი ხელოვნებით დამუშავებული ბორკილი ენატრა?

მოდას აყოლილი და „ფრანტი“ ან საკუთარ თავზე შეყვარებულია და მაშინ ის სულელია, ან სურს, რომ სხვებს უყვარდეთ, და მაშინ ის გარყვნილია.

როცა დილით ტანისამოსს იცვამ, გაიხსენე ჩვენი წინაპრის პირველი ცოდვა, რომელმაც შეგვმოსა ის. როცა საღამოს იმავე ტანსაცმელს იხდი, აზრებით მომავალ მკვდრეთით აღდგომას მიეახლე, როცა კვლავ არანაირი სამოსელი არ იქნება საჭირო.

სული და სხეული

ადამიანი სულისა და სხეულისაგან შედგება. მაგრამ როგორც სული სხეულზე, უმთავრესია, ვინაიდან იგი აძლევს სიცოცხლეს სხეულს და ადამიანს სხვა ცხ-

ოველებისაგან განასხვავებს, ბუნებრვია, მთავარი ყურადღება, ჩვენი მთავარი საზრუნავი მიმართული უნდა იყოს არა სხეულის, არამედ – სულის მიმართ.

როცა იმპერატორმა თეოდოსიმ გაიგო, რომ ანტიოქიის მკვიდრთ ტალახში ამოსვარეს მისი მეუღლის ქანდაკება, მან ბრძანა, დაენგრიათ ქალაქი. რას გვიზამს ღმერთი, თუკი ცოდვით შეურაცხვყოფთ სულს – მის ხატსა და ტაძარს?

გინდათ, თქვენი სულის ფასი იცოდეთ? შეხედეთ გამოსყიდვის ფასს. არა მთელი ქვეყნის ოქრო, მთელი ქვეყანაც კი, იმ ყვეელაფრით, რაც კი მასშია, არამედ თავად უფალი იყო ჩვენი გამოსყიდვის ფასი *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

სულზე, როგორც ადამიანის არსების მთავარ ნაწილზე, რომელიც მთელ სამყაროზე უძვირფასესია, მეტად უნდა ვზრუნავდეთ, ვიდრე – სხვა დანარჩენზე; მეტად – ვიდრე სხეულზე, ან, ისევე მაინც –

როგორც სხეულზე. მაგრამ, განა პირიქით არ ხდება ადამიანთა უმეტესობაში? განა ადამიანები სხეულს უფრო მეტად არ უვლიან? განა ცოტანი არიან ისეთნი, რომლებიც საკუთარ სულზე სულაც არ ზრუნავენ, თითქოსდა ის არც კი არსებობდეს?

ერთი წმიდა ადამიანი მშვენიერი და ძვირფასად ჩაცმული ქალის დანახვისას მწარედ ატირდა და თქვა: „მან თავისი მოკვდავი სხეულის მოსართავად უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე მე – ჩემი უკვდავი სულისათვის“.

პატარა ბავშვიც კი ფიქრობს, რომ სხეულს სიახლე შესძინოს: მაგრამ ხშირად ჭალარა მოხუცი ვერ გულისხმაჰყოფს, როგორ განიახლოს სული ან რაიმე სიახლე შესძინოს მას.

მე ვისურვებდი, ვყოფილიყავი ცხენი ან ქრისტიანთა უმრავლესობის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი, ვიდრე – მათი სული; ვინაიდან ისინი მეტად უვლიან, უყვართ

და ეჯაჭვებიან სხვა ნებისმიერ საგანს, ვიდრე – საკუთარ სულს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

მამას ორი მშიერი ვაჟი ჰყავდა და ერთი პურიღა დარჩა. იგი მეტისმეტად უსამართლო იქნებოდა, მთელი პური ერთისთვის რომ მიეცა, მეორე კი მშიერი დაეტოვებინა. თქვენც სული და სხეული გაქვთ, ერთიცა და მეორეც თქვენია. თუმცა კი სულისთვის უპირატესობა უნდა მიგენიჭებინათ – როგორც რჩეული ძისათვის, ვინაიდან მას ზეციური ნათესაობა აქვს. მაგრამ ის მაინც რატომ არ გსურთ, მას თუნდაც სხეულის თანასწორი წილი მისცეთ? განა ეს უდიდესი უსამართლობა არ არის?

თუ სულზე არ ვზრუნავთ, სხეულსაც ვანგრევთ. ვინც უგულებელყოფს ყველაზე ძვირფას ნაწილს იმისათვის, რომ ალამაღლოს ნაკლებად ღირებული, იგი როგორც ერთ, ისე – მეორე ნაწილს ღუპავს. პირიქით, ვინც ზრუნავს სულზე, ის, სულსაც იცავს და მთელ სხეულსაც *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✤შენ, ვინც სხეულის სნეულებისას ესოდენ ზრუნავ მის განსაკურნებლად, რატომ არ ცდილობ გიანიჭო მას ნეტარება აღდგომის შემდეგ (სულზე ზრუნვის მეშვეობით) *(ამბა ისაია)?*

✤შენ მაშინ იქნები ბრძენი, როცა იმდენსვე გააკეთებ სულისათვის, რამდენსაც ახლა იქმ სხეულისათვის.

✤იზრუნე სხეულზე, ოღონდ არა ისე, თითქოს ის სული იყოს.

✤შენი ხრწნადი სხეული დაე, მორჩილი იყოს სულისა, ხოლო სული კი — თავისი მარადიული შემოქმედისა?

✤თუ სხეულს სულის არ დაუმონებ, მაშინ იგი დაუმონებს შენს სულს ეშმაკს.

✤როგორც ღვთის საქმეა სამყაროს მართვა, ასევე სულის საქმეა სხეულის მართვა *(ამბა ფალასი).*

✤მიეცი ხორცს ის, რაც მას სჭირდება, და არა ის — რისი მიღებაც მას სურს *(წმიდა ნილოს სინელი).*

მთელი ცხოვრების განმავლობაში ნუ დაუჯერებ ამ ხრწნად სხეულს და ნუ მიენდობი მას, ვიდრე ქრისტეს წინაშე არ წარსდგები *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

ხორცი – უმადური მეგობარია. როცა მას აამებ, მაშინ კიდევ უფრო მეტად ცდილობს დაგაზიანოს.

ხორცი – მზაკვარი მეგობარია: რაც უფრო მეტად აამებ მას, მით უფრო მეტად აღსდგება შენს წინააღმდეგ *(ამბა იხჰი)*.

ვინც ლომს ეფერება, ის ხშირად ათვინიერებს მას; ხოლო ვინც აამებს სხეულს, ის აძლიერებს მის სისასტიკეს *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

სულს არაფერი ისე, როგორც – სხეული.

თუკი თქვენი სული არ შეებრძოლება თავის მშფოთვარე მეზობელს – ხორცს, წინ არ აღუდგება მის წრეგადასულ მოთხოვნებს, არ დათრგუნავს მის ცდუნებებს, მაშინ ვერასდროს გაიგებთ იმ ნეტარ მშ-

ვიდობას, რომელიც ესოდენ აუცილებელია თქვენი ბედნიერებისათვის.

✻ვისაც ხორცი ეცოდება, მასში ვერ იქნება სულიწმიდა.

✻რაც მეტად ნაპატიებია სხეული, სული დათრგუნულია და პირიქით: რაც უფრო დათრგუნულია სხეული, მით მეტად მტკიცდება სული *(ამბა დანიელი)*.

✻ხორცი, თუკი მტკიცდება, მტკიცდება სულის ხარჯზე; და სულიც, თუკი მწიფდება, მწიფდება არა სხვაგვარად, არამედ — ხორცის უძლურებით. არც ერთ წმიდანს არ უცხოვრია უზრუნველი ცხოვრებით: ყველანი მკაცრი, შეჭირვებული ცხოვრებით ცხოვრობდნენ: განსაცდელებითა და ხორცის დათრგუნვით.

✻დაე, ყველამ გამოსცადოს და დაინახავს რომ, რაც უფრო ნაკლებად აძლევს სხეულს თავისუფლებას, რაც უფრო ტანჯავს ძას მარხვით, მით უფრო მეტ ძალას იკრებს სული, მისი აზრები უფრო ნათელი

ხდება, გრძნობები – უფრო წმიდა, ლოცვა – გულწრფელი და ცოცხალი, ცოდვებზე ოხვრა – ხშირი და სრულყოფილი.

ვინც საკუთარ თავს ატყუებს იმ იმედით, რომ სულის სრულყოფილებას მიაღწევს სხეულისადმი მკაცრი მოპყრობის გარეშე, იგი იმას ჰგავს, ვისაც სურდა, წყალი საცრით დაეჭირა, ქარი – ხელით, ან წყალზე ეწერა.

მეტად საშიშია შეუკაზმავი ცხენი მხედარისათვის; ასევე სულისთვის საშიშია, გონებითა და თავშეკავებით აულაგმავი ხორცი.

ჯანმრთელობა და ავადმყოფობა

ჯანმრთელობა ღვთის უძვირფასესი საჩუქარია.

ჯანმრთელობის გარეშე სიმდიდრე – თითქმის იგივეა ადამიანისათვის, რაც მს-

ხვერპლი სულელისათვის ან კარგად მოწყობილი გზა – უფეხოსათვს.

გაუფრთხილდი ჯანმრთელობას – დაიცავი თავი გარყვნილებისაგან, დაუდევრობისა და სულსწრაფობისაგან; ნუ გაუფრთხილდები ჯანმრთელობას – ნუ დაზოგავ თავად სიცოცხლეს, როცა ამას შენგან მოითხოვს ღმერთი, სამშობლო და შენი მარადიული ცხონება.

მნიშვნელოვანია სხეულის ჯანმრთელობა, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სულიერი ჯანმრთელობა და იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც სული სხეულს აღემატება *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

რას არგებს სხეულს, თუ თავად ჯანმრთელია, მაგრამ სულია სუსტი და უძლური?!

ფიზიკური ჯანმრთელობა დროებითია; სულიერ ჯანმრთელობაში კი მთელი მარადიული ცხოვრების საწყისია ჩადებული.

უმჯობესია, მთელი ეს ცხოვრება სხეულით იყო ავადმყოფი, მაგრამ სულით –

ჯანსაღი, ვიდრე – სხეულით ჯანსაღი იყო და სულით – არა ჯანმრთელი.

❦სხეულისათვის ავადმყოფობა – მწარე სასმელია, სულისათვის კი მაცხოვნებელი მკურნალობა.

❦ფიზიკური სნეულებები სულიერს განწმენდს *(სქიმონაზონი მაკარი)*.

❦ავადმყოფობა თუმცა სხეულს აწამებს, სულს აცხოვნებს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

❦იშვიათად არის ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული, უმეტესწილად იგი უძლურშია.

❦სხეულის სიჯანსაღე ადამიანს უღებს კარს მრავალი ვნებისა და ცოდვისაკენ, სხეულის უძლურება კი მას უხშობს.

❦ავადმყოფობისას ვგრძნობთ, რომ ადამიანის ცხოვრება ყვავილს ჰგავს, რომელიც თითქმის მაშინვე ჭკნება, როგორც კი გაიფურჩქნება, და ღრუბელს, რომელიც იქსაქსება და კვალს არ ტოვებს. რომ ჩვენი დღეები ჩრდილივით ქრებიან; რომ ჩვენი სხეული ჭკნება მინდვრის ბალახივით. რომ

თუნდაც ყველაზე ძლიერი ადამიანის ცხოვრება მხოლოდ ერთი ამოსუნთქვაა, რომ ყოველ ამოსუნთქვასთან ერთად იგი მოკლდება და რომ მისი პულსაცია, ქანქარას დარტყმების მსგავსად, აახლოებს მას უკანასკნელ საათს, რომელიც თითქმის ყოველთვის ისეთ წამს ჩამოკრავს, როცა მას ჰგონია, რომ ამ დრომდე ჯერ კიდევ ადრეა.

ო, ავადმყოფობა, მწარე, მაგრამ ჯანმრთელი წამალია! როგორც ხორცის სიმლაშე და თევზის სიმყრალე საშუალებას არ აძლევს მატლებს, რომ ისინი ჩაისახონ; ასევე ყოველგვარი სნეულება ჩვენს სულს ლპობისგან და სულიერი გახრწნისგან იცავს და არ აძლევს საშუალებას ვნებებს, როგორც სულიერ მატლებს, ჩაისახონ ჩვენში *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

თუ ავადმყოფობა შეგიპყრობს, სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდები და სულით ნუ დაეცემი; არამედ, მადლობა შესწირე უფალს, რომ იგი ცდილობს, ამ სნეულებით სიკეთე მოგანიჭოს *(ამბა ისაია)*.

ერთი ხუცესი ხშირად ავადმყოფობდა. ერთი წლის მანძილზე ისე მოხდა, რომ არ დაავადდა. ხუცესი მეტად შეწუხდა და ატირდა. იგი ამბობდა: „დამტოვა მე უფალმა ჩემმა და არ მომინახულა მე“ *(ძველი პატერიკი)*.

ვინც ავადმყოფობას მოთმინებითა და მადლიერებით იტანს, იგი მას ღვაწლში ჩაეთვლება და უფრო მეტადაც *(ღირსი სერაფიმე საროველი)*.

ვინც ავადმყოფობას ითმენს და მადლობს უფალს, იგი მოწამეობრივ გვირგვინს ღებულობს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

სხეულის სნეულებებში, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, განვკურნოთ სული.

განრღვეულის გაკვეთილიდან შევიმეცნებთ (ინ. 5, 14), რომ ჩვენი დაავადებების მიზეზი არის ცოდვები და შესაბამისად, უპირველესი წამალი მათ წინააღმდეგ ყოველთვის არის არა იმდენად – ექიმის მიერ გამოწერილი წვეთები, რამდენადაც ის წვეთები, რომლებიც ჩვენი შემუსვრილი

და დამდაბლებული გულის გამო ცვივა ჩვენს თვალთაგან.

✗ავადმყოფობისას, ექიმებზე და წამლებზე უწინ, ლოცვით ისარგებლე *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✗ხშირად არა – ექიმთა ხელი, არამედ მხოლოდ რწმენა აღადგენს ავადმყოფს.

✗თუ შენმა ექიმმა შენი განკურნებით იტრაბახა, როგორც – საკუთარი საქმით, შენ შენს მოვალეობად ჩათვალე, შეახსენო მას სიცოცხლისა და სიკვდილის მეუფის შესახებ.

✗ავადმყოფობის დროს ყოველმა უნდა იფიქროს და თქვას: „ვინ იცის? იქნებ ჩემთვს ჩემს უძლურებაში იღება სწორედ მარადისობის კარი?“

✗განსაკუთრებით სერიოზული და საშიში სნეულებისაგან გამოჯანმრთელებული უნდა გრძნობდეს და ამბობდეს: „ზემოდან მომეცა მე გადავადება, მოვინანიებ და ჩემს ცხოვრებას ქრისტეს მცნებების შესაბამისად გამოვასწორებ“.

მარხვა და ზომიერება

მცნება მარხვის შესახებ ისეთივე ძველია, როგორც – თავად სამყარო.

პირველდაწყებითი მცნება, რომელიც უფალმა ადამიანს მისცა, იყო მცნება მარხვის შესახებ (შესაქმ. 2,17).

ვინაიდან არ ვმარხულობდით, გამოგვაძევეს სამოთხიდან! ამიტომ ვიმარხულოთ, რათა კვლავ შევიდეთ სამოთხეში. *(წმიდა ბაისილი დიდი).*

მარხვის არშენახვა ნიშნავს დავემსგავსოთ წარმართებს, რომლებმაც არ იციან მარხვა.

მარხვასთან შეერთებული გულწრფელი ლოცვა ყოველივე იმას გააღვიძებს და გააცოცხლებს, რაც კაცის გულში და სულში კეთილი, წმინდა, პატიოსანი და ღვთაებრივია, ხოლო ყოველივე ბოროტ სურვილსა და მიდრეკილებას დათრგუნავს და მოსპობს *(წმ. ეპ. გაბრიელ ქიქოძე)*

არ შეიძლება, საკუთარ თავს ისეთი მარხვა დაუწესო, რომელიც შენს ძალებს აღემატება. მარხვა ადამიანისთვისაა და არ – ადამიანი მარხვისთვის.

უძლურთათვის მარხვის შემსუბუქება ნებადართულია ეკლესიის წესის თანახმად (მოციქ. კანონ. 69) და – სავსებით სამართლიანადაც, რადგან უძლურს თავისთავად ეძლევათ ის, რაც მარხვის საშუალებით იძებნება. ანუ მგრძნობელობის მოთვინიერება და ხორციელ ვნებათა უმოქმედობა, და შედეგად, უძლურს არ სჭირდება, დაიმორჩილოს ხორცი მარხვით, არამედ ის, რომ დაუძლურებულ სხეულს კვებითა და მკურნალობით ხელი შეუწყოს, რამეთუ იგი იმდენად არ დაუძლურდეს, რომ სულს ველარ ემსახუროს.

მარხვა ხორცისა საზრდოა სულისა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

რამდენსაც წაართმევ სხეულს, იმდენ ძალას შემატებ სულს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

წმ. ბასილი დიდი გვასწავლის: კაცნი, რომელნიც მოიკლებენ საჭმელთა და არ იშლიან ცუდთა საქმეთა, დაემსგავსებიან ეშმაკსა, რომელიც სულ არაფერს სჭამს, მაგრამ ღმრთის წინააღმდეგობას არ იშლის *(წმ. ეპ გაბრიელ ქიქოძე).*

ვისაც არ შეუძლია, თავის თავს რაიმე აუკრძალოს, თავი შეიკაოს ჭამისა და სმისაგან, იგი თავისი თავის უფალი ვერ იქნება; იგი ვერ შეძლებს, წინ აღუდგეს თავისი გულის რომელიმე სურვილს, ან რომელიმე ცოდვილ მიდრეკილებას *(წმ. ეპ გაბრიელ ქიქოძე).*

არ ყოფილა და არც მოხდება, რომ ვინმე ქრისტიანთაგანი წმინდათა შორის შერაცხულიყო და მმარხველი არ ყოფილიყო *(წმ. ეპ გაბრიელ ქიქოძე).*

ნუ დაიჯერებთ, რომ კაცს გამაძღარი სტომაქით ლოცვა და მონანიება შეუძლია *(წმ. ეპ გაბრიელ ქიქოძე).*

როცა მარხვისაგან ხორცი ცოტაოდენ მოუძლურდება, მაშინ სული თავისუფლდება

და თავის შემოქმედისადმი მიიღტვის *(წმ. ეპ გაბრიელ ქიქოძე).*

ჭამისა და სმისაგან მრავალი სნეულება, გარნა მარხვისა და მოთმინებისაგან – არცერთი *(წმ. ეპ გაბრიელ ქიქოძე).*

ნავი მსუბუქად ცურავს, როდესაც იგი არაა დამძიმებული ზედმეტი ტვირთით: ასევე ლოცვაც იოლია,მოხერხებულად აღესრულება, როდესაც სხეული არაა დამძიმებული ზედმეტით, გაპოხიერებული საკვებითა და სასმელით, ეს ასეა, როდესაც ადამიანი მარხულობს.

მსხვილფეხა და მსაუქან ცხოველებს არ შეუძლიათ ისე სწრაფად სირბილი, როგორც – წვრილფეხა ირემს: ამის მსგავსად, გემოთმოყვარე არ შეიძლება იყოს ისეთი მოღვაწე და კეთილწარმატებული ღვაწლში, როგორც – თავშეკავებული.

შეუძლებელია, რომ ცეცხლი წყალში ენთოს, ასევე შეუძლებელია სინანული – მარხვის გაერეშე *(წმიდა იოანე ოქროპირი).*

✗სული ისე არაფერს ემორჩილება, როგორც ზომიერ საზრდოს *(ამბა პიმენი)*.

✗ეშმაკთა უფროსი დაცემული მთიებია, ხოლო ვნებათა მთავარი — გემოთმოყვარეება *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

✗გემოთმოყვარეობა მრუშობის დედაა *(ძველი პატერიკი)*.

✗ვინც ივსებს მუცელს და პირობას დებს, რომ უბიწო იქნება, იგი მსგავსია იმის მამტკიცებელისა, რომ შეაჩერებს ცეცხლის ძალას, რომელიც ჩალას წვავს *(წმიდა ნილოს სწავლი)*.

✗რაც უფრო მეტი შეშაა, მით უფრო ძლიერია კოცონი; რაც უფრო მეტია მძვინვარება, მით უფრო მძვინვარეა ავხორცობა *(ამბა ლეონტი)*.

✗ზედმეტი საკვები სხეულს უკიდურესად დამძიმებულ გემად აქცევს, რომელიც ტალღების მცირე მოძრაობაზეც კი ფსკერისკენ ეშვება.

✗ნეტარი ავგუსტინე სხეულს გაშმაგებულ ცხენს ადარებს, რომელიც ხიბლავს

სულს, რომლის თაყვანყვეტილობაც აუცილებლად უნდა აღიკვეთოს მისი საკვების შემცირებით: და ამ მიზნისთვის დადგენილია მარხვა.

✝გაიხსენე, რომ სამოთხეში ადამი შენზე ნაკლებად სრულყოფილი არ იყო, იფიქრა, რომ შეიძლება მარხვის გარეშე იოლად გასვლაც, - და რა გამოვიდა ამით?

✝ლოთი შუაგულ სოდომში ყვაოდა სათნოებებით; სოდომის გარეთ კი შეყვიტა მარხვა და შედეგად რა მოხდა?!

✝რომელია ცხოველთაგან ისეთი ძლიერი, როგორც – ლომი? მაგრამ თავისი მუცლის გამო ისიც ხვდება მახეში, და მაშინ მთელი მისი ძალაუფლება მთავრდება.

✝მსუქანი მუცელი ვერ დაბადებს ფაქიზ აზრს *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✝როდესაც დავითი ლომთან იბრძოდა, მას ხახით იჭერდა. და ჩვენც, თუ დავიჭერთ ხახასა და მუცელს, მაშინ უფალთან ერთად გავიმარჯვებთ უხილავ ლომზე *(აბბა ჰმენი)*.

დასძლიე მუცელი, ვიდრე იგი დაგძლევს შენ *(წმიდა იოანე კიბისაღმწერელი)*.

ისწავლე მუცლის მოთოკვა მაგარი ალვირით: მარტო იგი კი არ იძლევა მადლიერებას მისთვის გაწეული სიკეთისათვის.

მუცელი გზაში ყველაზე ორგული თანამზრახველია. ეს არაფრისშემნახველი საწყობია. თუ მასში ბევრს ჩადებ, ცუდად შეინახავს, ხოლო ჩადებულს არ ინახავს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

თუ გიტაცებს გემრიელი და ბევრი საჭმლის სურვილი, გაიხსენე სიმყრალე, რომელიც მისგან მოდის და დამშვიდდები *(ამბა ისაია)*.

გემოთმოყვარე შრომობს და დარდობს იმაზე, როგორ ამოივსოს მუცელი საჭმლით; ხოლო როდესაც შეჭამს, იტანჯება საჭმლის მონელების დროს; თავშეკავებას კი თან ახლავს ჯანმრთელობა და სიფხიზლე *(წმიდა ეფრემ ასური)*.

ჩვენ იმისათვის არ ვცხოვრობთ, რომ ვჭამოთ, არამედ იმისთვის ვჭამთ, რომ შესა-

ძლებელი იყოს ცხოვრება და საკუთარი მოვალეობების შესრულება.



მაგიდასთანაც იმარხულე

დროდადრო იმარხულე საზრდელისგან, ხოლო თავშეუკავებლობისაგან — გამუდმებით.

ვერასდროს შეძლებს მიაღწიოს სრულყოფილ სიწმიდეს მან,. ვინც იმედოვნებს მის მოპოვებას ოდენ ზომიერებით, ანუ ხორციელი მარხვის მეშვეობით, თუ არ შეიცნობს, რომ ზომიერება იმისთვისაა საჭირო, რათა მარხვით სხეულის დამორჩილებით იოლად შეძლოს ჩაერთოს სხვა ვნებებთან ბრძოლაშიც *(ამბა სერაპიონი)*.

მოერიდეთ, შეაფასოთ მარხვა უბრალოდ საჭმლისაგან თავშეკავებით. ისინი, ვინც

თავს იკავებენ საჭმლისგან და ცუდად იქცევიან, მიემსგავსებიან ეშმაკს, რომელსაც, თუმცაღა, არაფერი ჭამს, მაგრამ არ წყვეტს ცოდვას *(წმიდა ბასილი დიდი)*.

✠ბატონობ სტომაქზე? იბატონე ენაზეც, რათა, როდესაც რჩები ერთის მონა, მეორესგან გათავისუფლებაც არ იქნებოდა უშედეგო *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✠და და მეგობარი მარხვისა არის ლოცვა.

✠გარეგნული მარხვები ყოველთვის არაა აუცილებელი, ხოლო შინაგანი მარხვა ნებისმიერ დროს საჭიროა.

მემთვრალეობა

✠**6**უ მოიძულებ ღვინოს, არამე მოიძულე მემთვრალეობა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*

✠ღვინო კი არ არის დამნაშავე, დამნაშავეა ის, ვინც არ იცის ღვინოში საზღვარი.

ჯსმა კი არაა აკრძალული, არამედ – თროობა.

ჯღვინო ღვთიური საქმეა, ხოლო მემთვრალეობა – ეშმაკისა *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

ჯგეშინოდეს ძლიერი სასმელის უზომო გამოყენებისა, როგორც – გეენიის ცეცხლისა.

ჯთუკი ადამიანი ეშმაკის გავლენის ქვეშ არის ხოლმე, მაშინ ეს განსაკუთრებით სიმთვრალისასაა. არავინ ისეთი თავაზიანი არაა ეშმაკთან, როგორც – მთვრალი, რადგან არავინ ისე არ აღასრულებს მის ნებას, როგორც – ლოთი *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ჯქალიშვილების მიერ დარწმუნებული ლოთი, ღვინით გამოთვრა და მოხერხებულად შეიტყუა იგი ეშმაკმა მრუშობაში *(ისიდორე პელუსიელი)*.

ჯრასაც ფხიზელი არ გააკეთებს, მას მთვრალი გაბედავს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ჯარ დატკბე ღვინით, და ვერ მოგატყუებს ხორცი *(აბბა ევაგრე)*.

მემთვრალეობა ყველა სამარცხვინო საქმის დედაა, დაა ავხორცობისა და უბიწობის მტერი *(ნეტარი ავგუსტინე)*.

როდესაც მთვრალს ღვინო მართავს, იგი ემსგავსება ჯიუტ, უალვირო ცხენს *(წმიდა ბასილი დიდი)*.

ლოთი არაა ღირსი გონიერ არსებათა საზოგადოებაში იცხოვროს; მისი მოთავსება უპრიანი იქნებოდა ცხოველებს შორის და ადამინთა საზოგადოებიდან გაგდება.

პირუტყვებიც კი არ სვამენ საჭიროზე მეტს, არ ვარდებიან ისეთ მდგომარეობაში, რომ ვერ შეძლონ სიარული, არ ეცემიან მიწაზე, არ ეჯახებიან ხეებს, არ კარგავენ გზას, მას შემდეგ, რაც დათვრებიან; ეს ყველაფერი კი ლოთებს ემართებათ. ვინ არ ითაკილებს ამ ზადს, რომელიც პირუტყვზე დაბლა ამცირებს მის მიერ დაპყრობილ ადამიანს?

უფლის სიტყვა უშვებს ზარმაცებს ჭიანჭველებთან, რათა მათ შრომისმოყვარე-

ობა ასწავლონ; ლოთი კი უნდა გაიგზავნოს პირუტყვებთან, რათა თავშეკავება ასწავლონ.

✻როდესაც ეკლესია არიგებს ცოდვილს, იგი მიუთითებს იესო ქრისტესა და წმიდანების მაგალითს; ხოლო როდესაც საქმე თავშეუკავებელ ადამიანს ეხება, მაშინ მას საქონლის მაგალითი უნდა შესთავაზო; რა სირცხვილია!

✻მთვრალები! – რაა სხვა, თუ არა წარმართული კერპები? – თვალნი ასხენ და ვერ ხედავენ: ყურნი ასხენ და ვერ ხედავენ (ფსალ 113, 13,14) *(წმიდა ბასილი დიდი).*

✻მთვრალი, უყურებს რა ყველას თვალებში, ვერ ხედავს იმასაც. რაზეც ფეხი უდგამს.

✻კვამლი შორს დევნის ფუტკრებს, ხოლო უზომო სმა განაგდებს სულიერ მადლს *(წმიდა ბასილი დიდი)*

✻ლოთი არაფრისთვის ვარგა, გარდა – ჯოჯოხეთისა.

მთვრალ ადამიანს წესიერ ოჯახშიც კი არ უშვებენ, არა თუ — ცათა სასუფეველში.

არ გამოიყენო უზომოდ არა მარტო ღვინო, არამედ, თუ შესაძლებელია — წყალიც კი.

სიტყვის მადლის მოხმარება

ენა არის ყველაზე კეთილისმყოფელი და ყველაზე მავნე ორგანო ადამიანისა.

ენა, მართალია პატარა ნაწილია, მაგრამ დიდ საქმეებს იქმს. ერთი კეთილი სიტყვა და მკაცრი ყინული გალღვება და პირიქით — ერთი ცუდი სიტყვა და სიცხეში კანკალს დაგაწყებინებს.

ერთ დამთმობ სიტყვას შეუძლია დააყუჩოს რისხვა, უხეშ მისალმებას კი — მრისხანებაში ჩააგდოს.

ცუდი სიტყვა კეთილ საქმეებსაც ცუდს ხდის, კეთილი სიტყვა კი ცუდ საქმეებსაც აკეთილშობილებს *(წმიდა მაკარი დიდი)*.

ენა პატარა გვაქვს, მაგრამ დიდი ვნება შეუძლია, მოიტანოს, იმის მსგავსად, რომ ჩრჩილი პატარა მწერია, დიდი ნივთებს კი აზიანებს, ის კი არადა – ანადგურებს კიდეც.

სიტყვა ისარი არაა, მაგრამ ხშირად ისრაზე მტკივნეულად ესობა გულში.

არ არსებობს ერთნაირი სიტყვა და ერთნაირი დრო: ზოგიერთი სიტყვა ზოგიერთ დროს ხმალზე უარესია.

გაუაზრებლად წარმოთქმული ერთი სიტყვა ხანდახან საკმარისი ხდება, რომ უბედურება გვეწვიოს.

პატარა გველია ენა, მაგრამ უდიდეს და მრავალ უბედურებას ჩადის; ორმაგი გალავნითაა შემოზღუდული, ანუ – კბილებითა და ტუჩებით, მაგრამ საკმაოდ მოხერხებულად გამორბის *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

ზოგიერთები ძალიან მომთხოვნნი არიან საჭმელში და არ იკარებენ პირში გა-

რკვეულ საკვებს, მაგრამ ასე მომთხოვნად და ფრთხილად არ ეკიდებიან სიტყვას, რომლებიც მათი ბაგეებიდან გამოდის *(ნეტარი ავგუსტინე)*.

მავანნი გულუხვნი და მოსიყვარულენი არიან ახლობლებისადმი, მაგრამ თავიანთი ენით ვნებენ ადამიანს.

შავნე ჩვევა და მოუფრთხილებლობა იმისა, რაც ჩვენთვის სასარგებლოა – აი, რა გვიშლის ყოველთვის მდუმარებით დავიცვათ ბაგე.

ო, რაოდენ ცოტაა ისეთი საუბრები, თვით მათი მხრიდან, ვინც საქადაგებლადაა მოწოდებული, რისთვისაც პასუხისგება მოუწევთ!

განა სამარცხვინო, უკიდურესად სასაცილო არაა, რომ მსახურს, როგორც წესი, საკუთარი საჭიროებისათვის ვიყენებთ, ხოლო ენას, ჩვენი სხეულის ნაწილს, მსახურივითაც კი არ ვექცევით, არამედ ყველაზე უსარგებლო და ამაო საქმეებს ვაკისრებთ? *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

გაუფრთხილდი ენას: იგი ხშირად წარმოთქვამს იმას, რისი დაფარვაც უმჯობესი იქნებოდა *(წმიდა ხლოს სინელი)*.

მკაცრად დააკვირდი შენს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, შემდეგ არ ინანო.

ერთხელ გამოფრენილი სიტყვის უკან დაბრუნება შეუძლებელია.

ნათქვამ სიტყვას უკან ვერ დააბრუნებ: ვიდრე არ წარმოგითქვამს იგი, მისი ბატონი ხარ; ხოლო როცა წარმოთქვამ, იგია შენი ბატონი.

ხელიდან გაგდებულ ქვაზე უკვე აღარ გვაქვს ძალაუფლება; ისევე როგორც, თითოეულ დაუფიქრებელ სიტყვაზე, ჩვენი ბაგეებიდან რომ გამოფრინდა.

მხოლოდ ის ფლობს ბოლომდე სიტყვის მადლს, ვინც არც ერთ სიტყვას ამაოდ არ განაბნევს.

ჩვეულებრივად უკეთესად საუბრობენ ისინი, ვინც ნაკლებს ლაპარაკობენ.

სადაც სიტყვა მრავლადაა, იქ, ჩვეულებრივ, მრავალი ცოდვაა.

მეტად უსმინე, ვიდრე ილაპარაკებდე; მრავალმეტყველებით ცოდვას ვერ გადაურჩები.

ბევრი არ ილაპარაკო: ბრძენი ბევრს არ ლაპარაკობს. ბევრი ლაპარაკით შეუძლებელია არ სცოდო. უნდა ეცადო, რომ ილაპარაკო ცოტა და დროულად, სწორედ მაშინ, როდესაც ხედავ, რომ დუმილი უსარგებლოა. მოკლედ, არც მაშინ ილაპარაკო, როცა არ იცი.

ჯობს ისწავლო, ვიდრე არ იცოდე და სხვას ასწავლო *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

ნუ აყოვნებ კეთილი რჩევისა და სასარგებლო დარიგებას მოსმენას, მაგრამ ნუ იჩქარებ, თავად ურჩიო და დაარიგო (ზირ. 5,13).

აჩვენე, რომ ხალისით იღებ დარიგებას, არაა აუცილებელი სასწრაფოდ უპასუხო, ბუნებამ მოგვცა ორი ყური და მხოლოდ ერთი ენა *(პლუტარქე)*.

არ ილაპარაკო ყველაფერი, რაც იცი, მაგრამ აუცილებლად იცოდე ყველაფერი, რასაც ამბობ.

✻ის კი არაა ბრძენი, ვინც ბევრს ლაპარაკობს, არამედ ის, ვინც იცის დრო, თუ როდის უნდა ილაპარაკოს. გონებით დადუმდი, გონებითვე ილაპარაკე.

✻თუ ჯერ არს თქმა და დადგა თქმის დრო, დამოძღვრის სიტყვა თქვი.

✻არ ილაპარაკო ბევრი, თუნდაც ყველაზე უკეთესად შეგეძლოს საუბარი.

✻არავითარ შემთხვევაში არ გაფლანგო სიტყვა უგუნურად, სიტყვის შექმნილი შემოქმედებითი სიტყვაა!

✻ქრისტიანო, „ნუ გისწრებს ენა“ (ეკლ. 5,1) მიეცი თავს საშუალება, გაანალიზოს, სასიკეთო იქნება თუ არა შენთვის და სხვებისთვის სიტყვა, რომელსაც შენ შობ სამყაროში და რომელიც, როგორი მცირე და უმნიშვნელოც არ უნდა ჩანდეს, უკანასკნელ სამსჯავრომდე იცოცხლებს და წარსდგება მასზე ან შენს მოწმედ, ან – წინააღმდეგ. ვიდრე ლაპარაკს დაიწყებდე, დაფიქრდი და შემდეგ თქვი ან უპასუხე სამაგიერო.

✦როდსაც ჭკვიან კაცს რაიმეს თქმა სურს, იგი ჯერ დაფიქრდება და საკუთარ თავში გაანალიზებს და უკვე შემდეგ იტყვის; სულელი – პირიქით: ჯერ ლაპარაკობს, ხოლო შემდეგ უკვე ფიქრობს იმაზე, რაც თქვა.

✦ვინც დაუფიქრებლად ლაპარაკობს, იმის მსგავსია, ვინც უმიზნოდ ისვრის.

✦უკეთესია ალალბედზე ისროლო ქვა, ვიდრე გაუაზრებლად თქვა სიტყვა. გაიაზრე და შემდეგ თქვი, რათა არ თქვა რაიმე უსარგებლო, მავნე ან – უადგილო. უადგილოდ ლაპარაკიც სირცხვილია.

✦ნება არ მისცე ენას გაუსწროს შენს ფიქრებს.

✦ბრძენი ბევრს იფიქრებს, ვიდრე რაიმეს იტყოდეს. სახელდობრ: რა, ვის, სად და როდის უნდა უთხრას *(წმიდა ამბროსი მედიოლანელი)!*

✦სიტყვა ფიქრების სახეა და ჩვენს ვრცხობებს გამოხატავს; შესაბამისად, სიტყვიდან ოლად შეიძლება შეიცნო მოსაუბე ადამიანის შინაგანი, სულიერი მდგომარეობა.

ცნობილია, რომ ექიმები ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად ავადმყოფის ენას აკვირდებიან; შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სიტყვებიც მართებულ ნიშნებად ემსახურებიან ჩვენი სულის კეთილ ან ბოროტ განწყობილებებს. „რამეთუ სიტყვათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მათ. 12,37).

„როგორიცაა ადამიანი, ისეთია მისი საუბარი“. – თქვა სოკრატემ, – და როდესაც მას წარუდგინეს ახალგაზრდა, რათა აზრი გამოეთქვა მასზე, პირდაპირ მასთან საუბარი წამოიწყო.

ენის შეკავება ბრძენ ადამიანს ნიშნავს *(ამბა ისაია)*.

წმიდა ადამიანები ჩვეულებრივად ლაპარაკობენ წმიდა საგნებზე.

ენის მოსუსტებული ძვირი აჩვენებს, რომ იგი შორსაა სათნოებებისაგან *(ამბა ისაია)*.

დაუფიქრებელი ლაქლაქა დაფდაფს ჰგავს: მთელი ძალით გრგვინავს, შიგნით კი ცარიელია.

✦უჭკუო ადამიანის სიტყვა ზღვის ხმაურიანი ტლაშუნია, რომელიც ნაპირზე ეხეთქება, მაგრამ სანაპიროს მცენარეებს ვერ ვნებს *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✦ბაგეებს სიცილისათვის ნუ გახსნი; ეს უგულისყურობის და სულის დაუდევრობის ნიშანია, რომლისთვისაც უცხოა ღვთის შიში *(ამბა ისაია)*.

✦გეშინოდეს ამაოდმეტყველების ისე, როგორც გეშინია მტაცებელი ცხოველებისა და ფრინველებისა; იგი მათ მსგავსად ანადგურებს წმიდა ცხოვრების ნაშრომს.

✦ბაღი ღობის გარეშე გაითელება და გაჩანაგდება: და ვინც არ ინახავს თავის ბაგეებს, იგი დაღუპავს ნაყოფს (სათნოებებისა) *(წმიდა ეფრემ ასური)*.

✦ღრუბელი მზეს ეფარება; ხოლო მრავალმეტყველება აბნელებს სულს, რომელმაც ლოცვითი ჭვრეტით განათლება დაიწყო *(წმიდა ისააკ ასური)*.

✝ვერიდოთ მეტყვლების დროს მღელვარებას, რათა მისმა თაკარა სიცხემ ჩვენი შრომის ნაყოფი არ დაწვას *(ამბა მოსე)*.

✝როგორც ფუტკრები ვერ იტანენ კვამლს, ასევე განაგდებენ თავისგან მფარველ ანგელოზებს ამაოდმეტყველნი და მკრეხელნი.

✝თანაბარი სიავეა – უკეთური ცხოვრებაც და უკეთური სიტყვაც. თუ გაქვს ერთი, გექნება მეორეც *(წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✝კარგზე საუბარი მასაც მართებს, ვინც კარგს არ ჩადის, რათა სიტყვებით შერცხვენილმა საქმის კეთებაც დაიწყოს *(წმიდა ნილოს სინელი)*.

✝ცუდი საუბრებისკენ მიდრეკილება არის გზა ცუდი საქმეებისკენ.

✝იღვაწე, ადამიანო, დაეუფლე შენს ენას და არ განამრავლო სიტყვები, რათა არ განამრავლო ცოდვები *(წმიდა ანტონი დიდი)*.

✝ყურადღებით იყავი საკუთარი თავისადმი, რათა ერთი ამაო სიტყვაც კი არ გამოვიდეს შენი ბაგეებიდან. რამეთუ ერთი ამაო სიტყვისათვისაც კი დაისჯები (მათ. 12,36).

❦უმჯობესია ასჯერ დაეცე ფეხის წაცდენით, ვიდრე – ენით *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

❦არჩიე მდუმარება, რადგან იგი მრავალი უბედურებისგან იცავს *(წმ. ისააკ ასური)*.

❦თუ ადამიანს წმიდა წერილის გამონათქვამი ემახსოვრება: „რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მათ. 12,37). – მაშინ დადუმებას ამჯობინებს *(ამბა ჰიმენი)*.

❦უფრო იოლია საერთოდ დადუმდე, ვიდრე – არ თქვა რაიმე ზედმეტი.

❦მინახავს საკუთარი სიტყვებისაგან მრავალი ცოდვით დაცემული, მაგრამ თითქმის არავინ – მდუმარებით *(წმ. ამბროსი მედიოლანელი)*.

❦ხშირად ვნანობთ იმას, რომ ბევრი ვილაპარაკეთ, და არასდროს იმას, რომ ბევრს ვდუმდით.

❦ამბა არსენმა თავის თავზე თქვა: „საუბრების შემდეგ ხშირად მინანია, მდუმარების შემდეგ კი – არასდროს“.

უფრო მეტად გიყვარდეს მდუმარება, ვიდრე – ლაპარაკი: რამეთუ მდუმარება კრებს, ლაპარაკი კი – განაბნევს *(ამბა ისაია)*.

ერთმა მოსაგრემ თავის თავზე თქვა: „ყოველთვის, როდესაც მეგობარს ველაპარაკებოდი, აღმოვაჩენდი, რომ უარესი ვიყავი, ვიდრე მაშინ, როდესაც მარტო ვიყავი“.

როგორც ჯებირებში მოწყვდეული წყალი მიიღტვის მაღლა, საკუთარ დინებას მიცემული იღვრება ყველა მხარეს და მიისწრაფის დაბალი ადგილებისაკენ, ასევეა სულიც, დაჯილდოვებული კეთილგონიერი მდუმარებით, იგი თავის თავში გროვდება და მიისწრაფის მაღლა, მაშინ კი, როცა მრავალმეტყველებას მიცემა, იგი, ასე ვთქვათ, გარეგნულ შორეულ საგნებზე მოედინება *(წმ. გრიგოლ დიოლოღოსი)*.

კარგია დროული მდუმარება, – იგი სხვა არაფერია, თუ არა – დედა ბრძნული ფიქრებისა *(ამბა დიოდოხოსი)*.

ენა უძლურია გადმოსცეს ის სიკეთე, რომელიც ლოცვისგან იბადება.

✦რაოდენ დამაზრობელ მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოჩნდე, მისი გამარჯვება მდუმარებაშია.

✦თუ მდუმარებას დაიცავ, ყველგან ჰპოვებ სიმშვიდეს, სადაც არ უნდა ცხოვრობდე *(ამბა ჰიმენი)*.

✦ულოცველობა სულის დაცარიელების დასაწყისია *(წმ. ბასილი დიდი)*.

✦ძმამ ჰკითხა ამბა სისოს: ვაპირებ დავიცვა ჩემი გული. ბერმა უპასუხა: „როგორ შეიძლება, დავიცვათ ჩვენი გულები, როდესაც ჩვენი ენა გაღებულ კარს ჰგავს?“

✦კარგად და უცოდველად საუბარი რომ ვისწავლოთ, ჯერ უნდა შევისწავლოთ მდუმარება *(სქიმონაზონი ზოსიმე)*.

✦საკმაოდ დამრიგებლური უნდა იყოს ის სიტყვა, რომლის გამოც შეიძლება, მდუმარება დაარღვიო.

✦მხოლოდ სულიერი საუბარია სასარგებლო, ხოლო ყველაზე უმჯობესი კი მდუმარება *(ამბა თალასი)*.

კეთილი მეტყველება, და ისიც მხოლოდ კეთილი, ვერცხლის მსგავსია, ხოლო მდუმარება – ოქროა რჩეული.

კარგია უფალთან ისაუბროთ ხშირად ერთმანეთზე, ხოლო ერთმანეთთან – მხოლოდ საჭიროებისა და მოხერხების შემთხვევაში.

ისწავლე, ადამიანებთან ნაკლები ილაპარაკო, უფალთან და შენს თავთან კი – მეტი.

რაც ნაკლებად ილაპარაკებ ადამიანებთან, მეტად ისაუბრებ უფალთან.

ვიდრე რომელიმე საზოგადოებაში წახვიდოდე, უფლისადმი ილოცე, რათა მან დაიცვას შენი ბაგეები მდუმარებით, საუბრის განმავლობაში გახსოვდეს, რომ უფალი ყველგან შენთანაა და ყველგან გისმენს. დროდადრო გულში ესაუბრე მას.

დაე, იყოს ჩვენი საუბრები ისეთი, რათა მათ გამო პასუხი არ ვაგოთ საუკუნო სატანჯველით.

✻როდესაც დასრულდება საუბრი, საკუთარ თავს ანგარიში მოსთხოვე, რომ მადლობა გადაუხადო უფალს, თუ საუბრისას ისეთი იყავი, როგორიც უნდა ყოფილიყავი, ანდა შენს მიერ ჩადენილი შეცდომები გამოასწორო.

✻მსჯელობა ყველაზე უკეთესია, მოთმინება ყველაზე საჭირო, მდუმარება ყველაზე უკეთესი, მრავალმეტყველება – ყველაზე ცუდი *(სჰიმონაზონი ჰართენი)*.

✻თუ თავს მდუმარებას აიძულებ, არ იფიქრო, რომ სათნოებას აღასრულებ, არამედ თავი ლაპარიაკისთვის უღირსად მიიჩნიე.

✻არ იფიქრო ბევრი შენს მდუმარებაზე, არ განდიდდე მისით, არამედ გამოსცადე შენი ზრახვები. და მდუმარებაშიც კი შეიძლება მძიმედ სცოდო.

✻ზოგს ჰგონია, დუმს, მაგრამ გულში განიკითხავს; ასეთი განუწყვეტლივ მრავალსიტყვაობს. ხოლო მეორე დილიდან სა-

ღამომდე ლაპარაკობს და ამასთან, იცავს მდუმარებას, რადგან უსარგებლოს არაფერს ამბობს *(ამბა ჰიმენი)*.

მდუმარება და მრავალმეტყველება

როგორც იგი, ვისი სულიც განათლებული არ არის, სულიერი ჭვრეტისთვის არ გამოდგება, ასევე მას, ვინც მდიდრად ბრწყინავს სულიწმიდის მადლით, არ შეჰფერის მათზე თქვას რაიმე: რამეთუ, პირველ შემთხვევაში ნათელი აზრების სიღარიბეს გონების უმეცრების წყვდიადით მოსავს. აქ კი მათი სიუხვით ღვთის სიყვარულით დამთვრალ სულს სურს, უსიტყვოდ დატკბეს უფლის სიყვარულით *(ნეტარი დიადოხოსი)*.

ხანდახან ხდება, რომ შეკრების დროს ძმათა შორის რაღაცის უდროოდ თქმის პატივმოყვარე აზრი იჭრება. ანგელოზე-

ბრივი აზრები კი გინერგავენ, განაგდო ეს ლაქლაქა, უდროო აზრი. ასე რომ, თუ არ გააგდებ მას კეთილი მდუმარებით, არამედ – ნებას მისცემ გარეთ გამოვიდეს, ის რაც ამპარტავნებით იყო ნაკვები, ცუდ შედეგს მოიტანს. ერთმა კეთილმა სიტყვამ ოდესღაც ერთი ბილწი ავაზაკი სუფთა და წმიდა გახადა და სამოთხეში შეიყვანა. ია ერთმა ცუდმა სიტყვამ გადაულობა მოსეს აღთქმულ მიწაზე შესასვლელი. დაე, ნუ ჩავთვლით მრავალმეტყველებას სუსტ ავადმყოფობად; რამეთუ ბოროტადმეტყველნი და ფუჭად მოლაპარაკენი ცათა სასუფეველს მიუსჯიან თავს.

არაფერია უფრო მეტად დამანგრეველი და ბოროტადმავნებელი, ვიდრე შეუკავებელი ენა; და არაფერი ისე ძლიერ არ ანაწყენებს და ანადგურებს სულიერ სიმდიდრეს. რამეთუ, რასაც ყოველდღე ჩვენში ვქმნით, იმას მრავალმეტყველება კვლავ ანადგურებს, და რასაც შრომით ვა-

გროვებთ ის კვლავ ენის მიერ ითქლება. რა არის შეუკავებელ ენაზე უარესი? იგი – დაუკავებელი ბოორტებაა! უნდა მოზღუდო იგი, ალაგმო და შეავიწროვო. და, ასე ვიტყვი: აიძულო, მხოლოდ საჭიროებას ემსახუროს. უადგილო ფუჭი საუბრების ნაყოფი ხანდახან დაცინვა და ყვედრებაა, როდესაც ისინი ჩვენს უგუნურ მეტყველებას ნახავენ; ზოგჯერ კი – სინდისის შებღალვა, ზოგჯერ ღვთის სასჯელი და სულიწმიდის განაწყენება, რაც ყველა დანარჩენზე უარესია.

უფლის სიტყვებით, „კაცმან კეთილმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღოს კეთილი“ (მათ. 12,35). მაგრამ არავის შეუძლია, შევიდეს ღვთისმეტყველებაში და თქვას ღვთის შესაბამისი, როგორც – სულიწმიდას; და არვინ, ღვთის სულით მოლაპარეკე, არ ლაპარაკობს იმას, რაც ქრისტეს რწმენას ეწინააღმდეგება, არამედ მხოლოდ იმას ქადაგებს, რასაც უფალთან ავყავართ და

მის სამეფოში შევყავართ, ძველ ღირსებას აღადგენს და უფალთან აერთიანებს.

უნდა გავექცეთ უსარგებლო საუბრებს და არ დავუკავშირდეთ მათ, ვინც ღვთის შიშს არად აგდებს. რადგან ისინი სასარგებლოს არაფერს ამბობენ, არაფერს აკეთებენ უფლისთვის: არ საუბრობენ არც სათნოებებზე, არც ღვთისმოსაობაზე, არც სიწმიდეზე. მათი საუბარი — სიკვდილით სიკვდილია; მათი რჩევა — ჯოჯოხეთის უფსკრული; მათთან ერთობა — სულიერი დაღუპვა *(ეფრემ ასური)*.

მდუმარება საუკეთესო და საოცარია ყველა დამრიგებლურ საუბართან შედარებით. მას პატივს მიაგებდნენ და თაყვანისსცემდნენ ჩვენი მამები და მისით განდიდდნენ. მაგრამ ჩვენი უძლურების გამო, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იქამდე, რომ სრულყოფის გზით ვიაროთ, მაშ ვისაუბროთ იმაზე, რაც დამოძღვრის სფეროშია და ვისაუბრებთ მამათა სიტყვებზე დაყრდნობით,

და წმიდა წერილის განმარტებას ნუ შევუდგებით, რადგან ეს საქმე საკმაო საფრთხეს უქადის უცოდინართ. წმიდა წერილი სულიერადაა წარმოთქმული, ხორციელ ადამიანს კი სულიერის გააზრება არ შეუძლია. უმჯობესია, საუბრისას მამათა სიტყვებს მივენდოთ და მათში სარგებელს ვიპოვით. მაგრამ უნდა ვისარგებლოთ ზომიერად, ვიხსენებდეთ ნათქვამს: „მარავლმეტყველებისგან ვერ გაექცევი ცოდვასაც“ (იგავ. 10, 19). და ამ ყველაფერთან ერთად, რომ არ ჩავვარდეთ გონების განდიდებასა და აზრების თვითქებაში, ვიფიქროთ იმაზე, რომ რასაც საქმით ვერ შევასრულებთ, იმას თვითდასასჯელად ვამბობთ.

თუ მდუმარება კეთილ საუბრებზე უპირატესად მიიჩნევა, მაშინ იგი მეტად სასარგებლოა საშუალო საგნებზე საუბრისას. მაგრამ, როდესაც არ შეგვიძლია დადუმება და მსგავს საგნებზე საუბარი გვიტაცებს, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, ნუ გავაგრძელებთ

საუბარს, რათა მრავალმეტყველებით არ ჩავვარდეთ მტრის რაიმე მახეში.

თუ საუბარის დასაწყისშივე მიხვდები, რომ იგი ცოდვილია, გადააბიჯე მას და თქვი: „არა, ამაზე არ ვისაუბრებთ“. ანდა, მცირედი დუმილის შემდეგ თქვი: „დამავიწყდა, რაზე დავიწყე საუბარი“, — და გადაიტანე იგი სხვაზე — უცოდველზე.

როგორც გემოთმოყვარეობისაგან იბადება მტანჯველი ფიქრები, ასევე მრავალმეტყველებისაგან და უპატიო საუბრებისგან ჭკუიდან გადასვლა — *(წმ. იასაკ ასური)*.

ღრუბელი ეფარება მზეს, ხოლო უქმადმეტყველება აბნელებს სულს, რომელმაც დაიწყო ლოცვის მჭვრეტელობით განათლება.

მცონარება ჩათვალე სულის დაბნელების დასაწყისად; დაბნელებას დაბნელება ერთვის. უსაზღვროდ სასარგებლო საუბრებიც კი ბოლოსდაბოლოს მავნებელი ხდება, მითუმეტეს — ამაო საუბრები.

✻რა სასიამოვნოა სულიერ ძმებთან საუბარი, თუ ამასთან შესაძლებელი გახდება, რომ არც უფალთან საუბარი შევწყვიტოთ.

✻მაგრამ გონება ვერ შეძლებს, რომ ერთდროულად ორივე საუბარს გაუძღვეს.

✻თუ ენას დაიცავ, უფლისგან ლმობიერების მხურვალე მადლი მოგეცემა, რომ მასში შენი სული დაინახო და სულიერ სიხარულში შეხვიდე.

✻მრავალმეტყველი ადამიანი არ უტოვებს თავის თავში ადგილს სულიწმიდას *(წმ. ანტონი დიდი)*.

✻საუბარში არ შეიძლება იყოს რამენაირი უხეშობა; რამეთუ ჭკვიან ადამიანებს ჩვეულებრივ ამკობენ მოკრძალება და უმწიკვლობა მეტად, ვიდრე – ქალწულებს. ღვთისმოყვარე გონება სინათლეა, რომელიც სულს ისე ანათებს, როგორც – მზე სხეულს.

ჭეშმარიტება და სიცრუე

ჩვენ უნდა ვუცქერდეთ სამყაროს, როგორც უაღრესად სამარცხვინოს, სადაც კეთილსა და ბოროტს, ჭეშმარიტებასა და ცდომილებას სიხლისმღვრელი ბრძოლა აქვთ გამართული. მოთმინება და სასოება! ყველა უმართებულობა, ყველა ტყუილი ადრე თუ გვიან იღუპება, მხოლოდ ჭეშმარიტებას არ ეშინია დროის: მხოლოდ ჭეშმარიტება არსებობს მარადიულად.

ჭეშმარიტება, როდესაც მისთვის კვდებიან, მეტად ცხოველმყოფელია.

ჭეშმარიტების თვისებაა, რომ შეუძლებელია მისი ძალის ვერშეგრძნობა და ისინი, ვინც ჭეშმარიტების შუქით არ ბრწყინავენ, ჰგვანან ბრმებს, რომლებიც მზეს ვერ ხედავენ, მაგრამ მზის სხივების ზემოქმედების ძალას გრძნობენ.

ჭეშმარიტება ნათელივით შეუცვლელია.

ჭეშმარიტება მსგავისია უგემური, მაგრამ მარგებელი წამლისა, რომლის სმაც უსიამოვნოა, მაგრამ მიღებისთანავე კურნავს.

მხოლოდ ჭეშმარიტებასა და სიმართლეზე შეიძლება დააფუძნო სიმშვიდე შენთვის და სხვათათვის.

ჭეშმარიტების გზით ესწრაფვეთ ჭეშმარიტ ცხოვრებას.

ვისაც არ უყვარს ჭეშმარიტება, მას ჯერ კიდევ არ შეუცნია იგი *(წმ. გრიგოლ დიოლოღოსი)*.

ჭეშმარიტებისა და სიკეთის ნამდვილი მეგობარს ისინი ნებისმიერი ფორმით უყვარს, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი ფორმა უბრალოებაა.

კარგი გონებისათვის სხვათა განსჯისას ბუნებრივია ჭეშმარიტების და არა – სიტყვის სიყვარული *(ნეტარი ავგუსტინე)*.

სამყარო უგუნურად იქცევა, სიტყვის ძალასა და ღირსებას ზომავს და აფასებს მასწავლებლის გარეგნული უპირატესობე-

ბით. მას ავიწყდება, რომ გარეგნულად უსახურ ნიჟარაში წარმოიქმნება მარგალიტი და თიხის ჭურჭელში ზოგჯერ ძვირფასი მური ინახება.

ჭეშმარიტების არა მარტო უნდა გჯეროდეს, არამედ უნდა ილაპარაკო კიდეც ჭეშმარიტება.

დაადუმო ჭეშმარიტება, ნიშნავს, ოქრო დაფლა მიწაში *(ამბა ევაგრე)*.

ისწაველე ურცხვენელად, ასწავლე უშურველად *(წმ. ბასილი დიდი)*.

ადამიანთა შორის არ არსებობს უფრო ცოდვილი ჩვეულება, ვიდრე – სიცრუე. როგორც ძნელია, იპოვო უფხო თევზი, ასევე ძნელია, შეხვდე ადამიანს, რომელიც არ ცრუობს.

გამუდმებით ეცადე, საქმეში სიწმიდეს და სიტყვაში ჭეშმარიტებას გაუფრთხილდე.

უმჯობესია, სიმართლისათვის შურაცხყოფა დაითმინო, ვიდრე სიცრუე ილაპარაკო.

✻იცრუო ნიშნავს, უფლის მიმართ უგუნური ზიზღი გამოამჟღავნო, ადამიანთა მიმართ კი - სულმოკლე შიში.

✻იცრუო და მოუატყუო ნიშნავს – უფალი გეზიზღებოდეს, ადამიანების კი გეშინოდეს.

✻ჩვენ უფრო მეტს მოვიგებდით, ისეთები რომ ვიყოთ, როგორებიც ვართ სინამდვილეში, ვიდრე წარმოვაჩენდეთ იმას, რაც ჩვენში არაა.

✻მატყუარებს არ უჯერებენ მაშინაც კი, როდესაც ისინი სიმართლეს ამბობენ.

✻როდესაც აუცილებელია, სიმართლე ყველაფერზე ღიად, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე თქვი; რადგან ორაზროვნება ნახევარი გზაა სიცრუემდე, სიცრუე კი მთლიანი და პირდაპირი გზა გეენიისკენ.

✻სიმართლე ყოველთვის ზუსტად და მიკიბ-მოკიბვის გარეშე ილაპარაკე: და შენს უბრალო სიტყვას ისე დაუჯერებენ, როგორც – ფიცს.

ყოველთვის იყავი მართალი – ყველა სიტყვაში და მათ ფიცის სიმტკიცე ექნებათ.

არ დაპირდე, რის აღსრულებაშიც დარწმუნებული არ ხარ, მიცემული დაპირება კი შეუცვლელად აღასრულე; და შენს უბრალო დაპირებას ისე დაუჯერებენ, როგორც – ფიცს.

მოიქეცი ისე, რომ საქმემ სიტყვის მაგივრობა აღასრულოს და ილაპარაკე ისე, რომ სიტყვა საქმის ნაცვლად იყოს *(წმ. ისიდორე პელუზიელი)*.

სიტყვა და საქმე

თუ ერთიანდება სიტყვა და ცხოვრება (საქმე), მაშინ ისინი შეადგენენ სიბრძნის-მოყვარების მთელ სილამაზეს *(წმ. ისიდორე პელუზიელი)*.

ვისთვისაც სიტყვა საქმეა, ის ძლიერია სიტყვაშიც და საქმეშიც.

ვინც აღასრულებს იმას, რასაც დაარიგებენ, მის საქმესა და სიტყვასაც მიეცემა უდიდესი ძალა.

ორმაგად ასწავლის ის, ვინც ასწავლის იმას, თუ რა უნდა გააკეთო და თავადაც აკეთებს იმას, რასაც ასწავლის.

ასწავლე შენს გულს დაიცვას ის, რასაც ასწავლის შენი ენა *(ამბა ჰიმენი)*.

ვაი მას, ვინც გულისხმაჰყოფს ჭეშმარიტებას და ასწავლის მას სხვებს, თავად კი უგულვებელსყოფს მას.

ნეტარი ხარ, როდესაც საქმით ქადაგებ სათნოებებს. და თუკი ჩვეულებრივ ლაპარაკობ სათნოებებზე, საქმით კი მის საწინააღმდეგოს აკეთებ, მაშინ იგი ვერ გიშველის *(წმ. ეფრემ ასური)*.

რა სარგებელია იმაში, რომ ვიღაც სხვის სახლს აშენებს, თავისას კი ანგრევს *(ამბა ჰიმენი)*?

ადამიანი, რომელიც სხვებს ასწავლის, თავად კი არ აღასრულებს იმას, რასაც

ასწავლის, ჰგავს წყაროს, რომელიც ასმევს და წმენდს ყველას, თავის გაწმენდა კი არ შეუძლია, არამედ მთელი იმ ნაგვითა და სიბინძურით სავსე რჩება, რომელიც მასში მოხვდება.

ადამიანი, რომელსაც აქვს მხოლოდ სიტყვა, მაგრამ არ გააჩნია საქმე, ხის მსგავსია, რომელსაც ფოთლები აქვს, მაგრამ ნაყოფი — არა.

ნაყოფით დახუნძლული ხე მწვანე ფოთლებითაც ირთვება: ასევეა სულიერი, დამრიგებლური სიტყვაც: იგი თავისთავად გამოედინება ადამიანისგან, რომელსაც აქვს კეთილი საქმეები. სულიერი, დამრიგებლური სიტყვაც თავისთავად გამოედინება ადამიანისგან, რომელსაც აქვს კეთილი საქმეები.

გადავსებული ჭურჭლიდან იღვრება წყალი, გულის გადაჭარბებული მგრძნობელობას კი უნებურად მეტყველებენ ბაგეები.

მქადაგებელნი და მასწავლებელნი, რომლებიც ჭეშმარიტებისა და ცხონების ოდენ

სიტყვიერი ქადაგებით კმაყოფილდებიან, ფილარეტ მოსკოველის თქმით, „არც ისე კარგად ცხოვრობენ, როგორც ასწავლიან“, – განა იმ ბოძებს არ ჰგვანან, რომლებიც გზას აჩვენებენ, მაგრამ თავად ადგილიდან არც იძვრიან?

ნუ იქნები გზაზე მდგარი სვეტი, რომელიც ქალაქის გზას მიუთითებს, მაგრამ თავად ადგილიდანც არ იძვრის: არამედ იყავი წინამძღოლი, რომელიც სხვებსაც უჩვენებს გზას და თავადაც წინ მიდის *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

როგორ დავმოძღვრავთ სხვებს, თუ საკუთარი თავის დამოძღვრაზე არ ვიზრუნებთ?

ვინც ვერ მართავს საკუთარ თავს, იგი ვერც სხვას დაარიგებს ჭკუას.

ცოდვით დაცემული ვერ ასწავლის სხვას, თუ როგორ არ დაეცეს იგი ცოდვით *(ამბა ისაია)*.

ამაოდ ასწავლის ის, ვისი საქმეებიც ეწინააღმდეგება სწავლებას.

დამოძღვრა არასდროს იქნება ნამდვილი, თუ მოძღვარი დასამოძღვრის გულში საკუთარი მაგალითით არ ჩანერგავს მოძღვრებას.

სიტყვა საქმის გარეშე ჰგავს ნახატს, რომელიც გახუნებული საღებავებითაა დახატული: ქარი და წვიმა შლის მას.

სიტყვები არაფერს ნიშნავს, როდესაც ისინი საქმით არ არის განმტკიცებული და გამაგრებული.

ვერცერთი სიტყვა, რომელიც საქმეს არ ეყრდნობა, ყურს ვერ გასცდება, მაგრამ როდესაც სიტყვა საქმესთან ერთიანდება, ცოცხლდება და გულამდე აღწევს *(წმ. ისიდორე პელუზიელი)*.

ასწავლე სხვას მოთმინებით, რათა მან მაშინაც კი სიკეთე აკეთოს, როდესაც თავად შენ არასრულყოფილად მიაჩნიხარ.

მორწმუნე ნაკლებს უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ ბევრს აკეთებდეს.

უმჯობესია, მეტი აკეთო და ცოტა ილაპარაკო; ჩვენში კი პირიქითაა: მეტს ვლაპარაკობთ, ვიდრე – ვაკეთებთ.

უმჯობესია, არა – სიტყვებით გაბრწყინებული სიბრძნე, არამედ – საქმით დამტკიცებული *(წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

უტყვი საქმე შეუსრულებელ სიტყვას სჯობს. არავინ არასდროს განდიდებულა კეთილი საქმეების გარეშე, მაგრამ ბევრი კი დიდებით შეიმოსა ლამაზი სიტყვების გარეშე. მადლი ეძლევა არა მას, ვინც ლაპარაკობს, არამედ მას, ვინც კარგად ცხოვრობს.

უმჯობესია, ლამაზად ცხოვრობდე, ვიდრე – ლამაზად ლაპარაკობდე *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

წმიდა ცხოვრება გაცილებით მეტადაა მიდრეკილი სიკეთისაკენ, ვიდრე – მშვენიერი ზნეობრივი წესები და თხზულებები.

ცხოვრება უსიტყვოდაც მოძღვრავს, სიტყვა კი – ცხოვრების გარეშე, მიუხედა-

ვად იმისა, რომ იგი ძლიერად და ბრწყინვალედაა გადმოცემული, მსმენელს მხოლოდ ამძიმებს *(წმ. ისიდორე პელუზიელი)*.

ჭეშმარიტება მაშინაა ცოცხალი, როდესაც მთელ თავის საფასს იღებს, როდესაც მისი მნიშვნელობა ცხოვრებით მართლდება.

ჭეშმარიტების სიტყვებს, რომლებიც ცხოვრებით არაა გამართლებული, შეუძლიათ, ჭეშმარიტებაში დაეჭვებამდეც კი მიგიყვანოთ.

გაცილებით უკეთესია დადუმდე, ვიდრე ასწავლო სხვას ის, რაც თავად არ გაგიკეთებია (იაკ. 3, 1-2).

ან საერთოდ არ ასწავლო სხვებს, ან ასწავლე ისე, რომ ამავდროულად მათთვის სათნოებათა მაგალითი იყო. სხვაგვარად რასაც ერთი ხელით შექმნი, მეორეთი – უარყოფ. დაე, ღირსეულმა ცხოვრებამ ისაუბროს შენს მაგიერ, სწორედ ისე, როგორც მხატვარი ასწავლის – არა იმდენად სი-

ტყვით, რამდენადაც – თავისი ფუნჯით. როგორც ზეცა აუწყებს უფლის დიდებას, არა – რაღაც ხმების გამოცემით, არამედ – თავისი გარეგნული ბრწყინვალებით აღვიძებს მნახველში შემოქმედითი განცვიფრების გრძნობას *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

კეთილად მოაწყვე შენი ცხოვრება, ისე, რომ მან შეძლოს, უსიტყვოდ ასწავლოს, მითუმეტეს – სიტყვამ.

ამხილე გარყვნილნი შენი ღირსეული ცხოვრებით, ისინი კი, ვისაც ურცხვი გრძნობები აქვთ, თვალის შეკავებით *(წმ. ისააკ ასური)*.

სინდისი

Სავსებით მართებულად ადარებენ სინდისს სამსჯავროს, რომელშიც, ჩვეულებრივ, კანონები ინახება, განიმარტება მათი წესები, განისჯება ადამიანთა საქციელი, ჯილდოვდება სიკეთე და ისჯება ბოროტე-

ბა. ამ თანხვედრაში მხოლოდ ისაა განსხვავება, რომ სინდისი ერთია და თავად აწარმოებს ყველა მოქმედებას, რომლებიც, ჩვეულებრივ, სასამართლოში მრავალ კერძო აღმასრულებელთა შორისაა დაყოფილი: იგია კანონმაუწყებელიც, მოსამართლეც, მსაჯულიცა და აღმასრულებელიც.

თუ გსურს, მუდამ გყავდეს სულისმახცოვნებელი ხელმძღვანელი — მოუსმინე შენს სინდისს და გადაუდებლად შეასრულე, რასაც იგი ჩაგაგონებს *(წმ. მაკარი მოსაგრე)*.

სინდისი ყოველგვარ საქმეში სანთლის მსგავსად მოიხმარე, რადგან იგი სრულყოფილად აჩვენებს ყველა შენს საქმეს ცხოვრებაში: როგორც კარგს, ასევე — ცუდს.

სინდისი ჭეშმარიტი მასწავლებელია; ვინც მას უსმენს, საცდურით არ განიცდება *(ამბა თალასი)*.

ფხიზელი სინდისი — საუკეთესო დამცველია მანკიერებისაგან.

არავისი ისე არ გეშინოდეს, როგორც — საკუთარი თავის. ჩვენში ცხოვრობს უტ-

ყუარი მოსამართლე, ვისი ხმაც ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე — მთელი სამყაროს მოწონება.

„დაე, ყველა მლანძღვადეს, — ამბობს წმ. ტიხონ ზადონელი, — ოღონდ სინდისი მაქებდეს“.

მას, ვისაც სუფთა სინდისი აქვს, თუნდაც ძონძებში იყოს ჩაცმული, თუნდაც ებრძოდეს შიმშილს, ფუფუნებაში მცხოვრებზე მეტადაა გულდამშვიდებული, მაგრამ ვინც საკუთარ სულში ცუდს გრძნობს, თუნდ უამრავი ფულით იყოს გარემოცული, ყველაზე ღარიბია.

არ უნდა მიიყვანო თავი იქამდე, რომ რაიმე საქმეში სინდისი გამხელდეს *(ამბა აღათონი)*.

სინდისის წინააღმდეგ შეცოდებას სიკვდილი გერჩიოს *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

უმჯობესია, მხოლოდ სინდისით გამშვიდებდეს და მთელი სამყარო გამტყუნებდეს, ვიდრე სინდისი გამტყუნებდეს და მთელი სამყარო გაქებდეს.

✦უმჯობესია, მოწყლული სხეული გქონდეს, ვიდრე – ცოდვებით მოწყლული სინდისი; უმჯობესია, დაითმინო სხეულის გვემა, ვიდრე – სინდისის გვემა, უმჯობესია, ყოველგვარი გარეგნული უბედურებები მიიღო, ვიდრე გქონდეს მხოლოდ ერთი შინაგანი უბედურება.

✦ბოროტი (ანუ ცოდვაში მხილებული) სინდისი ჯალათის ტოლფასია.

✦ბოროტი სინდისი ყოველგავარ შეურცხყოფაზე მეტად შეურაცხყოფს და ყოველგვარ მტანჯველზე მეტად ტანჯავს ადამიანს *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

✦არ არსებობს უბოროტესი მტანჯველი, ვიდრე – ბოროტი სინდისი.

✦სინდისი ჭეშმარიტად შინაური სასამართლოა. დამნაშავეს შეუძლია, ზოგჯერ ადამიანთა სამსჯავრო აიცილოს, მაგრამ იგი ვერასდროს გაექცევა სინდისის სასამართლოს *(წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

✦სამი სამსჯავრო არსებობს: ამქვეყნიური, შენი პირადი (სინდისის) სასამართ-

ლო და უფლის სასმჯავრო. ისევე, როგორც შეუძლებელია, ღვთის სასმსჯავროს გაექცე, ასევე არ ძალგიძს, გაექცე პირადს, თუმცაღა ოდესმე ამქვეყნიურ სამსჯავროს გაექცევი.

❖მხოლოდ მათ არ ასამართლებს სინდისი, ვინც მიაღწია სათნოებათა ან მანკიერებათა მწვერვალს *(ამბა თალასი)*.

❖ცოდვებით მოსვრილ სინდისში უდიდესი ცოდვებიც ძლივს შეიმჩნევა, ისევე, როგორც გაჭვარტლულ სარკეში ცქერისას ვერც სახეს და ვერც ჩვენს მანკიერებებს ვერ ვხედავთ *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

❖უასამართლო მოსამართლე წაბილწული სინდისია *(ამბა ევაგრე)*.

❖სინდისის ქენჯნა ჩვენს დანაშაულებათა ზომისა არ არის არამედ – მხოლოდ ჩვენში დარჩენილ სათნოებებისა.

❖ჩვენ ვფლობთ საოცარ ხელოვნებას, მოვატყუოთ ჩვენი სინდისი. უსურვო ვინმეს სიკვდილი: – საშინელებაა, მაგრამ ვინ არ

ფიქრობს იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ამა თუ იმ ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში, ამათუ იმ ადამიანის სიკვდილის შემდეგ.

აფსუს! ჩვენ ყველაფერი გვატყუებს ცხოვრებაში, უკიდურეს შემთხვევაში, ყველაფერი მიწიერი — სინდისიც კი.

რომ არ გვქონდეს სუსტი და მითუმეტეს მატყუარა სინდისი, საჭიროა, თავად სინდისი, რომელსაც ბოლომდე წარმართებიც კი არ არიან მოკლებულნი — განვავითაროთ, დავახელოვნოთ ღვთის დაწერილი კანონების სწავლით და ღვთივგანბრძნობილი მასწავლებელების დარიგებებით, საკუთარი ქმედებებით კი მის ხელმძღვანელობას შევესაბამებოდეთ.

ვაი მას, ვინც უფრო მეტად მიდრეკილია ცოდვის მაცდური შეგონებებისაკენ, ვიდრე — სინდისის რჩევებისკენ ამ შინაგანი, საიდუმლო ღვთის ხმისაკენ — ჩვენში. ვინც ცოდვას ცოდვაზე ურთავს, საბ-

ოლოოდ სრულდ ახშობს სინდისს, რადგან არ ესმის, მისი მსჯავრი და ვერ გრძნობს მის ტანჯვას. საშინელი სიმშვიდეა!

ბოროტთა სიმშვიდე იმის ნიშანია, რომ ისინი უკვე ცოცხლად არიან დამარხულნი ჯოჯოხეთში *(წმ. ამბროსი მედიოლანელი)*.

ცოდვილის სული, რომელიც სინდისით არ მხილდება, ესაა ზღვა, ზემოდან წყნარი, მაგრამ მის სიღრმეში ბუდობს და მოძრაობს უთვალავი ეშმაკი! ასეთი ცოდვილის ვითომდა სიმშვიდე ესაა სიწყნარე ქარიშხლის წინ, იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, მაგრამ საბოლოოდ დადგება წუთები, როდესაც ჩახშობილი სინდისის ხმა მთელი ძალით გაისმება მის სულში, – ესაა მტანჯველი წუთები, წუთები, რომლებიც წლებად მოჩანს, მაგრამ რომლებიც ყოველთვის მხოლოდ უსასრულობის საწყისად წარმოსდგებიან.

საკუთარი თავის შეცნობა

❦ადამიანია იგი, ვინც თავი შეიცნო *(ამბა ჰიმენი).*

❦საკუთარი თავის ცოდნა — ყველაზე ძნელი და ყველაზე სასარგებლო ცოდნაა.

❦შეიცანი შენი თავი: ეს ყველაზე ძნელია: თავმოყვარეობა ყოველთვის აჭარბებს ჩვენს ღირსებებს — ჩვენსავე თვალში.

❦ყველაზე იოლია, მოატყუო საკუთარი თავი და ქედმაღლობდე ცარიელი დიდებით და შენს თავს რალაცად თვლიდე, როცა არაფერი ხარ *(წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი).*

❦საკმაოდ კარგად ადარებს ერთი ეკლესიის მასწავლებელი ჩვენს სულს ჩვეულებრივ ხრამს, სადაც, ვიდრე მზის შუქი არ აღწევს, ყველაფერი სუფთა და სრულიად უმტვერო გვეჩვენება; მაგრამ გააღეთ ფანჯარა, შემოუშვით მზის სხივი და დაინახავთ მთელ გროვა მტვერს, რომელიც მზის შუქის მიმართულებით მიდის. ჩვენი მზაკ-

ვარი თავმოყვარეობისათვის ჩვენს სულშიც ყველაფერი სუფთა, ნათელი და მორთული გვეჩვენება, მაგრამ გავუხსნათ გული უფლის მადლის სხივს; დაე, შუქმა გაანათოს ჩვენი სულის ფარული სიღრმეები: რამდენი მტვერია ფიქრებში, რამდენი ჭუჭყია საგრძნობელში, რამდენ სამარცხვინოს დაინახავს თავის საქმეში თითოეული.

უხილავი, მაგრამ უეჭველი ცოდვების დანახვას ზოგჯერ ადამიანს უშლის ხილული, მაგრამ უტყვი სათნოებები.

როგორც მაღალი მთიდან დამკვირვებელნი ვერ ხედავენ ხშირად ხეობაში არსებულ ნაპრალებს, ორმოებს, მათგან მომდინარე უწმინდურობას, გაფანტულ მყრალ ნაკელს; ასევე მოსდის ამპარტავნული გონების მქონეს. ისინი თავს ზემოდან უყურებენ – ხედავენ მხოლოდ თავიანთ ზედაპირს, ხოლო სულის ამაზრზენ სიღრმეებს, საკუთარი გულის უწმინდურობას, საიდუმლოებათა სიხშირეს, მაგრამ ამაზე არანაკლებ უგვანოსა და საზიზღარს, ვერ ხედავენ.

განა ბევრ ჩვენგანს შეუძლია, თქვას თავის თავზე, რომ მან იცის, ახსოვს ყველა თავისი ცოდვა და, შესაბამისად, სრულიად იცნობს თავის თავს? – ჩვენ გვახსოვს, ჩვეულებრივ, ჩვენი ცოდვების მხოლოდ მცირედი ნაწილი; გვახსოვს მხოლოდ ის ცოდვები, რომლებიც ახლახან მოხდა და ჩვენი მეხსიერებიდან წარხოცვა ჯერ ვერ მოასწრეს; ანდა თავიანთი სიმძიმით ძალიან საგრძნობნი არიან; მაგრამ რამდენია ისეთი ცოდვა, რომლებიც ნაკლებმნიშვნელობად მივიჩნიეთ და დავივიწყეთ იმ წუთშივე, როგორც კი ჩავიდინეთ; რამდენია ისეთი ცოდვა, რომლებიც ერთ დროს ამძიმებდა ჩვენს სულს, მაგრამ დაუფიქრებლობის შედეგად დავიწყებას მივეცით. რამდენია ისეთი ცოდვა, რომლებიც შეუმჩნეველია ჩვენთვის იმიტომ მხოლოდ, რომ ისინი ჩახშობილი ან. განდევნილია უამრავი დანარჩენით, სინამდვილეში ნაკლებად მნიშვნელოვანით, მაგრამ საცდურთა

შედეგად მნიშვნელოვნად ქცეულნი ჩვენს თანამოძმეთათვის.

✦ეცადე, შეიცნო საკუთარი თავი და მაშინ ბევრი გეცოდინება *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

✦ვინც საკუთარი თავის ნახვას ელირსა, იმაზე მაღალია, ვინც ანგელოზების ხილვას ღირსი გახდა *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

✦ვინც ხედავს თავის ცოდვებს, იგი იხილავს მშვიდობას *(ამბა ისაია)*.

✦ბევრს უნდა იცოდეს, რა ხდება უცხო ქვეყნებში; ხოლო საკუთარ სულში რა მდგომარეობაა – არ ეძიებენ *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

✦რას მოგიტანს შენს მიღმა ბევრი იცოდე, შენი საკუთარი თავი კი – არა?

✦არაფერია იმაზე უკეთესი, ვიდრე იცოდე საკუთარი უძლურება და უცოდინრობა, და არაფერია იმაზე უარესი – ვიდრე არ იცოდე ეს *(წმ. ჰეტრე დამასკელი)*.

✦ცდომილება დამახასიათებელია ადამიანისათვის, კეთილგონიერთათვის კი დამახასიათებელია შეცდომის შეცნობა.

სიბრძნის პირველი ნიშანი საკუთარი ცოდვილობის შეცნობაა.

საკუთარი ცოდვებისა და საკუთარი თავის შეცნობა ცხონების დასაწყისია, იმიტომ, რომ საკუთარი უბედურების შეცნობას უბედურებებისგან გამათავისუფლებელი ხერხის ძიებამდე მივყავართ.

ვინც შეიცნო თავისი ცოდვები, იგი გამოსწორებისაკენ ნახევარ გზაზე დგას; მაგრამ ვისაც არ შეუცნია თავისი ცოდვები, მას ჯერ არც მარხვა დაუწყია და არც – ლოცვა.

ვინც საკუთარი თავი სინამდვილეში იცის, იგი საკუთარ თავზე მდაბლად ფიქრობს და არ ტკბება ადამიანების ქებით.

მან მეტად იცის თავისი თავი, ვინც არაფრად თვლის თავს *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

ვინც თავს რაიმედ მიიჩნევს, იგი სინამდვილეში არაფერია, თუმცა თვითონ ასე არ ფიქრობს.

რაც უფრო ნაკლებად თვლიან თავს ცოდვილებად, მით უფრო ცოდვილები არიან.

შენ გინდა იცოდე, რამდენად უკეთესი გახდი? გამოსცადე თავი, რამდენად ცუდ ადამიანად გრძნობ თავს. რაც უფრო ნათელია გამოხედვა, მით უფრო ნათლად ხედავ ღვთის დიდებას და საკუთარ ცოდვილობას *(წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

გსურს თუ არა ღვთის შეცნობა? თავდაპირველად საკუთარი თავი შეიცან *(ამბა ევაგრე)*.

რაც უფრო უყურადღებოა ვიღაც საკუთარი თავისადმი, მით უფრო ღვთისსათნოდ მიიჩნევს თავს. მაგრამ, ვინც ცდილობს, თავი ვნებებისა და უწესო ქმედებებისგან გაწმინდოს, მას რცხვენია, თვალი ცად ღვთისკენ აღაპყროს, რადგანაც ხედავს, რომ საკმაოდ შორს დგას მისგან *(ამბა ისაია)*.

საკუთარი თავის შეცნობა გამოიმუშავებს სწორ შეხედულებას არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ – ახლობლებზეც და განსაზღვრავს, როგორი უნდა იყოს ჩვენი ქმედებები არა მარტო საკუთარ თავთან

და ახლობლებთან მიმართებაში, არამედ – უფალთანაც.

თუ გინდა კეთილი იყო, უპირველესად დარწმუნდი, რომ ბოროტი ხარ.

მიუკერძოებელნი ვიყოთ საკუთარი თავისადმი, რათა სამართლიანად მოვექცეთ სხვებს.

რათა უკეთესად და მართებულად გავიგოთ, შევისწავლოთ თავი, ამისათვის საჭიროა, ხშირად ვესაუბროთ საკუთარ თავს, განუწყვეტლივ თვალყური ვადევნოთ არა მარტო ჩვენს სიტყვებსა და მოქმედებებს, არამედ ფიქრებს, გრძნობებსა და სურვილებსაც, როგორც ყოველი ჩვენი სიტყვისა და საქციელის ფესვს, მიზეზსა და საფუძველს.

საკუთარი თავის შესაცნობად საჭიროა, ყოველდღიურად გამოვიძახოთ ჩვენი სული სამსჯავროზე და ანგარიში ჩავაბაროთ საკუთარ თავს ჩვენი საქციელებისა და საქმიანობების შესახებ; ამას აკეთებდნენ საუკეთესო წარმართი ბრძენთაგანნიც, მაგალითად – კატონი. დღის დასრულებ-

ის შემდეგ როდესაც დაწვებოდა, იგი საკუთარ სულს ეკითხებოდა: „რომელი ნაკლულევანებისგან გათავისუფლდი ამჯერად?“ „ყოველდღე, – ამბობდა ციცერონი – საკუთარი თავის მოსამართლე და ბრალმდებელი ვარ. როდესაც სანთელი ჩაქრება, მთელ დღეს მიმოვიხილავ: მე გადავხედავ ყოველ ჩემს სიტყვას და ქმედებას; არ ვმალავ საკუთარი თავისგან და არ ვპატიობ თავს არაფერს“.

მანამ არ დაიძინო, ვიდრე არ გაანალიზებ ცოდვებს, რომლებიც დღის განმავლობაში ჩაიდინე *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

საკუთარ თავზე გამარჯვება

შვენიერია ის გამარჯვება, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს საკუთარ თავზე.

არაფერია სახელოვანი იმ გამარჯვებაზე – საკუთარ თავზე რომ მოიპოვებ *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

არავინაა იმაზე გამარჯვებული ამ ქვეყნად, ვიდრე ის, ვინც თავად იმარჯვებს და ბატონობს საკუთარ ვნებებზე.

მან მოიპოვა გამარჯვებათგან ყველაზე საუკეთესო, ვინც შეეძლო გაემარჯვა საკუთარ ვნებებზე და ალაგმა ისინი.

თუ მშვენიერია მტერზე გამარჯვება და მისი ძლევა, მეტად მშვენიერია გამარჯვება საკუთარ თავზე.

ბრძენთ აკვირვებთ ხალხის მძლეველები, მაგრამ საკუთარ თავზე გამარჯვებას მტრის ძლევაზე უძნელესად მიიჩნევენ.

გაცილებით იოლია, მოიპოვო გამარჯვება გარეგნულ მტერზე, ვიდრე – დაძლიო საკუთარი თავი.

არავინაა უფრო მეტი მტერი ადამიანისა, ვიდრე – თავად ის *(წმ. მარკოზ მოსავრე)*.

ადამიანს ისე არავისი უნდა ეშინოდეს, როგორც – საკუთარი თავისა. ხშირად ისინი,

ვისაც ძლიერ მტანჯველთა დევნა არ აბრკოლებდა რწმენაში, საკუთარი თავისგანვე იმუსრებოდნენ: გარეგან მტერზე გამარჯვების შემდეგ ისინი პირადი მტრებით იძლეოდნენ – პირადი ბიწიერი სისუსტეებითა და ვნებებით.

✗ბევრი გაბატონდა ქალაქებსა და ერებზე, მაგრამ საკმაოდ ცოტა – საკუთარ თავზე.

✗თუ სრულიად გაიმარჯვებ საკუთარ თავზე, დანარჩენის დაპყრობა შენთვის იოლი იქნება; საკუთარ თავზე გამარჯვება – აი, სრულყოფილი გამარჯვება.

✗ვისაც მორჩილებაში საკუთარი თავი ჰყავს, ისე, რომ მისი მგრძნობელობა ემორჩილება გონებას, ხოლო გონება ემორჩილება უფალს ყველაფერში – იგი საკუთარი თავის ჭეშმარიტი მძლეველია და სამყაროზე მბრძანებლობს.

✗უფროსი ისაა, ვინც უფროსობს საკუთარ თავზე და ვისი სულიც და ხორციც დაემორჩილება გონებას *(ამბა თალასი)*.

კეთილად ქმნა, ვინც შესძლო მიეღწია თვითფლობისათვის, საკუთარ თავზე ძალაუფლებისათვის: იგი ჭეშმარიტად მეფეა, თუნდაც გარეგნული მდგომარეობით მონა იყოს.

ვინც მბრძანებლობს საკუთარ გრძნობებზე, მას ქვეყნად მოჰყავს სიცოცხლე *(ამბა ისაია).*

არა მხოლოდ ადამიანთა შორის უნდა ვეძიოთ მშვიდობის კავშირი, არამედ საკუთარ სხეულშიც, საკუთარ სულშიც და საკუთარ სამშვინველშიც *(წმ. ლოგოს სინელი)*

ვისაც სიმშვიდით და სიყვარულით ცხოვრება შეუძლია საკუთარ თავთან, იგი ჰპოვებს სიხარულსა და სიყვარულს ყველა ქვეყანაში.

როდესაც სისულელეს ჩავიდენთ, საკუთარ თავთან ვჩხუბობთ: უმჯობესი არ იქნებოდა, არ ვაკეთოთ სისულელე და არ მივცეთ საშუალება ჩვენს ვნებებს ეჩხუბოს გონებას, რომელიც სულელურ საქციელში ხელს გვიშლიდა?

ვერ დაიმკვიდრებ ცათა სასუფეველს, თუ არ გახდები მეუფე საკუთარი ავხორცობისა და ზრახვებისა *(წმ. დიმიტრი როსტოველი)*.

თავისუფლება და მონობა

უფალმა მოგვცა თავისუფალი ნებელობა, რათა ერთდროულად პასუხს ვაგებდეთ საკუთარ ქმედებებზე და ვბატონობდეთ მათზე.

ამბობენ: „რატომაა, რომ ჩვენს არსებაში იმთავითვე უცოდველობა არ ჩაიდო? იმიტომ რომ, რომც მოგვენდომებინა, ცოდვის ქმნა არ შეგვძლებოდა?“– სწორედ იმიტომ, რომ შენ მაშინ კი არ ხედავ მსახურის გამოსწორებას, როცა შებოჭილი გყავს იგი, არამედ მაშინ, როცა ხედავ, რომ

ნებაყოფლობით ასრულებს თავის მოვალეობებს *(წმ. ბასილი დიდი)*.

✝რადგან თავისუფლებისთვის ხარ შექმნილი და მოწოდებული, არ დაანებო თავს, ქედი მოუხაროს უწმინდურ ვნებებს *(ამბა თალასი)*.

✝ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტ ქრისტიანად არ ქცეულა, იმას კი არ აკეთებს, რაც უნდა, არამედ იმას, რაც არ უნდა – იგი თავისი ვნებების მონობაშია.

✝ჭეშმარიტი თავისუფლება ქრისტიანული თავისუფლებაა – შინაგანი თავისუფლება, და არა – გარეგნული, – ზნეობრივი და სულიერი, და არა – ხორციელი მუდამ კეთილისმოქმედი და არასდროს – მტანჯველი, რომელსაც შეუძლია, ქოხში იცხოვროს ისევე მოხერხებულად, როგორც დიდებულთა და სამეფო სახლში, – სადაც ხელქვეითი, ხელქვეითად რჩება და მბრძანებლის დარად ყოველგვარი სიკეთით სარგებლობს. ის თავისუფლებაა, რომელსაც

ვერც ბორკილები შეზღუდავს და ვერც საპყრობილე, რომელიც შეგვიძლია, დავინახოთ ქრისტიან მარტვილებში.

ასეთია ქრისტიანობა: იგი მონობაშიც მოგვიპოვებს თავისუფლებას! *(წმ. იოანე ოქროპირი).*

შეიძლება, მონობაშიც არ იყო მონა, და მონა იყო თავისუფლებაში.

შეიძლება, შებორკილიც კი სულიერად თავისუფალი იყო და ამავე დროს ტახტზე მჯდომი ვნებებს იყო დამონებული.

კეთილი, თუნდაც ემსახურებოდეს, თავისუფალია, ბოროტი კი, თუნდაც მეფობდეს, მონაა, და ამასთან იმის მსგავსია, ვისაც ერთი ბატონი კი არ ჰყავს, არამედ იმდენი ღმერთი, რამდენიც — ნაკლოვანება *(ნეტარი ავგუსტინე).*

ჭეშმარიტად თავისუფალია ის, ვინც ქრისტესთვის ცხოვრობს: იგი ყველა უბედურებაზე მაღლა დგას. თუ იგი თავად არ მოისურვებს შეამთხვიოს საკუთარ თავს

ბოროტება, მაშინ სხვა ამას ვერასდროს შეძლებს *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

არავინ გაწყენინებს, როდესაც საკუთარ თავს არ აწყენინებ *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

უნდა გეშინოდეს არა იმდენად ბოროტი ადამიანებისა, რამდენადაც — საკუთარი ბოროტი ვნებებისა. რამეთუ პირველნი გაიძულებენ, მიმართოთ უფალს, და თვითონაც რომ ვერ ხვდებიან, ისე გვაახლოვებენ უფალთან; მეორე კი გვაშორებს მას და მის რისხვას მოგვაწევს.

ჩვენი ნება სპილენძის კედელია ადამიანსა და უფალს შორის აღმართული *(აბბა ჰიმენი)*.

ყველაზე თავისუფალია ის, ვისაც ამ ქვეყნად არაფერი სურს.

რაც ნაკლებია სურვილები, მით ნაკლებია ბორკილები.

შეიძლება და საჭიროა ჩვენი სურვილების შემცირება, მაგრამ მათი დაკმაყოფილება არცერთი სახელმწიფოს მბრძანებელს არ ხელეწიფება.

ჩვენი სურვილები იგივეა, რაც — პატარა ბავშვები, რომლებიც სულ შეწუხებულნი არიან და განუწყვეტლივ ითხოვენ დედისგან ხან ერთს, ხან მეორეს და არასდროს არაფერი აკმაყოფილებთ. რაც უფრო მეტად უთმობ მათ, მით უფრო აბეზარნი ხდებიან.

ნება თითოეულ ჩვენგანს გვასწავლის და გვტანჯავს.

როდესაც ადამიანი სურვილს ისრულებს, რაოდენ ხშირად კითხულობს წყენით: „სულ ესაა?“

გინდოდეს ზედმეტი ან არ გსურდეს საჭირო — თანაბრად დასაძრახია.

ის კი არაა თავისუფალი, ვისაც შეუძლია იმის კეთება, რაც უნდა; არამედ თავისუფალი ისაა, ვისაც შეუძლია უნდოდეს ის, რაც მან უნდა გააკეთოს.

როგორც შიმშილით აღძრული ადამიანი მადიანად ილუკმება, მწყურვალე — ხალისით სვამს, შრომით გათანგული — ხალ-

ისით ისვენებს; ასევე ხდება ადამიანის აღორძინებულ სულიერ ცხოვრებაშიც. ღვთისმსახურები მას (უფალს) ხალისით ემსახურებიან, ხოლო მისი (უფლის) ნება მათ სურვილებს შეადგენს, როგორც ამბობს თავად იესო ქრისტე: „ჩემი ჭამადი არს, რაითა ვყო ნებაი მომავლინებელისა ჩემისა“ (იოან. 4,35)

ჭეშმარიტი თავისუფლება მხოლოდ კანონის ფარგლებშია და უმაღლესი თავისუფლება მთლიანად უფლის ერთგულებაში მდგომარეობს.

მონობა უნდა ეწოდოს თავაწყვეტილობას და სამარცხვინო მონობა – იმას, როცა ადამიანი ფეხქვეშ თელავს ღვთაებრივ კანონებს.

დროის ყოველდღიური განაწილება

უფლის მცნების თანახმად, კვირაში ერთი დღე მთლიანად დაუთმე ღვთისმსახურებას; დანარჩენ დღეებში ეცადე, შრომისა და მეცადინეობის გარკვეული საათები გამოყო და მიუძღვნა უფალთან საუბარს, ძირითადად აუცილებლია დილით – ძილისაგან ადგომისას, სალამოს კი – ძილის წინ.

როდესაც დილით ძილისგან გამოფხიზლდები, დაფიქრდი, რომ უფალი გაძლევს დღეს, რომლის მიღებაც შენ თავად არ შეგეძლო და გამოყავი ერთი საათი ან თუნდაც საათის მეოთხედი ამ მომადლებული დღისათვის და მსხვერპლად მიუტანე უფალს სამადლობელი და სავედრებელი ლოცვა. რაც უფრო გულმოდგინედ გააკეთებ ამას, მით მეტად გაანათლებ დღეს, მით უფრო მტკიცედ მოიზღუდავ თავს საცდურთაგან, რომლებიც ყოველდღე გხვდება. ამის მსგავსად, როდესაც ძილისთვის

ემზადები, დაფიქრდი, რომ უფალი გაძლევს შრომისგან მოსვენებას, და შენი მოსვენების დროს ნაწილი გამოსტაცე და მიუძღვენი იგი უფალს სუფთა და თავმდაბალი ლოცვით. მისი კეთილსურნელება ანგელოზს შენს დასაცავად მოიზიდავს.

დილის ლოცვა ადამიანისთვის იგივეა, რაც – დილის ცვარი მცენარეებისთვის.

ისაა მთელი დღე ბედნიერი და მოსვენებული, ვინც სათანადო ყურადღებით ლოცულობს დილით.

რისკენაც წარემართება დილით გონება, იმითაა დაკავებული მთელი დღე, როგორც წისქვილის ქვა, რომელიც მთელი დღის მანძილზე ატრიალებს იმას, რასაც მასში დილიდან ყრიან, იქნება ეს ხორბალი თუ – ღვარძლი. შევეცადოთ ყოველთვის დილიდანვე ჩავყაროთ ხორბალი, რათა მტერმა არ ჩაყაროს ღვარძლი.

გაატარე დაწყებული დღე ისე, რომ მან შეძლოს, გასტანოს შენ დღის დაუღამებლობამდე და არა – მარადიულ ღამემდე.

დღის განმავლობაში ის საქმეები აკეთე, რომლებიც შენი მოწოდებისა და საზოგადოებაში ადგილის შესაბამისად გევალება. შეეცადე და საქმის კეთებისას იპოვე თუნდაც წუთები, რათა მიმართო ღვთისმოსავი ფიქრით და ლოცვით მას, ვინც აკურთხებს პატიოსან შრომას და წარმატებას ანიჭებს კეთილ საქმეს.

შრომა და ლოცვა, ლოცვა და შრომა – აი, ღვთისაგან ჩვენთვის მოცემული ყოველი დღის საუკეთესო და სასარგებლო გამოყენება!

იცოდე და იშრომე – აი, ოქროს წესი, მიწიერი ცხოვრების მთელი სიბრძნის მომცველი.

რომელ ჩვენგანს არ შემთხვევია ენახა და მოესმინა, როგორ უსტვენს ხმატკბილი ტოროლა გაზაფხულზე მინდორში მოხნულ ყანებში და სასიამოვნო გალობით ატკბობს მიწათმოქმედის მძიმე შრომას? მაგრამ არც ამ პატარა ფრთოსანის სიცო-

ცხლე გადის სიმღერაში, მას თავისი შრომა და საზრუნავი აქვს; ის მიწაზე დაფრინდება ხოლმე და აქ ან საკვებს მოიპოვებს, ან თბილ ბუდეს იწყობს, ან ზრუნავს თავის მეგობარზე ან თავის ნორჩ ბარტყებზე. და კვლავ: სულ ასე ხომ არ გაქექავს მიწას, სულ ასე ხომ არ იფუსფუსებს და იშრომებს. ჩიტუნა კვლავ აფრინდება ზეცისკენ და მღერის, მღერის თავის დაუსრულებელ სიმღერას. აი, გაკვეთილი და მაგალითი შენთვის, ადამიანო! იშრომე, სადაც არ უნდა იყო: საზოგადოებაში, დაბლა თუ მაღლა, — იშრომე: ესაა შენი დანიშნულება და მოვალეობა დედამიწაზე. მაგრამ შენ მიწისთვის არ ხარ შექმნილი, არამედ-ზეცისთვის. შრომის და ცხოვრების საზრუნავის შემდეგ ამაღლდი გონებითა და გულით, გადმოლვარე უფლის წინაშე შენი სული დიდებისმეტყველებაში, მადლიერებასა და ლოცვაში. ილოცე: ეს შენი ვალია, შენი დიდება, შენი ნეტარება. შრო-

მიდან გადადი ლოცვაზე, ლოცვიდან – შრომაზე: იშრომე და ილოცე!

✗უფლით დაიწყე და უფლით დაამთავრე დღე.

✗ვისაც გააჩნია თუნდაც ნაპერწკალი ადამიანური გრძნობისა, მას განა არ უნდა შერცხვეს, დაასრულოს დღე ხოტბის გარეშე, სამადლობელი ლოცვით, როდესაც ის ხედავს, რომ პაწაწინა ჩიტიც კი უმღერის სახოტბო სიმღერებს უფალს, ვიდრე მოხრის თავს ფრთებქვეშ მოსასვენებლად *(წმ. ამბროსი მედიოლანელი)*.

✗როდესაც დასაძინებლად მიდიხარ, გაიხსენე სიკვდილი, რომლის სახე და კარიბჭეც ძილია.

✗წარმოიდგინე შენი საწოლი კუბოდ და საბანი სუდარად.

✗თუ ღამით გაიღვიძებ, გაიხსენე უფალი და ილოცე.

✗ღამის ლოცვა მზესავითაა, ანათებს დღის ყველა საქმესაც.

შეუცნობელი მომავალი

მომავალიდან ჩვენთვის არაფერია ცნობილი, გარდა — ერთი მთლიანი უცნობელობისა. ჩვენ მასზე მხოლოდ ის ვიცით, რომ არაფერი ვიცით.

ჩვენი გამოცდების შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მომავლის შეუცნობლობა. ამით უფალს სურს, გვიჩვენოს, რომ ჩვენ თავად არ შეგვიძლია, დავიცვათ თავი, არ შეგვიძლია, თავად მოვუფრთხილდეთ თავს. ბავშვი ტყეზე გავლისას მამის ხელსაა ჩაჭიდებული: მან არ იცის, სად და როდის შეხვდება კუნძები და ქვები, რომლებზეც უნდა გადაიაროს; ორმოები და ნაპრალები, რომლებშიც შეიძლება, ჩავარდეს. გველები და სხვა შხამიანი ცხოველები, რომლებსაც შეუძლიათ, დაგესლონ იგი. არ იცის, მაგრამ მიდის იმიტომ, რომ მამის ხელი მას ამხნევებს და ხედავს, რომ ბოროტებისგან იცავს.

თუ განგებას სურს, რომ არ ვიცოდეთ ჩვენი მომავალი, უეჭველია, ჩვენივე სასიკეთოდ და სასარგებლოდ, განა, ჩვენი მხრიდან კადნიერება არ იქნება მკითხავებსა და მჩხიბავებს მივმართოთ, რათა გავიგოთ, თუ რა მოგველის წინ?! ან ჩვენგან ეს ღვთის მძიმე შეურაცხყოფა არაა?!

წარმოვიდგინოთ, რომ ძეს მამის სახლში აქვს თავისუფლება, ისარგებლოს ყველაფრით, რაც მას სჭირდება და ბევრით, რაც სიამოვნებს, არ კმაყოფილდება ამით და როდესაც წააწყდება საკუჭნაოს, რომლის გასაღებიც არ აქვს ბოძებული, აყალბებს გასაღებს და აღებს კარებს; დავუშვათ, არა იმისთვის, რომ მოიპაროს, არამედ, მარტო იმისთვის, რომ ნახოს, რა იმალება იქ. განა ეს უმადურობა არ არის?! განა არ უნდა რცხვენოდეს ძეს?! განა არასასიამოვნო არ უნდა იყოს მამისთვის?! – საქმის სულ მარტივი შეხედვით, აი, მთელი სამსჯავრო ყოველგავრი მკითხაობის ან შელოცვისა.

ნუ დაინტერესდები მომავლით, არამედ – სასარგებლოდ გამოიყენე აწმყო. რა სარგებელი გაქვს განჭვრიტო განგება?! თუ მომავალი რაიმე სიკეთეს მოგიტანს, მაშინ იგი თავისთავად მოვა, თუნდაც წინასწარ ვერ გაიგო. ხოლო თუ იგი მჭმუნვარეა, რა მონაპოვარია შენთვის, წინასწარ გაითანგო მწუხარებით *(წმ. ბასილი დიდი)*.

დანაშაულებრივია მომავლით ზედმეტად დაინტერესება და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად უკანონო ხერხების გამოყენება. ასევე ცოდვაა უფლის წინაშე არასასურველი და ზედმეტი ზრუნვა მომავალზე – ეს ან მოუთმნლობის ნიშანია სიხარულის მოლოდინში, ან – წუხილი – მჭმუნვარების მოლოდინში და ჩვენში ღვთის განგებულებისადმი უიმედობას და ნაკლოვანებას ამხელს.

„კმა არს დღისა მის სიბოროტე თვისი“ (საკმარისია ყოველი დღისთვის თავისი საზრუნავი). თქვა უფალმა (მათ. 6, 34);

ამაო და უსარგებლოა გაწუხებდეს ან გიხაროდეს ის, რაც ჯერ კიდევ მომავალშია, მაშინ, როდესაც იგი, შესაძლოა, საერთოდაც არ მოხდეს.

გახსოვდეს წარსული; მიენდე უფალს მომავალში; კეთილად გამოიყენე აწმყო.

სიბერე

განა შეიძლება, არ შეგვებრალოს რვა წლის ასაკის ბიჭუნა, თუკი მისი განვითარება ორი წლის ასაკის ბავშვისას შეეფერება? თუ გავა კიდევ სამი ან ოთხი წელი, ის კი არ გაიზრდება და არ გაძლიერდება, მაშინ მას უბრალოდ მახინჯად ჩავთვლით. — განა იგივე არ გვემართება ჩვენ?! ვიზრდებით კი ჩვენ სათნოებებში?! ვძლიერდებით კი სულიერ ძალებში?! სულის დაისისას განა ისეთივე სულმოკლენი, უდარდელნი, ახირებულნი და

მოუნანიებელნი არ ვართ, როგორებიც მგზნებარე სიყმაწვილის წლებში ვიყავით?! როგორ სანახაობას წარმოვადგენთ ჩვენ უფლისა და მისი ანგელოზების წინაშე?!...

✗ცხოვრების ყველა ასაკი გავიარეთ, მაგრამ არ გავხდით ზნეკეთილნი: ვიყავით ახალშობილნი, ყმაწვილები, ახალგაზრდები და გავხდით მეუღლეები; მაგრამ არასდროს ვყოფილვართ სათნონი; საკუთარი სიბერე მაინც დავინდოთ და სიკვდილთან მიახლოებულებმა ვცადოთ, ვიყოთ ზომიერნი, ფხიზლები და სამართლიანები, რათა სიკვდილით მაინც გავხდეთ ცხონების ღირსნი. *(წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი)*

✗აქამდე არაფერი გაგვიკეთებია, ახლა მაინც დავიწყოთ შრომა (ცხონებისათვის).

✗ვინც ახალგაზრდობით ჰყვავის, იმედი აქვს, რომ ღრმა მოხუცებულობას მიაღწევს, მოხუცებულთ კი არაფრის ლოდინი არ შეუძლიათ – გარდა სიკვდილისა.

დრო და მარადიულობა

ო, დრო, დრო! როგორი სწრაფი და ამასთან, რა არასაიმედო ხარ! ზარის ყოველი ჩამოკვრა, რომელიც შენს მდინარებას აუწყებს, განა ჩვენთან მოახლოებული მარადისობის მაცნე არაა?! დროსა და წლების შემცველმა თავისი მარჯვენით ამაოდ კი არ გვიანდერძა, გაგვეწმიდა ჩვენი საჭიროებანი და სურვილები არაუშორეს აწმყოს დღის საზღვრამდე და ყოველგავრი სიკეთის მომნიჭებელისგან ჩვენთვის მხოლოდ არსობის პური გვეთხოვა.

როგორი სწრაფია დრო. ამაოდ კი არ გამოხატავენ დროს ფრთებით, რადგან იგი მართლაც ისე მიედინება, თითქოს ფრთებით მიფრინავს.

როდესაც არ მეკითხებიან, რა არის დრო, მე ვიცი, რა არის იგი; ხოლო როდესაც მინდა მისი განმარტება, უკვე საერთოდ აღარ ვიცი *(ნეტარი ავგუსტინე)*.

დრო ხანგრძლივი ჩანს მხოლოდ მათთვის, ვინც არ იციას, რაში გამოიყენოს იგი.

ადამიანებს, რომლებიც ყურადღებით ეპყრობიან საკუთარ მოვალეობებს, არ ყოფნით საქმე დროისთვის, დრო კი – საქმისთვის.

წარმოიდგინეთ უკიდეგანო სივრცე: რა მნიშვნელობა ექნება მასში ერთ მტკაველს? ასევე, ჩვენი საუკუნეც არაა უმეტესი, ვიდრე – მტკაველი მარადისობის უკიდეგანო სივრცეში, მეფსალმუნის სიტყვებით: „ესერა ზომით ჰყვენ დღენი ჩემნი“ (ფს38, 5). – არაუმეტეს, ვიდრე – ზღვაში წვეთი, როგორც მარცვალი სილაში (ზირ. 18, 8), ნაპირზე ან ზღვის ფსკერზე, – როგორც „არარაი“ (ფს.38,5) და ამასთან, უმეტესწილად, ჩვენ, უგუნურნი, მათ ყოველგვარი საზრუნავით ვზღუდავთ და მარადიულობაზე თითქმის არც ვფიქრობთ, თითქოს იგი ჩვენთვის არც არსებობს.

დრო მიჰქრის, მარადისობა კი ახლოვდება.

მარადისობა მუდამ და არასდროს არის, ანუ ყოველთვის იქნება და არსდროს დასრულდება *(წმიდა ტიხონ ზადონელი)*.

მუდამ გახსოვდეს მარადისობა და ამქვეყნად არაფერს მოისურვებ.

უდიდეს ქმედებებს მუდამ მარადისობაზე ფიქრი წარმოშობდა: იგი შთააგონებდა მოწამეებს და მათ ყველაზე ულმობელი ტანჯვასადმიც კი უშიშარს ხდიდა; იგი ამწყვდევდა უდაბნოებში მოსაგრეებს და მიჰყავდა ისინი არაადამიანური თვითუარყოფის ღვაწლამდე; იგი აჩერებდა უკანონობის გზაზე მდგარ ფესვებგადგმულ ცოდვილსაც და ძალას მატებდა მათ ვაჟკაცობით შერკინებოდნენ თავიანთ ვნებებს. მარადისობაზე განსჯას რა არ შეეძლო მოეწია ჩვენზე, დროდადრო რომ საკუთარი სულის ცხონებისათვის მოგვესმინა, შეგვძლებოდა მივნდობოდით მას ისე, როგორც საჭიროა?!

იცხოვრე იმაზე ფიქრით, რომ შენი ცხოვრება დამთავრდება, და შენ არ იქნები მიჯაჭვული ამ ცხოვრებაზე. იცხოვრე მარადისობაზე ფიქრით, რომელიც დროებით ცხოვრებას მოჰყვება და იცხოვრებ ქრისტიანულად.

იცხოვრე ისე, თითქოს დღეს უნდა მოკვდე; იმოქმედე ისე, თითქოს მარადიულად იცოცხლებ.

იცხოვრე დედამიწაზე დროში ისე, რომ დროის შეწყვეტის შემდეგ მარადიულად ზეცაში იცხოვრო.

გაუფრთხილდი დროს. იგი ოქროზე ძვირფასია: მისით შეისყიდება ნეტარი მარადიულობა.

არა მხოლოდ დღეების, არამედ საათების გამოყენებასაც სასარგებლოდ შეეცადე, რადგან ყველა დიდი საგანი მცირედისგან შედგება. „ახლანდელი წამი არის პაწაწინა მარადიულობა.“ — თქვა კრთომა ბრძენმა. როგორ არ უნდა მივიჩნიოთ ძვირფასად წუთებიც კი?!

✠არ გაუშვა არცერთი წამი, რომ მისით რაიმე არ შეიძინო მარადიულობისათვის.

✠დაიჭირე წუთები, რათა მოიხელთო წლები და არ გაგექცეს მთელი ცხოვრება.

✠მოუფრთხილდი ყოველ წამს, თითოეულ მათგანზე შენი სიცოცხლე ემყარება!

✠თუ გიყვარს ცხოვრება, დრო უქმად არ გაფლანგო, იმიტომ, რომ ცხოვრება დროისგან შედგება.

✠სარგებლით იყურე, სარგებლით ისმინე, სარგებლით ისაუბრე, სარგებლით უპასუხე *(წმ. ბასილი დიდი)*.

✠ყოველ საათს, ყოველ წუთს გაუფრთხილდი, რადგან თვლითაა მოცემული და მათში ანგარიშს მოითხოვნ.

✠როგორ არ უნდა გავუფრთხილდეთ დროს, როდესაც უბრძენესი ჩანაფიქრი არ გვაძლევს ჩვენ ერთდროულად ორ წუთს, არამედ ახალს სხვანაირად არ აგზავნის, თუ ადრე მოცემულს არ წაგვართმევს; ყოველ წუთს კი, რომელიც ჩვენთვის ბოძებ-

ულს მოსდევს, თავისთან ინახავს, ჩვენ კი დაეჭვებულს გვტოვებს, მივიღებთ კი მას?!

დრო ძვირფასია, მაგრამ რაოდენ ფუქსავატური დამოკიდებულება აქვთ მისდამი, როგორ ნაკლებად აფასებენ მას? – „როდესაც თქვენი ღვინო ილევა, მწუხარენი ხართ, – ამბობს ნეტარი ავგუსტინე, – ხოლო როდესაც კარგავთ დროს – მხიარულები!“

ხანგრძლივია თუ არა ჩვენი ცხოვრება, რომლითაც მშვიდი მარადიულობა უნდა მოვიპოვოთ? ჩვენ კი მცონარებით უფრო ვამცირებთ ძვირფას დროს!

რა მრავალია ახლაც ისეთი, ვისაც უნდა უმტკიცო იგივე, რასაც სენეკა ხშირად ეუბნებოდა თავის თანამედროვეთ: „დროის ერთ ნაწილს თქვენ სულელურად ატარებთ, უმეტეს ხანს არაფერს აკეთებთ და თითქმის მთელ ცხოვრებას აკეთებთ იმას, რაც საჭირო არ არის!“

არ არსებობს დრო, როცა შეგვიძლია, რომ საფრთხე არად ჩავაგდოთ, იმიტომ, რომ

ნებისმიერ წამს შესაძლებელია, როგორც ჩვენი ცხონება ასევე – დაღუპვა.

✦დაკარგულ ან ფუჭად ჩავლილ ერთ დღეს, ერთ საათს, ერთ წუთს შეუძლია მარადიულობაში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდეს;

✦საქმე დროის საზღვარია;

✦ყველა დროისთვის არის თავისი საქმე და ყველა საქმისთვის არის თავისი დრო;

✦კეთილი საქმე, რომლის გაკეთებაც ახლა შეიძლება, არ უნდა გადადო მომავლისთვის, რომლისთვისაც არის და იქნება თავისი საქმე: რადგან სიკეთის აღსრულების შემთხვევა შეიძლება, ხელიდან წაგივიდეს, და მასთან ერთად გაიფანტება სიკეთეც, რომელსაც იგი ხელს უწყობს.

✦დროთი უნდა სარგებლობდე: იგი რკინის მსგავსია, რომელიც თუ გაცივდება, გამოჭედვისთვის მოუხერხებელი იქნება.

✦დრო, ასე ვთქვათ, ბაზარია: შეგვიძლია იქ ვიყიდოთ, რაც გვინდა. მაგრამ თუ ჩვენივე

სასიკეთოდ არ გამოვიყენებთ მას, მაშინ ყიდვას ვერაფრისას შევძლებთ *(წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

დროის მეშვეობით შეიძლება, მოიპოვო ყველაფერი – თუნდაც ზეცა და ნეტარი მარადისობა, ხოლო დროის შეძენა არაფრით შეიძლება.

ვიდრე დრო გვაქვს, ვაკეთოთ სიკეთე. დედამიწაზე ყოველგავრი დანაკარგი შეიძლება ანაზღაურდეს (თუ მთლიანად არა, რამდენადმე მაინც) სხვა რაიმეთი; მაგრამ, როდესაც ვკარგავთ დროს, მაშინ სხვას ვეღარ ვიპოვით *(წმ. იოანე მმარხველი)*.

თუ ვინმე დაკარგავს ოქროს ან ვერცხლს,მის ნაცვლად შეუძლია,იპოვოს სხვა; ხოლო თუ დავკარგავ დროს მცონარობითა და უქმი ცხოვრებით, მაშინ ვერ შევძლებთ, ვიპოვოთ დაკარგულის სანაცვლოდ სხვა *(ამბა დოროთე)*.

ვაი ზარმაცს! იგი იმ დროის გამო ზღავს, რომელიც ცუდად გამოიყენა და უკვე ვეღარ იპოვის *(წმ. ნილოს სინელი)*.

✦როგორც ნათქვამი სიტყვის, ასევე დაკარგული დროის მოძებნა შეუძლებელია *(წმ. ტიხონ ზადონელი).*

✦გეშინოდეს თუნდაც ერთი დღის დაკარგვისა, იცოდე, რომ იგი არ დაბრუნდება.

✦წარმართთა იმპერატორი ტიტუსი მთელი ცხოვრება ღამის დადგომისთანავე ანგარიშს აბარებდა საკუთარ თავს, თუ რა გააკეთა დღის განმავლობაში; და როდესაც დღე ისე გათავდებოდა, რომ კარგი არაფერი ჰქონდა გაკეთებული, თავის დღიურში აღნიშნავდა: „ეს დღეც დავკარგე!“

✦დროის საუკეთესო გამოყენება მისი საუკუნეებისა და დროის შემოქმედისადმი მიძღვნით შედგება.

✦ვინც უფალს თავის დროს არ მიუძღვნის, მას უფალი თავის ნეტარ მარადისობას მოაკლებს.

ნუ წარიკვეთ სასოს

❦ნარმატებებით ნუ იტრაბახებ და ცოდვის აღსრულების შემდეგ სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი *(წმ. ეფრემ ასური)*.

❦შეცოდება – ადამიანური საქმეა; სასოწარკვეთა – სატანური *(წმ. ნილოს სინელი)*.

❦იცოდე, რომ დემონური ჩანაფიქრია ის, რომელიც იტყვის: „სად გაიქცევი? სინანული არ გაქვს, შენდობას ვერ მიიღებ“ *(ამბა იასა)*.

❦გაიხსენე ღვთის სამსჯავრო, შეძრწუნდი, მაგრამ არც მისი გულმოწყალება დაგავიწყდეს, რომ სასო არ წარგეკვეთოს.

❦წარიკვეთო სასო – ნიშნავს, თავად წაართვა საკუთარ თავს ღვთის მოწყალება, რომლის მოსაცემადაც უფალი ყოველ წუთს მზადაა.

❦უზომობა მაცხოვნებელ მწუხარებას ცოდვებზე უმეტესად დამღუპველად აქცევს.

✤მოიგონეთ, საყვარელნო, რომ ღმერთმა არ იცის მის მავედრებელთა სრულებით გაწირვა და სამუდამო დავიწყება. გაიხსენეთ, რამდენჯერ ყოფილან ამგვარსავე გაჭირვებაში, ამისთანა განსაცდელში ებრაელები, და როდესაც გულით შევრდომიან უფალს, დაუყოვნებლივ მოვლინებიათ მისგან მტრის შემმუსვრელნი მძლავრნი, გონიერნი და სიმართლით აღვსილნი კაცნი *(ეჰ. ლეონიდე ოქროპირიძე)*.

✤დაკარგული ფული უმნიშვნელო დბაკარგია, დაკარგული დრო – დიდი დანაკარგი, დაკარგული სული (სასოწარკვეთის შედეგი) – ყოველივეს დაკარგვას ნიშნავს.

✤დაუდევრობა აგდებს ზეციდან, სასოწარკვეთა კი ულრმესი ბოროტების უფსკრულისაკენ მიუძღვის *(წმიდა იოანე ოქროპირი)*.

✤სასოწარკვეთა ჯოჯოხეთია სულში, მანამ, ვიდრე სულს ჯოჯოხეთში ჩააგდებდეს.

✤სასოწარკვეთილების ცოდვა ერთერთი იმათგანია, რომლის შენდობაც ქვეყანაზე

ძნელია, იმიტომ, რომ ის პირდაპირ, ბუნებრივად ეწინააღმდეგება შენდობას, რადგანაც კარს უხშობს სინანულს – იმ ერთადერთს, რომლის საშუალებითაც შენდობას მიიღებდა და განსაკუთრებით იმიტომ, რომ შეურაცხყოფს და განაგდებს ღვთის გულმოწყალებას, რომელიც შენდობის მიმნიჭებელია.

ღვთის მოწყალების უარყოფა უდიდესი უბედურებაა, მთელი სამყაროს ცოდვებზე უარესი. ამიტომ შესცოდა იუდამ უმეტესად სასოწარკვეთით, ვიდრე იუდეველებმა – ქრისტეს ჯვარცმით.

თქვენი ცოდვების ზომა დაადგინეთ მხოლოდ სიმდაბლით, შეზღუდეთ ამპარტავნება და არ გაზომოთ მისით ღვთის მოწყალება, რომელიც უსაზღვროა.

რამდენად ბევრი და დიდი ცოდვაც არ უნდა ჰქონდეს ვინმეს, უფალს უმეტესი მოწყალება აქვს, იმიტომ, რომ, როგორც თავადაა უსასრულო, ასეთივეა მისი მოწყალებაც *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

თვალუწვდენელი ოკეანე ერთნაირად შთანთქავს ფართო მდინარეების წყლებსაც, რომლებიც მრავალ ქვეყანას დიდებულად ჩამოივლიან და ძლივს შესამჩნევ მომცრო წყაროს ნაკადსაც: ასევე თანაბრად ქრებიან ღვთის მადლში მძიმე ცოდვით დაცემანი უმცირეს, უმნიშვნელო შეცოდებებთან ერთად.

წარმოიდგინე ნაპერწკალი, რომელიც ზღვაში ჩავარდა: შეძლებს კი უვნებელი გადარჩეს ან კვლავ გამოჩნდეს მასში? რა არის ნაპერწკალი ზღვასთან მიმართებაში, იგივეა მანკიერებაც ღვთის კაცთმოყვარეობასთან მიმართებაში, და – ამდენიც არა, არამედ – გაცილებით მცირე. ზღვა თუმცა უზარმაზარია, მაგრამ მაინც შემოსაზღვრულია, ღვთის კაცთმოყვარეობა კი უსაზღვროა *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

შენი ცოდვები რომ მთელი სამყაროს ცოდვებს უტოლდებოდეს, მაინც არ უნდა წარიკვეთო სასო, რადგან ჩვენი მხსნელი

ის ტარიგია, რომელმაც იტვირთა მთელი სამყაროს ცოდვები

✝უფალი არ უყურებს უამრავ და უდიდეს ცოდვებს, არამედ მონანულის გულმოდგინებას. ავაზაკები, მემრუშენი, მწვალებელნი, ვეცხლისმოყვარენი, ერთი სიტყვით, ყველა უდიდესი ცოდვილნი, რომელმაც ჭეშმარიტად შეინანა, სავსებით ამტკიცებს ამ ჭეშმარიტებას.

✝ყველაფერზე შეიძლება გვეთქვას უარი, მაგრამ ჩვენს ცხონებაზე არასდროს, არასდროს!..

✝ზეციურ ექიმს არ ჰყავს უკურნებელი ავადმყოფები. სადამდეც ვცხოვრობთ, მანამდე შეგვიძლია ცხონება, რამდენად დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი ცოდვები. თავად იუდას რომ ნაცვლად დამლუპველი ხისა, რწმენითა და სინანულით ქრისტეს ჯვრის ხისკენ ეჩქარა, მაშინ მონანულ ავაზაკთან ერთად შევიდოდა სამოთხეში — ყოველგვარი ვერცხლის გარეშე. ასე მსჯელობენ

და ასწავლიან ამის შესახებ ეკლესიის ღვთივგანბრძნობილი მამები.

✠ადამიანს ღუპავს არა დიდება, არა ცოდვათა სიუხვე, არამედ – მოუნანიებლობა და გასასტიკებული გული *(წმ. ტიხონ ზადონელი).*

✠უფალი ცოდვილებს კი არ ასამართლებს, არამედ – მოუნანიებელ ცოდვილებს.

✠ისინი უცილობლად მიიღებენ საუკუნო სამსჯავროს ჯოჯოხეთში ეშმაკთან, რომლებსაც არ სურთ მონანიება და ცოდვების დატევება: ცოდვის დამტევებელ მონანულთ კი განეღებათ ღვთის მოწყალების კარი *(წმ. ტიხონ ზადონელი).*

✠უდიდესია შენი ცოდვები, მაგრამ ღვთის მოწყალება დაუსრულებელია. უხვად გაქვს ცოდვები, მაგრამ უფლის სიუხვე დაუთვლელია.

✠უფალი კეთილია ყველასადმი, მაგრამ უპირველესად და უმეტესად – მონანული ცოდვილებისადმი.

ძე ღვთისას უყვარდა დაუცემელი ადამიანი, მაგრამ კიდევ უფრო მეტად შეიყვარა იგი – დაცემული; თავად მოვიდა მის აღსადგენად და უთხრა: „განიღვიძე, რომელსა-ეგე გძინავს, და აღდეგ მკუდრეთით!“ (ეფ. 5,14).

უფალს არ სურს „ბოროტეულის სიკუდილი“ (ეზეკ. 33,11): იგი მოკვდა კიდეც ცოდვილთა საცხოვნებლად.

გახსოვდეს, რომ ქრისტე მოკვდა ცოდვილთათჳს, და არა – მართალთათვის *(წმ. ისააკ ასური)*.

ქრისტეს არ ეყოლებოდა მართალნი, მოწყალებით რომ არ მიეღო ცოდვილნი.

წმიდანთა რიგი ყოველთვის იზრდება ცოდვილთა რიგიდან *(ნეტარი ავგუსტინე)*.

შეიძლება, ადამიანებზე იმედის დამყარება დაგვიანებული იყოს, მაგრამ უფლისადმი სასოება არასდროსაა გვიან *(წმ. დიმიტრი როსტოველი)*.

სინანულის გზით წარიხოცებიან ცოდვები მაშინაც, თუ ეს სინანული უკანასკნელ ამოსუნთქვას ახლავს *(ნეტარი ავგუსტინე)*.

სინანული დროის ხანგრძლივობაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ მონანულის გულმოდგინებაზე (წმ. ტიხონ ზადონელი).

არ არსებობს დაგვიანებული სინანული, ვიდრე ადამიანი ამქვეყნად ცხოვრობს.

მხოლოდ მაშინ შეიძლება უარი თქვა შენდობის იმედის იმედზე, როდესაც ჯოჯოხეთში იქნები, იმიტომ, რომ მხოლოდ იქ იქნება ეს წამალი უძლური და უშედეგო; ვიდრე აქ ვართ, იგი თუნდაც სიბერეში ან თავად სიკვდილის პირას მყოფებსაც რომ გვეწვიოს, – კეთილმოქმედი და მაცხოვნებელი იქნება (წმ. იოანე ოქროპირი).

არ წარიკვეთო სასო, როცა იცი ღვთის უსაზღვრო მოწყალება, თუნდაც მრავალ ცოდვაში იყო ჩაფლული და თუნდაც შენს წინაშე სიკვდილს ხედავდე: მაგრამ ღვთის მოწყალებაზე ფიქრი ცოდვის ჩადენის წამახალისებელი, ანდა ცოდვლი ცხოვრების გამაგრძელებელიც ნუ გახდება, უფალი მოწყალეა ცოდვილებისადმი, მა-

გრამ – არა ყველასადმი, არამედ – მხოლოდ მონანულთადმი; ჯიუტ და მოუნანიებელ ცოდვილების მიმართ კი იგი მართლმსაჯულია.

არ წარიკვეთო სასო, იმიტომ რომ უფალი მოწყალეა; მაგრამ არ იყო უდარდელიც, იმიტომ, რომ იგი მართალია *(წმ. იოანე ოქროპირი).*

ერთი თვალი მიაპყარი მოწყალე უფალს, მეორე კი მის სიმართლეს *(წმ. ტიხონ ზადონელი).*

სინანაული

ღვაში გადაგდებული ქვა ქრება და ყველასათვის უხილავი რჩება. ასევე ქრებიან ღვთის უძირო მოწყალებაში ჩაძირული ჩვენი ცოდვებიც – ზეციური მართლმსაჯულების თვალთა წინაშე, თუ გულწრფელად მოვინანიებთ მათ.

❖ერთმა მეომარმა ჰკითხა ამბა მოხუცს: იღებს თუ არა უფალი სინანულს? ბერმა მიუგო: „მითხარი, საყვარელო, თუ ლაბადა გაგეხა, გადააგდებ მას?“ – მეომარმა უპასუხა: „არა! დავკემსავ და კვლავ გამოვიყენებ“. – „თუ ასე უფრთხილდები შენს ტანსაცმელს, – უთხრა მას ბერმა, – მაშინ მითუმეტეს, განა უფალი არ დაინდობს თავის ქმნილებას?!“

❖საკუთარი ცოდვების შეგნება და თვითყვედრება – პირველი ნაბიჯებია სინანულის გზაზე (ლკ. 15,17-19).

❖საკმარისი ძალა უნდა გქონდეთ, რომ შეცოდებები აღიაროთ და ამგვარად აღხოცავთ მათ.

❖აღიარე,რომ სცოდე, და აღიხოცება შენი ცოდვები *(წმ. ნილოს სინელი)*.

❖თუ ცოდვას არ აღიარებ, კიდევ უფრო ამძიმებ მას.

❖ორმაგად სცოდავს ის, ვინც სცოდავს და ცოდვით იწონებს თავს,

დანაშაულია არა იმდენად ცოდვის ჩადენა, რამედენადაც – ცოდვის ქმნის შემდეგ უსირცხვილობა *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

სადაც ღირსების გრძნობა გათელიალია, იქ მეტად გამოსწორება შეუძლებელია, მაგრამ სადაც იგი ჯერ კიდევ შემონახულია, იქ ყოველთვის არის ცხონების იმედი.

მცოდველი თავს უნდა განიკითხავდეს, თუნდაც სხვა არ ადანაშაულებდეს.

კეთილ გზას ის ადგას და ცოდვების შენდობის იმედი შეუძლია მას ჰქონდეს, ვინც საკუთარი თავით უკმაყოფილოა *(ნეტარი ავგუსტინე)*.

თუ სული თავს უფლის წინაშე დაიდანაშაულებს, უფალი მას შეიყვარებს *(ამბა ჰიმენი)*.

ცოდვილმა, რომელმაც მეყსეულად გაკიცხა თავი, უფლის მსჯავრი აირიდა.

შეუნდე სხვებს ყველაფერი, შენ თავს კი – არაფერი.

ვინც თავს იმართლებს, იგი თავს სინანულისაგან აუცხოებს *(ამბა ისაია)*.

✠სათნოებათა მწვერვალი სიყვარულია, ვნებათა მწვერვალი კი – თვითგამართლება.

✠არასდროს ეცადოთ თავისმართლებას, თუ ამისთვის საკმარისი მიზეზები არ გაქვთ.

✠საკუთარი ბიწიერი ცოდვების ადამიანური სისუსტეებით გამართლებას საერთოდ არ გააჩნია ძალა იმისათვის, რომ ვინმე გამართლდეს.

✠ნუ დაიწყნარებ თავს ცოდვის ქმნისას ახლობლების ცხოვრების უზნეო მაგალითით, ანდა, როგორც ღირსი თეოფანე ამბობს: „შენს ირგვლივ ცოდვის ჩვეულებრიობით“. ეს არ გამოგადგება ცოდვების გასამართლებლად და შესაბამისად, ღვთის მართლმსაჯულებისაგან ვერ გიხსნის.

✠ერთობლივად ჩადენილი ცოდვა ნაკლებ ცოდვად არ ითვლება იმის გამო, რომ იგი ერთობლივია; სწორედ ამგვარი ცოდვები აღძრავენ უფლის ყველაზე ძლიერ რისხვას (შესაქმ. 6,5-7).

✤რაოდენობის მიუხედავად, „მოსპოლად უფლისა ყოველთა მოქმედთა უსჯულოებისათა“ (ფს. 100, 8).

✤რა სულელური ანდაზაა: „როგორც ყველა, მეც ისე!“ ნოე რომ ყველასნაირი ყოფილიყო, მაშინ ისიც სხვებთან ერთად დაიღუპებოდა

✤ვინმე იტყვის: „მარტო მე არ ვცოდავ“, ასეთებს მიუგებენ: „ჯოჯოხეთში ადგილები სამყოფია“.

✤ღვთისგან შენთვის განკუთვნილი მადლის მიღების იმედი ნუ გექნება, თუ საკუთარი ცოდვილი ცხოვრების გამოსასწორებლად არ ზრუნავ.

✤ბევრი ჩვენგანი, ვისაც ღვთისაგან მრავალგვარი სიკეთე აქვს ალთქმული, საკუთარი თავისაგან არაფერს ითხოვს.

ზიარება

ზიარების საიდუმლო, თუ მას მთელი სისრულით გავიაზრებთ, მარადიულობას მოიცავს: იმიტომ, რომ ეს წმიდა საიდუმლო ღვთის ყოვლადძლიერების, სიბრძნისა და ჩვენდამი სიყვარულის მწვერვალს წარმოადგენს.

ღმერთის უსაზღვრო სიყვარულის რაოდენ მიუწვდომელი სასწაული გაიხსნება ჩვენთვის ზიარების საიდუმლოს საშუალებით! — „ღმერთი, მთელი თავისი ყოვლისშემძლეობით, ვერ შეძლებდა მოეცა ჩვენთვის რაიმე, უფრო აღმატებული; მთელი თავისი სიბრძნითაც კი ვერ იპოვიდა რაიმეს უკეთესს და მთელი თავისი სიმდიდრის მიუხედავად, ვერც ექნებოდა რაიმე — ამაზე აღმატებული — ჩვენთვის მოსაძღვნელად.“ — ამბობდა ნეტარი ავგუსტინე.

მღვდელმოქმედებას, რომელზედაც ზიარების წმიდა საიდუმლო აღესრულება, ევქარისტია (სამადლობელი) ეწოდება გან-

საკუთრებულად იმიტომ, რომ ამ დროს უმეტესად მადლობის გრძნობით ვართ აღსავსენი, ვიდრე – ვედრებით; რადგანაც აქ ჩვენ იმაზე მეტს ვილებთ, ვიდრე ვითხოვდით და არც რჩება რაიმე, რასაც ზიარების საშუალებით არ გვაძლევს ღმერთი.

ღმერთს რომ მთელი თავისი კაცთმოყვარებით ადამიანისათვის მიეცა ნება, რომ მას ეთხოვა ღვთისაგან ყოველივე, რასაც მოინდომებდა და რის წარმოდგენასაც კი შესძლებდა, განა თუნდაც ასეთ ვითარებაში გაბედავდა ადამიანი, ეფიქრა იმაზე, რასაც მას ამჟამად ზიარების საიდუმლოთი სთავაზობენ?!

ხვდები კი, ადამიანო, რაოდენი პატივის ღირსი გახდი? რაგვარი ტრაპეზით საზრდოობ? რასაც ძრწოლით უცქერენ ანგელოზები და მისგან გამომავალი ბრწყინვალების გამო თვალის გასწორებას ვერ ბედავენ, სწორედ ამით ვიკვებებით ჩვენ, მას ვეზიარებით და ვხდებით ერთხორცი და ერთი

სხეული ქრისტესი; „ვინმე იტყოდის ძლიერებათა უფლისათა, სასმენელყვნეს ყოველი ქებულებანი მისნი?“ (ფს. 105, 2). *(წმ. იოანე ოქროპირი).*

მარიამი, მისი სათნოებების სისრულის გამო გამოირჩა დედად ღვთისა, როდესაც თავის წიაღში იტვირთა მაცხოვარი, მან მადლიერების მწვერვალზე მყოფმა იღაღადა: „ყო ჩემთანა დიდებული ძლიერმან“ (ლუკ. 1, 49). განა ამასვე არ უნდა ამბობდეს ის ქრისტიანი, რომლის სულიც, ტერტულიანეს თქმით, საღვთო ტრაპეზის მიღების შემდეგ თვით ღვთის მიერ არის გაპოხიერებული“?!

თუკი ვინმეს ეეჭვება და არ სწამს, რომ წმ. ზიარების შედეგად პური, რომელიც ტრაპეზზე დევს გარდაიქმნება იესო ქრისტეს – ძე ღვთისას ხორცად, ხოლო ღვინო – მის სისხლად (ლიტურგიის აღსრულებისას) და ისინი მის ჭეშმარიტ ხორცსა და სისხლს წარმოადგენენ, მაშინ

მართლმადიდებელმა ქრისტიანმა მას უნდა ჰკითხოს: „შეუძლია ღმერთს, შექმნას რაიმე ადამიანზე უმეტესი და მის გონებაზე აღმატებული?“ და როდესაც იგი მიუგებს – დიახ! მაშინ კვლავ ჰკითხოს: „მაშ რად ვერ შესძლებს იგი თავისი ხორცი მოგვცეს საჭმელად, როდესაც ღვთის სიტყვით „დაემყარა ცა“, განა იმავე სიტყვით ვერ გადააქცევს იგი პურსა და ღვინოს თავის სისხლად და ხორცად?“ *(წმ. დიმიტრი როსტოველი).*

გარდაქცევის ანუ გარდაქმნის სასწაული, რომელიც პურისა და ღვინოს ღმერთკაცის ყოვლადწმიდა ხორცად და სისხლად გადაქცევით აღესრულება ზიარების საიდუმლოში, მიუწვდომელად (ე.ი. წარმოუდგენლად) არ უნდა მოგვეჩვენოს, მაშინ, როდესაც ვხედავთ – ჩვენს საკუთარ სხეულში ჩვეულებრივ როგორ გადაიქცევა პური ხორცად და ღვინო – სისხლად.

შენ იკითხავ: „როგორ შეიძლება, რომ კურთხეული ხორცი ქრისტესი – სულთან

ერთად, სახარების სწავლების მიხედვით, იმყოფებოდეს მარჯვენით ღვთისა მამისა ანუ, არა – ყველგან და ამავდროულად ყოველ სამსხვერპლოზეც იმყოფებოდეს, ან, მეორე მხრივ, როგორ, შეიძლება, რომ გამუდმებული განყოფის შედეგად არ შემცირდეს მისი სისხლი და ხორცი?“ მაშ მითხარ, საყვარელო, როგორ ანათებს მზე, განა ის ყველგან იმყოფება? არა! განა იგი როდესმე ტოვებს თავის ადგილს ზეცაში? არასოდეს! მაგრამ, მიუხედავად ამისა, მზის სითბო და სინათლე ყველგან სწვდება, ყველგან არის ცხოვრება და სიხარული. განა მზემ პირველად გუშინ, ან სამი დღის წინ გამოსცა ნათელი? არა. – უკვე შვიდი ათას წელზე მეტია, რაც ის ანათებს; მიუხედავად ამისა, არც მზის სფერო დაპატარავებულა და არც ძალა გამოლევია მას. ასე რომ, შენს კითხვაზე ამგვარად პასუხობს ცა. რისი გაკეთებაც შეუძლია მზეს, განა იმავეს ვერ იზამს იგი, ვისთვისაც უფრო

ადვილია ახალი მზის გაბრწყინება ზეცაში, ვიდრე ჩემთვის და შენთვის სანთლის დანთება? მზის ეს მაგალითი ახსნის იმასაც, თუ როგორ არის ქრისტეს ხორცი მთლიანი, მაშინ, როდესაც იგი ევქარისტიის საიდუმლოზე დაუსრულებლად განიყოფა: მაშ, აიღე სარკე და მზის საპირისპიროდ მოათავსე, მასში მზის მთელი დისკო აისახება, მერე სარკე დაამტვრიე და მისი რომელიმე ნაწილი დადგი იქვე, ნახავ რომ მზე მასშიც მთლიანად გამოჩნდება.

თუკი ნივთიერ და ხრწნად მზეს, რომელიც შემოქმედის მიერ შეიქმნა და დადგინდა და მისი ნების ერთი უბრალო მოძრაობით მოვიდა ყოფიერებაში, ძალუძს ერთდროულად აისახოს წყლის უთვალავ წვეთში, მაშ, რად ვერ შეძლებს თვით ყოვლისშემძლე და ყველგანმყოფი შემოქმედი, თავისი წმიდა სისხლითა და ხორცით ერთდროულად მთლიანად იმყოფებოდეს როგორც თავის ღვთაებრივ ბუნებასთან, ასევე ყოველ ტაძ-

არშიც, სადაც მისი ნებითა და დადგენილებით პურსა და ღვინოზე ლოცვით მოიხმობა ყოვლადწმიდა და ყველგანმოქმედი სული – უდიდესი, მაცხოვნებელი, მიუწვდომელი საიდუმლოს აღსასრულებლად.

თუ ის გაკვირვებს, რომ ერთი – მთელი ქრისტე უამრავ ნაწილებად, თანაბრად ეძლევა მართლებს და ერთს – მეტი და მეორეს – ნაკლები არ ხვდება, მაშინ იმანაც უნდა განგაცვიფროს, თუ როგორ გამოდის ერთი ხმა ჩემი ბაგიდან და როგორ ისმის იგივე ხმა შენს ყურში *(წმ. დიმიტრი როსტოველი)*.

თუ ის გიკვირს რომ ჩვენ ხშირად ვჭამთ ქრისტეს ხორცს, ის კი არ მცირდება, არამედ საუკუნოდ არსებობს, მაშინ ისიც უნდა განცვიფრებდეს, რომ ერთი სანთლიდან უამრავ სხვა სანთელს ანთებენ, მას კი სინათლე არ აკლდება *(წმ. დიმიტრი როსტოველი)*.

თუ იმან გაგაკვირვა, თუ როგორ თავსდება საიდუმლოს ერთ პატარა ნაწილში

ქრისტე, განგაცვიფროს იმანაც, თუ როგორ ხდება, რომ ერთ მცირე მარცვალში – შენი თვალის გუგაში მთელი ქალაქის სანახაობაა მოქცეული *(წმ. დიმიტრი როსტოველი)*.

ჭამის მადა სხეულის ჯანმრთელობაზე მიუთითებს, მისი არქონა კი სნეულების ნიშანია, სწორედ ასევე: ქრისტეს ყოვლადწმიდა ხორცისა და სისხლის – ზეციური საკვების – შიმშილი და წყურვილი სულის კეთილი მდგომარეობის მიმანიშნებელია, ხოლო მათგან განდგომა სულიერი სნეულების აშკარა ნიშანია.

ქრისტეს წმიდა საიდუმლოსთან ზიარების გარეშე ადამიანი იგივეა, რაც ხე – მაცოცხლებელი წვენის გარეშე.

პური და ღვინო, რომელსაც ევქარისტიის საიდუმლოში ვიღებთ, უფლის აღთქმისამებრ, სამარეშიც კი მოქმედებს ჩვენში (იონ. 6, 48-51).

ცუდია წმ. საიდუმლოსთან განშორება, მაგრამ უღირსად ზიარება უარესია.

❧რომელი ჩვენგანი იზამს, რომ ძვირფასი სამოსი ჭუჭყიან და მყრალ წყალში ჩაყაროს?! გაბედავთ, რომ მაცხოვრის ძვირფასი სისხლი ცოდვით სავსე გულში მიიღოთ *(ნეტ. ავგუსტინე)*.

❧შიში და სარწმუნოება – ეს გრძნობები, ეკლესიის სწავლებით, აუცილებლად უნდა აღავსებდეს „საღმრთო ბუნებასთან“ მაზიარებელთა სულებს.

❧როდესაც წმიდა ბარძიმთან მიდიხარ, ისე მიდი, თითქოს თვით ქრისტეს ფერდიდან სვამდე *(წმ.იოანე ოქროპირი)*.

სიკვდილი

❧არსებობს ერთი უეჭველი და გარდაუვალი შეხვედრა, ესაა შეხვედრა სიკვდილთან.

❧შესაძლოა, უკვე დიდი ხანია იზრდება ის ხეები, რომლებიდანაც ჩვენს კუბოებს გააკეთებენ.

გახსოვს კი, რომ რაც მეტს ცხოვრობ, მით მეტად უახლოვდები სიკვდილს?!

მომავალი განჭვრიტე, როგორც გონიერმა კაცმა; აწმყოს დააკვირდი, როგორც კაცი მოკვდავი *(წმ. ეფრემ ასური)*.

რას იფიქრებდით იმ ვაჟზე, რომელიც მამისაგან შორს ცხოვრობს და იმდენად არის დაკავებული უცხო ქვეყნის საქმეებითა და სიამოვნებებით, რომ მამასთან და მამის სახლში დაბრუნებას არც ფიქრობს და არც საამისო შესაძლებლობებით სარგებლობს?! უეჭველია, იტყოდით, რომ ამ ვაჟს მამა არ უყვარს; მაშ, რაღა ვიფიქროთ იმ ადამიანზე, რომელიც იმდენად არის დაკავებული მიწიერი საქმეებით და სიამოვნებებით, რომ არ ფიქრობს თავის უეჭველ დაბრუნებაზე (სიკვდილის გზით) ზეციურ მამასთან და მის სახლში – ზეცასა და მარადიულობაში?! აუცილებელია, ვთქვათ: იქნებ ამ ადამიანს არ უყვარს ღმერთი ან იქნებ მას ღმერთზე მეტად უყვარს სოფელი.

ამიერიდან ნურაფერს იზამ ღმერთისა და სიკვდილის გახსენების გარეშე.

არაფერია ისე ნამდვილი, როგორც – სიკვდილი, მაგრამ არც რამეა უფრო მეტად დაფარული კაცთათვის, როგორც მისი მოსვლის დრო.

ჩვენ ვიცით, რომ ყველა მოვკვდებით, მაგრამ, ვინ ვის გაუსწრებს: მოხუცი – ახალგაზრდას, თუ ახალგაზრდა – მოხუცს, არავინ უწყის.

სიკვდილი უხილავად მიდის ადამიანთან, იქ წამოეწევა, სადაც სულ ვერ იფიქრებდა, მაშინ, როდესაც არ ელის, ისე, – როგორც არანაირად არ წარმოიდგენდა.

უფალი მოგვიწოდებს თავისთან, როდესაც არ ველით; იქ, სადაც არ ველით და ისე, როგორც არ ველით.

სიკვდილი ისე გვცელავს, როგორც მინდვრად – სათიბს, არ არჩევს, უკვე დაიყვავილა მან, თუ პირველად იფურჩქნება.

ზოგიერთი სწორედ მაშინ კვდება, როდესაც საკუთარ თავს ხანგრძლივ სიცოცხლეს აღუთქვამდა.

სიკვდილი ქურდისა და მტაცებლის მსგავსია, როდესაც არ ელი, სწორედ მაშინ მოვა შენს გასაძარცვად *(წმ.დიმიტრი როსტოველი).*

როდესაც ძილის შემდეგ წამოვდგებით, ძალიან საეჭვოა, სალამომდე მივაღწევთ, თუ – არა, ასევე, როდესაც გვსურს, სხეული ძილით დავასვენოთ, არანაირი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ მომავალი დღის სხივს ვიხილავთ *(წმ. ბასილი დიდი).*

ზოგიერთი დასაძინებლად წვება სარეცელზე, ხოლო დილით სიკვდილის სარეცელზე აღმოჩნდება *(წმ. ტიხონ ზადონელი).*

ზოგიერთი იმისთვის დაწვა საწოლში, რომ სხეულს მცირეხნით, დროებით დაესვენა, მაგრამ სამუდამო ძილით დაიძინა.

დილა რომ გათენდება, იფიქრე, რომ სალამომდე ვერ გაატან, ხოლო სალამოს

საკუთარ თავს ნუ აღუთქვამ, რომ დილა გაგითენდება.

არ არსებობს არც ერთი წამი, რომელიც შესაძლებელია, ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი წამი არ იყოს.

განვსაჯოთ: შესაძლოა, ისევე მოულოდნელად მოგვიწიოს სიცოცხლესთან გამოთხოვება, როგორც გალილეველებს, ტაძარში რომ მოსწყვიტეს (ლუკ. 13, 1), როგორც იმ საბრალოებს, რომლებიც სილოამის გოდოლის სვეტების ნანგრევებმა დაიტანა (ლუკ. 13,4), ასე რომ, იქნებ, ვიდრე ვიტყოდეთ: „აი, მალე ჩვენ მოგვიწევს, მარადიულობაზე ვიფიქროთ.“ – სიკვდილის ანგელოზმა მარადიულობის კარი მანამდე გაგვიღოს.

იქნებ ზოგიერთმა დღეს რომ ამ სტრიქონებს კითხულობს, ხვალინდელი დღე ვეღარც იხილოს.

ამაოდ ევედრებოდა დავითი უფალს, რომ ეთქვა მისი დღეების რიცხვი, რათა მიმხვდარიყო რა ხნის სიცოცხლეღა დარ-

ჩა (ფს. 38,5). მაგრამ ყოვლადკეთილი და ყოვლადბრძენი გონება ამ სახიფათო ცოდნას არ გვაძლევს, რათა უკანასკნელი დღის არცოდნამ სასოწარკვეთისაგან დაიცვას ისინი, ვისთანაც ახლოა აღსასრული, ასევე, ალაგმოს ზედმეტი თვითდაჯერება მათი, ვინც სიკვდილს ჯერ კიდევ შორეულად მიიჩნევდა, ამდენად, თითოეული იძულებულია, ფხიზლად აკვირდებოდეს თავს და საკუთარ მოვალეობებს აღასრულებდეს.

❧მაცხოვნებელია ჩვენთვის, რომ უფალი არ გვამცნობს ჩვენი აღსასრულის ჟამს: დაე, თითოეულისათვის უკანასკნელ დღეზე მაცხოვნებელი ფიქრით იყოს დაკავებული *(ნეტ. ავგუსტინე)*.

❧ღვთის გულმოწყალებაა, რომ ადამიანმა არ იცის, როდის მოკვდება, რადგანაც უკანასკნელი დღე დაფარულია, ყოველი დღის მიმართ ყურადღებით ვიქნებით *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

❧რადგანაც არ იცით, სად და როდის გელოდებათ სიკვდილი, ყველგან და ყოვე-

ლთვის მის მოლოდინში იქნებით (ნეტ. ავგუსტინე).

✻რა ღვთისმოსაობით, რა სიწმიდით გალევდი დღევანდელ დღეს, რომ გცოდნოდა, რომ სწორედ დღეს უნდა მოკვდე! ამგვარადვე გაატარე მთელი ცხოვრება, იმიტომ, რომ არ იცი, ხვალამდე მიაღწევ თუ არა, და რომ შესაძლოა, ნებისმიერ საათსა და დღეს გეწვიოს სიკვდილი.

✻ყოველი საქმის წამოწყებამდე ჰკითხე საკუთარ თავს: როგორ მოვიქცეოდი ამავე შემთხვევაში დღეს რომ სიკვდილი მელოდეს?

✻ყოველდღე ისე იცხოვრე, თითქოს ყოველდღე სიკვდილს აპირებდე.

✻როდესაც რაიმე საქმეს შეუდგები, ყურადღებით უთხარი საკუთარ თავს: რა იქნება, ეხლა რომ სიკვდილი მომივლინოს უფალმა? შეამოწმე, რას გიპასუხებს შენი სინდისი და ისე მოიქეცი, რასაც ის გეტყვის.

თუკი შესაძლოა, რომ ყოველ საათს გეწვიოს სიკვდილი, მაშინ ყოველ საათს სიკვდილისთვის უნდა ემზადებოდე.

ისე იცხოვრე, თითქოს ეხლავე უნდა მოკვდე.

ყოველთვის ისეთი იყავი, როგორიც გინდა, რომ სიკვდილის წინ იყო. ის აკეთე, რის გაკეთებასაც სიკვდილის წინ ისურვებდი. ისე იცხოვრე, რომ სიკვდილმა მოუმზადებელს არასოდეს მოგისწროს.

თუ ჩვენ სიკვდილისათვის მზად ვიქნებით, მაგრამ სიკვდილი არ მოვა, არაფერს დავკარგავთ, მაგრამ თუ მოუმზადებლებს მოგვისწრო მან, მაშინ ეს თავისთავად ტკბილი და მშვიდობიანი დაბადება ზეცისათვის გადაიქცევა სულისა და სხეულის მძიმე და მტკივნეულ გაყრად. რა ემართებათ იმ დაუდევარ მეომრებს, რომლებიც ომის დროის, ბრძოლის ველზე გართობას, ლოთობას და ღრმა ძილს მიეცემიან? უეცრად საშინელი ყვირილით დაესხმით თავს

მტერი და უიარაღოები, შიშისაგან არეულები სრულიად იბნევიან, აღარ იციან რა იღონონ, რა გზას დაადგნენ: იარაღს ეძებენ და ვერ პოულობენ; შველას ითხოვენ და მათი არავის ესმის; გაქცევასა და მიმალვას ცდილობენ, მაგრამ ყოველ მხრიდან გარშემორტყმული მტერი ხელთ იგდებს მათ. ასევე შეშფოთდება სული, როდესაც მოულოდნელად დაუდგება უზრუნველსა და მძინარს აღსასრული! ლოცვის იარაღის მოძებნა უკვე გვიანია, დაბნეულობითა და საშინელებით მოცულს საკუთარ გრძნობებში გარკვევა არ შეუძლია; დაგვიანებულია დამხმარეთა ძებნა, ისინი, როგორც დაღუპულს, ურჩსა და შეუნანებელს განეშორენ მას; აღარ არსებობს ადგილი სადაც დაიმალება, იმიტომ, რომ სინანულისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა და ღვთის გულმოწყალების კარი დაიხშო მისთვის.

✦ისევე როგორც საეჭვოა იმ მოცურავეების გადარჩენა, რომლებიც უკვე მორევის ყელში არიან მოქცეულნი, ასევე საეჭვოა ჩვენი ხსნა მაშინ, როცა სიკვდილის კლანჭებში მოვექცევით.

✦ვიფიქროთ სიკვდილზე იმიტომ, რომ ჩვენ რომც დაგვავიწყდეს იგი, მას არ დავავიწყდებით.

✦სიკვდილი არ შეგვპირებია, რომ დაგვიცდის მანამ, ვიდრე ჩვენ მის შესახვედრად მოვემზადებით.

✦ყოველთვის ელოდე, მაგრამ ნუ გეშინია სიკვდილის: ისიც და ესეც სიბრძნის-მოყვარეობის ჭეშმარიტი ნიშნებია. *(წმ. ნილოს სინელი).*

✦ჩვენ ალარ შეგვეშინდება ხორციელი სიკვდილისა, თუ სიცოცხლის განმავლობაში ცოდვით სიკვდილი გვაშინებდა.

✦ჩვენ იმიტომ გვეშინია სიკვდილის, რომ დაუდევრად ვცხოვრობთ და სუფთა სინდისი არ გვაქვს *(წმ. იოანე ოქროპირი).*

ვინც იმისთვის ცხოვრობს, რომ მარადიულად იცხოვროს, მას სიკვდილისა არასოდეს შეეშინდება.

სიკვდილის შიში იმ კაცს დაამწუხრებს, რომელსაც სინდისი ამხელს, ხოლო ვისაც კეთილი მოწმობა აქვს, მას იმდენადვე სურს სიკვდილი, რამდენადაც – სიცოცხლე *(წმ. ისაკ ასური)*.

ეცადე ისე იცხოვრო, რომ სიკვდილის წუთი უფრო გახარებდეს, ვიდრე – გაშინებდეს.

სიკვდილი საშინელია, მაგრამ საშინელია მხოლოდ მათთვის, ვინც მასზედ არ ფიქრობს და მისთვის კეთილი ცხოვრებით არ ემზადება.

როგორ გაკიცხავდით თქვენ იმ ადამიანს, რომელიც საშიშროების მოახლოებისას იმის მაგიერ, რომ დაუყოვნებლივ გაარკვიოს, თუ რა ემუქრება და სიფრთხილის ზომები მიიღოს, თვალებს ხუჭავს, რომ საშიშროება არ დაინახოს! განა ამგვარადვე

არ იქცევით? სიკვდილი გიახლოვდებათ და აუცილებლად მოვა: ხოლო თქვენ, იმის ნაცვლად, რომ დაუყოვნებლივ გამოარკვიოთ რა არის მასში საშიში და თქვენთვის ნაცნობი საშუალებებით გააუვნებელჰყოთ იგი, თვალებს ხუჭავთ, რომ მისმა სამწუხარო შესახედაობამ არ შეგაშფოთოთ! გეშინოდეთ სიკვდილის! მაგრამ ჯანსაღად განსაჯეთ, რა უფრო საშიშია: სიკვდილი, რომლისთვის მზადებამაც შესაძლოა, ცხოვრება უსაფრთხო და ნეტარი გახადოს, თუ – მოუმზადებელი სიცოცხლე, რომელიც სიკვდილს საშინელებად აქცევს?

თუ არ გინდა სიკვდილი გაშინებდეს, გამუდმებით ელოდე მას *(სენეკა)*.

გამუდმებით გახსოვდეს საშინელი სიკვდილი, ისე, თითქოს იგი თვალთა წინაშე გიდგას და მას ნაკლებად მრისხანეს შეხვდები *(წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი)*.

სიკვდილი იმდენად საშინლად აღარ მოგეჩვენება, თუ ყოველდღიურად და ყოვ-

ელწუთიერად დაელოდები მას, ისევე, როგორც ვერ გვაშინებს ის მტერი, რომელსაც გამუდმებით ველით *(წმ. ტიხონ ზადონელი).*

საუკეთესო საშუალება იმისა, რომ სიკვდილი არ გვაშინებდეს, ისაა, რომ გამუდმებით მასზედ ვფიქრობდეთ და მას ველოდეთ.

საფრთხე, რომელიც დიდი ხნით ადრე განვჭვრიტეთ, იმდენად საშინელი არ არის, იმდენად არ გვაფრთხობს, როგორც – მოულოდნელი.

სიკვდილისა ნუ გეშინია, არამედ წმიდა ცხოვრებით მოემზადე მისთვის: თუ სიკვდილისთვის მზად იქნები, მისი არ შეგეშინდება; თუკი მთელი გულით შეიყვარებ უფალს, სიკვდილს თვითონვე მოისურვებ *(წმ. დიმიტრი როსტოველი).*

ყოვლადბრძენი იგია, ვინც ღირსეულად ემზადება სიკვდილისათვის, ასეთები მას მშვიდად ხვდებიან.

✦ნუ გაშინებს სიკვდილი, იმიტომ, რომ ღმერთმა ყველაფერი ისე მოაწყო, რომ შენ მასზე მაღლა დადგე *(წმ. ისაკ ასური)*.

✦სიკვდილიზე ფიქრმა კი არ უნდა შეგაშინოს, არამედ, სიხარულითა და ღვთისადმი მადლიერებით აგვავსოს, იმიტომ, რომ იგი დაასრულებს ჩვენს სულთქმასა და ტანჯვას, რომელიც ჩვენი ბუნების ცოდვილ მდგომარეობასთან განუყოფლად არის შეერთებული.

✦იგი, ვისაც დაზიანებული სახლის განახლება სურს, ჯერ მის მცხოვრებთ გამოიყვანს იქიდან, შემდეგ მთლიანად დაანგრევს მას და საუკეთესო სახით აღადგენს. გამოსახლებულებს ეს არ აწუხებთ, არამედ – უხარიათ კიდეც, იმიტომ, რომ დანგრეულ შენობას კი არ უყურებენ, არამედ – მომავალ, ახალ შენობაზე ფიქრობენ. ამასვე იქმს ღმერთი: იგი არღვევს ჩვენს სხეულს და მანამდე მასში მყოფ სულს გაიყვანს, როგორც – იმ სახლიდან, რომ

შემდეგ საუკეთესოდ აღადგინოს იგი და სული იქ დიდი პატივით დააბრუნოს. ამგვარად, ყურადღებას დანგრეულ შენობაზე კი ნუ შევაჩერებთ, არამედ – მომავალ დიდებაზე ვიფიქროთ *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

სიკვდილს შეიძლება, მომავალი სიცოცხლისათვის დაბადება ვუწოდოთ, ამჟამინდელ ცხოვრებაში სხეული იგივეა ჩვენი სულისათვის, რაც დედის წიაღი ბავშვისთვის, რაც – კვერცხი ბარტყისთვის, ბავშვი დედის მუცლიდან გამოდის, ბარტყი ნაჭუჭს ამტვრევს და ახალ ცხოვრებას იწყებს: ამგვარადვე, სიკვდილის დროს, სხეულიდან განსვლის წუთებში, ჩვენც ახალი ცხოვრებისათვის, ახალი სამყოფელისათვის, ახალ არსებებთან თანაცხოვრებისათვის, ახალი ცნებებისათვის, ახალი სურვილებისათვის, ახალი მოქმედებებისთვის ვიბადებით.

სიკვდილი – ეს უსასრულო მარადიულობის კარია.

ცხოვრება თავდება სიკვდილით და სიკვდილით იწყება ცხოვრება.

დაიბადე იმისათვის, რომ მოკვდე, კვდები, რომ იცხოვრო.

დედამიწაზე ნათესავებისა და მეგობრების დატოვებით ზეცაში შეუდარებლად ძვირფას საზოგადოებას შევიძენთ.

შეეცადე, მიწა ყოველგვარი სინანულის გარეშე დატოვო და ჩათვალე იგი ველად, რომელზედაც, შენ, როგორც შვილი უკვდავებისა, თამაშობდი და ხარობდი, ანდა — სასწავლებლად, რომელშიც ტანჯვისა და სიხარულის გზით მიაღწიე ზრდასრულ ასაკს. სარწმუნოების გვირგვინით თავშემკობილმა და მოთმინების მახვილით წელმორტყმულმა, ღვთის განგებულებისადმი მადლიერებითა და ნდობით სავსემ განაგრძე შენი მოგზაურობა.

თუ ცხონება გსურს, გამუდმებით ადამიანურ სიკვდილს ელოდე *(წმ. ნილოს სწნელი)*.

გიყვარდეს სიკვდილი, როგორც მეგობარი, რომელიც ღმერთთან მიგიძღვება.

ღმერთმა ჩვენ თავისი სახელის სადიდებლად შეგვქმნა. განა მთელი ჩვენი სულიერი ძალებით არ უნდა ვესწრაფოდეთ მას და დაუნანებლად არ უნდა ვტოვებდეთ ყოველივე მიწიერს, რომ მასთან მარადიულ შეერთებას მივაღწიოთ?

ისე იცხოვრე, რომ სიკვდილს შეხედო, როგორც საღმრთო სიყვარულის ძახილს — ბედნიერი ცხოვრებისათვის.

სიკვდილს სიცოცხლის აზრით უცქირე, სიცოცხლეს კი — სიკვდილის, ამგვარად ისწავლი, როგორ იცხოვრო და როგორ მოკვდე.

ყველა ადამიანი კვდება, მაგრამ — ყველა ერთი სიკვდილით არ კვდება, სხვადასხვაგვარად კვდებიან მართალი და ცოდვილი ადამიანები.

სრულიად სხვადასხვაგვარი ხასიათისაა სათნო და უწმინდური ადამიანების სიკვდილისწინა უძლურებანი: პირველთა შორის ისინი ძლიერი, მაგრამ გამჭოლი

ქარების მსგავსნი არიან, რომელთა დროსაც მომაკვდავის სული ქროლვის მიმართულებით სწრაფად, მაგრად ხმაურისა და ძრწოლის გარეშე გაიტაცება ნავსაყუდელიდან; ხოლო უკანასკნელთა – ცოდვილთა ავადმყოფობა ჰგავს შემოდგომის ქარიშხალს, რომელიც ყველაფერს ანადგურებს, ხომალდებს ძალით გლეჯს ღუზიდან და დასანთქმელად მიაქანებს მორევში.

სიკვდილი მართალთათვის და ცოდვილთათვის იგივეა, რაც იყო მეწამული ღვინა – ისრაიტელებისა და ეგვიპტელებისათვის. პირველთათვის ის აღთქმულ მიწაზე გადასასვლელად იქცა, ხოლო უკანასკნელთათვის – დაღუპვის მიზეზად; ასევე, მართალთათვის სიკვდილი არის ცხოვრების დასაწყისი და ნეტარ აღთქმულ მიწაზე შესასვლელი კარი; ცოდვილთათვის ის მეორე საუკუნო – ტანჯვით სავსე სიკვდილის დასაბამია.

მათ, ვისაც მართალი ადამიანის სიკვდილი უნახავთ, შეუძლებელია, არ შეემჩნიათ, რომ ისინი თითქოსდა იძინებენ, ან მშვიდობით მიდიან ჩვენგან – სადღაც.

მართლის სულს სიკვდილის დროს იგივე ემართება, რაც ტუსაღს, როდესაც იგი გადაჰყავთ ერთი, მისთვის ნაცნობი ოთახიდან – მეორეში, სრულიად უცნობში, ვიწროდან – ფართოში, ჩახუთულიდან – გრილში, ბნელიდან – ნათელში, მაგრამ იგი თითქოსდა ვიწრო კარით გაყავთ, სადაც, მცირე ხნით მაინც, სივიწროვის შეგრძნება აუცილებელია.

წმიდა სული სიკვდილის დროს საკუთარ თავს ეუბნება: „ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ სიკვდილი ასე საამურია.“ ასეც უნდა იყოს ყოველთვის, მართალი არასოდეს არის ისე ახლოს ბედნიერებასთან, როგორც სიკვდილის წუთებში, რაც მთელი ცხოვრება სურდა, სწორედ ის უსრულდება მას ამ დროს.

❦სათნოთმოყვარე ადამიანს იგივე ემართება სიკვდილის დროს, რაც კეთილ ბავშვს მშობლიურ სახლში დაბრუნებისას. სათნოთმოყვარე ადამიანებმა, როგორც ზეცის შვილებმა კარგად იციან, რომ ზეციურ მამას მათთან შეხვედრა გაახარებს, კარგად, მოწყალებით, სიყვარულით მიიღებს, იმიტომ, რომ ისინი ცხოვრების განმავლობაში გამუდმებით მის მცნებათა აღსრულებას ცდილობდნენ.

❦თავისუფლებას გრძნობს ბავშვი, რომელიც დედის წიაღიდან გამოდის, თავისუფლებას გრძნობს დილეგიდან გამოსული ტუსაღი, მაგრამ გაცილებით მეტ თავისუფლებასა და სიმსუბუქეს გრძნობს მართალი, როდესაც სხეულს ტოვებს.

❦ადამიანებს დიდი ხნის სიცოცხლე სურთ: შენ ქრისტიანი ხარ და ნეტარი სიკვდილი ისურვე *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

❦იმისათვის, რომ შეასწავლო მართალს უდიდესი მეცნიერება — კარგი სიკვდილი, ჯერ კარგად ცხოვრება ასწავლე მას.

წმინდად იცხოვრე, რომ წმინდად მოკვდე.

სიკეთე აღვასრულოთ და კი არ მოვკვდებით, არამედ – სიკვდილში მხოლოდ სიმშვიდეს ვიპოვით.

ძნელია სწორად ცხოვრება, მაგრამ სამაგიეროდ რა ტკბილია ასეთ დროს სიკვდილი.

ვინც ღვთისმოსაურად ცხოვრობს ხორცში, ასევე ღვთისმოსაურად გაეყრება მას.

ვინც უფალთან ცხოვრობს, უფალთან კვდება, ვინც გულმოდგინედ ემსახურება უფალს სიკვდილამდე, სიკვდილის მერეც მასთან იქნება.

იმისათვის, რომ იმქვეყნად კეთილსაიმედოდ შევაბიჯოთ, ამისათვის საკუთარი თავი უნდა მოვამზადოთ და განვაწყოთ ამქვეყნადვე.

ბოროტ ცხოვრებას დასასრულიც ბოროტი აქვს.

თუ მონა რაღაც დანაშაულის გამო პატრონის მიერ ბორკილებითაა შეკრული,

დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ ბორკილები დააამსხვრიოს და თავისუფლება მოიპოვოს; ასევე ცოდვის ბორკილებით შეკრული სული ხორცისგან თავს სხვაგვარად ვერ დაიხსნის, თუ არა – მასთან მძიმე ბრძოლით.

რა საშინელება, რა სასოწარკვეთილება ელის რჯულისგარდამავალს, რომელიც ჯიუტობს და ცოდვისადმი თავისი მიდრეკილების დაძლევა არ სურს, როდესაც სალმრთო ხმა მას აუწყებს, რომ სულ მალე მართალი მსაჯულის წინაშე წარსდგება, რომელიც მას საქმეთა მიხედვით მიაგებს.

უსიამოვნო, სამარცხვინოა, რომ უმსგავსად გაშიშვლებულნი ან დაგლეჯილი და ბინძური პერანგით მოსილნი წარვდგეთ მიწიერი მეფის წინაშე, მით უფრო საშინელია სულისათვის, თუკი ის ცაში ზეციური მეფის წინაშე განუბანელი, განუწმენდელი, ცოდვით დამახინჯებული წარსდგება.

✠დაფიქრდი, მოკვდავო, კარგად დაფიქრდი, განა საშინელება არ იქნება, რომ თავი დროულად არ მოამზადო და ცოდვის მწიკვლისაგან განწმენდელი სულით მიეცე მას, რომლის დიდებულების წინაშე ქერუბიმებიც კი სახეს იფარავენ და ანგელოზთა, მთავარანგელოზთა და სხვა ზეციურ ძალთა ნათელი სიბნელედ გადაიქცევა.

✠წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც ყინულზე მიდიოდა და უეცრად უფსკრულში ჩავარდა! ვის აღარ მიმართავს ასეთი ადამიანი, ვის არ სთხოვს შველას, ვის არ შეჰღაღადებს, ვის არ გაუწვდის ხელს? იგივე ემართება ცოდვილის სულს – სიკვდილის წუთებში. ის ბოლოსდაბოლოს გრძნობს, რომ უფსკრულში აღმოჩნდა. ამიტომ ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ მოიშოროს სნეულება, საკუთარ აღსასრულს გადააბიჯოს და როდესაც ხვდება, რომ წარმატებას ვერ აღწევს, საშინელება ემართება, სულმოკლეობა და სასოწარკვეთილება იპყრობს.

შეხედეთ, როგორი ტანჯვით იღრჩობა მშრალზე ამოგდებული თევზი, ასევე დაიღრჩობა საშინელი სატანჯველით ჩვენი სულიც, როდესაც მხოლოდ ამქვეყნისათვის გალევს ცხოვრებას და ბოლოს მისი დატოვების აუცილებლობის წინაშე დადგება.

როგორ ვინატრებთ მაშინ (სულისა და ხორცის გაყრის ჟამს) ყოველ საათს, რომლის გამოყენებაც ჩვენი სულის სასარგებლიდ შეგვეძლო და ხელიდან გავუშვით, ყოველ შემთხვევას, რომელიც სათნოებებში განსამტკიცებლად შეგვეძლო, მოგვეხმარა და ეს არ გავაკეთეთ, ყველა წმიდა სიხარულს, რომლითაც დატკბობა შეგვეძლო და არ დავტკბით, იმიტომ, რომ ამაო, გრძნობადი სიამოვნება გვაკავებდა და გვიტაცებდა თავისი მაცდური ხიბლით!

მაშინ ჩვენ დანამდვილებთ შევიცნობთ, თუ რა ჩალის ფასად ვყიდით მიწაზე ჩვენს უფლებას ცათა სასუფევლის მკვიდრობაზე და რა ძვირად ვყიდულობთ ჯოჯოხეთს.

✤აი, მაშინ კი გაიგებ, შენ, ცოდვილო, რამდენად ძვირფასია ის დრო, რომელსაც კარგავ, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იქნება! შენ გსურს, ის ნებისმიერი ფასით გამოისყიდო, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელია.

✤ნუ დატკბები სოფლის სიტკბოებით, თორემ უბედური სიკვდილით მოკვდები *(წმ. ანტონი დიდი)*.

✤სიკვდილი ბოროტება არ არის, მაგრამ ცუდი სიკვდილი ბოროტებაა *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

✤იმისათვის, რომ ცოდვილის საშინელ და მტანჯველ სიკვდილს გავექცეთ, მის ცოდვილ ცხოვრებასაც უნდა გავურბოდეთ.

✤ჩვენ ყველას უკიდურესად გვეშინია სიკვდილისა, მოდით, ცოდვის შიში ვისწავლოთ, იმიტომ, რომ თუკი არის რაიმე საშინელი სიკვდილში, ის – ცოდვისგან არის.

✤სადაც ცოდვა თავის ძალას კარგავს, იქ სიკვდილის მტკივნეული ნესტარიც ჩლუნგდება.

ჩვენ – ყველა სიკვდილის ნადავლი ვართ: ნეტარია, ვინც უცოდველი მოკვდა!

შიშველი მოხვედი ქვეყანაზე, რა ბედნიერება იქნება, თუ მას ცოდვისაგან შიშველი დატოვებ *(წმ. ბასილი დიდი)!*

თუკი საშინელია სიკვდილი, რომელიც იმდენად არ ანადგურებს ადამიანს, რამდენადაც – ცოდვა, რამდენად უსაშინლესია ცოდვა, რომელიც სიკვდილს შობს.

ვიდრე ხილულად მოკვდებოდე, უხილავად მოაკვდინე ცოდვა *(წმ. დიმიტრი როსტოველი).*

მხოლოდ მას, ვინც ჭეშმარიტად შეიცნო, თუ რა არის ამ ცხოვრების საზღვარი, შეუძლია, დაუდოს საზღვარი თავის ცოდვებს *(წმ. ისაკ ასური).*

მხოლოდ მან, ვინც საკუთარი აღსასრულის გარდუვალობას შეურიგდა, შეუძლია, უარი თქვას ცოდვაზე.

შეუძლებელია, ღვთისმოსაურად გატარება დღისა, თუ არ ვფიქრობთ, რომ ეს ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი დღეა, და საოცარ-

ია, რომ წარმართთა შორისაც ითქვა რაღაც – ამდაგვარი, იმიტომ, რომ მათაც ივარაუდეს, რომ სიბრძნისმოყვარება სიკვდილზე ფიქრში მდგომარეობს *(წმ. იოანე ხრისტომი)*.

❦არა მარტო – მიწიერი, არამედ – თვით სამოთხის მარადიული ცხოვრება არ ღირს არაფრად – სიკვდილზე ფიქრის გარეშე.

❦მაშინაც, როდესაც ცოდვა და სიკვდილი ჯერ არ არსებობდა, უკვე საჭირო იყო სიკვდილის ხსოვნა, განა კიდევ უფრო მეტად არ უნდა გვახსოვდეს სიკვდილი, როდესაც სულში დაბუდებულმა ცოდვამ იგი დაცემისადმი უსასრულოდ მიდრეკილი გახადა?

❦გახსოვდეს საკუთარი განსვლის წუთები და ღვთის წინაშე აღარ შესცოდავ *(ამბა იოანე)*.

❦ვინც სიკვდილის ხსოვნა მოიპოვა, ის აღარასოდეს შესცოდავს *(ამბა ისაია)*.

❦როგორც ყვავილებს აჭკნობს სიცივე, ასევე ხიბლის ცოდვილი აზრები და სურვილები სუსტდებიან სიკვდილზე ფიქრში.

✝ისე იცხოვრე, თითქოს ყოველი დღე უკანასკნელი იყოს შენთვის და ღვთის წინაშე აღარ შესცოდავ *(ამბა ისაია).*

✝როგორ შეძლებს ვინმე, ძმის მიმართ თუნდაც მცირეოდენ სიძულვილს განიცდიდეს მაშინ, თუკი ფიქრობს, რომ ყოველდღიურად მოსალოდნელია, რომ ეს ცხოვრება დატოვოს *(ამბა იოსები)?*

✝ყოველთვის ასე იფიქრე და საკუთარ თავს უთხარი: — „დღეის შემდეგ ამ ქვეყნად აღარ ვიქნები!“ — და ღვთის წინაშე აღარ შესცოდავ *(წმ. ანტონი დიდი).*

✝იფიქრე, რომ დღეს ან ხვალ მოკვდები და მაშინ ყოველგვარი ამაოება დატოვებს შენს გულს.

✝ხშირად და ყურადღებით იფიქრე სიკვდილზე: და აღარ მოისურვებ არც დიდებას, არც პატივს, არც სიმდიდრეს, არც ამ სოფლის რაიმე სხვა უპირატესობასა და სიტკბოებას.

მიცვალებულთა გლოვა და მათთვის ლოცვა

მიცვალებულისთვის ცრემლი დაღვარე და იტირე ის, მაგრამ უნუგეშო ნუ იქნები, მათ მსგავსად, ვისთვისაც იმედი არ არსებობს (1 თეს. 4,13).

გამოხატე შენი სულის უნუგეშო მწუხარება ძვირფასი ადამიანების დაკარგვისას, მაგრამ გამოხატე ის მხურვალე ცრემლით და ნუგეშინისმცემელი ღვთისადმი ლოცვით მოხმობთ; და შენ განმტკიცდები ღვთის ყოვლადბრძნული და ყოვლადსახიერი განგებულების მანუგეშებელ ერთგულებაში და ძალიან ჩქარა მწუხარება შეგიმსუბუქდება და სიმწარეში ნუგეშს მიიღებ. „დღესა ჭირისა ჩემისასა ღაღადვყავ შენდამი,“ – გიგალობს მეფსალმუნე – და „ისმინე ჩემი“ (ფს.85,7).

ნეტ. იერონიმეს შეგონებათა მიხედვით მორწმუნე ახლობლის დაკარგვისას ამგვარად უნდა განსჯიდეს და ინუგეშებდეს თავს: –„ღმერთი სახიერია (ფს.144,9), შე-

საბამისად ყოველივე, რასაც იგი ჩვენს მიმართ მოიმოქმედებს, ასევე კეთილი იქნება. ჩემი ქმარი გარდაიცვალა და მე მას დავტირი; მაგრამ, რამდენადაც ღმერთს ასე სურს, ამ უბედურებას მოთმინებით გადავიტან. ერთადერთმა ვაჟმა მიმატოვა, ეს უეჭველია, დიდი სიმწარეა, მაგრამ ამავდროულად – მანუგეშებელიცაა, იმიტომ, რომ ის მან წაიყვანა, ვინც მისი თავი მომანიჭა.

მათი ხვედრი, ვინც ჩვენგან წავიდა, ღვთის ხელშია, ისევე, როგორც – აქ დარჩენილთა – „გინა თუ ცოცხალ ვიყუნეთ, გინა თუ მოვწყდეთ, უფლისანი ვართ.“ (რომ. 14,8).

იგლოვე მიცვალებულები, მაგრამ – ზომიერად: თითქოს ისინი შორეულ ქვეყანაში მიდიან.

განა უცნაური არ არის?! როდესაც ქალიშვილს ათხოვებ, უბედურებად არ თვლი, რომ ქმართან ერთად იგი შორეულ ქვეყანაში მიდის და იქ ბედნიერად ცხოვრობს; იმიტომ, რომ განშორების მწუხარებას ახ-

შობს და ამსუბუქებს ამბები, რომელიც მათი კეთილდღეობის შესახებ გესმის; ხოლო აქ, როდესაც ადამიანს კი არა, – თვით ღმერთს მიჰყავს შენი ახლობელი, მწუხრდება და გლოვობ *(წმ.იოანე ოქროპირი)!*

იმაზე კი ნუ იფიქრებ, რომ გარდაცვლილი შენს სახლში აღარასოდეს შემოვა, არამედ – იმაზე, რომ ძალიან ჩქარა შენც მასთან გადასახლდები.

მკვდარი ეუბნება ცოცხალს: გუშინ მე, დღეს კი – შენ.

ყოველი ჩვენგანი სიკვდილის ჟამს აუცილებლად უნდა ეუბნეოდეს გარშემომყოფთ: „ნახვამდის!“

შენ იმას გლოვობ, რომ მიცვალებულმა დაგტოვა და იმაზე კი არ ფიქრობ, – ვინ იპოვა მან *(ფოტი პატრიარქი)*.

ჩვენ სიხარულით ვხვდებით ბავშვის დაბადებას, თუმცა მშობიარე იტანჯება და ახალშობილი ტირის, ასევე ხვდებიან ალბათ ზეცაში გარდაცვლილებს, მიუხედა-

ვად იმისა, რომ ჩვენ ვტირით კუბოსთან და ცრემლს ვაფრქვევთ.

მოციქულების შესახებ მოთხრობილია, რომ მათ თაყვანი სცეს ცად ამაღლებულ ზეციურ მასწავლებელსა და მოძღვარს და დაბრუნდნენ იერუსალიმში „სიხარულითა დიდითა“ (ლუკ. 24, 52), — იმის იმედით, რომ ოდესმე კვლავ შეუერთდებოდნენ მას სიყვარულის მყარი ბორკილით და ამაღლების შემდგომ სულით არც განეშორებიან მას. ასევე ჩვენც: როდესაც ჩვენს მიცვალებულებს ვგლოვობთ და სამუდამო სამყოფელში ვაცილებთ მათ, სახლში უნდა დავბრუნდეთ დაიმედებულნი და ნუგეშისცემულნი იმის იმედით, რომ საუკუნო ცხოვრებაში კვლავ შევხვდებით მათ.

სიყვარული გლოვობს მიცვალებულებს, მაგრამ სარწმუნოებამ, რომელიც ადამიანთა სულებში მათ დიდებით აღდგომას ხედავს, უნდა შეძლოს და დაწყვიტოს ცრემლების წყარო.

ჯრა არის მორწმუნისათვის საფლავი, რომელშიც მიცვალებულის სხეული განისვენებს? – მხოლოდ ვიწრო კარი, რომლის გავლითაც სული, რომელმაც სხეული დატოვა, გადადის უმაღლეს სამყაროში და ნაპრალებს შორის მარადიული სიცოცხლის სამოთხისეული შუქი ციალებს. თუ კეთილი და საყვარელი მიცვალებულის გამო სსწუხარ, საკუთარ თავს მიმართე: „ჩვენი მოქალაქობა ცათა შინა არს“ (ფილ. 3,20).

ჯსიყვარული სულით აერთებს მათაც, ვინც დროსა და სივრცეში დაშორდნენ.

ჯროდესაც ქრისტიანი ცოცხალთა შორის ცხოვრებას წყვეტს, იგი მიცვალებულთა შორის განაგრძობს ცხოვრებას, სულით უერთდება მათ ღვთისადმი აღვლენილი ლოცვის საშუალებით.

ჯმიცვალებულთათვის იმდენად ცრემლი კი არა, – ლოცვაა საჭირო. ილოცე ცოცხალთათვის, რომ მარადიული სიცოცხ-

ლე მოიპოვო და – მიცვალებულთათვის, რომ მარადიულ სიკვდილს გაექცე.

ილოცე მიცვალებულთათვის, რომ მათ, როდესაც ნეტარ ცხოვრებაში შევლენ, შენთვის ილოცონ.

სულის უკვდავება

ბარონ გოლბახს, რომელიც სულის უკვდავებას უარყოფდა, ვილაცამ უთხრა: „ძალიან მკაცრად მოიქცეოდით, ბრმისთვის რომ ის ჯოხი გამოგერთმიათ, რომლითაც გზას მიიკვლევს და სინდისის ქენჯნის გარეშე როგორ ართმევთ ადამიანს სულის უკვდავების რწმენას – მის ყველაზე მტკიცე საყრდენს ამქვეყნად?“

ანატომია სულის უკვდავებაში გვარწმუნებს: როდესაც გვამს გაკვეთ, შეუძლე-

ბელია, დაიჯერო, რომ სულ ეს არის ადამიანი.

აი, ცაზე მზეა: აბა უცქირეთ: დილით ახალშობილის მსგავსად ამოდის იგი ცაზე, შუადღისას მთელი ძალით ანათებს, ხოლო საღამოს მომაკვდავი მიცვალებულის მსგავსად ეფარება მიწას. მაგრამ განა მკრთალდება იგი, როდესაც დედამიწა მასთან გამოთხოვების შემდეგ ღამის წყვდიადით იფარება? ო, არა! იგი ძველებურად ანათებს, ოღონდ: მიწის მეორე მხარეს. განა ეს სახე იმის გამომხატველი არ არის, რომ სული – ჩვენი სხეულის ლამპარი – არ ქრება, როდესაც სხეული, მასთან განშორების შემდეგ, სამარის წყვდიადში დაიმალება, არამედ ძველებურად ანთია, ოღონდ – მეორე მხარეს – ზეცაში.

რატომ მოხდა, რომ იობმა ყველაფერი: ცხენები, ჯორები, აქლემები, ცხვრები, მიწები და ყოველგვარი სიმდიდრე ორმაგად მიიღო, ხოლო შვილი ზუსტად იმდენი შეეძინა,

რამდენიც გარდაცვლილი ჰყავდა (იობ. 1,2-3; 42,12-13)? იმიტომ, რომ პირუტყვი და ხორციელი სიმდიდრე სრულად დაიღუპა, ხოლო შვილები სიკვდილის შემდეგაც ცოცხლები იყვნენ სულიერად *(წმ. ბასილი დიდი)*.

ადამიანის უკვდავება არის ღმერთის უკვდავი, მარადიული ქველმოქმედება.

აზრი უკვდავების შესახებ მოითხოვს მოკვდავ ცხოვრებას, რომელიც მომავალის – უკვდავის შესაბამისი იქნება.

სიკვდილის წინ, როდესაც მოწაფეებთან ერთად სულის უკვდავებაზე მსჯელობდა, სოკრატემ თქვა: – „სული რომ კვდებოდეს, სხეულიც სიკვდილთან ერთად მოკვდებოდა ბოროტებაც, რომელიც ჩვენ აღვასრულეთ, მაგრამ, არსებობს იმის საფრთხე, რომ სული უკვდავია; ამ შემთხვევაში, სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ სწორად ვიცხოვროთ და ვიაზროვნოთ.“

ყოველთვის ისე იცხოვრე, რომ ღმერთსა და უკვდავებაზე ფიქრს შენთვის სიხარული მოჰქონდეს.

მიცვალებულთა აღდგომა

❦სიკვდილი სხვა არაფერია, – ხანგრძლივი ძილის გარდა *(წმ.იოანე ოქროპირი)*.

❦ძილი სიკვდილის სახეა, ხოლო გამოღვიძება აღდგომის მსგავსია.

❦როგორც სალამოს დაძინებული გაიღვიძებს დილით სიცოცხლის განახლებული ძალებით, ასევე ხორციელი სიკვდილით მძინარე გაიღვიძებს ახალი, უკვდავი სიცოცხლისათვის საყოველთაო აღდგომის დღეს.

❦იესო ქრისტეს აღდგომა ჩვენი მომავალი აღდგომის სახეც არის, – და ჩვენ აღვდგებით მესამე დღეს, ან – ჩვენი არსებობის მესამე ეტაპზე.

❦ამჟამინდელი ჩვენი ცხოვრება არის სამწუხარო, სადაგი დღეები – დრო შეჭირვებისა და შრომისა – ვიდრე განსვენების დღემდე; სიკვდილი – ჩვენი შაბათია, რომლის დროსაც მიწის წიაღში ვიქნებით განსვენებულნი: ხოლო კვირას დადგება

ჩვენთვის დღე აღდგომისა – პასექი სამარადისო.

✤რა არის ჩვენი საფლავები? კალო უფლისა, რომელზეც მარცვალივით ითესება სხეული და მათგან, ჩვენთვის შეუცნობელი გზებით, ოდესმე აღმოცენდება ახალი, უკვდავი სხეული, ისევე, როგორც მცირე ზომის გახრწნილი მარცვალი სასწაულებრივად აღმოაცენებს ხოლმე ულამაზეს თავთავს (1კორ. 15, 35-38).

✤ყოველ გაზაფხულზე, როდესაც დედამიწაზე ახალი ცხოვრება მოევლინება, აღდგებიან მცენარეები და ათასობით გაყინული, მკვდარი მწერები გაცოცხლდებიან; განა მიწა არ წარმოადგენს საყოველთაო აღდგომის და ახალი უკვდავი ცხოვრების წინასახეს?

✤მატლი თავისთვის იმზადებს საფლავს, მასში იკეტება და კვდება; მაგრამ გაზაფხულის წყალობით ამ საფლავიდანაც ამოდის მსუბუქი, მბრწყინავი პეპელა –

და ის ქმნილება, მტვრად რომ იქცა, კეთილსურნელოვან ყვავილებთან თამაშობს.

მარცვალი, რომელიც მიწის წიაღში ჩავარდება, იხსნება, აღმოცენდება და ოქროს რკალივით დამშვენდება, ყოველივე გარდაიქმნება და ხელახლა იბადება დედამიწაზე, ყოველივე განუწყვეტლად სრულყოფილებამდე მაღლდება... და განა ადამიანი, უკეთილშობილესი ქმნილება, რომელიც ყოვლისამპყრობელის მსგავსებაა, მიწაზე მღოლავ მატლზე უბედური იქნება? ან — ქერის თესლზე უბადრუკი? არა! მიწიერი ყოფნის მიღმა მარადიულობაში ასსვლელი კიბეა აღმართული.

კაცობრიობისთვის სირცხვილია, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ოცნებობენ, სხვებზე ჭკვიანები იყვნენ და იმ მატლზე უგუნურები არიან, რომელიც სიკვდილის მოლოდინში საკუთარი თავისთვის ქსელის ან ბეწვის კუბოს იმზადებს, არა იმისთვის, რომ მასში გაქრეს, არამედ იმისათვის, რომ

შიგ მატლის მიწიერი ცხოვრება ჩადოს და აღდგეს პეპლის ჰაეროვანი სიცოცხლით.

იკითხავ: როგორ ხდება, რომ დარღვეული ბუნება კვლად იმად იქცევა, რაც იყო? საკუთარი თავი თვითონ განსაჯე და ნახავ, რომ ეს სარწმუნოა, დაფიქრდი, რა იყავი მანამდე, ვიდრე არსებობას მიიღებდი, რათქმაუნდა, – არავინ, თუკი შესაძლოა, რომ გახდე ის, რაც არასოდეს ყოფილხარ, მით უმეტეს შესაძლებელია, ის გახდე, რაც ოდესღაც უკვე იყავი.

განა შეიძლება, დაგაეჭვოს ძლიერებამ ღვთისა, რომელმაც მთელი ეს უზარმაზარი სამყარო არსებობაში მოიყვანა *(ტერტულიანე)*.

განა ღმერთს, რომელმაც არარსებობიდან შეგვქმნა, არ შეუძლია, აღგვადგინოს მაშინ, როდესაც უკვე ვარსებობდით და მოვკვდით *(წმ. კირილე იერუსალიმელი)*.

ღვთისთვის გაცილებით ადვილია იმის აღდგენა, რაც უკვე იყო, ვიდრე – შექმნა

იმისა, რაც არასოდეს ყოფილა *(წმ. გრიგოლ დიოლოღოსი)*.

შექმნა აღდგომაზე მიუწვდომელია, იმიტომ, რომ სულაც არ არის ერთიდაიგივე – ჩამქრალ სანთელს აანთებ თუ ცეცხლს გააჩენ იქ, სადაც ის ადრე არასოდეს ყოფილა, ერთიდაიგივე არ არის: დანგრეულ სახლს აღადგენ, თუ ახალს ააშენებ, აქ – ბოლოსდაბოლოს – მზა მასალა მაინც არსებობს, იქ კი – ეს მასალაც არ არის *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

ჩვენი სხეულის არცერთი ნაწილი, როგორც არ უნდა გაიბნეს ისინი, თუნდაც სრულიად გაიხრწნას, ან – ერთიანად დაიჭრას, ღვთისთვის არ კვდება, ისინი, იმავე სტიქიად გარდაიქმნებიან, რომლიდანაც ღვთის ხელმა აიღო *(ნეტ. ავგუსტინე)*.

ღვთისთვის გაცილებით ადვილია, მიწის პირზე განბნეული ადამიანის სხეულის ფერფლის შეკრება, ვიდრე ჩვენთვის – ოთახში დაკიდული კაბის ჩამოხსნა.

განა თვით ყველაზე გულმოდგინე და ყურადღებიანი დამკვირვებელი შეძლებს, აღმოაჩინოს, როგორ ხდება, რომ მკვდარი, მიწაში ჩაგდებული თესლი აღმოაცენებს ახალ მცენარეს და მის შესაბამის მრავალ ამონაზარდს? ეს სასწაული ისევე ძნელი ახსასნელია, როგორც გახრწნილი ფერფლიდან ადამიანის აღდგომა, ამიტომაა, რომ აღდგომის დოგმატის ჭეშმარიტებაში კორინთელთა განსამტკიცებლად წმ. პავლე მოციქულს მოაქვს მცენარის მაგალითი, რომელიც დამპალი მარცვლიდან იბადება და უგუნურს უწოდებს მათ, ვინც ყოველდღიურად ამ უკანასკნელ სასწაულს ხედავენ და ეჭვი ეპარებათ პირველში, რომელსაც ღმერთი უკანასკნელ ჟამს აღასრულებს (1 კორ. 15,35-38). ჩანს, ღვთისთვის საჭიროყო, რომ ყოველივე – ჩვენს გარშემო არსებული და თვით გონებით დადასტურებული ჭეშმარიტებები საიდუმლოთა მთელ სიმრავლედ წარმოდგენილიყო იმისათვის, რომ მოვემზადებინეთ და განვეწყვეთ იმის

მისაღებად, რომლის გაცხადებაც მას ჩვენთვის სურდა. როგორც ჩვენ გვახარებს გაზაფხულის მოსვლა, ასევე უნდა გვახარებდეს ჩვენი მომავალი აღდგომა, მაგრამ აღდგომის გაზაფხული ჭეშმარიტად მხოლოდ მაშინ გაგვახარებს, როდესაც ქრისტიანულად ვიცხოვრებთ. ვინც ურჯულოდ ცხოვრობს, ის აღდგომის დღეს ვერ გაიხარებს და დაუსრულებლად იქნება წყევდიადში *(წმ. ეფრემ ასური)*.

რატომ აისახება მძიმე დარდი უკურნებელი ავადმყოფების სახეებზე – განახლებული ბუნების დანახვისას?! –ის აწუხებთ, რომ ირგვლივ მხიარულება და სიცოცხლეა, ხოლო, გულში – მწუხარება და სიკვდილი. აი, სწორედ ეს არის ცოდვილის მდგომარეობის სახე – საყოველთაო აღდგომისას! რა სამწუხაროა! დროული სინანულით ვუწამლოთ საკუთარ თავს; თუ არა და – მოვა გაზაფხული, და ვაი ჩვენ, თუ მას სასიკვდილო შინაგანი წყლულით დავხვდებით!

ქრისტეს საშინელი სამსჯავრო

უველა ჩვენგანი მთელი სამყაროს წინაშე სრულიად აშკარა ღვთის სამსჯავროზე წარვსდგებით.

საშინელი, მეტისმეტად საშინელია ღვთის სამსჯავრო, თუმცა ღმერთი სახიერია, თუმცა იგი მოწყალეა.

იგივე იესო, რომელიც დღეს ყველას თავისკენ უხმობს, განსჯის დღეს განაგდებს, მათ, ვინც მასთან არ მივა.

გეშინოდეს ამ საშინელი დღისა და საათის, რომლის დროსაც ვერ დაგიცავენ, ვერც ძმა და ვერც ნათესავი, ვერც მთავრობა და ვერც ხელმწიფება, ვერც სიმდიდრე და ვერც დიდება. არამედ პირისპირ დარჩება კაცი და მისი საქმენი *(წმ. ბარსანოფი დიდი)*.

რა მოგველის (საშინელი სამსჯავროს დღეს)? დროულად ვიფიქროთ და ვიზრუნოთ ამაზე.

ჰოი, მოყვასო ჩემო, სად ვიქნებით ჩვენ მაშინ? იქნებ მეფის (ქრისტეს) მარჯვენით არ ვიყოთ მოწოდებულნი?

ახლოვდება ღვთის საშინელი სამსჯავროს დრო, წუთი და საათი, დღეს უფრო ახლოა, ვიდრე – გუშინ იყო.

სამსჯავრო უკვე კარზეა მომდგარი, ის ასე ახლოს რომც არ იყოს, უზრუნველად ყოფნა მაინც გაუმართლებელი იქნებოდა. სიცოცხლის დასასრულს თითოეული მომაკვდავისთვის იგივე აზრი აქვს – სამომავლო ცხოვრების თვალსაზრისით, რაც – სამყაროს აღსასრულს *(წმ.იოანე ოქროპირი)*.

ჩვენ უკვე საშინელი სამსჯავროს მარცხენა ან მარჯვენა მხარეს მივდივართ.

როგორც შენი სინდისი გამხელს, იმგვარივე მსჯავრს ელოდე ღვთისაგან.

თუ ასეთი საშიშია სამსჯავრო (ქრისტესი), შეგეშინდეს ცოდვისა, იმიტომ, რომ სამსჯავროზე ყოველი დღის გამო მოგიწევს პასუხისგება.

ყოველდრიურად გაიხსენე საშინელი სამსჯავრო, იმიტომ, რომ მასზედ ყოველი დღისათვის პასუხს აგებ.

ყოველდრიურად საკუთარ თავს ჩავაბაროთ ის ანგარიშები, რომელთა ჩაბარებაც ყველას წინაშე მოგვიწევს ჩვენი მსაჯულის წინაშე, ამას აკეთებდნენ თვით საუკეთესონი — ბერძენ ბრძენთაგან: კატონი, ციცერონი და სხვები.

ყოველ დილით როდესაც გაიღვიძებ, იფიქრე, რომ ყოველი მოქმედებისთვის უფლის წინაშე პასუხისგება მოგიწევს და მის წინაშე ალარ შესცოდავ, არამედ ღვთის შიში დასახლდება შენში *(ამბა ისაია)*.

საქმის დაწყებისას საკუთარ თავს უთხარი: რა იქნება, რომ ახლა მესტუმროს უფალი ჩემი? და ნახე, რას გიპასუხებს საკუთარი გონება. თუ ის დაგადანაშაულებს, მაშინვე მიატოვე საქმე და სხვას შეუდექი, იმიტომ, რომ ყოველ წუთს მზად იყო შენს გზაზე წასასვლელად (სიკვდილი-

სათვის). თუ ხელსაქმობ, ან გზაში ხარ, ან სტუმრად ხარ, ან საკვებს იღებ, უთხარი საკუთარ თავს: რა იქნება, ეხლა რომ მომიწოდოს ღმერთმა? ნახე, რას გიპასუხებს სინდისი და ისე მოიქეცი, როგორც ის გეტყვის.

✝ყოველივე, რასაც არ უნდა აკეთებდე, ისე აკეთე, თითქოს სწორედ ახლა მიდიოდე მარადისობაში, ღვთის სამსჯავროზე.

✝როგორიც გინდა, რომ საშინელ სამსჯავროზე წარდგე, ისეთი იყავი ახლა, ღვთის პირის წინაშე.

✝ვერავითარ მიწიერ საუნჯეს საშინელ სამსჯავროზე თან ვერ წაიღებ, იმის გარდა, რასაც ღატაკებისთვის გასცემ.

✝თუ ამ ცხოვრებაში საკუთარ თავს უარყოფ, სამსჯავროზე ქრისტე თავისად მიგითვლის.

მომავალი საკუნო ცხოვრება. მართალთა საკუნო ნეტარება და ცოდვილთა საკუნო ტანჯვა

ჩვენ ხხვა სამყარო გველის, სადაც ყველაფერი სხვანაირად იქნება.

თუ ნესტიანი და ვიწრო დილეგიდან გადაგვიყვანდნენ ოდნავ განათებულ ოთახში, ხოლო იქიდან სასახლეში, რომელიც იმ სამყაროზე ვრცელი იქნება, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და უფრო ბრწყინვალე, ვიდრე მზე, რომელიც გვანათებს, — მაშინ სწორი წარმოდგენა გვექნებოდა იმ სამ სამყოფელზე, რომელიც ადამიანისათვის არის განსაზღვრული: ეს სამი საცხოვრებელი არის: დედის საშო, ეს ქვეყანა და ზეცა. დედის წიაღში ცხრა თვეს ვატარებთ, ორმოცდაათ ან სამოცდაათ წელს — მეტნაკლებობით — მეორეში, ხოლო მესამეში ჭეშმარიტ ცხოვრებას ვიღებთ, იმიტომ, რომ მარადისობაში შევდივართ.

რა დიდებულ, აღმაფრთოვანებელ გამოვლინებას წარმოგვიდგენს ბუნება ჩვენს თვალთა წინაშე! რა დამატყვევებელია მზის ჩასვლა საავდრო ღრუბლებში! რა დიდი სიამოვნებაა გულისა და სულისათვის, როდესაც გაზაფხულის კეთილსურნელებას ვიყნოსავთ და მაღალი მთის მწვერვალიდან გადმოვცქერით ქმნილებათა ხელახლაშობის სასწაულს! გიხაროდეს, გიხაროდეს, სულო ჩემო, იფიქრე იმ დროზე, როდესაც შენ ცათა ზეცაში აღხვალ და ყოველივე ამაზე შეუდარებლად აღმატებულ გამოვლინებებს იხილავ. ყოველგვარი სიკეთე, რომლითაც ადამიანი ამ სოფელში ტკბება, არის მხოლოდ მცირე წვეთები იმ საოცარი სიხარულის წყაროსი, რომელსაც ნეტარნი ზეცაში იგემებენ.

ამჟამინდელ და სამომავლო დიდებას შორის სწორედ ისეთივე განსხვავებაა, რაც — სიზმარსა და ცხადს შორის *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

✠როგორც მზის შუქი აღემატება სანთლისას, იმდენადვე და კიდევ უფრო მეტად აღემატება მომავალი აწყმოს *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

✠სურვილით ისწრაფე იქით, სადაც სიჭაბუკე ჰყვავის და არ ბერდება, სიცოცხლე არ კვდება, სიხარულს მწუხარება არ მოსდევს, სიტკბოს – სიმწარე, სიკეთეს არანაირი ბოროტება არ ერევა.

✠მართალთა უმაღლესი ნეტარება მომავალ ცხოვრებაში ღვთის სხივცისკროვანებაში და მის უსრულყოფილეს შეცნობაში მდგომარეობს, ჩვენ „ვხედავთ აწ (ღმერთს), ვითარცა სარკითა და სახითა ხოლო მაშინ პირსა პირის-პირ, აწ ვიცი მცირედ ხოლო მაშინ ვიცნა ვითარცა შევემეცნე“ (1 კორ. 13,12). ერთი ბრძენი ამბობს: „მე ვნახე ღმერთი, როგორც მიმავალი, თითქოს – ზურგიდან – მოსეს მსგავსად ვნახე იგი და შევჩერდი მასში განცვიფრებითა და გაოცებით შეპყრობილი, მე შემეძლო

მისი ნაბიჯების ანაბეჭდები აღმომეჩინა შექმნის საქმეში და ამ საქმეებშიც, თვით – ყველაზე უმნიშვნელოსა და მცირეში, რომლებიც მთლად არარაობად ჩანან. როგორი ძალაა, როგორი სიბრძნეა, როგორი აუხსნელი სრულყოფილებაა!“ ამ სიტყვების შემდეგ, თუ შეგიძლიათ, წარმოიდგინეთ ნეტარება სულისა, რომელიც იხილავს და მარადიულად უფრო და უფრო სრულყოფილად ჭვრეტს ღმერთს, ოღონდ, უკვე არა – ზურგიდან, არა – წამიერად, არა მხოლოდ – მის საქმეებში არეკლილი და გარდატეხილი სინათლის ანაბეჭდით, არამედ – პირდაპირ და პირისპირ, სრულიად ღიად, ისეთს, როგორიც არის ის სინამდვილეში!“ (1 იოან. 3,2).

ბევრი, ძალიან ბევრი ეძლევათ მორწმუნეებს აქაც, მაგრამ კიდევ რა ელით მათ მომავალში? ამის გამოხატვა არანაირ სიტყვას არ ძალუძს, არანაირ წრმოსახვას მისი წარმოდგენა არ შეუძლია. ჰოი, ჭეშ-

მარიტად ღირს იგი ჩვენს ნებისმიერ შრომადა და ძალისხმევად, ღირს თვით ყოველგვარ მწუხარებადა და ტანჯვად.

რომელიღაც დიდ ბერს, რომელიც უდიდეს ღვაწლს აღასრულებდა, ძმები ეუბნებოდნენ: ამბა, შეწყვიტე ასეთი გადამეტებული შრომა, ხომ უკვე სრულიად დაუძლურდი. იგი ამაზე მიუგებდა: „დამიჯერეთ, შვილებო, რომ თვით აბრაამიც კი, ღვთისთვის მოღვაწე წმიდანთათვის გამზადებული დიდი ნიჭების ხილვისას ინანებდა, რომ ამ ცხოვრებაში ნაკლები იშრომა.“

აქაური შრომა დროებითი და მძიმეა, ხოლო განსვენება მას შემდეგ მარადიულად ტკბილი.

ცოტაოდენ გავისარჯოთ, რომ სამუდამო სიმშვიდეში ვიყოთ.

აქ სიმშვიდის ძიებას ნუ დავიწყებთ, რომ იქ – ზეცაში მოვიპოვოთ იგი *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

„არა ხილული იგი საუკუნო“ (2 კორ. 4,18)... მარადიულობის წინაშე როგორც

ერთი წუთი, ასევე – ხანგრძლივი დრო თანაბრად შეუმჩნეველია, რას წარმოადგენს დრო ნაკლულოვანებისა, როდესაც მას მოსდევს დრო სიკეთის მარადიული ფლობისა, წუთები ტანჯვისა, – რომელიც მარადიული სიტკბოებისთვის გვამზადებს, სათნოებაში მოღვაწეობის წუთები, – რომელსაც მარადიული მისაგებელი და დიდება ელის?

განა ხრწნადი საუნჯის და დროებითი დოვლათის მოსაპოვებლად არ ვხარჯავთ შრომას? მაშ უხრწნელი საუნჯისა და მარადიული სიკეთისათვის შრომა განა არ ღირს?

რას არ გავაკეთებდით გარკვეული ძალისხმევის საფასურად ოქროს გროვა რომ შემოეთავაზებინათ?! ჩვენ უჩვეულოდ ბევრ რამეს შევძლებდით, უდიდეს სირთულეებს გადავლახავდით. მაგრამ ზეცა ოქროზე მეტია.

რაოდენ ბევრს აკეთებენ მიწიერი ჯილდოსთვის! განა მით უფრო მეტი შრომა არ უნდა გაიწიოს ზეციური ჯილდოს მოსაპოვებლად?

✦რაზე სჯობს ზრუნვა: მიწიერ მონაპოვარსა და სიამოვნებებზე? რომლებიც ხშირად გაურბიან მძებნელს, ვინც მათ მიაღწევს, მას ისინი აღარ აკმაყოფილებენ, ვინც მათით ტკბება, მათ აამპარტავნებენ, ვინც მათ ფლობს — იმონებენ, ცოცხალთა თვალთაგან უჩინარდებიან და სიკვდილის შემდეგ თან არვის მისდევენ, თუ ამას ზეციური სიკეთე ვამჯობინოთ, რომელიც მარადიული ტკბობისათვის ნამდვილად მიგვველის?

✦არ შეიძლება ერთი თვალით ზეცაში, ხოლო, მეორეთი — მიწისაკენ იცქირებოდე.

✦იმედი ნუ გექნება, რომ ზეცას მოიპოვებ, თუ ზეცის შესაფერისად არ იცხოვრე.

✦თუ მიწაზე ზეცისათვის არ ცხოვრობ, შეუძლებელია, საფლავის მიღმა ზეცაში მოხვდე.

✦ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, აწმყოს როგორ ვიყენებთ, ზეცა და ჯოჯოხეთი ჩვენს ნებაზეა.

✦მიწა არის სანერგე და სკოლა ზეცისათვის; ამიტომ აუცილებელია, რომ ცოტა-

ოდენი რამ მაინც ვისწავლოთ იქიდან, რასაც ზეცაში აკეთებენ, რომ მან მიწიერი ცხოვრების ბოლოს არ განგვაგდოს, როგორც – უვარგისები.

✝ვისაც ღვთის პირისპირ ხილვა სურს, მან მისი ხილვის ღირსად უნდა იცხოვროს.

✝ვერავინ ავა ღვთის მეუფებაში – ზეცაში, თუ ღვთის სასუფეველი გულში არა აქვს.

✝გონებით გამუდმებით ცათა სასუფეველში იცხოვრე, და ჩქარა დაიმკვიდრებ ამ სამეფოს.

✝ვინც მიწაზე არ მოსთქვამს და იტანჯება – როგორც მწირი, იგი ცის მოქალაქე ვერ გახდება.

✝მიწაზე იარე, მაგრამ ზეცის მოქალაქე იყავი.

✝მზერა ქვემოთ მიაპყარი, სული კი – მაღლა.

✝ჯოჯოხეთში შეიძლება, შეხვიდე და მოხვდე, თუმცა ეს არ გინდა და ამაზე არც ფიქრობ, ზეცაში ასვლა კი შეუძლე-

ბელია, თუ ეს არ გინდა და ამაზე არ ფიქრობ.

გახსოვდეს ცათა სასუფეველი, რომ მისმა ხსოვნამ თანდათანობით მიგიზიდოს (მის საძიებლად) *(ამბა ისაია)*.

ხშირად იფიქრე ზეციურ სიკეთეთა შესახებ და შენში მიწისადმი და მიწიერი ტკბობისადმი აღარანაირი სიყვარული აღარ შემოვა *(წმ. ნილოს სინელი)*.

ვისაც დიდი სურს, იგი მცირეს არ დაეძებს, და ვინც მარადიულ ნეტარებას ეძიებს, ის დროებითს არად აგდებს *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

ყველაზე უბედურ ადამიანსაც კი უყვარს დროებითი სიცოცხლე და ყველაზე საშინელი ტანჯვის წუთებშიც კი მასთან განშორება არ სურს: მაგრამ იგი გაცილებით მეტი მოთმინებით და გულგრილობით გადიტანდა უბედურებებს, თუ მთელი გულით მარადიულ, მომავალ ცხოვრებას შეიყვარებდა – მისი ყოველგვარი სიკეთით.

✦საუკუნო ნეტარების დავიწყებას საუკუნო უბედურებასთან მივყავართ.

✦ვინც მომავალ ცხოვრებაზე არ ამყარებს იმედს, უკვე ამავე ცხოვრებაში მკვდარია.

✦მომავალი ცხოვრების დავიწყებას ყოველგვარი სათნოებისა და მოვალეობის დავიწყებასთან მიჰყავს ადამიანი და პირუტყვად ან მხეცად აქცევს მას.

✦თვითმკვლელია იგი, ვინც თავს მარადიული ცხოვრების ღირსად არ გახდის.

✦უბედურია იგი, ვინც მომავალს დროებითის მსხვერპლად აქცევს.

✦სიკეთეთა მოკლება (რომლებიც მართალთათვის მომავალ ცხოვრებაშია გამზადებული), ისეთ საშინელ ტანჯვას, შეჭირვებასა და მწუხარებას შობს, რომ შემცოდეებს არანაირი სასჯელი რომც არ ელოდეთ, ის მაინც თავისთავად გეენიის სატანჯველზე მეტად შესძლებდა, დაეტანჯა და აღეშფოთებინა ჩვენი სულები *(წმ. იოანე ოქროპირი).*

–აზრობრივად ხშირად ჩავიდეთ ჯოჯოხეთში, რომ ჩვენი საქმეების გამო არ მოგვიწიოს იქ ჩასვლამ.

–მიწიერ, ცხოვრებისეულ სატანჯველს მძიმედ მხოლოდ იმის გამო მივიჩნევთ, რომ ჯოჯოხეთის სატანჯველი არ ვიცით.

–თვით მარადიული სატანჯველი კი არა, – მის შესახებ მოსმენაც კი საშინელებაა.

–თუ თვით ცეცხლის ერთი ნაპერწკლის მოხვედრა ხელზეც კი ძნელია მოითმინო, რალა იქნება ცეცხლის ტბაში, რომელიც მთელი მარადიულობის განმავლობაში დასწვავს ცოდვილს. ჯოჯოხეთის ცეცხლი რალაც გაურკვეველი, აუხსნელი შესაძლებლობების იქნება და ისე დასწვავს ცოდვილთა სხეულებს, რომ ამავე დროს მთლად შეინახავს მათ; მისი ძალა მიწიერ ცეცხლზე ნაკლები კი არ იქნება, არამედ პირიქით, როგორც მამები გვასწავლიან: ამჟამინდელი ცეცხლი იმდენად უძლურია მასთან შედარებით, რამდენადაც სურათზე დახატული ცეცხლია ნამდვილზე სუსტი.

✦მარადიული ცეცხლი წვავს და არ ანათებს, ფერფლავს და არ ანადგურებს, ტანჯავს და არ კლავს *(წმ. ტიხონ ზადონელი).*

✦ჯოჯოხეთის ცეცხლის ერთი ნაპერწკალი გაცილებით მტანჯველი იქნება ცოდვილისათვის, ვიდრე მშობიარე დედაკაცის ტკივილი და ტანჯვა, თუნდაც ის ათასი წელი გრძელდებოდეს.

✦ჯოჯოხეთის სატანჯველი არა მარტო დაუსრულებელი, არამედ – განუწყვეტელიც იქნება, ამჟამინდელ ცხოვრებაში ავაზაკებს, რომელთაც უვადო გადასახლება ან კატორღა აქვთ მისჯილი, მაინც გამოუყოფენ ხოლმე დასვენების დღეებს, ასევე, რამდენიმე საათს ძილისათვის – ყოველდღიურად. მაგრამ ცოდვილებს – მათსავე მარადიულ სატანჯველში მცირეოდენი დასვენების ან ტანჯვის შესუსტებს ერთი წამიც კი არ ექნებათ, მაგალითად (ჩვენი დროის განზომილება რომ წარმოვიდგინოთ) ისინი დაიტანჯებიან დილით,

დაიტანჯებიან შუადღეს, დაიტანჯებიან სალამოს, როდესაც დაღამდება, მთელ ღამესაც ტანჯვაში გაატარებენ, შემდგ ზუსტად ასევე დაიწყება და გაივლის მომავალი დღე. და კვლავ: სწორედ ამგვარადვე გაივლის წლები, საუკუნეები და მთელი მარადისობა.

ცოდვილისათვის ყოველი წუთი ჯოჯოხეთში მარადიული სატანჯველი იქნება, იმიტომ, რომ იგი ყოველ წუთში თავისი ტანჯვის მხოლოდ დასაწყისს დაინახავს.

იტანჯებოდე მანამ, ვიდრე ღვთის არსებობა გრძელდება; – განა შეიძლება, ამაზე დიდი უბედურება არსებობდეს?

იკითხავენ: რატომ უნდა ისჯებოდეს მარადიულად იგი, ვინც აქ მხოლოდ მცირე ხნის განმავლობაში სცოდავდა? მაშ, რატომაა, რომ ადამიანი, რომელმაც წუთიერად აღასრულა მკვლელობა, მთელი ცხოვრება მაღაროში მუშაობით ისჯება *(წმ. იოანე ოქროპირი)?*

„ვნებას სიმდიდრის, ძალაუფლების, სიმდიდრისა და ყოველივე ამის მსგავსის მიმართ ზომა და საზღვარი არა აქვს.“ – თქვა არისტოტელემ, ამიტომ ჯიუტი მცოდველები მაშინაც არ შეწყვეტენ ცოდვის ქმნას, როდესაც მიწიერ ცხოვრებას დაასრულებენ და უსინანულოდ აღესრულებიან, ხოლო ის, ვისაც ცოდვასთან განშორება არ შეეძლო, ვიდრე მიწაზე ცხოვრობდა და სინანულის გარეშე მოკვდა, ის, რა თქმა უნდა, ვერც სიკვდილის შემდეგ გათავისუფლდება მისგან და შესაბამისად – ვერც ცოდვის გამო მოწევნული სასჯელისაგან გათავისუფლდება ოდესმე.

მოკვდავო! ვიდრემდის მოკვდავ სხეულს ატარებ და ცვალებადობას ექვემდებარები, შეგიძლია, გახდე უარესი, ან – უკეთესი, მაგრამ, როდესაც ხრწნადობისა და მოკვდაობის სამოსს განიმოსავ, მაშინ შენში ან სიკეთის უკვდავი გრძნობა დარჩება, ან – ბოროტების უკვდავი გრძნობა.

ზეცაში ახალი ულმერთო ვერ იშობა და „ჯოჯოხეთსა შინა“ არავინ აღიარებს უფალს (ფს. 6,6).

✝რითაც სამარის კარს გადააბიჯებ, იმით იცხოვრებ უკუნითი უკუნისამდე.

✝საშინელი და სასტიკია მარადიულობა ტანჯვისა, რომელიც შეუნანებელ ცოდვილებს ელით! მაგრამ თუ საკუთარი სისასტიკისა და ბოროტ საქმეებში გაჯიუტების გამო, შეგვიძლია, მოციქულის სიტყვით რომ ვთქვათ, ხელმეორედ ჯვარს ვაცვათ ქრისტე, რომელმაც წმიდა სისხლი დასთხია ჩვენთვის – თავისი პირველი ჯვარცმის ჟამს, განა ეს სასჯელი ჩვენთვის მცირე იქნება? ერთი ღვთისმოსავი მწერალი როგორც იტყვის: –„საუკუნო სატანჯველო, შენ მე დიდად მეჩვენები, როდესაც ადამიანური ბუნების უძლურებას წარმოვიდგენ, მაგრამ, მეჩვენები მცირედ, როდესაც წარმოვიდგენ, რომ ცოდვილმა, რომელსაც მარადიული სატანჯველი მიესაჯა, ფეხქვეშ გათელა წინასაუკუნეთა ღმერთი.“ (ებრ. 10, 29).

✝როდესაც შესცოდავ, სასჯელის შიშით კი ნუ იტირებ და იგლოვ, არამედ, იმის გამო, რომ შეურაცხყავ შენი მეუფე, რომელიც იმდენად კრძალულია, იმდენად უყვარხარ, იმდენად ზრუნავს შენს ხსნაზე, რომ საკუთარი ძეც კი გაწირა შენს გამო *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

✝საუკუნო, ჯოჯოხეთის სატანჯველს გავექცევით, თუ სინანულით ხშირად ვიფიქრებთ მასზედ.

✝ღმერთი თავის წერილშიც გვენიით გვემუქრება, რომ გეენიაში არ ჩავცვივდეთ *(წმ. ტიხონ ზადონელი)*.

✝გეენიის მოხსენება გეენიაში ჩავარდნის ნებას არ მოგვცემს. *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

✝არცერთი მათგანი, ვისაც თვალთა წინაშე ჯოჯოხეთის სატანჯველი აქვს, არ ჩავარდება გეენიაში; არცერთი მათგანი, ვინც გეენიას არად აგდებს, ვერ გაექცევა მას *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

✝იფიქრე გეენიის შესახებ, რომ საძულველი გახდეს შენთვის ის საქმეები, რომლებიც მასთან მიგიყვანენ *(ამბა ისაია)*.

✝გეენიის ცეცხლს შეუძლია, გააგრილოს და ცეცხლისაგან გაათავისუფლოს ვნებები, როდესაც ცოცხლად წარმოიდგენ მას.

✝თუ ბიწიერ სურვილთა ცეცხლი იქნება შენში, იქაური (გეენიის) ცეცხლის სატანჯველი წარმოიდგინე და შენი ცეცხლი ჩაქრება *(წმ. იოანე ოქროპირი)*.

✝ჩვენთვის კი არ არის გამზადებული ჯოჯოხეთის ცეცხლი, არამედ – ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის (მათ. 25,41), საკუთარ თავს ნუ დავიწვავთ მასში *(სულიერი მარგალიტი)*.

✝ნუ შევცოდავთ, რათა გადავურჩეთ მარადიულ სატანჯველს, რომელიც ჩვენთვის არ არის გამზადებული, და თუკი უძლურების გამო მაინც ჩავცვივდებით ცოდვაში, შევეცადოთ, რომ ჩქარა განვიბანოთ სინანულის ცრემლით.

✻ცოდვათა გამო დათხეული ცრემლი ყველაზე უკეთესი საშუალებაა იმ ცეცხლის ჩასაქრობად – ცოდვების გამო რომ გველის.

✻შეუძლებელია, არ ვტიროდეთ, ან აქ – ნებით, ან უნებურად – ჯოჯოხეთის სატანჯველში *(ამბა ჰიმენი)*.

✻სჯობს, მთელი ცხოვრება ზეციური ნუგეშის იმედით ვღვრიდეთ ცრემლს, ვიდრე ის განუწყვეტელი სიამით განვლოთ, რომ შემდეგ საუკუნო სასოწარკვეთილებით ვგოდებდეთ.

ღმერთზე — თავისთავად და მისი
ქმნილებების, განსაკუთრებით
— ადამიანისადმი დამოკიდებულების
შესახებ 3
წმიდა წერილი, ან ბიბლია 49
უფალი იესო ქრისტე 58
მადლი 79
რწმენა, რელიგია, ქრისტიანობა 90
რწმენა და კეთილი საქმეები 124
ადამიანის დამოკიდებულება
უფლისადმი 127
ღვთის შინაგანი და გარეგნული
თაყვანისცემა 155
ქრისტიანის წოდება და მოვალეობანი 162
სულის ცხონება და სათნოება 171
ლოცვა 213
ტაძარში სიარულისა და იქ მოკრძალებით
ქცევის შესახებ 239
დღესასწაულების დაცვის შესახებ 245
მეცნიერება, ცოდნა, სიბრძნე 250

ბრძენი, კეთილი და წმიდა ადამიანები 266
სათნო და ბიწიერ ადამიანებთან
ურთიერთობა 276
მოყვასის სიყვარულის შესახებ 283
მოწყალება და ქველმოქმედება 297
მეგობრობა 316
წყენის მიტევება და მტრის სიყვარული 322
თავმდაბლობა 351
განსჯა ანუ გონიერება 373
საცდური და მაცდუნებლები 376
ეშმაკი 380
ცოდვა 389
ზრახვები 413
ვნებები 420
მრისხანება 433
პატივმოყვარეობა და თავის ქება 451
ამპარტავნება 459
შური 473
განკითხვა 481
პირფერობა და პირმოთნეობა 511

მეფე და სახელმწიფო 519
მაღალი წოდებისა და მდგომარეობის პირთა და მათდამი დაბალი რანგის ადამიანების დამოკიდებულების შესახებ 527
ხელმძღვანელთა მოვალეობანი 532
ქვეშევრდომთა მოვალეობები 538
სამღვდელო მსახურება და მოვალეობანი 540
მრევლის დამოკიდებულება მოძღვრის მიმართ 544
მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ 547
შვილების მოვალეობები მშობლების მიმართ 557
სიყმაწვილე 560
ქალწულება და ქორწინება 568
სიძვა და უბიწოება 570
ცოლ-ქმრული მოვალეობები 577
ერი და ერში ცხოვრება 579
მონაზვნობა 594

ადამიანის მიწიერი ცხოვრება 610
შრომა და უსაქმურობა 624
ქონებრივი მდგომარეობით დაკმაყოფილება სიღატაკისა და დაბალი მდგომარეობის დროს 631
მწუხარება 643
ბედნიერება 693
მიწიერი სიკეთეები 704
მიწიერი სიამოვნებები 715
პატივი და პატივმოყვარეობა 723
დიდება 725
წარმომავლობის მემკვიდრეობა 730
სიმდიდრე 732
ვეცხლისმოყვარება და ანგარება 748
სიძუნწე 756
მევახშეობა 760
ფუფუნება 761
სხეულის მორთვა და მოკაზმულობა 763
სული და სხეული 765
ჯანმრთელობა და ავადმყოფობა 772

მარხვა და ზომიერება 778
მაგიდასთანაც იმარხულე 785
მემთვრალეობა 786
სიტყვის მადლის მოხმარება 790
მდუმარება და მრავალმეტყველება 805
ჭეშმარიტება და სიცრუე 812
სიტყვა და საქმე 816
სინდისი 823
საკუთარი თავის შეცნობა 830
საკუთარ თავზე გამარჯვება 837
თავისუფლება და მონობა 841
დროის ყოველდღიური განაწილება 847
შეუცნობელი მომავალი 852
სიბერე 855
დრო და მარადიულობა 857
ნუ წარიკვეთ სასოს 866
სინანაული 874
ზიარება 879
სიკვდილი 887

მიცვალებულთა გლოვა და მათთვის
ლოცვა 915
სულის უკვდავება 920
მიცვალებულთა აღდგომა 923
ქრისტეს საშინელი სამსჯავრო 930
მომავალი სუკუნო ცხოვრება,
მართალთა საუკუნო ნეტარება და
ცოდვილთა საუკუნო ტანჯვა 934



გარეკნის პირველ გვერდზე წმიდა
მღვდელმთავრები წმ. ბასილი დიდი
წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი
წმ. იოანე ოქროპირი

გარეკნის ბოლო გვერდზე წმ.
მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)
ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე)

ტექსტი მოამზადეს ნათია თარაშვილმა
ხათუნა რაქვიაშვილმა
თამარ ასათიანმა
რედაქტორი თინათინ გოგოჩაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ალექსი შოშიაშვილი

წიგნი დაიბეჭდა
საქართველოს საპატრიარქოს სტამბა
შპს. „მეგობრობა“-ში



საქართველოს საპატრიარქოს

საეკლესიო მაღაზია „ალილო“

საეკლესიო მაღაზია „ალილო“ დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საეკლესიო ნივთების ფართო არჩევანს — დაბალ და საბითუმო ფასებში. ჩვენს მაღაზიაში შეიძენთ ღვთსმსახურებისა და ყოველდღიური ეკლესიური ცხოვრებისათვის აუცილებელ ნივთებს.

მაღაზიაში ფუნქციონირებს:

წიგნების განყოფილება:

მართლმადიდებლური, საღვთისმეტყველო და სასულიერო ლიტერატურის ფართო არჩევანი — ქართულ და უცხოურ ენებზე, საბითუმო და საგამომცემლო ფასებით.

ხატების გამოფენა:

ხატები, საეკლესიო ნივთები, საკმეველი, სასაკმევლე ნახშირი, კანდელის ზეთი, ცვილის კელაპტრები და სანთლები.

აუდიო-ვიდეო გამოფენა:

აუდიო-ვიდეო კასეტები, კომპაკტ-დისკები, სანოტო კრებულები.

ქსოვილები:

საეკლესიო და საღვთისმსახურო ქსოვილების ფართო არჩევანი.

საბითუმო გამოფენა:

სასულიერო ლიტერატურა, ხატები და საეკლესიო ნივთები — საგამომცემლო, საბითუმო ფასებში, საბითუმო ფასდაკლება.

ვილაცთ შეკვეთას:

რუსულ მართლმადიდებლურ ლიტერატურაზე, საღვთისმსახურო შესამოსელის ჩამოტანასა და ასევე მათ შეკერვაზე.

დახმარებას გაგიწევთ მართლმადიდებლური ლიტერატურის გამოცემაში.

მისამართი — თბილისი, ლესელიძის ქ. 17

www. alilo.net alilo@rambler.ru

საკონტაქტო ტელეფონი — 2 99 89 48

მსუბუქად მეჩვენება ახლა ის ჯვრები, რომლებსაც ვტვირთულობდი, ისინი ნეტარებისა და დიდების სასუფევლისკენ მიჩვენებენ გზას".

სასიკეთო და მაცხოვნებელია ჩვენთვის მწუხარება! ღვთის სამართლიანი სამსჯავროს განჩინებით ვისჯებით ცოდვების გამო, მაგრამ ამასთანავე, ღვთის უსაზღვრო გულმოწყალებით, მწუხარებანი სულიერი უძლურებისა და წყლულების მკურნალად გამოგვადგება — ისინი წმენდენ და სრულყოფენ ჩვენს კეთილ თვისებებსა და საქმეებს, ღირსგვყოფენ დავიმკვიდროთ მარადიული, მომავალი სიკეთეები. მაგრამ ამასთან, ჩვენც მოგვეთხოვება, სულგრძელობით, მოთმინებით გადავიტანოთ განსაცდელები, სრულიად მივენდოთ ღვთის წინამძღოლობას ჩვენი ცხონების გზაზე.

მწუხარება მამაკაცისთვისაც ნებადართულია, მაგრამ მეტისმეტი გლოვა ქალსაც კი არ შეშვენის.